ასევე არ იცვლება მეორე და მესამე პირის ფორმები, რომლებსაც ატრიბუტული და პრედიკატული ფუნქცია აქვთ (აბაევი 1970, 581).

мах чиныг	ჩვენი წიგნი
ацы чиныг мах у	ეს წიგნი ჩვენია
нæхи чиныг	ჩვენი საკუთარი წიგნი
ацы чиныг нæхи у	ეს ჩვენი საკუთარი წიგნია

აქვე უნდა შევნიშნოთ: მართალია, **мæн** ჩემ-ს აღნიშნავს, მაგრამ ის დიგორულ დიალექტში იხმარება ამ ფორმით, ლიტერატურული კი ატრიბუტუვად გამოიყენება და მოკლე ფორმით შეეწყობა მსაზღვრელს:

mae დიდინაეგ	ჩემი ყვაილი
აი mae დიდინაეგ у	ეს ჩემი ყვაილია მაგრამ
აцы дидинаег maen у	ეს ყვაილი ჩემია

რაც შეეხება სრული ფორმის პირის ნაცვალსახელებს მრავლობით რიცხვში, ისინი აბსოლუტურად იდენტურნი არიან სრული ფორმის კუთვნილებითი ნაცვალსახელებისა:

max ацыдыстам	ჩვენ წავედით
сымах ацыдыстут	თქვენ წახვედით
уыдон ацыдысты	ისინი წავიდნენ

max хæдзар	ჩვენი სახლი
сымах хæдзар	თქვენი სახლი
уыдон хæдзар	მათი სახლი

ოსურში ბგერითი თანხვედრის გამო არ განირჩევა პირისა (მრავლობითი რიცხვის მოთხრობით ბრუნვაში) და კუთვნილებითი ნაცვალსახელები.

უნდა განვასხვაოთ ასეთი სახის პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელები ერთმანეთისაგან. თუ ნაცვალსახელები **max** зарæм (ჩვენ ვმდერთ), **сымах** зарут (თქვენ მდერთ), **уыдон** зарынц (ისინი მდერიან) ახლავს ზმნას, პირის ნაცვალსახელებია (სრული ფორმის), ხოლო თუ ისინი პრედიკატივის ფუნქციას ასრულებენ **max** зарæг (ჩვენი სიმღერა), **сымах** зарæг (თქვენი სიმღერა), **уыдон** зарæг (მათი სიმღერა) – კუთვნილებითი ნაცვალსახელებია (უკუქცევითი ფორმის).

ამრიგად, ოსურში დასტურდება ნაცვალსახელთა ფუნქცია – გამოხატოს კუთვნილება. ამიტომ მიგვაჩნია, რომ კუთვნილებითი ნაცვალსახელი ცალკე ჯგუფად უნდა გამოიყოს, როგორც ეს ჰქონდა აკად. ვ. აბაევს.

ამასთანავე, საჭიროა ოსურში გაიმიჯნოს პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელები. მიუხედავად იმისა, რომ ნათესაობით ბრუნვაში პირისა და კუთვნილებით ნაცვალსახელებს ერთნაირი ბგერითი შედგენილობა აქვთ, რაც იწვევს აზრთა სხვადასხვაობას, ეს მაინც არ გვაძლევს მათი გაერთიანების საფუძველს. მათი ერთმანეთისაგან განსასხვავებლად საკმარისია დავაკვირდეთ, თუ რა მეტყველების ნაწილს ახლავს ეს ნაცვალსახელი – ზმნას თუ სახელს. თუ ნაცვალსახელი ახლავს ზმნას, ის პირისაა (**max** зарæм – ჩვენ ვმდერთ), ხოლო თუ ახლავს სახელს – კუთვნილებითია (**max** зарæг у – ჩვენი სიმღერა).

ლიტერატურა

აბაევი 1970 – В. И. Абаев, Краткий грамматический очерк осетинского языка: В книге Осетинско-русский словарь, Орджоникидзе, 1970

ბაგაევი 1965 – Багаты Н., Ирон æвзæджы грамматикæ, 1 хай, Цхинвал, 1965

გაბარაევი 1987 – Гæбæраты Н. Я., Ирон ывзаг, Ахуыргæнæн чиныг 5-6 кълæстæн, Цхинвал, 1987

მედლევი 2003 – Медойты Б. Г., Нырыккон ирон æвзаг морфологи, Цхинвал, 2003

ოსური ენის გრამატიკა 1963 – Грамматика осетинского языка, под редакцией проф. Г. С. Ахвледиани, т. 1, Орджоникидзе, 1963; т.2, 1969

Н. Б е п п и е в а (Тбилиси)

**Личные и притяжательные местоимения
в осетинском языке**

В осетинском языке выделяют три вида личных местоимений:

1. Полные: **æз- я, ды-ты, уый-он, мах-мы, сымах-вы, уыдон-они**;
2. Краткие: (энклитические) **мæ** (мой), **дæ** (твой), **йæ** (его), **нæ** (наш), **уæ** (ваш), **сæ** (их);
3. Возвратно-притяжательные **мæхæдæг** (я сам), **дæхæдæг** (ты сам), **йæхæдæг** (он сам), **нæхæдæг**: (мы сами), **уæхæдæг** (вы сами), **сæхæдæг** (они сами). (Абаев 1970, 576-580; Грамматика осетинского языка 1963, 170).

Существует и другое предположение: «У личных местоимений есть две формы: полная и краткая, энклитическая форма» (Медойты 2003, 130). Что касается третьего вида, то он у Б.Г. Медоева выделяется отдельно как усилительные местоимения. Отмечено, что усилительные местоимения происходят от энклитической формы личных местоимений присоединением местоимения **хæдæг** (сам) или его множественного числа **хуыдтæг**: **нæхæдæг-нæхуыдтæг**, **уæхæдæг-уæхуыдтæг**; **сæхæдæг-сæхуыдтæг** (Медойты 2003, 136).

Здесь необходимо отметить, что притяжательные местоимения некоторыми учеными (Медойты 2003, 126-150) не выделяются в качестве отдельной группы. Причиной этого, по нашему мнению, является то, что форма родительного падежа личных местоимений совпадает с формой притяжательных местоимений и выступает в той же функции.

Им.	æз- я	ды- ты	уый-он
Род.	мæн-мой	дæу-твой	уый-его

Мæн тыххæй хыл кодтой – из-за меня поругались

Мæн у ацы хæдзар – это мой дом

Дæу тыххæй рацыдтæн – из-за тебя пришел

Дæу у ацы чиныг? – это твоя книга?

Уый фæстæ никæй бауарзтон – после него никого не полюбила

Уый чиныг у – его книга.

Такое совпадение форм наблюдается также и при образовании кратких (энклитических) форм (**мæ** – мой, **дæ** – твой, **уый** – его) и множественного числа личных местоимений в целом.

Это не дает права не выделять притяжательные местоимения в отдельную группу. Обоснованным видится мнение акад. В.И. Абаева: «Поскольку притяжательные местоимения формально не обособлены от личных, совпадая с родительным падежом последних, может встать вопрос о целесообразности их выделения в особую категорию. Если бы притяжательность была единственной функцией родительного падежа местоимений, отделение притяжательных местоимений от личных было бы действительно мало оправдано» (Абаев 1970, 582). Совпадение падежных форм личных и притяжательных местоимений заметил Н.Х. Кулаев: «Возвратно-притяжательные (совпадающие с формой родительного падежа определенно-личных местоимений), обозначают принадлежность» (Грамматика осетинского языка 1963, 171). К сожалению, по этому вопросу больше ничего не сказано.

В осетинском языке притяжательные местоимения, в отличие от некоторых других языков, характеризуются одной особенностью. Некоторые категории имен обязательно требуют добавления притяжательных местоимений. К таким категориям имен относятся слова, обозначающие части тела (человека) и термины, обозначающие родство и некоторые другие слова (Абаев 1970, 576-580), напр., в осетинском нельзя сказать – поранил руку. Здесь необходимо использовать притяжательное местоимение **мой**: *Æз маæ къух ныццавтон* – я поранил **свою** (досл. **мою**) руку. Также нельзя без притяжательного местоимения сказать – пожал руку: поосетински говорим – *Æз маæ къух райстон* «я **свою** (досл. **мою**) руку пожал». Поосетински не скажешь – он живет с отцом и матерью. Здесь также необходимо использовать притяжательное местоимение: *Йæ фыд æмаæ йæ мадимæ цары* «живет со своей матерью и со своим отцом» (Абаев 1970, 582).

Нам представляется обоснованным выделение В.И. Абаевым притяжательных местоимений в качестве отдельной группы. Такой подход был принят и в выпущенных ранее учебных пособиях по осетинскому языку (Габараты 1987,105).

Мы на этот раз остановимся на некоторых случаях совпадения личных и притяжательных местоимений множественного числа.

Личные местоимения:

ед. число	мн. число
æз (я)	мах (мы)
ды (ты)	сымах (вы)
уый (он)	уыдон(они)

Их склонение своеобразно. Личное местоимение æз (я) в именительном представлено одной основой, а в остальных падежах (в ед. числе) представлено супплетивными основами (*мæн, мæнæн...*).

Личные местоимения во множественном числе, в именительном (*номон*) и родительном (*гуырынон*) падежах представлены одной основой:

Им.	мах	сымах	уыдон
Род.	мах	сымах	уыдон

Мах хабарæн ницы зонаем «Мы по этому делу ничего не знаем»...

Что касается притяжательных местоимений, в осетинском выделяют пять видов:

1. краткий (мæ)
2. полный (мæн)
3. возвратно-притяжательный (мæхи)
4. полный субстантивный
5. субстантивный возвратно-притяжательный

Мы коснемся только первых трех видов (четвертый и пятый вид выступают в качестве субстантивов и склоняются соответственно: мæнон, мæноны... мæнæуттæ, мæнуæтты...)

Здесь необходимо отметить совпадение личных и притяжательных местоимений, что выражается в следующем:

1. Краткая форма притяжательных местоимений совпадает с личными краткими местоимениями в форме родительного падежа:

мæ – мой	нæ – наш
дæ – твой	уæ – ваш
йæ – его	сæ – их

С одной стороны мы имеем:

мæ чызг у – моя дочь
нæ чызг у – наша дочь
дæ чызг у – твоя дочь
йæ чызг у – ее дочь
сæ чызг у – их дочь

С другой стороны:

мæ чызджы – моей дочери
нæ чызджы – нашей дочери
твоей дочери – твоей дочери
йæ чызджы – ее дочери
сæ чызджы – их дочери

2. Полная форма притяжательных местоимений совпадает с личными энклитическими местоимениями в форме родительного падежа:

мæн – мой	мах – наш
дæу – твой	сымах – ваш
уый – его	уыдон – их

На вопрос: из-за кого дерутся? Ответят – **мæн** тыххæй «из-за **меня**» (личн. мест.)

На вопрос: этот товар чей? Ответят – **мæн** у «**мой**» (притяж. мест.)

Также во втором и в третьем лице: тебя кто спрашивает? дæу «ты» (личн. мест.); чи фарсы? твоя эта книга? дæу «твоя» (притяж. мест.); у ацы чиныг? дома вы были? хæдзары сымах (личн.мест.) уыдыстут? дом ваш? хæдзар сымах у (притяж. мест.) и т. д.

3. Возвратно-притяжательные местоимения совпадают с личными местоимениями возвратного вида в форме родительного падежа.

мæхи – мой нæхи – наш
дæхи – твой уæхи – ваш
йæхи – его сæхи – их

Первая (краткая) форма применяется только с атрибутивной функцией и не склоняется:

мæ чиныг – моя книга
мæ чиныгы – в моей книге

Также не меняются формы второго и третьего лица, у которых имеется атрибутивная или предикативная функция (Абаев 1970, 581):

мах чиныг – наша книга
ацы чиныг мах у – эта книга наша
нæхи чиныг – наша личная книга
ацы чиныг нæхи у – это наша личная книга

Здесь необходимо отметить, что форма мæн обозначает мой//я//е, но эта форма употребляется только в дигорском диалекте, в литературном же используется краткая форма, которая в качестве атрибута присоединяется к определяемому.

Мæ дидинаг – мой цветок
Ай мæ дидинаг у – это мой цветок

Но:

Ацы дидинаг мæн у – этот цветок мой

Что касается полной формы личных местоимений во множественном числе, то они абсолютно идентичны с полной формой притяжательных местоимений:

Мах ацыдыстæм – мы ушли
Сымах ацыдыстут – вы ушли
Уыдон ацыдысты – они ушли
Мах хæдзар – наш дом
Сымах хæдзар – ваш дом
Уыдон хæдзар – их дом

В осетинском языке формы личных (множественного числа в родительном падеже) и притяжательных местоимений фонетически совпадают.

Как отличить личные и притяжательные местоимения друг от друга? Если местоимения сопровождается глагол, то мы имеем личные местоимения (полного вида), напр., *мах зарæм* (мы поем), *сымах зарут* (вы поете), *уыдон зырынц* (они поют); если же они выполняют предикативную функцию, то это притяжательные местоимения (возвратной формы), напр., *мах зарæг* (наша песня), *сымах зарæг* (ваша песня), *уыдон зарæг* (их песня).

Таким образом, в осетинском языке подтверждается функция местоимений – выражение принадлежности. Поэтому эта группа местоимений должна рассматриваться как отдельная группа притяжательных местоимений, как это и было указано акад. В. И. Абаевым.

Вместе с тем необходимо размежевать личные и притяжательные местоимения в осетинском языке. Несмотря на то, что в родительном падеже личные и притяжательные местоимения отличаются звуковой тождественностью, что и вызвало различные точки зрения, это нам не дает права на объединение этих групп. Для разграничения этих местоимений достаточно посмотреть, к какой части речи примыкает это местоимение – к глаголу или имени. Если местоимение находится с глаголом, то оно личное (*мах зарæм* – мы поем), если же оно находится с именем – притяжательное (*мах зарæг у* – наша песня).

Литература

Абаев 1970 – В.И. Абаев, Краткий грамматический очерк осетинского языка: В книге «Осетинско-русский словарь», Орджоникидзе, 1970

Багаты 1965 – Багаты Н. Ирон æвзаджы грамматикæ, 1 хай, Цхинвал, 1965

Гæбæраты 1987 – Гæбæраты Н. Я., Ирон æвзаг, Ахуыргæнæн чиныг 5-6 къласстæн, Цхинвал, 1987

Грамматика осетинского языка 1963 – Грамматика осетинского языка, под редакцией проф. Г. С. Ахвледиани, т. I, Орджоникидзе, 1963, т. II, 1969

Медойты 2003 – Медойты Б. Г. Нырыккон ирон æвзаг мифологи, Цхинвал, 2003

N. B e r p i e v a (Tbilisi)

Personal and possessive pronouns in Ossetian language

S u m m a r y

Three forms of possessive pronouns are distinguished in the Ossetian language: Full, Short, Reflexive-possessive. It does not grant the right not to distinguish the personal pronouns as a separate group.

Correctly for possessive pronouns formally are not isolated from personal, coinciding with a genitive case of the last, there can be a question about advisability of their

allocation in a special category. If possessiveness was unique function of a genitive case pronoun, the branch of possessive pronouns from personal would be really a little justified. We should distinguish such personal and possessive pronouns from each other. If pronouns a **мах** зарём (we sing), **сымах** зарут (you sing), **уыдон** зырынц (they sing) are accompanied by a verb, thus they are personal pronouns (the full form), if they carry out a function of a predicative – **мах** зарёг (our song), **сымах** зарёг (your song), **уыдон** зарёг (their song) – they are possessive pronouns (the reflexive form).

At the same time it is necessary to limit personal and possessive pronouns in Ossetian. In spite of the fact that in a genitive case the personal and possessive pronouns have identical sound structure that causes the different point of views, it does not give the right of their association. To distinguish them from each other it is necessary to look at with what part of speech is this pronoun – with a verb or a noun.

თ. გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე (თბილისი)

**სტუმარმასპინძლობის აფხაზური ტრადიციის
ლინგვოკულტურული ასპექტები**

სტუმარმასპინძლობის ტრადიცია კავკასიაში მცხოვრები ყველა ეთნოსის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია. სტუმრის განსაკუთრებული პატივისცემა, მისი უპირატესობის ხაზგასმა, მზადყოფნა სტუმრის სიცოცხლისა და პირადი ღირსების დასაცავად – ყველა კავკასიელ ხალხში ითვლება უმთავრეს პრიორიტეტად. ყოველი ადამიანი, ყოველი ოჯახი ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სიტუაციაში ვალდებულია, მზად იყოს სტუმრის მისაღებად და სამასპინძლოდ, რა სირთულესთანაც უნდა იყოს ეს დაკავშირებული. საზოგადოება მუდამ ფხიზლად ადევნებს თვალყურს იმას, თუ როგორ სრულდება ამ ტრადიციის მოთხოვნები, იგი ქებით ამკობს მათ, ვინც ღირსეული მასპინძლობით გამოირჩევა და მკაცრად გმობს იმას, ვინც უღირსი მასპინძლობით შეარცხვენს საკუთარ ოჯახს, საგვარეულოს, თემ-სოფელს და მთლიანად თავის ეთნოსსაც კი. კავკასიელები იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ამ ტრადიციას, რომ ადამიანს პირველ რიგში იმით აფასებენ, თუ როგორი მასპინძელია იგი. განსაკუთრებით ფასდება ისეთი ადამიანი, ვინც მნიშვნელოვანი მატერიალური, ფსიქოლოგიური თუ სხვა პრობლემების მიუხედავად (საოჯახო, სათემო, სამსახურებრივი საქმეები, მგლოვიარობა, სნეულება და ა. შ.) არ აგრძნობინებს სტუმარს თავის პრობლემებს და ისე უმასპინძლებს, როგორც ამას სტუმარმასპინძლობის დაუწერელი წესები მოითხოვენ.

ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არც აფხაზი ხალხია. სტუმარმასპინძლობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების განუხრევლად დაცვა აფხაზი კაცის მიერ დღემდე განიხილება **აფსუარა**-ს (აფხაზთა თვითსახელ **აფსუა**-საგან მომდინარე სახელია, უდრის „აფხაზობა“-ს), ანუ აფხაზისათვის სავალდებულო დადებით თვისებათა ერთობის განუყოფელ ნაწილად. რა თქმა უნდა, სტუმარმასპინძლობის აფხაზური ტრადიცია ბევრი რამით ჰგავს სხვა კავკასიელ ეთნოსთა (როგორც მონათესავე ხალხთა, ისე არამონათესავეთა) შესაბამის ტრადიციებს, მაგრამ მას მაინც აქვს მრავალი განმასხვავებელი ნიშან-თვისება და მკაფიოდ ჩამოყალიბებული ეროვნული მახასიათებლები (ვრცლად ამის შესახებ იხ.: ინალ-იფა 1984, 103-122).

სტუმარმასპინძლობის აფხაზური ტრადიცია მჭიდრო კავშირშია ენობრივ (ვერბალურ) მასალასთან, რომლის გაუთვალისწინებლადაც შეუძლებელია ამ ეთნოსის სულის შესახებ სრული წარმოდგენის შექმნა. ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ სწორედ ამ ენობრივ (ვერბალურ) მასალას.

სტუმარმასპინძლობასთან დაკავშირებული აფხაზური ლექსიკა და ფრაზეოლოგია იყოფა შემდეგ ჯგუფებად: სპეციალური ტერმინები და ტერმინოლოგიური შესიტყვებანი; სტუმრისა და მასპინძლის თვისებათა მიმართ ხალხის დამოკიდებულების ამსახველი შეფასებითი ეპითეტები; პატივისცემის გამომხატველი მიმართვის ფორმულები; ეზოში, სახლში, სუფრასთან მიწვევის ფორმულები; სადღეგრძელოები; ანდაზები და თქმულებები, რომლებიც ნერგავენ სტუმარმასპინძლობის ტრადიციისადმი პატივისცემლურ დამოკიდებულებას და ა. შ.

სტუმარმასპინძლობის ტრადიციასთან დაკავშირებული ტერმინები და ტერმინოლოგიური შესიტყვებებია:

ა-სას „სტუმარი“;

აადუგ „სტუმარი“ (ზედმიწ.: მომსვლელი);

ა-ფშმა „მასპინძელი“;

ა-ფშმა იფშმაცა „მასპინძლის ახლობელ-ნათესაევი და მეზობლები, რომლებიც ესმარებიან მას მასპინძლობაში“ (ზედმიწ.: მასპინძლის მასპინძლები);

სასრა აცარა „სტუმრად წასვლა“ (სასრა დცედტ „სტუმრად წავიდა“). ამ შემთხვევაში სახელის ზოგადი ფორმის მაწარმოებელი ა- პრეფიქსის გარეშე წარმოდგენილი მასდარი (სასრა) გამოიყენება მიზნის გარემოების როლში;

ა-სასდკლარა „სტუმრის მიღება; სტუმარმასპინძლობა“ (ასას დიდიკლტ „სტუმარი მიიღო“);

ა-თაარა „1. სტუმრად წვევა; 2. ძველებური ტრადიცია, როცა სტუმრად მიდიოდნენ და მასპინძლისათვის საჩუქრები მიჰქონდათ“ (ასას დი-თაადტ „სტუმარი ეწვია; სტუმარი ეწვია და საჩუქრები მიართვა“);

ა-სასაადრთა „საგანგებოდ აგებული სასტუმრო სახლი“ (ზედმიწ.: სტუმრის მოსასვლელი). წარსულში ამგვარ სახლებს განსაკუთრებით რთავდნენ და უვლიდნენ, რათა სტუმარს თავი მყუდროდ ეგრძნო;

ა-სას დაადრა „სტუმრის მოსვლა“ (ასას დაადტ „სტუმარი მოვიდა“);

ა-თაზაარა „სტუმრის ყოლა“ (ასას დითოჟუპ „სტუმარი ჰყავს“. ზედმიწ.: სტუმარი შიგ [სახლში, ოჯახში] ჰყავს);

აადგლარა „მცირე ხნით წვევა; გზიდან გადახვევა სტუმრად“ (ამჟა შიასტუაზ დაადგლედტ „გზად რომ მიდიოდა, სტუმრად გადაუხვია“);

აანჭაასრა „ვინმესთან სტუმრად დადგომა, გაჩერება“ (ასასცა ასა-საადრთაჭუგ დაანჭაასიტ „სტუმრები სასტუმრო სახლში დადგნენ, მოეწვევნენ“);

ა-ფლარა „შეხვედრა, შეგებება“ (აფშმა ასას დიფლედტ „მასპინძელი სტუმარს შეგებება“);

ა-ფხ-არა „მოწვევა“ (აფშმა ასას დააფხ-ედტ „მასპინძელმა სტუმარი მოიწვია“);

ა-სას იხ^ო „სასტუმრო კერძი, სტუმრის ულუფა; მოულოდნელი სტუმრისათვის გადანახული სანოვაგე“. სირცხვილად ითვლებოდა, თუ ოჯახს არ ჰქონდა გადანახული მოულოდნელი სტუმრის სამასპინძლო სანოვაგე, ან თვითონ თუ მიერთმევდნენ სტუმრის კერძს;

ა-ჩეფჯეკა „პურმარილი“ (ზედმიწ.: პური და მარილი);

ა-ჩარა „პურობა, ქეიფი; ქორწილი“. ტერმინი წარმოადგენს ა-ჩა „პური“ სიტყვის ფუძისაგან მომდინარე მასდარს. შდრ., ერთი მხრივ, ქართ. პური- და პურობა, მეორე მხრივ, აბაზური ჩარა „ჭამა“;

აკრფარა დუ „დიდი პურობა, დიდი ქეიფი“ (ზედმიწ.: დიდი ჭამა);

ა-ჭააწარა „რითიმე, ნუგბართ გამასპინძლება“ (ზედმიწ.: რისამე, ვისიმე პირში რამის ჩადება). ტიპური ფრაზაა: აფშმა აკ^აც ჰჭაეწედტ „მასპინძელმა ხორციტ გვიმასპინძლა“;

ა-ნგჰაჭა „სადღეგრძელო“ (ზედმიწ.: დალოცვის პირი, დამლოცავი პირი);

ა-ჯზ^ო „სადღეგრძელო“ (ზედმიწ.: ღვინის ულუფა, ღვინის წილი). სიტყვა აშუამად თითქმის დავიწყებულია. იციან მხოლოდ ღრმად მოხუცებულებმა;

ა-ხებუა „საქონლის მოხარშული თავის ნახევარი, რომელსაც პატივისცემის ნიშნად მიართმევდნენ საპატიო, უხუცეს სტუმარს“;

ა-ხაწგელარა „სტუმართა მომსახურება ფეხზე დგომით სუფრასთან წესრიგის დაცვის მიზნით“. ჩვეულებრივ, ამ მოვალეობას ასრულებენ მასპინძელი და მისი ახლობელი მამაკაცები;

ა-ტოლბაშ // ა-ტალბოშ „თამადა“. ნასესხებია თურქული ენიდან;

ა-ჯნაჰა(ჯგ) „მერიქიფე, ღვინის მწდე“;

აკრთარა „მასპინძლის მიერ მის ოჯახში პირველად მისული სტუმრის დასაჩუქრება“ (ზედმიწ.: რისამე მიცემა);

ა-ჭაა ანგზაარა „დასაჩუქრება“ ტიპურ ფრაზაში: სჩაგ უაჭაა დანუპ „მიჩუქნია შენთვის ჩემი ცხენი“ (ზედმიწ.: ჩემი ცხენი შენს პირშია) და ა. შ.

დასახელებულ ტერმინთა ერთ ნაწილს მიესადაგება სტუმრისა თუ მასპინძლის თვისებათა შესაფასებელი დადებითი ან უარყოფითი კონტრაცის მქონე ეპითეტები. მაგალითად, ჩერქეზული წარმოშობის ზედსართავი სახელი დახ-, რომელიც ჩერქეზულში აღნიშნავს „ლამაზს“, აფხაზურ ენაში გამოიყენება მხოლოდ სტუმრის ეპითეტად და შესიტყვება

ასას დახ- გამოხატავს „საპატიო, უცხო სტუმარს“; მასპინძლისა და სტუმრის თვისებათა შესაფასებლად იხმარება აგრეთვე ზედსართავი სახელები: ა-ბზია „კარგი“ და ა-ც^ოგ^ა // ა-ბააფსუ „ცუდი“...

სტუმარმასპინძლობის ტრადიციასთანაა დაკავშირებული პატივისცემის გამომხატველი მიმართვის ფორმულებიც, რომლებიც სხვა შემთხვევებშიც გამოიყენება. ამ ჯგუფში შედის შემდეგი ლექსიკური ერთეულები:

უხს-ზ ზგემტ „შენი თავის ტკივილი წავიდე!“ (შდრ. ქართ.: შენი ჭირიმე, შენი კვნესამე, შენი სატკივარი მერგოს);

უხაწკ სცემტ // უხაცკ სცემტ „შენ მაგიერ წავედი“ (შდრ. ქართ.: შენ გენაცვალე);

სუკ^ოგ^აშოლჷპ „შენზე გარს შემოვლებული ვარ“ (შდრ. ქართ.: შემოგველე);

დად – ბერიკაცის მიმართვა ახალგაზრდისადმი. დაახლოებით უდრის ქართულ მიმართვას „ბაბუ“. თუ მიმართვის ობიექტი ერთზე მეტია, გამოიყენება კრებითი მრავლობითი რიცხვის ფორმა დადრაა;

ნან – ხანდაზმული ქალის მიმართვა ახალგაზრდისადმი. სიტყვა დედის აღმნიშვნელი საერთო იბერიულ-კავკასიური ფუძეა...

სტუმარ-მასპინძლის ურთიერთობის ამსახველ ვერბალურ საშუალებებს განეკუთვნება აგრეთვე სტუმრის მიწვევა-მიპატიუების ფორმულები. მაგალითად:

თუ აფხაზმა გადაწყვიტა გზად მიმავალი მგზავრის მიწვევა, ასეთ მზა ფორმულას წარმოთქვამს: უმზახვწ, ჰაფშმაზაამტ „გზიდან გადმოუხვიე, დაე, მასპინძლები ვიყოთ“;

სტუმარს ეგებებიან მისალმების ზოგადი ფორმულით: ბზიალა ტაა-ბემტ „კარგით, სიკეთით გნახეთ“ (შდრ. ქართ. კეთილი იყოს შენი მობრძანება);

სუფრასთან მსხდომ სტუმრებს შემდეგი სიტყვებით სთხოვენ, მიირთვან კერძები და სასმელი: შნაპჷ აშ^ოგ^კ! „[კერძს] ხელი მოჰკიდეთ!“ აკრჷ შ^ოქა! „რამე შეჭამეთ!“ იჷ^ოჷ! „დალიეთ!“;

სტუმრის პატივსაცემად გამართული პურობის უმთავრესი ვერბალური კომპონენტებია სტუმრის მისამართით წარმოთქმული საქებარი სადღეგრძელოები. ყოველი სადღეგრძელო წარმოითქმის თანმიმდევრობის მკაცრი დაცვით. აუცილებლად მიიჩნევა სტუმართა დადებითი თვისებების ხაზგასასმელად სადღეგრძელოთა შემკობა დადებითი ეპითეტებით, მეტაფორებით, შედარებებით, ჰიპერბოლებით. ხალხური წარმოდგენით, ის თამადა მიიჩნევა თავისი საქმის დიდოსტატად, ვინც მჭევრმეტყველურად ამბობს სადღეგრძელოებს, თავის მოუბეზრებლად ხელმძღვანელობს პურობას, ქმნის თბილ, მეგობრულ და მიმზიდველ ატმოსფეროს, ფხიზლად აღვენებს თვალყურს წესრიგს, ცდილობს სტუმარს თავი მყუდროდ ა-

რძობინოს, ვინც დაჯილდოებულია იუმორის გრძობით და ა. შ. რა თქმა უნდა, თამადას შეუძლია იმპროვიზება (ეს აუცილებელიც კია!), მაგრამ იგი, უპირველეს ყოვლისა, მოვალეა, დაიცვას დიდი ხნის წინ შემუშავებული თამადის ქცევის ნორმები.

სტუმარმასპინძლობის ტრადიციისადმი ეთნოსის დამოკიდებულების გამომხატველ ვერბალურ საშუალებათაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ანდაზებს, შეგონებებს (სენტენციებს), ხალხურ თქმულებებს, რომელნიც ახალგაზრდებს უნერგავენ თვალსაზრისს სტუმარმასპინძლობის ტრადიციის, როგორც აფხაზებს, ე. ი. აფხაზი ხალხის ეროვნული თვითიდენტობის განუყოფელი ნაწილის, დიდი მნიშვნელობისა და გარდაუვალი აუცილებლობის შესახებ. ქვემოთ დავიმოწმებთ ამ თემატურ ჯგუფში შემავალ ზოგ ანდაზასა და შეგონებას:

ასას ბეჟ-ნასუფკ იცუპ „სტუმარს თან შვიდი ბედნიერება ახლავს (მოჰყვება)“;

ასას იიჷ-იიჷო დაქითუპ „სტუმარს ნება აქვს, რაც მოესურვება ქნას და რაც მიესურვება თქვას“;

ასას დმეცხნარგუ აფშმა დინჰაროტუპ „სტუმარმა რომც გადაამლაშოს, მასპინძელმა უნდა მოუთმინოს“;

ასასი აფშმედ ედბარჩაედროტუპ „სტუმარმა და მასპინძელმა ერთმანეთი უნდა გააუმჯობესონ“;

ასას იცუწაზუ აზსთაა იტუპ „რაც სტუმარს გადაუმაღლე, ეშმაკის საკუთრებაა“;

ასას დაადრა დარა იუსუპ, ასას იცარა აფშმა იუსუპ „სტუმრის მოსვლა მისი ნებაა (მისი საქმეა), სტუმრის წასვლა მასპინძლის ნებაა (საქმეა)“. იგულისხმება, რომ სტუმარს ნებისმიერ დროს შეუძლია მიადგეს მასპინძლის კარს, სამაგიეროდ სტუმრის ყოფნის დროს (ვადას) მასპინძლის ქცევა განსაზღვრავს;

აფშმა ბააფს დნასკ-აგაზხოდტ // აფშმა ცგ-ა დნასკ-აგაზ ბზიოტუპ „უვარგისი მასპინძელი გამცილებლობს // ცუდი მასპინძელი კარგი გამცილებელია“;

ასას დეცგ-არსგზუპ „სტუმარი ცუდის გამომამკარავებელია“. იგულისხმება, რომ სტუმრის მიღებაზეა დამოკიდებული იმის გამომჟღავნება, თუ რა ნაკლი აქვს მასპინძლის ოჯახს;

ასასი ასესი „სტუმარი ბატკანს უნდა ჰგაედეს“ (ზედმიწ.: სტუმარი და ბატკანი). იგულისხმება, რომ სტუმარი წყნარი, თავდაჭერილი უნდა იყოს და არ ამჟღავნებდეს აგრესიასა და პრეტენზიებს;

ახე ზმარდაზ ალგმა იფედტ „ვისაც [საქონლის მოხარშული] თავი მიართვეს, ყური შეჭამა“. აფხაზური ეტიკეტის თანახმად, საპატიო სტუმარს საქონლის მოხარშულ თავს მიართმევდნენ. იგი მოვალე იყო, სხვა-

თათვისაც ეწილადებინა ხორცი. სამარცხვინოდ მიიჩნეოდა, თუ სტუმარი ყურებს თავისთვის დაიტოვებდა და შეჭამდა;

ბადია მეშმათ ზქალა დააფაზ მგალა იგედტ „მუშმათ ბედიამ საკუთარი ზურგით მოტანილი თავისივე მუცლით წაიღო“. იგულისხმება, რომ სტუმარმა თავისივე მოტანილი მოსაკითხი სანოვავე თვითონვე არ უნდა შეჭამოს, ანუ თავდაჭერა სტუმარსაც მოეთხოვება;

სასრა იმცაც სას დიზნგჳგომ „ვინც სტუმრად არ ყოფილა, სტუმარს ვერ უმასპინძლებს (ვერ გაუძღვება)“;

ასას ასას დიცგმღენ, აგჯაგ-უ აფშმა იცგმღენ „სტუმარს სტუმარი სძულდა, ორივე კი – მასპინძელს“;

ტაგა სასრა დუმეშთენ! „შენს სულელს სტუმრად ნუ გაუშვებ“;

ტაღაგ-უ ჩესლა დშე! „შენი მტერიც კი საჭმლით მოკალი!“

ასასცა ზგჯაცააჲა იწჲან თაცტჲამ „ვისაც სტუმრები მოსდის (ვისთანაც სტუმრები დადიან), მისი ქვაბი არ დაიცლება“ და მრ. სხვ.

სტუმარიცა და მასპინძელიც ვალდებულნი არიან არა მარტო დაიცვან ქცევის წესები, არამედ სათანადოდ, დროულად გამოიყენონ ეთნოსის მიერ დადგენილი ურთიერთობის ვერბალური საშუალებებიც. აღზრდის ხალხური სისტემა მთლიანად უჭერს მხარს საყოველთაოდ გავრცელებულ შეხედულებას სტუმრის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ, რაც უნერგავს ახალ თაობას თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ: ა) სტუმრის ღირსეულად მიღება ყოველი აფხაზისათვის უდიდესი პატივია; ბ) სტუმრის წვევა ღვთის განსაკუთრებული წყალობაა; გ) არ არსებობს სტუმრის გულდია მასპინძლობაზე უფრო მნიშვნელოვანი საქმე; დ) სტუმარს მასპინძლისათვის ბედნიერება და ავტორიტეტი მოაქვს; ე) სტუმარი ხელშეუხებელია და ა. შ. ენობრივი ქცევის წესები უკრძალავენ როგორც სტუმარს, ისე მასპინძელს ბილწსიტყვაობას, ერთიმეორისადმი უპატივცემულო დამოკიდებულებას, დამსწრე თუ იმ მომენტში იქ არმყოფი პირების სიტყვიერ შეურაცხყოფას.

მასპინძელს უნდა ჰქონდეს საკუთარი პრობლემების დაფარვის უნარი, რათა არ შეაწუხოს სტუმარი და გუნება არ წაუხდინოს მას. მასვე ევალება, გამოხატოს გულწრფელი სიხარული მის ოჯახში სტუმრის მოსვლის გამო. მასპინძლის მოვალეობაა ისიც, რომ მორიდებით მოუბოდიშოს სტუმარს, ჩემს ოჯახს გაუჭირდება შენნაირი სტუმრის სათანადოდ მასპინძლობა, მაგრამ ყველანი შევეცდებით გასიამოვნოთ. ასევე აუცილებელია, რომ მასპინძელმა სთხოვოს სტუმრებს, თავი ისე იგრძნონ, თითქოს საკუთარ ოჯახში იყვნენ, არ დაიმორცხვონ, მიირთვან კერძები და სასმელი, მოილხინონ, იმღერონ და იცეკვონ... სტუმარმასპინძლობის ტრადიციის მნიშვნელოვანი კომპონენტია მასპინძლის მიერ თავის დამდაბლება სტუმრის აღმატებული ქების ფონზე. საამისოდ გამოიყენება მზა ფორმულები: სჩეფჯკა სგჯგ „ჩემი მცირედი პურმარილი“, ჩარაშა

აკვ ზუდტ „პურობასავით რაღაც გავმართე“... ეს ფორმულები სტუმარმასპინძლობის ტრადიციის აუცილებელ ვერბალურ კომპონენტებად მიიხსენიება და ყოველი აფხაზი ვალდებულია, გამოიყენოს ისინი სათანადო დროს.

თავის მხრივ, სტუმარიც ვალდებულია, მოუბოდიშოს მასპინძელს მისი მოსვლით შექმნილი უხერხულობისა და იმის გამო, რომ მოაცილია მასპინძლის ოჯახი... მზა ფორმულით – სუსასემკან სუუსენდაზ „ნეტამც შენი სტუმარი კი არა, შენი საქმე ვიყო“ – სტუმარი მიანიშნებს, რომ მას შეგნებული აქვს, თუ რა პრობლემაც შეუქმნა მასპინძელს მისმა მოსვლამ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტუმარს პატივდების იერარქიაში მეტად მაღალი სტატუსი ენიჭება. პროფ. შ. ინალ-იფას გამოკვლევის თანახმად, სტუმარს ამ სისტემაში მეტად საპატიო მეორე ადგილი უჭირავს უხუცესი მასპინძლის (ბერიკაცის) შემდეგ. ამ სისტემაში სტუმრის მომდევნო საფეხურებზე დგანან შემდეგი პირები: 1. თემის უხუცესი; 2. მასპინძლის დედის ძმა; 3. მასპინძლის უხუცესი მეზობელი; 4. მამამძუძე (ძიძის ქმარი); 5. საგვარეულოს უხუცესი; 6. ბიძაშვილი (დედის ძმისწული); 7. საგვარეულოს წარმომადგენელი; 8. აღზრდილი; 9. ახლობელი მეზობელი; 10. სტუმრის მსლებელი; 11. ძუძუმტე; 12. პატრონიმის წარმომადგენელი; 13. სიძე; 14. მამის ნათესავი დედამისის მხრიდან; 15. მასპინძლის უფროსი ვაჟი; 16. დისწული; 17. ახლობელ-მეგობარი (ვრცლად იხ.: ინალ-იფა 1984, 112-113).

ზოგჯერ, როცა უხუცეს მასპინძელს არ შეუძლია (მაგალითად, მძიმე ავადმყოფობის ან სხვა სერიოზული მიზეზის გამო) თავისი მოვალეობის შესრულება, სტუმარი აღნიშნულ სისტემაში პირველ ადგილს იკავებს. აქვე ისიც სათქმელია, რომ სტუმრებიც იყოფიან კატეგორიებად: მათში ყველაზე საპატიო უხუცესი სტუმარია (ასას ეძაბუ), მას მოსდევს საპატიო, უცხო სტუმარი (ასას დახ~), მერე კი შუათანა სტუმარი (ასას გ'ზუხანტ') და უმცროსი სტუმარი (ასას ეძ'ზუ) (იხ.: ინალ-იფა, იქვე). ჩვენ იმ მხრიდან დავძენთ, რომ ანალოგიურად, ე. ი. ასაკის მიხედვით იყოფიან სტუმარი ქალებიც.

ამ სისტემის ანალიზი საფუძველს იძლევა, დავასკვნათ, რომ აფხაზთა შორის პატივდების იერარქიული დაყოფა უმჭიდროესადაა დაკავშირებული ასაკისადმი მოწიწებასთან (შეიძლება ამას კულტიც კი ეწოდოს!) და ამის შემდგომ სოციალურ თავისებურებებთან. რაც შეეხება სტუმართა დაყოფას კატეგორიებად, ამ შემთხვევაში არსებითია ასაკი. გამონაკლისს ქმნიან მხოლოდ მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ახალგაზრდები.

სტუმარმასპინძლობის აფხაზური ტრადიცია და მასთან დაკავშირებული ენობრივი მასალა გვიჩვენებს, რომ აფხაზი ხალხი თავის სოციალურ-კულტურულ ცხოვრებასა და საკუთარი იდენტობის დაცვაში მნიშვნელოვან როლს აკისრებს სტუმარმასპინძლობას, იწონებს თავმდაბლობას, გულუხვობას, ყურადღებიანობას, სოციალურ, ეროვნულ და რელიგი-

ურ ტოლერანტობას და როგორც სტუმრის, ისე მასპინძლის სხვა დადებით თვისებებს.

ყურადღებას იპყრობს ერთი არსებითი მომენტიც: სტუმარმასპინძლობის წესების დაცვა, ერთი შეხედვით (განსაკუთრებით არაკავკასიელთა აღქმით), მეტად ძნელ და შემაწუხებელ საქმედ ჩანს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სტუმარმასპინძლობის ტრადიციის, როგორც აფხაზებს (აფხაზი ხალხის იდენტობის), განუყოფელი ნაწილის, დაცვის მნიშვნელოვნებისა და განუხრელობის შეგნება აფხაზთა ახალ-ახალ თაობებს ჩაენერგებათ დედის რძესთან ერთად, ცხადი გახდება, რომ სტუმარმასპინძლობას აფხაზთათვის დიდი ბედნიერება და უზარმაზარი სულიერი კმაყოფილება მოაქვს. შესაბამისად, ამ ტრადიციის დაცვა ადამიანის ცხოვრების დამამშვენებელ საქმედ მიიჩნევა. მაგრამ ზოგჯერ ამ ტრადიციას შეუძლია ადამიანს უბედურებაც მოუტანოს, თუკი იქმნება კონფლიქტი მის მოთხოვნებსა და ქაღალდზე დაწერილ კანონებს შორის, რომლებიც მუდამ არ ითვალისწინებენ ეროვნულ სპეციფიკას. ასე, მაგალითად, აფხაზური მხატვრული ლიტერატურის ფუძემდებლის, დიმიტრი გულიას ცნობილ რომან „კამაჭიჭ“-ში აღწერილია ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ დააპატიმრეს და ციხეში გამოკეტეს ძველებური აფხაზური ეროვნული ტრადიციების პატივისმცემელი და ერთგული დამცველი აფხაზი გლეხი ალიასი მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ უღალატა სტუმარმასპინძლობის ტრადიციას და უმასპინძლა სამ ყაჩაღს (გულია 1982, 32-38). ამ შემთხვევაში ალიასი სრულიად მართალი იყო, როგორც ეროვნული ტრადიციების უსიტყვოდ აღსრულების მომხრე. ამავე ტრადიციებით ისარგებლეს ყაჩაღებმაც, რომლებმაც, რა თქმა უნდა, წინასწარვე იცოდნენ, რომ მათი სტუმრობა ალიასს სიკეთეს არ მოუტანდა, მაგრამ მათ თავი არ შეუწუხებიათ, რათა თუნდაც სიტყვიერად გამოეხატათ სინანული იმის გამო, რომ ალიასი გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდეს. რაც შეეხება ოფიციალურ რუსულ ხელისუფლებას, მას სრულებითაც არ გაუთვალისწინებია, რომ ალიასს სხვა გზა, გარდა ყაჩაღთა მასპინძლობისა, უბრალოდ არ ჰქონდა.

ლიტერატურა

გულია 1982 – დ. გულია. კამაჭიჭი. თხზულებანი ექვს ტომად. ტ. 2. სოხუმი (აფხაზ. ენაზე).

გულია 1985 – დ. გულია. ანდაზები, გამოცანები, ენის გასატეხები. თხზულებანი ექვს ტომად. ტ. 5. სოხუმი (აფხაზ. და რუს. ენებზე).

ინალ-იფა 1984 – Ш.Д. Инал-ипа. Очерки об абхазском этикете. Сухуми.

Т. Г в а н ц е л а д з е (Тбилиси)

Лингвокультурные аспекты абхазской традиции гостеприимства

Традиция гостеприимства является одной из четко выраженных характеристик всех кавказских народов. Особо почтительное отношение к гостю, подчеркивание превосходства гостя перед хозяином, выказывание готовности к защите личного достоинства и жизни гостей стоят превыше всего в каждом кавказском этносе. Каждый человек и каждая семья всегда, в любой ситуации, в любое время должны быть готовы достойно встречать и угощать гостей, каким бы трудным делом это ни являлось. Общество всегда бдительно следит за тем, как выполняются требования этой традиции, восхваляя достойных хозяев и порицая тех, кто осрамил не только себя и свою семью, но и весь род, село и даже свою нацию плохим приемом гостя. Отношение кавказцев к традиции гостеприимства настолько значимо, что человек в первую очередь ценится именно тем, как он может принимать гостей. Особенно почитаются те лица, которые, невзирая на значимые материальные, психологические или иные трудности (занятость семейными, общинными или служебными делами, траур, болезнь и т. д.), не подадут гостю знака о своих личных проблемах и обслужат его так, как этого требуют неписанные законы гостеприимства.

Абхазский народ в этом плане не отличается от других народов Кавказа. Для абхаза защита многовековых традиций гостеприимства по сей день считается одной из важнейших частей **Апсуара** (абстрактная форма от абхазского автоэтнонима **Апсуа** «абхаз»), т. е. общности добрых качеств, обязательных для достойного человека абхазской национальности. Конечно, абхазская традиция вовсе не стоит обособленно от аналогичных традиций других кавказских этносов (как родственных, так и неродственных), хотя имеет четко выраженную национальную специфику (об этнографических вопросах гостеприимства подробнее см.: Инал-ипа 1984, 103-122).

Абхазская традиция гостеприимства тесно связана с языковым (вербальным) материалом, без которого невозможно создать полного представления о духе народа. Ниже нами рассматриваются именно основные вербальные средства абхазского языка, отражающие особенности этой традиции.

Абхазская лексика и фразеология, связанная с гостеприимством, разделяются на следующие основные группы: специальные термины и терминологические сочетания; оценочные эпитеты, отражающие отношение людей к качествам

гостей и хозяев; формулы почтительного обращения между гостями и хозяевами; формулы приглашения гостей во двор, в дом и к столу; просительные выражения перед трапезой; заздравные тосты; пословицы и предания, внедряющие важность традиции гостеприимства и т. д.

Специальными терминами и терминологическими сочетаниями, связанными с традицией гостеприимства в абхазском языке являются:

a-sas «гость»;

аајѡэ «гость» от глагола аајра «идти сюда» (досл.: приходящий сюда, посетитель);

а-рš°ма «хозяин»;

а-рš°ма ірš°мас°а «родственники и близкие соседи хозяина, помогавшие ему во время приема гостей» (досл.: хозяйева хозяина);

sasra asaга «идти в гости» (sasra dcejt' «он пошел в гости»). В данном случае отыменный масдар без префикса общей формы а- (sasra) употребляется в функции обстоятельства цели;

а-sasdk'элара «принимать гостей; гостеприимство» (asas didik'əlt' «он принял гостя»);

а-таара «1. гостить; 2. старинный обычай ходить в гости с подарками для хозяев» (ditaajt' «1. он погостил у него, он стал у него гостем; 2. он приехал к нему в гости с подарками»);

а-sasaajrta «специальный дом во дворе абхаза для приема гостей» (досл.: место прихода гостя). Такая постройка обставлялась особо, чтобы гость чувствовал себя уютно;

а-sas jaajra «приход гостя» (asas daajt' «гость пришел»);

а-tazaara «иметь гостя» (asas ditowp' «у него гость»);

аадгэлара «зайти по пути на время; свернуть с дороги на время» (amѡа dšiaswaz daadgəlejt' «проходя по дороге, он на время остановился у кого-либо»);

аанč'асра «остановиться, устроиться у кого-либо в качестве гостя» (asasc°a asasaajrtač'ə jaanč'asit' «гости устроились в гостинице»);

а-рэлара «встречать» (арš°ма asas dipəlejt' «хозяин встретил гостя»);

аарх~ара «приглашать, пригласить» (арš°ма asas daajrx~ejt' «хозяин пригласил гостя»);

а-sas ix°э «пища, приготовленная из особых продуктов, специально для гостя» (досл.: доля гостя). Считалось срамом, если семья не имела запасов для достойного угощения гостей, или члены семьи сами же ели долю гостей;

а-čejjək'a «хлеб-соль; застолье» (досл.: хлеб и соль);

а-čара «пир, застолье» – масдарная форма от а-ча «хлеб». Ср.: с одной стороны, грузинское р'угова «пир, застолье» от р'иг-и «хлеб» и, с другой стороны, абазинское čара «есть, кушать, принимать еду» от čа «хлеб»;

а-k'гəfara du «пир, застолье» (досл.: большое кушание);

а-č'ас'ара «угощать чем-либо» (досл.: положить в рот кому-либо что-либо).

Типична фраза: apš^oma ak^oac hč^oəjč^oejt^o «хозяин угостил нас мясом»;

a-nəh^oač^oəa «тост» (досл.: рот молитвы. Подразумевается произнесение молитвы в честь кого-либо, с пожеланиями добра и здоровья);

a-ωəx^o «тост» (досл.: доля вина). Слово ныне употребляется редко, лишь в речи стариков;

a-xəbž^oəa «половина вареной головы скотины, которая преподносится старейшему гостю в знак уважения»;

a-t^oolbaš // a-t^oalboš «тамада» (из турецкого языка);

a-ωənaħa(ωə) «виночерпий, обслуживающий гостей и наполняющий им стаканы вином»;

a-xac^ogəlara «обслуживать гостей стоя, следя за порядком». Обычно эту функцию выполняют хозяин и его близкие;

a-k^ogətara «одаривание хозяином гостя, впервые посетившего его дом» (досл.: давать что-либо);

a-č^oəa anəzaara «подарок» в типичном высказывании: sč^oə wač^oəa janup^o «моя лошадь в твоём распоряжении, т.е. дарю тебе свою лошадь» и т. д.

Часть перечисленных терминов сопровождается подходящими по смыслу эпитетами, которые выражают положительную или отрицательную оценку как хозяев, так и гостей. Например, имя прилагательное черкесского происхождения daχ~, которое в черкесском означает «красивый», в абхазском употребляется только с именем существительным a-sas в значении «почетный»; к словам, обозначающим гостя и хозяина, также прилагаются имена: a-bzia «хороший» и a-c^og~a // a-baarpə «плохой»...

С традицией гостеприимства тесно связаны и формулы почтительного обращения, употребляемые в языке и в других случаях. К этой категории относятся:

uxx~ə zgejt^o «да унесу я твою головную боль!» (ср., груз. šeni č'igi me «твоя беда мне!», šeni k'vnesa me «пусть передастся мне твой стон!», šeni sat'k'ivari mergos «да получу я твою боль!»...);

uxac^ok'ə scejt^o «пусть уйду я вместо тебя!» (подразумевается отправляться на тот свет). Ср., груз. šen genacvale «да заменю я тебя (в беде)!»;

suk^oəxšəowp^o – ласкательное обращение. Обычно произносят пожилые женщины;

dad – форма обращения старшего человека к молодому, ср. dadraa – форма обращения старшего человека к молодым людям;

naħ – форма обращения старшей женщины к молодому человеку. Слово восходит к общеберийско-кавказской основе papa «мать» ...

К вербальным средствам выражения отношений между гостями и хозяевами относятся и формулы приглашения во двор, в дом или к столу. Например:

Если абхаз решил пригласить в гости проходящего мимо его дома человека, то он произносит следующую фразу: utəaxəč^o ħapš^omazaajt^o «сверни с доро-

ги, пусть мы будем хозяевами!».

Приехавшего гостя встречают приветственными словами: *bziala waabejt'* «мы тебя видели с добром!»

Посадивших за стол гостей просят приняться за еду словами: *š°nar'ə aš°ərk'ə* «держите рукой, возьмите в руки [еду]!», *ak'ərə š°fa* «кушайте! ешьте!», *iž°ž°ə* «пейте!»

Главнейшими вербальными компонентами застолья, устраиваемого в честь приезда гостя, являются задравные тосты с обилием хвалебных эпитетов в адрес гостя. Каждый тост произносится со строгим соблюдением их последовательности. Считается необходимым украшение тостов положительными эпитетами, метафорами, сравнениями, гиперболами, восхваляющими добрые качества гостей. По народному представлению, тот тамада считается мастером своего дела, кто красноречиво произносит тосты; без назойливости руководит застольем; создает теплую, дружескую и привлекательную атмосферу; кто внимательно следит за порядком и за тем, чтобы гость чувствовал себя уютно; кто одарен чувством юмора и т. д. Естественно, тамада может импровизировать (это даже необходимо), однако он обязан следовать за давно установленными правилами поведения тамады и не нарушать их.

Среди вербальных средств выражения отношений этноса к традиции гостеприимства особое место занимают пословицы, поговорки, сентенции и народные предания, внедряющие среди молодого поколения важность и непререкаемость традиции гостеприимства, как органической части национального идеала Апсуара, т.е. самоидентности абхазского народа.

Приведем несколько пословиц, поговорок и сентенций из этой тематической группы: *asas bəž-nasərk' icup'* «гостя сопровождают семь счастливых», т.е. гость приносит хозяину счастье; *asas iiwa-iih°o dak'itup'* «гость свободен в поведении и речи», т.е. гость имеет право делать и говорить все, что захочет; *asas dməsx°xarg~ə arš°ma dičharowp'* «если гость перебарщивает, хозяин должен терпеть»; *asasi arš°mej ejbarč°ejrowp'* «гость и хозяин должны усовершенствовать друг друга»; *asas ic°uc'°axəz aəəstaa it°up'* «то, что укроешь от гостя, принадлежит дьяволу»;

asas jaajra asas jusup', icara – arš°ma jusup' «приход гостя – его дело, а уход – дело хозяина», т.е. гость вправе, прийти в любое время, но время его ухода зависит от хозяина;

arš°ma baapsə dnask'~agaωxojt' // arš°ma c°g~a dnask'~gaω bziowp' «плохой хозяин становится провожающим // плохой хозяин является хорошим провожником»;

asas dəc°g~arx°əx°owp' «гость является выявителем недостатков»;

asasi asəsi «гость, что ягненок» (досл.: гость и ягненок) – подразумевается, что гость должен быть безобидным, не проявлять агрессию или претензии;

axə zmardaz aləmha ifejt' «кому преподнесли голову, тот съел ухо» – поговорка связана с традицией преподнесения почетному гостю вареной головы скотины: гость должен не есть уши и передать их кому-либо другому;

badia məš°mat zk°ala jaajgaz mg°ala igejt' «что Мушмат Бедиа принес на спине, унес животом» – подразумевается случай, когда гость принесенную им же еду сам съел, нарушив правила поведения гостя;

sasra imcac sas diznəq°gom «кто в гостях не бывал, тот гостя принимать не сможет»;

asas asas dic°əmtʷən, aʷəjag~ə apš°ma ic°əmtʷən «гость гостя ненавидел, а хозяин – обоих»;

waga sasra duməštən! «своего дурака в гости не посылай!»;

wəjag~ə čəsla dšə! «даже своего врага корми до смерти!»;

asasc°a zəč°saawa ic°wan tac°wam «кого гости посещают, его котел не опустеет» и т. д.

Как гость, так и хозяин должны строго соблюдать не только правила поведения, но и четко, уместно использовать вербальные средства общения, установленные этносом. Народная система воспитания полностью поддерживает общепринятый взгляд на особый статус гостя, внушая молодому поколению, что: а) достойный прием гостей является великой честью для каждого абхаза; б) приезд гостя – исключительный дар Бога; в) не существует более важного дела, чем радужный прием гостей; г) гости приносят семье счастье и авторитет среди народа; д) гость неприкосновенен и т. д. Нормы языкового поведения запрещают как хозяину, так и гостю сквернословие, неуважительное отношение друг к другу, словесное оскорбление не только присутствующих, но и отсутствующих лиц.

Хозяин должен обладать искусством скрывать свои личные проблемы, дабы не испортить настроение гостю. Ему же вменяется в обязанность выражать безграничную и искреннюю радость в связи с посещением его дома гостями. Одновременно хозяин должен скромно извиниться за то, что его семья не сможет достойно угостить гостей, однако все они будут стараться доставить удовольствие гостям. Обязанностью хозяина является также и то, что он должен искренне просить гостей, чтобы они у него чувствовали себя как дома, не стеснялись, принимали еду и напитки, веселились, пели и танцевали... Важной частью традиции гостеприимства является и самоунижение, скромное самовыражение хозяина при одновременном восхвалении гостей. При этом употребляются готовые формулы: sčejjək'a x°əč'ə «мой скромный хлеб-соль», čaraš°a ak'ə zujt' «я устроил нечто вроде пира» и т. д. Они считаются необходимой вербальной частью традиции гостеприимства, и каждый абхаз должен применять их в соответствующих случаях.

В свою очередь и гость обязан извиниться за причиненное его прибытием беспокойство хозяину, за то, что он оторвал хозяев от своих дел и т. д. Готовой формулой – susasəmk'°an suusəndaz «чтобы я не являлся твоим гостем, а стал твоим делом!» – гость намекает, что ему понятны трудности, возникшие у хозяина в связи с приходом гостя.

Здесь же следует отметить и высочайший статус гостя в абхазской системе степеней почетности. Согласно исследованию проф. Ш.Д. Инал-ипа, гость занимает почетнейшее второе место в этой системе, уступая лишь старшему хозяину

(обычно – старцу почтенного возраста). В данной системе гостю по перечисленному порядку уступают: 1. старейшина общины; 2. дядя по матери; 3. старший сосед; 4. воспитатель по традиции атальчества; 5. старейшина рода; 6. двоюродный брат по матери; 7. представитель рода; 8. воспитанник; 9. близкий сосед; 10. сопровождающий гостя; 11. молочный брат; 12. представитель патронимии; 13. зять; 14. родственник отца по матери; 15. старший сын хозяина; 16. племянник по сестре; 17. приятель (подробнее см.: Инал-ипа 1984, 112-113).

Иногда, когда старший хозяин не в состоянии выполнять свои обязанности (например, по причине его тяжелой болезни), гость занимает первое место в этой системе степеней почетности. Следует также отметить и то, что гости тоже делятся по категориям: среди них выше стоит мужчина преклонного или среднего возраста – *asas eĵhabə* «старший гость», ниже которого занимают места: *asas dax~* «почетный, далекий гость», *asas g°əbžanət°* «средний по возрасту гость», *asas eĵc'bə* «младший по возрасту гость» и *asas č'k'əp* «молодой гость» (Инал-ипа, там же). С нашей стороны добавим, что аналогично (по возрасту) устанавливаются степени почетности и среди женщин, прибывших в гости.

Анализ этой системы дает основу для заключения, что деление по степени почетности среди абхазов теснейшим образом связано с почитанием (можно даже сказать: с культом!) старших по возрасту людей, а также с социальными особенностями. Что же касается деления гостей по категориям, то в этом случае решающим фактором является возраст. Исключение составляют сравнительно молодые люди с высоким социальным статусом.

Языковой материал наряду с учетом практики гостеприимства показывает, что абхазский народ гостеприимству отводит важную роль в социально-культурной жизни этноса и в защите своей самоидентности, восхваляя скромное поведение, щедрость, чуткость, социальную, национальную и религиозную толерантность и другие положительные свойства как гостей, так и их хозяев.

Следует обратить внимание на один важный момент: соблюдение правил гостеприимства, на первый взгляд (особенно для лиц некавказской национальности), кажется довольно сложным и обременяющим, но если учесть тот факт, что понимание важности и непререкаемости соблюдения этой традиции, являющейся органической частью самоидентности абхазского народа (Апсуара), внушается новым поколениям с молоком матери, станет ясным, что гостеприимство приносит абхамам большую радость и огромное душевное удовольствие, а, следовательно, соблюдение этой традиции считается необходимой украшающей частью жизни человека. Однако, иногда эта традиция может принести и беду, если возникает конфликт между ней и писаными законами, не всегда учитывающими национальные особенности. Так, например, в известном романе основоположника абхазской художественной литературы Д. И. Гулиа «Камачич» описана ситуация, когда простой абхазский крестьянин Алиас, уважающий и соблюдающий древние абхазские традиции, был арестован и посажен в тюрьму из-за того, что не смог нарушить норм гостеприимства и принял трех разбойников как гостей и угостил их

(Гулиа 1982, 32-38). В этом случае Алиас был совершенно прав как приверженец безоговорочной защиты национальных традиций. Теми же традициями воспользовались и разбойники, заранее понимавшие, что их визит в дом Алиаса не принесет добра этому последнему, однако они не потрудились и даже словесно не выразили озабоченности по поводу того, что поставили хозяина в неловкое положение. А официальные русские власти вовсе не учли, что у Алиаса не было другого выхода, кроме как угостить разбойников.

Литература

Гулиа 1982 – Д. И. Гулиа. Камачич: Сборник сочинений в шести томах, т. 2. Сухуми (на абхаз. яз.);

Гулиа 1985 – Д.И. Гулиа. Пословицы, загадки, скороговорки: Сборник сочинений в шести томах, т. 5. Сухуми, 1985 (на абхаз. и рус. яз.);

Инал-ипа 1984 – Ш.Д. Инал-ипа. Очерки об абхазском этикете: Сухуми.

T. G v a n t s e l a d z e (Tbilisi)

Linguocultural aspects of hosting tradition in Abkhazia

S u m m a r y

Tradition of hosting is one of the most important part of ethnic culture of Abkhaz people. Many interesting language (verbal) material is connected with this century-old tradition:

Special terms (guest, host, receiving guest, hospitality, feast, toast, toaster, someone pouring out wine, present to host from guest, present to guest from host, etc.);

Special epithets, which marks dignity or defects of guest and host (dear guest, bad guest, good host, liberal host, bad host, etc.);

Addressing formulas expressing respect (I've took your headache, I went to the future life instead of you, etc.);

Special formulas of guest invitation (please, take a seat, be our guest, and etc.);

Toasts, which are intended to praise dignity of host and guest;

Proverbs and legends through which the next generation is taught, that receiving guest suitably is most important part of Abkhaz people's identity.

ლ. გიგლემიანი, ვ. შენგელია (თბილისი)

გათიშული სახელური შესიტყვება ქართველურ ენებში

სახელური შესიტყვების (ატრიბუტული სინტაგმის) შესახებ ქართველურ ენებში მრავალ მკვლევარს აქვს გამოთქმული საყურადღებო მოსაზრება (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ს. ჯანაშია, ვ. თოფურია, ი. გიგინეიშვილი, ე. ლომთაძე, გ. კლიმოვი, ც. კალაძე, ი. იმნაიშვილი, ა. კიზირია, ლ. კვაჭაძე, თ. უთურგაიძე, ნ. აბესაძე, გ. კარტოზია, შ. აფრიდონიძე, ი. ჩანტლაძე, მ. ნაჭყებია...). ბევრი მათგანი შესიტყვების გათიშვის საკითხსაც განიხილავს. ვფიქრობთ, მაინც საჭიროა ზოგიერთ მომენტზე ყურადღების გამახვილება.

როგორც ცნობილია, სახელური შესიტყვების ანალიზისას ორი ძირითადი საკითხი დგას – შესიტყვების წევრთა თანმიმდევრობისა და მათი სინტაქსური ურთიერთობის საკითხები. თანამედროვე იბერიულ-კავკასიურ ენებში პრეპოზიციაც გვაქვს და პოსტპოზიციაც, მსაზღვრელი კი შეიძლება შეუთანხმდეს საზღვრულს ბრუნვაში, რიცხვსა და გრამატიკულ კლასში.

ქართველურ ენებში სახელურ შესიტყვებასთან დაკავშირებით მხოლოდ სიტყვათა რიგისა და ბრუნვასა და რიცხვში შეთანხმების საკითხები განიხილება, რადგან კლასის მორფოლოგიური კატეგორია ცოცხალი სახით ამ ენებს არ შემოუნახავს.

მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა ქართველურ ენებში ამჟამად განსხვავებულია იმის მიხედვით, პრეპოზიციაც გვაქვს თუ პოსტპოზიციაც, ამასთან, პირველ შემთხვევაში – მსაზღვრელი და საზღვრული ერთმანეთს უშუალოდ უკავშირდება, თუ ისინი გათიშულია ერთმანეთისაგან სხვა სიტყვით; სინტაქსური დამოკიდებულება მსაზღვრელისა საზღვრულზე შესუსტებულია, როცა მსაზღვრელი წინ უძღვის საზღვრულს; „საკმარისია მსაზღვრელი დაისვას საზღვრულის შემდეგ, ანდა სხვა სიტყვა აღმოჩნდეს საზღვრულსა და წინამავალ მსაზღვრელს შორის, რომ მსაზღვრელის სინტაქსური კავშირი საზღვრულთან აღდგება“ (ჩიქობავა 1979, 191). ძველ ქართულში სხვაგვარი ვითარება იყო – მსაზღვრელ-საზღვრულის სრული შეთანხმება გვქონდა ყველა შემთხვევაში.

გათიშული სახელური შესიტყვება ფართოდ გავრცელებული არ არის და უფრო პოეზიის ენისათვის არის დამახასიათებელი; პროზაში მის გამოყენებას სტილისტიკური დანიშნულება აქვს. რაც შეეხება ზეპირ მეტყველებას, ჩვენი დაკვირვებით, გათიშული კონსტრუქციის რეალიზაცია აქ ინტონაციურ გარემოს უკავშირდება, კერძოდ, ინტონაციის ისეთ კომპონენტს, როგორცაა **მეტყველების ტემპი**: გათიშვა უფრო ხშირად დინჯი, ნელი ტემპით მეტყველებისას ხდება.

1. ძველ ქართულში მსაზღვრელისა და საზღვრულის გათიშვის შემთხვევები მოგვეპოვება და აქაც მათ ურთიერთობაში დაცულია ის ნორმები (იგულისხმება ბრუნვასა და რიცხვში შეთანხმება), რაც გაუთიშაობის შემთხვევაში შეინიშნება, მსაზღვრელი ატრიბუტულია თუ მართული (იმნაიშვილი 1959, 552; კალაძე 1961, 118).

მამა გვეის ჩუენ **აბრაჰამი**.

სასამან **გემო** ცნის **ჭამადისა**.

ტკბილი მესმოდეს მე **სიტყუანი** შენგან.

როგორც წესი, არ ხდება ჩვენებითი ნაცვალსახელის საზღვრულისაგან ზმნით გათიშვა. არც გაუფორმებელი სახელობითის (ე. წ. წრფელობითის) ფორმაში დასმული სახელები ეთიშება ერთმანეთს.

2. ახალ ქართულში პრეპოზიციური მსაზღვრელი თუ უშუალოდ უკავშირდება საზღვრულს, მაშინ, როგორც აღინიშნა, საზღვრულთან კავშირი შესუსტებულია და ამის შედეგად – მსაზღვრელ სახელზე ბრუნვის ნიშნის დართვა შეზღუდული, მაგრამ, როგორც კი მსაზღვრელი საზღვრულისაგან გაითიშება და ბრუნვის ნიშნები აღდგება, მსაზღვრელი სახელის კუმშვა-კვეცაც ისევე ხდება, როგორც სათანადო სახელის ცალკე ბრუნებისას (შანიძე 1942, 90; შანიძე 1953, 93; ჩიქობავა 1950, 047).

ახალს აშენებს **სახლს**.

მადლის მწამს **დმერთის**.

პატარის ყიდვა უნდა **მანქანის**.

მსაზღვრელ-საზღვრულის გათიშვა უფრო ხშირად ხდება სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითში, იშვიათად – სხვა ბრუნვებში (კვაჭაძე 1977, 178; კიზირია 1982, 218).

ზეპირ მეტყველებაში გათიშული მსაზღვრელისა და საზღვრულის რიცხვში შეთანხმება ფაკულტატურია:

შავი/შავები ვიყიდე **ფანქრები**.

ატრიბუტული კომპლექსის შემადგენლობაში შემავალი ჩვენებითი ნაცვალსახელი საზღვრულისაგან განცალკევებით არა გვაქვს.

3. მეგრულ-ლაზურში, როგორც ცნობილია, პრეპოზიციური წყობისას მსაზღვრელი ბრუნვის ნიშნებს არ დაირთავს, მაგრამ მსაზღვრელ-სა-

ზღვრულის გათიშვის შემთხვევაში ბრუნვის ნიშნები წარმოდგენილია მსაზღვრელშიც (კიზირია 1982, 218; ნაჭყებია 2005, 79), ხოლო რიცხვში შეთანხმება ფაკულტატურად გვაქვს.

მეგრ. ჩქინქ გემორტუ ქიანაქ „ჩვენმა გაიმარჯვა ქვეყანამ“

მეგრ. სუმს ქიმეჩუ ჯიმას „სამს მისცა ძმას“

მეგრ. ჭარგა/ჭარგეფი ეუნდუ ჩხოულეფი „ჭრელი/ჭრელები ჰყავდა ძროხები“

ჩვენებითი ნაცვალსახელის გათიშვა საზღვრულისაგან არ ხდება.

4. სვანურში ძირითადია პრეპოზიციური წყობა და ამ შემთხვევაში მსაზღვრელ-საზღვრულს შორის ბრუნვასა და რიცხვში შეთანხმება არა გვაქვს, მაგრამ გათიშულ კონსტრუქციაში ბრუნვაში შეთანხმება გვექნება (აბესაძე 1975, 11; ჩანტლაძე 1998, 219-221); რიცხვში შეთანხმება ფაკულტატურია.

მახეს ხტაგემ ქორს „ახალს ვაგებ სახლს“

ხოჩად მწქტე დნნად „კარგმა მითხრა გოგომ“

ხოშწლს/ხოშას ხტაგემ ქორწლს „ახალს/ახლებს ვაგებ სახლებს“

ჩვენებითი ნაცვალსახელის გათიშვის შემთხვევები არ დასტურდება. ამასთან, -ე-ზე დაბოლოებული მსაზღვრელი სახელი გათიშვისას ჩვეულებრივად იბრუნვის, ე. ი. არ ხდება ე-ს ა-თი შენაცვლება, რაც მსაზღვრელ-საზღვრულის უშუალო კავშირის დროს ჩვეულებრივია.

5. ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ მსაზღვრელისა და საზღვრულის გათიშვა საერთოქართველური მოვლენაა; ამ დონეზე ატრიბუტული კომპლექსის გათიშულ კომპონენტებს შორის შეიძლება ვივარაუდოთ ბრუნვასა და რიცხვში შეთანხმება (ამჟამად რიცხვში შეთანხმება ფაკულტატურია). საკითხი შემდგომ უფრო გამოწვლილვით შესწავლას მოითხოვს.

მსაზღვრელის საზღვრულისაგან გათიშვა, იბერიულ-კავკასიურ ენათა გარდა, სხვა ოჯახის ენებშიც დასტურდება და საერთო საკითხებიც დგება. ასე რომ, გათიშული სახელური შესიტყვების საკითხი ზოგადლინგვისტურ საკითხად წარმოგვიდგება.

ლიტერატურა

აბესაძე 1975 – ნ. აბესაძე, ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები სვანურში ქართულთან მიმართებით. – თსუ შრომები, ტ. 164, თბილისი.

იმნაიშვილი 1957 – ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი.

კალაძე 1961 – ც. კალაძე, განსაზღვრება ქართულში. – ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, თბილისი.

კიზირია 1982 – ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბილისი.

ნაჭყებია 2005 – მ. ნაჭყებია, მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა ქართველურ ენებში, თბილისი.

შანიძე 1942 – ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები. ნაკვეთი პირველი, თბილისი.

შანიძე 1953 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. I. მორფოლოგია, თბილისი.

ჩანტლაძე 1998 – ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი. I, თბილისი.

ჩიქობავა 1950 – არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება. – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბილისი.

ჩიქობავა 1979 – არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი.

Л. Г и г л е м и а н и, В. Ш е н г е л и а (Тбилиси)

Дистантное именное словосочетание в картвельских языках

Именное словосочетание (атрибутивная синтагма) в картвельских языках являлось предметом анализа многих исследователей (А. Шанидзе, Арн. Чикобава, С. Джанашиа, В. Топуриа, И. Гигинейшвили, Э. Ломтадзе, Г. Климов, Ц. Каладзе, И. Имнайшвили, А. Кизириа, Л. Квачадзе, Т. Утургаидзе, Н. Абесадзе, Г. Картозиа, Ш. Апридонидзе, И. Чантладзе, М. Начкебия...). Многие из них касаются и проблемы дистантного именного словосочетания. Считаем нужным обратить внимание на некоторые вопросы.

Как известно, при анализе именного словосочетания ставятся два основных вопроса – о последовательности членов словосочетания и об их оформлении. В современных иберийско-кавказских языках представлены как препозиционный, так и постпозиционный порядок слов в атрибутивной синтагме, а определение может согласовываться с определяемым в падеже, числе и грамматическом классе.

В связи с именным словосочетанием в картвельских языках ставятся вопросы только порядка слов и согласования в падеже и числе, т. к. в этих языках нет морфологически выраженной категории класса.

В настоящее время отношение определяемого и определяющего в картвельских языках зависит от того, имеем ли дело с препозицией или постпозицией, к тому же, в первом случае – определение и определяемое непосредственно связаны друг с другом или они разделены другими словами; синтаксическая зависимость определения от определяемого ослаблена, если определение предшествует определяющему. "Достаточно поставить определение после определяющего или отделить определяемое слово другим словом от предшествующего определения, чтобы синтаксическая связь с определением восстановилась" (Чикобава 1979, 191). В древнегрузинском языке положение было иным – полное согласование было представлено в любом случае.

Дистантное словосочетание не имеет широкого распространения и более характерно для поэтической речи, но встречается и в прозаических произведениях (в стилистических целях). Что же касается устной речи, по нашему наблюдению, реализация разделенной конструкции связана с таким компонентом интонации, каким является **темп речи**: разделение чаще происходит, когда речь спокойная,

медленная.

1. В древнегрузинском языке встречаются примеры разделения определяемого и определения и в этом случае, как и при контактном строе, согласование (в падеже и числе) налицо тогда, когда определение атрибутивное и когда оно управляемое (Имнайшвили 1959, 552; Каладзе 1961, 118).

mama^j gyvis čwen abrahami букв. „Отец есть у нас Авраам"

sasaman gemoj cnis čamadisaj букв. „Небо вкус узнает еды"

ṭkbili mesmodes me sitqwani šengan букв. „Сладкие слышал я слова от тебя".

Указательное местоимение, как правило, от определяемого имени не отделяется. Не разделяются, также, имена в неоформленном именительном падеже (в т. н. „црпелобити").

2. В новогрузинском языке при препозиционном строе в контактном именном словосочетании связь между его компонентами, как было отмечено выше, ослаблена, в результате чего оформление определения падежными формантами ограничено, но, когда определение и определяемое разделены, показатели падежей представлены, а редукция и утеря конечного гласного в определяемом имени происходит так же, как при самостоятельном употреблении (Шанидзе 1942, 90; Шанидзе 1953, 93; Чикобава 1950, 047).

axals ašenebs saxls букв. „Новый строит дом"

maylis mčams ʎmertis букв. „Во Всевышнего верю Бога"

pačaris qidva unda mankanis букв. „Маленькую хочет купить машину".

Разделение именного словосочетания чаще происходит в именительном, эргативном и дательном падежах, реже – в других падежах (Квачадзе 1977, 178; Кизириа 1982, 218).

В устной речи согласование в числе между разделенными определением и определяющим факультативно:

šavi/šavebi viqide pankprebi букв. „Черный/черные купил карандаши".

Указательное местоимение, входящее в состав атрибутивного словосочетания, отдельно от определяемого не встречается.

3. В мегрельско-лазском (занском) языке, как известно, господствует препозиционный строй, при котором определение падежными показателями не оформляется, но при разделении определения и определяемого падежные форманты представлены и в определении (Кизириа 1982, 218; Начкебия 2005, 79), а согласование в числе факультативно.

мегр. **čkink gemozgu kianak** букв. „Наша победила страна"

мегр. **sums kimeču žimas** букв. „Трем дал братьям"

мегр. **čarga/čargepi `undu šxouleri** букв. „Пятнистую/пятнистых имел коров".

Разделение указательного местоимения и определяемого не происходит.

4. В сванском языке основным является препозиционный строй, и в этом случае нет согласования в падеже и числе, но при дистантной связи согласование в падеже имеется (Абесадзе 1975, 11; Чантладзе 1998, 219-221), согласование же в числе факультативно.

maxes xwagem **kors** букв. „Новый строю дом“

xočad mäkwe **dīnad** букв. „Хорошая сказала девочка“

xošas/xošäls xwagem **koräls** букв. „Новый/новые строю дома“.

Не засвидетельствованы случаи отделения указательного местоимения от определяемого.

При дистантной связи в определении перегласовка конечного **e** в **a** не происходит, что при контактной связи является обычным.

5. Исходя из вышесказанного, можно констатировать, что разделение определяющего и определяемого – общекартвельское явление; на этом уровне можно предположить существование согласования в падеже и числе (в настоящее время согласование в числе во всех трех языках факультативно). Вопрос требует дальнейшего углубленного изучения.

Разделение определяющего и определяемого, кроме иберийско-кавказских языков, распространено и в других языковых семьях, и ставятся общие вопросы. Поэтому проблема дистантного словосочетания представляется общелингвистической проблемой.

Литература

Абесадзе 1975 – Н. Абесадзе, Синтаксические функции падежей в сванском языке в сравнении с грузинском: Труды ТГУ, т. 164, Тбилиси (на груз. яз.);

Имнайшвили 1957 – И. Имнайшвили, Склонение имен и функции падежей в древнегрузинском языке: Тбилиси (на груз. яз.);

Каладзе 1961 – Ц. Каладзе, Определение в грузинском языке: Вопросы структуры картвельских языков, Тбилиси (на груз. яз.);

Кизириа 1982 – А. Кизириа, Структура простого предложения в картвельских языках: Тбилиси (на груз. яз.);

Начкебия 2005 – М. Начкебия, Взаимоотношение определяющего и определяемого в картвельских языках: Тбилиси (на груз. яз.);

Шанидзе 1942 – А. Шанидзе, Основы грузинской грамматики. Часть первая: Тбилиси (на груз. яз.);

Шанидзе 1953 – А. Шанидзе, Основы грамматики грузинского языка. I. Морфология: Тбилиси (на груз. яз.);

Чикобава 1950 – Арн. Чикобава, Общая характеристика грузинского языка: Толковый словарь грузинского языка, т. I, Тбилиси (на груз. яз.);

Чикобава 1979 – Арн. Чикобава, Введение в иберийско-кавказское языкознание: Тбилиси (на груз. яз.).

L. G i g l e m i a n i, V. S h e n g e l i a (Tbilisi)

Distantive nominal word-correspondence in the Kartvelian languages

S u m m a r y

During the distancing of prepositive, determinandum and determinatum manifest some peculiarities in the Kartvelian languages.

1. agreement of a distanced determinandum and determinatum in number is facultative;

2. in old Georgian a determinandum and determinatum don't distant each other in a non-marked nominative case;

3. in Svan during the distancing of a determinatum from determinandum transferring of **e** into **a** does not take place.

According to our observation, in oral speech the distancing of a determinandum and a determinatum often occurs in the condition of slow speed of utterance.

თ. ვ ა შ ა კ ი ძ ე (თბილისი)

**მედიაქტივზმიან შესიტყვებათა სინტაქსური მექანიზმისათვის
თანამედროვე ქართულში**

მარტივი წინადადების სტრუქტურა-მექანიზმს ძველსა და ახალ ქართულში განსაზღვრავს ზმნა. არნ. ჩიქობავა წერს: „რელატიურ-გარდაუვალზმნიანი და რელატიურ-გარდამავალზმნიანი წინადადება ისევე უჩვეულოა სხვა (მაგ., ინდოევროპული) ენებისათვის, როგორც ორპირიანობა (რელატიურობა) მათში მონაწილე ზმნისა. ამ ტიპის ქართულ წინადადებათა სინტაქსური მექანიზმის სპეციფიკურობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ორი კარდინალური მნიშვნელობის სინტაქსური ფაქტი: ა) ზმნა მართავს მორფოლოგიური სუბიექტის ბრუნვას ისევე, როგორც მორფოლოგიური ობიექტისას და ბ) მორფოლოგიური ობიექტი მართავს ზმნის პირს ისევე, როგორც მორფოლოგიური სუბიექტი. ამიტომაც ამ ტიპის წინადადების მართვის ადგილს იჭერს კოორდინაცია. კოორდინაციას ვუწოდებთ ისეთს რთულს სინტაქსურ ურთიერთობას, როდესაც ზმნა მართავს მასთან მორფოლოგიურად დაკავშირებული სახელების, – MS-ისა და MO-ის – ბრუნვებს, სახელნი თავის მხრივ მართავენ ზმნის პირს და ითანხმებენ რიცხვს. არა გვაქვს ოდენ მართული ზმნა – შემასმენელი, არც ოდენ მმართველი (ზმნისა) სახელი – ქვემდებარე, არც სახელი, მართული ზმნის მიერ – დამატება (თუ ორიოდე შემთხვევაში მაინც ჩნდება დამატება, ეს იმიტომ, რომ წყდება სახელის მორფოლოგიური კავშირი ზმნასთან), არის მხოლოდ კოორდინატები: კოორდინატი არის წვერი კოორდინაციისა, ანუ კოორდინაციაში მონაწილე სიტყვა (სახელები თუ ზმნა)... კოორდინატი შეიძლება იყოს ძირითადი, დიდი, მცირე და უმცირესი. ძირითადი კოორდინატი ზმნა, მმართველი მასთან მორფოლოგიურად დაკავშირებული სახელების, MS-ისა და MO-ის, ბრუნვათა; იგი ცენტრია კოორდინაციისა. სახელები, – MS და MO, – გვევლინება დიდი, მცირე და უმცირესი კოორდინატის როლში... დიდია ის კოორდინატი, რომელიც მართავს ზმნის პირს და ითანხმებს რიცხვს; მცირეა ის კოორდინატი, რომელიც მართავს ზმნის პირს, მაგრამ არ ითანხმებს რიცხვს; უმცირესია ის კოორდინატი, რომელიც ითანხმებს ზმნის რიცხვს, მაგრამ არ მართავს პირს“ (ჩიქობავა 1968: 233-234).

აღნიშნული ტიპის სინტაქსურ მექანიზმს ლ. კვაჭაძე საურთიერთო დაქვემდებარებით ხსნის. მკვლევარი აღნიშნავს: „საურთიერთო დაქვემდებარება, როდესაც წყვილის ცალები ერთმანეთზე ახდენენ გავლენას: ისინი ერთმანეთის მიმართ დამქვემდებარებლები არიან და დაქვემდებარებულებიც. მაგ., **ბავშვები ხატავენ, ბავშვებმა დახატეს**. სახელი ითანხმებს ზმნა-შემასმენელს პირსა და რიცხვში, ზმნა-შემასმენელი კი მართავს სახელს ბრუნვაში. მაშასადამე, საურთიერთო დაქვემდებარებას ქმნის სინტაქსური დამოკიდებულების ორი სახე – მართვა და შეთანხმება: სახელი მათანხმებელიც არის და მართულიც, ზმნა-შემასმენელი კი – მმართველიცა და შეთანხმებელიც“ (კვაჭაძე 1977: 23).

„მართვა შეიძლება რეალურიც იყოს და პოტენციურიც. პოტენციური მართვა გვაქვს კოორდინაციაში, როდესაც წინადადების კონსტრუქციული მოდელი რეალიზებულია I და II პირის ნაცვალსახელებით (**მე მოვკალ, ჩვენ დავწერეთ, შენ აიდე** და სხვ.). პოტენციური მართვის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ სიტყვათა ლექსიკურ-მორფოლოგიურ თვისებებში უნდა ვეძიოთ. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში იგი ბრუნვათა მიხედვით პირის ნაცვალსახელთა ფორმალური დამოკიდებულებით არის გამოწვეული. ნაცვალსახელი, იკავებს რა სათანადო ადგილს წინადადების კონსტრუქციულ სტრუქტურაში, აუცილებლად იგულისხმება რომელსამე ბრუნვაში, რაც ადვილად დგინდება მის ნაცვალად სხვა ლექსიკური ერთეულის ჩასმით ან შენაცვლებით (ფარდობითი მიმართების საფუძველზე)... შეთანხმებისაგან განსხვავებით, რომელიც ყოველთვის დინამიკურია, მართვა შეიძლება დინამიკურიც იყოს და სტატიკურიც... დაქვემდებარების სტატიკური სახეობა გვაქვს მაშინ, როდესაც გაბატონებული წევრი თავისი დაქვემდებარებულისაგან მოითხოვს ერთ ფორმას სტატიკურ (უცვლელ) მდგომარეობაში; მაგ., **დანით ჭრის, ემალება დედას, მასწავლებლად მუშაობს** და სხვ. როგორც უნდა შეიცვალოს წინადადების კონსტრუქცია (დაქვემდებარების მოშლის გარეშე), სინტაქსური დამოკიდებულება უცვლელი რჩება... დინამიკური მართვა, სტატიკურთან შედარებით, უფრო ძლიერი დამოკიდებულებაა, რადგანაც გაბატონებული წევრი თავისი დაქვემდებარებულისაგან მოითხოვს არა მარტო ერთ ლექსიკურ-გრამატიკულ ფორმას, არამედ თავისი ცვალებადობის ასახვასაც (**წერს ბავშვი – დაწერა ბავშვმა**...). გარკვეულ მონაკვეთში დინამიკური მართვა სტატიკურია, მაგრამ საერთოდ – ცვალებადი“ (დავითიანი 1973: 284-285).

თანამედროვე ქართულში შეიძლება გამოიყოს მართვის ორი ძირითადი ტიპი: 1. **ძლიერი მართვა**, როცა სახელი თუ სახელები ზმნისაგან მართულნი არიან სხვადასხვა ბრუნვის ფორმით დრო-კილოთა ჯგუფების მიხედვით (ა. **უშენებს მამა შვილს სახლს – აუშენა მამამ შვილს სახლი – აუშენებია მამას შვილისთვის სახლი**; ბ. **აშენებს კაცი სახლს – ააშენა კაცი სახლი – აუშენებია კაცს სახლი**; გ. **ჰპატრონობს მამა შვილს – უპატრონა მამამ შვილს – უპატრონებია მამას შვილისთვის**; დ. **ცხოვ**

რობს **კაცი** – იცხოვრა **კაცმა** – უცხოვრია **კაცს**) და 2. **სუსტი მართვა**, როცა ზმნა გარკვეული ბრუნვის ფორმით მართავს მასთან დაკავშირებულ სახელსა თუ სახელებს, მაგრამ ეს უკანასკნელი ბრუნვას არ იცვლიან დრო-კილოთა ჯგუფების მიხედვით (ა. ჰპირდება **მამა შვილს გასეირნებას** – დაჰპირდა **მამა შვილს გასეირნებას** – დაჰპირებია **მამა შვილს გასეირნებას**; ბ. ემალება **შვილი მამას** – დაემალა **შვილი მამას** – დამალვია **შვილი მამას**; გ. იმალება **კაცი** – დაიმალა **კაცი** – დამალულა **კაცი**; დ. სძინავს **კაცს** – ეძინა **კაცს** – სძინებია **კაცს**).

ჩვენ შევეცადეთ, გვეჩვენებინა მედიაოქტივზმნიან შესიტყვებათა სინტაქსური მექანიზმი კოორდინაციის საფუძველზე თანამედროვე ქართულში, რაც საჭიროებს ორი უმთავრესი საკითხის ანალიზს: 1. როგორია მედიაოქტივზმნიანი შესიტყვების **ძირითადი კოორდინატი** (ზმნა) – როგორც **მმართველი**, ანუ რა სახის სინტაქსური ურთიერთობა მყარდება ზმნურ კოორდინატსა და მასთან დაკავშირებულ სახელებს – მორფოლოგიურ სუბიექტსა და მორფოლოგიურ ობიექტს – შორის ძირითადი კოორდინატის მიერ მათი (სახელების) მართვის თვალსაზრისით; 2. როგორია მედიაოქტივზმნიანი შესიტყვების **ძირითადი კოორდინატი**, როგორც **მართული** კომპონენტი, მაშასადამე, როგორ იმართვის იგი (ზმნა) მორფოლოგიური სუბიექტისა და მორფოლოგიური ობიექტის მიერ თანამედროვე ქართულში და რა ხარისხითაა წარმოდგენილი სახელურ კოორდინატთა სინტაქსური ძალა ზმნურ კოორდინატში მათი ასახვის თვალსაზრისით.


თანამედროვე ქართულში მედიაოქტივზმნიან შესიტყვებათა ორი ტიპი გამოიყოფა: ა) რელატიურ-მედიაოქტივზმნიანი (როცა ზმნასთან დაკავშირებულია ორი სახელი: ჰპატრონობს **მამა შვილს...**) და ბ) აბსოლუტურ-მედიაოქტივზმნიანი (როცა ზმნას მიემართება მხოლოდ ერთი სახელი: ცხოვრობს **კაცი...**).

მორფოლოგიური სუბიექტისა და მორფოლოგიური ობიექტის პირი თუ რიცხვი ხან ნიშნებითაა წარმოდგენილი ზმნაში (ჰ-პატრონობს-ს **მამა შვილს**; ჰ-პატრონობ-ენ **მამები შვილს...**), ხან – ნულით (გ-პატრონობ-Ø-თ **მამა თქვენ**, გ-პატრონობ-ენ-Ø **მამები თქვენ...**). ბუნებრივია, პირთა ყველა დასაშვებ კომბინაციაში ძნელად მოიძებნება ისეთი პირი, რომელიც ყოველთვის აღბეჭდილია ზმნაში. ეს უკანასკნელი (ზმნა) ყველა შემთხვევაში თანაბარი სინტაქსური ძალით იმართვის სახელისა თუ სახელების მიერ პირში და შეთანხმებულია მათთან რიცხვის მიხედვით რეალურად ან პოტენციურად.


როგორ მართავს თავად მედიაოქტივი ზმნა მასთან დაკავშირებულ სახელებს?

პირველ შემთხვევაში (ჰპატრონობს **მამა შვილს**) მორფოლოგიური სუბიექტი დრო-კილოთა I სერიის მწკრივებში ზმნისაგან მართულია სახელობითი ბრუნვის ფორმით (ჰპატრონობს **მამა**), ხოლო II სერიის ნაკლებთან – მოთხრობითით (უპატრონა **მამამ**). მორფოლოგიური სუბიექტი


რეალურად აისახება ზმნაში და ამავდროულად ითანხმებს მას (ზმნას) რიცხვში (ჰ-პატრონობ-ენ **მამები** შეიღს – უპატრონ-ეს **მამებმა** შეიღს...). მაშასადამე, გვაქვს ურთიერთმართვა. ზმნა (მედიაოპტიკური) **პირითადი კოორდინატია**, ხოლო მორფოლოგიური სუბიექტი – **დიდი კოორდინატი**:



რაც შეეხება მორფოლოგიურ ობიექტს, იგი ზმნისაგან მართულია მიცემითი ბრუნვის ფორმით როგორც I, ისე II სერიის მწკრივებში (ჰპატრონობს **შეიღს** – უპატრონა **შეიღს**...). მხოლოდით რიცხვში დასმული მორფოლოგიური ობიექტი რეალურად აღიბეჭდება ზმნაში დრო-კილოთა I სერიის ნაკვებთან (ჰ-პატრონობ-ს მამა **შეიღს**), ხოლო მრავლობითობა ობიექტისა ზმნაში აისახება პოტენციურად (ჰ-პატრონობ-ს-Ø მამა **შეიღებს**). II სერიის მწკრივებში კი მორფოლოგიური ობიექტი (მხოლოდით-სა თუ მრავლობით რიცხვში დასმული) პოტენციურად არის ზმნაში ასახული (Ø-უპატრონ-ა მამამ **შეიღს** – Ø-უპატრონ-ა-Ø მამამ **შეიღებს**). მაშასადამე, **პირითადი კოორდინატი** თანაბარი სინტაქსური ძალით იმართვის როგორც მორფოლოგიური სუბიექტის, ისე მორფოლოგიური ობიექტის მიერ. ბუნებრივია, ეს უკანასკნელიც (მორფოლოგიური ობიექტი) **დიდი კოორდინატი** იქნება:



მეორე შემთხვევაში (ცხოვრობს კაცი) ზმნასთან დაკავშირებულია ერთი სახელი, სუბიექტი, რომელიც დრო-კილოთა I სერიის მწკრივებში ზმნისაგან მართულია სახელობითი ბრუნვის ფორმით (ცხოვრობს კაცი), ხოლო II სერიის ნაკვეთებთან – მოთხრობითით (იცხოვრა კაცმა). ამავე დროს, თავად სუბიექტი რეალურად აისახება ზმნაში და რიცხვის მიხედვითაც ითანხმებს მას (ცხოვრობ-ს კაცი; ცხოვრობ-ენ კაცები; იცხოვრ-ა კაცმა; იცხოვრ-ეს კაცებმა...). ბუნებრივია, ამ შემთხვევაშიც მედიოაქტივ-ზმნიანი შესიტყვების სინტაქსური მექანიზმი აგებულია ურთიერთმართვის (კოორდინაციის) საფუძველზე: ზმნა ძირითადი კოორდინატია, ხოლო მორფოლოგიური სუბიექტი – დიდი კოორდინატი:





დრო-კილოთა III სერიის ნაკვეთებში (უპატრონებია მამას შვილის-თვის; უცხოვრია კაცს...) მოქმედების შემსრულებელია მიცემითბრუნვის-ფორმიანი სახელი (ქართულში სხვა შემთხვევებშიც ჩანს მიცემითბრუნვისფორმიანი სახელი, კერძოდ, ირიბი ობიექტი, მოქმედების უშუალო შემსრულებლად, მაგ., აწერინებს დედა შვილს წერილს...). მეორე სახელი (შვილისთვის), რომელიც I და II სერიის მწკრივებში ირიბი ობიექტის ფუნქციას ასრულებდა, იცვლის სინტაქსურ სტატუსს და ე. წ. უბრალო დამატებად წარმოგვიდგება. ეს უკანასკნელიც იმართვის ზმნისაგან, მხოლოდ – ნათესაობითი ბრუნვის -თვის თანდებუდიანი ფორმით (უპატრონებია შვილისთვის).

ორსავე შემთხვევაში (უპატრონებია მამას და უცხოვრია კაცს) წარმოჩენილია მოქმედების შედეგი, რაც იმას ნიშნავს, რომ „ქონების“ ცნებასთან შერწყმული „მდგომარეობის“ ცნება „მფლობელ“ პირს განეკუთვნება. აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში შედეგზე მისანიშნებლად (ამ ტიპის შემთხვევებში) ძირითადად აღწერითი ვარიანტები დასტურდება: ცხოვრებაა აქუს მას, კვლმწიფებაა აქუს მას, მთავრობაა აქუს მას, გლოვაა აქუს მას და სხვ. სრულიად ბუნებრივია, რომ ეს „შედეგი“ (იგივე სუბიექტი: ცხოვრებაა, კვლმწიფებაა, მთავრობაა, გლოვაა...) ირიბი ობიექტის, მფლობელის, მიცემითბრუნვისფორმიანი სახელის კუთვნილებაა.

დასკვნის სახით აღნიშნავთ, რომ თანამედროვე ქართულში მედიაკტივზმნიან შესიტყვებათა სინტაქსური მექანიზმი აგებულია ურთიერთმართვის (კოორდინაციის) საფუძველზე.

ლიტერატურა

- დავითიანი 1973 – ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.
 კვაჭაძე 1977 – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.
 ჩიქობავა 1968 – არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბილისი.

T. V a s h a k i d z e (Tbilisi)

**Towards the syntactic mechanism of word-correspondences
with a medio-active verb in modern Georgian**

In old and new Georgian a verb defines a structure-mechanism of a simple sentence. Arn. Chikobava writes: "A sentence with a relative- intransitive verb and a relative-transitive verb is as usual for other (e. g. Indo-European) languages as bi-personality (relitiveness) of a verb which occurs in it. Two syntactic facts having cardinal meaning, have decisive importance for specificity of a syntactic mechanism of the Georgian sentences of this type: a) a verb governs a declension of a morphological subject like a morphological of an object and b) a morphological object governs a verb person like a morphological subject. Hence, a co-ordination occupies a place of the governing of a sentence of this type. We call a co-ordination such complex syntactical relation, when a verb governs cases of nouns – of MS and MO, which are morphologically connected with it. Nouns, to their turn, govern a verb person and accord a number. We have neither only a governed verb – a predicate nor a governer (of a verb) noun – a subject, nor a noun, governed by a verb – an object (if in some cases an object occurs this in only owing to the fact, that a morphological connection of a noun with a verb is broken), there are only coordinates: a coordinate is a member of a co-ordination or a word participating in a co-ordination (nouns or a verb). A coordinate can be basic, big, small and smallest. A verb is a basic coordinate, a governer of cases of nouns – of MS and MO, morphologically connected with it. It is a centre of co-ordination. Nouns – MS and MO occur in a role of big, small and smallest coordinates. A big coordinate is that, which governs a verb person and accord a number. A small coordinate is that, which governs a verb person, but does not accord a number. A smallest coordinate is that, which accord a verb number, but does not govern a person" (Chikobava 1968: 233-234).

L. Kvachadze explains a syntactic mechanism of the mentioned type by relational subordinating. The researcher notes: "Subordination is relational, when the singles of pairs influence on each other: they are subordinators and subordinated towards each other; e. g.: **bavšvebi xaṭaven** "Children are drawing", **bavšvebma daxაṭes** "Children have drawn". A noun accords a verb-predicate in a person and a number, a verb-predicate governs a noun in a case. Thus, a relational subordination is created by two kinds of syntactical relation – governing and agreement, as well, a noun is an agreemer and governed, a verb-predicate – is a governer and agreed, as well" (Kvachadze 1977: 23).

"Governing can be real and potential. A potential governing occurs in the co-ordination, when a constructive model of a sentence is realized by I or II personal pronouns (**me movkali** "I killed", **čven davčeret** "We wrote", **šen aiye** "You took" and others). The reason of a potential governing must be sought only in the lexical-morphological features of words. In above mentioned case it is caused by a form-non-changing of personal pronouns according to cases. A pronoun, having occupied a relevant place in a constructive structure of a sentence, is meant by all means in any case, which is easily established through placing or alternation of other lexical unit instead of it (on the basis of directed relation). Differently from agreement, which is always dynamic, a governing can be dynamic as well as statistic. Static type of a subordination occurs then, when a dominated member demands from its subordinating one form in static (unchangeable) position, e. g.: **danit čris** "He cuts with a knife", **emaleba dedas** "He hides from a mother", **masçavleblad mušaobs** "He works as a teacher" and others. How a sentence structure can be changed (without upsetting of subordination), a syntactic relation is unchangeable. A dynamic governing, differently from static, is a stronger relation, as a dominated member demands from its subordinating not only one lexical-grammatical form, but also reflecting its changeability (**çers bavšvi** "A child is writing" – **daçera bavšvma** "A child has written"). In certain section a dynamic government is statistic, but generally – changeable" (Davitiani 1973: 284-285).

Two main types of governing can be distinguished in the modern Georgian: 1. **a strong governing**, when a noun or nouns are governed by a verb through different case forms according to groups of tenses and mood (**a.** ušenebs **mama švils saxls** "A father is building a house for a child" – aušena **mamam švils saxli** "A father built a house for a child" – aušenebia **mamas švilistvis saxli** "A father has built a house for a child"; **b.** ašenebs **ḳaci saxls** "A man is building a house" – aašena **ḳacma saxli** "A man built a house" – aušenebia **ḳacs saxli** "A man has built a house"; **c.** hpaṭronobs **mama švils** "A father patronizes a child" – upaṭrona **mamam švils** "A father patronized a child" – upaṭronebia **mamas švilistvis** "A father has patronized a child"; **d.** cxovrobs **ḳaci** "A man is living" – icxovra **ḳacma** "A man lived" – ucxovria **ḳacs** "A man has lived" and others). 2. **a weak governing**, when a verb governs a noun or nouns connected with it, through a certain case form, but the latter do not change a case according to the groups of tenses and mood: **a)** hpirdeba **mama švils gaseirnebas** "A father is promising a child to take a stroll" – dahpirda **mama švils gaseirnebas** "A father has promised a child to take a stroll"; **b)** emaleba **švili mamas** "A child is hiding for a father" – daemala **švili mamas** "A child hid for a father" – dahmalvia **švili mamas** "A child has hidden for a father"; **c)** imaleba **ḳaci** "A man is hiding" – daimala **ḳaci** "A man hid" – damalula **ḳaci** "A man has hidden"; **d)** sžinavs **ḳacs** "A man is sleeping" – ežina **ḳacs** "A man slept" – sžinebia **ḳacs** "A man has slept").

We tried to show a syntactic mechanism of correspondences with a medio-active verb on the basis of co-ordination in the modern Georgian, which needs the analysis of two main issues: 1. what kind is a **main coordinate** (a verb) of correspondence with a


medio-active verb as a **governer** or what kind of syntactic relation is established between a verbal coordinate and the nouns connected with it – between a morphological subject and a morphological object, by a basic co-ordinate from the viewpoint of their (nouns) governing; 2. what kind is a **basic coordinate** of correspondence with a medio-active verb as a **governed** component, i. e. how it is (a verb) governed by a morphological subject and a morphological object in the modern Georgian and by what kind of quality of a syntactical power of a nominal coordinates in a verb co-ordination is represented from the viewpoint of their reflecting.


Two types of word-correspondences with a medio-active verb are distinguished in the modern Georgian: a) with relative medio-active verb (when two nouns are connected with a verb: hpaṭronobs **mama švils**...) and b) with absolute-active verb (when only one noun is connected with a verb: cxovrobs **ḱaci**...).

A person or a number of a morphological subject and a morphological object is represented in a verb sometimes by markers (hpaṭronob-s **mama švils**, hpaṭronob-en **mamebi švils**...) and sometime by zero (gpaṭronob-Ø-t **mama tkven**, gpaṭronob-en-Ø **mamebi tkven**...). It is natural, that in all supposing combination of persons it is difficult to find such a person, which is always reflected in a verb. In all cases a verb is governed by a noun or nouns through a syntactic power in a person and is really or potentially accorded with them according to a number.


How does a medio-active verb govern the nouns connected with it?

In the first case (hpaṭronobs **mama švils**) a morphological subject is governed by a verb in the screeves of I series of tenses and mood in a nominative case form (hpaṭronobs **mama**), but in the screeves of the II series – in an ergative case form (upaṭrona **mamam**). A morphological subject is really reflected in a verb and at the same time it accords a verb in a number (hpaṭronob-en **mamebi švils** – upaṭron-es **mamebma švils**). Thus, we have an intergoverning. A verb (medio-active) is a **main coordinate** and a morphological subject – a **big coordinate**:






As for a morphological object, it is governed by a verb in a dative case form in the screeves of I series as well as II series (hpaṭronobs **švils** – upaṭrona **švils**...). A singular morphological object is really reflected in a verb in the screeves of I series of tenses and mood (h-paṭronob-s **mama švils**), but plurality of an object is reflected in a verb potentially (h-paṭronob-s-Ø **mama švilebs**). In the screeves of II series a morphological object (in singular or in plural) is potentially reflected in a verb (Ø-upaṭrona **mamam švils** – Ø-upaṭrona **mamam švilebs**...). Thus, a **main coordinate** is governed by a morphological subject as well as morphological object through an equal syntactical power. It is natural, that a morphological object is a **big coordinate**:



In the second case (cxovrobs **ḳaci**) one noun, subject, which in the screeves of I series of tenses and mood is governed by a verb in a nominative case form (cxovrobs **ḳaci**) and in the screeves of II series – in an ergative case form (icxovroa **ḳacma**), is connected with a verb. At the same time a subject is really reflected in a verb and

accords it according to a number (cxovrob-**s** **ḡaci**; cxovrob-**en** **ḡacebi**; icxovr-**a** **ḡacma**; icxovr-**es** **ḡacebma**). It is natural, that even in this case a syntactic mechanism of word-correspondence with a medio-active verb is built on the basis of intergoverning (co-ordination): a verb is a **basic coordinate** and a morphological subject – a **big coordinate**:



In the screeves of III series of tenses and mood (upaṭronebia **mamas ṡvilistvis**; ucxovria **ḡacs**...) a noun with a dative case form is a fulfiller of an action (in Georgian also in other cases a noun with a dative case form, in particular, an indirect object, is shown as a fulfiller of an action, e. g.: aḡerinebs deda **ṡvils** ḡerils "A mother is making a child to write a letter"). The other noun (**ṡvilistvis** "for a child"), which fulfilled a function of an indirect object in the screeves of I and II series, changes a syntactical status and is represented as so called a simple direct. This latter also is governed by a verb, only with **-tvis** preposition of a genitive case form (upaṭronebia **ṡvilistvis**).

In both cases (upaṭronebia **mamas** and ucxovria **ḡacs**) a result of an action is manifested, which means, that the conception of "statement" combined with the conception of "having" belongs to a "proprietor" person. It must be noted, that in old Georgian written sources basically descriptive variants are evidenced for pointing to a result (in the cases of this type): **mtavrobaj akus**, **vxovrebaḡ akus**, **qelmḡipebaḡ akus**, **glovaj akus** and others. It is natural, that this "result" (a subject: **mtavrobaj**, **vxovrebaḡ**, **qelmḡipebaḡ**, **glovaj**...) is a possession of an indirect object, a proprietor, a noun with a dative case form.

In the conclusion we underline, that in the modern Georgian a syntactical mechanism of word-correspondences with a medio-active verb is built on the basis of intergoverning (co-ordination).

Literature

Davitiani 1973 – A. Davitiani, Georgian syntax, Tbilisi.

Kvachadze 1977 – L. Kvachadze, Syntax of the modern Georgian language, Tbilisi.

Chikobava 1968 – Arn. Chikobava, Problem of a simple sentence in Georgian, Tbilisi.

Т. В а ш а к и д з е (Тбилиси)

К вопросу о синтаксическом механизме словосочетаний, содержащих медиоактивные глаголы в современном грузинском языке

Р е з ю м е

В современном грузинском языке выделяется два типа словосочетаний, содержащих медиоактивные глаголы: а) релятивно-медиоактивные (когда с глаголом связано два имени: *hraṭronobs is mas* "заботится он о нём"...) и б) абсолютно-медиоактивные (когда к глаголу относится только одно имя: *sxovrobs is* "живёт он"...). Следует отметить, что в современном грузинском языке (также, как и в древнегрузинском) лицо или число морфологического субъекта и морфологического объекта представлены в глаголе то в виде морфологического показателя (*hraṭronob-s is mas* "заботится он о нём", *h-raṭronob-en isini mas* "заботятся они о нём"…), то нулевым показателем (*g-raṭronob-Ø-t is tkven* "заботится он о вас", *g-raṭronob-en-Ø isini tkven* "заботятся они о вас"…). Естественно, во всех допускаемых комбинациях лиц трудно найти такое лицо, которое всегда отражается в глаголе. Таким образом, во всех случаях глагол синтаксически равноправно управляет именем или именами в лице и согласуется с ним в числе (реально или потенциально).

В первом случае (*hraṭronobs is mas* "заботится он о нём") субъект в форме именительного падежа управляется глаголом в соответствии с рядами первой серии во времени и наклонении (*hraṭronobs is* "заботится он"), в скривых второй серии – в эргативе (*uraṭrona man* "заботился он"). Реальный субъект отражается в глаголе и в то же время согласуется с ним (глаголом) и в числе (*h-raṭronob-en isini mas* "заботятся они"; *Ø-uraṭron-es mat mas* "заботились о них"), таким образом, налицо взаимное управление, глагол является основной координатой, а морфологический субъект – большой координатой.

Во втором случае (сховობს ის "живёт он") с глаголом связано одно имя, субъект, который в скривах первой серии времен и наклонений глаголов управляем глаголом в форме именительного падежа (сховობს **ის** "живёт он"), а в глаголах второй серии – эргативом (ისხოვთა **მან** "жил он"). В то же время сам субъект реально отражается в глаголе, согласуясь в числе (сხოვობენ **ისინი** "живут они"; ისხოვრეს **მათ** "жили они"). И в этом случае синтаксический механизм словосочетаний с медиаактивными глаголами строится на основе взаимного управления. Глагол – основная координата, а морфологический субъект – большая координата.

В скривах третьей серии времен и наклонений глаголов (ურატრონებია **მას** "оказывается он заботился"; ისხოვია **მას** "оказывается он жил") действие совершается лицом в дательном падеже (в грузинском и в других случаях налицо имя в дательном падеже, косвенный объект, совершающий действие, например, აცერინებს ის **მას** მას "заставляет писать он его то"). Второе имя (ურატრონებია მას **მისთვის** "оказывается заботился он о нём"), которое в рядах первой и второй серий выполняло функцию косвенного дополнения, также меняет синтаксический статус и предстаёт в виде т. н. простого дополнения, которое также управляемо глаголом, но только в форме родительного падежа с послелогом (ურატრონებია **მისთვის** "оказывается заботился о нём").

В обоих случаях (ურატრონებია **მას** "оказывается заботился он", ისხოვია **მას** "оказывается жил он") представлен результат действия. А это означает, что понятие "имения", сочетаемое с понятием "состояния" относится к действующему лицу, владельцу, который в форме дательного падежа управляется глаголом "имеет" (в древних грузинских рукописях варианты описаний, указывающие на "результат", засвидетельствованы в основном в виде: **მთავრობაქ აქუს** "власть имеет", **გლოვაქ აქუს** "траур имеет", **სხოვრებაქ აქუს** "жизнь имеет", **ჯელმციებაქ აქუს** "правление имеет"...). В таком случае, совершенно естественно, что этот "результат" (тот же субъект: **სხოვრებაქ** "жизнь", **ჯელმციებაქ** "правление", **მთავრობაქ** "власть", **გლოვაქ** "траур"...) принадлежит косвенному объекту (владельцу).

Как видно, в современном грузинском языке синтаксический механизм словосочетаний, содержащих медиаактивные глаголы, основан на взаимном управлении (координации).

რ. ლ ო ლ უ ა (თბილისი)

კავკასიის ალბანურის ანბანთრიგის დადგენისათვის
(ალბანური ეპიგრაფიკის ორი ძეგლის განხილვა)

ალბანური ანბანის პარადიგმატიკის კვლევისას ამოსავალია იღ. აბულადის მიერ 1937 წ.¹ აღმოჩენილი ეჩმიადინის №7117 ხელნაწერი². ეს ჯერ-ჯერობით, შეიძლება ითქვას, ერთადერთი წყაროა, რომელშიც მოცემულია ალბანური ანბანის ასო-ბგერათა რიგი. არსებობს აგრეთვე არმენოლოგ ა. ქურდიანის მიერ 1956 წ. აშშ –ში აღმოჩენილი XVI ს. სომხური ხელნაწერი³, რომელიც, სავარაუდოდ, ეჩმიადინის ხელნაწერის ასლია⁴. ეს ხელნაწერი, მატენადარანის (ეჩმიადინის) №7117 ხელნაწერთან შედარებით, გარკვეულ განსხვავებებს იძლევა, როგორც გრაფიკათა მოხაზულობის თვალსაზრისით, ისე მათ სახელდებაშიც (№11 Ⴀ „აუღ“-ის ნაცვლად გვაქვს „მუღ“, №33 Ⴁ „შაქ“-ის მაგივრად „ჩაქ“, ხოლო №39 Ⴃ „ჩაჲ“-ის ნაცვლად „აჲა“⁵), თუმცა გრაფიკათა რაოდენობა და ანბანთრიგი ზუსტად ემთხვევა მატენადარანის №7117 ხელნაწერის მონაცემებს.

¹ Абуладзе И. В., К открытию алфавита кавказских албанцев, Известия Института языка, истории и материальной культуры им. акад. Н. Я. Марра, №4, ч. 1, Тбилиси, 1938, 69-71.

² დღეს ეს ხელნაწერი დაცულია ერევანში, მატენადარანის ბიბლიოთეკაში.

³ Kurdian H., The newly discovered alphabet of Caucasian Albanians, Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland, part 1-2, London, 1956, 80-83.

⁴ აკ. შანიძე განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს ამ ხელნაწერის წარმომავლობის შესახებ. მისი აზრით, ამ ხელნაწერის შემდგენი იგივე დედნით (სავარაუდოდ, X საუკუნის) სარგებლობდა, ოღონდ მატენადარანის ხელნაწერისგან დამოუკიდებლად (Шанидзе А. Г., Новые данные об алфавите кавказских албанцев (второй список албанского алфавита), Труды первой конференции закавказских университетов. Баку, 1959, 204-206).

ჩვენი აზრით, ა. ქურდიანის მიერ მიკვლეულ ხელნაწერში მოცემული ალბანური ანბანის დედანი მატენადარანის №7117 ხელნაწერის ანბანი უნდა იყოს. ამას გვაფიქრებინებს, ორივე ხელნაწერში იდენტური შეცდომების არსებობა, მაგ., №2 ბ (ბ) გრაფიკას ორივეგან „ოდეთ“ ეწოდება; №3 გ (გ) – „ზიმ“; №5 ე (ე) – „შბ“... არ გვაქვს ერთი შემთხვევაც იმისა, რომ მატენადარანის ხელნაწერში დაფიქსირებული მცდარი სახელწოდება ა. ქურდიანის ხელნაწერში სწორი ფორმით მოცემული იყოს. ამასვე ადასტურებს ამ წყაროებში წარმოდგენილი ალბანური ასო-ნიშნების მოხაზულობის მსგავსება. თუ გვაქვს განსხვავება, მაშინ ა. ქურდიანის ხელნაწერის ნიშნები უფრო დამახინჯებული სახით გვხვდება.

⁵ სამივე შემთხვევაში მატენადარანის ხელნაწერის ჩვენება სწორია.

იმის დასადგენად, თუ რამდენად სანდოა ზემოთ მოხსენიებულ წყაროებში წარმოდგენილი ალბანური ანბანთრიგი, ვიხელმძღვანელებთ აკად. აკ. შანიძის მიერ შემოთავაზებული მეთოდით, რომელიც მას გამოყენებული აქვს ილ. აბულაძის მიერ აღმოჩენილი ხელნაწერის კვლევისას,¹ სახელდობრ, შევამოწმებთ, თუ რამდენად სწორადაა გადმოცემული ამ ხელნაწერში სხვა (ბერძნული, სირიული, ქართული, კობტური და არაბული) ალფაბეტების გრაფიკათა რაოდენობა და ანბანთრიგი. ბერძნული-სა და კობტურის ასო-ბგერათა რაოდენობა და მათი რიგი ზუსტია; სირიულ (ასურულ) ანბანში №21-22 ასო-ნიშნები მოქცეულია №16-18, ხოლო №17 – №18-19 გრაფემებს შორის; ლათინურს მოკლებული აქვს №5 (E) და №22 (W), ხოლო ქართულს №3 **ჟ**. არაბული ერთადერთი ანბანია, სადაც მნიშვნელოვნად დარღვეულია რიგი. ეს აიხსნება იმით, რომ გადამწერებმა დააღაგეს ასო-ბგერები მარცხნიდან მარჯვნივ, ანუ ტრადიციული არაბული წერის მიმართულების საწინააღმდეგოდ.

უნდა დავასკვნათ, რომ გარკვეული შეცდომები გვაქვს, მაგრამ მათი რიცხვი გაცილებით ნაკლებია გრაფიკულ და გრაფიკათა სახელწოდებებში ფონეტიკურ შეცდომებთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის ალბანური ზემოჩამოთვლილ ანბანთა შორის ყველაზე ვრცელებულია (52 გრაფემა) და XV ს.–მდე (მატენადარანის ხელნაწერის გადაწერის თარიღი) უკვე დიდი ხნით ადრე დაკარგული იყო ალბანური დამწერლობის ტრადიცია, მაინც უნდა მივიჩნიოთ, რომ სომხურ ხელნაწერებში მოცემული ალბანური ანბანის გრაფიკათა რაოდენობა და ანბანთრიგი მთლიანობაში ზუსტი უნდა იყოს. ამის შესახებ მეტყველებს ამ წყაროებში წარმოდგენილ სხვა ალფაბეტთა იგივე მონაცემების გადმოცემის მეტ-ნაკლები სიზუსტე და ალბანური ანბანის ორივე ნუსხის შედარება ერთმანეთთან.

სომხურ ხელნაწერებში წარმოდგენილი ალბანური ანბანის რიგის მეტ-ნაკლები სიზუსტის საილუსტრაციოდ უნდა მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი სინური პალიმფსესტიდან. ერთ-ერთ ფურცელზე (Sin 13 4r-3v) სათაურის ქვეშ შეგვიძლია ამოვიკითხოთ წინადადება:

Օ.ԴԿԻԻՕ.ԴԿ ԴԿ.Ն.ԼՕ.ԴԿ ԵՏՕ.Դ

უფესუნ პეტროსი Զ-ლო

თქმა-მასდ. პეტრე-ნათ. ԹԹԹ-მრ.-ნათ.

ეს წინადადება უნდა წავიკითხოთ შემდეგნაირად: “შესრულება (ზედმიწ. “თქმა”) პეტრეს მეორეთაგან [ეპისტოლედან]”. აქ **Ե Զ** (ალბანური ანბანის №2 ასო-ბგერა) აღნიშნავს რიცხვს – ორი. მართლაც, მინაწე-

¹ Шанидзе А. Г., Новоткрытый алфавит кавказских албанцев и его значение для науки, Известия Института языка, истории и материальной культуры им. акад. Н. Я. Марра, № 4, ч. 1, Тбилиси, 1938, 1-68.

შანდალი წარმოადგენს ძალზე დაზიანებულ თიხის პირამიდას ვერტიკალური ხერხეულით.¹ წარწერა გაყოფილია ოთხ ნაწილად: ათი ასო-ნიშანი მოთავსებულია ჰორიზონტალურ წრეზე (№4 გრაფემა წაშლილია და არ იკითხება); სამ-სამი გრაფემა განთავსებულია ვერტიკალურად II და IV მხრის მარჯვენა ფეხებზე; მეოთხე მხრის მარცხენა ფეხზე კი, გვხვდება ცალკეული ნიშანი. სულ 15 ან 16 გრაფემა.

ა. აბრამიანი წარწერას შემდეგნაირად თარგმნის: „მიეტევოს ცოდვები გიუტს“.²

ბ. კლიმოვმა პირველმა შენიშნა, რომ შანდალზე მოცემულია ალბანური ანბანის ნაწილი, კერძოდ: №1-10 მონაკვეთი ანბანთრიგის მიხედვით.³

ეს შეხედულება გაიზიარა ს. მურავიოვმა და გამოთქვა აზრი, რომ ვერტიკალურად განლაგებული მონაკვეთები წარმოადგენს ალბანური ანბანის №13-15 (**ჟსწ**) და №40-42 მონაკვეთებს, მაგრამ მკვლევარი შენიშნავს, რომ გრაფიტის ავტორს აერია ერთმანეთში №40 და №41 გრაფემები, ანუ, მისი აზრით, მეორე მონაკვეთი მოცემულია ასეთი სახით: №41-40-42 (**აზს**).⁴

ჩვენ ვიზიარებთ ბ. კლიმოვის მოსაზრებას. ჰორიზონტალური წარწერა მართლაც წარმოადგენს ალბანური ანბანის №1-10 მონაკვეთს. საინტერესოა, რომ წარწერის ასო-ბგერათა თანმიმდევრობა ზუსტად იმეორებს მატენადარანის №7117 ხელნაწერის შესაბამის მონაკვეთს.

სინას პალიმფსესტის შესაბამის გრაფემათა მოხაზულობა თითქმის მთლიანად ემთხვევა ამ გრაფიტის ნიშანთა მოხაზულობას. წარწერაზე გამოსახული ანბანის №2 **ბ ბ** და №8 **ქ (ე)** ასო-ბგერების თავშეკრული ფორმები გვაფიქრებინებს იმას, რომ გრაფიტი და ალბანური ლექციონარი ერთ პერიოდში უნდა შესრულებულიყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ვერტიკალურად განლაგებული ნიშნები არ წარმოადგენენ ალბანური ანბანის რომელიმე ნაწილს. თუ IV მხრის მარჯვენა ფეხზე გვაქვს №40-42 მონაკვეთი (როგორც ს. მურავიოვს მიაჩნდა), მაშინ შანდალზე უნდა ყოფილიყო გამოსახული ან მთელი ალბანური ანბანი, ანდა მისი №1-42 მონაკვეთი, რაც შეუძლებლად გვეჩვენება, თუ გაავითვალისწინებთ შანდლის ზომას (7X7 სმ.; სიმაღლე 11 სმ.) და მასზე გამოსახული გრაფემების ზომებს: დათვლა გვიჩვენებს, რომ შანდალზე გრაფემების მაქსიმალური რიცხვი 34 უნდა ყოფილიყო, თუმცა

¹ Вахидов Р. М., Минкэчевыр эпиграфик абидэлэранин археоложи характеристикасы, Известия Академии наук Азербайджанской ССР, серия общественных наук, № 4. Баку, 1958, 112-113.

² Абрамян А. Г., Дешифровка надписей кавказских агван, Ереван, 1964, 56-58.

³ Климов Г. А., К чтению двух памятників агванской (кавказско-албанской) эпиграфики, Вопросы языкознания, № 3, Москва, 1970, 109-110.

⁴ Муравьев С. Н., Три этюда по кавказско-албанской (алуанской) письменности, Ежегодник иберийско-кавказского языкознания, т. VIII, Тбилиси, 1981, 278-279.

დაუზიანებელ ადგილებში (მაგ. I მხარის მარცხენა ფეხი, III მხარის მარჯვენა ფეხი და ა.შ.) წარწერებისა არავითარი კვალი არ ჩანს.

შანდლის II მხარეს განთავსებული ასოებიდან, პირველი და მესამე **ჟ** ი ასო-ბგერას წარმოადგენს (ანბანის №13), ხოლო შუა (მეორე) **ნ ბ**-ს (№2). შესაბამისად ეს მონაკვეთი უნდა წაკითხულ იქნას – **ჟნჟ იბი** – შდრ. უდიური ბი “მკეთებელი”, “ნაკეთები”.

ს. მურავიოვის მოსაზრებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მონაკვეთის I და III გრაფემა იდენტურია (**ჟ**). წარწერის III ნიშნის (№15 მურავიოვის აზრით) შემთხვევაში, მკლევარი მცდარად ადადგენს მას **ჟ**¹, იგი არ არის თავშეკრული, შდრ. პალიმფსესტის **ჟ** ნიშანს. მონაკვეთის II გრაფემა ვერანაირად ვერ ჩაითვლება ანბანის №14–დ (**ს**). მას ქვედა რგოლი შეკრული აქვს და ასევე მოეპოვება ზედმეტი მარჯვნივ მიმართული ხაზი, შდრ. პალიმფსესტის **ს**.²

ალბანურ ლექციონარში (სინურ პალიმფსესტში) ხშირად გვხვდება „კეთება“ ზმნის აღმნიშვნელი ესა თუ ის ფორმები. შეგვიძლია დავასახელოთ: **ბიჟ-ა** (აწმყო – შდრ. უდ. აწმყოს მაწარმოებელი -ა; ბეს-ა-ნე „აკეთებს“); **ბიჟ-აჟ**, **ბიჟ-ე**, **ბიჟ-აჟნ** (ეს ფორმები ნამყო დროს გამოხატავს ჩვენი აზრით, პირველი ფორმა ნამყო უწყვეტელი [იმპერფექტი] უნდა იყოს, მეორე ნამყო [პერფექტი], ხოლო მესამე აორისტი; შდრ. უდ. იმპერფექტის მაწარმოებელი -ა-ჟ/-ა-ი – ბეს-ა-ნე-ჟ “აკეთებდა”, პერფექტის მაწარმოებელი -ე – ბ-ე-ნე “გააკეთა”, ხოლო აორისტის -ი – ბ-ი-ნე “აკეთათა”); **ბიჟ-ან** (ბრძანებითის ფორმა; შდრ. უდ. ბრძანებითის მაწარმოებელი -ა; ბ-ა „გააკეთე“).

ამ ფორმების ერთმანეთთან შეპირისპირებით დგინდება, რომ ამ ზმნის ფუძე უნდა იყოს **ბიჟ**. ამასვე მოწმობს მარტივ მაწარმოებლიანი მასდარის, ანუ *მასდარი I*-ის ფორმა, რომელიც დავადასტურეთ ზმნურ კომპოზიტში ბუყანა-ბიჟ-ეს-ა „შეყვარება“, ზედმიწ. **ბუყანა** “სურვილის (საფიქრებელია, რომ ეს აბსოლუტივის ფორმაა) კეთება”–მიც.; შდრ. უდ. **ბუყ-ეს** „ყვარება“, „სურვილი“ და **ბ-ეს-ა[ხ]** „კეთება”–მიც. (**ეს**- მასდარი I-ის მაწარმოებელია კავკასიის ალბანურსა და უდიურში). ამ ზმნის მასდარის სრული, ანუ რთულმაწარმოებლიანი ფორმა (*მასდარი II*) ვერ დავიმოწმეთ, თუმცა, სხვა ზმნათა ჩვენების მიხედვით, უნდა იყოს ***ბიჟ-ეს-უნ**.

¹ Муравьев С. Н., Три этюда по кавказско-албанской (алуанской) письменности, Ежегодник иберийско-кавказского языкознания, т. VIII, Тбилиси, 1981, 278.

² შდრ. ამ შანდალზე პორიზონტალურ წრეზე გამოსახულ №2 ნიშანს; იხ. სურათი.

ამ ფუძის დაშლაც, როგორც ჩანს, შესაძლებელია. ევგ. ჯეირანიშვილმა უდიურში გამოავლინა თავიკიდური უფუნქციო, ზმნის ძირთან შეზრდილ ელემენტთა მთელი წყება, კერძოდ: ა-, ე-, უ-, უჲ-, ბა-, ბი-, ბო-, ბოჲ-, ბუჲ- და სხვა¹. ეს ელემენტები, ევგ. ჯეირანიშვილის აზრით, გრამატიკული კლას-კატეგორის გაქვევებული ფორმანტები უნდა იყოს².

ჩვენ ხელთ არსებულ ალბანურ მასალაზე დაყრდნობით, ევგ. ჯეირანიშვილის მიერ წარმოდგენილ კლასის ფორმანტთა სიას შეგვიძლია მივუმატოთ ვა-, თ-, ძა- აფიქსები).

კავკასიის ალბანურის ამოკითხული მასალის საფუძველზე, ალბანურში კლასის ფორმანტთა განაწილების სქემა შეგვიძლია ასეთი სახით წარმოვიდგინოთ³

I კლასისა (მამაკაცის) *ვ > ვა ფონეტიკური ვარიანტებით: თ < *ვა, უ < *ვე, უჲ < *ვეჲ ...

II კლასისა (ქალის)?

III კლასისა (ნივთის) *ბ გახმოვანებით: ბა, ბი, ბო, ბოჲ, ბუ, ბუჲ...

IV კლასი?⁴

მრავლობითში?

ბუნებრივია, ეს სქემა სრული არ არის (I და III კლასების მიმართებაშიც) და გრამატიკული კლასების საკითხიც ალბანურში საკვლევიია.

აქედან გამომდინარე, განხილული ზმნის ფუძე უნდა დაიშალოს შემდეგნაირად: ბი-ჲ, სადაც ბი- კლასის პრეფიქსი უნდა იყოს⁵; შდრ. ლეზგიურის განუსაზღვრელი კილოს ფორმა იჲ-ზ „კეთება“. ლეზგიურში ამ ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება „კეთება“ ზმნის დრო-კილოთა უმრავლესობა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მასდარში სხვა ფუძე გვაქვს – აგ-უნ „კეთება“. საფიქრებელია, რომ კავკასიის ალბანურშიც „კეთება“ ზმნის დრო-კილოთა ნაწილი სუპლექტური ფორმებით იწარმოებოდა. ალბანურ ლექციონარში დავიმოწმეთ ფორმა ბა-ლა, რომელიც, სავარაუდოდ, განხილული ზმნის მყოფადი უნდა იყოს; შდრ. უდიური ბა-ლ-ლე < ბა-ლ-ნე „გააკეთებს“ (-ალ მყოფადი I-ის მაწარმოებელია უდიურსა და კავკასიის ალბანურში).

წარწერის წარმოდგენილი ფორმა იბი, ჩვენი აზრით, ნამყოს მიმღეობაა. იბერიულ-კავკასიურ ენებში, სადაც კლას-კატეგორია განირჩევა, კლასის ფორმანტი მიმღეობაში სუფიქსის სახითაც გვხვდება. ასეთივე

¹ ევგ. ჯეირანიშვილი, უდიური ენა. გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი, თბილისი, 1971, 112-113.

² ეჭვი გვეპარება, რომ ა- და ე- პრეფიქსები კლასის ფორმანტები იყო.

³ ალბანურ პალიმფსესტში, საფიქრებელია, რომ ზმნას ახასიათებს კლასოვანი უღვლილება.

⁴ ოთხკლასოვან სისტემას საერთოლექზიურისა და საერთოდადესტურის მორფოლოგიურ სტრუქტურათა რეკონსტრუქციების საფუძველზე ვვარაუდობთ.

⁵ ამ ზმნის კლასების მიხედვით ცვლის შემთხვევები ვერ დავიმოწმეთ.

ვითარება უნდა გვქონოდა კავკასიის ალბანურშიც – ბი-ე-ეს „კეთება“ – ი-ბი < *ე-ი-ბი „მკეთებელი“ (წარს.) „ნაკეთები“¹.

ლაზურსა და მეგრულში მორფემის ფარგლებში თითოეულ პოზიციაში დასაშვებ თანხმოვან ფონემათა რიგი მკაცრად არის განსაზღვრული: პირველი **a** პოზიციაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხოლოდ სონანტები **მ-ნ-რ**; მეორე **b** პოზიციაში ანტერიორული რიგის თანხმოვნები: **ბ-ფ-პ, დ-თ-ტ, ძ-ც-წ, ჯ-ჩ-ჭ-ზ-ს-ჟშ**; მესამე **c** პოზიციაში პოსტერიორული რიგის თანხმოვნები: **გ-ქ-კ, ღ-ხ-ყ**; მეოთხე **d** პოზიციაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ფონემა **ვ**; უფრო დაბალი რიგის სამ- და ორწევრიანი ჯგუფები მიიღება **a-b-c-d** მიმდევრობიდან ერთი ან ორი წევრის ამოღე-

ბით. რიგების აღრევა დაუშვებელია (იხ. ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე, თანხმოდანთ კომპლექსები მეგრულში, თსუ კრებული „აკაკი შანიძე“, თბ., 1981; ნ. ქუთელია, ლაზურის ფონემატური სტრუქტურა, თსუ, 2005).

წინამდებარე გამოკვლევა ეხება ლაზური ვოკალური სისტემის დიაქრონიულ ტრანსფორმაციას. ვოკალურმა სისტემამ ლაზურში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა როგორც ფონემათა ინვენტარის თვალსაზრისით, ისე მისი პარადიგმატულ და სინტაგმატურ მიმართებათა თვალსაზრისით. ლაზური ვოკალური სისტემა გართულდა ქართულთან და მეგრულთან შედარებით; მარტივი ხმოვნების გვერდით ჩამოყალიბდა პალატილიზებული ხმოვნები, რომლებიც მეორეული წარმოშობისანი არიან. პალატილიზებულ ხმოვნებს პირველად აკად. ნ. მარმა მიაქცია ყურადღება (Март. Н, Грамматика чанского (лазского) языка, С-Пб, 1910) და გრაფიკულად უმლაუტის ნიშნით გამოხატა: ო, უ; უმლაუტის ნიშნით გადმოგვცემს ამ ბგერებს ი. ყიფშიძე თავის ჩხალურ ტექსტებში. პალატილიზებულ ხმოვნებს გრაფიკულად უმლაუტის ნიშნით გადმოგვცემს ჟ. დიუმეზილი არქაბულ ტექსტებში. ადრე მე ისინი გამოვხატე **ა-აე-აო-აუ** ნიშნით თუმცა ამჟამად გაუმართლებლად მიმაჩნია, ვინაიდან **ა** – დამოუკიდებელი ფონემაა და რიგ შემთხვევებში შეიძლება გაუგებრობა გამოიწვიოს, მაგ. ისეთ ფორმაში როგორიცაა ატტოფუ „უყიდა“. ვოკალური ელემენტები **ა-ე-ო-უ** ლაზურში ფუნქციონირებენ და ზმურ პარადიგმებში კორელაციურ ოპოზიციებს ქმნიან:

ა ~ აე

გაძიცინუ (გაეცინა) ~ გაძიცინუ „დასცინა“

გალუ (გაელა, სიარული) ~ გალუ „ჩასვლა“

ო ~ ოე

გონთხუ „გაჭიმა“ ~ გონთხუ „ჩაარტყა, ჩასცხო“;

გოთუ „შეახვია, შემოახვია“ ~ გოთხუ „დააფარა“;

გოკითხუ „კითხა, გამოკითხა“ ~ გოკითხუ „შეაგინა“;

უ ~ უე

გულუნ „სიარული“ ~ გულუნ „ჩამოსვლა“;

უზდი „მოუჭირე“ ~ უზდი „აიღე“

ქართველურ ენათა სიტყვის სტრუქტურა ძირითადად სხვადასხვა სიდიდის კონსონანტური ჯგუფებით განისაზღვრება. ამ მხრივ თანამედროვე ლაზურში განსხვავებული ვითარება გვაქვს – აქ წარმოდგენილია ორ-, სამ-, ოთხ- და ხუთ- წევრიანი ვოკალური ჯგუფები; წარმოთქმაში გვაქვს უკონსონანტო ჯგუფებიც, რაც პალატილიზაციის ტენდენციის მოქმედების სრული შეუზღუდავობით აიხსნება.

იოტიზაცია როგორც პალატალიზაციის მოქმედების შედეგი კანონზომიერ ხასიათს ატარებს ლაზურში **რ, ყ** ფონემების მიმართ. იოტიზაციის ტენდენციას დაექვემდებარენ აგრეთვე სხვა ცალკეული ფონემები და ფონემათა ჯგუფები: **ვ, ლ, შ, ჟ, ს, ჯ, რს, მს, ჩხ, ნჩხ...**

ლაზურში ცალკეულ ფონემათა და ფონემათა ჯგუფების იოტიზაციამ რეგულარული ხასიათი მიიღო და წარმოიქმნა რთული ვოკალური ჯგუფები როგორც ერთი მორფემის ფარგლებში, ისე მორფემათა გასაყარზე.

ქართული-ზანური მასალის გაანალიზების შედეგად შ. ძიძიგურმა დაადგინა ორწევრიანი ვოკალური ჯგუფების ABC რიგები, რომელთა ფონეტიკური სუბსტანცია გარკვეულ კანონზომიერებას ამჟღავნებს: A=ღია+ვიწრო ხმოვნები; B=ვიწრო+ღია, C=თანაბარი ღიაობის მხოვანთა კომბინაციები. ვოკალთა კომბინირების პროცესი ძირეულ მორფემაში და მორფემათა გასაყარზე სრულად არის წარმოდგენილი ჩემს მონოგრაფიაში „ლაზურის ფონემატური სტრუქტურა“, 2005. და საჭიროდ არ ჩათვალე გამემეორებინა.

ლაზურში წარმოიქმნება სამი, ოთხი და ხუთწევრიანი ვოკალურ ჯგუფები. რთულ ვოკალურ ჯგუფებს ქმნიან სრული ხმოვნები **ა-ე-ო-უ** და ნახევარხმოვნები **ჲ, ჭ, ჭ** იშვიათად რეალიზდება სამწევრიან ვოკალურ ჯგუფებში; სრულიად არ გვხვდება ოთხ- და ხუთწევრიან ჯგუფებში. სამწევრიან ვოკალურ ჯგუფში პირველი (a) და მესამე (c) პოზიცია შეიძლება დაიკავოს ნებისმიერმა სრულმა ხმოვანმა, მეორე (b) ადგილზე ყოველთვის იქნება **ჲ**, იაშვიათი გამონაკლისის სახით შეიძლება შეგვხვდეს **ი**.

ოთხწევრიანი ვოკალური ჯგუფი სამწევრიანი ჯგუფის მოდელზეა აგებული, მეოთხე (d) პოზიცია შეიძლება დაიკავონ **ა, ი|ჲ, ე** ხმოვნებმა. ოთხ- და ხუთწევრიანი ვოკალური ჯგუფები შეიძლება გამარტივდნენ და გარდაიქმნან უფრო დაბალი რიგის ხმოვანთკომპლექსებად ერთი ან ორი წევრის ამოღებით.

ისტორიულად რთლი ვოკალური ჯგუფების წარმოქმნა და ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მათი სტრუქტურული მოდელის ჩამოყალიბება მორფემის ფარგლებში და მორფემათა გასაყარზე ლაზური ფონოტაქტიკის ურთულესი პრობლემაა.

მე კვლავ ვუბრუნდები ვოკალთა პარადიგმატული სისტემის გართულებას, კერძოდ ახალი ვოკალურ ელემენტთა **ა-ჲ-რ-ჭ** წარმოქმნას ლაზურში. ვფიქრობ პალატალიზაციის მოქმედებას მიეწერება ლაზურში ვოკალური ინვენტარის შევსება **ა-ჲ-რ-ჭ** ფონემებით და შესაბამისად ფონოლოგიურ ოპოზიციათა ახალი სტრუქტურების შექმნა პარადიგმატულ მიმართებათა სისტემაში, თუმცა ასევე ისმის კითხვა: შეეხო კი ეს ცვლებები ამ სისტემის არსებით საფუძველს?! როდესაც არასამწერლო ენაში

ჩნდება ფონეტიკური ტენდენცია, ის ისეთი სისწრაფით და ინტენსივობით ვითარდება, რომ მასშტაბები ყოველგვარ ზღვარს სცილდება და მთლიანად ანგრევს ძირის სტრუქტურას (ფ. ბრუნო, ე. ბურსიე).

არსებობს მოსაზრება, რომ პლატალიზაციის პროცესს, რომელიც ლაზურში ინტენსიურად წარიმართა და შეეხო არა მარტო ცალკეულ ბგერებს, არამედ ბგერთკომპლექსებს, თურქულმა ენამ შეუწყო ხელი. ასეთი ვარაუდი დღევანდელი თვალსაზრისით შეიძლება ბუნებრივად კი მოგვეჩვენოს, მაგრამ ჯერ უნდა გავცეთ პასუხი კითხვებს: 1. როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ინტერფერენციის პროცესის დინამიკა ტრაპიზონის იმპერიაში და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ზღვისპირეთში, სადაც ლაზები (resp. ჭანები) კომპაქტურად იყვნენ განსახლებულნი და მეტყველებდნენ ჭანურად ანუ ლაზურად; 2. როდიდან და რა პირობებში განხორციელდა და ვითარდებოდა ლაზურ-თურქული ენობრივი კონტაქტები; 3. იყო კი ის ისეთი მჭიდრო და ხანგრძლივი, რომ მას არსებითი ცვლილებები შეეტანა ენის ფონოლოგიურ სისტემაში, ვინაიდან ფაქტია, რომ გამოიყოფა ახალი, მეორეული წარმოშობის ვოკალები, როგორც პარადიგმატულ მიმართებათა ერთეულები და სხვადასხვა სიდიდის ვოკალური სინტაგმები რეალურად არსებულ სტრუქტურებში, რაც უცხოა როგორც მეგრულისათვის, ისე ქართულისთვის.

ბუნებრივია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ინტენსიურ კვლევა-ძიებას საჭიროებს. აუცილებელია წინა აზიაში თურქ-სელჯუკთა მოგვიანებით კი ოსმალთა ექსპანსიის ისტორიული ფონის გათვალისწინება: როდის მოვიდნენ და დამკვიდრდნენ თურქ-სელჯუკები ლაზთა კომპაქტურად განსახლებულ ტერიტორიაზე?! ეს საკითხი მოითხოვს გეოგრაფიულ-პოლიტიკური და ეთნიკური ნომენკლატურის შესწავლას „დიდი კომინების იმპერიაში“, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი არაბი, სპარსი და თურქი ქრონისტების აღწერილობით „ლაზები, ჭანები და სხვა ქართველური ტომები არიან“. „დიდი კომინების იმპერიაში“ არსებული ენობრივი სიტუაციის არაადეკვატური ინტერპრეტაცია ხელს შეუშლის სწორად განისაზღვროს ქართველურ ენა-კილოთა განვითარების გზები და ინტერფერენციის პროცესის დინამიკა, რაც თავის მხრივ შეაფერხებს ქართველთა ენა-კილოების ისტორიული განვითარების შედეგების ლინგვისტურ კვალიფიკაციას და სისტემატიზაციას ენობრივი იერარქიის სხვადასხვა დონეზე.

ისტორიული ფონი ასეთია: მოგვიანებით ლაზური მეტყველება ვითარდება ტრაპიზონის იმპერიის ფარგლებში XIII-XV სს. ქარველურ ენა-კილოების გარემოცვაში. სელჯუკთა არმიამ ორჯერ (1205-1230) მიიტანა იერიში ტრაპიზონზე, მაგრამ ქალაქი ვერ აიღო. განსაკუთრებულ როლს ტრაპიზონის იმპერიის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში თამაშობდნენ ადგილობრივი ქართველური წარმოშობის დიდებულნი და მათი მრავალრიცხოვანი საგვარეულონი.

ბიზანტიელი ავტორი – გეორგი პაქიმერი, თანამედროვეობის ცნობილი ინგლისელი ბიზანტინისტი ენტონი ბრაიერი, XVIII საუკ. თურქი ისტორიკოსები ქათიბ ჩელები და ევლია ჩელები აღნიშნავენ, რომ ტრაპიზონის იმპერიის ძირითად მოსახლეობას ლაზები შეადგენდნენ. ასევე სხვა მუსლიმი ქრონისტები ტრაპიზონს მოიხსენიებენ როგორც „ლაზიკის ქალაქს“. არაბი გეოგრაფი აბუ ალ-ფიდა (1273-1331) ტრაპიზონს უწოდებს „ლაზების დიდ საპორტო ქალაქს“. ე. ბრაიერის აზრით ლაზები XIII საუკუნეში (1204 წ.) მკვიდრად იყვნენ დასახლებულნი ტრაპიზონის იმპერიაში, სადაც ჩამოყალიბდა კიდევ ადმინისტრაციული ერთეული – თემა „დიდი ლაზეთი“, რომელიც იწყებოდა ათინადან და მოდიოდა საქართველოს საზღვრებამდე (A. Bryer, Some Notes on the Laz and the Tran. Bedi Kartlisa, Paris 1976; Э. Жордания, Этнический состав населения Понта XIII-XV вв. часть 1: Лазы, Byzantinistika L, VII, 1996). ბიზანტინისტ რუსტამ შუქუროვს მართლია მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის „დიდი კომნიენების იმპერიის“ შესწავლაში, მაგრამ ვერ დავეთანხმები იმ მოსაზრებაში, რომ ტრაპიზონის იმპერიაში „...вторым по численности этносом был картвельский, представленный лазами и чанами, двумя чрезвычайно близкими друг к другу народами, населявшими восточную половину империи – возможно, часть Мацуки, области Сирмены, Ризеона, Лазики, а в глубь материка – восток Хермианы... Не исключено, что в составе Трапезундской империи были и другие этнические или скорее, это этно-территориальные ополчения. Так, Панарет упоминает „лазские отряды“ (P. M. Шукуров, Великие Комнены и Восток (1204-1561), Санкт-Петербург, ст. 53, 59)“. არანაკლებ საინტერესოა ტრაპიზონის იმპერიის სამხედრო ორგანიზაციის შესახებ არსებული ინფორმაცია ბერძენ და მუსლიმ ქრონისტებთან. ენტონი ბრაიერის მიხედვით ტრაპიზონის იმპერია დაყოფილი იყო სამხედრო-ადმინისტრაციული ქვეგანყოფილებად – ბანდონებად (βάνδον). ბანდონები არსებობდნენ იმპერიის სხვადასხვა ტერიტორიაზე: ტრაპიზონი, ტრიკომია, მაცუკა, პალეომაცუკა, გემორა, სირმენა, რიზენა. ეს ის ადგილებია, სადაც მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ლაზებია. იმპერიის მთიანეთი მოფენილი იყო ციხესიმაგრეებით, რომელთა მიმართ ქრონისტები ხმარობდნენ ტოპონიმებს: „ჭანისი“, „ჯანისი“, „ჩანისი“, „წანისი“ – ცხადია იქ ჭანთა ანუ ლაზთა ბანდონები იდგნენ. ე. ბრაიერს მიაჩნია, რომ „... оборонительную организацию Трапезундской империи в основном определяли чанские подразделения благодаря их воинственности. „Они обеспечивали Трапезундскую империю воинами, храбрыми как львы, которые никогда не молились за беглецов“ (რ. შუქუროვი, ე. ბრაიერი – დასახელებული შრომები).

ასე, რომ ტრაპიზონის იმპერიის ძირითადი, მკვიდრი მოსახლეობა ქართველური ტომებია, დომინირებს ლაზები ანუ ჭანები. რაც შეეხება ბერძნულ მოსახლეობას ისინი კოლონისტები იყვნენ, რომლებიც მოვიდნენ უკვე მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიაზე, სადაც ძირითადი მოსახლეობა ქართველთა მოღმის იყო და მსოფლიოში სახელი ქონდათ

განთქმული ლითონის დამუშავების ხელობით და ზღვაოსნობის განვითარებით (იხ. გ. გოხელიშვილი, მითრიდატე პონტოელი, თბ., 1965).

ისტორიული ფონი ასეთია: სულჯუკები არ ყოფილან ლაზეთში და არც ოსმალები დამკვიდრებულან ერთბაშად. ოსმალები ლაზეთში ბევრჯერ შეიჭრნენ და სამხედრო ოპერაციებსაც წარმატებით ანხორციელებდნენ, მაგრამ ფეხს ვერ იკიდებდნენ – ლაზები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ და ამარცხებდნენ. XVII საუკუნის მიწურულს ლაზეთში გაბატონდა ისლამი, თუმცა სერიოზული პოლიტიკური ბრძოლები მერვეც გრძელდებოდა. „ლაზი ხალხის ბრძოლას ოსმალების წინააღმდეგ სათავეში ედგა ჭანიკის ფეოდალური საგვარეულოს თავკაცი „ხვანთქრის რისხვად“ წოდებული ჯანიკლი ალი-ფაშა და მისი შვილი ბათალი-ბეი.

ჯანიკლი (resp. ჭანიკლი) ალი-ფაშა ლაზისტანს განაგებდა 1749-1785 წლებში. მას ემორჩილებოდა ოთხი სანჯაყი (სადროშო) და სამოცი მაზრი. ეს იყო უზარმაზარი ტერიტორია მსოფლიოში განთქმული უძველესი ქალაქებით: ტრაპიზონი, სინოპი, არზრუმი, ამაზია... ჯანიკის (ჭანიკის) ტერიტორიაში შედიოდა კუმჯულაზის რეიდსა და ყიზილერმაკის შესართავთან ახლოს სამსუნის ყურეს შორის მდებარე თემისკირის ქვეყანა (დ. ჯანელიძე „ლაზთა ბელადი“, 1984, გვ. 118). ბიზანტიისტი ერეკლე უორდანიას წერს: "Трапезунд пал в 1461 г., но лазы остались независимыми. Лазистан считался турецкой провинцией, но власть султана здесь была номинальной и распространялась лишь на побережье. Лазы были обращены в ислам примерно после 1580 г., сохраняли свою автономию до 40-ых гг. XIX в. под властью своих бегов, которые управляли своими землями из своих горных крепостей. Персидский историк XVII века Искандер Мунш в своем произведении "История Шах-Аббаса Великого" рассказывая о дипломатических контактах с разными христианскими государствами и правителями, отмечает: "Среди этих правителей были и христианские правители: Лазики, Германии, Франции, Англии, Голландии, Португалии и Испании..." М. Сейвор, комментируя это сведение Искандера Мунша, отмечает, что "... посольство лазов в Сефевидский Иран свидетельствует о виртуальной автономии лазских правителей в XVII в. (Э. Жордания, Этнический состав населения Понта в XIII-XV вв., часть 1: Лазы, Byzantinoslavica, L, VII 1997, ст. 58)".

როგორც უკვე ვთქვე სულჯუკები ლაზეთში არ ყოფილან, მოგვიანებით თურქ-ოსმალების სამხედრო გარნიზონები შემოვიდნენ ლაზისტანში და იცვლებოდნენ წელიწადში ორჯერ. ენობრივი კონტაქტები მკვიდრ მოსახლეობასთან იშვიათად ან სულაც არ იყო. ბილინგვიზმი გვიან, ათათურქის ხანიდან იწყება. ამ ფონზე შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ისეთმა გამძლე იერარქიულმა დონემ ენისა, როგორც არის ფონოლოგიური სისტემა ასეთი ძლიერი სხვაობა მოგცა მეგრულთან ვოკალთა სისტემის თვალსაზრისით?!

Н. К у т е л и а (Тбилиси)

Ареальные контакты и вопросы диахронической трансформации вокальной системы в колхском (мегрельско-лазском) языке

Распад общекартвельского языка положил начало возникновению языковых единиц, которые приобрели в дальнейшем форму исторически засвидетельствованных картвельских диалектов. На раннем этапе распада общекартвельского языкового единства сванский, согласно Г. Деетерсу, выделился как самостоятельная единица, в противоположность грузинско-занскому языковому единству. К более позднему этапу относится выделение грузинского и занского (мегрельско-лазского). К наиболее позднему этапу надо относить распад занской (resp. колхской) языковой общности, и тем самым, возникновение и обособленное развитие мегрельского и лазского диалектов. Причиной распада колхского языкового единства послужили культурно-исторические факторы. В начале новой эры картвельские племена – лазы и мегрелы, в исторической традиции именуемые колхами, всё ещё сохраняли территориальную целостность, нарушение которой относится, предположительно, к V-VIII вв. (И. А. Джавахишвили). Дальнейшее развитие исторических событий привело к их полной языковой изоляции.

Несмотря на полную изоляцию от ареала распространения других картвельских языковых единиц, лазский сохраняет удивительное сходство с ними с точки зрения фонемного инвентаря и парадигматических отношений, значительно расходясь в правилах синтагматической сочетаемости.

Фонологическую структуру языка во многом определяют фонетические явления, имеющие место в процессе развития любой языковой единицы. Фонетические тенденции и так называемые „фонетические законы“, правила фонотактики сочетаемости фонем определяют фонетическую организацию звуковой системы языка и формируют в конечном итоге фонологическую модель языка. Совокупность и хронологическое единение фонетических и фонологических аспектов определяют фонологическую структуру языка в целом. Фонетическая эволюция и структура языка как взаимодействующие и взаимообусловленные явления (А. Мартине) определили единовременность процессов дифференциации мегрельско-лазской языковой общности и интеграции мегрельского и лазского как обособленных диалектов.

Мегрельско-лазская фонологическая структура развивалась согласно законам внутри языка и рассматривается нами, в основном, как результат исторически действующих процессов палатализации, дефарингализации, глоттализации и соноризации. Все эти тенденции выходят за пределы комбинаторной интерпретации и являются глобальными для языка, ибо обусловлены самой структурой языка.

В начале же хочу заверить: правила фонотактики сочетаемости согласных фонем и определение канонических форм синтагматической сочетаемости компонентов в мегрельском, установленные Т. Гамкрелидзе- Т. Гудава, абсолютно совпадают с итогами моих исследований в лазском – **фонологическая структура консонантов в мегрельском и лазском идентична. Проанализированный материал выявил основную структурную особенность: занская (resp. колхская) корневая морфема преимущественно децессивного строя.** Согласно теории Г. Ахвледиани, существует общеструктурное правило, подразумевающее образование децессивных комплексов как естественных. Разумеется это не означает, что в языке не могут существовать акцессивные группы. Акцессивные комплексы в языке имеются, порой даже образуются из децессивных групп.

Основные канонические формы консонантных групп в мегрельском и лазском определяются структурами:

лазский	мегрельский
$S_mCCC_v - S_nCCC_v$	$S_rCCC_v - S_nCCC_v$
$S_mCC - S_nCC$	$S_rCC - S_nCC$
$S_mCC_v - S_nCC_v$	$S_rCC_v - S_nCC_v$
$CCC_v; S_rCC;$	CCC_v
$S_mC; S_nC; S_mC_v; S_nC_v; CC; CC_v$	$S_rC; S_nC; CC; CC_v$

Самой крупной единицей контактной сочетаемости является четырёхчленный комплекс. Все иные группы более низкого разряда складываются из той же последовательности путём изъятия одного или двух членов, причём в колхском (мегрельско-лазском) действует структурное правило, запрещающее смещение рядов.

Однако тема моего исследования – лазский вокализм и его диахроническая трансформация. Вокальная система гласных претерпела наиболее существенные преобразования, что повлекло за собой значительное отдаление от вокализма мегрельского и грузинского как по составу фонемных единиц, так и по их парадигматической и синтагматической структурам.

Основным источником осложнения системы лазского вокализма был процесс палатализации с её последствиями: 1. закономерное превращение фонем $r-q'>j$; 2. йотирование отдельных фонем и групп фонем; 3. редукция ауслата путём йотирования; 4. палатализация вокального анлаута; 5. превращение первичных глас-

ных в палатализованные ä-ö-ë-ï.

Палатализованные гласные в лазском имеют вторичное происхождение. Физико-акустические свойства палатализованного гласного иногда становятся предметом спора среди специалистов. В ряде случаев палатализованный звук воспринимается как механическая сумма его первоначальной артикуляции и действия средней части языка относительно центра палатума.

Палатализованный звук есть качественно совершенно новый звук, артикуляция которого не сводится к механической сумме первоначальной и палатальной артикуляций. Палатализация, как вторичная артикуляция, меняет и первичные физико-акустические свойства данного звука. Артикуляция любого палатализованного звука в большей или меньшей степени стремится к центру палатума. Соответственно меняется и первоначальное место произношения звука. Возьмем, к примеру, русские палатализованные согласные звуки. При произношении обычного, непалатализованного Л кончик языка касается зубов, тогда как произнося палатализованный Л', передняя часть языка смыкается с альвеолами. В этом случае место произношения палатализованного звука довольно значительно удалено от его первоначального артикуляционного центра: Л и Л' различаются между собой как в физико-акустическом, так и функциональном отношениях (Шахматов, 1901; Бондарко, 1966, с. 394 и сл.).

То же самое можно утверждать и относительно лазских палатализованных гласных. никоим образом нельзя представлять себе дело так, якобы палатализованные гласные лазского являются механической смесью полугласного j и простых гласных. Исторически эти гласные получены в результате непосредственного соседства полугласного с гласными а-э-о-и. Позиционная палатализация со временем превратилась в факт фонологической значимости. В настоящее время палатализованные гласные лазского языка не подлежат расчленению на т.н. составные части, также как нельзя расчленять аффрикаты, сложные гласные русского языка (я-е-ё-ю), умляютные гласные в немецком и французские назальные гласные. Палатализованный гласный в лазском один звук, хотя, конечно и сложный, но все же один, как в физико-акустическом, так и в функциональном отношении.

На существование палатализованных гласных в лазском первым обратил внимание академик Н. Я. Марр (Марр, 1910, с. 10). В таблицах, где Н.Я. Марр представляет лазский алфавит, палатализованные о и и графически изображены со знаком умляута: ö и ü. Со знаком умляута изображает эти звуки и И. Кипшидзе (1911, 17). Также со знаком умляута изображает палатализованные гласные Ж. Дюмезиль в своих текстах: **k'öči oxo-mušše moxtu-ši iyis na yüč'opu šeyere komeču** (Dumézil, 1967, 57₂₇). „Человек, вернувшись в свой дом, отдал всем все, что было куплено для них“; **penjeres k'ama gyüsu** (Dumézil, 1967, 57/36). „По окну резанул саблей“. Эти формы особенно примечательны, ибо в них ü непосредственно следует за y¹.

¹ Полугласный йот (j) у G/ Dumézil обозначается графемой y.

В итоге в лазском образовались вокалические элементы ä-ë-ö-ü . Они функционируют в коррелятивных оппозициях:

o ~ ä

gazicinu „засмеялся“ ~ gäzicinu „надсмехался“;

galu „ходить, идти“ ~ gälu „спускаться вниз“;

o ~ ö

gontxu „растянул“ ~ göntxu „ударил, треснул“;

gotu „завернул“ ~ götu „накрыл сверху“;

gok'itxu „спросил, выспрашивал“ ~ gök'itxu „выругал“;

u ~ ü

gulup „ходит“ ~ gügup „спускается“

uzdi! „сожми!“ ~ üzdi! „подыми!“

Основную отличительную особенность структуры слова картвельских языков составляют консонантные группы, однако современный лазский в этом отношении проявляет своеобразие: в нем представлены вокальные группы, состоящие из двух, трех, четырех и пяти членов; имеются даже бесконсонантные группы, слова, в которых нет ни одного согласного. Подобное скопление гласных чуждо картвельским языкам.

Создание сложных вокальных групп в лазском обусловлено в основном сильной тенденцией к палатализации, вызвавшей вокализацию отдельных фонем и комплексов фонем путем их иотизации.

Иотизация носит закономерный характер в случае с фонемами **г, г'**. Тенденции к иотизации подвержены также отдельные фонемы и группы фонем – **в, л, ш, ж, с, ж, rs, ms, чх, нчх...**

Тенденция к палатализации в атинском диалекте настолько сильна, что в позиции ауслота происходит иотизация целой группы фонем. В результате произошла редукция ауслота /см. Чикобава, 1936, с. 28-29/ путем иотизации, способствовавшей со своей стороны дифтонгизации ауслота. Иотизация отдельных фонем и групп фонем в лазском приняла регулярный характер, и возникли сложные вокальные группы как в пределах одной морфемы, так и на стыке морфем.

В результате анализа грузино-занского (колхского) материала Ш. Дзидзигури установил три класса соединений двучленных вокальных групп **А, В, С**, проявляющих определенную фонетическую закономерность: в классе **А** представлена последовательность гласных „открытый + закрытый“, в классе **В** – последовательность „закрытый + открытый“, а в классе **С** – сочетаются гласные одинакового раствора /см. Дзидзигури ИКЯ, 1946, с. 19 и сл./ Установленная Ш. Дзидзигури модель двучленных вокальных групп полностью соответствует структуре двучленных групп и в лазском. Мы попытаемся представить двучленные комбинации вокальных согласно этой модели.

Гласные полного образования. В комплексах класса **А** при сочетании гласных в пределах одной морфемы в основном соблюдается принцип последователь-

ности открытый + закрытый. В частности, в случае двух гласных полного образования первый из них более открытый, чем второй. В такие группы объединяются в основном гетероганнные гласные, хотя имеются и сочетания гомоганнных гласных полного образования, причем принцип последовательности открытый + закрытый также сохраняется.

Двучленные вокальные группы в пределах одной морфемы и на стыке морфем реализуются по-разному: 1. сохраняют полногласие; 2. превращаются в дифтонги; 3. дают долгий гласный.

Реализацию группы из двух гласных полного образования в пределах одной морфемы в лазском следует, по-видимому, считать вторичным, т.е. поздним образованием. Возникновению таких комплексов способствовало выпадение гласных в интервокальной позиции, причем обращает на себя внимание то, что чаще всего выпадают антериорные звуки и исторически фарингальный!

Комплексы гласных класса **A** в пределах одной морфемы реализуются главным образом за счет выпадения согласных. В именных формах при соединении гласных корневой основы и аффикса двучленные комплексы также не упрощаются. На стыке морфем в глагольных формах с превербами комплексы гласных упрощаются: 1. При соединении гласных среднего и заднего рядов путем неполного исчезновения одного из гласных, причем чаще выпадает предшествующий гласный, если он более широкого раствора, чем последующий; 2. Если первым компонентом комплекса является палатальный гласный (**e**), то он не исчезает бесследно – вызывает палатализацию последующего гласного. Предварительным условием упрощения вокальных комплексов в превербных формах глаголов Арн. Чикобава и Ш. Дзидзигури считают процесс регрессивной ассимиляции, подразумевая, что происходит полная ассимиляция и затем утеря второго компонента.

Вокальные комплексы класса **A** при наличии палатальных гласных **e**, **i** в качестве первого компонента в пределах одной морфемы и в позиции ауслота претерпевают дифтонгизацию; на стыке же двух морфем в превербных формах глаголов дифтонгизации не происходит, но теряется первый компонент при сохранении полногласия второго; если же выпадает второй компонент, сохраняется первый.

Реализация двучленных вокальных комплексов класса **B** происходит в пределах одной морфемы и на стыке морфем в основном за счет выпадения согласного. На реализацию комплексов этого класса налагаются определенные ограничения: одни из этих комплексов встречаются только в превербных формах глаголов и могут упрощаться, другие же, наоборот, никогда не образуются в глаголах с превербами (таковы: **ua||wa**, **ue||we**, **uo**, **io**, **ia**); если вокальный комплекс класса **B** начинается гласным **u**, он часто преобразуется в полугласный **w**. Если комплекс класса **B** находится на стыке морфем, и его первым компонентом является палатальный гласный (**e**, **i**), он преобразуется в полугласный **j**, который, в свою очередь, вызывает палатализацию последующего гласного.

В лазском образовались трех-, четырех- и пятичленные вокальные комплексы. Сложные комплексы создают гласные полного образования **a-e-i-o-u** и полугласные **j-w**. Полугласный **w** редко реализуется в трехчленных группах и совершенно не встречается в четырех- и пятичленных.

Обозначим последовательность вокальных в группе символами **a-b-c-d-e**, где **a** означает первую позицию, **b** – вторую, **c** – третью, **d** – четвертую, **e** – пятую.

Трехчленные вокальные группы

Трехчленные вокальные группы возникают как в пределах одной морфемы, так и на стыке морфем. Три гласных полного образования в непосредственной близости в пределах одной морфемы относятся к числу редко реализуемых вокальных комплексов.

В пределах одной морфемы позицию в трехчленной вокальной группе может занимать гласный полного образования **a-э-i-o-u**, в позиции **b** может быть представлен только полугласный **j**, а в позиции **c** – гласные **a-e-i**. На стыке морфем позицию **c** могут занять **o, u**. Лабиовелярные гласные в пределах одной морфемы могут занять только позицию **a**. Такая последовательность гласных в трехчленных вокальных комплексах канонична для лазского.

В трехчленных вокальных группах первую и третью позиции может занять любой из гласных полного образования, на второй же позиции всегда будет – **j**, в виде исключения может образоваться **i**.

В пределах одной морфемы в позиции в трехчленном вокальном комплексе могут находиться гласные **a-e-i**, на стыке же морфем эту позицию могут занимать только **o-u**. Если позицию **a** в трехчленной вокальной группе занимает полугласный **w**, тогда в позиции **b** могут находиться только гласные **a, e**. Это канонические комбинации вокалов. Трехчленные вокальные группы иной дистрибуции не существуют в лазском.

Трехчленный вокальный комплекс не что иное, как двучленная вокальная группа структуры **ABC**, компоненты которой разделены полугласным. В классе **C** полугласный **j** соответственно займет позицию между гоморганными и гетерорганными гласными одинакового раствора; в классе **A** – позицию между вокалами последовательности открытый + закрытый, а классе **B j** займет место между гласными последовательности закрытый + открытый. Трехчленные вокальные комплексы в лазском упрощаются, преобразуясь в ряд двучленных групп классов **ABC**, спорадически трехчленный комплекс может превратиться и в один гласный.

В лазском имеются четырех- и пятичленные вокальные группы.

В пятичленных вокальных группах строго соблюдается следующее правило последовательности гласных: позицию **a** могут занимать только **a-i**; в позиции **b** представлен только **j**, в позиции **c** – **a, э, i**; в позиции **d** – **j|i**; последнюю позицию **e** может занимать только **i**.

Четырех- и пятичленные вокальные группы могут упроститься и преобразоваться в группу более низкого разряда путем выпадения одного или двух членов.

В словах, содержащих четырех- и пятичленные вокальные комплексы, почти никогда не встречаются консонантные группы. При реализации трехчленного вокального комплекса в слове может быть представлена двучленная группа назальных согласных.

Как видим, в лазском не так уж и редки бесконсонантные лексические единицы – слова, состоящие из одних гласных фонем.

Бесконсонантные группы в основном создают те слова из собственно лазской и заимствованной извне лексики, в которых в качестве консонантов выступают фонемы **r, q'**. Именно вокализация указанных согласных обуславливает создание бесконсонантных вокальных групп.

Исторически возникновение сложных вокальных групп и на современном этапе развития языка – формирование их структурной модели в пределах одной морфемы и на стыке морфем – сложнейшая проблема лазской фонотактики, решение которой требует скрупулезного изучения. Представленная нами модель вокальных комплексов первая такая попытка и, конечно, не застрахована от ошибок.

Далее я возвращаюсь к вопросу об усложнении парадигматической системы лазского вокализма элементами **ä-ë-ö-ü**.

Предполагают, что они возникли на почве влияния турецкого языка, с чем я не согласна. Перед лингвистами стоит серьезная задача – выяснить динамику процесса языковых контактов, которые зависят в конечном счете от социально-исторических условий.

Лазский язык развивался на территории Трапезундской империи в пределах XIII-XV вв. в области распространения картвельских диалектов.

Нельзя не согласиться с известным исследователем Трапезундской империи Р. М. Шукуровым, что вплоть до первой трети XIX в. о Трапезундской империи почти ничего не было известно достоверно. Относительная неудача первых историков, исследующих Трапезундскую империю XVII-XVIII вв. была связана с тем обстоятельством, что базовые источники по истории империи тогда еще не были открыты, существующие ранее источники были весьма скудные, если не сказать больше (Н. К.). Советской историографии, а в частности и грузинской, были недоступны многочисленные материалы на арабском, персидском и турецком языках.

Ныне наши знания значительно обогатились благодаря крупнейшим ученым Запада (А. Вугер) и замечательной московской школе византистов во главе с С.П. Карповым, ибо при анализе материала исследователи в соответствии с традициями медиевистической школы МГУ придерживаются метода комплексного подхода.

Сельджукская армия дважды (1205-1230 гг.) осаждала Трапезунд, но взять город не смогла. Особую роль в политической и социальной структуре Трапезундской империи играла местная родовая знать картвельского происхождения.

Византийский автор – Георгий Пахимер, крупнейший английский византинолог современности А. Брайер, турецкие историки XVIII в. Катиб Челеби и Эвлия Челеби отмечают, что основное население Трапезундской империи состояло из

лазов. Также мусульманские хронисты часто Трапезунд называют „город Лазики“. Арабский географ Абу ал-Фида (1273-1331) называет Трапезунд большим портом лазов. По мнению А. Брайера, лазы с начала XIII в. (1204 г.) твердо осели на территории Трапезундской империи, где и была образована административная единица – фема Великая Лазия, которая начиналась с Атины и доходила до границ Грузии (А. Bryer. *Some Notes on the Laz and the Tzan. Bedi Kartlisa*, Paris, 1976; Э. Жордания, *Этнический состав населения Понта XIII-XV вв. часть 1: Лазы, Byzantinoslavica L, VII, 1996*).

По мнению Р.М. Шукурова в Трапезундской империи „вторым по численности этносом был картвельский, представленный лазами и чанами, двумя чрезвычайно близкими друг к другу народами, населявшими восточную половину империи – возможно, часть Мацуки, области Сирмены, Ризеона, Лазики, а в глубь материка – восток Хермианы... Не исключено, что в составе Трапезундской империи были и другие этнические или скорее, это этно-территориальные ополчения. Так, Панарет упоминает „лазские отряды“ (Р. М. Шукуров, *Великие Комнины и Восток (1204-1561)*, Санкт-Петербург, ст. 53, 59). А. Брайер предполагает, что оборонительную организацию Трапезундской империи в основном определяли чанские подразделения благодаря их воинственности. „Они обеспечивали Трапезундскую империю воинами, храбрыми как львы, которые никогда не молились за беглецов“ (А. Bryer. *Some Notes on the Laz, and the Tzan*, 1. p. 181).

“Трапезунд пал в 1461 г., но лазы остались независимыми. Лазистан считался турецкой провинцией, но власть султана здесь была номинальной и распространялась лишь на побережье. Лазы были обращены в ислам примерно после 1580 г., сохраняли свою автономию до 40-ых гг. XIX в. под властью своих бегов, которые управляли своими землями из горных крепостей. Персидский историк – Искандер Мунш в своем произведении „История Шах-Аббаса Великого“ рассказывает о дипломатических контактах с разными христианскими государствами и правителями и отмечает: „Среди этих правителей были и христианские правители: Лазики, Германии, Франции, Англии, Голландии, Португалии и Испании... М. Сейвор комментируя эти сведения Искандера Мунша, отмечает, что“... посольство лазов в Сефевидский Иран свидетельствует о виртуальной автономии лазских правителей в XVII в.“

Лазские правители, как видим, проводили независимую внешнюю политику и устанавливали дипломатические контакты с другими государствами и прежде всего с теми, которые находились в противоречии с Османской империей“ (Э. Жордания, *Этнический состав населения Понта в XIII-XV вв. часть 1: Лазы, Byzantinoslavica, L, VII 1997, ст. 58*).

Общеизвестно полное неповиновение крупного лазского феодала Джаникли Али-Фаша, владельца Самсуна, Синопа, огромной и богатейшей территории горного Темискири; под его контролем находились некоторые территории Крыма (середина XVIII в). Мусульманские хронисты того времени называли Джаникли

Али-Фаша – „Гроза султана“.

Сельджуков в Лазистане не было, позднее тюрки-османы появились в Лазистане в виде военных гарнизонов, которые менялись в год два раза. Языковые контакты с лазами редко осуществлялись, а порой вовсе отсутствовали. Билингвизм наступил значительно позже – со времен Ата-Тюрка. На этом фоне можно ли предположить, что такой устойчивый уровень языковой иерархии как фонологическая система претерпела столь значительные отклонения от вокалической системы мегрельского.

N. K u t e l i a (Tbilisi)

Areal contacts and issues of diachronic transformation of vocal system in Colchian (Megrelian-Laz) language

S u m m a r y

Disintegration of Common Kartvelian language gave rise to appearing language unities which later acquired forms of historically testified Kartvelian languages. At the earlier stage of disintegration according G. Deeters was singled out as an independent unity opposed to Georgian-Colchian (resp. Georgian-Zan) language unity. At a later stage two languages Georgian and Colchian (Megrelian-Laz) were distinguished. At a much later period after disintegration of Colchian community Megrelian and Laz dialects appeared and developed.

The reason of disintegration of Colchian (Megrelian-Laz) language unity was caused by cultural-historical factors. In the beginning of the new era Kartvelian tribes Laz and Megrelians according to historical traditions named Colchs still maintained territorial integrity of which transgression belonged to 5th-8th centuries.

Further development of historical events brought them to complete language isolation.

In spite of this isolation from the areal of spreading ether kartvelian unities the Laz language keeps amazing similarity with them as regards phonemic inventory and paradigmatic relations, but differs in syntagmatic combinability.

Megrelian-Laz phonological structure was developing in *accordance with the laws within the language* and I consider it mainly as the result of historically acting phonetic processes taking place in the process of development of any language unity for phonetic tendencies and the so called „Phonetic laws“, rules of phonotactics phonemes` combinations determine phonetic organization of sound system and finally form phonetic model of language. The whole complex and chronological unity of phonetic and phonological aspects determine phonological system of the language. Phonetic evolution and structure of language as mutually acting and interrelated phenomenon (A. Martinet) determined simultaneity of processes of differentiation of Megrelian-Laz language

community and integration of Megrelian and Laz as isolated dialects.

At first I want to assure: differentiation of canonical forms of syntagmatic combinations of consonants in Megrelian root morpheme defined by T. Gamkrelidze – T. Gudava mainly coincide with the results of my research in Laz phonological structure in Megrelian and Laz are mainly identical. The analyzed material revealed main structural feature – Colchian (resp. Zan) root morpheme is mainly of decisive structure. According to G. Akhvlediani’s theory common – structure rule exists that means formation of decisive complexes as quite natural Main canonical form of consonant group of Colch root morpheme in determined by structures:

Laz	Megrelian
S _m CCC _v , S _n CCC _v	S _r CCC _v , S _n CCC _v
S _m CC, S _n CC	S _r CC – S _n CC
S _m CC _v , S _n CC _v	S _r CC _v – S _n CC _v
CCC _v , S _r CC	CCC _v
S _m C; C _n C; S _m C _v ; C _n C _v ; CC; CC _v	S _r C; S _n C; CC; CC _v

The biggest unity of contact combinability is four member (tetranominal) complex. All other groups of lower integrity are added in the same succession by means of taking away one or two members with structural rule forbidding displacement of rows.

However, vocal system of vowels in Laz and its diachronical transformation underwent more important changes that caused its removal from Megrelian and Georgian vocalism as in structure of phonetic unities so in paradigmatic and syntagmatic structures. Consequently in Laz vocal elements **ä-ë-ö-ü** were formed. They function in correlative oppositions and differentiate verbal forms (N. Kutelia – Phonemataical structure of Laz, 2005). It is considered that they appeared under the influence of Turkish language and I agree with this opinion.

The linguists face a serious task to reveal dynamics of the process of language contacts that finally depend on social-historical conditions. Now our knowledge has been enriched thanks to distinguished western scholars (A. Bryer) and famous Moscow school of Byzantine studies at the head of which is S.P. Karpov. For in the analysis of the material researchers of Medievalistic school of Moscow state University adhere to the method of complex approach.

The Laz language had been developing on the territory of the Trabzon Empire in about 13th-15th centuries in the area of spreading Kartvelian dialects. There were no Seljüks in Lazistan. Later Ottoman-Turks appeared in Lazistan in the form of military units which were changed twice a year. Language contacts with Laz people were scarcely carried out and often there were none. Bilingualism began later in the period of Ata-Turk, with this background it is difficult to imagine that such stable level of language hierarchy as phonological system underwent important difference from Megrelian vowel system.

ნ. ქ უ თ ე ლ ი ა (თბილისი)

**აკად. არნოლდ ჩიქობავა ლაზებისა და ლაზურის
შესახებ ქართველთა კულტურულ-ისტორიულ არეალში***

ქართველურ ენათა ჯგუფს შეადგენს ქართული, ზანური ანუ, მეგრულ-ლაზური (კოლხური), რომლებიც საერთო-ქართველური ფუძე-ენიდან მომდინარეობენ. რაც უფრო ღრმად მივდივართ ამ ენათა ისტორიულ წარსულში, მით უფრო ცხადი ხდება მათი წარმომავლობა ერთი საერთო ფუძე-ენიდან; ბუნებრივად არის, ვინაიდან ყველა ამ ენის მატარებელი ტომები ქართველები არიან, ქართველი ერისა და ქართული კულტურის შემქმნელები.

საერთო-ქართველურის დაშლა დაელო საფუძვლად დამოუკიდებელი ენობრივი ერთეულების წარმოქმნას და ჩამოყალიბდა ისტორიულად დადასტურებული ქართველური ენები. ადრეულ ეტაპზე დეცენტრის მიხედვით გამოიყო სვანური, როგორც დამოუკიდებელი ერთეული ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის საპირისპიროდ. გვიანდელ ეტაპზე მოხდა ქართულისა და ზანურის (მეგრულ-ლაზური) როგორც დამოუკიდებელი ენების გამოყოფა. უფრო მოგვიანებით ზანურს გამოეყო მეგრული და ლაზური და დაიწყო მათი დამოუკიდებელი განვითარება. ზანურის დაშლას კულტურულ-ისტორიული ფაქტორი ედო საფუძვლად.

ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში ლაზ-მეგრელებს ჯერ კიდევ ჰქონდათ შენარჩუნებული ტერიტორიული მთლიანობა „ასე იყო, როგორც ჩანს, პირველს ორს საუკუნეში. შემდეგ, როგორც ეტყობა, ერთ-ერთ ქართველ ტომთაგანი ან აღმოსავლეთიდან, ან არადა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შიგ შუაგულში შეჭრილა და მეგრელები და ლაზები ერთმანეთს დაუმორებია, ხოლო დაპყრობილ ადგილებს მცხოვრებლებს ქართული შეუთვისებიათ. ამის გამო ახლანდელი გურულები და იმერლები გაქართველდნენ მეგრულ-ლაზებად უნდა ჩავთვალოთ. (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1913, გვ. 57).

„ლაზურისა და მეგრულის შემდგომ დიფერენციაციას ხელი შეუწყო არა მარტო გათიშვამ, რომლის შედეგადაც მათი ურთიერთქმედება შე-

* მოხსენება წაკითხულ იქნა 1998 წლის 22 ოქტომბერს არნ. ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმის სხობაზე, რომელიც „იუნესკოს“ ვეგით ჩატარდა. სრული ტექსტი იბეჭდება პირველად.

წყდა და განვითარება დამოუკიდებელი გზებით წარიმართა; უდიდესი მნიშვნელობისა იყო ენობრივი გარემოცვა, რომელშიც ისინი მოექცნენ“ (არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 8-9).

1453 წელს თურქ-ოსმალებმა კონსტანტინეპოლი აიღეს და ბიზანტიის იმპერია დაემხო. ცოტა მოგვიანებით, 1461 წლის ივლისში თურქეთის ფლოტი ტრაპიზონს მოადგა, ხოლო 15 აგვისტოს სულთანი მეჰმედ II ქალაქში შევიდა და დიდი კომინების იმპერიამ, რომლის მფლობელობაშიც შედიოდა ისტორიული ლაზეთის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი შეწყვიტა არსებობა (С. Рансимун, Падение Константинополя в 1453 году, М., 1983). ამას მოჰყვა გარდატეხა წინა აზიის ხალხთა არა მარტო პოლიტიკურ, არამედ კულტურულ ცხოვრებაშიც. დაიწყო თურქ-ოსმალთა ექსპანსია, რასაცა საბოლოო ანგარიშში მოჰყვა ლაზების დენაციონალიზაცია. ლაზების ერთი ნაწილი კონტინენტალურ საბერძნეთში გადასახლდა და მათი ენა ბერძნულმა შთანთქა. ლაზების ძირითადმა ნაწილმა კი, რომელიც მშობლიურ მიწა-წყალზე დარჩა შეინარჩუნო ენა და გასაოცარი სიჯიუტით აღუდგა წინ ეთნიკურ და ენობრივ ასიმილაციას.

ლაზები კომპაქტურად მოსახლეობენ ამჟამინდელ თურქეთში. თურქული მათთვის სახელმწიფო ენაა. ასე რომ ლაზურ მოსახლეობაში თავი იჩინა მასიურმა ორენოვნებამ. ათინურ კილოკავზე მოლაპარაკე ლაზების ერთი ნაწილი საუკუნეების მანძილზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბერძნულენოვან მოსახლეობასთან. ასეთი მჭიდრო ენობრივი კონტაქტის ლინგვისტური შედეგი ისე შორს არის წასული, რომ ლაზურის ნებისმიერ კილოკავებზე მოლაპარაკეს ძალიან უჭირს ათინელის გაგება; მათ შორის ენობრივი კომუნიკაცია თითქმის შეუძლებელი ხდება. თავის მხრივ გართულდა კომუნიკაცია ლაზურსა და მეგრულს შორის, ადრე მათ შორის სხვაობა ისე მცირე იყო, რომ გაგებინების პრობლემა არასოდეს არ მდგარა. მიუხედავად ასეთი იზოლაციისა ქართულენოვან სამყაროსაგან, ფონემათა ინვენტარისა და პარადიგმატურ მოართებათა თვალსაზრისით ლაზური დღესაც გასაოცარ სიახლოვეს ინარჩუნებს ქართველურ ენებთან, მაგრამ ამავე დროს განსხვავდება მათგან ფონემათა დისტრიბუტული მიმართებების თვალსაზრისით.

ენის სტრუქტურას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ენაში ისტორიულად მოქმედი ფონეტიკური პროცესები, ე. წ. ფონემატიკური ტენდენციები. სწორედ ეს ტენდენციები და ამ ნიადაგზე აღმოცენებული ფონეტიკური კანონები წარმართავენ ენის ფონოლოგიური მოდელის ფორმირებას. ენის სტრუქტურის და მისი ფონეტიკური ევოლუციის ურთიერთქმედება და ურთიერთგანპირობებულობა დაედო საფუძვლად ზანური ენობრივი ერთიანობის დიფერენციაციასა და იმავდროულად მეგრულისა და ლაზურის დამოუკიდებელ ენობრივ ერთეულებად ინტეგრაციის პროცესს. მიუხედავად ამისა აკად. ჩიქობავა ყოველთვის ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ლაზური და მეგრული ერთი ენის ზანურის დიალექტებია. ეს

ორი დიალექტი ამბობს ჩიქობავა – ისევე ახლოს არის ერთმანეთთან, როგორც ქართული ენა გურული და ხევსურული კილოები და უფრო ახლოს ვიდრე სვანური ლენტეხური და ბალსქვემოური დიალექტები. აკად. ჩიქობავა განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ქართული ენა, მისი დიალექტები, მისი ისტორია განხლავთ ის საფუძველი საიდანაც ცხადი ხდება ლაზურის და მეგრულის გენეტიკური ერთიანობა და ისტორია.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ის ამოცანა, რომელიც აკად. ჩიქობავამ ქართველოლოგიას დააუსახა; ქართველური ენების მდიდარი ისტორია არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ ქართველური ენების მონაცემებით, საჭიროა გასვლა მის ფარგლებს გარეთ. აუცილებელია, ერთი მხრივ აფხაზურ-ადიდურ და ჩეჩნურ-დაღესტნური ენების მასალათა მოხმობა, მეორეს მხრივ წინა აზიის მკვდარი ენების მონაცემების გათვალისწინება. განსაკუთრებული მნიშვნელობას ანიჭებდა აკად. ჩიქობავა მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულად მეზობელი ქვეყნების არაინდოევროპული ენების შესწავლას, სახელდობრ:

შუმერული – IV-III ათასწლეულის არაინდოევროპული ენა. დადასტურებული პიქტოგრაფიული და ლურსმული დამწერლობით შესრულებული ტექსტებში მესოპოტამიდან.

ხათური – არაინდოევროპული ენა მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთის რეგიონის ავტოქტონური მოსახლეობისა. დადასტურებული ლურსმული დამწერლობით შესრულებულ ხეთურ ტექსტებში.

ელამური – ლურსმული დამწერლობით შესრულებული არაინდოევროპული ენა, აღმოჩენილი ე. წ. „აქამენიდურ წარწერებში“.

ხურიტულ-ურარტული – ჯგუფი არაინდოევროპული ენებისა. დადასტურებული III-I ათასწლეულში წინა აზიის სხვადასხვა რეგიონში; ზემო მესოპოტამია, სირიის ჩრდილო ნაწილი, მცირე აზია, სამხრეთ კავკასია და ჩრდილო-დასავლეთ ირანი.

აკად. ჩიქობავას ძირითადი თეზა მდგომარეობს შემდეგში: იბერიულ-კავკასიური ენების ისტორიის შესწავლა უშუალოდ უკავშირდება ამ ენებს. ქართველოლოგიის პრობლემებთან დაკავშირებით თავისი შეხედულება აკად. ჩიქობავამ წამოაყენა ჯერ კიდევ 1936 წელს თავის ფუძემდებელ შრომაში „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ქართველოლოგიური კვლევის დღევანდელ ეტაპზე შრომები, რომლებიც ითვალისწინებდნენ ამ ენათა მონაცემებს, არ გაგვანჩია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხეთოლოგიის აკად. გ. გიორგაძისა და თურქოლოგიის დოც. შ. გაბისკირიას გამოკვლევებს.

თანამედროვე ლაზურს ახასიათებს ძლიერი დიალექტური დიფერენციაცია. მიუთითებდა რა ამაზე აკად. ჩიქობავა სრულიად სამართლიანად აყენებდა საკითხს ყოველი ლაზური სოფლის მეტყველების შესწავლის აუცილებლობის შესახებ. მინდა ავღნიშნო, რომ ფონეტიკური, ლექსიკური, გარკვეული წილად გრამატიკული, განსაკუთრებით სინტაქსურ მიმართებათა პლანში, პროცესების სრულმა განუკითხაობამ ის შედეგი გამოიღო, რომ სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ლაზთა შორის კომუნიკაცია ზოგჯერ შეუძლებელიც კია.

იმისათვის, რომ შეგვენარჩუნებინა ენა, მისი მთლიანობა და რაც მთავარია, კომუნიკაბელობა, უნდა განხორციელდეს ნორმატიული აქტი ლაზური მეტყველების მიმართ. დადგა საკითხი შექმნილიყო წიგნი ლაზურზე, რომელიც გასაგები იქნებოდა ყველა ლაზისათვის. ამ იდეის ერთ-ერთი ინიციატორი იყო ცნობილი თურქოლოგი პროფ. ოთ. გიგინეიშვილი, მას მხარი დაუჭირა აკად. გ. ახვლედიანმა, წიგნიზე მუშაობა დამევალა მე. ჩემი ხელმძღვანელი და მთავარი კონსულტანტი იყო აკად. ჩიქობავა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძნელია გადაჭარბებით შეაფასო ის ღვაწლი, რომელიც მიუძღვის აკად. ჩიქობავას ლაზური კულტურის და ლაზთა ეთნიკური შეგნების შენარჩუნების საქმეში. ბუნებრივია დაისვას კითხვა რაში გამოიხატებოდა აკად. ჩიქობავას მოღვაწეობა ამ მიმართულებით? მე უკვე ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: სრულმა განუკითხაობამ, თავაწყვეტილმა ფონეტიკურმა პროცესებმა ენობრივი იერარქიის ყველა საფეხურზე მიიყვანეს სხვადასხვა რეგიონის ლაზთა მეტყველება სრულ გაუგებრობამდე. ენათმეცნიერთა წინაშე იდგა ამოცანა შეეზღუდათ ის პროცესები და მოექციათ ისინი გარკვეული ინტეგრაციულ სფეროში, რათა შენარჩუნებულიყო მთავარი ფუნქცია – გაგებინება.

ამ მიზნით შეიქმნა პირველი ლაზური წიგნი „ლაზური პარამითეფე“. ტექსტს ახლდა ლაზურ-მეგრულ-ქართულ-თურქულ ლექსიკონი. მთავარი ამოცანა, რომელიც აკად. ჩიქობავამ დასახა იყო შემდეგი: ტექსტი უნდა გაწმენდილიყო ჭარბი თურქულ-ბერძნული ლექსიკისაგან და მოგვეძებნა საკუთრივ ლაზური სიტყვები; ქართველური ენათა შედარების საფუძველზე აღდგენილი იყო ის ლაზური ძირები, რომელთა არსებობა უდაო იყო. ასე მაგალითად, ტყის აღმნიშვნელი სიტყვა ლაზურში დღეს აღარ არის. შეუძლებელია, რომ ხე-ტყით მდიდარ ლაზებს ტყის აღმნიშვნელი სიტყვა არ ქონოდათ, მითუმეტეს რომ ლაზურში არის გამოთქმა „მტკური ქოთუმე“, რაც ტყის, გარეულ ქათამს ნიშნავს. ლაზ. მტკა სხვა არაფერია თუ არა საერთო-ქართველური ტყე (შესატყვისებაზე ჯერ კიდევ პროფ. ა. ცაგარელი და აკად. ნ. მარი მიუთითებდნენ).

საკითხი იმის შესახებ თუ რომელი ანბანით უნდა გვესარგებლა პირველი ლაზური წიგნის შექმნისას საერთოდ არ მდგარა. აქ გამოვლინდა აკად. ჩიქობავას სიბრძნე და მოქალაქეობრივი პოზოციის შეუდრეკელობა. ზანური „მეგრულ-ლაზური“ როგორც ერთ-ერთი ქართველური ენა უნდა

სარგებლობდეს თავისი საკუთარი ქართული ანბანით, რომელიც ადეკვატურად გადმოცემს ლაზურ ფონემათა სისტემას.

დასავლეთში გაჩნდა ტენდენცია – თავს მოახვიონ ლაზებს ლათინური ანბანი. ამას უსწრებდა უხეირო ცდა მიესადაგებინათ ლაზურისთვის სლავური „კირილიცა“. ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო ერთი ასეთი შემთხვევა: თურქეთიდან მივიღე ინგლისურ ენაზე დაწერილი წერილი ლაზი მასწავლებლისაგან. ის ბოდიშს იხდიდა იმის გამო, რომ არ იცოდა „ლაზური“ ანბანი – „კირილიცა“ და მპირდებოდა, რომ შემდეგ წერილში ამ „შეცდომას“ გამოასწორებდა.

ვეროპულ საენათმეცნიერო შრომებში ლაზური წარმოდგენილია ლათინური ტრანსკრიპციით, ისე როგორც თითქმის ყველა სხვა ენის მასალა, მაგრამ სახელმძღვანელო, ლექსიკონი, ჟურნალი უნდა გამოდიოდეს ქართული ანბანით. ყველა ცდა ამის უზულვებელყოფისა მიგვიყვანს ლაზების ისტორიის და კულტურული ტრადიციების უარყოფამდე.

დღეს ლაზისტანი თურქეთის რესპუბლიკაში შედის. მათ ცივილიზებული და კულტურული ცხოვრების ყველა პირობა გააჩნიათ. ლაზები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თურქეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ლაზების სახელმწიფო ენა თურქულია, მაგრამ არსებობს ლაზური ეთნოსი და ლაზური მეტყველება და მათი შენარჩუნება ცივილიზებული სამყაროს ზრუნვის საგანი უნდა იყოს

Н. К у т е л и а (Тбилиси)

**Акад. Арн. Чикобава о лазах и лазском языке в
культурно-историческом ареале картвелов**

Картвельские языки – грузинский, мегрело-лазский (занский) и сванский – исходят из общего языка-основы, условно именуемого общекартвельским языком. Чем больше углубляемся в историческое прошлое этих языков, тем яснее становится их происхождение из одного языка-основы, и это вполне естественно, ибо все племена, носители указанных языков, являются грузинами, создателями грузинской нации и грузинской культуры

Распад общекартвельского языка положил начало возникновению отдельных языковых единиц, которые приобрели в дальнейшем форму исторически засвидетельствованных картвельских языков. На раннем этапе распада общекартвельского языкового единства сванский, согласно Г. Деетерсу, выделился как самостоятельная единица в противоположность грузино-занскому языковому единству. К более позднему этапу относится выделение грузинского и занского (мегрело-лазского) языков, как независимых единиц.

К наиболее позднему этапу надо относить распад занской языковой общности и, тем самым, возникновение и обособленное развитие мегрельского и лазского диалектов.

Причиной распада занского языкового единства послужили культурно-исторические факторы. В начале новой эры грузинские племена – лазы и мегрелы, в исторической традиции именуемые колхами, все еще сохраняли территориальную целостность, нарушение которой предположительно относится к началу новой эры (И. А. Джавахишвили). Дальнейшее развитие исторических событий привело к их полной языковой изоляции.

Лазы длительное время находились под политическим и культурным влиянием Византии. Юго-западная часть исторической Лазики, включенная в пределы Трапезундской империи, подверглась воздействию греко-византийской культуры. Весьма значительным было влияние греческого языка на речь лазов, проживавших в регионе Трапизон-Ризе-Атина, тогда как лазская речь в регионе Вице-Архави-Хопа в значительно меньшей степени испытала это влияние.

В 1453 году турки-османы взяли Константинополь, и Византийская империя пала. Несколько позднее, в июле 1461 г. турецкий флот подступил к Трапизону. 15 августа того же года султан Мехмед II вступил в город, и Империя Великих

Комнинов, включавшая административную единицу – фема Великая Лазия, которая начиналась с Атины и доходила до границ Грузии (А. Брайер), прекратила существование. Наступил крутой перелом не только в политической, но и в культурной жизни всех народов Передней Азии, в том числе и лазов. Экспансия тюрок-османов в конечном итоге вызвала денационализацию лазов. Некоторые из лазов переселились в континентальную Грецию и растворились среди греков. Основная же часть лазов, оставшаяся на родной земле, с невероятным упорством сопротивляясь любым попыткам их этнической и языковой ассимиляции, сумела сохранить язык, территориальное единство и, что самое главное, этническую целостность.

Лазы компактными группами проживают в современной Турции. Ныне турецкий язык для лазского населения является вторым языком, более того, государственным языком. Лазы, говорящие на атинском наречии в течение веков, теснейшим образом общались с грекоязычным населением. Лингвистическое последствие столь тесных межъязыковых контактов настолько значительное, что ныне лазы, говорящие на разных наречиях, говорах и подговорах, с трудом понимают атинский, более того, часто и друг друга. С другой стороны, усложнилась коммуникация между лазским и мегрельским. Разница между ними раньше была столь мала, что проблема взаимопонимания никогда не возникала.

Несмотря на полную изоляцию от ареала распространения других картвельских языков, лазский сохраняет удивительное сходство с ними с точки зрения фонемного инвентаря и парадигматических отношений, значительно расходясь в правилах синтагматической сочетаемости.

Структуру языка в значительной степени обуславливают имевшие место в языке фонетические процессы, так называемые фонетические тенденции. Эти тенденции и возникшие на их основе фонетические законы и направляют процесс формирования фонологической модели языка. Взаимодействующие и взаимообуславливающие действия фонетической эволюции и структуры языка определили одновременность процессов дифференциации занской (мегрело-лазской) языковой общности и интеграции мегрельского и лазского как независимых языковых единиц. Арн. Чикобава всегда утверждал, что „чанский и мегрельский – два диалекта одного языка, именуемого условно занским; эти два диалекта также близки друг к другу, как гурийское и хевсурское наречия грузинского языка и более близки, „чем лентехский и нижнебальский диалекты сванского языка“.

Акад. Арн. Чикобава особо подчеркивает, что при анализе фонетических и грамматических процессов лазского и мегрельского генетическое взаимоотношение и история этих явлений становятся ясными, поскольку опорной базой служит грузинский язык, его диалекты, его история.

Наиболее важной и, я бы сказала, исходной точкой для картвелистики является задача, изложенная Арн. Чикобава в следующем суждении: Богатейшее историческое прошлое грузинского языка не может быть объяснено только данными картвельских языков, необходимо выйти за пределы этих языков, с одной сторо-

ны, к языкам абхазско-адыгской и чечено-дагестанской групп; с другой стороны, он не может обойти вопроса об отношении этих языков к древним языкам Передней Азии. В этой связи особое значение имеют неиндоевропейские языки исторически смежных территорий Ближнего Востока: шумерский – неиндоевропейский язык древнейших пиктографических и клинописных текстов IV-III тысячелетий до н.э. из Месопотамии; хаттский – неиндоевропейский язык автохтонного населения северо-восточных областей Малой Азии, известный по отрывкам в составе хеттских клинописных текстов; эламский – неиндоевропейский язык северо-западной части Ирана; хуррито-урартский – группа неиндоевропейских языков, засвидетельствованная в III-I тысячелетиях до н.э. в разных областях Передней Азии – Верхней Месопотамии, Северной Сирии, Малой Азии, Южном Закавказье, северо-западном Иране. Исходя из этого Арн. Чикобава выдвинул свой основополагающий тезис: „...исследование прошлого картвельских и других кавказских языков тесно связано с проблемой этих языков". Положения акад. Арн. Чикобава о задачах картвелистики были изложены в 1936 году в фундаментальном исследовании о грамматическом строе лазского языка с богатым текстовым материалом. Однако на данном этапе развития картвелистики работы, учитывающие данные вышеназванных языков Передней Азии, отсутствуют, если не считать результатов работ хеттолога Г. Гиоргадзе и тюрколога Ш. Габискирия.

Современный лазский характеризуется сильной дифференциацией. Отмечая это обстоятельство, акад. Арн. Чикобава совершенно справедливо указывал на необходимость особого изучения лазской речи. Видя столь интенсивный процесс дифференциации лазской речи, акад. Арн. Чикобава поставил перед лингвистами неотложную задачу – изучить не только хопский, архавский, вицкий, атинский наречия и отдельные говоры, но и речь каждой лазской деревни, ибо в силу дифференциации коммуникация между ними усложнилась, а иногда и вовсе неосуществима. Хочу особо отметить, что полный разгул фонетических, лексических и, в какой-то мере, грамматических процессов, особенно на уровне синтаксических соотношений, ставит под угрозу междиалектные, межговорные коммуникации лазского населения.

Чтобы сохранить язык, его целостность, а главное, коммуникабельность, надо было осуществить нормативный акт в отношении лазской речи. Встал вопрос о создании книги на лазском языке, которая была бы доступна всем лазам. Одним из инициаторов этой идеи был известный тюрколог проф. О. Гигинеишвили, поддерживал идею акад. Г. Ахвледиани. Задача эта была поручена мне. Руководителем и главным консультантом всех моих работ был акад. Арн. Чикобава. Трудно переоценить роль акад. Арн. Чикобава в деле сохранения культурного наследия и этнического сознания лазов.

В чем конкретно заключалась деятельность акад. Арн. Чикобава в этом направлении? Сильная дифференциация лазской речи, полный, осмелюсь сказать, разгул процессов дифференциации на всех иерархических ступенях языка, довели лазскую речь в отдельных регионах до полного непонимания. Перед учеными

стояла задача – обуздать разгулявшиеся процессы и направить их в какой-то мере в интеграционное русло, дабы сохранить основную функцию – коммуникацию.

С этой целью была создана первая книга на лазском – „Лазури парамитепе“. К тексту был приложен словарь на лазском, мегрельском, грузинском и турецком языках. Задача, которую поставил Арн. Чикобава, была такова: Надо было очистить текст от наводнения греческой и турецкой лексики, найти утраченные, исконно лазские слова, восстановить путем сравнительного анализа картвельских языков некоторые лексические основы, существование которых было бесспорным.

Вопрос – на каком алфавите будет выполнена первая лазская книга вообще не стоял. Тут проявилась мудрость ученого и гражданская стойкость акад. Арн. Чикобава – занский (мегрело-лазский) как один из картвельских языков должен пользоваться своим грузинским алфавитом, который адекватно передает фонемную систему лазской речи.

На Западе появилась тенденция навязать лазам латинский алфавит. Этому предшествовала неудачная попытка приспособить лазский к славянской кириллице, как „исконно“ лазскому алфавиту. Я помню случай, когда педагог-лаз из Турции, написав мне письмо по-английски, извинялся по поводу незнания „лазского алфавита“ – кириллицы и обещал в будущем „исправить“ эту ошибку. Хочу отметить, что, по моему глубокому убеждению, данное положение исходит не от лингвистов.

В лингвистических трудах лазская речь представлена латинской транскрипцией, также как любой другой языковой материал, но составлять учебники и словари, издавать журналы на любом другом алфавите, кроме грузинского, надо расценивать как акт, направленный против истории и культурных традиций лазов.

Ныне лазы, проживающие на своих исконных землях, являются гражданами Турецкой республики. Для них открыты все возможности цивилизованной и культурной жизни. Лазы играют довольно-таки весомую роль в политической и культурной жизни Турции. Турецкий язык является государственным языком лазов, но существует лазский этнос и лазская речь, и цивилизованный мир обязан убереечь их от вымирания.

N. K u t e l i a (Tbilisi)

**Acad. Arn. Chikobava about Lazes and their language
in the cultural-historical areal of Kartvelians (Georgians)**

S u m m a r y

Disintegration of the Common Kartvelian languages gave rise to appearing of language units that later acquired the form of historically testified Kartvelian dialects: Georgian, Colchian, Svan. At the earlier stage of disintegration of the Kartvelian languages according to G. Deeters Svan was distinguished as an independent unity contrary to Georgian-Colchian language unity. At a later stage Georgian and Colchian (Laz-Megrelian) were distinguished.

Disintegration of Colchian (resp. Megrelian-Laz) language unite was caused by cultural and historical factors. The Laz were under political and cultural of Byzantine for a long period of time. In 1453 the Turks captured Constantinople and Byzantine Empire fell. Later in August 1461 Turkish warriors burst into besieged Trabzon and Great Komnenian Dynasty including of historical Lazica came to an end. There was a sudden change in the character of Turkish dominion. However, Lazes managed to maintain their language territorial integrity and, which is more important, ethnic unity.

In spite of isolation from the areal of other Kartvelian language units Laz maintained surprising similarity to them as regards phonemic inventory paradigmatic relations, but there is considerable difference in the rules of syntagmatic combinability.

მ. ქ უ რ დ ი ა ნ ი (თბილისი)

**იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახი თუ ნოსტრატული
და დენე-კავკასიური ფილუმები, ანუ მეთოდის
სიმკაცრის პრობლემა კომპარატივისტიკაში**

ძირითადი დებულებები: 1. ნებისმიერი მეცნიერება კომპეტენტურია მხოლოდ საკუთარი მეთოდის ფარგლებში, რომლის გარეთაც არავერიფიცირებადი ჰიპოთეზების სფეროა.

ენათმეცნიერების კომპარატივისტული (ისტორიულ-შედარებითი) მეთოდი ისევე ზუსტი და ვერიფიცირებადია, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მეთოდები.

ენათმეცნიერების კომპარატივისტული მეთოდი უნივერსალურია და თანაბრად გამოსადეგი ენათა ნებისმიერი ოჯახის მიმართ.

კრიზისი, რომელიც შეიქმნა თანამედროვე შედარებითი ლინგვისტიკის ზოგიერთ მონაკვეთზე, გამოწვეულია არა კომპარატივისტული მეთოდის ხარვეზებით, არამედ მისი სრული გამოუსადეგრობით ლინგვისტიკის ერთი ნაწილის ჰიპოთეზათა, ჩვეულებრივ ექსტრალინგვისტურთა, დასამტკიცებლად.

კომპარატივისტული მეთოდით თავისი ჰიპოთეზების დამტკიცების შეუძლებლობა მათ ავტორებს იძულებულს ხდის მიმართონ კომპარატივისტული მეთოდის შეგნებულ, მიზანსწრაფულ დისკრედიტაციას.

2. მკვლევართა ნაწილი ცდილობს კომპარატივისტული მეთოდის დისკრედიტაციას სხვადასხვა მხრიდან და სხვადასხვა ხერხით:

ა) მეთოდის სიმკაცრის დაქვეითების ხარჯზე ხდება ენათა ოჯახების თვითნებური გაერთიანება ფილუმებად. მაგ.: ნოეტური, ნოსტრატული, ბორეული, დენე-კავკასიური და ა. შ. კერძოდ იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის წევრებს ორ სხვადასხვა ფილუმში აერთიანებენ: ქართველურ ენებს ნოსტრატულში (ინდო-ევროპულთან, სემიტურთან, ურალურთან, ალთაურთან და დრავიდულთან ერთად), ხოლო აფხაზურ-ადიღურ და ნახურ-დაღესტნურს დენე-კავკასიურში (სინო-ტიბეტურთან, ენისეურთან და ამერიკის ინდიელთა ნა-დენე ენებთან ერთად).

ბ) მეთოდის სიმკაცრის უგულებელყოფის თუ მისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების დანერგვის გზით ხდება ენობრივ ერთეულთა კვალიფიცირება ენად და დიალექტად არაიმპანენტური მარკერების გამოყენე-

ბით და ა. შ.

ვ) „ჩვენი ენებისათვის“ კომპარატივისტული მეთოდის არაუნივერსალურობის მტკიცებით „სპეციფიკურ გამონაკლისთა“ აღმოჩენის გზით: ერთი მხრივ, კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა და უდგუნადობის აღიარებით უეჭველად ახლო ნათესავ ენებს შორის და მეორე მხრივ, ასეთ ბგერათშესატყვისობათა პოვნირებით ერთი ენის დიალექტებს, ერთი ენის ერთი და იმავე დიალექტის კილოკავებსა და თვით ადამიანთა ერთი ოჯახის წევრთა სხვადასხვა თაობისა და სქესის ინდივიდთა მეტყველებაში და ა. შ.

დ) მეთოდის ცალმხრივობის დეკლარირებით, რომელიც თითქოს ენათა დიფერენციის პროცესებსა და შედეგებს ხსნის, მაგრამ ენათა კონვერგენციის პროცესების შედეგთა გამოვლენა და ახსნა არ ძალუძს და ა. შ.

ე) კომპარატივისტული მეთოდის არსებითი კრიტერიუმის, ბგერათშესატყვისობათა, მტკიცებულებით ძალასა და სანდოობაში ეჭვის დანერგვით, ენათა შორის ე. წ. „მეორადი“ ბგერათშესატყვისობების დამყარების შესაძლებლობის აპრიორული დაშვების გზით და ენათა ნათესაობის გვერდით „ენათა დანათესავების“ ჰიპოთეზის წამოყენებით (ე. წ. ალოგენეტური თეორია) და ა. შ.

სინამდვილეში კომპარატივისტულ მეთოდს აქვს პასუხი ყველა ამ გამოწვევაზე და ეს პასუხები ცალსახაა.

რაც შეეხება კომპარატივისტული მეთოდით ვერდამტკიცებად და არავერიფიცირებად ჰიპოთეზათა ავტორებს (რომელთა ერთი ნაწილი ცდილობს ხარვეზები საკუთარ განათლებაში აქციოს მეცნიერების პრობლემად), ისინი სიტყვით აცხადებენ, რომ მათ თვალსაზრისებს აქვთ არსებობის უფლება მეცნიერებაში როგორც არსებულ თეორიათა ალტერნატივას, საქმით კი ცდილობენ ამ კვაზიმეცნიერული შეხედულებებისთვის გაბატონებული (resp. ოფიციალური), მეტიც, უალტერნატივო მოძღვრების მდგომარეობის დაკანონებას და ამ მიზნის მისაღწევად არც ერთ საშუალებას არ თაკილობენ (ეს სამწუხარო ტრადიცია ენათმეცნიერებაში ნ. მარის „ენის შესახებ ახალი მოძღვრების“ მიმდევართაგან იღებს სათავეს).

კომპარატივისტიკაში „Dark Ages“ –ის დამყარების მცდელობა გარკვეული პერიოდულობით მეორდება ხოლმე ენათმეცნიერების ისტორიაში სხვადასხვა ხანგრძლივობით, მასშტაბებითა და ინტენსივობით, მაგრამ ენათმეცნიერების მეთოდთა ვერიფიცირებადობა გადაუღალავ დაბრკოლებას წარმოადგენს კვაზიმეცნიერული ოპუსებისათვის.

1979 წლის 22 ივნისს, ჩერქესკში (ყარაჩაი-ჩერქეზეთი) იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემისა და ისტორიის შესწავლისადმი მიძღვნილი VIII რეგიონალური სამეცნიერო სესიის დასკვნით სხდომაზე აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ ნოსტრატულ ჰიპოთეზასთან დაკავშირებით განა-

ცხადა: „მეცნიერება ვერ ითმენს ამოებას“. ეს მეცნიერების წარმომადგენელმა კი არ თქვა, არამედ პუშკინმა, გენიალურმა პოეტმა. მას მხედველობაში არ ჰქონია ლინგვისტიკა, მაგრამ ამოება ლინგვისტიკაშიც წამოტივტივდება ხოლმე.

ყველაზე მოღური ამჟამად არის ნოსტრატული თეორია. ეს არის ენები ინდო-ევროპული, უგრო-ფინური (ურალური), ალთაური, სემიტურ-ქამიტური, დრავიდული... ანუ ევრაზიის ენები. სწავლობენ ასეთ დიდ კომპლექსს, ავლენენ საერთოს. არაფერი ცუდი ამაში არ არის...

მაშ მანინც რატომღა ეგების ამაზე ლაპარაკი? მიზეზი მარტივია. ჩვენთან საბჭოთა ლინგვისტურ ლიტერატურაში ნოსტრატულ ენათა წრეში რთავენ ქართულ ენასაც. ხოლო აფხაზურ-ადიღური, ნახური, დაღესტნური ენები ნოსტრატულ ენათა წრეში დღემდე არ ჩაურთავეთ.

ქართველურ ენათა ნოსტრატულთან კავშირზე ლაპარაკისას არც ერთ ავტორს სიტყვაც კი არ უთქვამს ჩრდილო-კავკასიური ენების სამხრეთ-კავკასიურ ენებთან კავშირის სასარგებლოდ. გამოდის რომ ქართველური ენები შეიძლება დაკავშირებულ იქნენ ინდო-ევროპულ ენებთან, დრავიდულ ენებთან, მაგრამ შეუძლებელია დაკავშირებულ იქნენ ჩრდილო-კავკასიურ ენებთან.

მეცნიერება აქ ცოტაა, უცნაური რამეები კი ამ ოპერაციაში თავსაყრელადაა. ეს არის ის ამოება, რომელსაც ვერ ითმენს მეცნიერება, ამოება, რომლის შესახებაც ლაპარაკობდა პუშკინი. ასეთი მეცნიერება დამაჯერებელი ვერ გახდება“.

ლინგვოკავკასიოლოგიის თბილისური სკოლის ამჟამინდელი მიღწევები კომპარატივისტიკაში, რომელთა ფონზეც მიმდინარეობს ჩემი დღევანდელი მოხსენება, პრინციპულად და რადიკალურად განასხვავებენ იმ არგუმენტების მტკიცებულებით ძალას, რომელიც შეიძლებოდა წამოყენებულიყო ნოსტრატული ჰიპოთეზის მაგვარი კონსტრუქტების საპირისპიროდ XX საუკუნეში და რომლებიც დღეს, XXI საუკუნის დასაწყისში შეიძლება იქნან წარმოდგენილნი. ამჟამად ისტორიულ-შედარებითი მეთოდის კორექტული და ადეკვატური გამოყენებით უკვე საბოლოოდ და ცალსახად არის დამტკიცებული ქართველური და მთის კავკასიური ენების ნათესაობა, თვალნათლივ ნაჩვენებია ისიც, რომ ჩრდილო-კავკასიური ენების ორი ჯგუფი: აფხაზურ-ადიღური და ნახურ-დაღესტნური არ არის ერთმანეთთან უფრო ახლო ნათესაობაში, ვიდრე თითოეული მათგანი სამხრეთ-კავკასიურთან, ასევე დასაბუთებულია ამ ენებთან ბასკურ ენის ნათესაობაც და განსაზღვრულია ბასკური ენის ადგილი იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის შიგნით. ასეთი განცხადების საფუძველს უპირველეს ყოვლისა მაძლევს უკანასკნელი პერიოდის ორი კაპიტალური ნაშრომი: პროფესორ მერაბ ჩუხუას მიერ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია : „ბგერათშესატყვისობათა სისტემა ქართველურ-ნახურ ენებში“, რომელიც მან 2006 წელს

დაიცვა არნოდდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში (რედაქციისგან: ამჟამად ეს მონოგრაფია უკვე გამოცემულია სათაურით: „იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა“, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008: 763) და თქვენი მონა მორჩილის – „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები“, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2007: 1040.

1954-1956 წლებში ჟურნალში «Вопросы языкознания» (1954, №3 – 1956, №1), გამართა დისკუსია იბერიულ-კავკასიური ენების შიდა და გარე ნათესაობის საკითხებზე. გარე ნათესაობაში იგულისხმებოდა აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას მიერ წამოყენებული ჰიპოთეზა ე. წ. ხეთურ-იბერიულ ენათა ოჯახის არსებობის შესახებ, რომელშიც იბერიულ-კავკასიურ ენებთან ერთად მოიაზრებული იყო მცირე და წინა აზიის არაინდო-ევროპული და არასემიტური ენები (ხათური, ურარტული, ხურიტული, ელამური და სხვა). ენათა ასეთი მაკრო ოჯახის არსებობის იდეა ახალი არ იყო და მას ფესვები ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ჰქონდა (ლენორმანი, ჰომელი...), მაშინ მათ „აღაროდულ ენებად“ მოიხსენიებდნენ. თუმცა ისიც ცალსახად უნდა ითქვას, რომ არც ერთი ამ მკვდარი ენის ნათესაობა იბერიულ-კავკასიურ ოჯახთან ან მის რომელიმე ჯგუფთან მკაცრი მეცნიერული მეთოდით არც XIX საუკუნეში დაუმტკიცებია ვინმეს, არც XX-ში, არც XXI-ში, თუმცა ვარაუდებისა და მოხალისეთა ნაკლებობა არ იგრძნობა.

დისკუსიის მთავარი შედეგი, რისთვისაც მოხდა კიდევ ამ დისკუსიის ინსპირირება, იყო იბერიულ-კავკასიურ ენათა შიდა ნათესაობისადმი ნიჰილისტური განწყობილების გაძლიერება სხვა ენობრივი ოჯახების მკვლევარ კომპარატივისტებს შორის, რომელთაც თავად არ მიუწვდებოდათ ხელი არც ქართველურ და არც მთის კავკასიურ ენათა მასალაზე. მათი ასეთი განწყობის სტაბილურობას უზრუნველყოფდა ქართველური და კავკასიური ენების ავტორიტეტული მკვლევრების ერთი ჯგუფის პერიოდული განცხადებები იბერიულ-კავკასიური ენების შიდა ნათესაობის ჯერჯერობით დაუმტკიცებლობისა თუ დაუსაბუთებლობის შესახებ. მხოლოდ ფაქტის კონსტატაციის პრეტენზიის მქონე ასეთი განცხადებების სისშირე გამოწვეული იყო მათი ქვეტექსტით: არ დამტკიცდა აქამდე, არ დამტკიცდება არასოდეს! იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ კავკასიოლოგთა თბილისური სკოლის მთელი ძალისხმევა მხოლოდ აქეთ, ე. ი. კომპარატივისტული მეთოდით ქართველური და კავკასიური ენების ნათესაობის დამტკიცებისაკენ იყო მიმართული, მაგრამ ამ ძალისხმევას არანაირი შედეგი არც აქამდე მოჰყოლია და არც შემდეგში მოჰყვებოდა, რაკი თითქმის ყველა კავკასიური ენა მონოგრაფიულად უკვე შესწავლილი ჰქონდათ, შედარებისათვის საკმარისი ენობრივი მასალაც უკვე გამოვლენილი, ხელჩასაჭიდი კი თითქოს არაფერი ჩანდა, თუმცა ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ უკვე არსებობდა რენე

ლაფონის (ბასკურ-ქართველური, 1948), ტოვო გუდავას დაღესტნურ-ქართველური (დაღესტნურ-ქართველური, 1954) და ქეთევან ლომთათიძის (აფხაზურ-ქართველური, 1955) მიერ დადგენილი რამდენიმე ბგერათშესატყვისობა, რომლებიც შეიძლება საკმარისი არ ყოფილიყო იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის საბოლოო, ცალსახა და უეჭველი დამტკიცებისათვის, მაგრამ ამ ნათესაობის დამტკიცების პერსპექტიულობის თვალსაზრისით ანგარიშგასაწევ და თვალსაჩინო ფაქტებს წარმოადგენდა.

ყველაზე შეუწყნარებელი მეცნიერებაში ორმაგი სტანდარტებია. სამწუხაროდ, მკაცრი მეცნიერული მეთოდის იმ მომხრეებს, რომლებსაც ნიჰილისტური დამოკიდებულება მხოლოდ იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის დამტკიცების არცთუ მრავალრიცხოვანი ცდების მიმართ უნდებოდათ, რატომღაც ავიწყდებოდათ მეთოდოლოგიური სიმკაცრის დაცვის სავალდებულობის მოთხოვნა, როდესაც ქართველური ენები, ვთქვათ, ნოსტრატულ ენათა ოჯახის უეჭველ წევრად ცხადდებოდა სემიტურ-ქამიტურ, ინდო-ევროპულ, ურალურ, დრავიდულ და ალთაურ ენებთან ერთად, უდროოდ გარდაცვლილი ვლადისლავ ილიჩ-სვიტიჩის (1934-1966) მიერ და მის სადიდებლად ეპითეტებსაც არ იშურებდნენ (დადებითი რეცენზიების სია იხ. ილიჩ-სვიტიჩი 1984 : 7).

ქართველური და კავკასიური ენების სპეციალისტებისათვის, ვისაც ნოსტრატული ენების შედარებითი ლექსიკონის ეს სამტომეული ერთხელ მაინც აუღია ხელში, აშკარაა, თუ რამდენად არაკორექტულად, მეთოდოლოგიური ასპექტით, და არაკომპეტენტურად, მასალის ფლობის თვალსაზრისით, იქნა გამოყენებული ქართველურ ენათა მასალა ნოსტრატული ჰიპოთეზის შესაქმნელად (იხ. აგრეთვე: ფონხუა 1974 : 335-342). ასეთივე სურათი ჩანს სხვა, მაგალითად, სემიტო-ქამიტური (ლევინი 1995 : 5 და შმდ.) თუ დრავიდული (ანდრონოვი 1982) ენების მონაცემებთან დაკავშირებითაც (ამ ჰიპოთეზის მიმართ უადრესად სერიოზული პრეტენზიები ჰქონდა თვალსაჩინო თურქოლოგ-კომპარატივისტ ა. მ. შნერბაკსაც).

ილიჩ-სვიტიჩის მიერ დადგენილი ე. წ. ნოსტრატული „ბგერათშესატყვისობების“ დაზუსტება სცადა ა. რ. ბომჰარდმა, მაგრამ მან ეს ფაქტობრივად იმავე მასალაზე დაყრდნობით გააკეთა და შედეგიც, ბუნებრივია, ანალოგიური აღმოჩნდა, თუმცა „ბგერათშესატყვისობათა“ ფორმულები განსხვავებული (ბომჰარდი 1990).

თავად ვლადისლავ ილიჩ-სვიტიჩი არცთუ უსაფუძვლო გაღიზიანებით აღნიშნავდა: „საინტერესოა, რომ გარე (ენობრივი ოჯახის გარე – მ. ქ.) შედარებათა საკითხების დამუშავებაში, ამ პერიოდში თითქმის არ მონაწილეობენ ინდო-ევროპეისტები (ვგონებ, ჰ. პედერსენის გამოკლებით). ინდო-ევროპეისტიკაში, ნეოგრამატიკოსების დროიდან მოყოლებული და 30-40-იან წლებამდე, გაბატონებულია რამდენადმე უგულებელყოფითი დამოკიდებულება გარე შედარებათა მცდელობებისადმი, როგორც დილუ-

ტანტური შრომებისადმი, რომლებიც არ არიან დაფუძნებული ზუსტ მეთოდებზე. მსგავსი თვალსაზრისი, საფუძველჩაყრილი XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც ინდო-ევროპული კომპარატივისტიკა წარმოადგენდა ფაქტობრივად კომპარატივისტიკის ერთადერთ დამუშავებულ დარგს საერთოდ, უკვე ა. მეიეს დროს იქცა მეცნიერების დამამუხრუჭებელ ანაქრონიზმად“ (ილინ-სვიტიჩი 1971 : 40).

ილინ-სვიტიჩი თავისი ლექსიკონის შესავალში დილექტანტურს უწოდებს ინდო-ევროპული და სემიტური ენების (გერმან მიოლერი) თუ სემიტური და ქართველური ენების (ნიკო მარი) და სხვ. ერთ ფილემად გაერთიანების უფრო ადრეულ მცდელობებს. საკუთრივ მისი ოპუსი, ერთი შეხედვით მართლაც შეიძლება ნაკლებ დილექტანტურის შთაბეჭდილებას ახდენდეს ვიდრე მისი წინამორბედებისა, მაგრამ სულაც ეს არ ნიშნავს, რომ მისი მცდელობა ნაკლებ კვაზიმეცნიერული არ არის.

ინდო-ევროპეისტთა მოთხოვნები, წაყენებული კომპარატივისტული მეთოდის ზუსტად და მკაცრად გამოყენებისადმი ამჟამად ისევე აქტუალურია, უფრო სწორად, აქტუალურია როგორც არასდროს, რადგან არათუ დილექტანტურმა, არამედ, საერთოდ, მეცნიერებისაგან განსმდგომმა ჰიპოთეზებმა შემოაღწიეს სამეცნიერო მიმოქცევაში, მეტიც, ისინი ზოგჯერ სპეციალური სახელმძღვანელოების გვერდებზე ხვდებიან.

პირადად მე ენის მონოგენეზისური თეორიის მომხრე ვარ და სრულიად ბუნებრივად მიმაჩნია, რომ ენათა ოჯახების ურთიერთნათესაობის პრობლემა პრინციპულ მეცნიერულ პრობლემად იყოს აღიარებული და მისი კვლევა ინტენსიურად წარმოებდეს, მაგრამ იმავდროულად, სრულიად შეუწყნარებლად მივიჩნევ ამ პრობლემის გადაწყვეტის მცდელობებს კომპარატივისტული მეთოდის გამოყენების სიზუსტისა და სიმკაცრის შესუსტების ხარჯზე და, მით უმეტეს, შემდეგ ასეთი „კვლევის“ შედეგების გამოცხადებას ობიექტურ ჭეშმარიტებად.

ჯერ კიდევ 1924 წელს ოსლოში წაკითხული ლექციების ციკლში ა. მეიე წუხდა: „... მეთოდები, წარმატებით გამოყენებული ინდო-ევროპული ენების კვლევისას, ყველგან ერთნაირად როდია გამოსადეგი. საჭიროა დაფიქრება კვლევის მეთოდოლოგიაზე, შემოწმება ჩვენი მეთოდების სისწორისა და ცდა **მკაფიობისა და სიზუსტის მოთხოვნათა დაქვეითების გარეშე** (ხაზგასმა ჩემია – მ. ქ.) მათი გავრცელებისა ახალ ფართო არეებზე.

მეთოდის გადასინჯვა (იგულისხმება – გამკაცრების მიმართულეობით მ. ქ.) მით უმეტეს აუცილებელია, რომ ბოლო დროს ბევრმა ენათმეცნიერმა წამოყენა ცუდად დასაბუთებული ჰიპოთეზები. ახალი ეტიმოლოგია ძალიან ბევრია, მაგრამ მათი უმრავლესობა იმ რიგისაა, რომ მათში შეუძლებელია აღმოაჩინო რაიმე, მტკიცებულების საწყისიც კი“ (მეიე 1954 : 9).

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე ასეთი ფანტასტიკური თეორიების ლომის წილი სწორედ ენათა ოჯახებს შორის ნათესაობაზე მოდის, ასეთ

ენობრივ ოჯახებს „მაკროოჯახებს“ ან „ფილუმებს“ უწოდებენ. „ფილუმი“ ბერძნული წარმოშობის სიტყვაა, ის „ტომს“ / „გვარს“ ნიშნავს და ტერმინოლოგიურად იმავე სემანტიკურ ჯგუფს განეკუთვნება, რასაც „ოჯახი“. ბუნებრივია, რომ ოჯახები გვარებად (resp. ტომებად) იყვნენ გაერთიანებულნი და, ისიც ბუნებრივია, რომ ტომის შიგნით ნათესაობა უფრო შორეული ქრონოლოგიისა იყოს, ვიდრე ოჯახის შიგნით, მაგრამ ამ ნათესაობის დადგენისათვის მეთოდოლოგიური შედეგების დაშვება ფაქტობრივად თვით ნათესაობის დამტკიცებაზე უარის თქმას ნიშნავს.

„ნოსტრატული თეორიის“ (როგორც იდეა, ასევე ტერმინი „ნოსტრატული ენები“ ეკუთვნის პოლგარ პედერსენს) გარდა, რომელიც, როგორც ცნობილია, ერთ ფილუმში მოიაზრებს ძველი სამყაროს ექვს ენობრივ ოჯახს: სემიტო-ქამიტურს, ქართველურს, ინდო-ევროპულს, ურალურს, დრავიდულს, ალთაურს (ილიჩ-სვიტიჩი 1971-1984), არსებობს „ბორეული ჰიპოთეზა“, რომელიც ერთ ფილუმად აერთიანებს: ინდო-ევროპულ, ურალურ და ალთაურ ენებს. ამ ჰიპოთეზის ავტორს ნ. ანდრეევს, ბორეალური წინარე ენის არსებობა დამტკიცებულად მიაჩნია მას შემდეგ, რაც მან გააანალიზა ადრეული ინდო-ევროპული პრაენის რეკონსტრუირებული 203 ძირეული სიტყვა და შეადარა რა ისინი ურალური (resp. უგრო-ფინური) და ალთაური ენების სიტყვებს, განაცხადა: „გამოირკვა, რომ 203 ძირეული სიტყვიდან 198 არის როგორც ურალური, ასევე ალთაური წარმოებული ფორმების შემადგენლობაში, ხოლო დარჩენილი ხუთი პოენიერია, უკიდურეს შემთხვევაში, ერთში მაინც ამ ორი ენობრივი ჯგუფიდან“ (ანდრეევი 1986 : 3).

XX საუკუნის მეორე ნახევარში აკად. გ.ჯაჰუკიანს ჰქონდა მცდელობა ხური-ურარტული ენები ერთ ფილუმში მოეაზრებინა ინდო-ევროპულ ენებთან ერთად (ხური-ურარტული ენები ნოსტრატულ ენათა ოჯახის სავარაუდო წევრად ესახებოდა პოლგარ პედერსენსაც) და ცხადია „კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა“ დადგენა, ილიჩ-სვიტიჩისა და სტაროსტინის მსგავსად არც მას გასჭირვებია (ჯაჰუკიანი 1967).

განსაკუთრებით პოპულარულია ფილუმების იდეა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ კი, სტენფორდის უნივერსიტეტში, რომლის პროფესორები ჯ. გრინბერგი, ჯ. ბენგტსონი და მ. რულენი ძირითადად სწორედ მსოფლიო ენათა ოჯახების ფილუმებად გაერთიანებით არიან დაკავებული.

ასეთ ფილუმად არის აგრეთვე წარმოდგენილი დენე-კავკასიური ენობრივი ერთობა, რომელიც ჩრდილო კავკასიის ენებს ჩრდილო ამერიკის ნა-დენე ენებთან მონათესავედ განიხილავს. ამ ჰიპოთეზას ექსტრალინგვისტური ფაქტორიც ასაზრდოებს, კერძოდ გენეტიკოს ლუიჯი ლუკა კავალი-სფორცას თვალსაზრისი (თავად ამტკიცებს „კვლევის შედეგები“-თ), რომლის თანახმად ჩრდილო-კავკასიელებისა და სამხრეთ-კავკასიელების ენები და გენები სხვადასხვა ფილუმებს განეკუთვნება (კავალი-

სფორცა 2000: 165, იხ. აგრეთვე კავალი-სფორცა 1991) ინდო-ევროპეისტიკის (resp. კომპარატივისტიკის) მკაცრი მეთოდებიდან შორსმდგომი ადამიანები ასეთი ფილუმების შექმნას XX საუკუნის დასაწყისიდანვე ცდილობდნენ და, ცხადია, ამ საქმეში ყველაზე ნაკლებ შესწავლილი და მასალობრივად მათთვის ნაკლებად ხელმისაწვდომი ენებით მანიპულირებდნენ. მათთვის, ამ მხრივ, კავკასიური ენები და ბასკური ერთგვარი კლონდაიკი იყო ახალი ჰიპოთეზების წამოსაყენებლად.

ჯერ იყო და დინ უორთმა (D. Worth) დაუკავშირა ერთმანეთს ბასკური და პალეოციმბირული, შემდეგ კი კ. ულენბეკმა, რომელიც ყოველგვარ ახალ ჰიპოთეზას უჭერდა მხარს, აღმოაჩინა „სრული პარალელიზმი“ თავდაპირველად ბასკურ ზმნასა და ჩუქჩურ ზმნას შორის, შემდეგ კი ეს „სრული პარალელიზმი“ გაავრცელა ჩუქჩურის მონათესავე კორიაკულ და კამჩადალურ ენებზე. კარლ ბოუდამ კი ბასკურ და პალეოციმბირულ ენათა შედარებაში კავკასიური ენებიც ჩართო. ცხადია, ამას აღფრთოვანებით შეხვდა კ. ულენბეკი: „ჩვენ ჯერ კიდევ ცოტა რამ ვიცით ჩუქჩურ-კორიაკულ-კამჩადალური ჯგუფის გარე ნათესაობის შესახებ. იქნებ აღმოჩნდეს საბოლოო ჯამში, რომ ეს ჯგუფი კავკასიური ენების განშტოებას წარმოადგენს. ჩუქჩურისა და ბასკურის თანხვედნები ნებას გვაძლევს ჩავრთოთ ისინი ბასკურისა და კავკასიურის შედარებითს შესწავლაში“, – წერდა ის 1946 წელს.

ჩართეს კიდევ ე. ლევიმ (E. Lewy) წამოაყენა ჰიპოთეზა, რომლის თანახმად ბასკური, კავკასიური, ჩუქჩური და ზოგი სხვა ნაკლებ შესწავლილი ენა, ენათა იმ დიდი ფილუმის კუნძულოვანი გადმონაშთებია, რომელიც დანარჩენ ტერიტორიებზე შთანქმულ იქნა ენათა ოთხი ახალი ოჯახის მიერ. რად ღირს მარტო ამ ოთხი ახალი ოჯახის ლევისეული კლასიფიკაცია: ინდო-ევროპული, ინდო-ჩინური (sic.), ურალურ-ალთაური და სემიტური (ლაფონი, 1976 : 74-76; ტოვარი, 1980 : 35-36).

ყველაზე შორს ამ გზაზე პროფ. ს. სტაროსტინი წავიდა, რომელმაც ჯერ ჩრდილოკავკასიური და ენისეური ენების ნათესაობა „დაამტკიცა“ (სტაროსტინი 1982 : 144-237), მათ შორის „ბგერათშესატყვისობათა აღმოჩენით“, შემდეგ კი ისინი სინო-ტიბეტურ ენათა ოჯახებთან ერთად ერთ ფილუმში გააერთიანა, ცხადია, ასევე „ბგერათშესატყვისობათა დადგენის“ გზით.


თავს უფლებას მივცემ თავი შევიკავო ს. სტაროსტინის „კომპარატივისტული“ მოღვაწეობის კვალიფიკაციისაგან და მის შესაფასებლად ისტორიულ-შედარებითი მეთოდის სიმკაცრის აღიარებული დამცველი, პროფ. ბაქარ გიგინეიშვილი დავიმოწმო: „ეტიმოლოგიური დაკავშირებანი და რეკონსტრუირებული ფორმები სრულიად ფანტასტიურია და შორს სცილდება როგორც ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების, ისე, საზოგადოდ, მეცნიერული ანალიზის მეთოდებს. შედარებითი ენათმეცნიერება ეტიმოლოგიურ შეპირისპირებებს ემყარება, მათს ბაზაზე ადგენს იგი ბგერათშესატყვისობათა ფორმულებს. ხოლო დასაკავშირებელ

ფორმათა ანალიზი თუ თვითნებურია, სემანტიკური მხარე კი მხოლოდ ასოციაციებზე დაფუძნებული, კარგს ვერას მივიღებთ. პირიქით, ენათმეცნიერების ეს უზუსტესი დარგი მეცნიერების სრულ პროფანაციად იქცევა. სწორედ ასეთი სურათი იხატება ჩვენს წინ ს. სტაროსტინის ნაშრომთა (რომელთა უმრავლესობა თეზისების სახითაა) გაცნობისას. საოცარი არე-დარევა და ქაოსი შეიტანა მან ჩრდილოკავკასიურ ენათა შედარებითს შესწავლაში, რომელთაგან რამდენადმე კარგად არცერთს არ იცნობს“ (გიგინეიშვილი 1990 : 14).

ამ შეფასების განმეორება უცვლელად და უგამონაკლისოდ შეიძლება ს. სტაროსტინის შემდეგდროინდელ ნაშრომებზე, მათ შორის, ს. ნიკოლაევიან თანაავტორობით 1994 წელს მოსკოვში ინგლისურ ენაზე გამოცემული 1408 გვერდიანი „ჩრდილო-კავკასიურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ შესახებ (იხ. აგრეთვე ნიკოლსონი 1997 : 20).

ფილუმებზე მსჯელობისას აუცილებელია კომპარატივისტული თვალსაზრისით სანდო მასალის ფლობა. ნოსტრატული ჰიპოთეზის ერთ-ერთ სერიოზულ დაბრკოლებად ისიც ისახება, რომ სამწუხაროდ არ მოიპოვება ეტიმოლოგიური ლექსიკონები არა თუ სემიტურ-ქამიტური ენობრივი ოჯახისათვის, არამედ არც ცალ-ცალკე, სემიტური და ქამიტური ენებრივი ჯგუფებისათვის. რა თქმა უნდა აქ ანგარიშში ჩასაგდება არ არის ვლადიმირ ორიოლისა და ოლგა სტოლბოვას სემიტურ-ქამიტურ (resp. აფრ-აზიურ) ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი (Hamito-Semitic Etymological Dictionary, Leiden: E. J. Brill. 1995). რომელიც ტოლს არ უდებს ს. ნიკოლაევისა და ს. სტაროსტინის ჩრდილოკავკასიურ ეტიმოლოგიურ ლექსიკონს რეკონსტრუირებულ არქეტიპთა ნებისმიერობითა და ფანტასტიურობით (გამანადგურებელი რეცენზია ორიოლისა და სტოლბოვას ლექსიკონზე იხ. ქეიე 1997 : 107-113).

თუ რა კატასტროფულ დონემდეა მისული თანამედროვე ლინგვისტიკაში მკაცრი მეცნიერული მეთოდების უგულვებელყოფა და რაოდენ საყოველთაო ხასიათს ატარებს ეს ტენდენცია, კარგად ჩანს სამეცნიერო – პოპულარული გამოცემის – „მსოფლიო ენათა ატლასის“ მაგალითზე (რომლის რედაქტორი ცნობილი კავკასიოლოგი ბერნარ კომრია), სადაც ასეთი გენეალოგიური ცხრილია გამოქვეყნებული:



იქმნება და ინერგება აზრი, რომ ჩრდილო-კავკასიური და სამხრეთ-კავკასიური ენების ნათესაობა დამტკიცებულია ან დასაშვებია ნებისმიერ ენობრივ ოჯახთან, ოღონდ არა ერთმანეთთან. მათი გაერთიანება დასაშვებია ნებისმიერ ფილუმში, ოღონდ არა ერთსა და იმავეში (იბერიულ-კავკასიური ენების სხვადასხვა ფილუმებში შეყვანის კრიტიკა იხ. აგრეთვე ხალიდოვი 2006: 21-26).

ნიკოლაი ტრუბეცკოიმ ფილუმების ე. წ. „დიდი ენობრივი ოჯახების“ სავარაუდო წევრთა ნათესაობის მტკიცებასთან დაკავშირებით, ლინგვისტა III საერთაშორისო კონგრესზე (რომი, 1933), ასე გამოხატა თავისი სკეფსისი: „... ვეჭვობ, რომ ოდესმე შესაძლებელი გახდეს, დამაჯერებლად და უნაკლოდ (მეცნიერული თვალსაზრისით) დამტკიცდეს ნათესაობა ინდოევროპულისა სემიტურთან, ურალურთან ან ჩრდილოკავკასიურ ენებთან. ამასთან, მე მესმის „ნათესაობა“ მაინცდამაინც მისი პირდაპირი, ანუ **გენეალოგიური მნიშვნელობით**“ (ტრუბეცკოი 1987 : 61).

ნ. ტრუბეცკოის ამ გამოსვლის („ნათესაობის პრობლემა დიდ ენობრივ ოჯახთა შორის“) კომენტარებში ვიან. ვს. ივანოვი წერს:

„ტრუბეცკოის შენიშვნების ფასეულობა ამ შემთხვევაში იმაში მდგომარეობს, რომ მან მიათითა ზოგიერთ პრინციპულ სიძნელეზე, რომლებიც შეიძლება დაბრკოლებად ქცეულიყო შედარებისთვის და სპეციალურად უნდა ყოფილიყო დათქმული“ (ტრუბეცკოი 1987 : 420). მაგრამ იგივე ვიან. ვს. ივანოვი თვლის, რომ „ილიჩ-სვიტინის ნოსტრატულ ენათა ლექსიკონში თავმოყრილია დიდი ლექსიკური მასალა, რაც უფლებას იძლევა არიდებულ იქნეს ტრუბეცკოის ეს არსებითი სიტყვისგება“ (ტრუბეცკოი 1987 : 420).

სრულიად არ მიმაჩნია შეუძლებლად მომავალში ენობრივ ოჯახთა ფილუმებად გაერთიანება მათ შორის კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობების დადგენის გზით, მაგრამ დღეს არც ერთ ენობრივ ფილუმის არსებობა არ არის მეცნიერულად დამტკიცებული, მათ შორის არც ენათა ე. წ. ნოსტრატული ფილუმისა, და ილიჩ-სვიტინის ლექსიკონიც მხოლოდ ამყარებს ტრუბეცკოის სკეფსისს.

ცალსახად უნდა ითქვას, რომ სადღეისოდ არც ერთ ენობრივ ფილუმში შემავალ ენათა ოჯახების ნათესაობა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის დაცვით არ არის დამტკიცებული (სემიტურ-ქამიტური იგივე აფრაზიური ენათა ოჯახია და არა ფილუმი) – მიუხედავად ამისა, როგორც ვთქვი, გამოკვლევების რიცხვი განუხრელად იზრდება, ისევე როგორც მათი გავლენა თანამედროვე ენათმეცნიერებაზე, რაც სერიოზულ საფრთხეს ქმნის ზუსტი და მკაცრი მეცნიერული მეთოდების დისკრედიტაციისა და თვით ლინგვისტიკის, როგორც მეცნიერების დარგის, პროფანაციისა (იხ. აგრეთვე ჰოლი 1987).

1979 წელს, როდესაც ლინგვისტიკისათვის ეს საბედისწერო საფრთხე ჯერ კიდევ თითქოს თვალსაჩინო არ იყო, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავლის“ წინასიტყვაობაში აკად. არნოლდ ჩიქობავა

წერდა: „თანამედროვე თეორიულ ენათმეცნიერებას არსებითი საკითხების გაგებაში დიდი სიჭრელე ახასიათებს. ყველა თავისი სამრეკლოდან რეკავს, მასთან ისე, რომ მეტწილად ცხადი არ არის, რასაც რეკავს და რისთვის რეკავს. გაურკვეველობას ამ საკითხებში არამცირედი ზიანი მოუყენებია წარსულში იბერიულ-კავკასიური ენების მეცნიერული შესწავლის საქმისათვის“ (ჩიქობავა 1979 : 3).

ახლა თვის ჩრდილო-კავკასიური ენების ნათესაობის (რაშიაც ეჭვი თითქოს აღარავის შეაქვს) მტკიცების კომპარატივისტული უზრუნველყოფის შესახებ:

ჩრდილო-კავკასიური ენების ნათესაობის დამტკიცებას ნ.ტრუბეცკოის სახელს უკავშირებენ, კერძოდ მის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ნაშრომს, რომელიც 1930 წელს გამოქვეყნდა გერმანულ ენაზე ვენაში: „Nordkaukasische Wortgleichungen“ („Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes“. Bd. XXXVII, Heft 2, Wien, 1930 : 76-92) (რუსული თარგმანი: ტრუბეცკოი 1987 : 271-282).

ამ ნაშრომის ობიექტური შეფასება ეკუთვნის გ. დეეტერსს: „ნ. ტრუბეცკოიმ დაადგინა 100-ზე მეტი (სინამდვილეში მათი რაოდენობა ამ ნაშრომში ზუსტად ასია მ. ქ.) ფარდობა აღმოსავლურ- და დასავლურ-კავკასიურს შორის, რომელიც მოიცავს აგრეთვე რიცხვით სახელებს, პირისა და ჩვენებით ნაცვალსახელებს, მაგრამ ბგერათშესატყვისობა უმეტეს შემთხვევაში ცხადი არ არის“ (დეეტერსი 1963 : 41).

ჩრდილოკავკასიურ ენათა შედარებითი გრამატიკისადმი მიძღვნილი პირველი მეცნიერული ნაშრომი ფრანგულ ენაზე გამოიცა პარიზში 1933 წელს: **G. Dumézil, Introduction a la Grammaire comparée des langues caucasiennes du Nord. Paris, 1933 : 150.** ჟორჟ დიუმეზილის ეს, ხუთი თავისაგან შემდგარი მონოგრაფია მიუხედავად იმისა, რომ არაერთ საინტერესო ფაქტსა თუ მოსაზრებას შეიცავს, შედარებით გრამატიკას მაინც არ წარმოადგენს ამ ტერმინის მეთოდოლოგიური დატვირთვით.

შედარება მოიცავს გრამატიკულ კლასებს (თავი პირველი); ნაცვალსახელურ ფუძეებს (თავი მეორე); სახელთა ბრუნებას (თავი მესამე); ზმნათა დროებს (თავი მეოთხე); ჩრდილოკავკასიურსა და ბასკურს (თავი მეხუთე), მაგრამ არა ფონოლოგიურ სისტემებს, რაც მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, როდესაც ამ ენობრივ ჯგუფთა შორის კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობები უკვე დადგენილია.

აფხაზურ-ადიღურ და ნახურ-დაღესტნურ ენებს შორის კი კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობების სისტემა ჯერ კიდევ არ იყო გამოვლენილი, არაფერი რომ არ ვთქვათ ბასკური ენისა და ჩრდილოკავკასიური ენების ურთიერთმიმართებაზე, სადაც ბგერათშესატყვისობათა პოვნის საკითხი იმხანად არც იდგა დღის წესრიგში და ის არც დიუმეზილს დაუყენებია თავის მონოგრაფიაში.

1981 წელს ნალჩიკში რუსულ ენაზე გამოიცა აფხაზურ-ადიღური და ნახურ-დაღესტნური ენების ისტორიულ-შედარებითი მორფოლოგიის შესავალი: **Абдоков А. И., Введение в сравнительно-историческую морфологию абхазо-адыгских и нахско-дагестанских языков, Нальчик : Кабардино-Балкарский государственный университет, 1981.**

თავისთავად ცხადია, მონათესავე ენათა ისტორიულ-შედარებითი მორფოლოგიის შექმნას მაშინ აქვს აზრი, თუ ამ ენათა ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკა არსებობს, ანუ თუ მათი ნათესაობა ცალსახად არის დამტკიცებული კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობების სისტემის გამოვლენის სახით.

ა. აბდოკოვს ესმოდა რა, რომ სერიოზული სირთულეების წინაშე იდგა, მან სცადა თავისი ისტორიულ-შედარებითი მორფოლოგიის შესავლის გამართლება შედარებითი ფონეტიკისა და ლექსიკისადმი მიძღვნილი ახალი გამოკვლევით:

О звуковых и словарных соответствиях северокавказских языков, Нальчик: "Эльбрус", 1983: 200.

ამ ნაშრომში პოვნიერია რამდენიმე საინტერესო მახვილგონივრული და სარწმუნო დაკავშირება, თუმცა კვლავინდებურად არასაკმარისი ჩრდილოკავკასიურ ენათა ორი ჯგუფის ურთიერთნათესაობის პრობლემის ცალსახა გადაწყვეტისათვის.

ამ მხრივ ცალ-ცალკე, როგორც აფხაზურ-ადიღურ ენათა, ასევე ნახურ-დაღესტნურ ენათა ჯგუფებს შიგნით, ბგერათშესატყვისობათა კანონზომიერებულობისა და რეგულარულობის თვალსაზრისით სერიოზული პრობლემები არსებობდა, ეს პრობლემები კიდევ უფრო თვალსაჩინო იყო ჯგუფთაშორისი შედარების მცდელობათა ფონზე. „შესავალმა“ კი კიდევ ერთხელ ნათელყო სამეცნიერო მიმოქცევაში მყოფ იმ ფაქტთა და არგუმენტთა უკმარისობა, რომლებიც მოიხმობოდა აფხაზურ-ადიღური და ნახურ-დაღესტნური ენების ნათესაობის დასამტკიცებლად: მთავარ დაბრკოლებად კვლავ ბგერათშესატყვისობათა კანონზომიერებისა და რეგულარულობის გადაუჭრელობა რჩებოდა. მეტიც ობიექტურად რომ ვთქვათ, ამ და მსგავსი გამოკვლევების წერისას, ვერიფიცირებად მეთოდებზე დაყრდნობით იმისი საგანგებო და ცალსახა დაზუსტებითაც არავინ შეიწუხა თავი, ნახური და დაღესტნური ენები მართლაც ერთ ენობრივ ჯგუფს შეადგენენ, როგორც ეს ტრადიციულად და აპრიორულად არის მიღებული თუ ორ სხვადასხვა ჯგუფს წარმოადგენენ.

ახლა თვით პრობლემასთან დაკავშირებით – ჩრდილოკავკასიურ (აფხაზურ-ადიღურ და ნახურ-დაღესტნურ) ენებს უპირისპირებენ სამხრეთკავკასიურ (ქართველურ) ენებს იმ მოსაზრებით, ვითომდა მათი ურთიერთნათესაობა უფრო სარწმუნოა ან სულაც დამტკიცებულია (?), ვიდრე მათი ნათესაობა სამხრეთკავკასიურ ენებთან.

ზემოთნახსენებ ჩემს მონოგრაფიაში „იბერიულ-კავკასიური ენათმეც-

ნიერების საფუძვლები“ ვფიქრობ ცალსახად დავამტკიცე, რომ ჩრდილო-კავკასიური (აფხაზურ-ადიღური და ნახურ-დაღესტნური) არ არიან ერთმანეთთან გენეტიურად უფრო ახლოს, ვიდრე თითოეული მათგანი სამხრეთკავკასიურ (ბასკურ-ქართველურ) ენებთან.

1985 წელს ვიაჩესლავ ა. ჩირიკბამ გამოაქვეყნა სტატია: „Баскский и северокавказские языки“ ("Древняя анатолія", Москва: „Наука“, 1985 : 95-105), რომელიც სასტიკად, თუმცა ობიექტურად იქნა გაკრიტიკებული და მიკუთვნებული ფანტასტიკის სფეროს (თრასქი 1995 : 81-86).

კიდევ უფრო ფანტასტიკურია ჯონ ბენგსტონისა და მერიტ რულენის ცდები ბასკურის დაკავშირებისა ე. წ. დენე-კავკასიურთან (თრასქი 1995 : 90-91) და სხვ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ თეორიის წინააღმდეგ თრასქი საგანგებო წერილსაც ამზადებდა სათაურით: „ბასკური და დენე-კავკასიური: კრიტიკა ბასკურის მხრიდან“ ("Basque and Dene-Caucasian: a critique from Basque side").

რა გასაკვირია რომ ჩირიკბას, ბენგსტონის, რულენისა თუ სტაროსტინის (მერიტ რულენმა და სერგეი სტაროსტინმა, როგორც მოსალოდნელი იყო ერთმანეთი იპოვეს და 1994 წელს ერთობლივი სტატიაც გამოაქვეყნეს „პროტო-ენისეური რეკონსტრუქციები, ექსტრაენისეური შედარებებით“) კვაზიმეცნიერული „ნაშრომების“ გადამკიდვე თრასქსა და მის კოლეგებს, რომლებიც უშუალოდ ვერ ფლობენ კავკასიურ და კერძოდ ქართველურ მასალას და ვერც დამოუკიდებლად ახერხებენ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მკაცრი დაცვით ბასკურისა და ქართველური ენების შედარებას და არც ამ სფეროში პოვნიერ მცირერიცხოვან კომპარატივის-ტულ გამოკვლევებზე მიუწვდებათ ხელი, აბსოლუტურად უარყოფითი დამოკიდებულება რომ ჰქონოდათ ბასკური და ქართველური (resp. კავკასიური) ენების ნათესაობის პრობლემისადმი.

ბასკურ-ქართველური და მთის კავკასიური ენების ნათესაობა და მათი კუთვნილება ერთი – იბერიულ-კავკასიური ოჯახისადმი უკვე დამტკიცებულია იმავე მკაცრი და ვერიფიცირებადი მეთოდებით, როგორც თაც არის დამტკიცებული ინდო-ევროპულ ენათა ნათესაობა, ეს კი ყოველგვარ გონივრულ საფუძველს აცლის ნოსტრატული და დენე-კავკასიური ფილუმების ჰიპოთეზებს, რომლებიც სამხრეთ და ჩრდილო კავკასიურ ენებს პრინციპულად სხვადასხვა გენეალოგიურ ხეებს აკუთვნებს (მით უმეტეს, რომ ცალსახად გაირკვა ბასკური ენის ადგილი იბერიულ-კავკასიური ენობრივი ოჯახის სწორედ ბასკურ-ქართველურ ჯგუფში).

ლიტერატურა

ანდრეევი 1986 – Андреев Н. Д., Раннеиндоевропейский язык, Ленинград: „Наука“, 1986.

ანდრონოვი 1982 – Андронов М. С., Из истории классификации дравидских языков (сб.: Теоретические основы классификации языков мира. Проблемы родства, Москва: „Наука“ 1982).

ბენგტსონი, რუჟენი 1994 – Bengtson J., Ruhlen M., Global Etimologies. On the Origins of Language, Stanford: „Stanford University Press“, 1994.

ბომჰარდი 1984 – Bomhard A. R., Toward Proto-Nostratic. A Neu Approach to the Comparson of Proto-Indo-European and Proto-Afroasiatic. Foreword by Paul J. Hopper, Amsterdam/Philadelphia: John Benjamins Publishing Company, 1984.

ბომჰარდი 1990 – Bomhard A. R., A Survey of the Comparative Phonology of the So-calle „Nostratic“ Languages ("Trends in Linguistics. Studies and Monographs 45" : Linguistic Change and Reconstruction Methodology, Berlin-New York ; „Mouton de Gruyter“, 1990. : 331-358).

ბომჰარდი, კერნსი 1994 – Bomhard A. R., Kerns J., C The Nostrtic Macrofamily. A Study in Distant Linguistic Relationship, Berlin / New York: „Mouton de Cruyter“ 1994.

გიგინეიშვილი 1990 – გიგინეიშვილი ბ. ჩრდილოკავკასიელ ხალხთა ისტორიული განსახლების პრობლემა ენობრივ მონაცემთა მიხედვით (გაზეთი „სახალხო განათლება“, № 23, 7 ივნისი, 1990, თბილისი: 14-15).

დიუმეზილი 1933 – Dumézil G., Introduction á la grammaire comparee des Langue caucasiennes du Nord, Paris, 1933.

ტრასკი 1995 – Trask R. L., Origins and Relatives of the Basque Language: Review of the evidence (Towards a History of the Basque Language, Amsterdam/Philadelphia: John Benjamins Publishing Company, 1995. : 69-99).

ილიჩ-სვიტიჩი 1971-1984 – Иллич-Свитыч В. М., Опыт сравнения ностратических языков (семито-хамитский, картвельский, индоевропейский, уральский, дравидский, алтайский). Сравнительный словарь, Москва: „Наука“: I – 1971, II – 1976, III – 1984.

კავალი-სფორცა 1991 – Cavalli-Sforza L. L. Genes, Peoples and Languages (Scientific American, 1991, vol 265, no 5).

კავალი-სფორცა 2000 – Cavalli-Sforza L. L. Genes, Peoples and Languages, New York: North Point Press Adivision of Farrac, Straus and Giroux, 2000

კომრი 1998 – Comrie B. (ed.) Атлас языков мира, Москва: „Лик пресс“, 1998.

ლაფონი 1976 – Lafon R., ბასკური ენა (კრებულში „ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა“, არნ. ჩიქობავას წინასიტყვაობითა და რედაქციით, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1976 : 9-84).

ლევინი 1995 – Levin S., Semitic and Indo-European the Principal Etymologies (with observations on Afro-Asiatic), Amsterdam/Philadelphia: Jonh Benjamins Publishing Company, 1995.

მარი 1908 – Марр Н. Я., Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими, Санкт-Петербург, 1908.

მეიე 1954 – Meillet A. Сравнительный метод в историческом языкознании (Перевод с французского). Москва: „Издательство Иностранной литературы“, 1954,

ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994 – Nikolayev S. L., Starostin S. A., A North Caucasian Etymological Dictionary. Edited by S. A. Starostin, Moscow: „Asterisk Publishers“, 1994.

ნიკოლსი 1997 – Nichols J., Nikolaev and Starostin’s North Caucasian Etymological Dictionary and the methodology of long-range comparison: an assessment (Non – Slavic Languages conference. X. 8-10 May 1997, Papers to be presented and abstracts. Towards an Areal Linguistic Typology of Native Siberia, Chicago, 1997: 20).

ორიოლი, სტოლბოვა 1995 – Orel V. E., Stolbova O. V., Hamito-Semitic Etymologica Dictionary: Materials for a Reconstruction, Leiden: E. J. Brill, 1995.

სტაროსტინი 1982 – Старостин С. А., Праенисейская реконструкция и внешние связи енисейских языков (“Кетский сборник (антропология, этнография, мифология, лингвистика)”), Ленинград, 1982: 144-237.

სტაროსტინი, რულენი 1994 – Starostin S., Ruhlen M., Proto-Yeniseian Reconstructions, with extra-Yeniseian comparisons (“On the Origin of Languages: Studies in Linguistic Taxonomy”, Stanford : Stanford University Press, 1994 : 70-92).

ტოვარი 1980 – Tovar A., ბასკური ენა (ავტორიზებული ინგლისური თარგმანიდან თარგმნა ნათელა სტურუამ. არნ. ჩიქობავას წინასიტყვაობითა და რედაქციით), თბილისი: „მეცნიერება“ 1980.

ტრუბეცკოი 1987 – Трубецкой Н. С., Избранные труды по филологии, Москва: „Прогресс“, 1987 .

ფონხუა 1974 – ფონხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი: „მეცნიერება“, 1974.

ქურდიანი 2007 – ქურდიანი მ., იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2007

ჩიქობავა 1979 – ჩიქობავა ა., იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1979.

ჩირიკბა 1985 – Чирикба В. А., Баскский и северокавказские языки (В сб.: „Древняя Анатолия“, Москва: „Наука“, 1985: 95-105).

ჩუხუა 2006 – ჩუხუა მ., ბგერათშესატყვისობათა სისტემა ქართველურ-ნახურ ენებში (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი), თბილისი, 2006.

ხალიდოვი 2006 – Халидов А. И., Введение в изучение кавказских языков, Грозный, 2006.

ჯაჰუკიანი 1967 – Джаукян Г. Б. Взаимоотношение индоевропейских, хуррито-урартских и кавказских языков, Ереван: Издательство Академии Наук Армянской ССР.

ჰოლი 1987 – Hall R. A. Jr., Linguistics and Pseudo-Linguistics, Amsterdam/Philadelphia : Jon Benjamins Publishing Company, 1987.

M. K u r d i a n i (Tbilisi)

**Family of the Iberian-Caucasian languages or Nostratic
and Dene-Caucasian phillums or the problem of
methodic strictness in comparativistics**

Basic propositions: 1. *Any science is competent within the own limits, outside of which there is a sphere of non-verified hypotheses.*

A comparative method of linguistics is as exact and verified as the methods of natural sciences.

A comparative method of linguistics is universal and equally useful for any family of languages.

The crisis which was created in some parts of the modern comparative linguistics is caused not by the gaps of a comparative method, but its absolute uselessness for confirming the hypotheses of one part of linguists, – simple of extra-linguists.

Impossibility of confirming their hypotheses through a comparative method makes the authors to turn to conscious, purposeful discredit of a comparative method.

2. *A part of researchers tries to discredit a comparative method through different methods and from different side:*

a) at expense of worsening a methodic strictness, wilful uniting of languages' families into phillums takes place; e. g.: the members of the family of the Noetic, Nostratic, Boreic, Dene-Caucasian and others, in particular, Iberian-Caucasian languages are united in two different phillums: the Kartvelian languages – in Nostratic (together with Indo-European, Semitic, Uralian, Altarian and Dravidian) and Abkhaz-Adyghian and Nakhian-Daghestanian ones – in Dene-Caucasian (together with Sino-Tibetan, Yeniseian and Na-Dene languages of American Indians).

b) qualification of language units into a language and a dialect through using non-immanent markers, etc. is carried out through neglecting a methodic strictness or implanting nihilistic attitude towards it.

c) discovering of "specific exceptions" through confirming the non-universality of a comparative method for "our languages": through acknowledging the unestablishing of natural and regular sound-correspondences among the closely related languages, on one hand and through existing of such sound-correspondences among the dialects of one language, among the sub-dialects of the same dialect of one language and even in the speech of individuals of different generation and sex of the members of one family of human-beings, on other hand, etc.

d) through declaring one-sidedness of a method, which as if explains the process and outcomes of divergence of languages, but it can not manifest and explain the outcomes of processes of languages' convergence, etc.

e) to implant doubt in trustworthiness and power through confirming essential criterion (sound-correspondences) of a comparative method, through a priori assuming of possibility of establishing the so-called "secondary" sound-correspondences among languages and through putting a hypothesis of "languages' kinshiping" (so called allo-genetic theory) along with the kinship of languages, etc.

Actually, a comparative method has answers to all these challenges and these answers are clear.

As regards the authors (a part of who tries to turn the gaps in own education to the scientific problems) who can not confirm and vertificate their hypotheses through a comparative method, they verbally declare, that their viewpoints have right of existing in science as alternate of existing theories, but practically they try to legalize the status of dominating (resp. official), the more, non-alternative doctrine for this quasi-scientific views and for achieving this goal they don't shun any means (this regrettable tradition in linguistics begins from N. Marr and the followers of his "new linguistic doctrine").

An attempt of establishing the "Dark ages" in comparativistics is repeated for particular period in the history of linguistics for different duration, dimensions and intensivity, but verifcatness of linguistic methods are insuparable obstacles for quasi-scientific opuses.

Во-вторых, рассмотрение законодательных актов, касавшихся определения личных и поземельных прав высших сословий в мусульманских частях Закавказья («Положение об агаларах» А. П. Ермолова 1817/1818 г.² и других «Положений» о личных правах высшего мусульманского сословия³). Немаловажным подспорьем при изучении этого вопроса служат статистические данные о численности мусульманского населения региона, содержащиеся как в специально подготовленных сборниках⁴, так и разбросанные в актовых и канцелярских документах.

В-третьих, существенное значение имеет анализ системы мусульманского образования в Закавказье, порядка управления и надзора за деятельностью мусульманских училищ, готовившихся учебно-методических материалов⁵. Чиновники царской администрации подчеркивали роль мусульманских образовательных учреждений в подготовке и воспитании лояльных к власти духовных лиц.

¹ Положение об управлении Закавказского мусульманского духовенства Суннитского учения. [б.м., б.г.]. С. 2—6; Положение об управлении Закавказского мусульманского духовенства Шиитского учения. [б.м., б.г.]. С. 2—6; ЦГИАГр, ф. 12, оп. 1, д. 2074, л. 1.

² ЦГИАГр, ф. 2, оп. 1, д. 3988, л. 85—94.

³ АКАК, т. X. Тифлис, 1885. С. 3—7.

⁴ *Евецкий О.* Статистическое описание Закавказского края. СПб., 1835.

⁵ ЦГИАГр, ф. 416, оп. 3, д. 413, 415.

Степень заинтересованности царской администрации на Кавказе в решении мусульманского вопроса выявляется в собирании сведений о системе судопроизводства у мусульман и обычаях для подготовки сводов мусульманских законов¹. Среди обсуждаемых тем был вопрос о сфере применения шариатского суда среди мусульман, расширении его юрисдикции с брачно-семейных до гражданских дел вообще. Одним из первых опытов стало «Изложение начал мусульманского законоведения» (СПб., 1850), изданное сенатором бароном Н. Е. Торнау, который в течение нескольких лет участвовал в управлении Каспийской областью.

Существенным фактором, характеризующим жизнь мусульманских общин Закавказья, их внешние и внутренние религиозные связи, является проблема прозелитизма². Проповедническая деятельность в регионе персоподданных мусульман находилась под пристальным вниманием полицейских служб и самого закавказского мусульманского духовенства.

Опираясь на вышеизложенное, необходимо еще раз подчеркнуть, что кропотливое исследование такой интересной и малоизученной темы, как деятельность Духовных правлений мусульман Закавказья в XIX – начале XX вв. позволит нам выйти за пределы политической истории и за рамки изучения сугубо административных вопросов, которые детально разрабатывались историками-кавказоведами. Обращение же к проблеме религиозной политики Российской империи в Кавказском регионе ставит перед нами вопросы государственного управления жизни мусульманских общин, отличий правового статуса мусульманской духовной и гражданской элиты от положения духовенства других конфессий, особенностей судопроизводства, деятельности мусульманских учебных заведений и многие другие сюжеты.

A. G a n i c h (Moscow)

Towards a subject of the study of the state policy of the Russian Empire concerning Transcaucasian Muslims (XIX - beginning XX centuries)

S u m m a r y

Development of Oriental studies and one of its branches Caucasiology in a post soviet period is characterized not only by the search of new methods of historical research, but by reviewing the concepts that had been dominating for a long time. The estimation of key events in history of different nation was also revised. It is character-

¹ ЦГИАГр, ф. 416, оп. 2, д. 26, 30, 31; оп. 3, д. 608.

² ЦГИАГр, ф. 12., оп. 7, д.770, 889.

ized as well by study of those issues which earlier were not area of any close attention of researchers. One of such subjects is a state policy of tsarist Russia concerning Muslims of Transcaucasia and the activity of the Transcaucasia's Spiritual Assemblies (*muftiats*) in second half XIX – first third XX centuries. Within the framework of extensive and complex subject matter of a colonialism of Russian empire in the Caucasus and researches in the system of ruling of the attached areas the given problematic had been only indirectly mentioned. Some of its aspects were mentioned in the general works on history of an Islam and Muslim communities in Russian state.

Annexation by diplomatic and military ways of the territories of the Transcaucasia which was so diverse ethnically demanded from the Russian government the differentiated approach in managing their new possession. Different forms of management were developed and coexisted: commandant's (military-national), provincial and regional. In 1840 on the initiative of high commissioner and viceroy of the Caucasus, Count I.F.Paskevich was carried out the administrative reform, the aim of which was liquidation of local forms of government and introduction of the uniformity and centralized control system according to inner-Russian.

Simultaneously with carrying out administrative transformations the Imperial Government started developing the measures of the effective state control over new Muslim citizens and Muslim spiritual elite. Inclusion process of Muslims in various class groups with distribution of the corresponding rights and duties became a part of national and religious policy of the Russian state in region. In order to have efficient management over Transcaucasian Muslims it was necessary to add already existing nation-wide Muslim administration system of the Empire. The system of Muslim administration included the Orenburg Spiritual Assembly in Ufa (1788—1917), the Tavridian Muslim Assembly in the Crimea, Simferopol (1831—1917). As a result of a long spade-work in 1872 was officially founded, and on January, 2nd, 1873 are solemnly opened the Transcaucasian Shiite and the Sunni Assemblies with their centers in Tiflis. Their jurisdiction extended on Muslims of Baku, Elisavetpol, Tiflis and Erevan provinces. All other territories of Transcaucasia and Northern Caucasus were outside of jurisdiction of Muftiats of Transcaucasia.

The analysis of service correspondence of the Russian administration official in the Caucasus attests existence of a wide spectrum of questions on a considered problematic:

1. Management of Muslim clergy and spiritual affairs; policy of the introduction into positions of Muslim clergy; management and supervision of *vakf* properties; the policy of office-work in mohammedan establishments (*majlis*); activity of Muslim charitable societies;
2. The personal rights and privileges of the high estates in Muslim parts of Transcaucasia;
3. Questions of management and guardianship of Muslim schools;
4. The arches of Muslim laws and customs;
5. A problem of proselytism.

Studying of religious policy of Russian Empire in the Caucasian region and activity of Spiritual boards of Moslems of Transcaucasia (XIX – the beginnings of XX centuries) is based on the analysis of more private plots such as: the government management of Muslim communities, difference of a legal status of Muslim spiritual and civil elite from position of clergy of other faiths, features of Scharia court, activity of Muslim educational institutions and etc.

ა. გ ა ნ ი ჩ ი (მოსკოვი)

რუსეთის იმპერიის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის საკითხის შესწავლისათვის ამიერკავკასიის მუსულმანებთან მიმართებით XIX-XX (საუკუნის დასაწყისი)

რ ე ზ ი უ მ ე

ნაშრომში გაანალიზებულია ამიერკავკასიაში მუსულმანური მოსახლეობის და სასულიერო ელიტის მიმართ რუსეთის იმპერიის რეველუციონამდელი სახელმწიფო კონტროლის დაწესების პოლიტიკა. ხაზგასმულია, რომ ხელისუფლება, სასულიერო ელიტის და ისლამის მიმართ, ზოგადად, იკავებს მფარველობით პოზიციას. ამით, ხაზს უსვამს ავტორი, რომ ცარიზმი ცდილობდა მუსლიმანურ „სასულიერო პირთა“ მხარდაჭერა მოეპოვებინა რეგიონში იმპერიული კურსის გასატარებლად. ავტორი ყურადღებას უთმობს რუსეთ-კავკასიის ომამდელ და ომის შემდგომ არსებულ რელიგიური პოლიტიკის ძირითადი დებულებების შედარებით ანალიზს.

ს. ზ ე დ ე ლ ა შ ვ ი ლ ი (თბილისი)

**აგრარული რეფორმა ჩრდილოეთ კავკასიაში
XIX საუკუნეში**

ჩრდილო კავკასიელების რუსეთ-კავკასიის ომში დამარცხებამ ვერ მოსპო სურვილი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა. ამის საპირისპიროდ რუსეთისთვის, პირველ რიგში, აუცილებელი გახდა ტერიტორიულ-მმართველობითი რეფორმის განხორციელება. ამით იგი საბოლოოდ მოსპობდა ჩრდილო კავკასიელთა დამოუკიდებლობისკენ სწრაფვას და საბოლოოდ დამკვიდრდებოდა რეგიონში. მთავრობის მიზანი იყო ჩრდილოეთ კავკასიის არა მარტო ფორმალური შეერთება, არამედ მდიდარი ნედლეულის მქონე რეგიონის ეკონომიკური ათვისებაც. ასეთი მისიისათვის საჭირო შეიქნა ჩრდილო კავკასიელთა ტერიტორიების გადანაწილება, მათი მეურნეობის გარდაქმნა, საადგილმამულო ურთიერთობისა და ადმინისტრაციული ღონისძიებების განხორციელება. ჯერ კიდევ ჩრდილოეთ კავკასიაში დამკვიდრებისთანავე ხელისუფლების მიზანს წარმოადგენდა ტერიტორიული მოწყობის ღონისძიებათა გატარება, რაც ითვალისწინებდა, პირველ რიგში, მიწების თვითნებურ გადანაწილებას. აუცილებელი იყო მთიელთათვის ტერიტორიების კუთვნება-არკუთვნების კანონმდებლობით განსაზღვრა; საჭირო გახდა დაკონკრეტებულიყო, აგრეთვე, მიწის საზღვრები და მცხოვრებთა უფლებები მიწათსარგებლობაში.

ომის „გამარჯვებით“ დასრულებისთანავე მთიელთა საარსებო საზღვრები დროს აღარ შეესატყვისებოდა. ხელისუფლებას უნდა გადაესინჯა მიწათსარგებლობის ფონდი. მთიელთა ტერიტორიების საზღვრები ნაწილობრივ ჯერ კიდევ ადრე, კოლონიზაციის დაწყებისთანავე შეცვალეს. კოლონისტების მიერ ახალ-ახალი მიწების ათვისებამ და მთიელთა მიწების ფონდის შემცირებამ გამოიწვია დიდი წინააღმდეგობის გაჩენა სხვადასხვა ეროვნების მთიელთა შორის, დაპირისპირება თვით პატარა აულებშიც ხდებოდა.

მიწათმფლობელობის რეორგანიზაციის უფრო უკეთ განხორციელებისათვის აუცილებელი იყო ტერიტორიების ადმინისტრაციული კუთვნილების დაკონკრეტება; კერძოდ, 1860 წელს გააუქმეს კავკასიის ხაზი, რომელიც წარმოადგენდა სასაზღვრო კორდონულ დამცავ ჯებირს. მის მარ-

ცხენა ფრთას ეწოდა ყუბანის მხარე, მარჯვენას კი – თერგისა. მთელი რიგი მიწები რუსეთმა გამოაცხადა სამხედრო საკუთრებად, ხოლო მთიანი ზოლის მიწები გადასცა სახელმწიფო ხაზინას (История 1975, 39).

ცარიზმი ახორციელებდა რეგიონის რუსიფიკაციას, ქმნიდა რუს ახალმოსულთათვის მიწების ფონდს, რითაც არღვევდა მთიელთა კერძო საკუთრების უფლებას მიწაზე. რუსმა აქ შემოიტანა მის ქვეყანაში მიღებული ვოტჩინური ტიპის საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი საკუთრება მიწაზე, რაც სრულიად უცხო იყო ადგილობრივებისათვის. კერძო საკუთრების ხელყოფა და საზოგადოებრივ მფლობელობაში გადაცემა იმავე მიწების ხელყოფას ნიშნავს. მთავრობის 1862 წლის მაისის დადგენილებით ყუბანში კაზაკთა სოფლებმა, სამხედრო მოხელეებმა და ხაზინამ 1860 ათასი დესეტინა სახნავ-სათიბი, საძოვარი მიწები და ტყის მასივები მიიღო (ნარკვევები, 1978, 88), ხოლო მთიელებისთვის საცხოვრებლად გამოყვეს მთავრობისთვის მიზანშეწონილი განსაკუთრებული რაიონი. როგორც ვხედავთ, რუსეთმა ეს მთიელები თავისი შეხედულებისამებრ დაასახლა, რაც ფაქტობრივად რეზერვაციას ნიშნავდა. ანალოგიური ღონისძიებანი განხორციელდა ყუბანის მხარეში; ასე, მაგალითად, თერგის სამიწათმოქმედო წოდებრივმა კომისიამ ოსური საზოგადოების მიერ ტყის მასივებით სარგებლობის საკითხების შესწავლა დაიწყო, რადგანაც ტყის მასივების გადანაწილება უკავშირდებოდა აგრარულ, ტერიტორიულ, ადმინისტრაციულ საკითხებს. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საზოგადოებებში მიწების ჩამოჭრა-გადანაწილებითა და საზღვრების შეცვლით აირია მიწათსარგებლობის, ტყის მასივების და ამ ტერიტორიებზე არსებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის პრინციპი. ერთი საზოგადოების ტყის მასივები აღმოჩნდა სხვა აულების თუ საზოგადოების, კაზაკებისა და რუსული ახალშენების საზღვრებში. ტყის მასივების გადანაწილება ხდებოდა თერგისა და ყუბანის ოლქის თითქმის ყველა ოკრუგში. ტყის მასივების მთავრობის მიერ დადგენილი მეთოდებით გადაცემა-განაწილებამ გაზარდა სიძულვილი და წინააღმდეგობა თვით ჩრდილო კავკასიელებს შორისაც.

კუთვნილი მიწების ჩამორთმევითა და მთავრობის მიერ მიწინილ ადგილებზე იძულებით დასახლებით ჩრდილო კავკასიელთა უმეტესობას ემიგრანტის ბედი ერგო ოსმალეთის იმპერიაში. მიწათა მფლობელობა ყუბანისა და თერგის რაიონებში მთლიანად მოიშალა. ოსმალეთში განდევნილ მთიელთა და აქ დარჩენილთა მიწების საუკეთესო ნაწილებიც დაურიგდათ კაზაკებს, სამხედრო მოხელეებს, რუს ჩინოვნიკებსა და ხელისუფლებისადმი ერთგულ ადგილობრივ არისტოკრატებს.

სამხედრო სახალხო ოკრუგები იქმნებოდა ეთნიკური და ისტორიული საზღვრების გაუთვალისწინებლად. ასე, მაგალითად, მცირე ყაზარდო გამოაცალკევეს დიდი ყაზარდოსგან და შეუერთეს ოსეთის სამხედრო ოკრუგს, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ჩეჩნეთისა და ინგუშეთის

ნაწილი. ოსეთის ოკრუგის გარეთ დარჩენილი ჩენები გაყვეს ორ ნაწილად: არღუნისა და ინქერიის ოკრუგებად, რომელთაც შეუერთეს ლეკების საზოგადოების ნაწილი (ССКГ, 1869, 62). 1862 წელს თერგის მხარე დაანაწილეს რვა ოკრუგად: ყაბარდოს, ყუმიყეთის, ინგუშეთის, ჩენეთის, არღუნის, ინქერიის, ოსეთის და მთისა. თავის მხრივ კი ოკრუგები დაყვეს ადმინისტრაციულ ნაკვეთებად (Калмыков, 1995). ნაყოფიერი მიწები მთიელთა ოკრუგებში არ შესულა. რუსული სისტემის რეგონებისა და ოკრუგების შექმნასთან ერთად დაირღვა მთიელთა მიწების კუთვნილების საზღვრები და მათი მეურნეობის სისტემა. ჩრდილოეთ კავკასიაში გატარებული აგრარული, სამოქალაქო თუ სასამართლო რეფორმები განპირობებული იყო რუსეთში საბაზრო ურთიერთობების განვითარებით. მაგრამ რეფორმები ტარდებოდა არა ამ მხარის განვითარებისათვის, არამედ რუსეთის ინტერესების გათვალისწინებით. აგრარული, საბატონო და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ღონისძიებებით უნდა მომხდარიყო ტერიტორიული, მეურნეობრივი და საადგილმამულო ფონდის საკუთარი ინტერესებისამებრ გადანაწილება და რუსული სამართლებრივი ნორმებით დაკანონება. აღნიშნული ღონისძიებების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში მთიელები ვეღარ შეძლებდნენ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას, რადგან დამოუკიდებლობის მოთხოვნა გამოიწვევდა თვით მთიელთა შორის კონფლიქტურ სიტუაციას. მიწების შესაძლო მასიური გადანაწილების შედეგად მათ ერთმანეთის მიმართ გაუზნდებოდათ ტერიტორიული პრეტენზიები და დამზადებულ შუამავლად ისევ მოვევლინებოდათ რუსეთი.

60-იან წლებში შექმნილმა მთელმა რიგმა კომისიებმა დაიწყეს პროექტების შედგენა მის შესახებ, თუ ვის რა, რამდენი და როგორი მფლობელობით უნდა რგებოდა მიწები. ამ მხრივ აღსანიშნავია გენერალ გრიგოლ ორბელიანის პროექტი, რომლითაც საკითხი გადაიჭრა რუსეთის ხელისუფლების სასარგებლოდ. პრიორიტეტი მიეცა არა კერძო, არამედ საზოგადოებრივ მიწათმფლობელობას, რომელიც რეალურად სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ ექცეოდა. აღნიშნული მეთოდით ადგილობრივ მოსახლეობა კარგავდა საკუთარი მიწის კონტროლის უფლებას. რაც შეეხებოდა კერძო მფლობელობის მიწებს, ისინი ურიგდებოდათ მხოლოდ ერთგულებს, რომლებიც საზოგადოებრივ მიწებთან რაოდენობრივად იმდენად უმნიშვნელოდ გამოიყურებოდა, რომ სახელმწიფომ ასეთი ფლობის უფლება დართო. გრ. ორბელიანის წინადადებები რუსეთმა მიიღო, რადგანაც ესეც კოლონიური მმართველობის ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენდა. პროექტები ტრადიციულ ადათობრივ მიწის ფლობის უფლებას ძირს ურყევდნენ. მიწების გამო მთის საზოგადოებებსა და ყაბარდოელებს შორის დიდი მტრობა გაჩნდა. 1864 წელს ხელისუფლების გადაწყვეტილებით უნდა მომხდარიყო მთის საზოგადოებებსა და დიდ ყაბარდოს შორის მიწათა და საძოვრების გამიჯვნა; მთის ზოლზე ყაბარდოელებს ჩამოაჭრეს

მიწები და გადასცეს მთის საზოგადოებებს, ე. ი. მათ საძოვრები მიიღეს მთის ფერდობებზე, თუმცა მთის საზოგადოებანი დიდად უკმაყოფილონი დარჩნენ ამ გადაწყვეტილებით, რადგანაც ეს ტერიტორიები, მეტწილად ტყიანი, საზაფხულო და საშემოდგომო საძოვრებისთვის გამოუყენებელი იყო (CCKT, 1869, 12). ხელისუფლება კი არ ითვალისწინებდა მთიელთა სურვილს მიწათმფლობელობისა და საზღვრების დადგენის საკითხებში. უკვე სახელმწიფო საკუთრებად მიჩნეული მიწებიდან ხელისუფლებამ 60-იან წლებში გაფანტულად განასახლა ადგილობრივი მცხოვრებნი და გადააკეთა შიდა საზღვრები. ეს ბედი ერგოთ თავაურისა და ქურთათის საზოგადოებების ოსებს, ინგუშებსა და ყარაბულაყელებს ნაზრანის საზოგადოების აულებში. მცირე ყაბარდოს 1700-მდე კომლი კი გაასახლეს თავსალათოვის რაიონში (CCKT, 1869, 53) და ა. შ. როგორც ეხედავთ, სახელმწიფო მიწები მთლიანად გაწმინდეს ადგილობრივთაგან. ამ გზით რუსეთის ხელისუფლებამ ხელთ იგდო სახელმწიფო და გამოთავისუფლებული მიწების დიდი ფონდი და თავისი შეხედულებისამებრ დაურიგა კაზაკთაგან პირველ რიგში ოფიცრებს დამსახურების მიხედვით, მაგალითად, შტაბის ოფიცერს – ოთხსამდე დესეტინა, ოფიცერს – ორასამდე და ა. შ. მარტო ყუბანის ოლქის ტერიტორიაზე სამხედრო მოხელეებმა 40 ათასი დესეტინა მიიღეს (ნარკვევები, 1978, 88). რუსეთის ერთგულმა მოხელეებმა დაახლოებით 60 ათასზე მეტი დესეტინა უხვმოსავლიანი მიწა დაისაკუთრეს. რაც შეეხება იმ მიწებს, რომლებიც მთიელთა ოკრუგებს გადაეცა, ტრამალ ადგილებს ჰგავდა და ნაკლებ სარგებლიანი იყო.

ყველა პროექტი, რომელიც ეხებოდა აგრარულ, მიწათმფლობელობის საკითხებს, ძირითადად რუსეთის ინტერესებს იცავდა. საინტერესოა 1867-68 წლების ყუბანის მხარის ურუპისა და ზელენუკის, ლაბისა და ფსეკუფსის ოკრუგების მიწათა სამეურნეო აღწერა, რომელიც განხორციელდა ყუბანის მხარის მმართველობის უფროსის პოლკოვნიკ დუკმასოვის მეთაურობით (CCKT, 1869, 70). მის მიერ აღწერილი მიწების ფონდი და ტერიტორიული გადანაწილების პროექტი ხელისუფლების პოზიციებს ეთანხმებოდა. პროექტი მოიწონა კავკასიის მთავარსარდალმა, და განსახილველად გადასცა კავკასიის კომიტეტს. იგი შეიტანეს კომიტეტის ჟურნალში, როგორც ხელისუფლების მიერ მოწონებული პროექტი. მთიანი ზოლის დასავლეთი ნაწილი მდ. ლაბის თავიდან მთა აფიფსამდე, რომელიც საცხოვრებლად მოსახერხებელი იყო და მჭიდროდ იყო დასახლებული მთიელებით, კოლონისტებმა მთლიანად გაწმინდეს. თავისუფალ მიწებზე დაასახლეს კავკასიის მე-3 და მე-4 კაზაკთა ბატალიონები, ხოლო იმ ოფიცრებსა და ჩინოვნიკებს, რომლებმაც აქ სამუდამოდ ცხოვრება გადაწყვიტეს, გამოუყვეს თითოეულს 30 დესეტინა მიწა კერძო მფლობელობაში (CCKT, 1869, 77). ამ მაგალითით ჩვენ შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ მთლიანად ყუბანისა და თერჯის რეგიონებში აგრარულ-ტერიტორიული რეფორმის შედეგებზე. მთავარსარდლის ბრძანებით, უნდა მო-

მხდარიყო ყაბარდოს მოსახლეობის გაერთიანება მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულებად, დიდ აულებად, რათა რუსეთის მიერ დანიშნულ ადმინისტრაციის მეთაურს უკეთ შესძლებოდა კონტროლის გაწევა ერთიანი, მთლიანი ტერიტორიისა და ხალხისათვის, ვიდრე მცირე, დანაწევრებული ერთეულებისათვის. ამავე დროს მიწების განაწილება საზოგადოებრივ მფლობელობაში მსხვილი ერთეულებისათვის საგრძნობლად ადვილი იყო და ხელისუფლებას დიდ პრობლემას არ უქმნიდა. მაგალითად, 1865 წლიდან დიდ ყაბარდოში დაიწყო აულების გაერთიანება მსხვილ სასოფლო-სამეურნეო ერთეულებად – 97 აული გაერთიანდა 30 დიდ აულად (ნარკვევები, 1978, 96) და ა. შ. აღნიშნული ღონისძიებანი გატარდა ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რეგიონებშიც. რუსეთის „დაყავი და იბატონეს“ პოლიტიკის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენდა ჯერ კიდევ 50-იან წლებში ოსების საზოგადოებაში განხორციელებული ღონისძიება – გაყვეს ქრისტიან და მაჰმადიან ოსთა აულები, რამაც ქრისტიან და მაჰმადიან ოსთა შორის მტრობა გაზარდა. საქმე ისაა, რომ მაჰმადიანთა მიწების ნაწილი გადასცეს ქრისტიანებს, ხოლო ქრისტიანების უფრო მცირემოსავლიანი მიწები კი, პირიქით, მაჰმადიანებს, ე. ი. მოხდა მათი კუთვნილი ტერიტორიების და საზღვრების არე-დარევა. მაგალითად, მიწის ფართის სიმცირის გამო თავაურის საზოგადოების პრივილეგიურებულ მაჰმადიან ადღარებს უფლება მიეცათ დაეკავებინათ მიწის ნაკვეთები ვლადიკავკაზის ველზე, გადმოსახლებული ქრისტიანი ოსები მაჰმადიანთა დამოკიდებულებაში ვარდებოდნენ (СМОМПК, 1883, 102). როგორც ვხედავთ, იმპერიული „დაყავი და იბატონეს“ ერთ-ერთი მეთოდი არა მარტო სხვადასხვა ხალხების, არამედ თვით ერთი ერის, ერთი საზოგადოების შიგნითაც ხორციელდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ხან ქრისტიანებისადმი და ხან მაჰმადიანებისადმი მხარდაჭერა რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ხერხს წარმოადგენდა. ხელისუფლებამ აგრარული რეფორმის ნიღბით გადაწყვიტა მტრობა ჩამოეგდო ჩენებსა და ინგუშებს შორის. თავდაპირველად ხელისუფლებამ განახორციელა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1866 წელს, რითაც ინგუშეთი გამოყო ჩენეთისაგან და ცალკე ნაზრანის ოკრუგად ჩამოაყალიბა (ნარკვევები, 1978, გვ. 142), შემდეგ კი სასოფლო-სამეურნეო მიწების ვითომდაც გადანაწილების მიზნით ჩენებს ყოფილი ყარაბულახის ნაკვეთი ჩამოაჭრა და ტერიტორიულ-ადმინისტრაციულად მიაკუთვნა ინგუშებს. როგორც ვხედავთ, რუსეთი დაპყრობილ რეგიონებში ერთი და იმავე ხერხით მოქმედებდა. რუსეთი აღნიშნული პოლიტიკით აძლიერებდა სიძულვილს როგორც სხვადასხვა, ისე ერთი ეროვნების ხალხებს შორის. ნებისმიერი სახის არეულობა ხელს აძლევდა ცარიზმს. იგი ხომ გამაშველებლად მოეველინებოდა ნებისმიერ აულსა და რეგიონს. წინააღმდეგობანი მიწათსარგებლობაში აიძულებდა ხელისუფლებას აგრარულ-ადმინისტრაციული რეფორმებით „წესრიგში“ მოეყვანა ეს საკითხები. ამავე დროს მიწათსარგებლობაში

არსებული არასტაბილურობა მისაღები იყო ხელისუფლებისთვის. მიწის საკითხებთან დაკავშირებული ნებისმიერი დადგენილებანი თუ ბრძანებულებანი ნადელების ჩამოჭრის თუ მიცემის, ასევე საზღვრების გადაწვევის შესახებ ხელისუფლების ინტერესებიდან გამომდინარეობდა. რაც მეტი წინააღმდეგობა იქნებოდა მიწის საკითხებთან დაკავშირებით, მით უკეთ განახორციელებდა ხელისუფლება გასახლება-დასახლების პოლიტიკას. რეფორმების ძირითადი არსი იყო ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების ერთმანეთთან წაკიდება; დაპირისპირება თვით ერთი ეროვნების აულებს შორისაც ხდებოდა. ხელისუფლება სპეციალური სასაზღვრო ნიშნების დაყენებით აკანონებდა და დე-ფაქტოდ აქცევდა ტერიტორიულ ცვლილებებს.

ლიტერატურა

ნარკვევები, 1978 – ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ნაკვეთი II. თბილისი, 1978.

История... 1975 – История горских и кочевых народов Северного Кавказа, вып. 1. Ставрополь, 1975.

Калмыков, 1995 – Ж.А. Калмыков, Установление русской администрации в Кабарде и Балкарии. Нальчик, 1995.

СМОМПК 1883 – Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. III. Тифлис, 1883.

ССКГ, 1869 – Сборник сведений о кавказских горцах, вып. 2. Тифлис, 1869.

S. Z e d e l a s h v i l i (Tbilisi)

**Agrarian reform in the North Caucasus
in the 19th c.**

Fighting for adopting the Russian administrative governing is a whole epoch. This was not realized rapidly as Russia had not to fight with „wild" and „backward" „tuzemts", the way the empire attendants mentioned the north Caucasians, but with the social unities having sufficient formulated indigenous administration and their own language, culture, territory with boundaries administration – a governing organization in the person of princes and noble-men; a low depended and free stratas; judical organs, armed military persons in the person of a defender of the order and administrative-territorial unity – votchina, i. e. these were territorial-administrative units with the institutions of social governing.

A northern Caucasian, grown up with inculcation of social traditions and Islam never yielded to Russia to adopt its way of life and governing. Owing to this, inflexibility and hateful attitude of these peoples towards the conqueror caused a Caucasian great war which continued almost a half century and resulted the defeat and genocide of aboriginal peoples. The unsuccessful struggles could not destroy the desire for freedom and independence, owing to this Russia had to carry out reforms. Through it, Russia will finally destroy the north Caucasians' desire for independence.

Along with gradual establishing of administrative and court governing, Russian power tried to adopt the territorial principles by which it demolished the historically existed ethnic-territorial frontiers of the northern Caucasians. Demolishing of the frontiers caused the ignore of the institutes of social governing, Adats and traditions of life existing during the centuries.

Along with agraric and corvee reforms, administrative ones caused the breaking down of their vital space, turning over the lands of one society to another, of one village to another, of one peoples to another, i. e. confusing of everything, rousing of envy and enmity in each other which was an usual method of the empire, were carried out. In the north Caucasus Russia realized the policy „Divide et impera" successfully. Some ethnic groups (Natukhs, Beslens, Ubikhs and others) were destroyed.

Russia successfully legalized a Russian administration. Viceregent was the highest stage of an administrative hieranchy. At the same time a viceregent was a Commander-in-chief of the Caucasus, the next stage was occupied by Comanders-in-chief of Kuban and Tergi regions. Chieves and their assistants of locality had an important role

in territorial-administrative governing.

In order to conceal the territorial-administrative Russian governing the authority created a perfect governing organ – system of military-people's governing, i. e. Russian administrative representatives of local feudal section. Bribed local noble-men will „decorate" Russians in governing.

They began to change police-offices into localities. In 1860 and 1869 administrative dividing was carried out in Tergi region. Administrative-territorial localities were formed and they were territorially confused to each other and their ethnic boundaries were lost.

Ethnic and other peculiarities of a region were not paid attention. New Russian toponyms were entered.

Each region has its own zone. The authority purposely divided these zones into small regions and zones. The officials faithful to empire were appointed in each region or district. They consolidated their power in subordinated regions.

Qubani region was divided into military zones.

In 1871 a civil governing was formed. Russian commanders headed the regions. They had to carry out civil and military governing function and had indeterminate rights.

Only the persons who were loyal to authority, were nominated on new posts. They were granted salaries.

Reorganization of local rural governing was carried out, in particular, in 1869 according to resolution of the Caucasian administration a rural social governing was consisted of village meeting, village governing and village court. A representative of a local noble-man was nominated as a village-governer „starshina" (fore-man). The resolution carried by a village-meeting and a village-governer „starshina", served to empire.

The congress of a village society, which was known as a people's meeting before, was united in a Russian governing system. It was headed by the chieftains of region.

Adopting the Russian judicial norms a conquering de facto changed into de jure.

Through legislation of new laws the authority destroyed the Adats of the northern Caucasians and Shariat's law. This aimed to become a Russian legislative region. Provisional courts were changed into people's ones, where muslim ecclesiastic section was restrained. In courts Adat was paid attention. A number of court representatives from local inhabitants was defined by a region administration.

By 1870, almost in all regions of the north Caucasus new judicial-investigating structures were formed. This fact points to administrative-judicial success of Russia.

In 1871 the people's courts of the Qubani and Tergi were become into verbal courts on the basis of Adat and Shariat. The members were local inhabitants, a chair – a head of a region or his assistant.

Regional and village courts were also formed. As a result, all mentioned courts served the interests of Russia.

Administrative reforms together with agrarian and corvee ones gave to Russia the possibility of „peaceful” establishing in the north Caucasus. These reforms confused not only the boundaries and territorial property of the North Caucasians, but the ethnic constituent of the region.

С. Зеделашвили (Тбилиси)

Аграрная реформа на Северном Кавказе в XIX веке

Резюме

К 60-70 гг. XIX в. крепостническая реформа России твердо пустила свои корни на Северном Кавказе. Административно-территориальные мероприятия, проводимые в Кабарде и Адыгее, ничем не отличались от тех, которые проводились в Осетии и Чечне. Согласно российской политике административного деления, часть западных народов Северного Кавказа была объединена в Кубанскую область, за исключением кабардинцев, которые были включены в Терскую область вместе с народами восточного региона, куда входили и чеченцы. В процессе исследования территориально-административного деления необходимо провести параллель с мероприятиями, проведенными в западном регионе, с реформами, проведенными в Чечне и Осетии, т.к., включив последние в одну область, Россия, тем самым, попыталась превратить их в единое целое. В результате осуществления Российской империей аграрной реформы на Северном Кавказе произошло перераспределение земель в целях собственного самоутверждения.

დ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი, ე. რ ა ი ს ნ ე რ ი (თბილისი)

ევროპული საზოგადოებრივი აზრი რუსეთისა და
კავკასიის ქვეყნების ურთიერთობის შესახებ
გუშინ და დღეს

რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების პოლიტიკური ურთიერთობის საკითხების კვლევა წინა საუკუნეებიდან დღემდე მეტად აქტუალურია. მით უფრო, როცა თანამედროვე პერიოდში ამ ქვეყნებს შორის განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებზე ხშირად ყურადღებას ამახვილებენ ევროპის ქვეყნების მთავრობები, საერთაშორისო ორგანიზაციები და მასობრივი საინფორმაციო საშუალებები.

როგორ აღიქვამდნენ საუკუნეების წინ და რა შეფასებებს აძლევენ ახლა ევროპელები რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების პოლიტიკურ ურთიერთობებს?

XVIII საუკუნის ევროპის პრესის ფურცლებზე დაბეჭდილი ცნობები კავკასიის ქვეყნების შესახებ მოწინავე ევროპული საზოგადოების დაინტერესებას ზრდიდა. XVIII საუკუნის 80-იანი წლების კავკასიაში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს ყურადღებით ადევნებდა თვალს მრავალი შურნალ-გაზეთი. შურნალი „Historische Portfeuille zur Kenntniss der gegenwärtigen und vergangenen Zeiten“, რომელიც 1782 წლიდან ყოველთვიურად გამოდიოდა ქალაქებში – ვენა, ბრესლაუ, ლაიფციგი და ჰამბურგი, მკითხველს აწვდიდა ცნობებს სხვადასხვა ქვეყნების წარსული და მიმდინარე ისტორიული მოვლენების შესახებ. ცნობები კავკასიის შესახებ მოთავსებული იყო ქვეთავებში – „რუსეთი“ ან „თურქეთი“.

1784 წლის მეცხრე ნომერში გამოქვეყნებულია „ტრაქტატი რუსეთის იმპერიასა და საქართველოს შორის“(1). აღნიშნულია, რომ იგი წარმოადგენს პეტერბურგში დაბეჭდილი ტექსტის სარწმუნო თარგმანს. შურნალში მოთავსებულია ტრაქტატის 13 ძირითადი მუხლი და ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის ფიცის ნიმუში. ამ ერთი შურნალის ერთი პუბლიკაციიდანაც ცხადია, რომ გეორგიევსკის ტრაქტატი იმ პერიოდის უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენა იყო. ეს აქტი კავკასიის პრობლემის ახლებურად დაყენებას მოასწავებდა.

ამავე ჟურნალის 1785 წლის მე-10 და მე-11 ნომრებში მოთავსებულია ცნობები ჩრდილო კავკასიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. აღნიშნულია, რომ „აჯანყებულ თათრებს კავკასიაში სასტიკი შეტაკება ჰქონდათ ადგილობრივი ჯარის ნაწილებთან. მათი დაუმორჩილებლობა განსაკუთრებით მძიმე იყო რუსეთის იმპერიისათვის, რადგანაც ეს ხალხი იმპერიის მხოლოდ საუკეთესო და უერთგულესი ჯარის ნაწილების მიერ შეიძლება ყოფილიყო შებოჭილი და მათთვის განუწყვეტლივ თვალყურის დევნებას მოითხოვდა .. ლეკები და სხვა თათრები ავესტოში მეორედ დაესხნენ თავს რუსეთის ფორპოსტებს, მაგრამ დანაკარგით უკან დაიხიეს“ (2).

ცნობები მეფის რუსეთის მიერ კავკასიის მთის ხალხების დასამორჩილებლად წარმოებული ბრძოლის შესახებ მომდევნო წლის ნომრებშიც მოიპოვება: „რუსეთის ჯარმა დეკემბრის დასაწყისში კავკასიაში თათარ ხალხებზე უპირატესობა მოიპოვა. მათ დაახლოებით 20-ათასიან თათართა ჯარს შეუტოეს და მთლიანად ადადგინეს რუსეთის კორდონის დამოუკიდებლობა. თათართა ჯარი, რომელიც უმეტესად თავისუფალი ლეკებისაგან შედგებოდა, დიდი დანაკარგით მთებს შეეხიზნა. ამ ხალხის სიველურე და ყაჩაღური ბუნება მათ რუსეთის წინააღმდეგ მტრული გამოხდომებისაკენ უბიძგებს და განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ძალა ომთან არის დაკავშირებული.“ სავარაუდოდ, ამ ცნობაში უნდა იგულისხმებოდეს მთიელთა შეტევა ყიზლარზე, რომელსაც შეის მანსური მეთაურობდა. ამავე ამბავს უნდა გადმოგვცემდეს მეორე ცნობა, რომელიც პეტერბურგიდან მიუღიათ: „გენერალ პავლე პოტიომკინის კავკასიაში არყოფნის დროს, უეცრად აჯანყდნენ ადგილობრივი ხალხები. ისინი კასპიის ზღვასთან მდებარე ერთ-ერთი სოფლის მკვიდრმა, ვინმე ცრუწინასწარმეტყველმა წააქეზა. რუს გერენადერთა ხიშტებმა და მამაცობამ დასძლია ყოველგვარი სიძნელეები. აჯანყებულთა დიდი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ კვლავ მშვიდობა დამყარდა.“ (3).

მართალია, ჟურნალი ვერ წვდება კავკასიაში მიმდინარე ამბების სიღრმეს, მაგრამ ცდილობს მკითხველს აცნობოს, რომ რეგიონში რთული ვითარებაა, რუსეთსა და ჩრდილო კავკასიის ქვეყნებს შორის კი ურთიერთობა მეტად დაძაბულია.

კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები XIX საუკუნის ვეროპულ პერიოდულ გამოცემებშიც აისახა. ისტორიული მოვლენების მრავალფეროვნებამ ცნობების რაოდენობის მატება გამოიწვია.

1805 წელს გერმანიაში გამოცემული ჟურნალის „კონსტანტინოპოლი და სანკტ-პეტერბურგი“ პირველ ტომში დაიბეჭდა სტატია: „ჩანაწერები საქართველოდან“. ნარკვევს საფუძვლად დაედო 1804 წლის 22 აგვისტოს ქალაქ თბილისიდან უცნობი ავტორის მიერ გაგზავნილი წერილი. ავტორი აღფრთოვანებულია რუსული მმართველობის სისტემით, რომელიც თურმე თავისი ქვეშევრდომი ქვეყნის – საქართველოს პიროვნებებსა და ქონებას იცავს. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „რუსეთის სამეფოს

მიერ სამუდამოდ გაერთიანებული საქართველოს მცხოვრებლები დღითიდღე სწავლობენ იმ მაღლის დაფასებას, რასაც ისეთი მმართველობის ქვეშევრდომობა ჰქვია, რომელიც ქონებასა და პიროვნებას იცავს, საყოველთაო სიკეთე განუზრახავს და არ კადრულობს ძალისმიერი გამოძალვის მეთოდებს, როგორც ამას აზიელი დესპოტები ჩადიან“. სინამდვილეში, როდესაც ეს პუბლიკაცია გამოქვეყნდა, საქართველოში სრულიად საპირისპირო მდგომარეობა იყო. ქვეყანაში საყოველთაო უკმაყოფილება სუფევდა. რუსული მმართველობის სისტემით აღშფოთებულები იყვნენ როგორც სამეფო კარის წარმომადგენლები, ასევე თავადაზნაურობა და გლეხობაც.

ავტორი შენიშნავს: „აქამდე დამოუკიდებელი, მცირე თუ შედარებით მრავალრიცხოვანი მთის ხალხები, რომლებიც უმეტესად მომთაბარე ცხოვრებას ეწევიან, ნელ-ნელა და სულ უფრო მეტად ექცევიან რუსეთის მფარველობის ქვეშ. თუ მთავრობა შეძლებს მათ შორის მშვიდობიანი განწყობის შექმნას, ეს უკვე დიდი საქმე იქნება“ (4). როგორც ნაშრომიდან ჩანს, ავტორი საკმაოდ კარგად ერკვევა რუსეთის მიერ კავკასიის მთის ხალხების მიმართ წარმოებულ საქმიანობაში, რომ მათი ძალით დამორჩილება საკმაოდ ძნელია და ათასგვარი საშუალება უნდა გამოიყენონ, რათა მათ რუსეთის ქვეშევრდომობა აღიარონ.

წერილის ავტორი ცდილობს გაამართლოს კავკასიის ქვეყნებში რუსეთის მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები. მეფის რუსეთი განმთავისუფლებელი მისიის აღმსრულებლად არის გამოყვანილი. იგი არ მალავს რუსეთის გეგმებს ამ რეგიონის სხვა ნაწილების მიმართაც: „რაც პეტრე I-ს არ გამოუვიდა მაშინდელი მდგომარეობის გამო, რასაც დიდი ეკატერინე განახორციელებდა მოულოდნელად რომ არ გარდაცვლილიყო, იმას აუცილებლად შეძლებს აღექვანდრე I. თუ ხელში ჩავიგდებთ სომხეთის ერთ ნაწილს და კასპიის ზღვის პორტებს, მაშინ სამყაროს ამ რეგიონში ვაჭრობა ახალ ეპოქაში შევა და მალე ისე აყვავდება, როგორც არასოდეს. ყველაზე უკეთესი კი ის არის, რომ რუსეთი ამ მხარეში გაფართოვდეს და თავისი ძალაუფლება უსაზღვროდ გააძლიეროს ისე, რომ ოდნავაც არ გაადვივოს ევროპული სახელმწიფოების ეჭვი“ (4).

1805 წელს იგივე ჟურნალის მერვე ნომერში გამოქვეყნებულია XIX საუკუნის რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი ჩინოვნიკის ფონ ზასის ნაშრომი – „ისტორიულ-სტატისტიკური სიახლეები საქართველოს შესახებ“. საქართველოს მიმოხილვის გარდა, მასში ყურადღება კავკასიის სხვა ხალხებზეც არის გამახვილებული. ავტორი შენიშნავდა, რომ კავკასიის მთიანეთში სხვადასხვა ხალხი ცხოვრობს, რომლებიც ენით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ ცხოვრების წესში, რელიგიასა და ჩვეულებაში ბევრი რამ აქვთ საერთო.

სტატის ავტორი სვამს კითხვას: „მოიგო რუსეთმა რაიმე საქართველოს შეერთებით?“ მისი პასუხი ასეთია: „რუსეთმა უფრო მსხვერპლი გა-

იღო, ვიდრე სარგებელი ნახა. უცხო ქვეყანაში, რომელსაც არასახარბიელო მდგომარეობა ჰქონდა, ძნელი იყო ფეხის მოკიდება. რუსების ჯარებს მუდმივად უხდებოდათ შეტაკება ირგველივ მყოფ ხალხებთან, მათგან დაცინვის ატანა.“

ფონ ზასი მხარს უჭერდა რუსეთის მიერ გატარებულ პოლიტიკას კავკასიის რეგიონში. ის მკითხველს ისეთ შთაბეჭდილებას უქმნიდა, რომ კავკასიის რეგიონში ველური ხალხი ცხოვრობდა, რომელსაც ხსნის არანაირი შესაძლებლობა არ გააჩნდა: „ამ გაველურებულ ხალხებში ცივილიზაციის შეტანით, რაც ადვილად შესაძლებელია გარკვეული ზომების მიღებით, კაცობრიობა მოიგებდა და იმპერატორი ალექსანდრე I ყოველივე ამით სამარადისო ძეგლს დაიდგამდა, რომელიც მომავალ საუკუნეებშიც იარსებებდა“(5).

რა შეფასებებს აძლევენ ევროპელები რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების პოლიტიკურ ურთიერთობებს თანამედროვე ეტაპზე? ევროპული საზოგადოებრივი აზრი მეტად განსხვავებულია. ზოგი თვლის, რომ რეგიონში გეოპოლიტიკური მიწისძვრა მოხდა; ზოგი, რომ კავკასია მოსკოვს ხელიდან უსხლტება; ხშირად საუბრობენ იმის თაობაზეც, რომ პრინციპულად აუცილებელია კავკასიის ხალხების დარწმუნება იმაში, რომ რუსეთის პოლიტიკური პროცესების ჩარჩოებში მათ შეუძლიათ თავიანთი პრობლემების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა.

2002 წლის აგვისტოში გერმანულ გაზეთში „Süddeutsche Zeitung“(6) თომას ავენარიუსის სტატია – „მოჩვენებითი სიმშვიდე ეშმაკისეულ ღვთის კუთხეში“ დაიბეჭდა. სტატიის ავტორმა 2002 წლის აგვისტოს დასაწყისში საქართველოში იმოგზაურა. მოგზაურობის მიზეზი რუსეთ-ჩეჩნეთს შორის მიმდინარე ომის ერთ-ერთი ინციდენტი გამხდარა, რომელიც პირდაპირ კავშირშია საქართველოსთან.

ავტორი მკითხველს რუსული სატელევიზიო საინფორმაციო გამოშვების შესახებ მოუთხრობს, რომელშიც ეს მოვლენები ყოფილა განხილული: „საქართველოში პატიოსანი, უბრალო ადამიანები უფრო გვეხმარებიან, ვიდრე იქაური მთავრობა!“ – ვლადიმერ პუტინის ეს სიტყვები პირქუშად გაისმა შორეულ კავკასიაში. რუსეთის პრეზიდენტის შემდეგ ტელევიზიამ პუტინის ჟარისკაცები აჩვენა, რომლებიც ჩეჩნეთის პიტალო კლდეებს შორის ამბოხებულებთან ბრძოლაში სისხლს ღვრიან. გენერლებმა რამდენიმე წარმატებაც გვახარეს: ზეიმობდნენ ბოლო დღეებში მეზობელი საქართველოდან რუსეთში შემოპარული ათობით ჩეჩენის მოკვლას. არავინ იცის, რამდენი ჩეჩენი გადმოვიდა საზღვარზე, შეიძლება რამდენიმე ასეული კაციც. პუტინის გმირი ერთი ქართველი მწყემსი გამოდგა, რომელმაც ჩეჩენი მეზობლები გასცა, რის შემდეგაც რუსული ვერტმფრენები მათ ასაყვანად დაიძრნენ. კრემლის შეფი მწყემსს სიმამაცის ორდენს დაჰპირდა: პოსტსაბჭოური ერთობა კრემლის შეფსა და ცხვრების მწყემსს საქართველოს მოქალაქეს შორის შედგა, თუნდაც მხო-

ლოდ ტელევიზიისათვის. მოსკოვში კი რადიკალურად განწყობილი ხალხი იმაზე აყვირდა, რომ სამხედროების დრო მოვიდა, რათა საბოლოოდ მოუარონ მზაკვარ ჩეჩნებს საზღვარს მიღმა კიდევ უფრო მზაკვრულ საქართველოში“(6).

ავტორი მკითხველს აცნობს, რომ რუსეთის პრეზიდენტის პირდაპირ ეთერში გადმოცემული კარგად გათვლილი გაბრაზების მიზეზი საქართველოში მდებარე პანკისის ხეობა გახდა, რომლის დაბურული ტყეები ყველაფერს ფარავს. იმასაც, რაც არაფერს უნდა დაინახოს: ახალგაზრდა შეიარაღებული მამაკაცებს, რომლებსაც ერთი სურვილი აქვთ – თავიანთი ქვეყნისათვის ბრძოლაში რაც შეიძლება მეტი რუსი მოკლან.

რას წარმოადგენს რუსეთისათვის და მისი პრეზიდენტისათვის პანკისის ხეობა? – ამ კითხვაზე გერმანელ ჟურნალისტს ასეთი პასუხი აქვს: „ვლადიმერ პუტინისათვის პანკისის ხეობა რაღაც ეშმაკისეულ ღვთის კუთხეს წარმოადგენს: ეს ხომ დაახლოებით 100 კვადრატული კილომეტრის სიდიდის სამოთხეა ისლამისტური ტერორისტებისთვის, ეშმაკისეული ადგილი მოღალატე მეზობელ სახელმწიფოში, საიდანაც ბოროტება რუსეთისაკენ იღვრება. აქედან იპარებიან ჩეჩენი ამბოხებულები რუსეთში, უსაფრდებიან და აფეთქებენ სამხედრო ბაზრებს.“

ჟურნალისტი აფიქსირებს რუსი გენერლების სამომავლო გეგმებს პანკისის ხეობის მიმართ: „რუსი გენერლები ამბობენ, რომ მხოლოდ რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებას ელოდებიან. ისინი მზად არიან „წარმატებით მოუარონ“ ჩეჩენ ამბოხებულებს საზღვარს მიღმა.“ რას გულისხმობენ მოსკოვის სამხედრო ხელმძღვანელები „წარმატებით მოვლაში“? – სვამს კითხვას თომას ავენარიუსი და თვითონვე პასუხობს: „მათ ეს ჩეჩენეთის ორ სისხლიან ომში დაგვანახეს. ის, რაც იქ ხდებოდა, გენოციდისაგან ცოტათი თუ განსხვავდება რამით.“

სტატიის ბოლოს თომას ავენარიუსი მეტად პრობლემურ კითხვას სვამს: „გამოინენს რუსეთის პრეზიდენტი ამდენ მოთმინებას მეზობელი საქართველოსადმი?“ ჟურნალისტი იქვე აცნობს მკითხველს ახალ ამბავს და ფაქტობრივად თავის დასმულ კითხვას პასუხს თვითონვე სცემს: „საქართველოს სუვერენიტეტის აშკარა დარღვევით რუსულმა თვითმფრინავმა გაფრთხილების მიზნით რამდენიმე დღის წინ პანკისი დაბომბა. მომხდართან დაკავშირებით მოსკოვმა ყოველგვარი პასუხისმგებლობა უარყო. რუსეთის მხარის თქმით, არც ერთი თვითმფრინავი საზღვარზე არ გადაფრენილა“.

დღესდღეობით წერტილი დაესვა არეულობასა და განუკითხაობას საქართველოს ამ კუთხეში, მაგრამ ურთიერთობებში მოსაწესრიგებელი ჯერ კიდევ ბევრია...

გაზეთი „The Economist“ (7) სარედაქციო სტატიაში 2002 წლის ოქტომბერში მოსკოვის თეატრში მომხდარ ტრაგედიას ეხება, როცა ჩეჩენმა ბოვეიკებმა 700-მდე მძევალი აიყვანეს. ამ ფაქტის ფონზე სტატიაში ზო-

გადად რუსეთ-ჩეჩნეთის ურთიერთობებია განხილული. აღნიშნულია, რომ რუსები ჩეჩნებს სისხლისმსმელ ბარბაროსებად თვლიან. ჩეჩნები კი ფიქრობენ, რომ რუსები ტირანები არიან. ისინი უკვე რამდენიმე საუკუნეა რუსეთის აგრესიას წინააღმდეგობას უწევენ. სტატიაში რუსეთ-ჩეჩნეთის ომის სხვადასხვა დეტალებზეცაა ყურადღება გამახვილებული: რუსი სამხედროები და ჩეჩენი ბოევიკები ამ ომში კარგ ფულს შოულობენ. ომი ყველასათვის ხელსაყრელია. სამშობლოში მცხოვრები ჩეჩნების ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ ვისაც შეუძლია მათ მშვიდობა მოუტანოს – ეს არ უნდა, ხოლო მათ, ვისაც ეს უნდათ – არ შეუძლიათ.

2003 წლის 25 ნოემბერს გერმანულ გაზეთში „Handelsblatt“ გამოქვეყნდა გეორგ ვაცლავეკის სტატია „გრძელი ხელით“ (8). წერილში 2003 წლის 23 ნოემბერს საქართველოში მომხდარი მოვლენებია შეფასებული. გაანალიზებულია რუსეთისა და ამერიკის როლი „ვარდების რევოლუციაში“. აღნიშნულია, რომ ამ ფაქტის შემდეგ ვლადიმერ პუტინმა კავკასიის რეგიონში რუსეთის გავლენის შესუსტება აღიარა და საქართველოს ახალ ხელისუფლებას ორ ქვეყანას შორის უკანასკნელ პერიოდში დაძაბული ურთიერთობებიდან ტრადიციული მეგობრობისაკენ დაბრუნება ურჩია. ჟურნალისტი აცნობს მკითხველს, რომ სინამდვილეში რუსეთს არცერთი შემთხვევა არ გაუშვია ხელიდან, რათა საქართველოში სიტუაციის დესტაბილიზაცია გამოეწვია და მისი დასავლეთის ბანაკში გადასვლა არ დაეშვა. მოსკოვი კარგავს თავის პოლიტიკურ და სამხედრო გავლენას, ხოლო ამერიკა კი თავის პოზიციებს კავკასიაში აძლიერებს. ამასთანავე, ოფიციალურად ვაშინგტონი და მოსკოვი როგორც პარტნიორები, ისე მოქმედებენ, თუმცა კულისებში მიმდინარეობს ბრძოლა გავლენის სფეროებისათვის. ფინანსურ ურთიერთობებში რუსეთი ნაკლებად მიმზიდველია, ვიდრე ამერიკა; მიუხედავად ამისა, რუსეთი თავის სამხრეთ ფლანგს ამერიკას ბრძოლის გარეშე არ დაუთმობს. საქართველოში რუსეთს თავისი გავლენის გასაძლიერებლად მარაგში რამოდენიმე ვარიანტი აქვს: გაღარიბებული ქვეყანა ენერგომატარებლების მიწოდებაზე თავის ძლიერ მეზობელზეა დამოკიდებული (8). ჟურნალისტის ანალიზი, შეფასებები და პროგნოზები ვფიქრობთ, რომ ობიექტურია.

2004 წლის ივნისში ჩეჩენი ტერორისტების ინგუშეთში შეჭრის ფაქტს განიხილავს ესპანური გაზეთ „ABC“. სტატიის სათაურია – „ცივი სისხლი კავკასიაში“ (9). სარედაქციო კომენტარებში აღნიშნულია, რომ „ინგუშეთის რესპუბლიკაში შეჭრით ჩეჩენმა სეპარატისტებმა სერიოზული დარტყმა მიაყენეს რუსეთის უშიშროების სამსახურს. მომხდარი თავდასხმა შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო ოპერაციად, რომელიც კავკასიაში ჩატარდა რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. ვლადიმერ პუტინს ნამდვილად აქვს აღელვების მიზეზი, რადგან ისლამისტებმა სწორედ იმ დროს მიაყენეს დარტყმა, როცა ჯერ კიდევ არ ჩამცხრალა წინა თვეს გროზნოში მომხდარი პრეზიდენტ აჰმად კადიროვის

მკვლევლობით გამოწვეული მდგომარეობა“. გაზეთი ყურადღებას აქცევს პუტინის რეაქციას და იშველიებს მის სიტყვებს: „...იპოვეთ და გაანადგურეთ თავდამსხმელები; ცოცხლად დარჩენილები სასამართლოს გადაეცით“. კომენტარებში სამართლიანად არის აღნიშნული, რომ არცერთი ცივილიზებული მმართველი არ უნდა გადავიდეს კანონიერების ზღვარს; ამ შემთხვევაში კი ყველაფერი ნათელი არ არის. მსოფლიოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, არავინ შეეწინააღმდეგება პუტინს, „რომელმაც კიდევ უფრო გააღვივა კონფლიქტი კავკასიაში“(9).

2004 წლის სექტემბრის ბესლანის ტრაგედია ევროპის მასშტაბის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა. ამავე წლის 8 სექტემბერს ავსტრიული გაზეთი „Der Standart“ აქვეყნებს სტატიას სათაურით: „კავკასია: განგაშის ახალი სიგნალი მიწისძვრის ზონაში“ (10). ჟურნალისტი მარკუს ბერნატი აღნიშნავს, რომ „ბესლანში მძევალთა აყვანის კატასტროფულმა ფინალმა მიწისძვრის შემდეგ შოკის ტალღასავით გადაუარა კავკასიას. ტერორისტთა გაუგონარ სისასტიკეს და რუსეთის სახელმწიფო აპარატის უსუსურობას ისეთი შედეგი ჰქონდა, რომელმაც თბილისსა და ბაქომდე მიაღწია.“ გაზეთი ხაზს უსვამს, ქართული ტელეარხ „მზეს“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ტერორისტების მიერ გამოყენებული ერთ-ერთი სატვირთო მანქანა ე. წ. სამხრეთ ოსეთში გაატარეს. პუბლიკაციის ავტორის თქმით, საქართველოს ხელისუფლებისათვის დიდი მონაპოვარი იქნებოდა მცირეოდენი მინიშნეობაც კი ე. წ. სამხრეთ ოსებისა და ტერორისტთა რაზმებს შორის კავშირის შესახებ... განა თბილისი არ იყო თვეების განმავლობაში რომ ცდილობდა როკის გვირაბზე ორმხრივი კონტროლის დაწესებას?... ახალგაზრდა ქართველ რეფორმატორთა ძირითადი არგუმენტი იარაღისა და ნარკოტიკების კონტრაბანდა, უკონტროლო საზღვრის გადაკვეთა იყო. მათ სურთ ბოლო მოუღონ რუსეთის საზღვართან რუხი ზონების არსებობას და მყარი არგუმენტებით ასაბუთებენ, რომ თვით მოსკოვი უნდა ყოფილიყო დაინტერესებული ქვეყნის სამხრეთ ფლანგზე სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნებით.

ინგლისური გაზეთი „The Economist“(11) იხილავს 2005 წლის ოქტომბერში ქალაქ ნალჩიკზე ბოევიკების თავდასხმის ფაქტს, რომელსაც ნამდვილ კატასტროფას უწოდებს. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ პრეზიდენტი პუტინი საუბრობდა „ჩვენ“ და „მათ“ დანაკარგებზე, თუმცა თავდამსხმელებიც რუსეთის მოქალაქეები იყვნენ. პასუხისმგებლობა ნაწილობრივ რუსეთის ხელისუფლებას და კონკრეტულად ბატონ პუტინს ეკისრება სამი მიზეზის გამო: პირველი – რუსეთის უშიშროების ორგანოების მკაცრი და არაკანონიერი ქმედებები. ისინი კლავენ, იტაცებენ და აწამებენ ხალხს ჩეჩნეთსა და მთელ რეგიონში. პროვიცირებას უკეთებენ სისხლიან შურისძიებას და დაზარალებულთა ნათესავებს რადიკალიზმისაკენ უბიძგებენ; მეორე მიზეზი – კრემლის პოზიცია რეგიონებში ხელისუფლე-

ბის საკითხთან მიმართებაში. ჩრდილო კავკასიაში ისინი მხარს უჭერენ ლოიალურ, მაგრამ არაპოპულარულ ხელმძღვანელებს; მესამე მიზეზი – კორუფცია, რომელიც კავკასიაში უფროა გავრცელებული, ვიდრე მთელ რუსეთში და რომელსაც ბატონი პუტინი არ ებრძვის. გაზეთი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს ამ რეგიონში არსებულ სიტუაციას. ცდა იმისა, რომ ძალით შეაკავოს რუსეთის იმპერიისგან გამოყოფის მოსურნე რეგიონი, მხოლოდ ახალ უბედურებას მოიტანს. შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიული მეთოდები აღმოჩნდეს ეფექტური, თუკი ბატონი პუტინი მათ გამოყენებას მოინდომებს.

დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ კავკასიის სახელმწიფოების ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციამ დასავლური პრესა რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების განხილვის საკითხში უფროდია გახდა. მრავალი თეორიული შეფასებისა და მოსაზრებების განხილვის მიუხედავად კავკასია ჯერ კიდევ დუღს. თუ რა შედეგით დასრულდება თანამედროვე ეპოქაში რუსეთსა და კავკასიის ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთობები, ამას მომავალი გვიჩვენებს.

D. K a n d e l a k i, E. R e i s s n e r (Tbilisi)

**The opinion of European society about the relationship
of Russia and the Caucasian countries
today and yesterday**

The research of the issues of political relationship between Russia and the Caucasian countries has been popular for ages. Especially nowadays, when the governments of European countries, international organizations and mass media focus on the developing events between these countries.

How did the Europeans perceive and how do they estimate the political relationship between Russia and the Caucasian countries?

The information printed on the papers of European press in the 18th century increased the interest of the progressive European society. Plenty of newspapers and magazines watched political situation developing in the Caucasus in the 80-s of the 18th century. The magazine „**Historische Portfeuille zur Kenntniss der gegenwertigen und vergangenen Zeiten**“, which had been published in various cities like: Vienna, Breslow, Leifzig and Hamburg since 1782, informed readers about the historical current events of the past and present in various countries. The news about the Caucasus was printed in the columns: „Russia“ or „Turkey“.

The article „The Traqtire between Russian Empire and Georgia“ was published in the ninth number in 1784 (1). It is underlined that it represents the reliable translation of the text printed in Petersburg. The major 13th article and the sample of the oath of the King Erekle II is placed in the magazine. It is obvious even from this one publication that the Georgievsky Traqtire was the most important event of the period. This act suggested the new approach to the Caucasian problem.

News about current events of the northern Caucasus is placed in the tenth and eleventh numbers of the same magazine. It is stated that rebellious Tatars had a fierce offensive with local soldiers. Their disobedience was especially hard for Russian Empire, as far as only the best and the most faithful unit of soldiers could withhold those people and they demanded to be under continuing control. The Leks people and other Tatars attacked Russian units for the second time, but withdrew suffering losses. (2)

News about the wars waged by Russia to make the Caucasian peoples surrender, can be found in the next editions of newspapers: „Russian forces took advantage of the Tatar people in the Caucasus at the beginning of December. They attacked about 20000

Tatars and completely restored independence of Russian cordon. The unit of Tatars, consisting mostly of free Leks, sheltered in the mountains with much losses. The wild and brigand nature encouraged them against Russia. Especially, when this power is connected with war. "Supposedly, the attack of the Mtieli (mountain) peoples on Kizlari, led by Sheikh Mansur was meant in the note. The same information is given in the second note, which had been received from Petersburg: „In the absence of General Potiomkin in the Caucasus, local people rebelled all of a sudden. They were encouraged by a false-soothsayer living in a village near the Caspian Sea. Braveness and bayonets of Russian grenaders overcame all difficulties. After homicide of rebelled people there was peace again.“ (3)

It is true, that the magazine cannot show the depth of the current events developing in the Caucasus, but tries to inform reader, that the situation in this region is tense and the relationship between Russia and the north Caucasian countries is really complicated.

Political events developing in the Caucasus were reflected in the European periodicals of the 19th century. The diversity of historical events caused the increase of information.

The article „Notes from Georgia“ was printed in the first chapter of the magazine named „Constantinople and St.Petersburg“ published in Germany in 1805. It was based on the letter sent by an anonymous author from Tbilisi in August 22, 1804. The author is excited with the system of Russian government, which was said to protect people and property of Georgia. To say in his words, „Georgian dwellers united by Russian Kingdom are learning to appreciate the gratitude, which is to be under the government protecting the property and person, intending general kindness and does not consider it worth using forcing methods like Asian despots do“. In reality, when this publication was published, the situation in Georgia was just the opposite. Universal discontent was to be found in the country. Peasantry as well as the representatives of Royalty and the noblemen were discontented..

The author remarks: „So far independent, small or relatively numerous mountain peoples are gradually becoming under Russian protection. If the government manages to make peace between them it will be a great achievement“ (4). According to the survey the author is well acquainted with the activity conducted by the Russian Empire towards mountain peoples and that it's quite difficult to make them surrender and it needs thousands of means to admit Russian dependence.

ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური სუბიექტი რეგიონში გერმანია იყო. მათ, რასაკვირველია, საკუთარი, შორს გამიზნული გეგმები ამოძრავებდათ. მათთვის კავკასია რესურსებისა და გეოპოლიტიკური კონტროლის თვალსაზრისით მეტად მომხიბლავი რეგიონი იყო. გერმანიაში უკვე ფიქრობდნენ მსოფლიო ომში რუსეთის დამარცხების შემდეგ საქართველოს ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნა-აღორძინებაზე ბუფერული, ნეიტრალური მუსლიმური სახელმწიფოების ზოლით. გერმანელებს შესაძლებლად ესახებოდათ თურქთა მეოხებით შეეკვეცათ „ერთიანი და განუყოფელი“ რუსეთის პოლიტიკური რუკა და ამოეკვეთათ იქიდან კავკასიის რეგიონი. გერმანული სტრატეგიული სარკინიგზო პროექტი – ბაღდადი-ჰამადანი-თეირანი – კავკასიას უმნიშვნელოვანეს საკვანძო პუნქტად მოიაზრებდა¹.

გერმანიის პოზიციები განსაკუთრებით ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შემდეგ განმტკიცდა. უ. ჩერჩილი აღნიშნავდა, რომ «...отныне германские армии... смогут пользоваться житницами Украины и Сибири, нефтью Каспийского побережья и всеми вообще ресурсами огромной страны»².

გერმანიის ჯარის შესვლამ კავკასიაში, ლუდენდორფის სიტყვით, გერმანიას მისცა საშუალება, «независимо от Турции, добраться до кавказского сырья и приобрести влияние на эксплуатацию дороги, идущей через Тифлис. Эта железная дорога имела огромное значение для ведения войны в Северной Персии, и эксплуатация ее под германским контролем была бы более успешна, чем при турецком содействии. Наконец, мы должны были попытаться усилиться грузинскими войсками, которые могли быть использованы против Англии»³. გერმანული პოლიტიკური გეგმა არც ბაქოსა და ანკარის დაახლოებას ითვალისწინებდა, რაც მალევე აშკარა შეიქნა და ამას აღუდგა კიდევ წინ. გერმანია ესწრაფოდა რაც შეიძლება მალე თვით დაუფლებოდა ბათუმს, თბილისი – ბაქოს რკინიგზას და ბაქოს ნავთობრესურსებს⁴. ასეთი პროექტის განხორციელების შემთხვევაში ირანისკენაც გზა გაეხსნებოდა

¹ История Азербайджана в трех томах. Т. 2. Баку. 1960. Стр. 741.

გერმანიასთან საქართველოს ურთიერთობის შესახებ იხ.: *Питиа Г.* Германский империализм в Закавказье в 1910-1918 гг. М. 1978; დ. პაიჭაძე. საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაარსების პოლიტიკურ-დიპლომატიური წინამძღვრები// ქართული დიპლომატია. წელიწადი. ტ. 7. თბ. 2000; რ. დაუშვილი. გრაფი უელენბურგი ქართულ პოლიტიკაში// ქართული დიპლომატია. წელიწადი. ტ. 10. თბ. 2003...

² *Черчилль У.* Мировой кризис. М. - Л. 1932. Стр. 50.

³ *Людендорф Э.* Указ. соч. Стр. 188.

⁴ *Там же.*

გერმანულ პოლიტიკას. ამდენად, გერმანიის პოლიტიკურ მიზანდასახულობაში შედიოდა სამხრეთ კავკასიაში ნაციონალური სახელმწიფოების ორგანიზება ისე და ისე თურქული გავლენის შესასუსტებლად (ცნობილი ფაქტია – აზერბაიჯანისა და თურქეთის ერთობლივი მუსლიმური არმია შეიქმნა ნური ფაშას მეთავეობით). გერმანიის დამარცხებამ პირველ მსოფლიო ომში, პირველ ყოვლისა რეგიონიდან მისი გახვლა და განსაკუთრებით ინგლისის გააქტიურება გამოიწვია.

უკვე ვთქვით, დიდი ბრიტანეთისათვის ბათუმი მთავარ სამხედრო-საზღვაო ბაზად განიხილებოდა, რომელიც ნავთობის ექსპორტის უმნიშვნელოვანესი ტერმინალი იყო¹. კავკასია – კასპიის რეგიონში ინგლისის გამაგრება, როგორც ვთქვით, საკმაოდ რეალური ჩანდა. სამხრეთ კავკასია უმნიშვნელოვანესი რგოლი იყო ამ გიგანტურ ჯაჭვში, რომლის ორგანიზებასაც ცდილობდა ანტანტა ე. წ. „სანიტარული კორდონის“ სახით: ბალტიისპირეთი – შავი ზღვა – კავკასია – შუა აზია.

ისტორიის ბედისწერით, 1919 წლისათვის ინგლისელებმა დატოვეს რეგიონი, რაც სხვადასხვა ფაქტორით იყო გამოწვეული: 1) ინგლისი კოლონიებში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ მოიცვა, რასაც განუზომელი მატერიალური და სამხედრო რესურსები ესაჭიროებოდა; 2) ამავე დროს თვითონ ინგლისში განვითარდა და გაძლიერდა სოციალურ – პოლიტიკური მოძრაობა – „ხელები შორს საბჭოთა რუსეთისაგან“. ამას ემატებოდა წარუმატებელი საომარი ოპერაციებით გამოწვეული განწყობა ინგლისის მოსახლეობისა, მაგრამ ეს ცალკე საკითხია.

გაძლიერებული საბჭოთა რუსეთი უკვე იმპერიის ტერიტორიულ მემკვიდრეობაზე აცხადებს სერიოზულ პრეტენზიას. მისი არქიტექტორი ვლადიმერ ლენინი ამერიკის წითელი ჯვრის მისიის ხელმძღვანელთან პოლკოვნიკ რობინსონთან საუბრისას განაცხადებს: «В чем экономическое значение Баку для Российской Советской Республики? Это – нефть, свет, энергия»². რასაკვირველია საბჭოთა ეკონომიკის ხსნა კოლაფსისაგან ენერგორესურსებზე იყო დამოკიდებული, მაგრამ არანაკლები იყო სამხრეთი კავკასია, როგორც მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამხედრო პლაცდარმი, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის წინაშე.

წითელი ჯარების შესვლა სამხრეთ კავკასიაში მთლიანად ცვლის აქ გეოპოლიტიკურ სიტუაციას. განსაკუთრებული დარტყმა ინგლისის პოლიტიკამ იწვნია არა მხოლოდ კონკრეტულად რეგიონში, არამედ ახლო და შუა აღმოსავლეთში ზოგადად. ინგლისი ცდილობს, როგორმე შეინარ-

¹ უ. ჩერჩილი აღნიშნავდა, რომ «Британские войска высадились в Батуми и быстро заняли Кавказскую железную дорогу от Черного моря до Каспийского, другими словами, до Баку. Они организовали флотилию судов, которая вскоре обеспечила им превосходство на Каспийском море. Британские войска оказались обладателями одной из самых больших стратегических линий в мире» (*Черчилль У.* Указ. соч. Стр. 105).

² Правда, 21 апреля 1989.

ჩუნოს კონტროლი ბაქოსა და ბათუმზე, მაგრამ უშედეგოდ¹. «Англичане, – сообщало французское радио в январе 1920 года, – лихорадочно завершают приготовления к посадке на суда десятков тысяч солдат для отправки на Кавказ. Между англичанами и большевиками происходит бег взапуски – кто скорее достигнет железной дороги Батум – Тифлис – Баку... Никто другой так жизненно не заинтересован в закрытии доступа на Кавказ, как англичане.. Приз, к которому стремятся англичане, – это крупный нефтяной центр Баку².

ლენინის რუსეთისა და ქემალ ფაშას თურქეთის ყველასათვის მოულოდნელმა დაახლოებამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. საგულისხმოა ქემალ ათათურქის 1920 წლის აპრილის წერილი ვლადიმერ ულიანოვისადმი: «Если советские силы предполагают открыть военные операции против Грузии или дипломатическим путем, посредством своего влияния, заставить Грузию войти в союз и предпринять изгнание англичан с территории Кавказа, турецкое правительство берет на себя военные операции против империалистической Армении и обязывается заставить Азербайджанскую Республику войти в круг советского государства»³. ამ კოალიციის შედეგია 1920 წლის ივლისისათვის ინგლისელთა მიერ ბათუმის დატოვებაც. ვფიქრობთ, ევროპის, განსაკუთრებით ინგლისის პოლიტიკურმა წრეებმა არასწორად შეაფასეს, უკვე მერამდენედ, რუსეთის ფაქტორი, რაც საკმაოდ ძვირი დაუჯდა შემდეგ პროგრესულ კაცობრიობას. ისიც უნდა ვთქვათ, რომ საკუთარი მარცხის საკომპენსაციოდ ინგლისი თურქეთის გადმობირებასაც შეეცადა და შესთავაზა მას პროტექტორატი მთელ კავკასიაზე.

პოლიტიკური და სამხედრო ბრძოლა სამხრეთ კავკასიისათვის რუსეთმა, უკვე ბოლშევიკურმა, ტრიუმფით დაასრულა და რეგიონის გეოპოლიტიკური სიტუაცია კვლავ მთელი საუკუნით განსაზღვრა⁴.

¹ См.: Юсифзаде С.З. Первая Азербайджанская Республика: история, события, факты англо-азербайджанских отношений. Баку. 1998. Стр. 184.

² Азербайджан, 25 января 1919.

³ Дарабади П.Г. Военные проблемы политической истории Азербайджана начала XX века. Баку. 1991. Стр. 153.

⁴ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების შესახებ დაწვრილ. იხ.: საქართველოს ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია. დოკუმენტებისა და მასალების კრებული. შემდგენელი ა. მენთეშაშვილი. რედაქტორი ა. სურგულაძე. თბ. 1990; ლ. თოიძე. ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც. თბ. 1991...

Г. К у т а л а д з е, Г. Ж у ж у н а ш в и л и (Тбилиси)

Геополитика Южного Кавказа – аналогии века
(Письмо первое)

Р е з ю м е

Южный Кавказ – регион, имеющий очень сложную геополитику, тут не просто пересекаются две части света, но и встречаются две – западная и восточная цивилизации, имеющие противоположные идеологии и мировоззрения. Этот узкий перешеек между Европой и Азией веками служил ареной для военно-политических противостояний разных миров и культур. Так было до того, пока в начале XIX века на Южном Кавказе над всеми претендентами не возобладали Российская империя.

Первая мировая война еще раз подтвердила преимущественное геостратегическое значение этого региона, что, кстати, отметил немецкий ученый Карл Хаусхофер¹. Первая мировая война положила начало новой геополитической реальности, которая была обусловлена военно-политическими стратегиями воюющих сторон, ходом военных действий и политическими амбициями этнополитических единиц региона.

С начала Первой мировой войны на российские владения начали предъявлять претензии Османская империя и Иран, но их попытки захватить в начальный период войны инициативу потерпели неудачу.

Грандиозные социально-политические катаклизмы в России (Февральская революция, Октябрьский переворот) изменили геополитическую ситуацию на Кавказе. Возрастание национально-политического движения обусловило появление национальных государств. В ходе войны выявились основные противоречия не только между противоборствующими блоками Антанты и Тройственного союза, но и даже между членами этих блоков (напр. Османская империя и Германская империя).

С самого начала нужно оговориться, что после октября 1917 года, когда на карте появляется РСФСР и с начала 1918 года после зарождения т. н. «белого движения», Россия разделилась на «большевиков» (т. е. «красных») и на их врагов (т. е. «белых»). Нераздельным осталось только их отношение к целостности имперской ойкумены – первые, под лозунгом мировой пролетарской революции, а вторые – мечтой о «единой и неделимой России» стремились объять бывшие территории обширной империи.

Отметим, что средоточием всей кавказской политики является Тбилиси, который перекрывал все магистральные узлы (с запада на восток и с севера на юг); эти пути проходили через Кавказ. Бакинская нефть без Тбилиси была недоступна – вот основная тема будущего противостояния и основного направления кавказской

¹ Хаусхофер К. Границы в их географическом и политическом значении. В кн.: О геополитике. Работы разных лет. М. 2001.

политики всех участников¹.

Россияне – и «красные», и «белые» никому не собирались уступить.

Однако на какое-то время им пришлось потесниться, и на первый план выступили Германия с Турцией, Великобритания.

С интересным планом выдворения России с Кавказа выступила Англия.

Британцы ловко играли на противоречиях между Германией и Турцией: вскоре стало известно, что амбиции турецких властей простирались дальше Кавказа. Они мечтали о Великом Туране. Пантюркистские стремления Великой Порты, подстрекаемые англичанами, противоречили стремлениям и интересам немцев.

Политика лорда Керзона была интересна и тем, что была направлена на обеспечение британских не только территориальных приобретений, но и больших капиталовложений.

Американцы, впервые появившиеся в этом регионе в 1919 году после Парижской мирной конференции, с самого начала по достоинству оценили значение Кавказа и сразу же приступили к осуществлению действенных мер для утверждения здесь своего влияния. В 1919 году рассматривалась возможность образования особой территориально-административной единицы – генерал-губернаторства – в Нахичеване во главе с полковником Э. Дэли.

Трудно сказать как развились бы в дальнейшем события, если бы европейцы не помешали делу водворения американцев в этом регионе?!

Одним из главных «игроков» на Кавказской сцене была Германия. Ее позиции особо укрепились после заключения сепаратного мира с РСФСР в марте 1918 года в Брест-Литовске.

Германия строила далеко идущие планы. Но в этих действиях и планах было нечто, что заставило правительство Первой Республики Грузия пойти на многие уступки: во-первых, немцы стали гарантами независимости, желали обуздать аппетит и турок, и россиян. Германский «империализм» стремился к созданию независимой христианской Грузии. Немецкий план постройки транзитной дороги Берлин – Багдад – Хамадан – Тегеран предусматривал и развитие ее северного ответвления Батуми – Баку².

Об этой политике мы уже говорили, только добавим, что Кавказ играл важную роль в создании кордонной линии вокруг Советской России: с побережья Балтийского моря до Черного моря, включая Кавказ и Среднюю Азию. Но по иронии судьбы в 1919 году и англичане оставили Кавказ.

К этому времени Советская Россия подтянула дополнительные силы к под-

¹ Авалишвили З. Независимость Грузии. Париж. 1928 (на груз. языке); Очерки истории дипломатии Грузии. Т. 2. Тб. 1998 (на груз. языке); Гурули В. Ш. Внешнеполитическая ориентация Грузии (с марта 1917 года по май 1918 года)//Грузинская дипломатия. Ежегодник. Т. 9. Тб. 2002 (на груз. языке)...

² История Азербайджана в трех томах. Т. 2. Баку. 1960. Стр. 741.

Об отношениях Грузии с Германией см.: Пипиа Г., Германский империализм в Закавказье в 1910-1918 гг. М. 1978; Пайчадзе Д. Политико-дипломатические предпосылки образования Первой Республики Грузия. //Грузинская дипломатия. Ежегодник. Т. 7. Тб. 2000 (на груз. языке); Даушвили Д. Граф Шуленбург о грузинской политике.//Грузинская дипломатия. Ежегодник. Т. 10. Тб. 2003 (на груз. языке)...

ступам Кавказа. Архитектор нового строя В. И. Ленин в разговоре с руководителем миссии американского Красного Креста полковником Робинсоном отмечал: «В чем экономическое значение Баку для Российской Советской Республики? Это – нефть, свет, энергия»¹. Конечно же, можно понять председателя Совнаркома: именно контроль над энергоресурсами мог спасти его страну от коллапса и гарантировать РСФСР обладание стратегическим плацдармом для развития наступления на восток.

Вступление частей Красной армии в Закавказье сразу же изменило геополитическую ситуацию. И это случилось в первую очередь во вред английской политики не только в этом регионе. Англичане постарались повлиять на ситуацию, но все их старания оказались тщетными².

В это же время произошел неожиданный поворот в политике Кемаля Ататюрка, который сблизился с Лениным.

После такого стечения обстоятельств, в июле месяце 1920 года англичане оставили даже Батуми. Уходя, они попытались в последний раз рассорить Турцию и Россию, предложив туркам протекторат над всем Кавказом, но было уже поздно – они просчитались и уже который раз не учли фактора России.

Итак, в течение 1920-1921 годов Советская Россия вновь вышла победительницей в политическом и военном противостоянии за Южный Кавказ³.

G. K u t a l a d z e, G. Z h u z h u n a s h v i l i (Tbilisi)

South Caucasian geopolitics – the century analogies

(The first essay)

S u m m a r y

South Caucasus has very problematical geo-cultural entity. It is not only the connection of two parts of world, but also a peace of meeting of two different – Western and Eastern – civilizations, contradicting each other in ideology and world view. This narrow belt of Europe and Asia was always an important area of political struggle until the Russia's over-lordship in the beginning of 19th century established the peace for about one century.

¹ Правда, 21 апреля 1989.

² См.: *Юсифзаде С.З.* Первая Азербайджанская Республика: история, события, факты англо-азербайджанских отношений. Баку. 1998. Стр. 184.

³ О становлении Советской власти в Грузии см.: Оккупация и фактическая аннексия Грузии. Сб. документов и материалов. Сост. А. Ментешавили. Под ред. А. Сургуладзе. Тб. 1990; Тоидзе Л. И интервенция, и оккупация, и насильственная советизация, и фактическая аннексия. Тб. 1991...

The First World War once again stressed the very geostrategic significance of the South Caucasus, and it was correctly mentioned by the German geo-politician Karl Haushofer. With the world war has risen the new geopolitical reality, determined by the military and political strategies of the war parties, the course of the hostilities, and the ambitions of the ethnical and political units in the region.

During the war the military and political alliances clearly revealed their own political and economic interests:

The beginning of the war was marked with the particular activization of Iran and, especially, Turkey. Although, it should be mentioned that Iran was not significant political or military power at the time.

In response to Russia's Balkan policy the Ottoman Empire pushed all its power to fulfill the old plan of the islamization and unification of North Caucasus and the Crimea. Such activization of Ottoman Empire was backed up by the political and military support of Germany.

After the 1917 February Revolution and October coup d'état the geopolitical situation had changed in Caucasus. The spread of the national-political movement determined the creation of the new national states.

It should be stressed that the affiliation toward the south Caucasus was same both by Bolsheviks and their opposition. The „Reds“ were trying to restore the Russian Empire under the aegis of the world proletarian revolution, while the „Whites“ were doing the same under the slogan of „united and indivisible“ Russia.

Tbilisi is the most important strategic centre of the South Caucasus. The takeover of the city ensures the control over the strategic routs from North to South and West to East. Without Tbilisi city the longed-for Baku oil will always be non-reachable for the Western world. This was the major lesson of the First World War, which was clearly understood by the Western society.

Caucasus was the crossroad of political and economic interests of many countries: Russian Empire, British Empire, German Empire, and Ottoman Empire.

It should be emphasized that the first appearance of the US interests in the Caucasian region took place at that time. The United States had her own agenda for the future of Caucasus. It is hard to say what would happen if the US project were realized, but the American plans had been wrecked by the opposition from Great Britain and France.

The German political plans considered the creation of the new national states in the South Caucasus in order to decrease the Ottoman influence in the region, but the defeat in the First World War caused the withdrawal of Germany from the Caucasus, and the activization of England.

After 1919 the British Army left the Caucasus. It was caused by several reasons, namely: 1) the spread of national liberation movements in colonies required enormous material and military resources; 2) at the same time the new movement with the main slogan for „Hands off from Soviet Russia“ emerged in England. In Addition there was a huge regret in the population caused by the heavy casualties during the war.

The Soviet Russia, which gained strength, had already made a serious claim on the legacy of Russian Empire.

The occupation of south Caucasus by Red Army completely changed the geopolitical situation in the region. The main blow was delivered to the British policy, not only in the South Caucasus, but in the Middle East and Central Asia. European, especially the British political circles once again failed in correctly evaluating the Russian factor, which proved to be costly for the civilized world. It should be also mentioned that England made an attempt to win over the Turkish government and offered it the protectorate over the whole Caucasus.

Political and military struggle for the Caucasus was successfully won by Bolshevik Russia and geopolitical situation in region was determined for the whole century.

მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე (თბილისი)

**ქართული ეროვნული თვითშეგნების
საკითხისათვის**

ეროვნული თვითშეგნება ხანგრძლივი დროის მანძილზე ყალიბდება და ერის, როგორც ისტორიული კატეგორიის ერთ-ერთი განმსაზღვრელია.

ეროვნული თვითშეგნება, რიგ სხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანწილადაა განპირობებული ტერიტორიული და ენობრივი ერთიანობით.

ქართული ეროვნული თვითშეგნების საწყისები ძვ. წ. I ან II ათასწლეულიდან მოდის, როდესაც ყალიბდება დასავლურ-ქართული და აღმოსავლურ ქართული ისტორიულ-კულტურული წრეები. მიუხედავად რიგი ადგილობრივი თავისებურებებისა და სხვაობისა, ეს ორივე ქართული კულტურული წრეა (1,27-28).

ქართული ეროვნული თვითშეგნების არსებობის საკითხთან დაკავშირებით გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ძვ. წ. IV საუკუნის დასასრულსა და III საუკუნის დასაწყისში აღმოსავლურქართული სახელმწიფოს, ქართლის სამეფოს შექმნას. ეგრისის მმართველი ქუჯი თავს ქართლის მეფის ფარნავაზის ქვეშევრდომად აღიარებს, თვლის რა, რომ ფარნავაზი არის „შვილი თავთა მათ ქართლისათა“ და დამპყრობთაგან ქვეყნის გათავისუფლების შემთხვევაში „უფლება“ მართებს მას, ხოლო ქუჯის – მისი ქვეშევრდომობა, რათა „განიხარონ ყოველთა ქართველთა“ „შენ ხარ უფალი ჩვენი და მე ვარ მონა შენი“ (2,22) ეუბნება ქუჯი ფარნავაზს. ე. ი. მისი სამფლობელო ეგრისი ამ „ყოველთა ქართველთა“ სამეაროს შემადგენელი ნაწილია.

ეს კონცეფცია წარმოდგენილია ქართულ ეროვნულ ისტორიოგრაფიაში, „ქართლის ცხოვრება“-ში საკუთრივ, ლეონტი მროველის ავტორობით ცნობილ თხზულებაში „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“.¹ ინტერესს იწვევს ის გარემოება, რომ ეს კონცეფცია ასევეა წარმოდგენილი XVIII ს-ის დიდ ქართველ ისტორიკოსთან ვახუშტი ბაგრატიონთან, რომ-

¹ როგორც ცნობილია „მეფეთა ცხოვრების“ ავტორის ვინაობის, თხზულების დათარიღების შესახებ სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. ვინ არის ლეონტი მროველი ავტორი, რედაქტორი, თუ გადამწერი, როდისაა ეს თხზულება დაწერილი VIII, X XI საუკუნეში, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს.

ლის ცნობითაც ფარნავაზმა ქუჯი დაადგინა ეგრისის და სვანეთის ერისთავად (3,57,777;780;794).

ვახუშტისათვის ამ საკითხში წყარო ალბათ „მეფეთა ცხოვრებაა“, ან ორივე ავტორი ერთი საერთო, ჩვენთვის უცნობი წყაროთი სარგებლობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვახუშტის თანახმად, ქუჯი იყო „ნათესავით ქართლოსანი“ (3,56). ძნელია თქმა, ეს პირდაპირი მითითება, რომ ქუჯი „ნათესავით ქართლოსანი“ იყო, ვახუშტის რაიმე ძველი წყაროდან აქვს აღებული. თუ ეს მისი დასკვნაა მიღებული იმ კონცეფციის საფუძველზე, რომლის თანახმად ეგროსი, ისევე, როგორც ქართლოსი, თარგამოსის შთამომავალი და ძმანი „თვისნი“ იყვნენ (2,3-4). ორივე შემთხვევაში დასტურდება, რომ მროველისეული კონცეფცია სრულიად მისაღებია ვახუშტისათვის. „მეფეთა ცხოვრება“ ქუჯის არ უწოდებს „ნათესავით ქართლოსიანს“ მისი კონცეფციით, ისინი ორივე (ფარნავაზი და ქუჯი) თარგამოსიანნი არიან, მაგრამ ქუჯი ქართლოსის ჩამომავალი არ არის, ის ქართლოსის ძმაა, აღნიშნულთან დაკავშირებით დგება **ფსევდო არსენის** პრობლემა, რომელიც არ იზიარებს „მეფეთა ცხოვრების“ თვალსაზრისს ქართველთა წარმომავლობის შესახებ (4,91-100)¹ მაგრამ მიუხედავად ამისა, ორივე წყარო ერთნაირ თვალსაზრისზე დგას ქართველთა ეროვნული თვითშეგნების არსებობის შესახებ. ძვ. წ. IV-III ს-თა მიჯნაზე. ეროვნული თვითშეგნების არსებობისათვის სათანადო საფუძველს ქმნის ქართლოსიანთათვის საკუთარი ტერიტორიის არსებობა. ფარნავაზის დროინდელი ქართლის სამეფო მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს და დასავლეთ საქართველოს ეგრის წყლამდე. (2, 23-24). როგორც ცნობილია, ზოგი მკვლევარი ეჭვის ქვეშ აყენებს „მეფეთა ცხოვრების“ ამ ცნობას ქართლის სამეფოს ტერიტორიის შესახებ და ის XI ს-ის ვითარების გავლენით შექმნილ თვალსაზრისად მიიჩნია, მაგრამ, როგორც ცნობილია, ქართლის სამეფოს საზღვრებს თითქმის ასევე განსაზღვრავს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ც (5,81), რომლის დათარიღებაც IX ს-ის შემდეგდროინდელ ხანას ვერ გადმოსცდება, რაც გამორიცხავს მის ცნობებზე XI ს-ის საქართველოში არსებული ვითარების გავლენას. ქართული ეროვნული თვითშეგნების შემდგომი გადრმავებისა და განმტკიცების თვალსაზრისით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას უკავშირდება (IV ს-ის 20-იანი წლები). მართალია, ამ დროს ქართულ მიწა წყალზე ორი სახელმწიფო არსებობდა: დასავლურ ქართული – ეგრისის (ლაზიკის) და აღმოსავლურ ქართული – (იბერიის) სამეფოები, მაგრამ ორივე ქართული სახელმწიფო იყო. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში და დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილში (არგვეთი, იმერეთი, სვანეთი, რაჭა ლეჩხუმი...)

¹ მართალია ფსევდო არსენის მოღვაწეობის თარიღთან დაკავშირებით ერთმანეთისაგან განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით ამას მნიშვნელობა არ აქვს.

ქრისტიანობა, თავიდანვე თუ არა მაღლე, ქართული ენით დამკვიდრდა, მაგრამ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში და საკუთრივ აფხაზეთში ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკური ბატონობის ვითარებაში ბერძნული ეკლესია დამკვიდრდა თავისი საეპარქიო ცენტრებით და ბერძნულ ენაზე მღვდელმსახურებით.

ისტორიულად ქართულ ქვეყნებს ერთიანობისაკენ ლტოლვა ახასიათებდათ, მაგრამ თუ ხელსაყრელ საშინაო და საგარეო პირობებში ქართული ქვეყნები ერთიანდებოდნენ, არახელსაყრელ პირობებში იშლებოდნენ.

ყველა ვითარებაში, ერთიანი თუ დაშლილი, ეს ქართული სამყარო იყო. ქართული სამყარო მონოთეონიკური არასოდეს ყოფილა, გეოგრაფიულად მასში სხვადასხვა დროს არაქართული მიწებიც შედიოდა, მაგრამ ძირითადად ის ქართული ქვეყნებისაგან შედგებოდა და ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი აქ ქართველი იყო.

საკუთრივ ქართველთათვის, მრავალ სხვა ისტორიულად მნიშვნელოვან მოვლენებთან ერთად, ქრისტიანულმა რწმენამ დიდი წვლილი შეიტანა ყოველთა ქართველთა გაერთიანებასა და ერთიანი ქართული შუასაუკუნოვანი სახელმწიფოს, საქართველოს ჩამოყალიბების დიდ ეროვნულ საქმეში (6,111).

ქრისტიანობის გავრცელება და დამკვიდრება ადრეულ საფეხურზე საქართველოს მთიანეთში ხელს უწყობდა აღმოსავლურ ქართული ეთნოსების გაერთიანებას, ამავე დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის კონსტანტინეპოლის სამწყსოდან გამოყოფას და მცხეთის ტახტის შემადგენლობაში შესვლას, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო დასავლელ ქართველთა ქართული ეროვნული თვითშეგნებით. დასავლეთ საქართველოში ბერძნულ ენასა და ბერძნულ ეკლესიას თავიდანვე დაუპირისპირდა ქართული ეკლესია მცხეთის საკათალიკოსოთი და ქართული ენით (7,43-51). დასავლეთ საქართველოს ეკლესიის კონსტანტინეპოლის სამწყსოდან გამოყოფას და საბოლოოდ მისი მცხეთის ტახტისადმი დაქვემდებარების, ერთიანი ქართული ეკლესიის შემადგენლობაში შესვლის დიდ ეროვნულ საქმეში დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ქართულ ეროვნულ თვითშეგნებასთან ერთად, დიდია დასავლურ ქართული სახელმწიფოს, ე. წ. „აფხაზთა“ სამეფოს (IX-Xსს.) მეფეთა როლი, რომელთაც ყველა ღონე, იხმარეს, რათა ეს პროცესი ბოლომდე მიეყვანათ.

ქართული ეროვნული თვითშეგნებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართულ ენას. ქართული ენის მნიშვნელობა ეროვნული თვითშეგნებისათვის ზუსტადაა ჩამოყალიბებული დიდი ქართველი მწერლის, გიორგი მერჩულეს თხზულებაში გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობისადმი რომაა მიძღვნილი:

„ქართლად ფრიადი ქვეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების, ხო-

ლო კვრიელისონ ბერძულად ითქუმის, რომელ არს ქართულად, უფალო წყალობა ყავ, გინა თუ უფალო შეგვიწყალებ“ (8,290) მერჩულესათვის ეროვნულობის საზომი ენაა, წირვა ღოცვის ქართულად წარმოებაა „ქალკედონიტები ბერძნებიც ხომ იყვნენ, ასე რომ ქართული ენაა ვინაობის განმსაზღვრელი“ (9,414)

ქართული ეროვნული თვითშეგნება საკმაოდ მყარად არსებობს შუასაუკუნოვანი ქართული ერთიანი სახელმწიფოს, საქართველოს ჩამოყალიბებამდე, რისი საფუძველიც უძველესი დროიდან ქართული ქვეყნების ერთიანობის შეგნებაა. საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა ცალკეული ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულები: კახეთი, ქართლი, იმერეთი, გურია, სვანეთი, აფხაზეთი და სხვა. აფხაზეთი ისეთივე ქართული ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეული იყო, როგორც მაგ. კახეთი, სვანეთი, რაჭა და სხვა. აფხაზი ამ აფხაზეთის მცხოვრები იყო. ამ თვალსაზრისით უადრესად საინტერესოა IX ს-ის გამოჩენილი მოღვაწის ილარიონისადმი მიძღვნილი თხზულება, რომელსაც ეწოდება „ილარიონ ქართველის ცხოვრება“. შუასაუკუნოვანი ქართული მონარქია ჯერ ჩამოყალიბებული არ არის. აქ რამდენიმე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო არსებობს, ერთ-ერთი ასეთია კახთა სამთავრო ქორეპისკოპოსით სათავეში, მაგრამ მისი შვილი, ილარიონი, ქართველია. ილარიონ ქართველის ცხოვრების მოკლე, უძველეს რედაქციაში წერია, რომ ილარიონი იყო „ქვეყანით კახეთით.“ (10,170-178) ასევეა ეს თვალსაზრისი გატარებული XII-ის მოღვაწის გიორგი მთაწმინდელის მიმართ, რომ ის იყო „ნათესავით ქართველი“ და წარმოშობით სამცხიდან. უადრესად ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ IX ს-ში სინას მთაზე გადახვეწილი ქართველი ბერები ღოცულობენ „ყოველთა ამათა და ყოველთა ქრისტიანეთა და უფროის ყოველთასა-ყოველთა ქართველთათვის“ (864 წლის ხელნაწერის მინაწერი) და „ქართლისა მშვიდობისა, საზღვართა განმაგრებისა, მეფეთა და მთავართა დაწყნარებისა, მტერთა გარემოქცევისა, ტყვეთა მოქცევისა“-თვის ევედრებოდნენ ღმერთს. (1.11) ამ ეროვნულმა თვითშეგნებამაც განაპირობა ის, რომ დამპყრობლებმა (სასანიანთა ირანი, არაბები, რომლებიც სამი საუკუნე ისხდნენ აქ) ვერ მოახერხეს ამ ეროვნულ თვისებათა ამოძირკვა თავისი რწმენის დამკვიდრება. VIII-ის დიდი ქართველი მწერალი იოანე საბანის-ძე, შეძრწუნებულია იმ გარემოებით, რომ ზოგნი, სხვადასხვა მიზეზთა გამო დალატობენ ეროვნულ რწმენას. მან მაღალ მხატვრულ დონეზე აჩვენა თავის თანამედროვე საზოგადოებას და მომავალ თაობებს, სასწავლებლად და სანიმუშოდ აუხსნა ამ ფასეულობათა დაცვის მნიშვნელობა და აუცილებლობა. მოუწოდა სიმტკიცისაკენ.

VII საუკუნიდან მოყოლებული მაჰმადიანები იწყებენ დაპყრობით ღმერთს და იქმნება, არაბთა სახალიფო, რომელშიც არაბეთის ნახევარკუნძულთან ერთად შედიოდა ირანი, სამხრეთ კავკასიის დიდი ნაწილი, შუა აზია, სირია, პალესტინა, ეგვიპტე, ჩრდილო აფრიკა, პირენეს ნახევარკუნ-

ძულის დიდი ნაწილი. ალბათ საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ მთელ იმპერიაში საქართველოსა და სომხეთის ჩრდილო ტერიტორიის ნაწილის გარდა, ვრცელდება მათი სარწმუნოება. სხვა ფაქტორებთან ერთად, ეს განაპირობა ქართველთა მყარმა სარწმუნოებრივმა და ეროვნულმა თვითშეგნებამ. ქართული ეროვნული თვითშეგნება განსაკუთრებით ღრმავდება და მტკიცდება ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის არსებობის პირობებში, რომელიც ზოგი შეფერხებებით XII-დან XV-ის ბოლომდე არსებობდა. ეროვნული თვითშეგნება უმაღლეს საფეხურს აღწევს. საქართველოს ერთიანი ისტორიის „ქართლის ცხოვრების“ ე. წ. წმინდა წიგნისა და „ვეფხისტყაოსნისა“ შემქმნელ ერს ეს შეგნება ვერაგინ და ვერაფერმა ვერ მოუსპო.

XV-ის ბოლოს უმძიმესი და ურთულესი საერთაშორისო და შინა ვითარების პირობებში ერთიანი საქართველო დაიშალა ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხის¹ სამთავროდ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიუხედავად ბაგრატიონთა სამეფო სახლის შიგნით, მის წევრებს შორის დრო და დრო არსებული დაპირისპირებებისა, სამივე სამეფოში მეფე მხოლოდ ერთიანი სამეფო სახლის წარმომადგენელი იყო.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ XVI-XVIII საუკუნეების ქართული საზოგადოება, მიუხედავად პოლიტიკურად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამეფოების არსებობისა, საქართველოს მაინც ერთ ქვეყნად აღიქვამდა. XVIII-ის ისტორიკოსი ბერი ეგნატაშვილი მოგვითხრობს რა დაყოფილი ქვეყნის სხვადასხვა ნაწილებზე, შემდეგ ყველას მოიხსენიებს, როგორც „საქართველონი“ (II, 349). ასევე მთლიანად „საქართველოდ“ მოიხსენიებს იგივე ავტორი კახეთის სამეფოს (II,382), ქართლის სამეფოს (II,434,435), საქართველოდ მოიხსენიებს ვახუშტი სხვადასხვა ქართულ სამეფოებს (3,716), აღწერს რა დასავლეთ საქართველოს მცენარეულ და ცხოველურ სამყაროს აღნიშნავს, რომ იქ ისევეა „ვითარცა სხუათა საქართველოთა შინა“ (3,744)

ამ ეროვნული ერთიანობის შეგნების თვალსაზრისით დგება მეფე ვახტანგ VI-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საკითხი ე. წ. „ახალი ქართლის ცხოვრების“ შექმნის შესახებ. ამ „ახალი ქართლის ცხოვრების“² შექმნის მოთხოვნა სხვადასხვა ფაქტორებით იყო გამოწვეული. ამჯერად ყურადღებას იმსახურებს ერთი გარემოება: საქართველო ორ საუკუნეზე მეტი ხანია დაყოფილია, ხოლო ვახტანგი ქართლის მეფეა, მაგრამ „სწავლულ კაცებს“, რომელთაც „ახალი ქართლის ცხოვრება“ უნდა დაწერონ ის ავალებს არა საკუთრივ ქართლის ისტორიის, არამედ

¹ როგორც ცნობილია, სამცხის სამთავროს ისტორია სხვა გზით წარიმართა

² როგორც ცნობილია, ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების“ შესახებ გასხვავებული მოსაზრებებია. მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ „ახალი ქართლის ცხოვრება“ მხოლოდ XIV-XVII სს-ების ისტორიაა, ხოლო ნაწილი მიიჩნევს, რომ ახალი ქართლის ცხოვრება არის ვახტანგის სწავლული კაცთა მიერ რედაქტირებული და XIV ს-დან XVIII-მდე გავრცელებული „ქართლის ცხოვრება“ მთლიანად. ვფიქრობთ, უფრო მართებული ეს მეორე მოსაზრებაა (II,56).

საერთოდ, მთლიანი საქართველოს ისტორიის დაწერას. პირველ ნაწილში (XIV-ს-მდე) ეს ნაშრომი ფაქტიურად მთლიანად „ქართლის ცხოვრების“ ძველ ნუსხებს მიჰყვება, XIV-XVIII სს-ის ისტორიას ისინი თვითონ წერენ. მართალია, „სწავლულმა კაცებმა“ ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით დასახული ამოცანა სათანადოდ ვერ განახორციელეს (მათ მთლიანი საქართველოს ისტორია ვერ გამოუვიდათ, ძირითადად XIV-XVII სს-ის ქართლის ისტორია დაწერეს), მაგრამ ავტორები საჭიროდ თვლიან თავი იმართლონ და აღნიშნავენ, რომ ეს სათანადო წყაროების სიმცირით და ხელმიუწვდომლობით აიხსნება. თუმცა ამ თავის მართლებას, თუ შეიძლება ასე ითქვას, აქვს თავისი მნიშვნელობა. მათ ესმით და შეგნებულნი აქვთ, რომ წინა ძველი ნაწილის მსგავსად, ეს ნაწილიც საქართველოს მთლიანი ისტორია უნდა იყოს (12,66). ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ივ. ჯავახიშვილის აზრი. იგი წერს: „განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რომ „სწავლულ კაცთ“ განუზრახავთ და შეუდგენიათ კიდევ მთელი, სრულიად საქართველოს ისტორია, და არა საქართველოს ერთ-ერთის კუთხის ან ნაწილისა“ და ასკვნის „საქართველოს ერთიანობის აზრი ძლიერი და ცხოველმყოფელი ყოფილა იმისდა მიუხედავად, რომ პოლიტიკური ცხოვრება დაწვრილმანებული და დაქსაქსული ყოფილა“ (13,319).

მიუხედავად პოლიტიკური დაშლილობისა, საზოგადოებრივი აზრი, რომ ეს ქვეყანა მაინც ერთიანია, ერთიანი ეროვნული თვითშეგნების არსებობის დადასტურებაა XVIII ს-ის დიდი ქართველი ისტორიკოსის, ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომი. ვახუშტი თავის კაპიტალურ ნაშრომს უკვე რუსეთში გადახვეწილი ამთავრებს, ნაშრომს ეწოდება „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ე. ი. საქართველოს ისტორია, მისთვის საქართველო ერთი ქვეყანაა. თავის ნაშრომს ის ორ ნაწილად ყოფს. პირველი ნაწილია საქართველოს ძველი ისტორია, ხოლო მეორე „საქართველოს ახალი ისტორია XIV-XVII სს. შემდგომად განყოფისა სამეფოსა“. აყალიბებს რა თავის კონცეფციას ვახუშტი წერს: „უკუეთუ ჰკითხო ვისმე ქართველსა ანუ იმერსა, მესხსა და ჰერ-კახსა რა რჯული ხარ¹ წამს მოგიგებს „ქართველი“ . . . და ჰკითხო რა წინათქმულთა მათ კაცთა: „რა ენა და წიგნი უწყი“, მოგიგებს მყის: „ქართული“, რამეთუ არა იტყვის, არა რჯულსა¹, ენასა და წიგნსა იმერთას, ანუ მესხთა და ჰერ-კახთასა, არამედ ქართულსა“ (3,291-292). ვახუშტიმ კარგად იცის, რომ „იმერი“ მეგრული და სვანურიცაა, და რომ მათ თავისი სალაპარაკო ენა აქვთ, რის შესახებაც ის თავ-თავის ადგილას წერს კიდევ, მაგრამ მისთვის მთავარია, რომ ყველა ესენი „რჯულით“ ე. ი. ეროვნებით ქართველები არიან და ერთი საერთო ენა ქართული, აქვთ წირვა-ლოცვის, მწერლობის სახელმწიფო მმართველობის ენად.

ქართული ეროვნული თვითშეგნება ვერ მოსპო ვერც XVI-XVIII საუკუნეების ძნელბედობამ, ვერც მეფის რუსეთის მცდელობამ. ილია ჭავჭავაძე

¹ რჯული აქ ეროვნებასაც ნიშნავს და სარწმუნოებასაც.

ვადის და მისი სახელოვანი თანამებრძოლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა და დამსახურება ამ ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნება-განმტკიცება იყო. ეს ეროვნული თვითშეგნება ვერც კომუნისტურმა ე. წ. „ინტერნაციონალურმა“ რეჟიმმა ამოძირკვა და ამ ეროვნულმა თვითშეგნებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართველი ხალხის საუკეთესო ნაწილის ფარულ თუ აშკარა ბრძოლაში კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ.

მითითებული წყაროები და ლიტერატურა

- ს. ჯანაშია, შრომები, V, თბ., 1987.
- ლენტი მროველი, მეფეთა ცხოვრება, იხ. ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1955.
- ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იხ. ქართლის ცხოვრება, IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973.
- ს. ჯანაშია, ფსევდო არსენი. იხ. ს. ჯანაშია, შრომები, VI, თბ., 1988.
- მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1963.
- მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963.
- ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში. იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 19.
- გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I, თბ., 1961.
- ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990.
- ილარიონ ქართველის ცხოვრება იხ. ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I, თბ., 1946.
- ბერი ეგნატაშვილი, იხ. ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ.
- მ. ლორთქიფანიძე რა არის ქართლის ცხოვრება, თბ., 1989.
- ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VIII, თბ., 1977.
- რ. გორდეზიანი, ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა, თბ., 1993.

М. Л о р д к и п а н и д з е (Тбилиси)

К вопросу национального самосознания грузин

Национальное самосознание формируется в течение длительного времени и является одним из определяющих факторов нации как исторической категории.

Национальное самосознание совместно с рядом других факторов в значительной мере предопределено территориальным и языковым единством.

Зачатки грузинского национального самосознания восходят к I тысячелетию до н. э., когда образуются западногрузинская и восточногрузинская культурные общности, несмотря на наличие ряда местных различий и своеобразий они являются грузинскими культурными общностями.

А легендарная Колхида является символом грузинского единства (14, 19-32).

В связи с вопросом существования грузинского национального самосознания определенное значение имеет факт образования в конце IV-нач. III в до н. э. восточногрузинского государства – Картлийского (Иберийского) царства. Правитель Эгриси (Западной Грузии) Куджи, считает, что Фарнаваз является сыном «Горы той Картли», и в случае освобождения страны от завоевателей «старшинство» принадлежит Фарнавазу, а ему, Куджи, следует быть его подчиненным, «дабы» возрадовались все картвелы (грузины)» (2,22). «Ты владыка мой, а я раб твой» – говорит Куджи Фарнавазу, т. е. его владение Эгриси является составной частью мира всех картвелов.

Эта концепция засвидетельствована грузинской национальной историографией в «Картлис цховреба», собственно в произведении «Жизнь царей», известном под авторством Леонти Мровели.¹

Вызывает интерес то обстоятельство, что данная концепция также представлена в историческом труде известного грузинского историка XVIII в. Вахушти Багратиони, согласно которой Фарнаваз утвердил Куджи эриставом Эгриси и Сванети.

В этом вопросе источником для Вахушти возможно является «Жизнь царей» Леонти Мровели, или они оба пользуются общим, неизвестным нам источником.

¹ Как известно, вопросы авторства датировки и др. являются спорными в современной историографии, но в данном случае это не имеет значения.

Здесь же следует отметить, что согласно Вахушти, Куджи был «по родству картлосиан» (3,56), т. е. был родом Картлосани. Трудно сказать: это заявление Вахушти исходит из какого-нибудь неизвестного нам древнего источника или оно сделано на основе концепции, согласно которой Эгрос, так же, как и Картлос является потомком Таргамоса (Торгома), и были братья т.е. «твисни» (2,3-4). Оба случая подтверждают, что Вахушти разделяет концепцию Мровели.

«Жизнь царей» не называет Куджи «родом Картлосаном», согласно которой они оба (Фарнаваз и Куджи) – потомки Таргамоса, но Куджи не является потомком Картлоса, он брат его.

В связи с этим встаёт проблема «псевдо (лже) Арсения», который не разделяет точку зрения «Жизни царей» по вопросу происхождения картвелов (грузин) (4,91-100)¹, но оба источника стоят на одинаковой позиции относительно существования национального самосознания картвелов в конце IV – нач. III в. до н. э.

Для национального самосознания картлосианов соответствующей основой является существование собственной территории. Царство Картли при Фарнавазе охватывало всю Восточную Грузию и часть Западной Грузии (2,23-24). Некоторые учёные ставят под сомнение сообщение «Жизни царей» о территории царства Картли и считают, что оно создано под влиянием ситуации, существующей в Грузии XI века. Но следует учесть то обстоятельство, что границы царства Картли также определяет и историческое сочинение «Обращение Картли» (5,81), окончательная редакция которого датируется IX в., что исключает возможность влияния на сообщения этого источника ситуации, существующей в Грузии в XI в.

С точки зрения дальнейшего углубления и упрочения картвельского (грузинского) национального самосознания одним из значительных факторов является объявление христианства государственным культом (20-ые годы IV в.). Хотя в это время на грузинской земле существовало два государства, западногрузинское – Эгрисское (Лазика) и восточногрузинское – Картли (Иберия), но они оба были грузинскими государствами.

Следует учесть, что в Восточной Грузии и восточной части Западной Грузии (Имерети, Сванети, Аргвети, Рача-Лечхуми) христианство, если не с самого начала, то вскоре утвердилось с богослужением на грузинском языке, в западной части Западной Грузии, собственно в Абхазии, в условиях политического господства Византии, была учреждена греческая церковь, со своими патриаршими центрами, с богослужением на греческом языке.

Грузинским землям исторически присуще стремление к единению, но, если при благоприятных внутренних и внешних обстоятельствах грузинские земли объединялись, то при неблагоприятных условиях распадались, но при всех обстоятельствах, это был грузинский мир. Грузинский мир никогда не был многоэтническим, в разное время в его состав географически входили и некартвельские

¹ Хотя по поводу датировки деятельности псевдо (лже) Арсения существуют разногласия, но для данного вопроса это не имеет значения.

земли, но в основном он состоял из грузинских земель, и православный христианин здесь был картвел (грузин).

Совместно со многими историческими факторами для Грузии христианская вера внесла большой вклад в воссоединение всех картвелов и создание единого грузинского средневекового государства – Сакартвело – что имело огромное значение для истории Грузии (6,111).

Распространение и утверждение христианства на раннем этапе в горной части Грузии способствовало воссоединению восточногрузинских этносов. При этом большое значение имело выделение западногрузинской церкви из Константинопольской патриархии и вступление в паству Мцхетского престола, что в значительной мере было обусловлено грузинским национальным самосознанием западных грузин. В Западной Грузии греческой церкви и греческому языку с самого начала противостояла грузинская (картвельская) церковь с грузинским языком (7,43-51). В деле огромного национального значения окончательного выделения западногрузинской церкви из Константинопольской паствы и подчинения Мцхетской епархии, при наличии картвельского национального сознания западных грузин, значительна роль т. н. «абхазских» царей западногрузинского государства IX-X вв., которые приняли все меры для завершения этого процесса, что является свидетельством существования их картвельского (грузинского) национального самосознания. Хотя православие – символ греческой веры, но для картвельского национального самосознания огромное значение имеет грузинский язык. Значение грузинского языка для национального самосознания точно определено в произведении известного писателя X в. Гиорги Мерчуле, посвященного деятельности Григория Ханцтийского. По словам Мерчуле, Картли (Грузия) обширная страна, где богослужение ведется на грузинском языке и кириелейсон произносятся по-гречески (8,290).

Для Мерчуле мерилом национальности является язык, ведение богослужения на грузинском языке. Халкедонитами были и греки, но определением этноса или национальности является язык (9,414).

Грузинское национальное самосознание довольно твердо существует до образования единого грузинского феодального государства Сакартвело, основой чего является испокон веков существующее сознание единства грузинских земель. В Грузии издревле были отдельные этногеографические области: Кахети, Картли, Имерети, Гурия, Сванети, Абхазия и др. Абхазия такая же грузинская историко-географическая единица, как напр. Кахети, Сванети, Рача и др. Абхаз – житель Абхазии. С этой точки зрения весьма интересное сообщение имеется в агиографическом сочинении, посвященном деятелю IX века Илариону Картвели, которое названо «Житие и деятельность Илариона Грузина», и в самом же начале сказано «Сей святой отец наш был родом из Грузии, из земли Картвельской» (10, 170-178).

Единая грузинская феодальная монархия еще не образована, на территории исторической Грузии существует несколько независимых друг от друга грузин-

ских государств, одно из них княжество Кахети, но сын Кахети – грузин (кართვეли) так же по национальности картвел, по происхождению из Самцхе – Гиоргий Святогорец и др.

Весьма примечательным фактом является то обстоятельство, что подвизавшиеся на Синайской горе грузинские иноки возносят молитву для всех кртовелов (приписка рукописи 864 года), «для мира в Картли, укрепления ее границ, успокоения царей и князей, изгнания врагов, возвращения пленных» (5,11).

Существование этого национального самосознания в определенной мере предопределило то обстоятельство, что завоеватели (Сасанидский Иран, арабы, которые три века находились здесь) не смогли искоренить национальные черты, не смогли утвердить свою веру. Известный грузинский писатель VIII века Иоанн Сабанидзе встревожен тем обстоятельством, что некоторые люди вследствие разных обстоятельств изменяют своей вере. Он на высоком художественном уровне объяснил своим современникам и будущим поколениям значение сохранения своих национальных ценностей, призвал к стойкости.

С VII века начинаются завоевательные войны магометан, создается империя Арабский Халифат, в который совместно с Аравийским полуостровом были включены Иран, большая часть Южного Кавказа, Средняя Азия, Сирия, Палестина, Египет, Северная Африка, большая часть Пиренейского полуострова. Видимо особого внимания заслуживает то обстоятельство, что во всей империи, кроме Грузии и части северной Армении, распространяется их вероисповедание – ислам. Совместно с другими факторами это было обусловлено прочным религиозным и национальным самосознанием грузин. Грузинское национальное самосознание особенно углубляется и укрепляется в условиях существования единой грузинской феодальной монархии Сакартвело, которая с некоторыми перерывами существовала в XI-XV веках.

В условиях существования единой грузинской монархии грузинское национальное самосознание достигает своего высшего уровня. У народа, создавшего свою единую историю, так называемую «Святую книгу» «Картлис цховреба» («История Грузии») и «Вепхисткаосани» («Витязь в тигровой шкуре») Шота Руставели, искоренить это национальное самосознание никому не удалось.

В конце XV века единая Грузия при весьма неблагоприятных внешних и внутренних условиях распалась на царства Картли, Кахети, Имерети и Самцхийское княжество. Несмотря на существование в царском доме Багратиони некоторых противоречий, во всех трех царствах царями были только представители единого царского дома¹. Весьма примечательно то обстоятельство, что грузинское общество XVI-XVIII веков, несмотря на существование независимых друг от друга государств, Грузию воспринимало как единую страну. Историк XVIII в. Бери Эгнатавили, рассказывая историю отдельных частей разделённого государства, затем всех их называет «Грузии» «Сакартвелоеби» (11, 349), также Грузией име-

¹ Как известно, история Самцхийского княжества продолжилась по совершенно иному пути.

нует он царство Кахети (11,382), царство Картли (11, 434, 435). Рассказывая о событиях в разных грузинских государствах, историк XVIII века Вахушти их всех именует «Сакартвело» (3,716), описывая растительный и животный мир Западной Грузии, отмечает, что это там также, «как во всех Грузиях» (3,744).

В связи с вопросом национального самосознания встает проблема создания царем Вахтангом VI т. н. «Новой Картлис цховреба». Требование создания «Новой Картлис цховреба»¹ («Ахали Картлис цховреба») было обусловлено рядом факторов.

В данном случае наше внимание заслуживает одно обстоятельство. Уже два с лишним века Грузия разделена на три царства. Вахтанг – царь Картли (нач. XVIII в.), но созданной им комиссией, во главе с историком Бери Эгнаташвили (т. н. «Комиссия ученые мужей») он поручает написать историю не царства Картли, а вообще всей Грузии.

В первой части (до XIV в.) данная работа фактически следует древним спискам «Картлис цховреба», историю XIV-XVII вв. они пишут сами, хотя Бери Эгнаташвили и его соавторы поставленную задачу не смогли выполнить должным образом, у них не получилась история всей Грузии, они в основном написали историю, Картли XIV-XVII вв., но авторы считают необходимым оправдаться и отмечают, что это вызвано малочисленностью и недоступностью источников.

Хотя это оправдание, если можно так выразиться, имеет свое значение: они сознают и понимают, что эта часть как и древняя, должна быть историей всей Грузии (12,66). По данному вопросу интересно мнение И. А. Джавахишвили: «особое мнение вызывает то, что «Ученые мужи» решили и создали всю историю Грузии, а не одной части или края» и заключает: идея единства Грузии была живучей и сильной, несмотря на то, что политическая жизнь была разрознена. (13, 319)

Вопреки политической разрозненности, бытующее общественное мнение, что это единая страна, является подтверждением существования единого национального самосознания, подтверждением чего является и концепция известного грузинского историка XVIII века Вахушти Багратиони. Свой капитальный труд «История царства Грузинского» он заканчивает уже будучи в эмиграции в Москве, в 1745 году. Для него Грузия единая страна, хотя он сам член картлийского царского дома. Свою «Историю» он делит на две части: первая – древняя история Грузии, а вторая – «Новая история Грузии XIV-XVII вв. после раздела царства». Формулируя свою концепцию. Вахушти пишет: Спросив у любого грузина (карт-

¹ Относительно этого произведения существуют различные точки зрения. Часть ученых считает, что т.н. «Новая Картлис цховреба» это только та часть Вахтанговской «Картлис цховреба», где дана история XIV-XVII вв. А часть ученых считает, что «Новая Картлис цховреба» («Ахали Картлис цховреба»), это отредактированная учеными "Картлис цховреба" с древнейшего времени и дополненная историей XIV-XVIII вв. Приемлемой считаем эту вторую точку зрения (12,56).

вела), имера, месха, эр-каха: кто ты по национальности, ответит: «картвели» (грузин). Если спросить каждого из них, какой твой язык, твоя письменность, он назовет письменность и язык не имера, месха и эр-каха, а назовет картули (т. е. грузинский). (3, 291-292). Ему хорошо известно, что «имер» – это мегрел и сван, и что у мегрела и свана есть свой разговорный язык, о чем он повествует в надлежащих частях своего труда, но для него главное, что они все по национальности грузины, и у них общий грузинский язык, это язык письменности, богослужения, государственного управления.¹

Грузинское национальное самосознание не смогли искоренить ни трудности XVI-XVIII веков, ни стремления царской России. Одной из основных заслуг Ильи Чавчавадзе и его соратников было сохранить и упрочить это национальное самосознание. Это национальное самосознание не смог искоренить и интернациональный коммунистический режим. Это национальное самосознание внесло значительный вклад в нелегальную или открытую борьбу лучших представителей грузинского народа.

Цитированные источники и литература

Джанашия С. Н. Труды, V., Тб. 1987 (на груз.яз.); Н. Бердзенишвили, И. Джавахишвили, С. Джанашия, История Грузии. часть I, Тб. 1950;

Картлис цховреба (История Грузии). Грузинский текст подготовил к изданию по всем основным рукописям проф. С. Г. Каухчишвили, Тб. 1959.т. I;

Вахушти Багратиони, История царства грузинского, Картлис цховреба, IV, Грузинский текст подготовил к изданию проф. С. Г. Каухчишвили, Тб. 1973;

Джанашия С. Н., Псевдо Арсений, см. С. Джанашия, Труды, VI, Тб. 1988 (на груз.яз.);

Кутателадзе 2008 – Кутателадзе К., Из истории армяно-грузинских конфессиональных взаимоотношений в начале XIII, Труды Института истории и этнологии, VIII, Тб. 2008

Тортладзе 2006 – Тортладзе Н., Об уставе неизвестного монастыря, Клио 30, 2006

Очерки истории Грузии 1979 – Очерки истории Грузии, III, Тб. 1979

Месхия 1979 – Месхия Ш., Внутриполитическая обстановка и государственное устройство в Грузии XII века, Тб. 1979

К. К у т а т е л а д з е (Tbilisi)

To which Monastery belongs the typicon of so called "Unknown Monastery"

S u m m a r y

The fragment of the typicon of so called „unknown monastery”, found by S. Kakabadze, is one of the important documental monuments, which may clear up many issues of Georgian-Armenian confessional relations.

In 1998 D. Berdzenishvili published the article „Akhtala monastery”, where he fundamentally corroborated that the mentioned typicon must have belonged to Akhtala monastery. We fully share the reasons of this investigator, as at the same period absolutely independently we came to the same decision during the work on our dissertation.

This monument was discovered by Sargis Kakabadze in Gareji monastery. The fragment of the typicon has been written on a piece of leather Husxa-khutsuri script, which was used by Melikishvilis feudal family and on the back clean side they have written the charter of donation to the Gareji monastery, so as it is seen the Melikishvilis

could use the documents of Akhtala monastery, which was in their ownership and in late feudal period it became their burial ground.

According to the remained text of the typicon the speech is about one of the monasteries of lower Kartli, which had its brotherhood and leader and what is especially important is written at the end of the text, that all the regulations of this monastery are perfectly written in this typicon and must be exactly carried out.

In the remained part of the typicon it is said that, the harvest wasn't enough for the monastery and there was arranged the vineyard in Bolnisi. The wine got there would have been used by the monastery. Corn was got from Kartsebi, which is in Javakheti. Shortly to say according to new regulations the monastery would get use Bolnisi wine and Javakheti corn. There is quite clearly written in typicon how to keep, distribute and spend the wine intended for the monastery. It shows that supply of the monastery with wine had particular meaning.

According to the text of the typicon, monastery, about which it is spoken in it, is of the same name „the Virgin” as Akhtala monastery and Ivane Atabagi have done great services to this monastery, what is one of the main arguments of the view that the typicon of so called „unknown monastery” belongs to St. Virgin's Akhtala monastery. Ivane Mkhargrdzeli Msakhurtukhucesi showed great love and diligence to the Virgin and the place of her being, bought the places for orchard and vineyard and chartered to the monastery, which needed them very much. The fact that Akhtala monastery was the Virgin's is confirmed both by historical narrations and by Armenian superscriptions and writings (The feudal Melikishvili family's narration about the foundation of Akhtala the Virgin monastery by Heracl Caesar; the superscription on the stone cross of Mariam Kvirikian-Bagratuni; the added writing of Armenian translation of Grigol noseli's „Translation of Eclectic book”). According to P. Ioseliani and D. Bakradze the most impressive effect in Akhtala monastery was the enormous image of the Virgin. There remained also the scenes of the Virgin's birth and death, which were the holidays of this church. By P. Ioseliani's saying twice a year there came a priest and carried out a mess on the days of the Virgin's birth and death. This mess was attended by the people of all the religions.

Akhtala is mentioned in Georgian historical sources as „Agaraki” and „Madani” („Ore”), where Vakhtang Gorgasal established an eparchy. Armenian historical tradition mentions Akhtala as „Pgzahank”, which means „copper ore”. The Armenian historians ascribe the building of Akhtala to Ivane Mkhargrdzeli and accentuate that Ivane took away it from the Armenians and changed it into Georgian monastery.

According to the text of the typicon the monastery had Mkhargrdzeli's „home chapel”, which had the income from the lands chartered by Ivane Atabagi. About the second chapel of Mkhargrdzeli's points also the most important Georgian inscription. It mentions also the name of the leader of monastery. The inscription was found at the south door of St. George chapel on the hill opposite the main church. By inscription Petre „Tsinamdzgvari” (Father Superior) together with his nephew Illarion built a chapel of Apostols for Avag Atabag's credence near the St. George's Church. The sec-

ond day after Apostols` holiday was set as the pray day when divine service had to be held by a man of his family and he had to pray for his name. If there was not a man of his name, then a person, who held service in Avag Atabag`s credence, had to mention his soul there. E. Takaishvili correctly conseders that being Father Superior for this family to which belonged Petre, was hereditary. The inscriptions are dated by 1242-1250 years (E. Takaishvili, L. Melikset-Bek).

According to the text of the typicon, it is seen, that Father Superior had special rights and he could settle many questions, for example: all the members of the monastery, brotherhood had to carry out Father Superior`s orders. Besides that, the brothers of the monastery had to obey to the Father Superior, he himself had to be kind to them, as Christ. Father Superior had his own lands and peasants. There is no exception to think that a person who drew up the text of the typicon was Father Superior of Akhtala monastery. Sure, the orderer of the typicon was the master of the monastery Ivane Mkhargrdzeli and the copist was any monk living in the monastery, knowing Georgian language well.

It`s natural that after adopting Orthodoxal Christianity by Ivane Mkhargrdzeli, he settled the Georgian closter in Akhtala monastery, where very soon the typicon was drawn up. In connection with this fact the historian says nothing, but we can say that it had to be happened in 1202-1204, in particular, before Basiasni war, as the historian after this fact mentions Basiasni war, the date of which ranges between 1202-1204 years in our historiography. Unlike his brother Ivane Mkhargrdzeli took part in Basiasni war as orthodoxal Christian. Before the meeting held on the subject of Georgian-Armenian confessional union in Lore (1205), he already was a „Georgian”. Maybe the building of the main church began from 1204 but its finishing, sanctification and drawing up of the typicon must have been carried out a little later, until 1210.

According to the typicon the lands were given to the monastery by the Queen Tamar as well and she gave to it inviolability for this there was settled the pray for her, what points to the fact that the Queen Tamar is still alive.

In Armenian historiography there exists the view and partly some Russian researches share the mind, that Akhtala monastery was the cloister of Armenian Calcedonics, and the divine service and other deeds were held in Armenian language in Georgian (Orthodoxal) rules. But we consider, that proceeding from the text of typicon mentioned above, the divine service language in Akhtala monastery was Georgian. According to this view, which exists in Armenian historiography, as if the monastery first was Armenian and then became Georgian. Basing on Kirakos` information, A. Lidov thinks that Akhtala fell into Calcedonics` hands aprocsimately in 1227-1231, when the sources mention Ivane Mkhargrdzeli`s death. To Lidov`s view condradicts the fact that, as it is seen from the text of the typicon, Ivane endows to the monastery lands for different needs, bought on his own money, and thus Akhtala couldn`t become Khalkedonic only after Ivane Mkhargrdzeli`s death. Besides, according to the text of typicon, it`s seen that Tamar is alive and she too endows the lands to the monastery. This fact determines the date of monastery foundation by first decade of XIII century.

There is wonder that in Akhtala Georgian monastery could act ethnically Armenian monks, who could translate into their language the literature of diophysical faith. It is the period when the question of Georgian-Armenian Church union was sharply raised again at the edge of XII-XIII cc., what was followed by turning of Ivane Atabagi into orthodoxal faith. In monastery ethnically Armenian monks needed the orthodoxal literature in their mother tongue, because some orthodoxal dogma would be strange for Armenians, and their introduction needed the translation of corresponding ecclesiastical literature. Translation from Georgian books into Armenian showed deep knowledge of Georgian language. As it's seen the knowledge of Georgian was necessary not only for the head of the monastery, but also for all the non-Georgian monks living in the monastery. Akhtala orthodoxal monastery foundation was the result of Georgian-Armenian confessional relationship at the edge of XII-XIII c.c. The Georgian monarchy, was especially interested in foundation of confessional union with Armenian church. Ivane Mkhargrdzeli – a person who advanced at Georgian court understood the events very well and began to take part in the illustration of new taken religion and in the foundation of orthodoxal monastery.

Our aim is to confirm the necessity of going over again of the conception taken in Armenian historiography in connecton with so called Akhtala „Calcedonic-Armenian” monastery, because the Georgian text of mentioned „Unknown monastery typicon” while according to above said belongs to Akhtala monastery, thoroughly changes the question of confessional belonging of the monastery and the status of the ecclesiastic language. The confession of the monastery is defined by those dogmatic views, which characterise this or that current of Christian religion, also the language of speech and ecclesiastic language, which was used during divine service and in monastery affairs. As a rule, all the postulats connected with it would be reflected in the monastery typicon and mainly it was drown up in the language of the confessional belonging up the monastery and besides, to which christianity current belonged the pastor, to whose subordinate was the monastery. In this case the monk`s ethnical origin has less meaning. The Mkhargrdzelis family themselves were of Kurd origin, who under certain circumstances first became monophizits and then the branch of the young (Ivane) took diophizition.

In order to disperse wrong opinion of Armenian investigators about the ecclesiastic language of the monastery it is just enough to cite the text of the typicon mentioned above, saying nothing about the Akhtala Bible of XII-XIII cc., which must have been connected with the period of foundation of Georgian closter in Akhtala and of writing the typicon of living rules there. As it is seen, simultaneously with translation of Georgian literature into Armenian, there has been written the Bible in Georgian. Thus, proceed from the political situation of that period the existence of Georgian text of the typicon once again makes it clear that the Georgian language had the leading function in Akhtala Georgian monastery life and divine service and we think that it was necessary for the all monks of different ethnical origin. The existence of Georgian variant crashes the theory prevailing in Armenian historiography and once again proves that the monastery was not Calcedonic-Armenian, but Georgian and the divine service was held not in Armenian, but in Georgian language.

მ. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი (თბილისი)

ქართული იდენტობა: როგორ იწრთობოდა იგი

ეთნიკური რჩეულობის იდეოლოგია

სპეციალისტები მიუთითებენ არაერთ ფაქტორზე, რომლებიც ეთნიკური ერთობის (ეთნიკს) დროში განგრძობადობას განაპირობებს. უმეტეს შემთხვევაში ეს ფაქტორები თავისი არსით პოლიტიკურია: ერთობის ავტონომიურობის ხარისხი, გადარჩენის პოლიტიკური ნება და ერთობის ლიდერთა ღირსებები. ხანდახან ფოკუსირება ხდება ეკონომიკურ და ეკოლოგიურ მომენტებზე, სამშობლოთა ქონაზე, მის ადგილმდებარეობაზე, თავად ხალხზე და ამა თუ იმ მატერიალური რესურსის ფლობაზე. სხვები აქცენტს აკეთებენ კომუნიკაციების ქსელზე, იმაზე თუ როგორ კრავს ერთობის წევრებს თაობათა სიგრძეზე ტრადიციები, ენა და სხვა სიმბოლური კოდები. ყველა ეს მიდგომა და ფაქტები, რომლებსაც ისინი წამო-სწვევენ, გასათვალისწინებელია და კვლევებიც ამ მიმართულებით შემდგომში უნდა გადრმავედეს; მაგრამ უნდა გვახსოვდეს, – ხაზს უსვამს ზემოთ მოყვანილი მსჯელობის ავტორი, ნაციონალური კვლევების დარგში დღეს საყოველთაოდ აღიარებული ბრიტანელი მეცნიერი ენტონი დევიდ სმიტი, რომ მთელი რიგი ეთნიკები ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში განაგრძობდნენ არსებობას პოლიტიკური ავტონომიის, სამშობლო მიწის და საერთო ენის გარეშე. ამგვარ ვითარებაში, როგორც ჩანს, ნაკლოვანების კომპენსაცია სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორებით ხდება. ამიტომ აუცილებელია მკვლევართა მეტი კონცენტრაცია სუბიექტურ მომენტებზე. ხანგრძლივ პერიოდში ეთნიკურობის შენარჩუნებისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სპეციალისტების (იგულისხმება ამისათვის საგანგებოდ გამოზნული ფენა, რომელსაც ძველ დროში უმეტეს შემთხვევაში კულტის მსახურნი წარმოადგენდნენ) მიერ კოლექტივის განსაკუთრებულობისა და უნიკალური მისიის განცდის კულტივირება: ეთნიკური კოლექტივის წევრებს უნდა სჯეროდეთ, რომ ისინი არა მარტო შეადგენენ ერთიან ზეოჯახს, არამედ ისიც, რომ მათი ისტორიული ერთობა უნიკალურია, რომ მათ აქვთ, „შეუცვლელი კულტურული ღირებულებანი“ (მკვებერი) და ამიტომ ამ ღირებულებათა კოლექტიური მემკვიდრეობა უნდა გადარჩენილ იქნას. მათ ერთობას აწევს წმინდა მოვალეობა დანერგოს საკუთარი კულტურა სხვა ერთობებში. ის ჩვენ-ჯგუფები, რომ-

ლებსაც ამგვარი იდეოლოგიების ფორმულირების და გავრცელების უნარი შესწევთ, ახერხებენ კოლექტიური სიცოცხლის გაგრძელებას მრავალი თაობის განმავლობაში. იმის განცდა, რომ ჩვენ ვართ რჩეულნი, არის გადამწყვეტი პირობა იმისათვის, რომ ეთნიკური თემა შეინარჩუნოს. ეთნიკური რჩეულობის მითის გაიგივება არ შეიძლება უბრალო ეთნოცენტრიზმთან. იგი უფრო „მომთხოვნი“ რჩეულობის პრივილეგია აქვს მხოლოდ მას, ვინც განწმენდილია, ვისი ცხოვრების სტილი არის საკრალური ღირებულებების გამოსატყულება.¹

შთაბეჭდილების სისრულისათვის მომაქვს ამონარიდი აღნიშნული მეცნიერის სხვა ნაშრომიდანაც: „ეთნიკური თვითგანახლების, აქედან, ეთნიკური გადარჩენის, საშუალებებს შორის ძალზე მნიშვნელოვანია ეთნიკური სულისკვეთებით გამსჭვალული მითები. უპირველეს ყოვლისა, შევნიშნავთ, რომ ეთნიკური, რომელიც არ ქმნის ასეთ მითს (ან ვერ ახერხებს მის დანერგვას ხალხში), სხვებისადმი მისი ეთნოცენტრიზმის მიუხედავად, დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ სხვა ერთობებში გაითქვიფება. ეს, რა თქმა უნდა, შეიძლება იყოს უდავო არგუმენტი. საერთოდ, ეთნიკებს, რომელთაც აქვთ ეთნიკური რჩეულობის გამომხატველი რელიგიური მითები, ჰყავთ სპეციალისტთა ფენები, რომელთა პოზიციაცა და მსოფლხედველობაც მჭიდროდაა დაკავშირებული რჩეულობის გამომხატველი მითის პოპულარობასა და შთაბეჭდაობასთან – და ხშირად სწორედ ისინი წარმოდგენენ ჩვენს ერთადერთ ლიტერატურულ წყაროს. მიუხედავად ამისა, როდესაც ვმსჯელობთ იმ მრავალი ეთნიკის ბედ-იღბალზე, რომელთაც ჰყავთ ამგვარი ფენები, მაგრამ არ გააჩნიათ ეთნიკური რჩეულობის გამომხატველი მითები, როგორც ამას ასირიისა, ფინიკიის, ფილისტიმელების შემთხვევები ცხადყოფს, აშკარავდება, რომ ასეთი ეთნიკების გადარჩენის შანსები საგრძნობლად არის შემცირებული... ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება იმის გასააზრებლად, თუ რა როლი აკისრია მას თვითგადარჩენის პოტენციალის გამოყენებაში. მისი *locus classicus* მოიძიება გამოსვლათა წიგნში: „და ახლა, თუ მოუსმენთა ჩემს ხმას და დაიცავთ ჩემს აღთქმას, ამოგარჩევთ ჩემს საკუთრებად ყველა ხალხიდან, რადგან ჩემია მთელი ქვეყანა. და თქვენ იქნებით ჩემთვის მღვდელთა სამეფოდ და წმინდა ერად“. პოტენციურ „წმინდა ნაციად“ თავის წარმოსახვა ნიშნავს რჩეულობისა და კოლექტიური კურთხევის (სანტიფიკაციის) მჭიდრო კავშირს“.²

ირკვევა, რომ ქართული იდენტობის განგრძობადობაშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ეთნიკური რჩეულობის მითს, კერძოდ, მას,

¹ A. Smith. Chosen peoples. Ethnicity (Eds. J. Hutchinson, A. Smith). Oxford–New York: Oxford University Press, 1996, pp. 189-190.

² ე. სმითი. ნაციონალური იდენტობა (თარგ. ლ. პატარიძემ). თბ.: ლოგოს პრესი, 2008, გვ. 46.

რომელიც წარმოიშვა IV საუკუნეში, როგორც ეთნიკური კოლექტივის პასუხი ტრანსეთნიკური ქრისტიანობის ქართული ერთობის მიერ სახელმწიფოებრივ რელიგიად დანერგვაზე. აღნიშნული იდეოლოგიის რეკონსტრუქციის ცდას წარმოადგენს წინამდებარე სტატია.

გამოკვლევა ეფუძნება ავთენტურ წყაროს – „წმინოს ცხოვრების“ უძველეს რედაქციას, რომელიც დღეს შემოგვრჩა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მეორე ნაწილის სახით. ეს საკმაოდ რთული კომპოზიციის თხზულება წარმოადგენს ქართველთა განმანათლებლის წმინოსა და მისი მოწაფეების (სიდონიას, მისი მამის – ყოფილი ებრაელი რაბინის – აბიათარის, მთავარეპისკოპოს იაკობის და მეფე მირიანის) მოგონებათა კრებულს¹.

ამ ძეგლის მიხედვით ქართველთა ეთნიკური რჩეულობის მითი ეფუძნებოდა სამ მთავარ მტკიცებულებას 1) ჯვარცმის შემდგომ ებრაელობამ, რომელიც იყო უფლის რჩეული ხალხი, დაკარგა უფლის მადლი და მისი ჰეგემონია მსოფლიოში დასრულდა; 2) ქართველებმა მიიღეს უფლის მადლი. ისინი გახდნენ უფლის რჩეული ერი ახალ ეპოქაში². ქარ-

¹ გამოყენებულ წყაროსთან დაკავშირებით ამჯერად ამ მოკლე შენიშვნით დაგვიყოფილდები. წარმოდგენილი წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისის არგუმენტირებას დაინტერესებული მკითხველი ნახავს ჩემს რამდენიმე გამოკვლევაში: მ. ჩხარტიშვილი. ქართული ისტორიული აზრის განვითარების ისტორიიდან („მოქცევაჲ ქართლისაჲ“). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (სერია: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია და ხელოვნების ისტორია), № 3, 1985, გვ. 124-130; მისივე: ქართული პაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები („ცხოვრებაჲ წმიდისა ნინოსის“). თბ.: მეცნიერება, 1987; მისივე: „წინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის ატრიბუცია. მნათობი, № 5, 1987, გვ. 149-154. მისივე: ქართული პაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი ანალიზი (IV-VII სს ისტორიის ამსახველი ძეგლები). ავტორეფერატი დისერტაციისა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ.: თსუ, 1997. საკითხის ისტორიის შესახებ ინფორმაციის მოპოვება მკითხველს შეუძლია ქ. მანიას ისტორიოგრაფიული ნაშრომებით: ქ. მანია. ქართული პაგიოგრაფიული ძეგლების წყაროთმცოდნეობითი შესწავლის ისტორიიდან (XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დღემდე). შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის საკითხები, IX (რედ. მ. ჩხარტიშვილი). თბ.: უნივერსალი, 2008, გვ. 58-67; მისივე: წყაროთმცოდნეობითი კვლევა საქართველოში XX-ის 60-იანი წლებიდან 2007 წლამდე. ნაწ. I. თბ.: უნივერსალი, 2008.

² ისრაელის ახალ აღვილას ტრანსლაციის იდეა, ჩანს, უნივერსალია და მეორდება ქრისტიანი ხალხების მესიანურ იდეოლოგიებში. აღნიშნულის ერთ-ერთი თვალსაჩინო ილუსტრაციაა ეთიოპური შემთხვევა. იხ. I. Biliarsky. The birth of the Empire by Divine Wisdom and the Ecumenical Church (Some observations on the Ethiopian book of Kebra Nagast). The Biblical models of power and law. Papers of the International Conference, Bucharest, New Europe College, 2005 (Eds. I. Biliarsky, R.G. Păun). Frankfurt am Main: Peter Lang, 2008, p. 26. ეთიოპიის მაგალითი ქართულ კონტექსტთან მიმართებით განსაკუთრებით საინტერესოა თუნდაც იმ მიზეზით, რომ მკვლევრები ქართლისა და ეთიოპიის გაქრისტიანების პროცესის რეპრეზენტაციაში ხედავენ ერთ მოდელს. იხ.: Ch. Haas. Mountain Constantines: The Christianization of Aksum and Iberia. Journal of Late Antiquity, Vol. 1, No 1, 2008, pp. 101-126.

თულ მიწაში დაფლული უფლის კვართი არის ქართველთაღმი უფლის განსაკუთრებული დამოკიდებულების მანკენებელი. 3) ქართველი ხალხის ღვთაებრივი მისია განხორციელდება მაშინ, როცა ცხადი გახდება, რომ საქართველო სწორედ ის ქვეყანაა, სადაც გათამაშდება მსოფლიო ისტორიის ფინალური აქტები და სადაც ადამიანთა ისტორიული განვითარების დასრულების შემდგომ, დამყარდება უფლის სასუფეველი – *ზეციური იერუსალიმი*.

ახლა ზემოთქმულის ილუსტრირებას მე მოვახდენ წყაროდან შესაბამისი მასალების მოყვანით.

თხზულების მიხედვით, საქართველოში მოსახლე ებრაელებმა მიიღეს მოწვევის წერილი ქრისტეს ჯვარცმაში მონაწილეობის მისაღებად. ერთ-ერთი ამ ებრაელთაგანი, მცხეთის მკვიდრი, სახელად ელიოზი წახვლის წინ დედისაგან იღებს გაფრთხილებას არ შეუერთდეს სხვა ქვეყნების წარმომადგენელ ებრაელებს:

„წარვედ შეილო, წოდებასა მეფისასა და წესსა შჯულისასა, ხოლო რომელსა იგინი განიზრახვენ, ნუ შეერთვინ ცნობად შენი მას ყოლადგენუ, შეილო ჩემო“¹.

ქალმა განჭვრიტა ჯვარცმის საბედისწერო შედეგები. ზუსტად იმ დროს, როცა აღნიშნულ ფაქტს ჰქონდა ადგილი, თხზულების მიხედვით, მას წარმოუთქვამს შემდეგი წინასწარმეტყველება:

„მშვიდობით, მეფობაო, ჰურიათაო, რამეთუ მოჰკალით თავისა მაცხოვარი და მკსნელი, და იქმენით ამიერიტგან მტერ შემოქმედისა“²

იგივე იღუა ებრაელთა მიერ უფლის მადლის დაკარგვისა, შეიძლება დავიდასტუროთ თხზულების სხვა ებრაელი პერსონაჟის – სიდონიას სიტყვებშიც, რომელიც, როგორ ითქვა, იყო წმ. ნინოს მოწაფე. განმანათლებლის ხილვის განმარტებისას იგი შენიშნავს:

„შენ მიერ ისმეს ჰამბავი იგი ძუელი, მამათა ჩუენთა ნაქმარი ზეცისა მის კაცისა უბრალოდსა სისხლისა უსამართლოდ დათხევისად, რომლითაცა ქმნა ღმერთმან ჰურიათა სირცხული, ცის კიდეთა განბნევად, მეფობისა დაცემად და ტაძრისა მის წმიდისა მოღება, ერისა მის უცხოდსა მოგებად და თუსად წოდებად და დიდებად მათა მიცემად“³

ამრიგად, თვით ებრაელი პერსონაჟების მიხედვით ჯვარცმის შემდგომ ებრაელები დომინანტურ პოზიციას უცხო ნათესავს, ე. ი. ქართველობას, უთმობენ.

დოქტრინალური ანტიიუდაიზმი ქრისტიანობის არსობრივი მახასიათებელი იყო თავიდანვე. ეს მახასიათებელი საკმაოდ ჩანს გამოკვეთილი განსახილველ ეპოქაშიც. ქართველმა იდეოლოგებმა, ჩანს, სცადეს გამოე-

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები იაბუღაძის რედაქციით, თბ.: მეცნიერება, 1963, წ. I, გვ.128 (შემდგომში: ძეგლები I).

² ძეგლები I, გვ. 129.

³ ძეგლები I, გვ. 123-124.

ყენებინათ ეს იდეა თავიანთი მიზნის მისაღწევად, კერძოდ, იმის დასამტკიცებლად, რომ *რჩეული ერის* ადგილი განთავისუფლდა და მისი დაკავება შეუძლია *უცხო ნათესავს*.

შემდეგ „წმ.ნინოს ცხოვრება“ გვამცნობს, რომ ელიოზი და მისი თანმხლები პირნი, როცა იყვნენ იერუსალიმში, დაესწრნენ ჯვარცმას და სხვა ებრაელებთან ერთად ქრისტეს კვართისათვის წილი ჰყარეს. იგი სწორედ მათ ხვდათ და წამოიღეს კიდევ სამეფო ქალაქ მცხეთაში. როცა ნინომ შეიტყო, რომ *უცხო ნათესავის* ქვეყანა იყო კვართის დაკრძალვის ადგილი, გადაწყვიტა სწვეოდა ამ ქვეყანას. ამრიგად, კვართის ისტორია ცენტრალური თემაა ქართლის მოქცევის ისტორიისათვის, რომელიც მეორდება ჩვენს ძირითად წყაროშიც და, აგრეთვე, „წმ.ნინოს ცხოვრების“ სხვა, ასევე „მოქცევა ქართლისადში“ დაცულ ე. წ. მცირე რედაქციაში.

საინტერესოა, რომ კვართის ისტორიის მთხრობელები არიან ყოველთვის არაქართველები (ებრაელი, სომეხი, ბერძენი). ეს გარემოება, ცხადია, არ შეიძლება შემთხვევითი იყოს. ებრაელები წარსულში იყვნენ უფლის რჩეულნი, ბერძნები და სომეხები იბრძოდნენ ამ მდგომარეობისათვის ქრისტიანულ ეკლესიაში შესვლის შემდგომ. ასე რომ, ეს ხალხები, ასე ვთქვათ, „კონკურენტებს“ წარმოადგენდნენ ქართველობისათვის. საფიქრებელია, ამიტომ თვლის ჰაგიოგრაფიული კრებულის შემდგენელი საჭიროდ ხაზი გაუსვას, რომ ეს მტკიცებულებანი გაზიარებული და მიღებულია აღნიშნული ხალხების წარმომადგენელთა მიერ.

მაგრამ მივევით ამ ისტორიის დეტალებს. როცა ელიოზი დაბრუნდა მცხეთაში წმინდა რელიკვიით, მისმა დამ ეს სამოსი გულში ჩაიკრა და მყის სული განუტევა. შეუძლებელი შეიქმნა უფლის კვართის გარდაცვლილი ქალის ხელიდან გამოღება. ამიტომ ელიოზმა და კვართთან ერთად დაკრძალა. დროთა განმავლობაში დაკრძალვის ადგილი სამეფო ბაღის ნაწილი შეიქმნა და აქ ამოიზარდა ძალიან მშვენიერი ლიბანის ნაძვი. პირველი ეკლესიის მშენებლობისას ეს ნაძვი მოჭრეს და გამოიყენეს ეკლესიის სვეტად. მაგრამ, როგორც ითქვა, მშენებლებმა ვერ შეძლეს მისი აღმართვა. მხოლოდ მას შემდეგ რაც წმ. ნინომ ილოცა, ეს სვეტი ანგელოზის მიერ ატაცებული იქნა ზეცაში და თავის ადგილს დაეფუძნა ადამიანთა მხრიდან დახმარების გარეშე. სვეტიცხოველი სასწაულმოქმედი იყო და ყოველგვარ დავადებას კურნავდა.

როგორ განემარტოთ ეს თხრობა? ძველი ავტორი უთუოდ რაღაც ღრმა აზრს დებდა მასში. ცხადია, უნდა მივმართოთ შესაბამისს კულტურულ კონტექსტს.

როგორც კარგადაა ცნობილი, ლიბანის ნაძვი ანუ კედარი განიხილებოდა როგორც ედემის მცენარე. სვეტიცხოველი ასოციაციებს აღძრავს სიცოცხლის ხესთან, რომელიც არის აგრეთვე ედემის მცენარე.

ძველი ქართული სიტყვა სამოთხე, რომელსაც ჰაგიოგრაფი იყენებს სამეფო ბაღის აღსანიშნავად, არის შესატყვისი ედემის ბაღის, ზეციური

სასუფეველის. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ეს სიტყვა უკავშირდება ოთხკუთხედს.¹ შდრ. თუნდ ინგლისური square – კვადრატი ან სკვერი ანუ ბაღი. კვადრატული იყო მისტიკური ქალაქიც (*გამოცხადება* 21:13). ყველა ეს მინიშნება გამიზნული ჩანს იმისათვის, რომ ცხადი გახდეს სამეფო ბაღის კავშირი ახალ იერუსალიმთან. რომ სწორედ ეს უნდა ვიგულისხმოთ, ამას სიღონიას – განსახილველი თხზულების მიხედვით პროფეტული უნარით დაჯილდოებული პიროვნების, შემდეგი სიტყვებიც ადასტურებს:

“ჩვენებად ესე შენი არს ესე, რამეთუ აღგილი ესე სამოთხისაჲ შენ მიერ იქმნეს სამოთხჳ სადიდებლად ღმრთისა, რომლისა არს დიდებაჲ აწ და მარადის და უკუნისამდე”.²

აქ უკვე საკვებით ცალსახად გაცხადებულია ის, რაც ზემოთ იგულისხმებოდა: მცხეთელი მეფის ბაღი ყოფიერების თვისებრივი გარდასახვის შემდგომ უფლის სამყოფელი გახდება. “წმინის ცხოვრება” შეიცავს ცნობას სხვა წმინდა საგანზეც, რომელიც დაკრძალული იყო მცხეთაში. ეს არის წმ. ელია წინასწარმეტყველის ხალენი. ძველი აღთქმის მიხედვით წინასწარმეტყველი ელია არ გარდაცვლილა. მან მოიპოვა უფლის სიყვარული და ცოცხლად იქნა ატაცებული ზეცაში. ამიტომ მოელოდნენ, რომ ის დაბრუნდებოდა და რომ ამ ფაქტს აღგილი ექნებოდა ზუსტად მხსნელის მეორედ მოსვლის წინ. ქრისტიანული ეგზეგეტიკა წინასწარმეტყველ ელიას აიგივებს *გამოცხადებაში* მოხსენიებულ ორ მოწამეთაგან ერთ-ერთთან. ამ ფაქტის საფუძველზე არსებობს თვალსაზრისი³, რომლის მოხედვითაც „წმინის ცხოვრებაში“ წარმოდგენილი მოთხრობა ხალენზე უნდა გავიგოთ როგორც სიმბოლური მინიშნება მეორედ მოსვლის ეპოქაზე.

მე ვიზიარებ ამ თვალსაზრისს. მაგრამ მეჩვენება, რომ იგი მოითხოვს განვითარებას: „წმინის ცხოვრებაში“ ჩვენ გვაქვს ინფორმაცია არა მხოლოდ ხალენზე, არამედ ხალენზე, რომელიც დაფლულია საქართველოში. სწორედ ეს მაფიქრებინებს, რომ ხალენი არის როგორც დროითი, ასევე სივრცითი ორიენტირი. ხალენის მეშვეობით ჰაგიოგრაფი ცდილობს მეორედ მოსვლის ფაქტი და საქართველო დააკავშიროს ერთმანეთთან.

¹ „მოთხვითი“ ნიშნავს ოთხკუთხედს: იხ.: ი. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბ.: მეცნიერება, 1973, გვ. 264. საინტერესოა აგრეთვე სიტყვა „მოთხე“, რომელიც კოლოფს, ზანდუკს ნიშნავს. ამგვარად, ოთხკუთხეა ფორმის მქონე საგნები, გარემონი უკავშირდებიან ფუძეს „მოთხ“. ბაღს ბუნებრივი მდგომარეობისაგან განასხვავებს კულტურა. *ოთხკუთხედობა* ველური ბუნების კულტურული აზრით ავსების ნიშანია: *სამოთხე*, ამგვარად, ნიშნავს ოთხკუთხე გარემოს ანუ სივრცეს, რომელიც ბუნებრივად წარმოქმნილი კი არ არის, არამედ კულტურის მიერ მოწესრიგებულია.

² ძეგლები I, გვ.124.

³ ლ. პატარიძე. „ცხოვრებად წმიდისა ნინოისი“. ქართლის მოქცევის კულტურული-ისტორიული საკითხები, თბ.: მეცნიერება, 1993, გვ. 28.

მაგრამ კონკრეტულად რისი თქმა შეიძლება სურდეს მას? როგორც ჩანს, ხალენი დაკრძალული იყო ქალაქის იმ ნაწილში, სადაც ზემოთ ხსენებული ელიოზის გვარი სახლობდა. ადგილობრივი ებრაელთა ეს გვარი თხზულებაში წარმოდგენილია, როგორც ებრაელი ერის რჩეული ნაწილი. იგი შეიძლება შევადაროთ იმ *ნატამალს*, *სულიერ ისრაელს*, რომელიც შეინახება მეორედ მოსვლამდე. ესაა წინასწარმეტყველთა სახლი. ამიტომ ვფიქრობ, რომ წმ. ელია წინასწარმეტყველის ხალენით მონინშნებოდა მცხეთელ წინასწარმეტყველთა სამყოფელი.

ამრიგად, სიწმიდეებით მცხეთაში მარკირებული ყოფილა ორი ადგილი: ქართველ ებრაელთა ერთ-ერთი საგვარეულოს საცხოვრებელი და სამეფო აპარტამენტები. ამასთან ერთად მიგვენიშნება, რომ სამეფო აპარტამენტების ანუ სამეფო ბაღის იგივე სამოთხის და მომავალი ზეციური იერუსალიმის ანუ უფლის სასუფევლის სივრცითი კოორდინატი ერთი და იგივეა. ჩემი აზრით, ეს ფაქტები უნდა გავიგოთ ასე: ქართლის სამეფო ოჯახის წიაღიდან წარმოიშობა მესიის ძალმოსილების, ხოლო ელიოზიანთა სახლის წიაღიდან – ელიას ძალმოსილების პიროვნება. ეს ფაქტები კორელატივია. ქრისტეს მოსვლა იმიტომ გაცხადდება პირველად საქართველოში ქართველი ებრაელი წინასწარმეტყველის პირით, რომ ქრისტე საქართველოში მოვა. უფლის სასუფევლის ადგილი იმიტომ იქნება მცხეთელი მეფის სამოთხე, რომ მესია ქართველთა მეფე იქნება ანუ ქრისტე ქართული ერთობის წიაღიდან გამოვა. მას წარმოშობს აწმყოშივე უფლის მიერ ნიშანდებული, მაგრამ, ჯერ კიდევ დაუფასებელი, ხალხი.

რა თქმა უნდა, ამავე ფაქტობრივი მასალის საფუძველზე ინდივიდუალური ფანტაზიის და ისტორიული კონტექსტის ცოდნის შესაბამად თითოეულმა მკითხველმა აღნიშნული მესიანისტური ნარატივი შეიძლება აღადგინოს რამდენადმე განსხვავებულად, მაგრამ ერთ საკითხში, ვფიქრობ, თანახმა იქნება ყველა: საქმე გვაქვს ეთნიკური რჩეულობის კონცეფციასთან. წარმოდგენილი კონცეპტუალური სისტემის ტიპი, თუ მოვიშველიებთ ე.სმითის კლასიფიკაციას, შეიძლება განისაზღვროს, როგორც დინასტიური¹.

მე ვფიქრობ, რომ ამგვარად მკაფიო ეთნიკური თვითობის განცდა IV ს. გამოწვეული იყო ქრისტიანულ ეკლესიაში ქართველთა ინკორპორაციით. ეს იყო ეთნიკური ჩვენ-ჯგუფის მცდელობა შეენარჩუნებინა თავისთავადობა რელიგიური ტრანსფორმაციის ეპოქაში. საქმე ისაა, რომ ქრისტიანობამ ხალხები ერთმანეთს დაუახლოვა მოაქცია რა ისინი რელიგიურად ჰომოგენურ სივრცეში. ამ მიზეზით მათ შორის კულტურული ბარიერები უფრო შედწევადი გახდა და ქრისტიანულ ოიკუმენას შერთული ყოველი ეთნიკური ერთობისათვის დაისვა ამოცანა უფრო მკაფიოდ

¹ დინასტიური შეიძლება ეწოდოს მოდელს, რომელიც დაკავშირებულია სამეფო დინასტიასთან, რომლისაგან ერთობა იღებს მთავარ სიმბოლოებს და რომელთანაც თავდაც ასოცირდება იხ. A. Smith. Chosen peoples, pp 195-196.

განესაზღვრა თავი სწორედ ერთმორწმუნეების პირისპირ.

ახალი რელიგიის, როგორც შიდა ჯგუფური კონსოლიდაციის კატალიზატორის მნიშვნელობასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ასევე ბრიტანელი მკვლევრის ადრიან ჰეისტინგსის შენიშვნა ნაციათ ჩამოყალიბების პროცესში ქრისტიანობის გადამწყვეტი როლის შესახებ: „ქრისტიანობა ხელს უწყობდა ნაციების წარმოშობას და თანამედროვე მსოფლიოს ნაციონალისტურ მოდელის შექმნას“.¹

როგორც უკვე ითქვა, ეთნიკური რჩეულობის იდეოლოგია დამახასიათებელია ბევრი ქრისტიანი ხალხისათვის, მაგრამ კონკრეტული სცენარი ყოველ ცალკე აღებულ შემთხვევაში განსხვავებულია. ა. ჰეისტინგსის ნაშრომი გვეხმარება ქართული მაგალითი წავიკითხოთ ვრცელ ისტორიულ კონტექსტში. მკვლევარი განსხვავებს ეთნიკური რჩეულობის მითების *აღმოსავლურ* და *დასავლურ* მოდელებს. პირველი, მისი მითითებით, მომდინარეობს ბიზანტიის პოლიტიკური თეოლოგიიდან, კონსტანტინე დიდის მიერ დაფუძნებული ქრისტიანული იმპერიის გამოცდილებიდან. საქმე ისაა, რომ რომაელთა იმპერია ახდენდა ქრისტიანობის პოლიტიზებას არა მხოლოდ პრაქტიკაში, არამედ, აგრეთვე, თეორიაში. ამავე დროს ამით იმპერია საკრალიზდებოდა.² კონსტანტინე გადაიქცა პროვინდენციალური მნიშვნელობის მქონე პერსონად, „მეცამეტე მოციქულად“; იგი აღუდაბებდა იმპერიასა და ეკლესიას. ამის შედეგად კი უფლის „რჩეული ხალხი“, რომელიც ქრისტიანი იმპერატორის („ეკუმენური პატრიარქის“) მიერ კონსტანტინეპოლიდან იმართებოდა, სულ უფრო და უფრო მეტად ეწერება ფართო პოლიტიკურ-რელიგიურ კონტექსტში.³

აჰეისტინგსის აზრით, აღმოსავლური ქრისტიანობის სხვა წარმომადგენლებს, მაგალითად, სერბებს, რუსებს აქვთ ხალხების რჩეულობის ბიზანტიიდან მომდინარე იმპერიული მოდელი.

დასავლური მოდელი, ა. ჰეისტინგსის აზრით, უფრო მეტად ვიდრე *აღმოსავლური* მოდელი, უკავშირდება ძველ აღთქმას, თუმცა ახალი აღთქმაც, ცხადია, მასზე გავლენას ახდენს.⁴

ძნელი არ არის შემჩნევა, რომ ქართული ეთნიკური რჩეულობის მითის ზემოთ წარმოდგენილი ვერსია დამუშავებულია სწორედ ძველ აღთქმაზე დაყრდნობით და, შესაბამისად, ა. ჰეისტინგსის სქემის მიხედვით, არის ხალხების რჩეულობის მითის *დასავლური* მოდელის განხორციელება. ქართული ნარატივი არსებითად ძველ აღთქმაში დაფიქსირებული ებრაული კონცეფციის მოდიფიკაციაა, თუმცა აქ უფლის კვართის შესახებ ახალი აღთქმის ცნობაცაა გამოყენებული.

¹ A. Hastings, 'Special peoples', Nations and Nationalism, 1999, 5, 3, p.394.

² A. Hastings, 'Special peoples', p, 386.

³ A. Hastings, 'Special peoples', p, 387.

⁴ A. Hastings, 'Special peoples', p, 389.

ა. ჰეისტინგსი მიუთითებს, მისი აზრით, ერთ საკვირველ ფაქტზე, კერძოდ, იმაზე, რომ ხალხების რჩეულობის *დასავლური* ანუ არაიმპერიული მოდელის პირველ მაგალითებს აღმოსავლური ქრისტიანობის ქვეყნები ეთიოპია და სომხეთი წარმოგვიდგენენ. იგი თვლის, რომ ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო *ბიბლიის* თარგმნა ადგილობრივ ენაზე და ის ორმაგი ეფექტი, რომელიც ამ ფაქტს მოჰქონდა: ერთი მხრივ, ეს ხელს უწყობდა ადგილობრივი ვერნაკულას განვითარებას, რომელიც ახდენდა ერთობის სტაბილიზებას *სხვათა* პირისპირ; მეორე მხრივ, ის წარმოადგენდა პოლიტიკურ სახელმძღვანელოს ქრისტიანული სამეფოსათვის, რომელიც ცდილობდა გამოიყენებინა ყველაფერი, რისი მოპოვებაც შეიძლებოდა ისრაელის გამოცდილებაში. ეთიოპია, მაგალითად, თავს ისრაელის შემცველად მიიჩნევდა და შექმნა კიდევ მომხიბვლელი მითი ამგვარი რჩეულობის დასამტკიცებლად.¹

მკითხველი ალბათ დამეთანხმება, რომ ქართული ეთნიკური რჩეულობის კონცეფცია ბიბლიური იდეების ასევე ძალიან საინტერესო მოდიფიკაციას წარმოადგენს ანუ, როგორც ითქვა, ქართულ სინამდვილეშიც დასტურდება უშუალოდ *წმინდა წერილზე* დაფუძნებული ეთნიკური რჩეულობის მითის არაიმპერიული მოდელი. ქართული რჩეულობის მითი მაშინ შეიქმნა, როცა ბიზანტიური პოლიტიკური თეოლოგია ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იყო და, შესაბამისად, შეუძლებელია, რომ მისგან მომდინარეობდეს. რაც შეეხება სიტუაციას კონსტანტინეპოლის დაცემის შემდგომ, ის აღნიშნული საწყისი პერიოდისაგან თვისებრივად განსხვავებულია. ევროპის ისტორიაში სწორედ ამ მოსაბრუნე ფაქტის მომდევნო ხანაში აღმოსავლური ქრისტიანობის ხალხებში (სერბებში, რუსებში) შექმნილი რჩეულობის იდეოლოგიები სხვა საფუძვლის მქონეა. ლაპარაკობს რა რუსეთზე, ა. ჰეისტინგსს მხედველობაში აქვს სწორედ ეს გვიანდელი ეპოქა რუსული მესიანიზმის „მოსკოვი – მესამე რომი“ – იდეოლოგიის სახით. აღნიშნული მართლაც არის ხალხთა რჩეულობის *აღმოსავლური* ანუ იმპერიული მოდელი. უფრო ადრინდელი რუსული მესიანიური იდეოლოგია კი (კერძოდ ის, რომელიც ჩამოყალიბდა რუსეთის მოქცევის შემდგომ უახლოეს ხანაში), განსხვავებით „მოსკოვი – მესამე რომის“ იდეოლოგიისაგან, იყო *დასავლური* პარადიგმაზე აგებული ეთნიკური ნარატივი; იგი, ისევე როგორც ქართული, ეფუძნებოდა უშუალოდ *წმინდა წერილს*.²

რელიგიური მოქცევის ეპოქაში შექმნილი ეთნიკური განსაკუთრებულობის ქართული იდეოლოგია საკმაოდ დღევრძელი გამოდგა. დღესაც კი მისი ცალკეული იდეები ახასიათებს ქართული ერთობის გარკვეული

¹ A. Hastings, 'Special peoples', p 389.

² ამ დასკვნას ვაკეთებ იმ მასალის ანალიზის საფუძველზე, რომელიც წარმოდგენილი აქვს დღიხაჩოვს. იხ. Национальное самопознание Древней Руси. Очерки из области русской литературы XI-XVII вв.-Москва-Ленинград, Наука, 1945.

ფენების იდენტობრივ პერცეფციას. ეს ფაქტი ნათლად აჩვენებს, რომ ნაციონალურ მისწრაფებათა და თანამედროვე ნაციათა მიმართებების შესწავლა შეუძლებელია ეთნიკური წარსულის მხედველობაში მიღების გარეშე, თუნდაც იმგვარად შორეულისა, როგორც განხილული შემთხვევაა.

წარმოდგენილი კონკრეტული ფაქტის რეკონსტრუქცია დამატებით სიდრემს სძენს ქართული იდენტობის წრთობის პროცესის წვდომას; ამავ დროს იგი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც თანამედროვე ნაციების ჩამოყალიბებაში ეთნიკური მემკვიდრეობას გადამწყვეტი როლის შესახებ ეთნო-სიმბოლისტების¹ მტკიცების კიდევ ერთხელ დადასტურება, ამჯერად, ქართული მაგალითით.²

¹ ნაციათა წარმომავლობის ეთნო-სიმბოლისტური, აგრეთვე სხვა პარადიგმების შესახებ იხ. სმითი ე.დ.ნაციონალიზმი. თეორია, იდეოლოგია, ისტორია. თარგმანი ინგლისურიდან მარიამ ჩხარტიშვილისა, ქართული ტექსტის რედაქტორი რუსუდან ამირეჯიბი-მაღენი თბილისი, ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი, 2004; J. Hutchinson *Modern Nationalism*. London: Fontana Press, 1994; G.Day and A.Thompson. *Theorizing Nationalism*,Palgrave Macmillan, 2004.

² გამოკვლევა არის ნაწილი პროექტისა, რომელიც განხორციელდა სსიპ ქართველოლოგიის, პუბლიკარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდის) გრანტით № 005-08.

M. Chkhartishvili (Tbilisi)

Forging Georgian identity

Ideology of ethnic election

The present investigation is focused on the 4th c. Georgian society. This period may be considered as a transition epoch in historical development of the Georgian identity. In this century Christianity was adopted as an official religion of Georgian Kingdom (Kartli). The written and archaeological sources attest dissemination of Christian faith much earlier than this date. According to the church tradition St Apostles preached in Georgia, however, the proclaiming of the new creed as the state religion took place only in the twentieth of the 4th c.

The results of the research deals with the perceptions of inter-group bonds and main ethnic boundary markers such as territoriality, language, religion, self-designation and ideology of Georgian ethnic election. The revealed facts allow us to conclude that in the 4th c. ethnic sentiments among Georgians were especially salient and Georgian ethnic was clearly defined. I think the cause for such clear-cut ethnic self-delineation was Georgians' incorporation into the Christian Church. It was the ethnic group's defensive effort to preserve its selfhood in an epoch of establishment of a trans-ethnic religion. The creation of a trans-ethnic unity of the Christian Church brought peoples closer to each other. As a result of religious homogeneity cultural barriers between them became penetrable. Thus, the problem of more clear-cut self-delimitation faced all ethnical entities incorporated in Christendom. The Christianization was something like modern globalization when national peculiarities are accentuated in a framework of a unified world culture. 'Christianity stimulated the emergence of nations and the national model of the modern world'¹.

In the present paper I do not intend to concern all above mentioned ethnic markers, but will limit myself by exhibiting the ethnic election ideology. The option of the topic of course is not accidental. I had in mind social theorists' findings on the importance of election ideologies in the process of ethnic forging and ethnic (and also national) identity survival.²

¹ A.Hastings, 'Special peoples', Nations and Nationalism 1999, 5, 3, p. 394.

² A.D. Smith, The ethnic origins of nations. New York: Basil Blackwell, 1987; A.D.Smith, 'Chosen peoples', in J.Hutchinson and A. Smith (eds.). Ethnicity. Oxford – New York: Oxford University Press, 1996; A. D. Smith, Ethnic election and national destiny some religious origins of national ideals. Nations and Nationalism 1999, 5, 3: 331-355.

I base the investigation upon authentic source the *Life of St. Nino* created in the middle 4th c.¹

The original version of *The Life of St. Nino* is a rather voluminous monument fashioned as a collection of memories: St. Nino (Illuminatrix of Georgians) and her disciples are presented as narrators. And all this material, it is said, was put down by the princes Salome Ujarmeli (Salome of Ujarma). The composition is furnished with a brief foreword evaluating the apostolic mission of St. Nino. Then the narration begins. First the final episode of the Saint's biography is exhibited. The author describes a farewell with the dying Illuminatrix. The believers gather round her and cry and ask her to tell them the story of her life. On her deathbed the Saint asks people to bring writing materials and take down her biography. Princes Salome (she was King Mirian's daughter-in-law, wife of Prince Rev) and another woman from the high nobility are writing the story down. This chapter is followed by the memory of a Jewish woman Sidonia. The next chapter encompasses the story of her father Abiatar (the former local Jewish priest). Then the memories of the Archbishop Jacob and King Mirian follow. King Mirian's *Will* to his son Prince Rev and Queen Nana closes the collection. Some facts are reported twice and even thrice. However, the repetition does not make the reading boring. The compiler always manages to change the perspective. Thus, one is given an opportunity to observe newer aspects of already recorded facts at each curve. By means of this method the compiler makes the narration impressive and memorizing.

According to this monument myth of Georgians' ethnic chosenness was built upon three main assertions: (1) after Crucifixion the Jews who initially were God's chosen nation, lost His grace and the epoch of hegemony of the Jewry over the World finished; (2) the Georgians were given God's grace. They become a chosen nation in the New Era. Lord's Tunic buried in Georgia, is a sign of God's favor, His specific attitude towards the Georgians; (3) the divine mission of the Georgian nation will be accomplished in future when it become apparent that Georgia is that very country where the final events of the human history will take place and where after the consummation of historical period of the development of the humankind God's Kingdom (//Garden of Eden//Heavenly Jerusalem) will be established.

Now I intend to display the relevant passages from the source.

According to the *Life* the Jews residing in Georgia received a letter of invitation to attend the ceremony of Christ's Crucifixion. One of those Jews, an inhabitant of Mtskheta, Elioz by the name, before the departure was given a warning from his mother not to mix up with the other Jews, dwellers of the other countries:

'Take up the call of the King and Law, and go, o, my son, but do not join in what they desire, in no way at all'.²

¹ M. Chkhartishvili, The problems of study of Georgian hagiography: The Life of St Nino [k`art`uli hagiograp`iis ts`qarot`mtsodneobit`I shests`avlis problemebi: tskhovrebay ts`midisa ninoysi]. Tbilisi: Metsniereba, 1987, 40-47.

² I. Abuladze (ed.), The monuments of old Georgian hagiographical literature [dzveli k`art`uli agiograp`iuli literaturis dzeglebi]. Tbilisi: Metsniereba, 1963, p. 128; The Conversion of Georgia [Obrashchenie Gruzii]: Translation from old Georgian into Russian by E. Taqaishvili, with investigation and commentaries by M. Chkhartishvili, Tbilisi: Metsniereba, 1989, p. 42.

The old woman foresaw the fatal aftermath of Crucifixion. At the very moment this fact had taken place she pronounced the following prophecy:

‘O, Jews you became murderers of Savior and Redeemer and foes of the Creator. From now on your Kingdom is over’.¹

The same idea can be traced in the words of another Jewish personage of the *Life* – Sidonia who was the disciple of St. Nino. Interpreting the vision of the Illuminatrix she notes:

‘We are made aware by you of the acts of our fathers in those remote times: how unjustifiably they shed the blood of an innocent man from Heaven and how for this they were disgraced by God being scattered over the world. God had destroyed their Kingdom, deprived them of their temple and made closer another people to Him and glorified a strange seed’².

Thus, according to the Jewish personages after Crucifixion their nation gave up dominant position to the ‘strange seed’ i.e. the Georgians.

The assertion of the Jews’ guiltiness in the death of Christ, of course was not specifically Georgian idea. Doctrinal anti-Judaism was an essential characteristic of Christianity initially. And this very characteristic was rather salient in the epoch under the consideration. The Georgian ideologists (I am taking in plural *ideologists* because I am sure that the compiler was backed by staff) attempted to use this idea for attaining a certain objective, namely, for proving that the place of the ‘chosen nation’ was vacant and might be occupied by a ‘strange seed’.

Later on the *Life* informs us that Elioiz and his accompanying persons while they were visiting Jerusalem, witnessed the Crucifixion and together with others Jews from Georgia cast lots for the Lord’s Tunic. They won it and took it to the royal city of Mtskheta. When St. Nino was informed that Georgia was the final resting place of the Lord’s Tunic, she decided to visit this country. Thus, the story of the Lord’s Tunic is a principal topic of the composition. It is repeated over and again. Different persons narrate it. All the narrators are non-Georgians: Jew, Greek, and Armenian. This fact of course is not accidental. Undoubtedly it was made intentionally. The Jews were elected in the past, Greeks and Armenians having contended for this position after their incorporation into Christian Church. Thus, all of them were rivals of the Georgians. That is probably why the compiler found it necessary to emphasize that the presented assertions are shared and accepted by these nations.

When Elioiz came back to Mtskheta with the holy garment, his sister clutched the garment to her chest and died instantaneously. It became impossible to dislodge Lord’s Tunic from the hands of the deceased woman. Therefore it was entombed with Elioiz’s sister. In due course the burial place became a part of the royal garden and a very beautiful cedar of Lebanon grew up there. While constructing the first church, the cedar was

¹ I. Abuladze, The monuments of old Georgian hagiographical literature, p. 129; E. Taqaishvili and M.Chkhartishvili, The Conversion of Georgia, 1989,p. 42.

² I. Abuladze, The monuments of old Georgian hagiographical literature, p. 123-124; E. Taqaishvili and M.Chkhartishvili The Conversion of Georgia,p. 40.

cut down and used for a pillar of the church. However, the builders were unable to erect it. Only after St. Nino had offered up her prayers it was ascended by an angel to Heaven and then descended and was planted on its place without help from anybody. This pillar was named *Svetitskhoveli* – the Vivifying Pillar, for it was miraculous and cured all kind of illness.

But how might be interpreted this story on Lord's Tunic, what it might point to?

It is well known that the cedar of Lebanon was regarded, as a plant of Eden, as well as the Vivifying Pillar may be associated with Tree of Life –being the plant of Eden too.

An old Georgian word *Samotkhe* that is used by the compiler for denoting royal garden in Mtskheta, means not merely a garden, but the Garden of Eden//Heavenly Kingdom//New Jerusalem//Paradise. *Samothke* means quadratic (compare English *square* in the sense of a garden). But according to *Scripture* mystic city established in Heaven was also quadratic, is not it? (Rev. 21: 12-3). It seems to me that all these facts are intended to make sense that royal garden in Mtskheta has a respect to the New Jerusalem and that the Kingdom of Heaven would be established therein. Sidonia later explicitly states this idea, which is referred here only implicitly. While explaining St Nino's vision, she notes that this place of *Samotkhe* as a result of St Nino's apostolic activities would be transformed into *Samotkhe* where God would be glorified everlastingly.¹

The *Life* contains an evidence of another sacred thing interred in Mtskheta. It is the Mantle of Elias the Prophet. According to the Old Testament Elias the Prophet did not die. He won God's favor and was ascended to Heaven alive. Therefore it was expected that he will come back and this fact will take place just before the Savior's Second Coming. Christian interpreters identifies Elias the Prophet with one from two witnesses mentioned in the Revelation. On the grounds of these facts some scholars² assert that the tale on the Mantle presented in the *Life* serves as a symbolic indication to the epoch of the Second Coming.

I share this opinion. However, it seems to me that the above-mentioned assertion needs to be developed further. In the *Life* we have information not only on the Mantle as such, but on the Mantle entombed in Georgia. This makes me to conclude that the Mantle serves as the temporal and spatial indications alike, that the compiler tried to associate the Second Coming with Georgia. The Mantle, it is told, was placed in that part of the city where the kin of the above-mentioned Elioz resided. This house of local Jews is presented as an elected part of the Jewish nation. As it was mentioned, Elioz had brought the Lord's Tunic to Mtskheta. His mother was an author of an unprecedented prophecy. St Nino's disciple Sidonia who explained the Illuminatrix' vision, also belonged to this house. Elioz' sister was endowed with a divine ability of foreseeing too. She as well as her mother understood the importance of Christ's mission and foresaw the after-

¹ I. Abuladze, The monuments of old Georgian hagiographical literature, p124; E. Taqishvili and M.Chkharishvili, The Conversion of Georgia, p. 40.

² L. Pataridze, *The Life of St. Nino: Cultural-historical issues of conversion of K'art'li* [tskhovrebay ts' midisa ninoyi: k'art'lis gak'ristianebis kulturul-istoriuli sakit'khebi], Tbilisi: Metsniereba, 1993, p. 28.

math of Crucifixion. Thus, this was the place of the prophets' residence. It seems the compiler longed to assert that in the epoch of the Second Coming from the bosom of this family would be issued a new prophet, the person possessing the power equal to that of Elias. Thus, it was expected that new Elias would be Georgian Jew and accordingly the message firstly would be announced in Georgia. This fact must be considered as a token as well. This sign once again validated God's favor towards the Georgians.

Now let me display all above-mentioned facts in sequence. The prophet of local origin will announce the Second Coming firstly in Georgia. New Jerusalem will be established in Georgia, in the royal garden. I think the compiler is trying to make the reader believe that the Savior will be issued from the bosom of the 'strange seed'. It is implied that the future Redeemer would be the Georgian King. The attachment of the Lord's Tunic with royal residence makes me to conclude this.

A. Smith distinguishes four patterns of conceptions of ethnic electivity. From his point of view dynastic is one attached to the ruling house and dynasty from which the community takes its main symbols and with which is associated itself.¹ Thus, the Georgian conception of messianism seems to be a dynastic one.

All the articles are made of bronze apart from those made of deer antlers (7)

VIII- Bronz Artefacts from burial-mound No1 from Tsitlgorebi

IX- Burial No 1 from Elenendorph

X – Burial No 65 from Treli burial-ground

XI- Artefacts from burial-mound No1 from Tsitlgorebi: 1 Past beads, 2Bronze beads, 3 Cornelian beads, 4,5 Bronze plaques, 6Bronze cruciform pendant, 7Bronze plate for armour

All other plates were compiled on the basis of unpublished drawings by R. Abramishvili

ნ. ახვლედიანი (თბილისი)

**სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე რკინის ათვისების
ქვედა ქრონოლოგიური თარიღის შესახებ**

რ ე ზ ი უ მ ე

კავკასიის ტერიტორიაზე რკინის ნივთის შემცველი ყველაზე ადრეული კომპლექსის ბეშთაშენის №13 სამარხის თარიღი ძვ. წ. XIV-XIII სს. მიჯნით განისაზღვრება (რ. აბრამიშვილი). ძვ. წ. XIV-XIII სს. მიჯნით თარიღდება ასევე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლების ქრონოლოგიისთვის მეტად მნიშვნელოვანი ძეგლი სასირეთის „განძი“

სასირეთის განძის ნივთთა ერთი ნაწილი, კერძოდ, ლაგმები, მსგავსებას პოულობს ფრიად დიდ რეგიონში გავრცელებულ ანალოგიურ ლაგმებთან. ამ ლაგმებითა და მცირე პლასტიკით სასირეთის განძი უკავშირდება: წითელგორების №1 ყორღანს, ელენენდორფის №1 ყორღანს, ლჭაშენის №1,2,8 ყორღანებს და არტიკის გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ძეგლებს. აქ აღმოჩენილი ნივთები კი საუკეთესო მასალას იძლევა ამ ძეგლთა აბსოლუტური თარიღების მისაღებად.

არტიკის სამარხებიდან მომდინარე მითანური ტიპის საბეჭდავების თარიღი ბარტელდ პრუდამ ძვ. წ. XV ს. მეორე ნახევრითა და ძვ. წ. XIII ს. განსაზღვრა. ჩამოთვლილი ძეგლების ზედა ქრონოლოგიური თარიღს (ძვ. წ. XIII ს.) განამტკიცებს ეგვიპტის ფარაონთა (მერნეპტა, ამენხოტეპ IV) ნივთებთან ერთად აღმოჩენილი სამთითები, რომელთა ანალოგებიც დადასტურებულია ლჭაშენის ყორღანებში (რ. აბრამიშვილი). შესაბამისად, არტიკის მითანური ტიპის საბეჭდავების შემცველი სამარხები ლჭაშენის ყორღანების სინქრონულია. ლჭაშენის ყორღანები წითელგორების ყორღანის სინქრონული ძეგლია. ეს უკანასკნელი უკავშირდება ელენენდორფის №1 ყორღანს, ივანოვსკის მიერ გათხრილ და შედგენილტარიანი სატევრების შემცველ სამარხებს, სასირეთის განძს და მის სინქრონულ ძეგლებს. ჩამოთვლილი ძეგლებიდან არცერთი არ შეიცავს ისეთ არქაულ ნივთებს, როგორსაც ბეშთაშენის №13 სამარხი-ბრინჯაოს: ლაგმები, რომლებიც როგორც ტიპოლოგიური ისე ქრონოლოგიური თვალსაზრისით მოსდევს ჭაღის №1 ყორღანის პრიმიტიულ ლაგმებს; სატევარი, რომელიც ფორმა-მოყვანილობით წინამორბედი ეპოქის ერთეულებს უახლოვდება და ხუთკოპა საკინძი, რომელიც განსხვავდება ძვ. წ. XIII-XII სს. ამავე ტიპის საკინძებისგან და რომლის ანალოგებიც აღმოჩენილია წინააზიური სატევრის შემცველ სტირფაზის №5 კრომლესში და კაზრეთში ფოთლისებურ სატევართან ერთად.

ბეშთაშენის კომპლექსიც და სასირეთის „განძიც“ სამთავროს ფოთლისებური სატევრების შემცველი ფენის შემდგომი ეტაპის ძეგლებია, მაგრამ ამასთან ერთად ბეშთაშენის №13 კომპლექსი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს სასირეთის განძს.

შიდა ქართლში რკინის ნივთის შემცველ უადრეს კომპლექსად თავის დროზე სამართლიანად მიჩნეული იყო სამთავროს №56 სამარხი, რომელიც ძვ. წ. XII ს. თარიღდება. ვითარება შეიცვალა მას შემდეგ რაც რკინის ნივთის შემცველი ძეგლები გაითხარა თბილისში (თრელის №65 სამარხი, რ. აბრამიშვილის გათხრები) და წეროვანში (№74 სამარხი, ვ.სა-დრაძის გათხრები). ორივე ეს ძეგლი ძვ. წ. XIII ს. თარიღდება. წეროვანის №74 სამარხი ლჭაშენ-წითელგორების არქეოლოგიური კულტურის წრის ძეგლია. ამავე კულტურის წრეს მიეკუთვნება თრელის № 65 სამარხიც, მაგრამ ეს უკანასკნელი წეროვანის კომპლექსისგან განსხვავებით სამთავროული კულტურის ძლიერ გავლენას განიცდის.

რთულია გადაჭრით იმის თქმა, თუ რომელი არქეოლოგიური კულტურის მატარებელი მოსახლეობა იწყებს რკინის ათვისებას სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე, თუმცა დღეს ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების საფუძველზე სავარაუდოა, რომ ლჭაშენ-წითელგორების არქეოლოგიური კულტურა არ არის გათვითცნობიერებული რკინის მეტალურგიაში, მაგრამ ამ საზოგადოების მაღალი ფენა იყენებს მეზობელი (სამთავროული არქეოლოგიური კულტურის მატარებელი) ტომების მიღწევას (ანუ კულტურის ამ წრეში, ლჭაშენ-წითელგორების, არსებობს ამ ძვირადღირებული ინოვაციის მომხმარებელი). ამის მაჩვენებელი უნდა იყოს ის, რომ მდიდრულ სამარხებში (წითელგორი, ლჭაშენი, ლორი-ბერდი, გარაჯამირდი) რკინა არ ჩანს, ხოლო ამავე კულტურის წრის ის ძეგლები, რომლებშიც რკინა გვხვდება (ბერიკლდეების №4 ყორღანი, თრელის №65 სამარხი, წეროვანის №74 სამარხი), სამთავროული კულტურის არეალშია მოქცეული. მიუხედავად ამისა მიმანია, რომ საკითხი იმის თაობაზე თუ რომელი არქეოლოგიური კულტურის მატარებელი საზოგადოება იწყებს რკინის ათვისებას სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე, უნდა გახდეს დისკუსიის საგანი.

ი. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი (თბილისი)

**დრანდის ტაძრის თარიღისათვის არქეოლოგიური
მონაცემების მიხედვით**

დრანდის ტაძარი მდებარეობს ქ. სოხუმიდან 18 კმ სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. კოდორის მარჯვენა სანაპიროზე, შემადგელებულ პლატოზე, სოფელ დრანდაში. შუა საუკუნეებში დრანდა ეპისკოპოსთა რეზიდენციას წარმოადგენდა. ვახუშტი ბატონიშვილი, XVII ს-ის ქართველი გეოგრაფი, თავის „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში“ წერს: „კოდორის წყალზედ არს ეკლესია დრანდას, მთაში, გუნბათიანი, შვენიერი, დიდშენი. ზის ეპისკოპოსი, მწყემსი კოდორსა და ანაკოფიას შორისისა ადგილთა. არამედ აწ აფხაზთაგან არღარა არიან ორთა ამათ შინა ეპისკოპოზნი“ (ბაგრატიონი, 1997: 170).

ძველი არაერთგზის დაზიანებულა, განსაკუთრებით XVII-XVIII სს-ში თურქთა ბატონობის პერიოდში. XIX ს-ში იგი მრავალჯერ იყო რესტავირებული. ხელახლა დაზიანდა ხანძრის შედეგად 1877-78 წლებში, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, რამაც ტაძრის ფრესკებიც იმსხვერპლა (Воронов, 1978: 108-109; Пачулия, 1964: 44-47). ეს ფრესკები, რომლებიც სავარაუდოდ XIII-XIV სს-ებს განეკუთვნებოდა, 1846 წელს ს. საბლინს და მოგვიანებით, 1860 წელს დ. ბაქრაძეს უნახავს და აღუწერია (Бакрадзе, 1875: 65-66). კაპიტალური რემონტი ძველს 1880-83 წწ-ში ჩატარდა, როცა ახალ ათონელმა ბერებმა აქ მამათა მონასტერი დააარსეს, რომელმაც 1921 წლამდე იარსება. 1900-იან წლებში ტაძრის გუმბათი რუსული ეკლესიის ნირზე იქნა გადაკეთებული. 1978 წ. დრანდაში ჩატარდა სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოები (ვ. ცინცაძის ხელმძღვანელობით), რომლის მთავარი მიზანი ძველის თავდაპირველი სახის აღდგენა იყო (ცინცაძე, 1979: 35-42).

ძველი წარმოადგენს ჯვარ-გუმბათოვან ნაგებობას. ტაძრის გარეთა ზომებია: ჩრდილოეთიდან სამხრეთით – 19,5 მ, დასავლეთიდან აღმოსავლეთით, აფსიდისა და ნართექსის ჩათვლით – 27,3 მ. კონსტრუქციის ბირთვს გუმბათი და მისი მზიდი კედლები წარმოადგენენ. სამშენებლო მასალად ძირითადად აგურია გამოყენებული, პერიფერიული და ზოგი სხვა კედლები კი აგურისა და რიყის ქვის რიგების მონაცვლეობითაა ნაგები (ცინცაძე, 1979: 38).

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ტაძრის დაბალი პროპორციები. გ. ჩუბინაშვილი დრანდას “მცხეთის ჯვრის” ტიპის ერთ-ერთ ვარიაციად მიიჩნევდა, სადაც „ქართულ მხატვრულ გაგებასთან ბიზანტიური ხასიათის ელემენტებია შერწყმული. ასეთივე ხასიათი ჩანს მასალაშიაც: რიყის ქვა და აგურის სარტყლები“ (ჩუბინაშვილი, 1936: 143). იგივე აზრს იზიარებდა ლ. რჩეულიშვილი (Рчеულიшвили, 1978: 27). თუმცა არსებობს მოსაზრება დრანდის ტაძრის წმინდა ბიზანტიური წარმომავლობის შესახებაც (Леквинадзе, 1988: 201-216; Хотелашვილი/Якобсон, 1984: 200-206).

დრანდის ტაძრის სამშენებლო სპეციფიკიდან გამომდინარე არაა გამოსარიცხი, რომ დრანდა ბიზანტიური ხელოვნების აქტიურ ზეგავლენას განიცდიდა, და იგი შეიძლება, მართლაც საიმპერიო ძეგლების რიცხვშიც მოექცეს, რადგან აქ უპირველეს ყოვლისა გასათვალისწინებელია იმდროისათვის არსებული პოლიტიკური სიტუაცია, კერძოდ, ბიზანტიის ინტერესები და აქტიურობა აღნიშნულ რეგიონში; ამავე დროს აშკარაა მცხეთის ჯვარსა და დრანდის ტაძარს შორის არსებული კომპოზიციური მსგავსება და სიახლოვე.

დრანდაში მეტად საინტერესო აღმოჩენას ჰქონდა ადგილი სარესტავრაციო სამუშაოების დროს. გუმბათის ყელის საძირკველსა და ყრუ გუმბათს შორის სივრცე ამოვსებული იყო 30-მდე მთელი ამფორით, ისინი ნახევრად ჩაწვენულ მდგომარეობაში, პირქვე იყო დამხობილი. ეს მეთოდი ტრადიციულია რომაულ-ბიზანტიური არქიტექტურისთვის და იგი ძირითადად კამარის კონსტრუქციის შემსუბუქების და ხმის გაძლიერების მიზნით გამოიყენებოდა. ამ მეთოდის გამოყენება კი აღმოჩენილ ამფორათა და ტაძრის თანადროულობაზე მიუთითებს, ამიტომაც ამ ამფორათა განსაზღვრა და სწორი ანალიზი ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი უნდა იყოს ძეგლის სწორად დათარიღების საქმეში. აღმოჩენილ ამფორათაგან 24 მათგანი დღეს აფხაზეთის მუზეუმში ინახება, დანარჩენი კი ხელუხლებელი დარჩა აღმოჩენის ადგილას (Хотелашვილი/Якобсон, 1984: 193). მსგავსი მეთოდი ცნობილია განთიადის ბაზილიკის ბემის კამარასა და კონქაში (Хрушкова, 1985: 30, ტაბ. VIII, 1-3). დრანდაში 7 ტიპის ამფორაა წარმოდგენილი, რომელთა განხილვასაც ქვემოთ შევეცდებით:

1. კონუსური ფორმის, მაღალყელიანი ამფორა, ოვალური ყურით, დაღარული ტანით. შემორჩენილია მხოლოდ კორპუსის ზედა ნაწილი, 43,5 სმ სიმაღლის; ყელის სიმაღლეა – 8,5 სმ; პირის დიამეტრი – 7 სმ. კეცი მოწითალო-ჩაღისფერია, იშვიათი თეთრი ჩანართებით (Хотелашვილი/Якобсон, 1984: 193). მსგავსი ტიპის ამფორის ფრაგმენტები აღმოჩენილია ბიჭვინთის ნაქალაქარზე V-VI სს-ის ფენებში (ღამბაშიძე, 1977: 128, 131, სურ. 185; ღამბაშიძე, 1963: 91); ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ამგვარი ამფორები ცნობილია ქერსონესში და ტამანის ნახევარკუნძულზე, რომლიც იაკობსონის კლასიფიკაციით 1 ტიპს განეკუთვნება (V-VI სს.) (Якобсон, 1979: 8, სურ. 1,1; Якобсон, 1951: 327, სურ. 1,1); ცნობილია ეს ტიპი დასაუ-

ლეთ შავიზღვისპირეთში, რუმინეთში (Tomi, Sacidava, Dinogetia), სკორპანის მიხედვით ტიპი XVII, თარიღდება V-VI სს. (Scorpan, 1977: 283, fig. 23). რამდენიმე ეგზემპლარი მსგავსი ამფორისა დაცულია სინოპის მუზეუმში, IV ს. (Tezgör, 1999: 119, fig. 9). Opaıt-ის მიხედვით Topraichioi-ში აღმოჩენილი ეს ტიპი (conical amphora of Seleucia in Pieria type) სირიული წარმომადგენლობისაა. იგი სკამოდ კარგადაა წარმოდგენილი დუნაის ქვემო წელზე IV ს-ის ბოლოს -V ს-ის პირველ ნახევარში (Opaıt: 210, planşa 11,1). არსებობს სხვა მოსაზრებაც ამ ტიპის ამფორის (LRA¹) ეგვიპტური წარმომადგენლობის შესახებ, რომელიც მიმოქცევაში იყო IV ს-ის ბოლოდან ვიდრე VII ს-ის დასაწყისამდე (Sciallano/Sibella, 1991).

2. თითისტარისებრი მოყვანილობის ამფორა, ბოლოში შევიწროებული კორპუსით, კონუსური, შიგნიდან ღრუ ქუსლით. კორპუსი მთლიანად დაღარულია. ამფორა თხელკედლიანია. კეცი – მოწითალო-ყავისფერი, წმინდად განლექილი, ქარსის უმნიშვნელო შემცველობით. ბრტყელი ყურები ყელს ებჯინება. ამფორის სიმაღლეა 56,5 სმ, პირის დიამეტრი – 3,5 სმ, კორპუსის უდიდესი დიამეტრი – 20,5 სმ (Хотелашвили/Якобсон, 1984: 194). ანალოგიური ამფორის ძირის და პირის ფრაგმენტები მრავლადაა (50 ც.) აღმოჩენილი პიტონტის ნაქალაქარზე, IV-V სს-ის ფენებში (ბერძენიშვილი, 1975: 275, სურ. 62,63,64); ცნობილია ეს ტიპი ნოქალაქვიდან და გუდავადან, რომელსაც ვ. ლექვინაძე, გაიდუკევიჩზე დაყრდნობით, სამოსურ ნაწარმად მიიჩნევს და IV-V სს-ით განსაზღვრავს (Леквинадзе/Хведелидзе, 1981: 133, ტაბ. XLII, 3, 4); დასტურდება ეს სახეობა გონიო-ავსაროსის ადრე შუა საუკუნეთა ფენებში (ხალვაში, 2002: 48-51, სურ. 34, 5).

მსგავსი ამფორები აღმოჩენილია ყირიმსა და ოლბიაში, IV ს. (Abadie-Reynal, 1999: fig. 18), ბოსფორის თითქმის მთელ ტერიტორიაზე: ტირიტაკაში (IV ს.) (Гайдукевич, 1952: 96, рис. 114, 1,2,3), პანტიკაპონსა და ფანაგორიაში (III-IV სს.), ჰერმონასაში (IV ს.), ინკერმანში – გვიანანტიკური ხანის ჩერგუნსკის სამაროვანზე და ქერსონესში (Зеест, 1960: 118-119, таб. XXXVIII, 95). ბოსფორის ქალაქებში აღმოჩენილ ამ ტიპის ამფორებს გაიდუკევიჩი სამოსურ ნაწარმად მიიჩნევდა (Гайдукевич, 1952: 96). აღმოჩენილია ისინი რუმინეთში (Sacidava, Dinogetia, V-VI ს-ის ფენებში) (Barnea, 1966: 244, fig. 8, 2; 250, fig. 12, 1; Sciallano/Sibella, 1999: 272, fig. 7.5, 6. Type V); ათენის აგორაზე (VI ს-ის ბოლო) (Sciallano/Sibella, 1991: Late Roman Amphore 3); კართაგენში (Sciallano/Sibella, 1991: fig. 87); Caesarea-სა და Berenice-ში (Berghazi, ლიბია) (Riley, 1979: 229). ამ ამფორათა აღმოჩენის ფაქტი დასტურდება სამხრეთ საფრანკეთის არაერთ ძეგლზე (Marseille, Collioure, Port-Vendres, Lunel, Aigues-Vives, Venéjan, Saint-Blaise, Toulon, Hyères, Methamis,

¹ Late Roman Amphore.

Mandelieu, Saint-Laurent-d'Aigouse, Nimes, Saint-Bonnet-du-Gard), რომლებიც აქ აღმოსავლურ იმპორტს წარმოადგენს და თარიღდება IV-VI სს. (Bonifay/Villedieu, 1989: 27, fig. 7).

Reynolds-ის და Pieri-ს კლასიფიკაციით აღნიშნული ამფორა LRA3 ტიპს წარმოადგენს (Sciallano/Sibella, 1995: fig. 87; Pieri, 1998: 100, fig. 4); Peacock and Williams-ის კლასიფიკაციით კი class 52 შეადგენს და თარიღდება IV ს-ის ბოლო -VII ს-ით (Peacock/Williams, 1989: 204, fig. 122). Keay-ის მიხედვით ეს LIV ტიპია (Keay, 1984: 286-289, fig. 124). ამ სახეობის ამფორა, მხოლოდ ჯერ ცალყურა, ჩნდება უკვე I ს-ში, IV ს-დან მას მეორე ყური უჩნდება, და ამ სახით ეს ტიპი VI ს-ის ბოლომდე განაგრძობს არსებობას (Sciallano/Sibella, 1991; Riley, 1979: 229). Keay მიიჩნევს, რომ დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ამფორის ეს სახეობა VI ს-ის ბოლომდე გამოიყენებოდა, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში კი VII ს-ის პირველ ნახევარშიც უნდა ყოფილიყო ხმარებაში, რასაც Yassi Ada-ში ამ ტიპის ამფორის ერთი ძირის ფრაგმენტის აღმოჩენა ადასტურებს, Yassi Ada-ში გემის ჩაძირვა კი 625-626 წწ-ის შემდგომი დროით თარიღდება (Keay, 1984: 289). ამ ტიპის ამფორის ორყურა ვარიანტი IV ს-ის დასაწყისში პირველად ათენის აგორასა და Caesaraea-ში ჩნდება, IV ს-ის ბოლოთი თარიღდება კართაგენში აღმოჩენილი ცალეები (Keay, 1984: 286-28). მათი საწარმოო ცენტრი აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთს უკავშირდება (Sciallano/Sibella, 1991), კერძოდ დასავლეთ თურქეთს, ეფესოსსა და სარდის მიმდებარე რეგიონებს (Arthure, 1998: 165).

3. ამფორა ღეროსებრი ქუსლით, დაბალი, ფართო ყელით, ოვალურ-გამოხნეილი ფორმის კორპუსით რომელიც ქვედა ნაწილში შესამჩნევად ფართოვდება. კორპუსი მთლიანად დადარულია. ამფორის სიმაღლეა 60 სმ, პირის დიამეტრი – 10 სმ, კორპუსის უდიდესი დიამეტრი – 24,5 სმ (Хотелашвили/Якобсон, 1984: 194).

რადგანაც პუბლიკაციაში, რომელსაც ვეყრდნობით ამფორათა აღწერილობით ნაწილში (ვინაიდან პირადად ამ ამფორათა ნახვის საშუალებას მოკლებულნი ვართ ცნობილი მიზეზების გამო), არაა მოცემული ინფორმაცია ამფორის ყურის შესახებ, ფოტოზე კი ცალყურა ამფორაა გამოსახული, სავარაუდოდ საქმე სწორედ ცალყურა ამფორასთან უნდა გვექონდეს. როგორც ცალყურა ამფორა, იგი LRA3 ტიპის ადრინდელ ცალყურა ტიპს ემსგავსება, რომელიც I-IV სს-ში იყო მიმოქცევაში. IV ს-დან კი მას მეორე ყურიც უჩნდება. IV ს-ით დათარიღებული ცალყურა ეგზემპლარები ცნობილია ოლბიიდან, ტანაისიდან, Slaveni-დან, Tomis-დან (Abadie-Reynal, 1999: 263, fig. 18), Noviodunum-დან და Beroe-დან (Opait, 1996: planşa 9,2,3). მათი წარმომავლობა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთს უკავშირდება (Sciallano/Sibella, 1991).

მაგრამ, თუკი ამ ტიპს განვიხილავთ, როგორც ორყურა ამფორას,

მსგავსი ტიპი ცნობილია ყირიმიდან (ტირიტაკა), რომელსაც გაიდუკევიჩი სამოსურ ნაწარმად მიიხსენებს და IV-V სს-ით ათარიღებს (Гайдукевич, 1952: 96, рис.114, 3), იაკობსონის კლასიფიკაციით ტიპი 6 (IV-V სს.) (Якобсон, 1979: 11-12, სურ. 2,2), ცნობილია ისინი ვარნიდან, IV-VI სს. (Минчев, 1972: ტაბ. I,6), რუმინეთში - Medgidia-დან (IV ს.), Cernavodă-დან (IV ს.), Tomi-დან (V-VI სს.), სკორპანის მიხედვით ტიპი IV (Scorpan, 1977: 272, fig. 6).

4. კვერცხისფორმისებრი ამფორა, მრგვალძირიანი, ფართო ყელით, მასიური დუგმისებრი ყურებით. კორპუსი მთლიანად ღრმა ღარებითაა დაფარული. თიხა ჩალისფერია. ამფორის სიმაღლეა 40 სმ, პირის დიამეტრი - 9,5 სმ, კორპუსის უდიდესი დიამეტრი - 27 სმ (Хотелашвили/Якобсон, 1984: 195).

მსგავსი ამფორის ფრაგმენტები ცნობილია ბიჭვინთის ნაქალაქარის VI სს-ის ფენებიდან, აქვე აღმოჩნდა წელშეხნეკილი ამფორის ნატეხებიც (დამბაშიძე, 1963: 92,91, სურ. 10); ანალოგიური გოფირებულ ამფორათა ფრაგმენტები აღმოჩენილია ნოქალაქევიში, ციხისძირსა და გუდავაში, მათ გ. ლექვინაძე იაკობსონზე დაყრდნობით V-VI სს-ით განსაზღვრავს (Леквинадзе/Хведелидзе, 1981: 133, ტაბ. XLIV, 1, 2). ამ სახეობის ამფორათა ფრაგმენტები ცნობილია წებელდის ციხის VI სს-ის ფენებიდან (Воронов/Бражба, 1985: 71, plate 26, I-11; Воронов/Бражба, 1987: 129, plate 13, 16) და გონიო-აფსაროსიდან (ხალვაში, 2002: 44-46, სურ. 36).

ამფორის ეს ტიპი ცნობილია ქერსონესიდან, იაკობსონის კლასიფიკაციით ტიპი 8 A (IV ს.) (Якобсон, 1979: 12, 13, 16, სურ. 3, II), კარგადაა იგი წარმოდგენილი დასავლეთ შავიზღვისპირეთში (Sacidava, Tomi, Histria) (Scorpan, 1977: 273, fig. 9. Type V), საბერძნეთში (Athenian Agora, Corinth) III-VI სს. ფენებში (Jonson, 1986: 591-593, fig. 3), სამხრეთ საფრანგეთში (მარსელი, V-VII სს.) (Bonifay, 1989: 31, fig. 10), რომელიც აქ სირია-პალესტინის იმპორტს წარმოადგენს (Jonson, 1986: 591-593, fig. 3, 4, 5, 6). აღნიშნული ტიპი სირია-პალესტინაში უკვე ძვ. წ. II ს-ში ჩნდება და არსებობს ვიდრე ახ.წ. IX ს-მდე (Jonson, 1986: 591-593). ამფორის ეს სახეობა LRA5/6 ტიპს განეკუთვნება და კარგადაა წარმოდგენილი ეგვიპტეში ნილოსის შუა წელზე (Empereur Jean-Yves/Picon Maurice, 1989: fig. 26; Pieri, 1998: 102-103, fig. 6), ისრაელში (Atlit, V-VI სს.), რავენაში, VI სს-ის დასაწყისი (Sciallano/Sibella, 1991). Peacock and Williams-ის კლასიფიკაციით აღნიშნული პალესტინური ამფორები class 46 შეადგენს და თარიღდება V-VI სს-ით (Peacock/Williams, 1986: fig. 110). მსგავსი ამფორები, მხოლოდ უფრო მაღალი ყელით და უფრო სფერული კორპუსით ცნობილია იერუსალიმიდან, ისინი აქ VI სს-ის ბოლოდან არსებობენ ვიდრე VII-VIII სს-მდე (Magness, 1993: 227-228).

5. ამფორა ცილინდრული კორპუსით, დაბალი, ვიწრო ყელით და მასიური ქობით, დუგმისებრი ყურით. თიხა ჩალისფერია. კორპუსი დაღარული. ამფორის სიმაღლეა 40 სმ, პირის დიამეტრი - 3,5 სმ, კორპუსის

დიამეტრი – 18,5 სმ (Хотелашвили/Якобсон, 1984: 195). აღნიშნული ტიპი წინა ტიპის ამფორას უახლოვდება თავისი ფორმით.

მსგავსი ამფორის ფრაგმენტები მრავლადაა აღმოჩენილი ბიჭვინთის ნაქალაქარზე VI ს-ის ფენებში (ღამბაშიძე, 1963: 92, სურ. 10; რამიშივილი, 1965: 109, სურ. 2); ეს სახეობა დასტურდება წებელდის ციხის VI ს-ის ფენებშიც (Воронов/Бгажба, 1987: 129, სურ. 13,14), ცნობილია ქერსონესში და ტამანის ნახევარკუნძულზე. აღნიშნული ტიპი, ისევე, როგორც წინამორბედი, იაკობსონის კლასიფიკაციით ხვდება ტიპ 8-ში (IV ს.) (Якобсон, 1979: 12-13, შენიშვნა 23. სურ. 2,4,5), ცნობილია ილიჩევსკის ნაქალაქარიდან (IV ს.) (Сокольский, 1966: 132, рис. 4,2). მსგავსი სირია-პალესტინური წარმოშობის ამფორები აღმოჩენილია ათენის აგორასა და კორინთში, IV-VI სს. ფენებში (Jonson, 1986: 591-593, fig. 1,a,b); Tarragona-ში (კატალონია, ესპანეთი), IV ს-ის ბოლო –V ს. შუა ხანები, ტიპი LRA4 (Sciallano/Sibella, 1991); ამფორის ეს სახეობა დასტურდება აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ გალიის არაერთ ძეგლზე, V-VI სს. (Trèves, Genève, Tours, Bordeaux), და სამხრეთ საფრანგეთში (Collioure, Tautavel, Saint-Blaise, Toulon, Hyères, Fréjus, Viviers, Vaison-la-Romaine, Aix-en-Provence, V-VI სს.) (Bonifay/Villedieu, 1989: 29, fig. 8, 6,7. Fig. 9). მათი წარმოება პალესტინასა (ღაზას რეგიონი) და ეგვიპტეში ხდებოდა და მიმოქცევაში იყო IV ს-დან ვიდრე VI ს-ის ბოლომდე (Pieri, 1998: 101, fig. 5); თუმცა Arthure-ის აზრით ამფორის ეს სახეობა, რომელიც აგრეთვე Gaza type-ად იწოდება, იწარმოებოდა ძირითადად გაზასა და აშკელონში IV ს-დან VII ს-ის ბოლომდე, ხოლო აშკელონის ბოლოდროინდელმა გათხრებმა აჩვენა, რომ ამ ტიპის წარმოება VIII ს-შიც გრძელდება, უმაიადთა დინასტიის დროს (Arthure, 1998: 162). G. Majcherek-ი მიიჩნევს, რომ ამ ტიპის ამფორათა წარმოების ცენტრად მხოლოდ გაზისა და მისი მიმდებარე რეგიონის მიჩნევა არ იქნებოდა მართებული, მათი წარმოება მთელს სამხრეთ პალესტინაში ან Pelusium-სა და Negev-ს შორის არსებულ მოსზღვრე რეგიონშიც უნდა ვივარაუდოთ (Majchere, 1995: 165). აღნიშნული ტიპის ამფორა ძირითადად უმაღლესი ხარისხის ღვინის საექსპორტოდ გამოიყენებოდა (Arthure, 1998: 161-162, fig. 4,1).

6. წელშეზნექილი ამფორები. ამ ტიპის ამფორები დრანდის კომპლექსში უმრავლესობას წარმოადგენს. მათი სიმაღლე 71-75 სმ შორის მერყეობს. კეცი სხვადასხვაგვარია, ღია ვარდისფერიდან ვიდრე ყავისფრამდე. გამოწვა არათანაბარია. კორპუსის ზედა ნაწილის დიამეტრია 17,5 სმ, შეზნექილ ადგილას – 13,5 სმ, კორპუსის ქვედა ნაწილის დიამეტრია – 15-16 სმ (Хотелашвили/Якобсон, 1984: 196). აფხაზეთში და, საერთოდ, დასავლეთ საქართველოში, წელშეზნექილი ამფორები ფართოდაა გავრცელებული. ეს ტიპი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად ადგილობრივ კოლხურ ამფორად მოიხსენიება. ესაა მუქ წითლად და მოყავისფროდ გამომწვარი ამფორა, პატარა ბრტყელგანივკვეთიანი ყურე-

ბით, წაგრძელებული წელში შეზნექილი კორპუსით და ოდნავ მომრგვალებული კონუსური ძირით. დიდი რაოდენობითაა ეს ტიპი აღმოჩენილია ბიჭვინთაში IV-VI სს-ის ფენებში (ბერძენიშვილი, 1975: 277, ტაბ. 61, 1,2,5-7,9; 64,3-8, 4-14; რამიშვილი, 1965: 114, სურ. 7; Агрба, 1985: 36, таб. XXXI,1); ცნობილია ეს ტიპი ნოქალაქევიდან და გუდავიდან (Леквинадзе/Хведелидзе, 1981: 131, ტაბ. XLIII,1); ამფორის ეს სახეობა აღმოჩენილია ურეკში, გრიგოლეთში, ფოთში, ნოსირში, მათ თარიღს ნ. ხოშტარია ზოგადად IV-VI სს-ით განსაზღვრავს (Хоштария, 1955: 59-61); რამდენიმე მთელი ეგზემპლარი ყავისფერკეციანი წელშეზნექილი ამფორისა აღმოჩენილია ვარდციხეში, რომელიც სტრატოგრაფიული მონაცემებითა და თანმხლები მასალების მიხედვით ზოგადად IV ს. მეორე ნახევარი – VI ს-ით თარიღდება (ჯაფარიძე, 1989: 55-56). რამდენიმე არასრული ეგზემპლარი ცნობილია პატრიკეთიდან (ჯაფარიძე, 1989: 49-50), ბათუმის ციხიდან (ინაიშვილი, 1981: 126) და ქობულეთ-ფიჭვნარიდან (ჩხაიძე, 1980: 44); ციხისძირში ამ ტიპის რამდენიმე ვარიანტია წარმოდგენილი, დასტურდება ისინი პეტრაციხისძირის აკროპოლისზე და სამაროვანზე, სადაც ეს ტარა ჩველი ბაგშეების დასაკრძალავ ჭურჭლად არის გამოყენებული და IV-VI სს-ით თარიღდება (ინაიშვილი, 1981: 124-127; ინაიშვილი, 1993: 52-54, ტაბ. XXXVI, XXXVII, XXXVIII, XXXIX). 30-ზე მეტი ყავისფერკეციანი წელში გამოყვანილი ამფორა აღმოჩნდა გონიოს ციხის №2 კოშკში, რომლის პირველი სართული VI ს-ში ამფორათა საწყობად გამოიყენებოდა, ფენა სანდოდ თარიღდება იუსტინიანეს (527-565 წწ.) კონსტანტინოპოლში და ანტიოქიაში მოჭრილი 40 ნუმიანი სამი მონეტით (ლორთქიფანიძე, 2002: 168-170). განთიადის ბაზილიკის ბემის კამარასა და კონქაში აღმოჩენილ ამფორათა შორის სწორედ ეს სახეობა წარმოადგენს უმრავლესობას (Хрушкова, 1985: 30, ტაბ. VIII, 2); ცნობილია იგი ბომბორიდან (გუდაუთა) (Воронов, 1969: таб. XXIX, 12) და გიენოსიდან (ოჩამჩირე) (Кобахия/Хрушкова/Шамба, 1987: 142); კერამიკული ტარის ამ სახეობის თავისებური ვარიანტი წარმოდგენილია წებელდაში და კოდორის ხეობაში გამოვლენილ სამაროვნებსა და ნამოსახლარებზე: წებელდის ციხეზე VI-VII სს-ის ფენაში (Воронов/Гунба/Бгажба/Хрушкова, 1980: 244-247, таб.102,1); სოფ. ოღვინსკოეს მახლობლად კრემაციულ სამარხში (ბერძენიშვილი, 1959: 103-104, ტაბ. V,1); აღრახუს (სამარხი №8), აბგიძრახუს (სამარხები №12, №13, №41, №43, №44), აპიანჩას (სამარხები №20, №21, №38), აპაცარახუს (სამარხი №41) და ახაჩარახუს (სამარხი №2, №43) სამაროვანებზე (Гунба, 1978: 66-67, таб. VIII,5; XII,2; XIX,1; XX,1; XLI, 5; Трапш, 1971: 135, таб. VI,4; VII, 16; XX, 4; XXI, 2; XXII, 1; Шамба, 1970: 25-26, таб. IV,1; XV,2). ამ ამფორათა თავისებურება მდგომარეობს ამფორის პირის ძაბრისებურ და გოფირებულ გაფორმებაში, აგრეთვე წელის შეზნექილობა აქ კორპუსის უფრო ქვედა ნაწილშია გამოყვანილი, ხოლო კორპუსის ზედა ნაწილი უფრო გამობერილია. გარდა ამისა, წებელდურ წელშეზნექილ ამფორათა რამდენიმე ეგზემპლარის

ძირზე დასტურდება გამჭოლი ნახვრეტი (აბგიძრახუს №44 სამარხი, აპოცარახუს №39 სამარხი), რასაც რ. ფუთურიძე პრაქტიკული დანიშნულებით ხსნის, მისი განმარტებით: ამ ნახვრეტში და ამფორის ყურებში თოკის გაყრით უფრო გაადვილდებოდა ამფორის ზურგზე მოკიდება (ფუთურიძე, 2001: 88-87). წებელდის სამაროვნებზე აღმოჩენილ წელშეხნეკილ ამფორებს მ. თრაფში ზოგადად არაუადრეს III-IV სს-ით ათარიღებს (Трапш, 1971: 136).

კერამიკული ტარის ეს სახეობა კარგადაა წარმოდგენილი ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთში. ცნობილია ისინი ქერსონესიდან (VI-VII სს.) (Романчук, 1976: 27-28), მირმიკიონიდან (IV-VI სს.) (Якобсон, 1979: 12, тип 7), ტირიტაკიდან და ქერჩიდან (IV ს.) (Гайдукевич, 1952: 120, рис.149), ილიჩევსკის ნაქალაქარიდან (IV ს.) (Сокольский, 1966: 131, рис. 4), პანტიკაპეონიდან (IV ს.), ერთი ეგზემპლარი დაცულია კრასნოდარის მუზეუმშიც (სემიბრატნოეს სამაროვნიდან, მდ. ყუბანის მარცხენა სანაპირო) (Зеест, 1960: 121, таб.XL,103); ცნობილია ისინი ვარნიდან - IV-VI სს. (Минчев, 1972: ტაბ. I,7), რუმინეთიდან (Тomi, Histria), სკორპანის მიხედვით ტიპი XV, VI ს. (Scorpan, 1977: 281, fig. 12). დასტურდება ეს სახეობა სამხრეთ შავიზღვისპირეთში, ქ. სინოპთან, დემირსიში (სინოპიდან 15 კმ სამხრეთით), აქვე გაითხარა ახ.წ. II-IV სს-ში მოქმედი კერამიკის გამოსაწვავი ქურები (ტეზგორი, 1999: 21-22). ეს ამფორები, მართალია, ავლენენ კავშირს კოლხეთის ამფორებთან, თუმცა შეიმჩნევა განსხვავებებიც, მაგალითად არც ერთ მათგანზე არაა კოლხური ამფორებისთვის ესე დამახასიათებელი რელიეფური სპირალური ხვია, აგრეთვე არ აღინიშნება არათანაბარი გამოწვა და ა.შ. (ტეზგორი, 1999: 22).

ამფორის ეს სახეობა, ისევე როგორც სხვა ტიპები, ძირითადად, ღვინის და ზეთუნის ზეთის ტრანსპორტირებისთვის გამოიყენებოდა, თუმცა საინტერესო აღმოჩენას ჰქონდა ადგილი ტირიტაკაში, 1939 წელს. IV-V სს-ის ფენებში აღმოჩნდა მომცრო ზომის წელშეხნეკილი ამფორა, რომელიც შავი კუპრით, თუ ფისით იყო დახუფული, შიგ კი თხევადი ნავთობი ინახებოდა (Гайдукевич, 1940: 212-213, სურ. 10). ანალოგიური ნავთობის ნალექიანი წელშეხნეკილი სამი მთლიანი ამფორა აღმოჩნდა “ნატეხების” ნამოსახლარზე, ქ. ფოთის სამხრეთით, პალიასტომის ტბის მცირე ყურეში (გამყრელიძე, 2001: 26, ტაბ. II,2,3). ამ ამფორათა აღმოჩენით დასტურდება, რომ ეს ტიპი, აგრეთვე, ნავთობის ტრანსპორტირებისთვისაც გამოიყენებოდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ წელშეხნეკილი ამფორები გენეტიკურად ელინისტურ ხანაში წარმოებულ კოლხურ ყავისფერკეციან ამფორებს უკავშირდება (Путуридзе, 1977: 68-71; ფუთურიძე, 2001: 87-89; Sazanov, 1997: 90, fig. 1,11), მსგავსი ელინისტური ხანის კოლხური ყავისფერკეციანი ამფორები ცნობილია ეშერისა და ვანის ნაქალაქართა კულტურული ფენებიდან (Шамба, 1980: 25, таб.XXXIII,5; ხოშ-

ტარია, 1972: 157, ტაბ. 109,111/5-9). მათი შემდგომი განვითარების ეტაპად ბიჭვინთაში (ბერძენიშვილი, 1975: 273, ტაბ. 58), სებასტოპოლისში (Трапш, 1969: 331, таб.XLIV) და ბოლოდროინდელი გათხრების შედეგად, გონიოში აღმოჩენილი II-III სს. ყელწიბოიანი ამფორები ითვლება (ხალვაში, 2002: 14), ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისთვის კი გორგიპიის ნაქალაქარის II ს. ბოლო – III ს. დასაწყისის კულტურულ ფენებში აღმოჩენილი წელშეხნეკილი ამფორა (Кругликова, 1966: 150, рис.37,12). საინტერესოა, რომ 1998 წელს გონიო-აფსაროსის შიდა ციხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში სამეურნეო დანიშნულების უბანზე გაითხარა ყელწიბოიანი ამფორების დამამზადებელი ქურა-სახელოსნო (ხალვაში, 2002: 16). ყელწიბოიანი ამფორების შემდგომი განვითარების ეტაპს, როგორც ჩანს, IV-VI სს-ში გავრცელებული პროფილირებულიპირიანი წელშეხნეკილი ამფორები წარმოადგენენ. კერამიკული ტარის ამ სახეობის ადგილობრივ კოლხურ წარმოებაზე მათი მრავლად აღმოჩენის ფაქტი მოწმობს. ამ ამფორათა წარმოება კი, სავარაუდოდ, არა მხოლოდ აღმოსავლეთ, არამედ ჩრდილოეთ, დასავლეთ და სამხრეთ შავიზღვისპირეთშიც ხდებოდა, რასაც ამ რეგიონებში აღმოჩენილი წელშეხნეკილი ამფორების სიმრავლე და მათი მრავალფეროვნება ადასტურებს.

7. ამფორის უკანასკნელი ტიპი წარმოდგენილია მრგვალიპირიანი პატარა დერგის მაგვარი ამფორით, მოკლე ცილინდრული კორპუსით და ოდნავ შევიწროებული ბოლოთი. კეცი მოვარდისფრო-ნაცრისფერია. ყურები და კორპუსი დადარული. ამფორის სიმაღლეა 47,5 სმ, დიამეტრი – 26,5 სმ, ყელის სიმაღლე – 9 სმ. ამფორის მხრებზე წითელი საღებავით შესრულებულია წარწერა (Хотелашвили/Якобсон, 1984: 197). ანალოგიური ამფორა აღმოჩნდა განთიადის ბაზილიკის კამარაში. მსგავსი ამფორის ფრაგმენტები ცნობილია ბიჭვინთაში (ლორთქიფანიძე, 1991: 78, ტაბ. XXXVII,1), წებელდაში (Воронов, 1985: 71, სურ. 23,6,7,8; 24,1,3,8; Воронов/Бгажба, 1987: 129, სურ. 13,15), ნოქალაქევეში (Леквинадзе/Хведелидзе, 1981: 133, ტაბ. XLV,1,2) და გონიო-აფსაროსის ადრე შუა საუკუნეთა ფენებში (ხალვაში, 2002: 43-44, სურ. 34,1). ამ ტიპის ამფორები აღმოჩენილია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში: ქერსონესში, ფანაგორიასა და მირმეკიონში, IV-VI სს. ფენებში (Якобсон, 1979: 13-14, სურ. 2,6, тип9); ტირიტაკაში, IV ს., თუმცა ეს ტიპი აქ მოგვიანო VIII-IX სს-ის ფენებშიც დასტურდება (Гайдукевич, 1952: 122, 128, рис.150,1; 163); პანტიკაპეონში (IV ს.) (Зеест, 1960: 120. 98a); ტამანის ნახევარკუნძულზე, ილიჩევკის ნაქალაქარზე (IV ს.), ამ ტიპის ამფორათა არსებობას ყირიმში, ტამანის ნახევარკუნძულზე და კავკასიაში სოკოლსკი IV-VII სს-ით განსაზღვრავს, ხოლო ილიჩევკის ნაქალაქარზე აღმოჩენილ ამფორათა შორის იგი ადგილობრივ (წითელკეციან) და იმპორტულ (ღია ფერის კეცის მქონე) ნაწარმს გამოყოფს (Сокольский, 1966: 132, рис.5). ცნობილია ეს ტიპი რუმინეთში (Sacidava, Histria, Tomis.), სკორპანის მიხედვით ტიპი VIII, VI ს. (Scorpan, 1977: 277,

fig. 12; Opait, 1996: 207); Opait-ის მიხედვით ეს აღმოსავლეთ ხმელთაშუა-ზღვისპირული ამფორაა, ტიპი LRA1, რომელიც ფართოდ ვრცელდება V ს-ის ბოლოს, VI ს-ის დასაწყისში (Opait, 1996: 207, planša 7, 3-4); მსგავსი ეგზემპლარები დაცულია ვარნის მუზეუმში (Минчев, 1972: ტაბ. IV, 46); მთელი სერია მსგავსი ამფორებისა აღმოჩენილია Yassi Ada-ში (ბოდრუმთან, თურქეთი) ჩაძირულ გემზე, ეს ამფორები LRA1 ტიპის ამფორებს განეკუთვნება და გემზე აღმოჩენილი მონეტების მიხედვით თარიღდება VII ს-ის პირველი ნახევრით (Alfen, 1996: 189-213. LRA1; Bass/Doorninck, 1982: 156-157, fig. 8-1, 8-3, cargo amphoras of type 1). ანალოგიური LRA1 ტიპის ამფორა ცნობილია კართაგენიდან (Reynolds, 1995: fig. 87; Sodini Jean-Pierre, 1993: სურ. 32, LRA1), სამოსიდან, ათენის აგორიდან (V ს. ბოლო – VI ს. დასაწყისი) (Hautumm, 1981: 206-208, abb.167,168,169,171), Kourion-იდან (კვიპროსი) და რომიდან, IV ს. (Arthure, 1998: 164, fig. 5). Ballana-ს და Qustul-ის ნეკროპოლებიდან (ქვედა ნუბია) (Hautumm, 1981: 208, abb.174), Bnghazi-დან (ლიბია) და დარდანელიდან (Peacock/Williams, 1986: 185, fig. 104. class 44). LRA1 ტიპის ამფორები აქტიურად იყო მიმოქცევაში IV-VII სს-ში. დასტურდება ეს ტიპი სამხრეთ საფრანგეთის არაერთ ძეგლზე (Marseille, Collioure, Port-Vendres, Tautavel, Pataran, Colian, Venéjan, Saint-Blaise, Toulon, Hyères, Fréjus, Antibes, V-VII სს.) (Bonifay/Villedieu, 1989: 25, fig. 5, 1, 2). ამ ტიპის ეგზემპლარები ირლანდიაშიც კია ნაპოვნი (Arthure, 1998: 164, fig. 5).

LRA1 ტიპის ამფორები ძირითადად ღვინის და ზეთუნის ზეთის გადასატანად გამოიყენებოდა, ზოგიერთი მათგანის შიდა პირი კუპრის თუ ფისის ფენით იყო დაფარული (Alfen, 1996: 208). ამ ტიპის ამფორათა წარმომავლობა ანტიოქიის რეგიონს უკავშირდება. Alexandretta-ს ყურეში (დღ. Iskanderum) და კილიკიის სანაპიროზე აღმოჩენილია LRA1 ტიპის ამფორათა გამოსაწვაე ქურები. მათი წარმოება კვიპროსზე, როდოსსზე და სამოსზეც ხდებოდა, მხოლოდ ირანელთა აქტიური თავდასხმების შემდეგ (611-15 წწ.), მათი წარმოება განახევრდა, ან სულაც შეწყდა (Alfen, 1996: 210).

LRA1 და LRA2 ტიპის ამფორებზე ხშირია გრაფიტოების და დიპინტების დატანა, წარწერა ჩვეულებრივ ბერძნულ ენაზეა შესრულებული, თუმცა აშლოდიდან ცნობილ ეგზემპლარზე წარწერა არამეულ თუ ებრაულ ენაზეა შესრულებული. ეს წარწერები ჩვეულებრივ ამფორის შემადგენლობას, წონას და მფლობელის ვინაობას აღნიშნავდა (Alfen, 1996: 201-202 იქვე ლიტერატურა). ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება დრანდის ეგზემპლარზე წითელი საღებავით დატანილი წარწერის შინაარსი.

ამრიგად, დრანდის ტაძარში გამოვლენილი ამფორები იმდროინდელ ხმელთაშუა და შავიზღვისპირეთში საკმაოდ გავრცელებულ კერამიკულ ტარას წარმოადგენდა, მათი ქრონოლოგიური ჩარჩო IV-VII სს-ებს შორის თავსდება. ზოგიერთი მათგანის წარმოება კი უფრო მოგვიანო ხანაში, VIII ს-შიც ხდებოდა (დრანდა 4, LRA5/6; დრანდა 5, LRA4; დრანდა 7,

LRA1); გამოვლენილი ამფორების შუქზე კარგად ვლინდება ის სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები, რომელიც დასავლეთ საქართველოს, ხმელთაშუა და შავიზღვისპირეთის სახელმწიფოებს შორის უნდა არსებულებოდა აღნიშნულ პერიოდში.

საინტერესოა, რომ დრანდა VI ს. და შემდეგ საუკუნეთა ამსახველ წერილობით წყაროებში, მათ შორის არც VII-IX სს-ით დათარიღებულ Notitia episcopatum-ში არ მოიხსენიება. თავის დროზე ამის ახსნა სცადა ი. ვორონოვმა, იგი დრანდის ტაძარს სებასტოპოლისის არქიეპისკოპოსთა კათედრად მიიხსენივდა (Воронов/Бгажба, 1985: 97). მისი ეს მოსაზრება მოგვიანებით გაიზიარა ვ. ლეკვინაძემ (Леквинадзе, 1975: 212-213). მაგრამ ეს მოსაზრება ალბათ ნაკლებ დამაჯერებლად გამოიყურება დღეს, როცა სოხუმში უკვე გათხრილია VI საუკუნის ეკლესია, რომელიც, სავარაუდოდ, სწორედ სებასტოპოლისის ეპისკოპოსთა კათედრას წარმოადგენდა.

ლიტერატურა

- ბაგრატიონი ვ., საქართველოს გეოგრაფია. თბ., 1997.
- ბერძენიშვილი ქ., წებულის გვიანანტიკური ხანის კერამიკა. მსკა, №2, თბ., 1959.
- ბერძენიშვილი ქ., ბიჭვინთის წითელლაკიანი თიხის ჭურჭლის შესწავლისათვის. მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, №3, თბ., 1963.
- ბერძენიშვილი ქ., ფუთურიძე რ., ბიჭვინთაში მოპოვებული ამფორები. კატალოგი. დიდი პიტუნტი, ტ. I, თბ., 1975.
- გამყრელიძე გ., ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ ფასის-ფოთში (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). – ანტიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები. თბ., 2001.
- თუმანიშვილი დ., აფხაზეთის ქრისტიანული ტაძრები. "ჯვარი ვახისა", 1995. №1.
- ინაიშვილი ნ., ციხისძირის ახ.წ. I-IV სს. არქეოლოგიური ძეგლები. – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XXI, თბ., 1993.
- ინაიშვილი ნ., ადრე შუა საუკუნეების კერამიკა პეტრა-ციხისძირიდან. სდსძ, X, თბ., 1981.
- ლორთქიფანიძე გ., ბიჭვინთის ნაქალაქარი. თბ., 1991.
- ლორთქიფანიძე გ., ნონეშვილი აღ., გონიო-აფსაროსის კასტელის №2 კოშკის გათხრების ძირითადი შედეგები. – გონიო-აფსაროსი, III, თბ., 2002.
- რამიშვილი რ., არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში (III უბნის 1958 წლის გათხრის წინასწარი ანგარიში). მსკა. №4, თბ., 1965.
- ტეზგორი დ. კ., სინოპი და ვაჭრობა მისი ამფორებით. – ვაჭრობა

შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პესპექტივა. შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის IX საერთაშორისო სიმპოზიუმი. ვანი. 1999 წლის 20-23 სექტემბერი. ძიებანი. დამატებანი. I. თბ., 1999.

ფუთურიძე რ., გვიანანტიკური – ადრე შუა საუკუნეების წებელდური ამფორები. – ანტიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები. თბ., 2001.

დამბაშიძე ო., ბიჭვინტის VII თხრილში 1956-57 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების წინასწარი ანგარიში. მსკა, ტ. III, 1963.

დამბაშიძე ო., ბიჭვინტის ციხე-ქალაქის მეოთხე კოშკის გათხრის შედეგები. დიდი პიტიუნტი, ტ. II, თბ., 1977.

ჩუბინაშვილი გ., ქართული ხელოვნების ისტორია. ტ. 1. ტფ., 1936.

ჩხაიძე ლ., ფიჭვნარის ადრეფეოდალური ხანის არქეოლოგიური მასალები, სდსძ, IX, თბ., 1980.

ცინცაძე ვ., დრანდა. – ძველის მეგობარი, თბ., 1979. №50.

ხალვაში მ., კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან. გონიო-აფსაროსი, II, ბათუმი, 2002.

ხოშტარია ნ., ლორთქიფანიძე ო., ფუთურიძე რ., ლეკუავა გ., არქეოლოგიური გათხრები ვანში 1966 წელს. კრ.: ვანი I, თბ., 1972.

ჯაფარიძე ვ. მ., ვარდციხის ნაქალაქი. თბ., 1989.

Агрба З., Археологические раскопки 1981 г. на территории мыса Пицунда. – Археологические открытия в Абхазии 1981-1982 гг. Тб., 1985.

Бакрадзе Д., Кавказ в древних памятниках христианства. «Записки общества любителей кавказской археологии», Тифлис, 1875.

Воронов Ю., Археологическая карта Абхазии. Сухуми, 1969.

Воронов Ю., В мире архитектурных памятников Абхазии. М., 1978.

Воронов Ю. Н., Диоскуриада-Себастополь-Цхум. М., 1980.

Воронов Ю. Н., Бгажба О. Х., Материалы по археологии Цебельды. Тб., 1985.

Воронов Ю., Бгажба О., Крепость Цибилуим - один из узлов кавказского лимеса юстининовской эпохи. ВВ, т. 48, 1987.

Воронов Ю., Гунба М., Бгажба О., Хрушкова Л., Итоги работ Цебельдинской археологической экспедиции. ПАИ в 1977 г. Тб., 1980.

Высоцкий А., Раннесредневековая архитектура стран Закавказья и античная традиция. Сб.: Античность и античная традиция в культуре и искусстве народов Советского Востока. М., 1978.

Гайдукевич В., Раскопки Мирмекия и Тиритаки, археологические разведки на Керченском полуострове в 1937-39 гг. ВДИ, 3-4, 1940.

Гайдукевич В., Раскопки Тиритаки в 1935-1940 гг. МИА, №25, 1952.

Гунба М., Новые памятники Цебельдинской культуры. Тб., 1978.

Зеест И., Керамическая тара Боспора. МИА, №83, 1960.

Кобахия Б., Хрушкова Л., Шамба С., Новая раннехристианская церковь на

городище Гюенос. ВДИ. 1987, №1.

Кругликова И., Боспор в позднеантичное время. М., 1966.

Леквинадзе В., О Драндском храме. Кавказ и Византия. Вып. 6, Ереван, 1988.

Леквинадзе В., Богатое погребение конца IV века из Уреки. СА, 1975, 4.

Леквинадзе В., Хведелидзе Л., Массовые археологические находки из раскопок Археополиса. ნოქალაქევი-არქეოპოლისი, არქეოლოგიური გათხრები 1973-1977, თბ. 1981.

Меписашвили Р., Дранда. IV международный симпозиум по грузинскому искусству. Тб., 1983.

Минчев А., Амфоры от IV-VI в. във Варненския музей. Известия на народния музей Варна, т. VIII, (XXIII), 1972.

Пачулия В., Новый Афон. Тб., 1964.

Путуридзе Р., Колхидские амфоры из Вани. Краткие сообщения. Античные памятники Колхиды и Иберии. 151, М, 1977.

Рчеулишвили Л., Некоторые аспекты грузинской архитектуры черноморского побережья. Сб.: Средневековое искусство. Русь. Грузия. М., 1978.

Романчук А. И., Херсонес VI в. – первой половины IX в. Свердловск, 1976.

Сокольский Н.И., Иличевское городище. СА, 4, 1966.

Трапш М., Древний Сухуми. Труды. Т. 2, Сух., 1969.

Трапш М., Культура цебельдинских некрополей. Труды. Т. 3. Тб., 1971.

Хотелашвили М., Якобсон А. Л., Византийский храм в с. Дранда (Абхазия). ВВ. т. 45. 1984.

Хоштария Н., Археологическое исследование Уреки. მსკა, გ. 1, 1955.

Хрушкова Л., Цандрипш. Материалы по раннехристианскому строительству в Абхазии. Сухуми, 1985.

Шамба Г., Ахаччарху – древний могильник нагорной Абхазии. Сухуми, 1970.

Шамба Г. К., Эшерское городище. Тб., 1980.

Якобсон А. Л., Керамика и керамическое производство средневековой Таврики. Л., 1979.

Якобсон А. Л., Средневековые амфоры Северного Причерноморья. СА, XV, 1951.

Abadie-Reynal C., Les amphores Romaines en Mer Noire (I-IV s.). Production et commerce des amphores anciennes en Mer Noire, 1999.

Alfen P. G., New light on the 7th-c. Yassi Ada shipwreck: capacities and standard size of LRA1 amphoras. Jour. Rom. Arch. v.9, 1996.

Arthure P., Eastern Mediterranean amphorae between 500 and 700: a view from Italy. Ceramica in Italia: VI-VII secolo. 1998.

Barnea I., L'incendie de la cité de Dinogetia au VIe siècle. Dacia, X, 1966.

Bass G. F. and Doorninck F.H. Jr., Yassi Ada, Volume 1: A seventh-century Byzantine shipwreck. College Station 1982.

Bonifay M. et Villedieu F., Importations d'amphores orientales en Gaule (V-VII siècle). Recherches sur la céramique byzantine. Actes du colloque organisé par l'école

française d'Athènes et l'université de Strasbourg II. Athènes, 1989.

Empereur Jean-Yves et Picon Maurice, Les régions de production d'amphores impériales. Amphores romaines et histoire économique : dix ans de recherche. Collection de l'école Française de Rome, 114, 1989.

Hautumm W., Studien zu Amphoren der spätrömischen und frühbyzantinischen Zeit. Bonn 1981.

Jonson B. I., Syro-Palestinian Bag-shaped Amphoras in the Athenian Agora and Corinth Collections. Bulletin de Correspondance Hellénique, Supplément XIII, 1986.

Keay S. J., Late Roman Amphorae in the Western Mediterranean. A typology and economic study: the Catalan evidence. Part (i), BAR International Series 196(i), 1984.

Magness J., Jerusalem Ceramic Chronology. Circa 200-800 ce. Sheffield Acad. Press 1993.

Majcherek G., Gazan Amphorae : Typology Reconsidered. « Hellenistic and Roman Pottery in the Eastern Mediterranean – Advance in Scientific Studies ». Acts of the II Nieborów Pottery Workshop, Waesaw 1995.

Mepisaschvili R., Zinzadse W., Die Kunst des alten Georgien, Leipzig, 1977.

Neubauer E., Abchasische Architektur im Spannungsfeld zwischen Georgien und Byzanz (6. bis 11. Jahrhundert). Byzantinischer Kunstexport, Halle, 1978.

Opaiț A., Aspecte ale vieții economice din Provincia Scythia (secolele IV-VI p.Ch.). Producția ceramicii locale și de import. Institutul Român de Tracologie Biblioteca Thracologica XVI, București 1996.

Peacock D. P. S., and Williams D. F., Amphorae and the Roman economy, an introductory guide. London and New York 1986.

Pieri D., Les importations d'amphores orientales en Gaule méridionale durant l'antiquité tardive et le haut-moyen âge (IVe – VIIe siècles après J.-C.). Typologie, chronologie et contenu. Société Française d'Étude de la Céramique Antique en Gaule (SFECAG), Actes du Congrès d'Istres, 1998.

Reynolds P., Trade in the Western Mediterranean, AD 400-700: The ceramic evidence. BAR International Series 604, 1995.

Riley J. A., Coarse Pottery. Excavation at Sidi Khrebish Benghazi (Berenice). Supplements to Libya Antiqua – V – Vol. II, Tripoli 1979.

Sazanov A., les amphores de l'antiquité tardive et du moyen âge: continuité ou rupture ? le cas de la Mer Noire. La céramique médiévale en Méditerranée. Actes du VIe congrès de l'AIECM2. Aix-en-Provence, 1997.

Sciallano M. et Sibella P., Amphores. Comment les identifier ? Edisud 1991.

Scorpan C., Contribution à la connaissance de certains types céramiques romano-byzantine (IV-VIIe siècle) dans l'espace Istro-Pontique. Dacia, XXI, 1977.

Sodini Jean-Pierre, La contribution de l'archéologie à la connaissance du monde byzantin (IVe – VIIe siècles). Dumbarton Oaks Papers, 47, 1993.

Tezgör D. K., Types amphoriques fabriqués à demirci près de Sinope. Production et commerce des amphores anciennes en Mer Noire, 1999.

I. Berdzenishvili (Tbilisi)

Towards dating the Dranda Church according to the archaeological data

The Dranda church is located in the vill. of Dranda at the distance of 18 km to the south-east from Sokhumi, at the raised plateau on the right bank of the Kodori River.

In the Medieval Ages Dranda was an Episcopal residence. Vakhushti Bagrationi, the Georgian geographer of the 18th century, in his "Description of Georgian Kingdom" says: "There is the Dranda church in the mountain on the river Kodori: domed wonderful and greatly built. There sits a bishop, a pastor of the place between Kodori and Anaphia. These two bishops do not exist in Abkhazia now" (Bagrationi, 1997: 170).

The monument underwent continuous damage, especially in XVII-XVIII centuries during the active invasions of the Turks in the region. The temple lost its initial appearance after it was restored for several times in XIX cent. The monument was damaged in 1877-78 once more due to the fire during the Russian-Turkish war that destroyed the murals of the church as well (Воронов, 1978: 108-109; Пачулия, 1964: 44-47). These murals those supposedly belonged to the thirteenth and fourteenth centuries were observed and described by S. Sablin in 1846 and D. Bakradze later on in 1860 (Бакрадзе, 1875: 65-66). The thorough overhaul of the monument was completed in 1880-83 when the monks from New Athos founded a monastery there that functioned until 1921. In 1900 the dome of the church was altered into the Russian style. In 1978 the restoration works (guided by V. Tsintsadze) were carried out in Dranda the main purpose of which was the reconstruction of the original look of the monument.

The monument is a cross-domed structure. The core of the construction is a dome and its retaining walls. The dimensions of the exterior are: from the north to the south – 19.5m, from the west to the east including the apse and the narthex – 27.3m. Brick is the basic construction material. The peripheries and some other walls are built using the alteration of the brick and cobblestone masonries (Tsintsadze, 1979: 38).

Low proportions of the temple are of particular interest. G. Chubinashvili supposes the Dranda church to be one of the variations of the Cross Monastery in Mtskheta where the understanding of Georgian art is mixtured with the elements of Byzantine character. The similar character is reflected in the material as well: cobble stone and brick lines (Chubinashvili, 1936: 143). The same idea was shared by L. Rcheulishvili (Рчеулишвили, 1978: 27). Though there is a supposition about the pure Byzantine ori-

gin of the Dranda church (Леквинадзе, 1988: 201-216; Хотелашвили/Якобсон, 1984: 200-206).

First considering the political situation of that period, namely the interests of Byzantium in the mentioned region and the construction specificities the Dranda church could be under active influence of Byzantine arts and it really can be included among the Empire monuments. At the same time its resemblance and closeness to the Cross Monastery in Mtskheta is definite.

An interesting find was made in Dranda during this restoring works. The room between the foundation of the dome trunk and the deaf dome was full of approx. 30 intact amphorae. This method is traditional for Roman-Byzantine architecture and was basically used for lightening of the vault construction. Utilization of this method proves the contemporaneousness of the discovered amphoras and the temple; consequently the definition of the amphoras and their correct analysis are assisting factors to the matter of exact dating of the monument. Twenty-four of the discovered amphoras are curated in the Abkhazian Museum. The rest is left intact in the place of discovery (Хотелашвили/Якобсон, 1984: 193). The similar methods are used in the structure of the vault of bema and conch of the basilica of VI c. in the vill. of Gantiadi. Seven types of amphoras are represented in Dranda the discussion of what we shall try below.

1. The cone-shaped long-necked amphora with an oval handle and a grooved corpus. Only the upper part of the corpus is survived that is 43.5 cm in height; the height of the neck is 8.5cm; the diameter of the rim is 7cm. The fabric is reddish – straw-colored with rare white inclusions (Хотелашвили/Якобсон, 1984: 193). The amphoras of the similar type are discovered in Bichvinta town remains in fifth- and sixth-century layers (Ghambashidze, 1977: 128,131, plate 185; Ghambashidze, 1963: 91); In the northern Black Sea littoral the similar amphoras are known from Chersonesos and Tamani peninsular those belong to the first type according to the Jakobson's classification (V-VI cent.) (Якобсон, 1979: plate 1,1; Якобсон, 1951: 327, plate 1,1); This type is known in the western Black Sea littoral, Rumania (Tomi, Sacidava, Dinogetia). After Scorpan the seventeenth type is dated by the fifth and sixth centuries (Scorpan, 1977: 283, fig. 2). Several copies of the similar amphora are curated in the Synopean Museum (IV cent.) (Tezgör, 1999: 9). According to Opaït this type (conical amphora of Seleucia in Pieria type) discovered in Topraichioi is of Syrian origin and well-presented in the lower reaches of the Dunai River at the end of the fourth and in the first half of the fifth centuries (Opaït, 1996: 210, planşa 11,1). There is a different supposition about the Egyptian origin of this type of amphora (LRA¹⁷) the utilization of what ranged between the end of the fourth and the beginning of the seventh centuries (Sciallano/Sibella, 1991).

2. The spindle-shaped amphora with conical, base-narrowed body and a foot with a hollow inside. The body is all grooved. The amphora is thin-walled. The fabric

¹ Late Roman Amphore.

is reddish-brown, pure seclued, with minor insertions of mica. The flat handles are closely affixed to the neck. The height of the amphora is 56.5 cm, the diameter of the rim is 3.5 cm, the greatest diameter of the body is 20.5 cm (Хотелашвили/Якобсон, 1984: 194).

The fragments of the base and the rim of the analogous amphora (50 p.) are found in fourth- and fifth-century layers on Pitiunt town remains (Berdzenishvili, 1975: 275, plate 62, 63, 64); this type is known from Nokalakevi and Gudava. Based on Gaydukevich's suggestions V. Lekvinadze supposes them to be the production from Samos and dates them by the 4th and 5th centuries (Леквинадзе/Хведелидзе, 1981: 133, fig. XLII,3,4); This kind of the amphoras is also identified in the early-Medieval layers of Gonio-Apsaros (Khalvashi, 2002: 48-51, plate 34, 5).

The similar amphoras dated by the 4th century are found in the Crimea and Olbya (Abadie-Reynal, 1999: fig. 18), almost on the whole territory of Bosphorus: in Tiritaka (IV c.) (Гайдукевич, 1952: 96, рис.114,1,2,3), Panticaræum and Phanagoria (III-IV c.c.), Hermonassa (IV cent.), Inkerman on the Chergunski cemetery and Chersonesus (Зеест, 1960: 118-119, таб. XXXVIII,95). Gadiukevich supposed the amphoras of this type to be the production from Samos (Гайдукевич, 1952: 96). They are also found in Rumania (Sacidava, Dinogetia, in fifth- and sixth-century layers) (Barnea, 1966: 244, fig. 8,2; 250, fig. 12,1; Sciallano/Sibella, 1999: 272, fig. 7.5.6. Type V); on Athenian Agora (the end of the sixth century) (Sciallano/Sibella, 1991: Late Roman Amphore 3); in Carthage (Sciallano/Sibella, 1991: fig. 87); Caesarea and Berenice (Berghazi, Libya) (Riley, 1979: 229). These amphoras are identified on numerous sites in France (Marseille, Collioure, Port-Vendres, Lunel, Aigues-Vives, Venéjan, Saint-Blaise, Toulon, Hyères, Methamis, Mandelieu, Saint-Laurent-d'Aigouse, Nimes, Saint-Bonnet-du-Gard), those represent the imported goods from the East and are dated by the 4th and 6th centuries (Bonifay/Villedieu, 1989: 27, fig. 7).

According to Reynold and Pieri's classification the mentioned amphora represent the type LRA3 (Sciallano/Sibella, 1995: fig. 87; Pieri, 1998: 100, fig. 4); based on Peacock and Williams' classification it combines class 52 and is dated by the end of the fourth and 7th centuries (Peacock/Williams, 1989: 204, fig. 122). After Keay this is LIV type (Keay, 1984: 286-289, fig. 124). This kind of Amphoras already appears in the 1st century but it is only one-handled. From the 4th century it obtains the second handle and this type continues its existence with this very appearance until the end of the 6th century (Sciallano/Sibella, 1991; Riley, 1979: 229). Keay suggests that this kind of amphoras was used in the western Mediterranean littoral until the end of the 6th century but in the eastern Mediterranean littoral it should be in use even in the first half of the 7th century that is proved by the identification of a base fragment of an amphora of this type in Yassi Ada. But the shipwreck in Yassi Ada is dated by the later period than 625-626 (Keay, 1984: 289). The double-handled modification of this type of amphoras first appears in Agora and Caesaraea at the beginning of the 4th century. The copies found in Carthage are dated by the end of the 4th century (Keay, 1984: 286-28). Their production

centre is related to the eastern Mediterranean littoral (Sciallano/Sibella, 1991), namely to western Turkey, Ephesus and the adjacent regions of Sardis (Arthure, 1998: 165).

3. The amphora with a rod foot, a low and wide neck and an ovate-convex body that is visibly widened at the lower part of it. The body is all grooved. The height of the amphora is 60 cm, the diameter of the rim is 10cm, the greatest diameter of the body is 24.5 cm (Хотелашвили/Якобсон, 1984: 194).

Based on the publication that we use in the descriptive part of the amphoras (as we are lacking in observing these amphoras ourselves due to the known reasons) and according to the photograph representing the one-handed amphora we should suppose the amphora to be one-handed. As a one-handed amphora it resembles the earlier one-handed kind of LRA3 that was in circulation from the 1st until the 4th centuries. From the 4th century onwards it obtains the second handle. The one-handed copies dated by the fourth century are known from Olbya, Tanais, Slaveni, Tomis (Abadie-Reynal, 1999: 263, fig. 18), Noviodunum and Beroe (Опаїт, 1996: planşa 9,2,3). Their provenance is related to the eastern Mediterranean littoral (Sciallano/Sibella, 1991).

But if we consider this type as a double-handed amphora then the similar type is known from the Crimea (Tiritaka) that is supposed by Gaidukevich to be the production from Samos and dated by the fourth and fifth centuries (Гайдукевич, 1952: 96, рис. 114,3). According to Jacobson's classification it is type 6 (IV-V cent.) (Якобсон, 1979: 11-12, Fig. 2,2) and are known from Varna, IV-VI cent. (Минчев, 1972: Taf. I,6), after Scorpany it is type 7 (in Rumania: Medgidia, Cernavodă and Tomi, IV c.) (Scorpan, 1977: 272, fig. 6).

In Nokalakevi, the first archaeological research has been conducted in 1931 in collaboration with A. M. Schneider, German archaeologist. Then, since 1973, Janashia Museum expedition, headed by Parmen Zakharaia, was working on the whole Nokalakevi's area. The first step, until 1980, was the preparation of the territory for excavation. Indeed till that moment whole area was inhabited, houses, silk factory, hospital were present. Afterwards, between 1980-1990, the expedition was regularly active. One can refer to the four volumes of Nokalakevi series, written under Parmen Zakharaia's direction (Zakharaia, 1981, 7, 1991, 3,) with the participation of many archaeologists and some other articles and dissertation (Lomitashvili, 2003). The settlement, named „Tsikhegodji" (the castle of Godji or Kudji) or „Archaeopolis" has mainly revealed important monuments of the byzantine time (IV-VIII AD): the strong fortification system showing three phases of construction, six churches, the first one, single nave, dated of the IV century and other buildings interpreted as royal palace, two other buildings, two baths and one tunnel leading from the lower terrace to the river Tekhuri. The main constructing stage is the V-VI centuries A. D. The entire territory of the inner city enclosed in the wall is around 20 hectares; it includes the low town with the main buildings and the hill where two churches, towers and citadel have been set up.

Ground burials and pots burials of the Hellenistic period were also unearthed in different places of the settlement (Gvinchidze 1981, 1988, Zamtaradze 1987). The man-

vest have been found on the territory of the low town, where 24 tombs were discovered. The necropolis is dated of the Pre-Hellenistic – Hellenistic periods, to the V, middle of III or the II centuries B. C.

During the 1983-1986's expeditions, some trenches were excavated between the eastern walls (part VII) on a small surface (30 m²) and the stratigraphy has been described (Lomitashvili, 1993). According to D. Lomitashvili, under the Byzantine occupation, older remains were identified. Layers of the III-I, IV-III, VI and earlier layers of the VIII-VII centuries B.C. were brought to light.

In Vani, one can refer to the numerous rich and valuable publications and many scholars who have given their contributions to the study of this important settlement. Their texts have been published in different editions, in particular the eight volumes of the Vani's series (Lordkipanidze 1969, 1976, etc) the one of Vani's symposium (Lordkipanidze and Levêque, 1996) and different monographs and articles (Lordkipanidze 1991). The archaeological settlement of Vani is set up on a naturally well-defended hill, flanked of deep ravines, looking on to the Rioni plain, the river Phasis in Antiquity. The archaeological vestiges are widespread on three wide terraces rising in tiers on the mount. Important investigations were led between 1947 till nowadays first under the direction of Nino Khoshtaria then Otar Lorkipanidze and finally Darejan Kacharava.

The four main stages of the long history of the settlement were defined by O. Lordkipanidze (Lordkipanidze 19 Vani II?) on the basis on a complex analyse of the different monuments. During the first phase, since VIII to VII centuries BC, the city was a major cult center for the region, a sacrificial area has been unearthed associated with pottery and zoomorphic clay figurines. Then, between the end of the VII or beginning of the VI till the middle of the IV centuries, Vani was the capital of one of the key political-administrative units in the kingdom of Colchis, eventually an equivalent of a „skeptoukhia". Graves with rich contents show an highly elaborated local crafts industry of different metals, such as gold, silver, bronze, and also pottery. Greek imports, especially tableware are well represented testifying contacts with the Greek world through the colonies set up on the Eastern Black Sea littoral. A social differentiation is evident and assumes that personalities of the local nobleness were buried here. The third phase begins around 350 B. C. and lasts till 250 B. C. Parallel with Colchian kingdom's weakening, influences from the Iberian state are visible. The form of the graves change for burial in large „pithoi" and their spatial repartition is different. They are also distributed on the upper terrace where cult monuments were present on the previous phases. This period seems to be more troubled. During the last phase, between the middle of the III and mid I centuries, when Vani has been destroyed, the city is considered as a temple city. It is surrounded by a strong ramparts system with towers and fortified doors, mainly temples and sanctuaries were built inside.

The institutional framework of our research is an international joint project SCOPES – Swiss National Foundation for Science. It is going on here, in Sakartvelo, since 2006 (Masserey 2005). It links Georgian, French and Swiss searchers of the National Museum of Georgia, the Institute of Marine Geology, the Centre of National Scientific Research (CNRS) in France and the Bern and Lausanne Universities in Switzerland. The project includes also the participation of Georgian and Swiss students.

The **research topic** focused on the two settlements in Western Georgia combines various approaches, which bring together archaeological and environmental – geological and palaeobotanical / botanical – subjects. It has been built in collaboration with our Georgian colleagues, Dr. D. Kajarava and her team, Dr. D. Lomitashvili and his team, Dr. M. Bokeria (botany and palaeobotany) and Dr. G. Jaoshvili (geology), who I thank here for their administrative and scientific support. The general outlines of the research are the identification of the different occupations in the 1st millennium BC and eventually earlier, in the field, their description, and the restitution of a picture of the ancient landscape and of the use of plants.

In this paper some results obtained during the 2006 and 2007 campaigns will be presented.

The archaeological fieldwork has consisted in digging reconnaissance trenches, made with the aim of recognising the stratigraphical sequence. Observations have also been done in the nearer vicinity of the archaeological settlements. That way the various studies have been fed by the collect of new data.

2. Method

The archaeological digging has been done by hand, mostly with the collaboration of local experimented workers under the direction of the archaeologists and with the participation of Swiss and Georgian students. The method of excavation follows as close as possible the principles defined by University of Lausanne and regularly used in protohistorical and historical archaeological investigations and is also based on Harris matrix (Harris 1989).

In the trenches, the strategy is mixed and adapted to the situation. The ground has been dug in trying to follow the sedimentary differences and so the stratigraphic sequence. But, the differentiation of the sediments is not always so good and also the rather important thickness of the layers leads to proceed by artificial and horizontal spits. The system of unities of excavation – „unité de fouille" in French, abbreviation: UF– is applied to record the different anthropic or sedimentary features encountered (features is here used as neutral term to identify more or less discrete manifestation of human activity or some particularity in sedimentary differences) or simply the different stripping ("décapage" in French). These unities are numbered in continuous and accurately localized in the three dimensions. The retrieval finds of each sort are collected by unity of ex-

cavation. During excavation process, soil sampling has also been done for two kinds of analyses. The sedimentary's one, to base the geological study, and the paleobotanical's one to gather the carbonized seeds (macrorestes) by sieving.

Each step of the work is recorded and documented by description, different kind of drawings (plan, section, level, etc.), photography. All information collected concerning anthropic or sedimentary features as well as any samples or gathered archaeological objects, is transfer to special forms. The main one is the unity of excavation form (UF form).

3. Results

The archaeological expedition has been managed in Nokalakevi and Vani, two important settlements in West Georgia, both localized in the fringe of Rioni plain, the first in the north, and second in the south. In preamble, it has to be told that most of the studies are in progress, in particular those of the archaeological finds, specially the pottery.

Vani

In August 2007, a trench was dug on the middle terrace of Vani settlement, in the vicinity of the fortification wall of the III – Ist centuries BC. The excavation is localized in an ancient channel partially already excavated. Three meters has been excavated in the little trench and examination of the stratigraphy shows two mains archaeological layers as well as some features have been unearthed. The first layer has been identified 0.40m below the actual surface. Dug from this level, a little pit 1m wide has been identified. The second occupation layer, just reached, is 3m deep. According of the archaeological material it is well dated of the IV century B.C. The archaeological finds consist mostly in pottery shreds, quite good quantity of animal bones and one little golden bead. This trench will be deepened in 2008.

Nokalakevi

Two expeditions have been done in Nokalakevi, in September – October 2006 and in July – August 2007. Four trenches have been opened on the lower terrace in the eastern part of the settlement and out of the walls of the Byzantine city. The choice of their location has been dictated by the problematics of the settlement. One aim of these investigations is to recognise the presence of the archaeological layers of the first millennium BC and to evaluate their spatial extension. Actually, some information seem to indicate potential extension of the ancient archaeological layers in the eastern area: the Hellenistic necropolis unearthed in the years 80' was largely localized there. According to D. Lomitashvili, isolated archaeological objects were discovered in the ground of inhabitants' territory in the actual village of Nokalakevi. On the contrary, the situation inside the byzantine city looks less favourable due to several constructions in late Roman period (between IV and VI centuries AD) and also as a result of the XX century installations, important levelling and reconstruction of this area as historical promenade.

The results obtained in the four trenches show different pictures to each another.

According to archaeological and geological first observations, **trench 1** is the most interesting. It is exactly localized in the space between the two eastern walls of the Byzantine city, just besides the area already excavated in part VII, by the team of N. Zakharaiia and D. Lomitashvili in the years 1983 – 85. The two stratigraphies presented at this time (Lomitashvili 1993, p 150, 152) show 9 different layers, from up to down: rubbish; with tiles; limed; stony; Hellenistic (IV or V – IIIrd centuries), in relation with a building (Lomitashvili 1993, plan p. 149) in a more southern part, which has burnt; half sterile; Colchidian epoch; with charcoal, ceramic, figurines; virgin soil. Under the half sterile layer, for D. Lomitashvili, the absence of import pottery and the morphology of the ceramic found permit to date the layer of the VI – V and the presence of pieces of zoomorphic figurines, by analogy with Vani, to the VIII-VII centuries BC.

Trench 1 is 5.70m long on 2m wide and reaches the depth of 3.10m. Under a thick layer of backfill difficult to date (could be Byzantine or recently reworked and altered sediments) containing quite good quantity of ancient pottery, the „in situ" layers appear at the depth of around 1.30m.

On the west section, the building level of the west Byzantine wall is well observed while the base of the second wall at the east, is not yet reached. Under the stones block composing the main part of the wall, the foundations are constituted by mixed mortar and stones and, underneath two other different thin layers of mortar (c 4-11, 5-12). These layers can be undoubtedly attributed to the Byzantine period but without any more precise date at the moment.

Underneath, an occupation interface constituted by a compact layer of little pebbles mixed with archaeological material can be observed.

The underlying layer 0.5m thick is composed by brown silt with inclusions of small pieces of pottery and stones. At its bottom, on the north section, the digging boundaries of a pit are observed. This pit is 2.20m large and contains great quantity of ceramic shreds and little charcoal.

The pit is dug in and recuts a layer 0.40m thick of mixed grey silt and clay nearly devoid of archaeological finds. At its base, a very compact layer of little pebbles and stones containing few archaeological finds forms the last observed occupation interface. Connected with this layer a posthole has been identified at the east tip of the trench. Built with some stones organised in circle it shows at its base a broken millstone.

Underneath, mixed clay, silt and little pebbles, probably of alluvial origin compose the last layer reached.

Pottery shreds and ceramic building material constitute the main part of the retrieved material. Rare are the fragments of bones and more rare little shapeless pieces of bronze.

The question of these different layers dating is open. According to the first impression during fieldwork and based on a first and superficial estimation of the pottery, Hellenistic, Early Antiquity and VIII-VII centuries B. C. periods are well represented. Artefacts more ancient might be also present. The more detailed analysis of the spatial repartition of the different artefacts will probably lead to a refinement of the understanding of the different phases of occupation.

The trench 4, 1.80m by 1.60m for a depth of 2.30m, has been dug not far from the foot of the third Byzantine wall, some 10m at the east of to the previous trench 1. It shows quite a different situation.

Under a modern backfilling of 0.70m, two different backfills of about 0.60m and 0.30m are observed. Constituted by mixed silt and clay they contain stones and few archaeological material, mostly ceramic building material, and sometimes mortar and little charcoal.

From the bottom of the last backfilling and in the west section a long pit filled with compact mixed clay and silt and numerous pebbles is located. It occupies the complete length of the trench and only a width of 0.40m is observed at its summit. The structure continues in the west direction.

Deeper, in the south part of the trench and in the south section too, the remains of a little fireplace can be observed. The ground is reddish and few particles of charcoal are present.

At the moment, few elements can give dating indication for these different structures. It must also be mentioned that few archaeological material is found in this trench. The stratigraphical correlation study will guide the interpretations.

The trench 2 (2m on 3.50m, deep 3.60m) is dug in the north east of the area about some 25m from the last eastern wall.

Under a modern backfilling, an alignment of one level stones, lying in flat position, has been discovered. This structure is interpreted as the basement of a wall, which dating is still subject of conjecture. The difficulty is accentuated by the little quantity of archaeological material found in this trench.

A little downer, at the depth of 0.60m, appears a ditch oriented and aligned on a modern drainage ditch currently visible in the actual surface.

Below, the thick deposits of a probably alluvial terrace are reached at the depth of 2.40m.

Unfortunately, the rare archaeological material found in this trench give very few dating indication for all of layers.

The trench 3, 2m on 1.30m, for a depth of 1.65m, is dug in the southeast part of the area, some 45 m from the eastern wall.


This trench shows modern reworked backfilling sediment.

The natural and sterile „in situ" deposits appear at the depth of 0.80m.

4. Conclusion

The digging of these four trenches in the eastern part of the ancient city of Nokalakevi open to many questions. One of the most important is the refined dating of the different layers. It will be done thanks to detailed analysis of the pottery and with the help of C14 analyse, which could be possible with the collected charcoal in the middle deep layers of trench 1. The stratigraphical correlation between the trenches will also be done. The most interesting part of the area, from archaeological point of view, seems to be the closest one of the eastern walls of the medieval city. There, the remains of more ancient occupation could be still preserved.

In Vani, the opening of a trench in the middle terrace shows a very well stratified area and occupation layer of the IV century B.C. The digging will be continued in 2008.



Illustrations

- 1 photo Vani, excavation
2. Nokalakevi plan, situation of the trenches
3. Nokalakevi, northern stratigraphy trench 1
4. Nokalakevi , 1 photo, excavation

Literature

Gvinchidze 1981 – Gvinchidze G.

Zakharaiia 1987 – in Zakharaiia Parmen (ed.), 1987, *Nokalakevi – Archaeopolis, Archaeological Excavations I, 1972-1977*

Gvinchidze 1988 – Gvinchidze Giorgi

Elinisturi khanis kolkhetis mosakhleobis istoriisatvis, Nokalakevis dzv. ts. IV s. bolo – I s. samarkheuli dzegebi. Tbilisi. // About the history of Hellenistic period of Colchian society in Georgian.

Harris 1989 – Harris C. Edward

Principles of archaeological stratigraphy, Academic Press Harcourt Brace Jovanovich, Publishers London, ISBN 0-12-326651-3

Lomitashvili 1993 – Lomitashvili Davit

Stratigraphia Nokalakevis Nakalakarze (VIII ubnis Mikhedvit)

Zakharaiia 1993 – in Zakharaiia Parmen (ed.), *Nokalakevi – Archaeopolis, Archaeological Excavations III, 1983 – 1989*, Tbilisi. plan p. 147-157. In Georgian

Lomitashvili 2003 – Lomitashvili Davit

Tsentraluri Kolkheti dzv. ts. VIII – VI ss./ Tsikhegoji Archaeopolisi – Nokalakevi, dissertation, Tbilisi

Lordkipanidze 1976 – Lordkipanidze Otari and others, 1969, 1976, etc.

„Archaeological Excavations at Vani in 1969, in *Vani I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX*. Tbilisi. In Georgian.

Lordkipanidze 1991 – Lordkipanidze Otari 1991

Vani: An ancient City of Colchis in Greek, Roman and Byzantine Studies, vol. 32, nb. 2, p. 151-197. University Durham, North Carolina, USA. In English.

Lordkipanidze 1991 – Lordkipanidze Otari and Leveque Pierre and others,

Actes du VI^e symposium de Vani (Colchide), 22-29 septembre 1990, *Sur les traces des argonautes*. Paris : Les Belles lettres, 1996. 355 p. ill.

Masserey 2005 – Masserey Catherine, Lomitashvili David et alii, 2005

Nokalakevi au premier millénaire avant notre ère. In *Chronozones*, Bulletin des Sciences de l'Antiquité de l'Université de Lausanne, 11, 2005, p. 48-51, ill., 2005, Lausanne.

Zakaraia – Zakaraia Parmen (ed.), 1981, 1987, 1991, 1993,

Nokalakevi – Archaeopolis, Archaeological Excavations I, 1972-1977; II, 1978-1982, III, 1983-1989. Tbilisi. In Georgian.

Zamtaradze 1987 – Zamtaradze Meri, 1987,

Archaeological Excavations 1978-1982 – Burials unearthed at Nokalakevi in 1981 – 1982, in Zakharaiia Parmen (ed.), 1987, *Nokalakevi – Archaeopolis, Archaeological Excavations II, 1978 – 1982*, Tbilisi. In Georgian, English and Russian summaries.

ლ. მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი (თბილისი)

**საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვრის
ცვლილების ისტორია XX საუკუნეში**

საბჭოთა კავშირის დაშლამ და ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამ დღის წესრიგში, სხვა საკითხებთან ერთად, სახელმწიფო საზღვრების დადგენის აუცილებლობა დააყენა. დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი მხოლოდ თურქეთთან არის შეთანხმებული. დანარჩენ მოსაზღვრე ქვეყნებთან, მათ შორის აზერბაიჯანთან, მოლაპარაკებები დღემდე გრძელდება. საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო ზოლში რამდენიმე სადავო უბანია. 2007 წლის დასაწყისისთვის ამ ორი ქვეყნის საერთო საზღვრის 480 კილომეტრიანი მონაკვეთიდან მხოლოდ 310 კილომეტრი იყო მხარეებს შორის შეთანხმებული. ეს პროპორცია დღემდე დიდად არ შეცვლილა. ერთ-ერთ შეუთანხმებელ მონაკვეთზე ქართული სულიერებისა და კულტურული მემკვიდრეობის სამი უმნიშვნელოვანი ძეგლი: ჩიჩხიტურის, უდაბნოსა და ბერთუბნის მონასტრები მდებარეობს. სამივე მათგანი დავით გარეჯის ერთიანი სამონასტრო კომპლექსის განუყოფელია ნაწილია. ის ტერიტორია, რომელზეც ზემორე მონასტრები მდებარეობენ, ისტორიულად ყოველთვის საქართველოს კუთვნილება იყო. აზერბაიჯანის მფლობელობაში ის *de facto* მხოლოდ 1921 წლის 8 ნოემბერს, ხოლო *de jure* – 1924 წლის 20 ნოემბერს გადავიდა. საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის მოლაპარაკებებზე ქართული მხარე ამ სასაზღვრო ტერიტორიის სხვა ტერიტორიაზე გაცვლის წინადადებით შევიდა¹. არსებითია, რომ გარეჯის მონაკვეთზე საზღვრის კორექცია რაიმე დემოგრაფიულ, ან ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ პრობლემებს არ შექმნის, რადგან განსახილველი უბნის ფარგლებში თუ მის სიახლოვეში არც ერთი დასახლებული პუნქტი, ან სამრეწველო თუ სასოფლო-სამეურნეო ობიექტი არ მდებარეობს. განსახილველი ტერიტორია ნახევარუდაბნოა, რომელიც მხოლოდ საძოვრად გამოიყენება. აზერბაიჯანის მხარე ტერიტორიული გაცვლის წინააღმდეგია და ერთ-ერთ არგუმენტად ის მოჰყავს, თითქოს, დავითგა-

¹ ტერიტორიების გაცვლის წინადადება ახალი არ ყოფილა. ამგვარი შეთავაზება პირველად 1988 წელს განხორციელდა.

რეჯის მონასტრები ქართული კი არა, ალბანური ძეგლები ყოფილიყოს¹. დავითგარეჯის მონასტრების ალბანური კულტურის ძეგლად გამოცხადება რაიმე ისტორიული საბუთის მოტანის გარეშე ხდება. ეს გასაგებიცაა, რადგან აზერბაიჯანული ჰიპოთეზის დამამტკიცებელი არანაირი საბუთი არ არსებობს. კავკასიის ალბანეთის ტერიტორიული საკითხი ცალკე მსჯელობის საგანია და მას აქ არ შეეხებით, მით უფრო, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთი ავტორიტეტული გამოკვლევა არსებობს. საქართველოს ისტორიული საზღვრების დროში ცვლილებისთვის თვალის მიდევნება შეიძლება „საქართველოს ისტორიის ატლასის“ მეშვეობითაც (მუსხელიშვილი 2003), რომელიც სანდო ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობითაა შედგენილი და ავტორიტეტული გამოცემაა. დავითგარეჯის უმთავრესი მონასტრის – წმ. დავითის ლავრის დაარსების დროისთვის (VI საუკუნის შუა წლები) უდაბნოს მთისა² და მიმდებარე ყარაიის ველის ქართლის ფარგლებში ყოფნის ცნობა წმ. დავით გარეჯელის ცხოვრებაშიცაა დაცული. ჰაგიოგრაფიული თხზულებაში მოთხრობილია, თუ როგორ წააწყდა ნადირობისას რუსთაველი დიდებული, სახელად ბუბაქარი, უდაბნოს მთაზე სალოცავად ასულ წმ. დავითს (აბულაძე 1964: 234).

წინამდებარე სტატიაში ისტორიული დოკუმენტებისა და წერილობითი წყაროების მოხმობით შევეცდებით ნათელი მოვფინოთ საქართველოს ტერიტორიის გარეჯის მონაკვეთის აზერბაიჯანის მფლობელობაში გადასვლის ისტორიას, იმ მიზეზების აქცენტირებით, რომლებმაც ამ უბნის მფლობელის შეცვლა განაპირობეს.

აზერბაიჯანის ტერიტორიული პრეტენზიები საქართველოს მიმართ რუსეთის რევოლუციის მოხდენიდან მოკლე ხანშივე გაუჩნდა. ამიერკავკასია ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა, როცა 1917 წლის 15 ნოემბერს ადგილობრივი დროებითი ხელისუფლება – ამიერკავკასიის კომისარიატი შეიქმნა. ორი თვის თავზე, კერძოდ 1918 წლის 10 იანვარს, აზერბაიჯანის ხელისუფალთა მიერ წაქეზებული აზერბაიჯანელი მწყემსები, რომლებიც ცხვარს იმ დროს საქართველოს მფლობელობაში არსებულ ყარაიის ველზე აძოვებდნენ, აგრეთვე სხვა შეიარაღებული პირები, ყაჩაღურად თავს დაესხნენ და ააოხრეს წმ. დავითის ლავრა და უდაბნოს მონასტერი. აი რას წერდა ამის შესახებ დავითგარეჯის უდაბნოს წინამძღვარი, მღვდელ-მონაზონი გერმოგენი: „იანვრის ათს დავით-გარეჯის უდაბნოს დაეცა თათრების (იგულისხმება „აზერბაიჯანელების“ – ლ.მ.) შეიარაღებული რაზმი. რაზმს თან ახლდნენ უიარაღონიც. მთლად გაძარცვეს უდაბნო, გახრწნეს, ბერები დალახეს, ყარაულს იარაღი აჰყარეს და უწყალოდ სცემეს, დაამტკრიეს და მიღევ-მო-

¹ აზერბაიჯანელები კავკასიელ ალბანელებს თავიანთ წინაპრებად მიიჩნევენ.

² საქართველო-აზერბაიჯანის ადმინისტრაციული საზღვარი ამ მთის თხემზე გადის. ჩინხიტურისა და უდაბნოს მონასტრების ქვაბოვანი ნაწილი ამ საზღვრიდან ათიოდ მეტრში მდებარეობს.

ლევს კანდელები, ტრაპეზები, ხატები. ისე გახრწნეს რო, უბრალო სკამიც კი არ დაუტოვებიათ. მოგეხსენებათ, რომ დავით-გარეჯის უდაბნო შესანიშნავი ისტორიული ნაშთია, აღსავსე ფასდაუდებელი ისტორიულის მნიშვნელობის საღმრთო ნივთებითა. ასეთი დღე ამ უდაბნოს არ დასდგომია შაჰაბაზის დროსაც-კი. გაძარცვა არ აკმარეს, შენობებს ცეცხლი წაუკიდეს ყოველი მხრივ. ხალხი ჩაეშველა უდაბნოს და ცეცხლი ჩააქრო, მაგრამ დარჩა მხოლოდ ცარიელი დამწვარი ფიცრები...“ (გერმოგენი 1918ა: 2). „სიმდიდრე ხომ წაიდეს, შეაგინეს, შეურაცხვეს და წაბილწეს ისტორიული სიწმინდენი და ძველნი – ეს არ აკმარეს. აიღეს ჩვენივე, ბერების წერაქვები და ჩვენ თვალ წინ დაანგრიეს, დალევს, ლუკმა-ლუკმა აქციეს ტაძრების კანდელები, ტრაპეზები, ხატები, გააფუჭეს გამოკვეთილებში მხატვრობა, თითქოს განგებ შემოსევი ვინმე და დაუვალებია, ყოველივე ნიშან-წყალი გაექროთ ძველის ქართული კულტურისა. შეუბრალებლად სცემეს ბერებს, დაატიტვლეს და ღვთის-ანაბარად დატოვეს. ეს ადგილები ჩვენია, – გვიყვიროდნენ ისინი შეკითხვაზე, – მთავრობამ ჩვენ გვაკუთვნა, როგორც გვსურს, ისე მოვიხმართო; გვნებას – დავანგრევთ, გვნებას – დავწვამთო. მე მგონი, ქართველი ერი მოვალეა, ხმა ამოიღოს და მოსთხოვოს თათართა საეროვნო საბჭოს, ალაგმონ თავისი ხალხი, ნუ იწვევენ უსიამოვნობის და გადახდის ჟინსა“ (გერმოგენი 1918ბ: 4).

თავდამსხმელთა ქცევიდან აშკარა გახდა, რომ მათი ამოცანა არა იმდენად მონასტრის საგანძურისა და სხვა ღირებული ნივთების დაუფლება, არამედ სამონასტრო ქონების სრული განადგურება იყო. ამგვარ ქმედებას კონკრეტული დატვირთვა ჰქონდა: თუ ბერები მონასტრების განახლებას ვერ შეძლებდნენ, ყარაიის დაუსახლებელი ველი ქართველთა მეთვალყურეობის გარეშე დარჩებოდა და აზერბაიჯანელები ჩვენს საძირებს ადვილად დაისაკუთრებდნენ. თავდამსხმელები ამას დაუფარავად აცხადებდნენ კიდევ: „მთავრობამ ჩვენ გვაკუთვნა, როგორც გვსურს, ისე მოვიხმართო“. ამიერკავკასიის კომისარიატს დავითგარეჯში მომხდარ ვანდალობაზე არანაირი რეაქცია არ მოუხდენია. დამნაშავეები არ დაუსჯიათ.

1918 წლის 26 მაისს დაიშალა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკა და მასში შემავალმა სამმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. დაახლოებით ერთ კვირაში, 1918 წლის 4 ივნისს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გაავრცელა საპროტესტო განცხადება აზერბაიჯანისა და სომხეთის მიერ თურქეთთან წარმოებული მოლაპარაკებების გამო, რომლებიც აზერბაიჯანს, სომხეთსა და საქართველოს შორის არსებული საზღვრების კორექციასა და დადგენას ეხებოდა. საქართველოს მთავრობის განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ საღვთო საკითხები აზერბაიჯანსა და სომხეთს თბილისში უნდა დაესვათ, თურქეთის ჩარევის გარეშე, ხოლო საქართველოს მონაწილეობის გარეშე თურქეთთან რაიმე შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, ქართული მსა-

რისთვის ის მისაღები და სავალდებულო ვერ გახდებოდა. მოგვეყავს აღნიშნული განცხადების ტექსტი ორიგინალის ენაზე:

„№180

Заявление Правительства Грузинской Республики по поводу переговоров Азербайджана и Армении с Турцией. Тифлис, 4 июня 1918 года.

Правительство Грузинской Республики, осведомившись, что представители Азербайджана и Армении ведут с Оттоманским Правительством переговоры об установлении и исправлении границ этих стран, постановило указать Национальным Советам последних, что исправление и установление границы между Грузией, Азербайджаном и Арменией составляет компетенцию Правительств означенных стран, и что Правительство Грузинской Республики может вести с представителями Азербайджана и Армении непосредственные переговоры по означенному вопросу в Тифлисе, без вмешательства Турции. В случае же, если бы оказался какой-либо по сему предмету договор между Оттоманской Империей, с одной стороны, и Азербайджаном и Арменией, с другой, или с одной из них, то таковой договор Правительство Грузинской Республики ни в коем случае не может признать для себя приемлемым и обязательным“ (Документы, 1919: 366).

აზერბაიჯანის მთავრობა თურქეთთან ცალმხრივი მოლაპარაკებებით არ დაკმაყოფილდა და საქართველოს სრულიად გაუგონარი ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენა. 1918 წლის 14 ივნისს აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. გაჯინსკი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისთვის მიწერილ წერილში აღნიშნავდა: „№221-I – საქართველოს მთავრობამ, მიიჩნია რა, რომ ბორჩალოს მაზრა მისი ტერიტორიაა, იქ ქართული ჯარი და გერმანული რაზმი შეიყვანა, თითქოსდა, მაზრის ყაჩაღური ბანდებისგან გასაწმენდად. . . იმის გათვალისწინებით, რომ მთლიანად მუსლიმებით დასახლებული ბორჩალოს, თბილისისა და სიღნაღის მაზრების წარმომადგენლებმა არაერთხელ გამოთქვეს სურვილი აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაში შესვლის თაობაზე, ჩემი მთავრობა პროტესტს გამოთქვამს საქართველოს მთავრობის ზემონახსენები განკარგულების წინააღმდეგ...“ (Документы 1919: 436). 17 ივნისს ნოე რამიშივილის ხელმოწერით გაგზავნილ საპასუხო წერილში ეწერა: „ 221-II -ბორჩალოს მაზრა ყოველთვის წარმოდგენდა საქართველოს ტერიტორიას და არასდროს გამხდარა კამათისა და ეჭვის საგანი. . . იმედს გამოვთქვამ, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობა მომავალში არ დაუშვებს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის მცდელობას“ (Документы 1919: 437).

საქართველოსადმი ტერიტორიული პრეტენზიების წაყენების პროვოცირებას, გარკვეულწილად, თავად ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობა იწვევდა: იზიარებდა რა ლ. ნათაძის მოსაზრებას საქართველოში მცხოვრები თემების ეროვნული ნიშნით გამიჯვნის შესახებ, 1917 წლიდან მოყო-

ლებული ქართველი მენშევიკები მეზობელ ქვეყნებს ჰპირდებოდნენ, რომ საქართველოში სხვა ეროვნების წარმომადგენელთა მიერ კომპაქტურად დასახლებულ ტერიტორიებს გადასცემდნენ. სწორედ ამასთან დაკავშირებით წერდა მიხეილ ადამაშვილი (ჯავახიშვილი): „ჩვენი ბრმა და ყრუ მთავრობა ხელზე იხვევს ყოვლად უაზრო და ხალხის დამღუპველ რეალ მოსახლეობას და აპირებს უცხოელებს დაუთმოს საქართველოს ყელი და მთავარი ძარღვები. ყარაიაზის ამბები, დავით გარეჯა, აბასთუმანი და დარიალი მხოლოდ ცდა იყო ჩვენი ძალისა“ (ადამაშვილი 1918: 2). ახერბაიჯანის მხრიდან საქართველოს ტერიტორიის მიტაცების მცდელობა ქვეყნის ხელისუფლების სათავეში „წითლების“ მოსვლის შემდეგაც გაგრძელდა. ამასთან დაკავშირებით თავის გულისტკივილს რ. ინგილო შემდეგნაირად გამოთქვამდა: „ამას წინად ჩვენ ვწერდით იმ ანორმალ დამოკიდებულების შესახებ, რომელიც არსებობს საქართველოსა და ახერბაიჯანს შორის და აღვნიშნავდით, რომ ეს მოვლენა უმთავრესად გამოწვეულია ტერიტორიული საკითხის მოუწესრიგებლობით. ჩვენ აგრედე ვამბობდით იმასაც, რომ რესპუბლიკის საზღვრები ოთხსავე მხრით შესწორებას მოითხოვენ სახელმწიფოს საციცოცხლო ინტერესების მიხედვით. საქართველოს მთავრობა მიუხედავად იმისა, რომ მშვიდობიანობის სურვილით არის აღსავსე, მაინც ვერ ახერხებს ამ საკითხების სათანადოდ გადაჭრას და თავიდანვე მოემწყვდია ერთგვარ მოჯადოებულ წრეში, რომელსაც ვერ იქნა და ვერ მოსცილდა. მთავრობამ ამ ზაფხულს სამშვიდობო ხელშეკრულება დასდო ახერბაიჯანთან და იმედოვნებდა, რომ ამ აქტს მოჰყვება ძველ გაუგებრობისა და შუღლის უკუგდება. მთავრობა სასტიკად მოტყუვდა! „წითელი“ ახერბაიჯანი ისეთივე უპირობო კონტრაგენტი გამოდგა, როგორც მისი წინამორბედი – მუსავატელი“ (ინგილო 1920: 1).

1921 წლის 25 თებერვალს ბოლშევიკური რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაციიდან ორი თვის შემდეგ, 1921 წლის 2 მაისს, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ტერიტორიული საკითხების მოგვარების მიზნით, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს პლენუმის დადგენილებით შეიქმნა სპეციალური კომისია სერგეი კიროვის თავმჯდომარეობით. სერგეი კიროვი, იგივე კოსტრიკოვი, რომელიც საქართველოს ხელისუფლების სათავეში მენშევიკების ყოფნის ბოლო წელს თბილისში რუსეთის ელჩი იყო, ფაქტიურად კი საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ძირგამომთხრელ საქმიანობას ხელმძღვანელობდა, ამ კომისიის თავმჯდომარეობის დროს ახერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გახლდათ. საქართველოს მხრიდან კომისიაში შედიოდნენ სახალხო კომისრები ალექსანდრე სვანიძე და სილვესტრ თოდრია. 1921 წლის 26 ივნისს თბილისში გამართულ სხდომას, რომელზეც ზაქათაღლის ოლქისა და ყარაიის ველის სადავო საკითხი განიხილებოდა, კომისიის წევრებს გარდა ესწრებოდნენ გრიგორი (სერგო) ორჯონიკიძე, მამია ორახელაშვილი და

შალვა ელიავა (თოიძე 1990: 25). აზერბაიჯანის მხარის მიერ (გუსეინოვი, გაჯინსკი, რასულ-ზადე, ომარ ფაიკი) შემოთავაზებული იქნა შემდეგი გადაწყვეტილების პროექტი: „პოლიტიკური მოსაზრებებით აზერბაიჯანის სსრ პრეტენზიას არ აცხადებს, რომ აღნიშნული რაიონები (ზაქათალის ოლქი და ყარაიის უბანი – ლ.მ.) მას შეუერთონ, მაგრამ მოითხოვს, საქართველომ იურიდიულად ცნოს და დაუმტკიცოს თათარ გლეხებს, რომ მათ უდავო უფლება აქვთ ფაქტობრივად ისარგებლონ იმ მიწებით (სადოვრებითა და სხვა საფარგულებით), რომლებსაც მეფის და მენშევიკების რეჟიმის დროს ფლობდნენ. ამასთან, საქართველო მთელ ადგილობრივ ძალაუფლებას¹ ყარაიაზელ გლეხებს გადასცემს და ვალდებულებას კისრულობს ყაზახის გვერდის ავლით არანაირი განკარგულება არ გამოსცეს. იმ მიწების ზუსტად გამოჯენისთვის, რომლებიც აზერბაიჯანელმა გლეხებმა უნდა ისარგებლონ, ინიშნება საგანგებო შერეული კომისია“ (თოიძე 1990: 26). 27 ივნისის სხდომაზე ქართულმა მხარემ პროტესტი განაცხადა წინა დღეს აზერბაიჯანის წარმომადგენელთა მიერ გადაწყვეტილების პროექტის ტექსტში შეტანილი ერთი ფრაზის გამო: „მთელ ადგილობრივ ძალაუფლებას ყარაიაზელ (ანუ „აზერბაიჯანელ“ – ლ. მ.) გლეხებს გადასცემს“, რასაც მწვავე კამათი მოჰყვა. საბოლოოდ, ზემოთ დამოწმებულ ტექსტში შემდეგი ცვლილება შეიტანეს: „მთელ ძალაუფლებას, გარდა პოლიტიკურისა“ და დადგენილება შესწორებული სახით მიიღეს (თოიძე 1990: 27).

1921 წლის 5 ივლისის თბილისში გაიმართა საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელზეც შემდეგი დადგენილება მიიღეს: „1. პოლიტიკური საზღვრები აზერბაიჯანის სსრ-სა და საქართველოს სსრ-ს შორის რჩება უცვლელი. 2. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ყარაიას ველის საკითხის შესახებ კონფერენციამ შემდეგი დაადგინა: ა) ცნობილ იქნეს სრული განსაკუთრებული მფლობელობა და სარგებლობა ყაზახის მაზრის გლეხების მიერ ყარაიას ველისა, დაახლოებით ქვემონახსენებ საზღვრებში, ამასთან დაცული იქნეს არსებული სახელმწიფო საზღვარი აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს სსრ-ს შორის“ (მირიანაშვილი 2000: 93) ამ ფრაზის შემდეგ, განსაზღვრული იყო ტერიტორიის ფაქტიური მფლობელობის საზღვარი. დადგენილებას თან ერთვის ორპუნქტიანი შენიშვნა, რომელშიც მითითებული იყო შემდეგი: „ა) ყაზახის გლეხების მფლობელობის ზუსტი საზღვრების დადგენა ევალება განსაკუთრებულ შერეულ კომისიას, რომელიც მუშაობას შეუდგება წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერიდან ორი კვირის ვადაში. ბ) ყაზახის მაზრის გლეხები, რომლებიც არიან ფაქტიუ-

¹ ციტირებულ ტექსტში შესწორებული ვაქს ლ. თოიძის სტატიაში გაპარული ტექნიკური შეცდომა: ავტორი მოყვანილ ტექსტს არა თავდაპირველი სახით, არამედ კომისიის მიერ 27 ივნისის მიღებული შესწორების გათვალისწინებით, ანუ საბოლოო სახით ბეჭდავს.

რი მფლობელნი და მოსარგებლენი ამ ველით, ყველა შემთხვევაში იხელმძღვანელებენ აზერბაიჯანის სსრ კონსტიტუციითა და დაემორჩილებიან ყაზახის მაზრის აღმასკომს“ (იქვე).

კონფერენციის დადგენილების საფუძველზე შეიქმნა სპეციალური შერეული კომისია, რომლის პირველი სხდომა 1921 წლის 27 ივლისს აღსტაფაში გაიმართა. საქართველოს მხრიდან კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ პავლე ინგოროყვა, იმ დროს საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მრჩეველი, და ვახტანგ მაჩაბელი. პავლე ინგოროყვამ ქართული მხარისთვის მიუღებლად მიიჩნია კონფერენციის დადგენილების მეორე პუნქტის ბ)-შენიშვნაში მოცემული ფორმულირება, რამდენადაც მისი ტექსტი გაცილებით მეტს გულისხმობდა, ვიდრე უბრალოდ ყაზახის რაიონის გლეხების ყარაიას ველის საძოვრებზე მფლობელობის ზუსტი საზღვრების დადგენას. მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, თუმცა გადაწყდა, რომ ზუსტი საზღვრების დადგენამდე ყაზახის მაზრის გლეხებს უფლება მიეცემოდათ დაუბრკოლებლად ესარგებლათ ყარაიას ველის ყველა იმ საძოვრითა და სავარგულით, რითაც ისინი ადრე სარგებლობდნენ.

1921 წლის 8 ნოემბერს თბილისში გამართულ შერეული კომისიის სხდომაზე (თავმჯდომარეები – ვ. კანდელაკი და ა. აბასოვი, წევრები – დ. ვეკილოვი, ა. ბერიძე და მ. შიხლინსკი) დადგინდა ყაზახის მაზრის გლეხების ფაქტიური სარგებლობისა და მფლობელობის საზღვრები ყარაიას ველზე. ამ დადგენილებით ბერთუბნისა და უდაბნოს მონასტრების ტერიტორიები მთლიანად აზერბაიჯანულ გლეხთა ფაქტიურ მფლობელობაში აღმოჩნდა; მათსავე სარგებლობაში გადავიდა ტერიტორია ჩინჩიტურის მონასტრის იმ ნახევრით, რომელიც უდაბნოს მთის სამხრეთ ფერდობზე მდებარეობს, მეორე, ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე განთავსებული ნაწილი კი – საქართველოს დარჩა. მომდევნო სხდომაზე, 1921 წლის 15 ნოემბერს, ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ ადმინისტრაციული საზღვრის გატარების შესახებ, თუმცა ყარაიას ველის ზამთრის საძოვრების მფლობელობის საკითხი კვლავ სადავო დარჩა. ამ დოკუმენტზე საქართველოს მხრიდან ხელი მოწერილი აქვს რეეკომის თავმჯდომარეს ბუღუ მდივანს, აზერბაიჯანის მხრიდან კი – ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს მუხტარ გაჯი ზადეს.

მომდევნო პერიოდში აზერბაიჯანს ყარაიის ველის საძოვრების *de jure* გადაცემის საკითხი აღარც დაუსვამს, რადგან ამის აუცილებლობა არც არსებობდა: საქართველოს საძოვრების ფაქტიურ მფლობელებად აზერბაიჯანელი გლეხები გვევლინებოდნენ. ამგვარი მდგომარეობა 1924 წლის ნოემბრამდე გაგრძელდა. დამოკიდებულება საქართველო-აზერბაიჯანის ადმინისტრაციული საზღვრის დელიმიტაციისადმი მას შემდეგ შეიცვალა, როცა საქართველოში 1924 წლის აგვისტოს ამბოხება მოხდა.

საქართველო თავისუფლებისადმი სწრაფვის გამო მკაცრად დაისაჯა: ამიერკავკასიის ცაკთან არსებული ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკებს შორის არსებული, მიწის, ტყის და წყლით სარგებლობის სადავო საკითხთა მომგვარებელი კომისიის სხდომის 1924 წლის 20 ნოემბრის დადგენილებით, შერეული კომისიის მიერ 1921 წლის 8 ნოემბერსა და 1922 წლის 28 იანვარს დადგენილი საზღვრები „ნატურაში განმტკიცდა“ (მირიანაშვილი 2000: 124). ამ დადგენილების საფუძველზე აზერბაიჯანის იურიდიულ მფლობელობაში გადავიდა საქართველოს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია, რომელზეც აღმოჩნდა ბერთუბნისა და უდაბნოს მონასტრები მთლიანად, აგრეთვე ჩიხხიტურის მონასტრის ის ნაწილი, რომელიც უდაბნოს ქედის სამხრეთ ფერდობზე მდებარეობს.

დავითგარეჯის მიდამოებში სასაზღვრო დავასთან დაკავშირებული საარქივო დოკუმენტების გაცნობისას ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ოფიციალურ წერილებსა თუ დადგენილებებში საუბარია მხოლოდ საძოვრებზე. იქ გაკვრითაც კი არ არის ნახსენები გარეჯის მონაკვეთზე რომელიმე ალბანური ძეგლის არსებობა. აზერბაიჯანული მხარის მიერ საქართველოს ბოლშევიკური მთავრობისთვის საზღვრის საკითხთან დაკავშირებით მიწერილ ერთ-ერთი პირველი წერილი, ფაქტიურად, არის თხოვნა საძოვრების გადაცემაზე იმ საბაბით, რომ ყაზახის მაზრის აზერბაიჯანელ გლეხებს საძოვრების ნაკლებობის გამო საქონელი ეხოცებათ და მიძიმე მდგომარეობაში არიან ჩავარდნილნი. ამ წერილზე დადებითი რეზოლუციაა წაწერილი; ეს იმ დროს, როცა სიღნაღის მაზრის ქართველი გლეხები თავად განიცდიდნენ ზამთრის საძოვრების ნაკლებობას. გარეჯის მონასტრების, როგორც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ხსენება ოფიციალურ დოკუმენტებში მხოლოდ 1922 წელს იწყება. ეს მას შემდეგ ხდება, როცა ხელოვნებათმცოდნე გიორგი ჩუბინაშვილმა 1921 წელს გარეჯის მონასტრებში კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყო. ექსპედიციის პროცესში მოპოვებული მასალების შესწავლისა და ანალიზის შემდეგ გიორგი ჩუბინაშვილმა საქართველოს ხელისუფლებას მოხსენებითი ბარათი წარუდგინა, რომელშიც საზი გაუსვა გარეჯის მონასტრების განსაკუთრებულ ადგილს საქართველოს ისტორიასა და კულტურაში. სამწუხაროდ, იმდროინდელმა საბჭოთა ხელისუფლებამ ქართული ტერიტორიის ბედი პარტიული შეხედულისამებრ გადაწყვიტა. ასე მიაღწია აზერბაიჯანმა თავის საწადელს. ქართული ტერიტორიის დასაკუთრებისთვის აზერბაიჯანის ხელისუფლების გეგმაზომიერმა მოქმედებამ ბოლშევიკების ბატონობისას გამოიღო შედეგი.

ეს, ფაქტიურად, მიკერძოებული პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო. დღემდე მის შესახებ საზოგადოებრიობის ფართო წრეებმა ცოტა რამ თუ იცოდნენ. საზღვართან დაკავშირებული ამგვარი მიკერძოებული პოლიტიკური გადაწყვეტილებები არც შემდგომში ყოფილა გამონაკლისი.

ლიტერატურა

აბულაძე 1963 – აბულაძე ილია (რედაქტორი), ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V–X სს.). თბილისი 1963.

ადამაშვილი 1918 – ადამაშვილი მიხეილ (ჯავახიშვილი), საქართველოს კარბები. გაზეთში „საქართველო“ №23, 1918 წლის 28 (10) იანვარი.

გერმოგენი 1918ა – გერმოგენი (ა), მღვდელ-მონაზონი, დავით-გარეჯის უდაბნოს აკლესია. გაზეთში „საქართველო“ №14, 1918 წლის 18 (31) იანვარი,

გერმოგენი 1918ბ – გერმოგენი (ბ), მღვდელ-მონაზონი, დავით-გარეჯის უდაბნოს აკლესია. გაზეთში „საქართველო“ №19, 1918 წლის 24 (6) იანვარი,

თოიძე 1990 – თოიძე ლევან, 25 თებერვლის შემდეგ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია №1, გვ. 10-43.

ინგილო 1920 – ინგილო რ., კიდევ ტერიტორიულ საკითხისათვის. გაზეთში „საქართველო“ №95, 1920 წლის 9 სექტემბერი.

მირიანაშვილი 2000 – მირიანაშვილი ნათელა, საქართველოს ტერიტორიული ცვლილებანი ამიერკავკასიის რესპუბლიკასთან 1918-1938 წწ., დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ხელმძღვანელი აკად. დავით მუსხელიშვილი). თბილისი 2000. დისერტაცია ინახება ილია ჭავჭავაძის სახ. საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკაში, კატალოგის ნომერი D 3.137.

მუსხელიშვილი 2003 – მუსხელიშვილი დავით (რედ.), საქართველოს ისტორიის ატლასი. ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამოცემა. თბილისი 2003.

Документы 1919 – Документы – Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Издание Правительства Грузинской Республики. Тифлис 1919 (Переиздание 1990).

Л. М и р и а н а ш в и л и (Тбилиси)

История изменения юго-восточной границы Грузии в XX веке

После распада Советского Союза и обретения независимости союзными республиками на повестку дня, помимо других вопросов, встала необходимость установления государственных границ. На сегодняшний день государственная граница Грузии согласована только с Турцией. С остальными пограничными странами, в том числе и с Азербайджаном, переговоры продолжаются по сей день. В приграничной полосе между Азербайджаном и Грузией несколько спорных участков. К началу 2007 года из 480 км общей границы между сторонами было согласовано лишь 310 км. По сей день эта пропорция существенно не изменилась. На одном из несогласованных участков расположены три важнейших памятника грузинской духовности и культурного наследия: христианские монастыри Чичхитури, Удабно и Бертубани. Они являются неотъемлемой частью единого монастырского комплекса Давид-Гареджи. Территория, на которой расположены вышеупомянутые монастыри, исторически всегда принадлежала Грузии. Во владения Азербайджана она перешла *de facto* лишь 8 ноября 1921 года и *de jure* – 20 ноября 1924 года. На переговорах по вопросам делимитации и демаркации границ грузинская сторона внесла предложение об обмене территорий¹. Важно отметить, что коррекция границы на гареджийском участке не связана с проблемами демографического и инфраструктурного характера, так как в пределах данного участка и его окрестностях нет ни одного населенного пункта, промышленного или сельскохозяйственного объекта. Рассматриваемая территория является полупустыней, которая используется исключительно как пастбище. Азербайджанская сторона высказалась против территориального обмена. Одним из аргументов приводится то, что гареджийские монастыри являются не грузинскими, а албанскими монументами². При этом, объявляя Давид-Гареджийские монастыри памятниками албанской культуры, не приводятся ни письменных источников, доказывающих это, ни аргументов в защиту данной гипотезы. Это и понятно, так как не существует ни одного исторического документа, подтверждающего азербайджанскую гипотезу.

¹ Предложение об обмене территорий не ново. Оно впервые было выдвинуто еще при советской власти в 1988 году.

² Азербайджанцы считают кавказских албанцев своими предками.

зу. Территория Кавказской Албании является предметом специального обсуждения. Здесь мы его не коснемся, тем более, что существует не одно авторитетное исследование по данному вопросу. За изменением исторических границ Грузии можно проследить с помощью «Атласа истории Грузии» (Мусхелишвили 2003), который был составлен на основании надежных исторических письменных источников и является авторитетным изданием. Сведение о нахождении горы Удабно и прилегаемой Караязской степи в пределах Картли в середине VI века – ко времени основания Лавры Св. Давида, главнейшего монастыря Давид-Гареджи, можно найти и в "Житии Св. Давида". В агиографическом произведении рассказывается о том, как встретил во время охоты Бубакар, вельможа из близлежащего города Рустави, на вершине горы Удабно¹ молящегося там Св. Давида (Абуладзе 1964: 234).

В предлагаемой статье, на основании исторических документов и других письменных источников, мы постараемся внести ясность в историю перехода гареджийского участка во владение Азербайджана, с особым акцентом на причины изменения прежнего владельца данного участка.

Вскоре после революции в России у Азербайджана возникли территориальные претензии к Грузии и Армении. Закавказье еще считалось составной частью Российской империи, когда 15 ноября 1917 года был создан Закавказский Комисариат. Спустя два месяца, конкретно 10 января 1918 года, подстрекаемые местным руководством Азербайджана пастухи - азербайджанцы, которые пасли своих овец в Караязской степи, находящейся в то время в пределах границ Грузии, а также вооруженные люди, разбойнически напали и разорили Лавру Св. Давида и монастырь Удабно. Вот что писал об этом факте предводитель Лавры иеромонах Гермоген: «Десятого января на Давид-Гареджийский монастырь напал вооруженный отряд азербайджанцев. С отрядом были и безоружные люди. Они полностью разграбили монастырь. Монахов избили. У сторожей отняли оружие и тоже избили. Поломали лампы, престолы, иконы. Они так перебили все, что даже простую скамью не оставили. Как известно, монастырь Давид-Гареджи является прекраснейшим историческим наследием. Такой жестокости монастырь не видал даже при Шах-Аббасе. Они не удовлетворились грабежом и со всех сторон подожгли строения. Народ поспешил монастырю на помощь и потушил пожар, но остались лишь обугленные доски (Гермоген 1918а: 2). «Помимо того, что они с собой унесли награбленное, еще и осквернили и оскорбили исторические святыни и монументы; но этим они не утомонились и, взяв кирки наших же монахов, на наших глазах разрушили, поломали, разбили на куски в церквях лампы, престолы, иконы, попортили стенопись в пещерах. Это нашествие было как бы заданием с целью искоренения [следов] древней грузинской культуры; безжалостно избили монахов, оголили их и бросили на произвол судьбы. В ответ на наш вопрос они

¹ Грузино-азербайджанская административная граница проходит через вершину этой горы. Пещерные монастыри Чичхитури и Удабно находятся приблизительно в десяти метрах от данной границы.

кричали: эти земли являются нашей собственностью – правительство передало их нам во владение. Как хотим, так и обращаемся с нашей собственностью: хотим – разрушим, хотим – сожжем. По-моему, грузинская нация обязана сказать свое слово и потребовать от Национального Совета Азербайджана уговорить свой народ, чтобы их действия не привели к неприятностям и к желанию отомстить» (Гермоген 1918б: 4).

Поведение напавших на монастырь разбойников указывало на то, что их задача состояла не столько в ограблении монастырских сокровищ и других ценностей, а в полном уничтожении монастырского имущества. Это действие имело конкретную цель: если монахи не смогли бы восстановить монастыри, незаселенная Караязская степь осталась бы без надзора со стороны грузин, и азербайджанцы легко завладели бы их пастбищами. Об этом открыто заявляли сами нападающие: «Правительство передало нам эти земли во владение; как хотим, так и обращаемся с нашей собственностью». Закавказский Комиссариат никак не отреагировал на вандализм по отношению к Давид-Гареджи. Виновники не были наказаны.

26 мая 1918 года Закавказская федеративная республика распалась. Входящие в нее страны объявили свою независимость. Приблизительно неделю спустя, 4 июня 1918 года, правительство Грузинской Республики распространило заявление в связи с переговорами Азербайджана и Армении с Турцией относительно установления и корректировки границ между Грузией, Азербайджаном и Арменией. Ниже приводим полный текст этого заявления: «Заявление Правительства Грузинской Республики по поводу переговоров Азербайджана и Армении с Турцией. Тифлис, 4 июня 1918 года.

Правительство Грузинской Республики, осведомившись, что представители Азербайджана и Армении ведут с Оттоманским правительством переговоры об установлении и исправлении границ этих стран, постановило, указать Национальным Советам последних, что исправление и установление границы между Грузией, Азербайджаном и Арменией составляет компетенцию Правительств означенных стран, и что Правительство Грузинской Республики может вести с представителями Азербайджана и Армении непосредственные переговоры по означенному вопросу в Тифлисе, без вмешательства Турции. В случае же, если бы оказался какой-либо по сему предмету договор между Оттоманской Империей, с одной стороны, и Азербайджаном и Арменией, с другой, или с одной из них, то таковой договор Правительство Грузинской Республики ни в коем случае не может признать для себя приемлемым и обязательным» (Документы 1919: 366).

Азербайджанское правительство не удовлетворилось односторонними переговорами с Турцией и предъявило Грузии неслыханные до того территориальные претензии. Министр иностранных дел Азербайджана в своем письме от 14 июня 1918 года в адрес Министерства иностранных дел Грузии писал:

«Как видно из опубликованного сегодня Правительственного сообщения, отчасти подтверждаемого имеющимися у нас частными сведениями, грузинское правительство, считая Борчалинский уезд территорией Грузии, послало туда от-

ряд грузинских войск, совместно с германским отрядом, якобы для очищения уезда от разбойничьих банд. . .

Далее, по сведениям, появившимся в печати, грузинское правительство сделало распоряжение о занятии территории по линии Закавказских железных дорог почти до станции Пойлы.

В виду того, что части Борчалинского, Тифлисского и Сигнахского уездов, сплошь населенные мусульманами, неоднократно через своих представителей выражали желание быть в составе Азербайджанской Республики, мое правительство категорически протестует против вышеуказанных распоряжений грузинского правительства и настоятельно просит, во имя сохранения добрососедских отношений между нашими странами, принять незамедлительные меры к выводу воинских частей из пределов Борчалинского уезда и к отмене распоряжения о занятии вышеуказанных частей территории Азербайджана. . .

Министр иностранных дел Азербайджанской Республики М. Гаджинский» (Документы 1919: 436).

В ответном письме от 17 июня Ноэ Рамишвили писал:

«В ответ на Ваше сношение, от 14 сего июня за №15, по поводу мер, предпринятых моим правительством для охраны границ Грузинской Демократической Республики, выражаю глубокое сожаление, что подобные мероприятия, необходимые для поддержания внутреннего порядка на территории Грузинской Республики, могли послужить предметом каких-либо недоразумений. В частности, Борчалинский уезд всегда входил в состав территории Грузии и не был предметом споров и сомнений, хотя этот уезд и раньше не представлял однообразной этнической единицы. Равным образом, не подлежит спору и восточная граница Грузии.

Сообщая об этом, по поручению своего правительства, выражаю полную уверенность, что Азербайджанское Республиканское Правительство впредь не допустит вмешательства в наши внутренние дела. . .

Министр-Председатель, И. д. Министра Иностранных Дел Н. Рамишвили» (Документы 1919: 437).

Предъявление территориальных претензий к Грузии, в какой-то степени, провоцировалось самим грузинским правительством: разделяя мнение Л. Натадзе о размежевании живущих в Грузии общин по национальному признаку, начиная с 1917 года грузинские меньшевики давали обещания соседним странам о передаче им тех регионов, где компактно проживали представители негрузинской национальности. Именно в связи с этим писал Михаил Адамашвили (Джавахишвили): «Наше глухое и слепое правительство считает приемлемым абсолютно бессмысленное и губительное для народа «реал население» и намеревается уступить иностранцам горло и главные артерии Грузии. События, произошедшие в Карязи, Давид-Гареджи, Абастумани и Дариали, были лишь испытанием наших сил» (Адамашвили 1918: 2).

Попытки Азербайджана присвоить территории Грузии продолжались после прихода к власти «красных». Свою настороженность по этому поводу высказывал

Р. Ингило: «Недавно мы писали о ненормальном состоянии отношений между Грузией и Азербайджаном. Отметим, что такое положение вызвано неупорядоченностью территориального вопроса. Мы также писали, что граница республики с четырех сторон требует корректировки с учетом жизненных интересов государства. Грузинскому правительству, несмотря на то, что оно желает мира, не удастся достичь должного решения этих вопросов, в связи с чем и оказалось внутри своего рода заколдованного круга, из которого не может найти выхода. Этим летом наше правительство подписало мирный договор с Азербайджаном с надеждой на урегулирование старых недоразумений и распрей. Правительство горько обманулось! Красный Азербайджан оказался таким же ненадежным контрагентом, каким был его предшественник – Муссаватское правительство» (Ингило 1920: 1).

2 мая 1921 года, спустя два месяца после оккупации Грузинской Республики большевистской Россией, с целью урегулирования территориальных вопросов Закавказских республик, постановлением Пленума Кавбюро ЦК РКП (б) была создана специальная комиссия под председательством Сергея Кирова¹. Будучи председателем данной комиссии, он являлся Секретарем ЦК Компартии Азербайджана. Со стороны Грузии в комиссию входили народные комиссары Грузинской ССР – Александр Сванидзе и Сильвестр Тодрия. На заседании комиссии, посвященного нерешенным вопросам Закавказского округа и Караязской степи, которое проходило в Тбилиси 26 июня 1921 года, помимо членов комиссии присутствовали Григорий (Серго) Орджоникидзе, Мамия Орахелашвили и Шалва Элиава (Тоидзе 1990: 25). Азербайджанская сторона (Гусейнов, Гаджинский, Расул-Заде, Омар Фаик) предложила следующий проект решения: «Из-за политических соображений Азербайджанская ССР не претендует на присоединение вышеупомянутых районов (Закавказского округа и Караязского участка – Л. М.), однако требует, чтобы Грузия признала и утвердила юридически неотъемлемое право азербайджанских крестьян на пользование теми землями (пастбищами и другими землями), которыми они пользовались при царе и меньшевистском режиме. При этом, Грузия передает всю власть населению и берет обязательство не издавать никаких распоряжений без согласования с руководством Казахского района. Для точного размежевания тех земель, которыми должны пользоваться азербайджанские крестьяне, назначается чрезвычайная смешанная комиссия» (Тоидзе 1990: 26). На второй день, 27 июня, грузинская сторона выразила протест в связи с «передачей всей власти». В результате данная фраза была изменена следующим образом: «Вся власть, кроме политической» (Тоидзе, 1990: 27).

¹ Сергей Киров, тот же Костриков, в последние годы правления меньшевистского правительства Грузии находился в Тбилиси в ранге полномочного посла России, а в действительности он руководил разведывательной и подстрекательской деятельностью многочисленных работников посольства России против Грузинской независимой республики (К концу 1920 года число работников посольства России в Грузии составило 300 человек).

5 июля 1921 года в Тбилиси проходила конференция представителей Грузинской ССР и Азербайджанской ССР, на которой было принято следующее постановление: «1. Политические границы между Азербайджанской ССР и Грузинской ССР остаются без изменений, 2. В связи с вопросом о Караязской долине, существующей между Грузией и Азербайджаном, конференция постановила следующее: а) Признать полное особое владение и пользование крестьянами Казахского уезда Караязской степи приблизительно в пределах нижеуказанных границ, с соблюдением государственной границы, существующей между Азербайджанской ССР и Грузинской ССР» (Мирианшвили 2000: 93). После этой фразы была конкретно демаркирована граница фактического владения территорией. Постановление заканчивалось двухпунктным замечанием следующего содержания: «а) Установление точных границ владений казахских крестьян поручено специальной комиссии, которая приступит к работе в двухнедельный срок после подписания настоящего соглашения. б) Крестьяне Казахского уезда, которые являются фактическими владельцами и пользователями этой степи, во всех случаях будут руководствоваться конституцией Азербайджанской ССР и будут подчиняться Исполкому Казахского уезда» (там же).

Согласно принятому на конференции постановлению, была создана специальная смешанная комиссия. Ее первое заседание проходило 27 июля 1921 года в Агстафе. Грузинскую ССР в комиссии представлял Павле Ингорква, советник Народного комиссариата иностранных дел Грузинской ССР, и Вахтанг Мачабели. П. Ингорква счел неприемлемым для грузинской стороны формулировку замечания (б) второго пункта, так как подтекст подразумевал большее, чем просто установление точных границ владения пастбищами Караязской степи крестьянами Казахского уезда. Соглашение между сторонами не было достигнуто, хотя было принято решение, согласно которому крестьянам Казахского уезда разрешалось до установления точных границ беспрепятственное пользование теми пастбищами и землями, которыми они пользовались до этого.

Прошедшее в Тбилиси 8 ноября 1921 года заседание смешанной комиссии (председатели – В.Канделаки и А. Абасов, члены – Д.Векилов, А.Беридзе и М.Шихлинский) установило границы фактического владения землями Караязской степи. Согласно этому постановлению, территории монастырей Бертубани и Удабно полностью и монастыря Чичхитури частично – та его часть, которая расположена на южном склоне горы Удабно – перешли во владение крестьян-азербайджанцев. На следующем заседании, 15 ноября 1921 года, было подписано соглашение об административной границе между Грузинской ССР и Азербайджанской ССР, хотя вопрос владения зимними пастбищами Караязской степи оставался спорным. На этом документе стоят подписи председателя Ревкома Буду Мдивани и председателя Центрального Исполнительного Комитета Мухтара Гаджи-Заде.

В последующие годы Азербайджан не ставил вопроса о передаче *de jure* пастбищ Караязской степи, так как азербайджанские крестьяне и без того являлись фактическими и единоличными владельцами грузинских пастбищ. Отношение к

делимитации грузино-азербайджанской границы на рассматриваемом участке изменилось лишь после того, когда в августе 1924 года в Грузии вспыхнуло всеобщее восстание против Советской власти с целью восстановления независимости. В связи с этим, страна была жестоко наказана не только репрессиями, но и урезанием ее территорий: комиссия при ЦИК по урегулированию спорных вопросов между республиками Закавказской Социалистической Федеративной Республики по пользованию земельными, лесными и водными ресурсами своим постановлением от 20 ноября 1924 года утвердила «в натуре» границу между Грузинской ССР и Азербайджанской ССР согласно той схеме, которая была утверждена постановлениями смешанной комиссии 8 ноября 1921 года и 28 января 1922 года (Мирианашвили 2000: 124). На основании этого постановления обширная территория Грузии, с расположенными на ней монастырями Бертубани, Удабно и частично Чичхитури, перешла *de jure* во владение Азербайджанской ССР.

При ознакомлении с архивными документами, касающимися пограничного спора на участке Давид-Гареджи, внимание привлекает тот факт, что в официальной переписке и постановлениях речь идет исключительно о пастбищах. В одном из первых писем в адрес большевистского правительства Грузии азербайджанская сторона просит передать ей в пользование пастбища по той причине, что из-за их нехватки азербайджанские крестьяне находятся в тяжелом положении. На это письмо наложена положительная резолюция, и это в то время, когда зимних пастбищ не хватало самим грузинским крестьянам Сигнахского уезда. Азербайджанской стороной ни разу не упоминается нахождение «албанских монументов» на участке Давид-Гареджи. Интересно, что упоминание Гареджийских монастырей, как памятников культурного наследия Грузии, в официальных документах начинается лишь с 1922 года, т.е. после того как грузинский искусствовед Георгий Чубинашвили осенью 1921 года организовал комплексную научную экспедицию с целью их изучения. После анализа материалов, полученных во время экспедиции, Г. Чубинашвили написал докладную в адрес грузинского правительства, в которой подчеркнул их особое место в истории и культуре Грузии. К сожалению, тогдашняя Советская власть решила судьбу грузинской территории с учетом партийных интересов. Таким образом, Азербайджан в конце концов завладел грузинскими территориями, к чему так целенаправленно и усердно стремились его мусаватское, а затем большевистское правительства. Передача Азербайджану грузинских земель фактически было пристрастным политическим решением. Принятие таких решений, к сожалению, продолжалось и в последующий период.

Литература

Абуладзе 1963 – Абуладзе Илья (редактор), Памятники древнегрузинской агиографической литературы, книга I (V-Xвв.). Тбилиси.

Адамашвили 1918 – Адамашвили Михаил (Джавахишвили), Двери Грузии. В газете «Сакартвело» № 23, 28 января 1918 года.

Гермоген 1918а – Гермоген (а), иеромонах, Разгром монастыря Давид-Гареджи. В газете «Сакартвело» № 14, 18 января 1918 года.

Гермоген 1918б – Гермоген (б), иеромонах, Разгром монастыря Давид-Гареджи. В газете «Сакартвело» № 19, 24 января 1918 года.

Документы 1919 – Документы – Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Издание Правительства Грузинской Республики. Тифлис 1919 (Переиздание 1990).

Ингило 1920 – Ингило Р., Еще раз о территориальном вопросе. В газете «Сакартвело» № 95, 9 сентября 1920 года.

Мирианашвили 2000 – Мирианашвили Натела, Территориальные изменения Грузии с Закавказской республикой. 1918-1938. Диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук (Руководитель акад. Давид Мухелишвили). Тбилиси 2000. Диссертация хранится в Библиотеке им. И. Чавчавадзе Парламента Грузии под номером D 3.137.

Мухелишвили 2003 – Мухелишвили Давид (главный редактор), Атлас истории Грузии. Издание Института истории и этнологии им. И. Джавахишвили. Тбилиси 2003.

Тоидзе 1990 – Тоидзе Леван, После 25 февраля. В журнале «Мацне АН Грузинской ССР», серия истории, этнографии и искусства №1, 1990, с. 10-43.

L. M i r i a n a s h v i l i (Tbilisi)

History of Georgia's south-eastern border change in the 20th century

S u m m a r y

The state border demarcation and delimitation process between Azerbaijan and Georgia is not still resolved. Some 35% of the border demarcation has not been agreed upon till now. One of the disputable stretches of land is the one with the 6th-century Georgian monastery complex of David-Gareji on it: the border runs along the top of Udabno Mountain, splitting Chichkhituri Monastery, located on both slopes of the mountain, into two. Two more monasteries, Bertubani and Udabno, are entirely on the

Azeri side, southward from the border, thus being cut off from the complex. To fix the spiritual and cultural heritage problem, Georgia has suggested exchange of territories as the sole way out. Azerbaijan is against such exchange announcing the David-Gareji monasteries as monuments of the Albanian culture. The latter groundless claim tenses up the air in Georgia.

The paper studies the history of the reasons for Azerbaijan-Georgian border change. Based on archive documents and written sources it is shown that pretensions of Azerbaijan to the Georgian territories arose shortly after the Russian revolution in 1917. Attempts of the Mussavat government of Azerbaijan to take possession of the border territories were continued by Bolsheviks. The final accord which has decided the fate of the problem was anti-Bolshevik rebellion in Georgia in August 1924: the above territories fell to Azerbaijan *de jure* on 20 November 1924. It is shown that both Mussavat and Bolshevik governments of Azerbaijan stressed on the lack of pasture lands in the border region, especially in winter, and demanded for the Karaia Valley pastures of Georgia, earlier used by Azeri shepherds free and without any restrictions. No mention of the „Albanian monuments“ in the Georgian territory is found in official correspondence of that period.

მ. ფ უ თ უ რ ი ძ ე (თბილისი)

**მოხატული კერამიკის სამხრეთ კავკასიაში გავრცელების
პრობლემისათვის ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში**

მოხატული კერამიკა, როგორც გამორჩეული და ამავე დროს სრულიად ახალი მოვლენა ბრინჯაოს ეპოქის სამხრეთ კავკასიის კულტურულ სივრცეში, გამოჩენას იწყებს ძვ. წ. III-II ათასწლეულების მიჯნიდან. ეს ქრონოლოგიური მონაკვეთი ემთხვევა თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურას, რომელიც ინოვაციათა განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევა. სიახლეთა მრავალფეროვანი სპექტრიდან, რომელიც ამ კულტურის ზოგად მახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სწორედ მოხატული კერამიკაა. არტეფაქტის ეს ტიპი მრავალმხრივ საყურადღებო მოვლენაა. იგი ყურადღებას იმსახურებს არა მხოლოდ როგორც ახალი მიმართულება კერამიკულ პროდუქციაში, რაც ძალიან ნიშანდობლივია თავისთავად, არამედ როგორც მახლობელი აღმოსავლეთის სამყაროსთან კონტაქტთა გაცხობვების მანიშნებელი ფაქტი.

ამის გამო, თრიალეთური კულტურის მოხატული კერამიკა ყოველთვის იყო და რჩება მკვლევართა საგანგებო ყურადღების საგანად. უნდა ითქვას, რომ ბევრი რამ მოხატული სამეთუნეო პროდუქციის შესწავლასთან დაკავშირებით გაკეთებულა, მაგრამ ზოგი საკვანძო საკითხები კვლავ ბუნდოვანი რჩება და მასალა კიდევ უფრო მეტ ჩადრმაგებას საჭიროებს სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის სხვა კულტურათა მოხატული კერამიკის კომპარატიული კვლევის მხრივ. ამას კი, ამ საკითხებზე მომუშავე იმ ქვეყნების (საქართველოს, თურქეთის, ირანის, სომხეთის, აზერბაიჯანის) მკვლევართა ძალისხმევის გაერთიანება და კოორდინირებული შესწავლა სჭირდება, რომლის ტერიტორიაზეც ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში გავრცელებული იყო თრიალეთის კულტურა. ვფიქრობ, რომ მომავალში სწორედ ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს მოხატული კერამიკის საკითხების თანმიმდევრული კვლევა თუკი გვინდა, რომ სათანადოდ გაირკვეს მთელი რიგი ბუნდოვანი და საკამათო პრობლემები.

სანამ მოხატული კერამიკის ანალიზზე გადავიდოდეთ, აუცილებლად მიგვაჩნია რეზიუმირებულად კონსტატაცია გავუკეთოდ იმ ძირითად სიტუაციას, რომელიც შუა ბრინჯაო II -ის პერიოდისათვის (Puturidze

2005:8-22) შეიქმნა სამხრეთ კავკასიაში წინა აზიასთან კონტაქტების, ლოკალური კულტურული პროცესების და მისი დინამიკის მხრივ. ამ საფეხურზე არსებული კულტურული გარემოს გათვალისწინებას არსებითი მნიშვნელობა აქვს, ერთის მხრივ, სამხრეთ კავკასია – წინა აზიის კონტაქტების კვლევის საქმეში ხოლო, მეორეს მხრივ, კი საკუთრივ თრიალეთის ორი სხვადასხვა სტილის მოხატული კერამიკის გენეზისის გარკვევის თვალსაზრისით.

მოკლედ შევაჩერებ ყურადღებას უშუალოდ იმ სუბსტრატზე, რომელიც საფუძვლად უნდა დადებოდა თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურას. გასარკვევია იყო თუ არა ადგილობრივ გარემოში ის მონაცემი, რომელზედაც შემდეგ შესაძლებელია აღმოცენებულიყო თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურა თუ აქ რაიმე სხვა პროცესებს ჰქონდა ადგილი? ეს საკითხი კი უშუალოდ კვეთს მოხატული კერამიკის პრობლემატიკას და ამდენად უადრესად აქტუალურია ამჟღავნადაც.

სამხრეთ კავკასიის ძეგლების მიხედვით ისე ჩანს, რომ მტკვარ-არაქსის მძლავრმა კულტურამ თავისი არსებობა დაამთავრა დაახლოებით ძვ. წ. XXV/XXIV საუკუნისათვის. მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლების ფინალურ საფეხურზე, მის უგვიანეს ფენებში კავთისხევის ციხე-გორას (ზ. მახარაძის გათხრები), თიანეთის რ-ნის ბადაანის (გ. მირცხულავას გათხრები) და ხაშურის ნაცარგორის ნამოსახლარებზე (ა. რამიშვილის გათხრები) უკვე ჩნდება ახალი, უცხო კერამიკული ნიმუშები – აშკარად სხვა, ვიდრე ეს ამ სამიწათმოქმედო კულტურისათვის იყო დამახასიათებელი. ესაა შავპრილა, საგანგებოდ ბზინვარე ზედაპირით, თხელი და სხვა შემადგენლობის კეცის მქონე და განსვავებული ტიპის დახვეწილი კერამიკა (საქართველოს არქეოლოგია 1992). ამასთან მის გამოჩენას მტკვარ-არაქსის ნამოსახლართა გვიანდელ ფენებში არავითარი სხვა სიახლეები ან პოლიტიკური სიტუაციის მკვეთრი ცვლილება თან არ ახლდა. სტრატოციფირებული ნამოსახლარების კარგად პრეპარირებულ ფენებში რაიმე შემოსევების, გადაწვის ან თუნდაც მკვეთრი სოციალური ცვლილების კვალი არ ჩანს. მტკვარ-არაქსის მოსახლეობა ამ ძეგლებზე ჯერ კიდევ მშვიდობიანად განაგრძობს არსებობას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ დროიდან იგი უკვე თავისი არსებობის დასასრულს უახლოვდებოდა. აღნიშნული კულტურის ნამოსახლარებზე სწორედ ეს ფენა აღმოჩნდა ფინალური და ამის შემდეგ ცხოვრება იქ წყდება (მახარაძე 1994). ამ სიახლეს მტკვარ-არაქსის კულტურის დასასრულ ეტაპზე თან არ ახლდა ისეთი მოვლენა, როგორცაა მოხატული კერამიკის გამოჩენა. ეს ტენდენცია კერამიკულ პროდუქციაში უკავშირდება მხოლოდ და მხოლოდ თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურის დაწყებას. მანამდე კი სამხრეთ კავკასიის გარემომ ამგვარი ნიმუშები უბრალოდ არ იცის.

მკაფიოდ შეიძლება ითქვას ერთი, რომ მტკვარ-არაქსის მძლავრმა და ერთი ათასწლეულის ხანგრძლივობის მქონე კულტურამ თავისი არსე-

ბობა დაასრულა ისე, რომ მოხატული კერამიკა როგორც სიახლე მას არ შეუქმნია. როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურამ ძვ. წ. XXIV საუკუნისთვის, ალბათ, ამოწურა თავისი განვითარებისა და შესაძლებლობების რესურსები და ადგილი დაუთმო ახალ, უფრო პროგრესულ კულტურულ მოვლენას – ადრეეორდანულ კულტურას, რომელმაც მისსავე წიაღში იწყო პირველად გამოჩენა. მაგრამ როგორ უნდა „წავიკითხოთ“ ჩვენს ხელთ არსებული ძეგლების მიხედვით ეს პრეისტორიული მონაკვეთი? ვივარაუდოთ, რომ ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურის დროს გამოჩნდა ახალი ეთნიკური ერთეული, მატარებელი სულ სხვა, ახალი ტრადიციებისა და მან დამხვდურ მოსახლეობასთან ერთად მშვიდობიანად დაიწყო აქ ცხოვრება, რაც ნაკლებ რეალური ჩანს, თუ ახალი კულტურული მასივის გამოჩენა ჩავთვალოთ მტკვარ-არაქსის კულტურის გაქრობის მიზეზად?

რა თქმა უნდა, ეს და არა ერთი სხვა კითხვები თუ ვარაუდები იბადება ამ მოვლენის ანალიზთან დაკავშირებით, მაგრამ ყველა შემთხვევაში მკვლევარი უნდა ამოვიდეს მის ხელთ არსებული ფაქტობრივი მონაცემებიდან. ეს მონაცემები კი დღეისათვის ასეთია: მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების ფართო ტერიტორიიდან მხოლოდ შიდა ქართლში და ისიც შედარებით ლოკალური ტერიტორიის ფარგლებში /ხაშურის რ-ნი (ნაცარგორა), თიანეთის რ-ნი (ბადაანი) და კასპის რ-ნი (ციხიაგორა)/ დასტურდება მტკვარ-არაქსის გვიანდელი ფენებში მისთვის დამახასიათებელი კერამიკისა და ბედენური კულტურის ნიმუშების თანაარსებობის ფაქტი.

ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია ისიც, რომ ბედენური კულტურის გამოჩენა პირველად იწყება სხვა ადგილას და მხოლოდ შემდეგ ედება იგი გაცილებით ფართო არეალს, მათ შორის იმ ტერიტორიას, რომელიც ინტენსიურად იყო ათვისებული მტკვარ-არაქსელი ეთნოსის მიერ. ამ დროს მტკვარ-არაქსის კულტურა ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ წასული ინტორიის ასპარეზიდან და ხედება რა ახალ კულტურულ ტრადიციას, იგი ნაწილობრივ უშვებს კიდევ მას თავის გარემოში. ასე შეიძლება მოხვედრილიყო ზემოაღნიშნულ სამ ძეგლზე ბედენური კერამიკული ნაწარმი.

რაც შეეხება ადრეეორდანული კულტურის ფესვებს და მისი წარმოშობის ადგილს, ამაზე გადაჭრით ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ჯერ არ ხერხდება. ვფიქრობ, ესეცაა იმის მიზეზი, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ამის შესახებ განსხვავებული თვალსაზრისები ჩნდება. დასაშვებია, რომ იგი სამხრეთ კავკასიური გარემოსათვის მართლაც უცხო მოვლენა იყოს და არა ადგილობრივი წარმონაქმნი. ამას, ალბათ, შემდგომი აღმოჩენები გაარკვევს, მაგრამ ახლა საჭიროდ მიგვაჩნია იმის დაზუსტება და გაანალიზება თუ რა ხასიათის კულტურულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ფაქტია, რომ მატერიალური კულტურის ნიმუშების, და უპირველესად კი კერამიკის მიხედვით, იგი აბსოლუტური სიახლეა მტკვარ-არაქსის კულტურის მასალებთან მიმართებით. განსხვავებულია

არა მხოლოდ კერამიკული ფორმები, არამედ ყველაზე სადიაგნოსტიკო ელემენტი – კეცი.

ადრეყორღანული კულტურა სრულიად ახალი მოვლენაა არა მხოლოდ ყველაზე მასობრივი მასალის – კერამიკული ნაწარმის, არამედ სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროფილის თვალსაზრისითაც. სამიწათმოქმედო მეურნეობასა და ერთ ნასახლარზე მუდმივად დამჯდარი ცხოვრების ჩვევის მქონე მტკვარ-არაქსული ტრადიცია ადრეყორღანების კულტურის დადგომისთანავე იცვლება მობილური ცხოვრების წესითა და წარმოებითი მეურნეობის მეორე დარგის – მესაქონლეობის პრიორიტეტის ზრდით. სამეურნეო ცხოვრების ტრადიციაში ასეთი მკვეთრი ცვლილება, როგორც ჩანს, საზოგადოების განვითარების პროცესში მომხდარმა ღრმა სოციალურმა გარდატეხებმა განაპირობა. თუმცა, არ არის აუცილებელი, რომ ამგვარი მოვლენა მხოლოდ ერთი მიზეზით იყოს გამოწვეული, სავსებით შესაძლებელია იგი რამოდენიმე ფაქტორით აღმოჩნდეს განპირობებული. მოცემულ შემთხვევაშიც, საფიქრებელია, რომ საზოგადოების შინაგანი, პროგრესული ხაზით განვითარებასთან ერთად ამგვარი რადიკალური ცვლილებები ახალ, მიგრაციულ ფაქტორსაც გამოეწვია. ყველა შემთხვევაში ანგარიშგასაწევია ის კულტურული ტრანსფორმაციები, რასაც ადგილი ჰქონდა პოსტ-მტკვარ-არაქსულ პერიოდში და ამ უცხო კულტურული ნაკადის გამოჩენა ახსნას მოითხოვს. ამდენად, ადრეყორღანული კულტურა სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცვლილებების დადგომას მოასწავებდა სამხრეთ კავკასიაში და ამ ნიშნით იგი ახალი ეპოქის – შუა ბრინჯაოს ხანის დასაწყისად უნდა იქნეს მიჩნეული.

ადრეყორღანული კულტურის კერამიკაზე საგანგებოდ ყურადღების შეჩერება აუცილებლად ვცანი მისი და თრიალეთის ბრწყინვალე კულტურის დახვეწილი მოხატული ნაწარმის ურთიერთმიმართების და მათი გენეტიკური კავშირის არარსებობის საილუსტრაციოდ. ამასთან, აღვნიშნავ, რომ ჩვენს მიერ შერჩეული პრობლემატიკა ამგვარი სამუშაოს ჩატარებას მომავალში აუცილებლად საჭიროებს. საჭიროა ზუსტად ილუსტრირდეს ის სუბსტრატული პლასტი და წანამდგრები მთელი სამხრეთ კავკასიის მასშტაბით, რომელზედაც ჩამოყალიბდა მაღალგანვითარებული თრიალეთური მოხატული პროდუქცია.

ამჯერად, კვლევის ამ ეტაპზე კი შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ თრიალეთური კულტურის „წყლის სქემის“ მოტივით მოხატული კერამიკა არის ერთ-ერთი წამყვანი ნაწარმი მთელი მატერიალური კულტურის ნიმუშებიდან, რომელზე დაყრდნობითაც ყველაზე უკეთ ილუსტრირდება სამხრეთ კავკასია-წინააზიური კონტაქტების ფაქტი.

ამჯერად, ამ ქრონოლოგიურ მონაკვეთთან დაკავშირებით აღვნიშნავ მხოლოდ საკვლევ თემასთან – მოხატულ კერამიკასთან – მიმართებით ნიშანდობლივ შემდეგ ფაქტს: ადრეყორღანულ კულტურას, არც მისი

გამოჩენის და არც განვითარებული ფაზის საფეხურზე ასევე არ ახასიათებს ისეთი სიახლე, როგორცაა მოხატული კერამიკა. ეს ფაქტი გარკვეულ გაკვირვებას იწვევს იმ მხრივ, რომ სინქრონული ეპოქის მთელი მახლობელი აღმოსავლეთი, წარმოდგენილი სულ სხვადასხვა კულტურებით, ხასიათდება სწორედ მოხატული კერამიკის არსებობის დომინირებით. ამ დროს კი სამხრეთ კავკასია, რომლის სასახლვრო ტერიტორია მახლობელი აღმოსავლეთის უკიდურესი ჩრდილო პერიფერიაა, ამგვარ არტეფაქტებს საერთოდ არ იცნობს. ამ ფაქტს, კერძოდ კი იმას, რომ თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურამდე, სამხრეთ კავკასიაში მოხატული კერამიკა არ არის გავრცელებული, რა თქმა უნდა, თავისი ღრმა მიზეზები აქვს და ეს საკითხი დღემდე თეთრ ლაქად რჩება კავკასიის არქეოლოგიაში. ამასთან ერთად, უადრესად საყურადღებოა ის საკითხიც თუ რა მიზეზებმა გამოიწვია მოხატული კერამიკული პროდუქციის ასე ერთბაშად გამოჩენა თრიალეთის კულტურის გამოჩენის პარალელურად ან რას უკავშირდება ამ პროდუქციის ასე დახვეწილი ნიმუშების ერთბაშად გამოჩენა ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან ყოველგვარი წინაპირობის გარეშე ლოკალურ გარემოში? საინტერესოა ისიც, თუ საიდან შეიძლება მომდინარეობდეს ეს ტრადიცია და რა გავლენებს ასახავს ის.

ამდენად, სამხრეთ კავკასიაში მოხატული კერამიკის გამოჩენის, წარმომავლობისა და მისი ხასიათის პრობლემა რთული და გამოკვეთილად აქტუალური საკითხია, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შუა ბრინჯაოს ეპოქაში ძველადმოსავლური სამყაროს და სამხრეთ კავკასიის კავშირურთიერთობების კვლევის ასპექტით.

იგი ერთ-ერთი მსხვილი პრობლემაა პრეისტორიის ეპოქის ჯერ კიდევ სათანადოდ შეუსწავლელ საკითხთა სპექტრში და ამდენად მკვლევართა აქცენტის ობიექტიც. მხედველობაში მაქვს, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნულ რეგიონებს შორის კონტაქტების ხასიათის, ცალკეული ქრონოლოგიური ეტაპების მიხედვით ამ ურთიერთობათა ინტენსივობის გარკვევის და სხვა პირველხარისხოვანი პრობლემები, რომლებიც აშკარად იკვეთებიან, ერთი მხრივ მოხატული კერამიკის, ხოლო მეორე მხრივ, წინააზიურ – სამხრეთ კავკასიური კავშირურთიერთობის საკითხების კვლევის დროს. ამიტომ მოხატული კერამიკის გენეზისის კონტექსტში ამ პრობლემათა გაშუქებას არსებით და სამომავლო პერსპექტივის მქონე საკითხად ვთვლი.

მოხატული კერამიკის გამოჩენა უძველეს მახლობელ აღმოსავლეთსა და სამხრეთ კავკასიაში (უნდა ითქვას, რომ მთელს კავკასიაშიც) ასინქრონულად მოხდა და მხოლოდ შუა ბრინჯაოს ეპოქის განვითარებული ფაზა აღმოჩნდა ის წყალგამყოფი ეტაპი, როცა ამ უკანასკნელ რაიონში დაიწყო მოხატული სამეთუნეო პროდუქციის წარმოება. ამასთან ეს ქრონოლოგიური ინტერვალი მათ სტარტს შორის საკმაოდ დიდია სამხრეთ კავკასიაში გარდა გამოწვევის შემთხვევებისა (ოზნის, ქვაცხე-

ლების (ურბნისი) და მუხანათ-თაფას სტრატეგრაფიული მონაცემები) შუა ბრინჯაო II –მდე ეს მასალა არ ჩანს. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ აზერბაიჯანში მიმდინარე გათხრებმა შესაძლოა გარკვეულად შეცვალოს ვითარება.

არაერთ კითხვას ბადებს სწორედ ის ფაქტი რომ კავკასიაში ასე მოგვიანებით დაიწყო მოხატული კერამიკის ტრადიციის არსებობა. გასარკვევია თუ როგორ მოხდა და რით შეიძლება აიხსნას ის, რომ წინა აზიის ჩრდილო ნაწილსა და სამხრეთ კავკასიას შორის ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისამდე არსებული კავშირურთიერთობების მიუხედავად, მოხატული კერამიკა ამ უკანასკნელი გარემოსათვის საკმაოდ დიდხანს დარჩა უცხო ნაწარმად.

ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული ფაქტობრივი მონაცემები რეალური ვითარების კონსტატაციის აუცილებლობას ქმნის და ზოგად შტრისებში ასეთ სურათს იძლევა: 1. სამხრეთ კავკასიის რეგიონი წინა აზიის ყველა ცალკეულ მონაკვეთთან შედარებით მოხატული კერამიკული ნიმუშების პირველად გამოჩენის მხრივ რამოდენიმე ათასწლეულით ჩამორჩება ძველადმოსავლურ ცივილიზაციათა ცენტრებს. 2. ეს შთაბეჭდილებას ქმნის, რომ ამ რეგიონისათვის მოხატული კერამიკა უცხო და არალოკალური მასალაა. 3. მისი გამოჩენა სამხრეთ კავკასიაში ემთხვევა მხოლოდ შუა ბრინჯაოს ხანის განვითარებულ, II ფაზას (Puturidze 2005:11) და თრიალეთურ კულტურას უკავშირდება. ამ დროს სამხრეთ კავკასიაში გამოჩენას იწყებს ვანი-ურმიისპირეთის აუზის ანალოგიური მასალა. 4. მოხატული კერამიკის ის ტიპი, რომელიც „წყლის სქემის“ მოტივად იდენტიფიცირდება სინქრონულად არსებობს წინა აზიისა და სამხრეთ კავკასიის ერთ სრულიად გარკვეულ არეალში. ამ ვითარების დაფიქსირებასთან ერთად შევეცდები მის გაანალიზებას მახლობელი აღმოსავლეთთან ურთიერთობის საკითხთან კონტექსტში.

მოხატულ კერამიკასთან დაკავშირებული პრობლემები და მისი კვლევის სირთულე სხვასთან ერთად განპირობებულია იმითაც, რომ სამხრეთ კავკასიაში სულ სხვადასხვა კულტურებისათვის დამახასიათებელი მოხატული პროდუქცია გვაქვს წარმოდგენილი, რაც უპირველესად მათი ურთიერთმიმართების საკითხის გარკვევის წინაშეც გვაყენებს.

შუა ბრინჯაოს ხანიდან (აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ მის სხვადასხვა ეტაპზე) სამხრეთ კავკასიაში წარმოდგენილი გვაქვს ოთხი სხვადასხვა მოხატული კერამიკა – თრიალეთის, სევან-უზერლიკის, კარმირ-ბერდის და ყიზილ ვანქის კულტურების (Кушнарева К. 1993: 124-171).

ისიც უადესად სიმპტომატური მოვლენაა, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის სრულიად დასაწყისიდან ვიდრე ძვ. წ. XV-XIV სს. ჩათვლით სამხრეთ კავკასიაში ფუნქციონირებულ უკლებლივ ყველა კულტურული წარმონაქმნისათვის ხაზგასმით დამახასიათებელია მოხატული კერამიკის არსებობა, რომელიც მანამდე საერთოდ არ იყო წარმოდგენილი ამ რეგი-

ონში. უადრესად მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა მოვლენებს უკავშირდება მოხატული კერამიკის როგორც ახალი და მანამდე უცნობი კულტურული მოვლენის გამოჩენა და მძლავრ ნაკადად მოწოლა სამხრეთ კავკასიისაკენ. ეს გახლავთ განსხვავებული მხატვრული სტილის, ორნამენტული დატვირთვის და ტიპის მოხატული ნიმუშები. ისინი მკაფიო სხვაობას ამჟღავნებენ ფერთა გამის ტონალობის, მოხატვის სტილის, თვით ჭურჭლის ფორმის და მის სხვადასხვა მონაკვეთებზე დეკორის განთავსების, და ბოლოს, ორნამენტულ მოტივებს შორის არსებითი სხვაობის მიხედვით.

თრიალეთის კულტურის დადგომასთან ერთად იწყება მოხატული ტრადიციის როგორც სამეთუნეო ხელოსნობის ახალი და გამორჩეული სფეროს ფორმირება, მისთვის დამახასიათებელი ტექნიკური ხერხებისა და სტილისტური ნიშნების ჩამოყალიბებით. ამ კულტურის დაწყებით ფაქტიურად სამხრეთ კავკასიის კულტურულ სინამდვილეში იწყება მოხატული სამეთუნეო ნაწარმის გამოჩენა, და შესაბამისად, სტარტს იღებს ეს ტრადიცია.

მაგრამ როგორც ეს ყოველი სიახლის დასაწყისს ახასიათებს, აქაც, დასაწყისში უნდა გვექონოდნენ ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი და პრიმიტიული სახეები და მარტივი კომპოზიცია, შესრულების დაუხვეწელი ხერხები, სტილისტურად ლიმიტირებული ტიპები და დეკორშიც – სიუჟეტური ერთფეროვნება, მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ, თრიალეთური მოხატული კერამიკა გამოჩენისთანავე ამჟღავნებს ისეთ მრავალფეროვნებას მხატვრულ სახეების და სიუჟეტური კომპოზიციის მხრივ, რომ სრულიად ცალსახად ტოვებს ამ პროდუქციის არა დასაწყისის, არამედ მისი აყვავების საფეხურზე ყოფნის შთაბეჭდილებას (Куртин 1941: табл. LXXVI-LXXXIII). მონოქრომულ მოხატულ კერამიკაზე გადმოცემული ე. წ. „წყლის სქემის“ სიუჟეტი საკმაოდ მრავალფეროვანია მხატვრულ-სტილისტურად (Кушнарева К. 1993: 124-171; ფუთურიძე, 1984: 64-76). ამასთან ეს მრავალფეროვნება თვალსაჩინოა რეგიონული პარამეტრის მიხედვითაც.

თრიალეთის კულტურის მოხატული ნიმუშები (ვგულისხმობ მხოლოდ წითელ ფონზე შავი საღებავით მოხატულ ჭურჭელს) ხასიათდება ორი მთავარი ტენდენციით: გეომეტრიული სახეებისა და ფიგურების კომბინირების შედეგად ჩამოყალიბრებული ე. წ. „წყლის სქემის“ მოტივისა და მისი სხვადასხვა ვარიაციების გადმოცემით, და მეორე – მკაცრად განსაზღვრული სახეების ფარგლებში გადმოცემული მაგრამ მხატვრულად შთაბეჭდავი და მდიდრული ორნამენტული თემით (ფუთურიძე 1984: 64-76). თრიალეთური მოხატული კერამიკისთვის სპეციფიკურ დეკორში ჭარბობს ის თემა („წყლის სქემა“), რომელიც წამყვანია ვანი-ურმიისპირეთის მასალისათვის და ასევე ზოგიერთი მხატვრული სახე (ან დეტალი), რომელიც ადგილობრივ შავპირილა კერამიკაზე გვაქვს და მის რემინისცენციას იწვევს.

რაც შეეხება სევან-უზერლიკის, თაზაკენდის (კარმირ-ბერდის) და კარმირ-ვანქის მოხატულ კერამიკას, მათთვის დამახასიათებელი ორნამენტული თემების და თვით მხატვრული კონცეფციის მხრივ, ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ნაკლებად ავლენენ საერთო შტრიხებს. მათთვის სულ სხვა გეომეტრიული სახეები და მათი კომბინირების განსხვავებული და ბევრად მარტივი სქემებია დამახასიათებელი (Кушнарева К. 1993: 124-171; ფუთურიძე 1984: 64-76).

ყველა ამ კულტურის მოხატული ნიმუშებისთვის ხაზგასმულად გამოკვეთილ საერთო დეტალს წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ფერთა საერთო გამა: წითელ ფონზე შავი საღებავით შესრულებული ნახატი. თუმცა ფერების სიმძაფრისა და სიღრმის განსხვავებული დატვირთვა გვაქვს.

ამჯერად ყველა ამ კულტურათა მოხატული ჭურჭლის დახასიათებას ვერ ჩაუვლრმავედებით და მხოლოდ თრიალეთური კულტურის მოხატულ ნიმუშებზე გვაქვს აქცენტი.

ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებიდან ცალსახაა ის ფაქტი, რომ სწორედ თრიალეთის კულტურა აღმოჩნდა ის რეალობა, სადაც პირველად იჩინა თავი საერთოდ მოხატული კერამიკის ტრადიციამ, თანაც აშკარად წინა აზიის ჩრდილო არეალისთვის დამახასიათებელი სტილისამ. ეს მაშინ, როცა წინა აზიის თითქმის მთელი ტერიტორია ანატოლიიდან დაწყებული ირანის პლატოს ჩათვლით, განსაკუთრებით კი ჩრდილო ევფრატის აუზისა და სირიის ტერიტორია ყველაზე ინტენსიურად იყო წარმოდგენილი სწორედ მოხატული კერამიკით ბევრად ადრე, ვიდრე ეს ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისია. აქედან გამომდინარე, რასაკვირველია, გაკვირვებას იწვევს როცა მახლობელი აღმოსავლეთის მომიჯნავე ტერიტორია და უშუალოდ მისი ჩრდილო პერიფერია, ფაქტობრივად შეუღწეველი აღმოჩნდა ამ მასალისათვის ბრინჯაოს ეპოქის განვითარებულ ფაზამდე.

არქეოლოგიურად დადასტურებული ეს ფაქტი კი ბევრ შეკითხვას წამოჭრის, რომელთა მოკლედ ფორმულირებასა და თავმოყრას აქვე მოვიტან. კერძოდ, უადრესად არსებითია გაირკვეს: ა) თუ როგორ მოხდა და რით შეიძლება აიხსნას ის, რომ წინა აზიის ჩრდილო მიწებსა და სამხრეთ კავკასიის უდიდეს ნაწილს შორის ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისამდე არსებული ურთიერთკავშირის მიუხედავად (რაც სხვადასხვა მასალებით ვლინდება) მოხატული კერამიკული პროდუქცია ამ უკანასკნელი არეალისათვის საკმაოდ დიდხანს დარჩა უცხო; ბ) სად და როგორ არის წარმოდგენილი და თავმოყრილი მოხატული კერამიკა სამარხეულ კომპლექსებში. არის ისინი მობილიზებული პრესტიჟულ და ცენტრალურ ადგილას როგორც გამორჩეული მნიშვნელობის ნივთი თუ სხვა კერამიკულ ნიმუშებთან ერთიან ანსამბლად არის წარმოდგენილი; გ) ყოველთვის, ყველა სამარხეულ კომპლექსებში მოხატული ნიმუშები ერთგვარ

და ერთი ტიპის სამარხეულ ინვენტართან კომპლექსში გვაქვს მოცემული თუ არა. რამდენად შეიძლება მიანიშნებდეს ის დაკრძალულ პირთა სოციალურ სტატუსზე და სხვა.

ყველა ამ საკითხებს, ვფიქრობ, უდავოდ უნდა მიქცეს ყურადღება და უპირველესად რამდენიმე მსხვილ სადისკუსიო პრობლემად იქნეს დიფერენცირებული.

ამ კითხვებს შეეხო და მათგან მცირე ნაწილზე გარკვეულად სცადა პასუხი გაეცა თურქმა არქეოლოგმა ა. ოცფირატმა, რომელმაც სადოქტორო ნაშრომი აღმოსავლეთ თურქეთის ტერორიაზე გავრცელებულ მოსატული კერამიკის შესწავლას მიუძღვნა (Ozfiyat 2000). მიუხედავად ამისა, უნდა ვთქვათ, რომ საკითხთა რიგი, რომლებიც გადაუდებელ შესწავლას საჭიროებს დღესაც საკმაოდ ბევრი და მწვავეა. აქედან გამომდინარე ვთვლი, რომ ამ სპეციფიკური სამეთუნეო პროდუქციის მხოლოდ სამხრეთ კავკასიის, ჩრდილო ირანის და აღმოსავლეთ ანატოლიის გეოგრაფიული მასშტაბით წარმართული კვლევა შეიძლება აღმოჩნდეს წარმატებული და მისმა შესწავლამ გახსნას ზოგი რთული კვანძი.

როგორც დაგინახეთ, სამხრეთ კავკასიის ბრინჯაოს ეპოქის კულტურათა მთელს მრავალფეროვნებაში განსაკუთრებით შთამბეჭდავი ძეგლებით, მანამდე არნახული კულტურულ-ეკონომიკური აყვავების დონითა და მასთან ერთად გადაუჭრელ საკითხთა რაოდენობითაც გამორჩეული ადგილი უკავია თრიალეთურ კულტურას. მისადმი მძაფრი ინტერესი კი, ვფიქრობ, განაპირობა არა მხოლოდ თრიალეთური სამარხეული მასალების განსაკუთრებულად დახვეწილ და მდიდრულ ანსამბლთა შთამბეჭდაობამ, არამედ ძველი სამყაროს ამ რეგიონში ძვ. წ. III-II ათასწლეულთა მიჯნაზე მიმდინარე რთული და ჯერ კიდევ ბოლომდე გაუგებარი მოვლენებისა და ეთნიკურ ერთეულთა გადაადგილების ფაქტმაც. სწორედ მისი ახსნის და კულტურული კავშირების გზით ზეგავლენის კვლევის მცდელობას წარმოადგენს ეს ნაშრომი, რომელიც, უდავოდ, მომავალშიც უნდა გაგრძელდეს და მეტი კონკრეტულობა და სინათლე შეიტანოს ჯერ კიდევ ღიად დარჩენილ საკითხებში.

M. P u t u r i d z e (Tbilisi)

Towards the problem of distribution of painted pottery at the beginning of the II Millenniums B. C. in South Caucasus

The central and eastern Transcaucasia – a vast historical-cultural area located among the South Russian steppes and the Near East – was from very end of III and the early II millennium B. C. populated by the ethno-cultural group, bearer of the Trialeti Culture.

The complex historical processes that found reflections in the archaeological materials of Old Babylonian period Trialeti Culture, characterized with mass of innovations and essential changes in social, economical and cultural spheres. It should be mentioned that the Trialeti Culture has an exclusive place in Caucasian Middle Bronze Age problematic not only with its splendid and excellent materials of high artistic craft but also with the number of unclear and complex questions. One of them is the problem of origination of the painted pottery of this culture.

It should be noted that in a vast area of South Caucasus represented various styles of painted ware – painted monochrome and polychrome pottery. They greatly differs from each other and belongs to various MBA cultures. They differs first of all by facture of clay, its burning, motifs of ornamentation and artistic style of decoration. My paper deals to only one style of painted pottery which is represented in famous Trialeti Culture.

Especially impressive, very specific and different from all other types production is the painted pottery of so called „water scheme“ motif which starts to appeared in South Caucasian region at the very end of III and beginning of the II millenniums B. C. This chronological interval means the emerge of the famous Trialeti Culture. From the beginning I wander to note that before this most flourished Middle Bronze Age (MBA) culture in South Caucasus painted ware was an unknown material which means that the knowledge of manufacturing of this type of vessels Trialeti Culture couldn't be able to accept from previous local pottery tradition.

This time period of prehistory characterized with starting of mass of innovations in material culture as well as in social, economical and cultural spheres of life of the local population. Among these varieties of innovations in material culture one of the very distinguishable seems the painted ware assemblage.

Dynamic of continuity of the painted ware as the specific type in pottery production shows that not before the Trialeti Culture as well as not during the succeeding peri-

od this type of ware doesn't characterize the region of South Caucasus, i.e. neither the Kuro-Arax nor the Early Kurgans Cultures. So, from all range of Bronze Age only the Middle Bronze Age II was distinguished by existence of the symptomatic variations of painted pottery as the new material. It means that painted pottery ware clearly was not the local tradition and therefore we should pay more attention toward the contemporary Near Eastern pottery traditions. Exactly from the viewpoint of manifestation this kind of artifacts there is definitely observed a radical distinction between the different areas of Near East and South Caucasus during all eras before the MBA II. For the first one painted ware was very familiar production difference from the South Caucasus through all the Chalcolithic- and Early Bronze Ages. This is one of the main issue which should be emphasized when discussing about the problem of Transcaucasian painted pottery.

Very important detail for the understanding of this innovational production at the definite stage of MBA is the two different variations of painted pottery: black painting on red surface hydrias with „water scheme“ motif and quite another decoration represented by the brown painting on buff surface of huge vessels.

It should be emphasized that up to that stage non of the mentioned styles were common for the South Caucasian geocultural space. Owing to this in the paper special attention focused on the comparative analyze of painted production with Near Eastern analogues and also discussing the problem of origination of this kind of pottery ware in South Caucasus.


From this point of view it seems also significant consideration of aspect of distribution of this pottery. I should clarify that sufficient amount of it discovered in Tsalka-Trialeti region, two examples of such wares were found in Meskheta kurgans. All this sites located in most southern part of Georgia and bordering with Armenian plateau and NW Azerbaijan where painter pottery represented much more widely. So, the map of distribution of „water scheme“ painted items definitely manifests their concentration in one southern region of South Caucasus which situated very closely to the Near East.


Their occurrence on the territory of inner (Shida) Kartli is very rare: an occasional find of such vessel is known in Narekvavi (near by Mtskheta). Further north, a similar vessel was recorded in the village of Prinevi. North of this are the monochrome painted pottery of „water-scheme“ motif has not so far been found. It is symptomatic that this type of pottery is particularly characteristic of the complexes of the Ararat valley and, generally, of the territory of current Armenia. The illustration for this seems the discovery of this production from the burial sites of Voskevaz, Garni, Elar Echmialdzin, Yerevan, Aghavnatun, Karmir Berd, Noratus, Arich Vanalzor (Kirovakan), Kirgi, Dvin as well as from a large number of other interments and cultural levels. Thus, the major part of monochrome painted pottery is concentrated in central and southern areas of the valley, though it occurs in other parts of Armenia as well. Another impressive amount of such type of pottery ware comes from north-western part of current Azerbaijan. Nakhichevan, Aznabyurt, Gyandja-chai, Zurnabad and Kars region have also yielded evidence of this pottery. Such radiation of the „water-scheme“ motif of painted pottery enables to suggest that it was not equally characteristic of every region of the famo-


us Trialeti Culture. The sparsest of it in materials from Kartli, Kakheti and, partly, Meskheta offers one of the peculiarities of the variant localized in this region, since there have been only very rare finds of painted pottery on a large number of middle bronze sites revealed here during the past years. In our judgment, the above speaks in favor of southern distribution of the indicated pottery. It is concentrated particularly in southern regions of the South Caucasus whence it is likely to penetrate the outlying areas in the north and east. For a correct interpretation of the issue of the genesis painted pottery of the Trialeti Culture, it seems necessary to carry out a comparative study of this pottery with analogical items from the definite areas of the Near East. Research conducted in this direction seems most promising to clear out the problem of appearance „water-sheme“ style painted pottery in South Caucasus.

On the other side attention is paid toward the comparison of the above discussed pottery ware with analogous type of clay production of the other Middle Bronze Age Transcaucasian cultures. Research conducted in this direction showed that the painted pottery of the Trialeti Culture furnishes a qualitatively new material which is not related to either the Karmir Berd, Sevan-Uzerlik or Karmir Vank painted vessels. Thus, monochrome painted items of the Trialeti Culture stand quite apart from painted materials of other Middle Bronze Age cultures of Transcaucasus.



In the culture under consideration these elaborate vessels of high artistic value appear suddenly in a completed form without any preceding stage showing the process of their formation, without any early evidence of these wares. These type of painted pottery has no direct prototypes in South Caucasus to which it could be related. In spite of the fact that single finds of painted pottery have been recorded from the sites of late Early Bronze Age, only in a definite area of South Caucasus, they nevertheless do not furnish the basis for explaining of sudden flourishing of the above considered pottery in the succeeding period. Elucidation of one specific type of painted pottery allowed to assume that it should be appeared in South Caucasian Trialeti Culture by the help of cultural influence from South.











ლიტერატურა

გოგაძე 1972 – გოგაძე ე. თრიალეთის ყორღანული კულტურის პე-რიოდიზაცია და გენეზისი. თბილისი, 1972.

საქართველოს არქეოლოგია 1992 – საქართველოს არქეოლოგია. ტ. II. თბილისი, 1992.

ფუთურიძე 1984 – ფუთურიძე მ. ცენტრალური და აღმოსავლეთ ამი-ერკავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის მონოქრომული მო-ხატული კერამიკის პრობლემისათვის. – ახეთის არქეოლოგიური ექსპე-დიციის შრომები. ტ. VI. თბილისი, 1984, გვ.64-76.

ჯაფარიძე 1969 – ჯაფარიძე ო. არქეოლოგიური გათხრები თრია-ლეთში. თბილისი, 1969.

Cilingiroğlu 2001 – Cilingiroğlu A. The Second Millennium Painted Pottery Tradition of the Van Lake Basin. – Anatolian Studies. # 34. 1984, 129-139.

Özfiat 2001 – Özfiat A. Doğu Anadolu Yayla Kültürleri. Istanbul. 2001.

– Puturidze M. Social and Economic Shifts in the South Caucasian Middle Bronze Age. – Archaeology in the Borderlands. Investigations in Caucasia and Beyond. Eds. A. Smith & K. Rubinson. Los Angeles. 2003. pp. 111- 127.

Puturidze 2005 – Puturidze M. About the Problem of South Caucasian – Near Eastern Cultural Relations According to the Items of Artistic Craft During the First Half of the II Millennium BC. – in: METALLA. # 12. 1/2. Bochum, 2005, pp.8-22.

Rubinson 1994 – Rubinson K. Eastern Anatolia Before the Iron Age: A View From Iran. –in: Anatolian Iron Ages 3. The Proceedings of the Third Anatolian Iron Ages Colloquium held at Van, 6-12 August 1990. Eds, A. Cilingiroğlu & D. French. – 1994, pp.199-203.

Rubinson 2005 – Rubinson K. Second Millennium BC. Painted Potteries and problems of Terminologies. – in: Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan. Band 37. Berlin, 2005, pp.133-138.

Куфтин 1941 – Куфтин Б. Археологические раскопки в Триалети. – Тби-ლისი, 1941.

Кушнарева 1993 – Кушнарева К. Южный Кавказ в IX-II тыс. до н.э. Эта-пы культурного и социально-экономического развития. С.-Петербург, 1993.

Кушнарева 1994 – Кушнарева К. Памятники Триалетской культуры на территории Южного Закавказья. – Археология. Ранняя и средняя бронза Кавказа. М. 1994. сс. 93-105.

Кушнарeвa 1994 – Кушнарeвa К. Кармирбердская (Тазакендская) культура. – Археология. Ранняя и средняя бронза Кавказа. М. 1994. сс.106-117.

Кушнарeвa 1994 – Кушнарeвa К. Севано-Узерликская группа памятников. – Археология. Ранняя и средняя бронза Кавказа. М. 1994. сс.118-127.

Кушнарeвa 1994 – Кушнарeвa К. Материалы к проблеме выделения кармирванкской (кызылванкской) культуры. – Археология. Ранняя и средняя бронза Кавказа. М. 1994. сс.128-132.

Мартирoсян 1964 – Мартирoсян А. Армения в эпоху бронзы и раннего железа. Ереван, 1964.

Симонян 1982 – Симонян А. Кармир-бердская культура по материалам периода средней бронзы Армении. – Тезисы докладов. Ереван, 1982.

Ханзадян 1969 – Ханзадян Э. Гарни IV. Ереван, 1969.

ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე (თბილისი)

**კავკასიის უძველესი მოსახლეობის ადრეული
ეთნოგენეზის საკითხები**

კავკასიის ხალხების წარმომავლობის, მათი პირველსაცხოვრისის საკითხი ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა, რასაც კავკასიის განსაკუთრებული მდებარეობა განსაზღვრავდა ევროპასა და აზიის შესაყარზე. აქ გადიოდა ერთ-ერთი დამაკავშირებელი გზა წინა აზიასა და ევროპას შორის. კავკასია ძველთაგანვე ხალხთა დიდი გადაადგილების ასპარეზი იყო. ჩანს, ამ გზით მოძრაობდა აფრიკის მატერიკიდან პირველი ევროპელი. განსაკუთრებულ ინტერესს კავკასიის მოსახლეობის სიჭრელე იწვევდა, რასაც ჯერ კიდევ ძველად მიექცა ყურადღება. კავკასიას უწოდებდნენ „ენათა მთას“, „ხალხთა ჭიანჭველების ბუდეს“, „ეთნოგრაფიულ მუზეუმს“ და სხვ.

პირველი ცნობები კავკასიელი ტომების წარმომავლობის შესახებ „დაბადებაში“ გვხვდება. ისინი მოიხსენიებიან ძველ აღმოსავლურ წერილობით წყაროებში, ბერძნულ-რომაულ მწერლობაში და სხვ. ისტორიის მამა ჰეროდოტე დაინტერესებულა კოლხების წარმომავლობით და აღინიშნა მათი გენეტიური ნათესაობა ეგვიპტელებთან. ეს მოსაზრება ძველად საკმაოდ პოპულარული იყო.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ფეოდალური ხანის ქართულ საისტორიო მწერლობაში დაცული ცნობები კავკასიელი ტომების წარმომავლობის შესახებ. უაღრესად საგულისხმო ცნობები მათი წარმოშობის შესახებ გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში“, რომელიც ლეონტი მროველის თხზულებაშია შემონახული. აქ ეთნოგენეზთან დაკავშირებული საკითხები ბიბლიური სიუჟეტის ფონზეა წარმოდგენილი. მროველი სრულიად თავისებურ კონცეფციას აყალიბებს, სადაც კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის საერთო წინაპრიდან მომდინარეობის აზრია გატარებული. აქ მროველი სრულიად ორიგინალური თეორიის შემოქმედია. საყურადღებოა, რომ ეს შეხედულება სწორედ ქართულ სინამდვილეში დაიბადა და შემდეგ კავკასიის ერებში გავრცელდა. კავკასიაში დღეს შექმნილ ვითარებაში ეს იდეა კიდევ უფრო აქტუალურია. ივ. ჯავახიშვილმა სავსებით მართებულად შენიშნა, რომ ამ კონცეფციას, გარდა წმინდა მეცნიერული ინტერესისა, გარკვეული პოლიტიკური დატვირთვაც უნდა ჰქონოდა.

კავკასიაში ფართოდ გაშლილმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ სრულიად ახლებურად დააყენა მკვიდრი ხალხების წარმოშობისა და პირველსაცხოვრისის საკითხი. კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა კავკასიის როლი, მისი ავტოქტონი მოსახლეობის წვლილი მახლობელი აღმოსავლეთის ძველ ისტორიაში. თანდათან იცვლება შეხედულება მათი წინაპრების სამხრეთიდან გადმონაცვლების შესახებ.

კაცობრიობის გარიჟრაჟიდან ადამიანი კავკასიაში უწყვეტად განაგრძობს არსებობას უძველესი ისტორიის მთელ მანძილზე.

უკანასკნელი ხანების აღმოჩენებმა დმანისის ფეოდალური ხანის ნაქალაქარზე სრულიად ახლებურად დააყენა კავკასიაში პირველი ადამიანის გამოჩენის საკითხი და საერთოდ შეცვალა შეხედულება ევრაზიის სივრცეში მისი გავრცელების საწყის ეტაპზე. გაირკვა, რომ პირველყოფილი ჰომო კავკასიის მიწა-წყალზე დაახლოებით 1 800 000–1 700 000 წლის წინათ უნდა გამოჩენილიყო. დმანისელი ადამიანი ერთ-ერთი პირველი მიგრანტი უნდა ყოფილიყო აფრიკის მატერიკიდან ევრაზიისაკენ მიმავალ დიდ გზაზე. მაგრამ როგორი იყო კავკასიაში დმანისელის შემდგომი ბედი მთლად ნათელი არ არის. დმანისის სადგომის უშუალოდ მომდევნო ხანის ძეგლები ჯერჯერობით ცნობილი არ არის. აქ გამოვლენილი ძველი ქვის ხანის, პალეოლითის ადრეული საფეხურის, აშელური ეპოქის ძეგლებს დმანისის სადგომიდან დაახლოებით ერთი მთლიანი წელი აშორებთ. არ არის გამორიცხული ვარაუდი, რომ აშელური ხანის მკვიდრნი დმანისელი ადამიანის უშუალო შთამომავალნი ყოფილიყვნენ და შემდგომი კვლევა-ძიება ალბათ ამ ხარვეზს შეავსებს. თუმცა არც ის შესაძლებლობაა მთლად უგულებელსაყოფი, რომ აფრიკის მატერიკიდან, რომელიც პირველყოფილი ადამიანის სამშობლო უნდა ყოფილიყო, აშელის დიდი ექსპანსიის დროს, დმანისელი ადამიანის მიერ ერთხელ უკვე გაკვლეული გზით კავკასიისაკენ მიგრანტების ახალი ტალღა ვრცელდება და საკმაოდ მყარად მკვიდრდება აქ. როგორც ჩანს, ამ დროს, ქვედა პალეოლითში კავკასიაში ხელსაყრელი გარემო არსებობდა აშელ-მუსტიეს ხანის ადამიანის ცხოვრებისათვის. პირველყოფილი ჰომო საკმაოდ ინტენსიურად ითვისებს მთელ კავკასიას, სადაც კარგადაა ცნობილი ამ ხანის ძეგლები თითქმის ყველა ლანდშაფტურ ზონაში. ამ უშორეს ხანიდან ჩვენამდე უპირატესად ქვის იარაღმა და ადამიანის ნასუფრალმა, ძირითადად ძელოვანმა ნარჩენებმა მოაღწია. შედარებით იშვიათად პალეოანთროპოლოგიური მასალაც გვხვდება.

კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟზე მიმდინარე პროცესების მეტნაკლები სისრულით აღდგენა ძირითადად არქეოლოგიური მონაცემებითაა შესაძლებელი. კავკასიაში ამ დროს ქვის ინდუსტრიის საერთო ხასიათი გენეტიკურად ერთიანი მოსახლეობის ვარაუდის საფუძველს იძლევა. ეთნოსის განმსაზღვრელ ნიშნად ძირითადად კულტურა და ენაა მიჩნეული. მაგრამ უკანასკნელის შესახებ პირველყოფილ სტადიაზე არაპირდა-

პირი მონაცემებით, თუ იქნება შესაძლებელი რაიმეს თქმა. ამ უადრეს ხანაში ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი კულტურაა, რომელიც იმ პრიმიტიულ ქვის იარაღში ვლინდება ადამიანის წარმოქმნასთან ერთად რომ იწყებს გამოჩენას. საგარაუდოა, რომ უშორეს წარსულში მსგავსი არქეოლოგიური კულტურის მატარებელი მოსახლეობა საერთო წარმომავლობისა უნდა ყოფილიყო. კავკასიაში კულტურის ხასიათში არ შეინიშნება მაინცადამაინც საგრძნობი ცვლილებები. იგი ჩანს, ის რეგიონი უნდა ყოფილიყო, სადაც ადგილობრივ უნდა ჩამოყალიბებულიყო ეთნიკური და კულტურული ერთობა. არქეოლოგიურ კულტურას შეესაბამებოდა, ალბათ, აგრეთვე ენაც, რომელიც ძირითად საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებდა. მეტყველება ჩანს, ჩნდებოდა ადამიანის წარმოქმნასთან ერთად, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით ერთი აზრი არ არსებობს. ბგერითი ენის საშუალებით გადაიცემოდა, ალბათ, ქვის იარაღის დამზადების ტრადიცია. მიგრაციის დიდ გზაზე პირველყოფილ ადამიანს გაუძნელებოდა შორი მანძილების დაძლევა გაგებინების გარეშე. გაგებინების ძირითადი საშუალება კი, ალბათ, პრიმიტიული ენა უნდა ყოფილიყო. ამ უადრეს ხანაში კავკასიის მიწა-წყალზე ბინადარ მოსახლეობას ქვის ინდუსტრიის მყარი ტრადიციები გააჩნდა, რაც, ალბათ, ეთნიკური ერთობის მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ამ დროის ამ დიდ მანძილზე კავკასიის შიგნით და მის გარეთაც ადგილი ექნებოდა ადამიანთა ჯგუფების გადანაცვლებას, მაგრამ ამას რაიმე შესამჩნევი ზეგავლენა ადამიანთა ცხოვრებაზე, ჩანს, არ მოუხდენია, რაც უთუოდ მეტ-ნაკლებად აისახებოდა არქეოლოგიურ მასალაზე.

ძველი ქვის ხანის გვიანდელ საფეხურზე, ზედაპალეოლითის დროს კავკასიაში მკვეთრად იცვლება კლიმატური პირობები, საგრძნობლად აცივდა. ამიტომ მნიშვნელოვნად შემცირდა აქ განსახლების არე და მოსახლეობა უფრო ზომიერ მხარეს, დასავლეთ ამიერკავკასიას ითვისებს, სადაც ცხოვრებისათვის უკეთესი გარემო არსებობდა. ამ დროს სრულიად გადახალისდა ცხოვრების ხასიათი, საფუძველი ეყრება გვაროვნულ წყობილებას. საგრძნობი სიახლეებია ქვის ინდუსტრიაში და სხვ., იცვლება თვით ადამიანი. დასრულდა თანამედროვე ადამიანის *homo sapiens sapiens* – ის ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესი. მნიშვნელოვნად კლებულობს მოსახლეობა კავკასიის ჩრდილო მხარეში. საგრძნობლად შეთხელდა მოსახლეობა ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში და აქტიურადაა ათვისებული მისი დასავლეთი მხარე, განსაკუთრებით, რიონ-ყვირილას აუზი, ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთი, სოჭი-ადღერის მიმდებარე მიწა-წყალი და სხვ. ეს რეგიონები გამოირჩევიან ბუნებრივი თავშესაფრების – გამოქვაბულების, ეხების, ფარდულების და სხვა სიუხვით, რომლებსაც ადამიანი ჰავის გამკაცრების გამო ინტენსიურად იყენებს საცხოვრებლად. ამ დროს აქ ვრცელდება ერთიანი ხასიათის ქვის ინდუსტრია ე. წ. იმერული კულტურა. არქეოლოგიური წყაროები თვალნათლივ მოწმობენ,

რომ აქ თანმიმდევრულად მიმდინარეობდა ძველი ქვის ხანის კულტურის განვითარება, რაც, ალბათ, მოსახლეობის ერთიანი ხასიათის, უცვლელი არსებობის მანვენებელი უნდა იყოს. ამავე დროს, ჩანს, მიმდინარეობდა გარკვეული ეთნიკური ხასიათის პროცესები და ყალიბდებოდა საკონტაქტო ფუძე-ენა, რომელიც შედარებით შეზღუდული არის პირობებში უნდა წარმოქმნილიყო.

იგი დაედო, ალბათ, საფუძვლად კავკასიის ყველა ავტოქტონ ენებს. სამხრეთ კავკასიის დასავლეთი მხარე იყო, ალბათ, ჯერ კიდევ დაუნაწევრებელი მოსახლეობის წინარე სამშობლო.

ძველი ქვის ხანის ბოლოს მთავრდება გამყინვარების ხანგრძლივი პერიოდი და თანამედროვე გეოლოგიური ეპოქა პოლოცენი დგება. კლიმატის მკვეთრმა გაუმჯობესებამ, სითბოს მომატებამ საგრძნობი გავლენა მოახდინა გარე სამყაროზე, თვით ადამიანზე და მისი ცხოვრების პირობებზე. იცვლება კულტურის ხასიათი და ახალი ქვის ხანაზე, ნეოლითზე გარდამავალი ეპოქა მეზოლითი დგება, რომელიც წინარე კულტურის საფუძველზე აღმოცენდა. კლიმატური რეჟიმის საგრძნობმა ცვლილებამ და საერთოდ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებამ მოსახლეობის მკვეთრ ზრდას შეუწყო ხელი, რომელიც კავკასიის თითქმის ყველა ლანდშაფტურ კლიმატურ ზოლს იკავებს. მოსახლეობის უფრო ფართოდ განსახლება კულტურის ხასიათზეც იქონია გავლენა. თანდათანობით ირღვევა კულტურის ერთიანი ხასიათი, რასაც კავკასიის რელიეფიც უწყობდა ხელს და მეზოლითური კულტურის რამდენიმე ვარიანტი ჩამოყალიბდა. ახალ-ახალი ტერიტორიების ათვისებამ და მოსახლეობის უფრო ფართოდ განფენამ კულტურაში შენიშნული ლოკალური თავისებურებები შესაძლოა ეთნიკური ერთობის ხასიათში დაწყებულ ცვლილებებსაც ასახავდეს. ამ პროცესმა, ალბათ, გარკვეული გავლენა მოახდინა ენაზეც და ფუძე-ენის თანდათანობითი დაშლა მიმდინარეობდა. მეზოლითის ბოლოსათვის ჩანს ისახება კავკასიის ყველა ძირითადი ენობრივი ოჯახები. ამ დროს მთელი კავკასია მისი ჩრდილო და სამხრეთი მხარეები ინტენსიურადაა ათვისებული, ალბათ, უპირატესად ადგილობრივი ძირძველი მოსახლეობის მიერ. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიას ჩანს წინარე აფხაზურადილური ტომები იკავებენ. ქართველური მოსახლეობა სამხრეთ კავკასიაში განაგრძობს ცხოვრებას. ერთგვარად განსხვავებული ჩანს ვითარება მეზოლითში ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, რომელიც მთელი ზედაპალეოლითის მანძილზე თითქმის დაუსახლებელი იყო. აქ ეტყობა გამოჩენას იწყებს ნახურ-დადესტნური ტომები და ამავე დროს მთიან დადესტანში, როგორც ვარაუდობენ, სამხრეთ კასპისპირეთიდან მოსახლეობის ახალი ტალღა ინაცვლებს, რის შედეგადაც ე. წ. ჭოხის მეზოლითური კულტურა ვრცელდება. აღინიშნა, რომ ახალმოსულები შესაძლოა ხურიტული ტომები იყვნენ. ხურიტული ტომების პირველადგილსამყოფელის შესახებ არაერთი მოსაზრება გამოითქვა. ზაგის აზრით, მათი პირველსა-

ცხოვრისი კასპიის ზღვის სამხრეთი არეალი უნდა ყოფილიყო. შესაძლოა, ნახურ-დადესტნურ ენაში შენიშნული ხურიტული ელემენტი ამის შედეგი ყოფილიყო. ამრიგად, არქეოლოგიური წყაროების საფუძველზე, თითქოს უფრო ისაა სავარაუდო, რომ კავკასიის უძველესი მოსახლეობა ეთნოკულტურულად ადგილობრივი წარმომავლობისა უნდა ყოფილიყო. რაკი უძველეს კულტურაში შესამჩნევი სხვაობა მაინცდამაინც არ შეინიშნება, მაშინ ეგებ ისიცაა სავარაუდო, რომ აქ არც ეთნიკური ხასიათის მოვლენები იქნებოდა მაინცდამაინც საგრძნობი.

ეთნოგენეზთან დაკავშირებული პრობლემების კვლევა ადრე ძირითადად ლინგვისტური მასალის ინტერპრეტაციაზე იყო დაფუძნებული. კავკასიის უძველესი მოსახლეობის წარმომავლობა ენობრივი მონაცემების შესწავლის შედეგებს ემყარებოდა. წმინდა ლინგვისტური მეთოდებით კვლევის საფუძველზე კავკასიური ენების შესახებ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულება ჩამოყალიბდა. ზოგის აზრით, ეს ენები მონათესავენი არიან და ერთი საერთო ფუძე-ენიდან მომდინარეობენ, ზოგიც საერთოდ უარყოფს მათ კავშირს და სამხრეთ კავკასიურს ჩრდილო კავკასიურ ენათა შორის ნათესაობის შესაძლებლობას ვერ ხედავს. შეიძლება გვევარაუდა, რომ კავკასიაში არსებობდა საერთო ენა, რომელზედაც მეტყველებდნენ ადრეული კულტურების მატარებელი ტომები, ვიდრე აქ სამხრეთიდან მოსახლეობის ახალი ტალღა გამოჩნდებოდა და მან სუბსტრატის როლი შეასრულა. მაგრამ არქეოლოგიური მონაცემები, როგორც აღინიშნა, გარედან უცხო ეთნიკური ელემენტის შემოჭრის საფუძველს არ იძლევა. მატერიალურ კულტურაში ამის ანარეკლი არ შეიმჩნევა. ახალი მოსახლეობის მოსვლის ნაკვალევი უთუოდ კულტურაშიც აისახებოდა, რაც კარგად გამოჩნდა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში ჭოხის კულტურის მაგალითზე. რაკი ენობრივი მონაცემების კვლევის შედეგად ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული, ასეთ ვითარებაში არქეოლოგიური არგუმენტები კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. არქეოლოგიური წყაროები თითქოს უფრო მეტად კავკასიური ენების და საერთოდ აბორიგენული მოსახლეობის ერთიან წარმომავლობის ვარაუდს უჭერს მხარს. უადრეს ხანაში არქეოლოგიური კულტურა, ალბათ, გარკვეულ ენობრივ ერთეულს შეესატყვისებოდა. ადრეული ეთნოგენეტიკური ხასიათის საკითხების კვლევისას ლინგვისტურ-არქეოლოგიური ძიებანი თითქოს უფრო პერსპექტიული ჩანს.

კავკასიური ენების ურთიერთობის შესწავლაში სრულიად განსაკუთრებული დეაწლი აკად. ივ.ჯავახიშვილს მიუძღვის. ენობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კავკასიელი ტომები მონათესავენი არიან და მათ თავდაპირველად ერთი საერთო ენაც ჰქონიათ, მაგრამ დროთა ვითარებაში ენები დამოუკიდებელ გარეგნულად უცხო ჯგუფებად ჩამოყალიბდნენ. შემდეგში ქართულ ლინგვისტიკაში საფუძველი ჩაეყარა იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებას, რომ-

ლის ძირითადი დებულებაა, რომ კავკასიური ენების ნათესაური თვისება პირველადია, ნაირგვარობა კი მეორეული მოვლენაა. რაც უფრო მეტად ვიჭრებით ისტორიის სიდრმეში, მით უფრო მეტი საერთო ჩანს ამ ენებში, მაგრამ როგორც აღინიშნა, ეს შეხედულება ეჭვქვეშაა დაყენებული განსაკუთრებით ჩრდილო-კავკასიურის და სამხრეთ-კავკასიურის, ქართველური ენების გენეტიკური დამოკიდებულების საკითხი. გამოითქვა ვარაუდი, ჩრდილო-კავკასიურის სინო-ტიბეტურ, აფრაზიურ ენებთან ნათესაობის შესახებ და რომ მათი სამშობლო წინა აზია უნდა ყოფილიყო. ჩრდილო-კავკასიური უფრო მეტ საერთოს თითქოს აფრაზიურ, სინო-ტიბეტურ, ენისეის და სხვა ენებთან ავლენს, ვიდრე თავის უშუალო მეზობელ ენებთან, კერძოდ, კი ქართველურთან. მაგრამ არქეოლოგიური ფაქტები მოწმობენ, რომ ქვის ხანის დროს კავკასია ინტენსიურადაა დასახლებული, საკმაოდ მაღალი კულტურის ადგილობრივი მოსახლეობის მიერ და მიმდინარეობდა განვითარების სტაბილური პროცესი. რაიმე საგრძნობი სიახლე კულტურაში, რაც ახალი მოსახლეობის გამოჩენის მანიშნებელი უნდა ყოფილიყო, არ შეინიშნება. რა თქმა უნდა, ამ დროს, ალბათ, ადგილი ექნებოდა გარკვეულ მიგრაციულ პროცესებს, მაგრამ ჩანს, ახალმოსულები დამხვდურ მოსახლეობაში ითქვიფებოდნენ. მათი რაიმე ნაკვალევი ადგილობრივ კულტურაში თითქმის შეუმჩნეველია. არქეოლოგიური არგუმენტების საფუძველზე თითქოს უფრო ისაა სავარაუდო, რომ კავკასიის უძველესი ავტოქტონური მოსახლეობა ეთნოკულტურულად ადგილობრივი წარმომავლობისა უნდა ყოფილიყო. ეთნოგენეტიკური პროცესების ადრეულ საფეხურზე უპირატესად ენისა და კულტურის დამთხვევაა უფრო მეტად სავარაუდო. ეთნიკური ერთობა თავდაპირველად ჩამოყალიბდა ადამიანთა იმ ჯგუფთა შორის, რომელთაც ახლო ურთიერთობა აკავშირებდათ. ურთიერთობის ძირითადი საშუალება კი ენა იყო. არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ჩანს, რომ ეთნოკულტურული და ეთნოლინგვისტური ხასიათის პროცესები ძირითადად ადრეპალეოლითში, მეზოლითის ეპოქაში მიმდინარეობდა, ძვ. წ. X-IX ათასწლეულში. ახალი ქვის ხანის, ნეოლითის დადგომისას მთავრდება, ალბათ, კავკასიის ძირძველი მოსახლეობის ფორმირების პროცესი. ჩანს, ამ დროიდან იწყება კავკასიის ყველა აბორიგენი მოსახლეობის უძველესი ისტორიული წარსული.

საგულისხმოა, რომ ანთროპოლოგიური ფაქტები კავკასიის უძველესი მოსახლეობის ერთიან ხასიათსა და ადგილობრივ წარმომავლობაზე მიუთითებენ. უძველესი ანთროპოლოგიური მასალა კავკასიიდან, კერძოდ, საქართველოდან მეტად მწირია და უპირატესად ბრინჯაოს ხანიდან მომდინარეობს. ამ მასალების საფუძველზე აღინიშნა, რომ კავკასიის უძველესი ხანის მოსახლეობა ერთ ანთროპოლოგიურ ტიპს მიეკუთვნება. კავკასიის თანამედროვე მოსახლეობის ძირითადი ანთროპოლოგიური ტიპები ადგილობრივ უნდა წარმოქმნილიყვნენ შინაგანი განვითარების გზით

უცხო ელემენტის რაიმე საგრძნობი ჩარევის გარეშე. მათ ეთნოგენეზში აშკარად ვლინდება ადგილობრივი ავტოქტონური ელემენტები. პალეოანთროპოლოგიური მასალა კავკასიიდან საკმაოდ დამაჯერებლად მოწმობს უძველესი მოსახლეობის ერთიან ხასიათს. ამ ერთობის თანდათანობით დაშლის შედეგად უნდა წარმოქმნილიყვნენ ადგილობრივი ანთროპოლოგიური ტიპები.

ლიტერატურა

- დაბადება** – დაბადება, წიგნი I, თავი V.
- საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1970** – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბილისი, 1970; გვ. 367.
- ყაუხიშვილი 1969** – თ. ყაუხიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, II, თბილისი, 1969; გვ. 22.
- ჰეროდოტე 1975** – ჰეროდოტე, ისტორია, IV, თბილისი, 1975, გვ. 78, 79.
- ქართლის ცხოვრება 1955** – ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 07.
- ჯავახიშვილი 1977** – ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზულებანი, VIII, თბილისი, 1977; 179.
- საქართველო პირველი ევროპელის სამშობლო 2000** – საქართველო პირველი ევროპელის სამშობლო, თბილისი, 2000, გვ. 25.
- ჯაფარიძე 2006** – ო. ჯაფარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავესთან, თბილისი, 2006, გვ. 151.
- ჯაფარიძე 2006** – ო. ჯაფარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავესთან, თბილისი, 2006, გვ. 152.
- ჯაფარიძე 2006** – ო. ჯაფარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავესთან, თბილისი, 2006, გვ. 64.
- ჯაფარიძე 2006** – ო. ჯაფარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავესთან, თბილისი, 2006, გვ. 172.
- ჯაფარიძე 2006** – ო. ჯაფარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავესთან, თბილისი, 2006, გვ. 187.
- ჯავახიშვილი 1937** – ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი, 1937, 622.
- ჩიქობავა 1970** – ა. ჩიქობავა, თბილისის უნივერსიტეტი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVII, თბილისი, 1970; გვ. 14.
- Чикобава 1955** – А. С. Чикобава, О двух основных вопросах изучения иберийско-кавказских языков, Вопросы языкознания, 6, Москва, 1955; стр. 72.
- Николаев, Старостин 1984** – С. Л. Николаев, С. А. Старостин, Северокавказские языки, их место среди других языковых семей Передней Азии, Лин-

გვისტические реконструкции и древнейшая история Востока, часть 3, Москва, 1984, стр. 29.

Миличарев, Старостин 1989 – А. Ю. Миличарев, С. А. Старостин, К проблеме афразийско-северокавказских этнолингвистических связей, Кавказ и цивилизации Древнего Востока, Орджоникидзе, 1989; стр. 24.

ჯაფარიძე – ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 191.

ჯაფარიძე – ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 201.

Абдушелишвили 1964 – М. Г. Абдушелишвили, Антропология древнего и современного населения Грузии, Тбилиси, 1964, стр. 50.

აბდუშელიშვილი 1982 – მ. აბდუშელიშვილი, კავკასიის ანთროპოლოგია ბრინჯაოს ხანაში, თბილისი, 1982; გვ. 48, 50.

О. Дж а п а р и д з е (Тбилиси)

Вопросы раннего этногенеза древнейшего населения Кавказа

Происхождение кавказских народов, место первоначального их обитания, необычайная пестрота населения Кавказа давно привлекли внимание исследователей. Еще древние авторы обратили внимание на многоязычность народов, живших по обоим склонам Кавказского хребта. Благодаря своему исключительному географическому положению, на стыке Азии и Европы, на скрещении путей, «дороге народов», Кавказ с древнейших времен считался интересным краем – «горой языков», «муравейником народов», «своеобразным этнографическим музеем», «страной крупных противоположностей», «глубоким захоластьем, лежавшим вдали от культурных центров». Он с глубокой древности являлся ареной передвижения крупных человеческих групп, важных исторических событий, сильно повлиявших на дальнейшие судьбы народов Кавказа. Населяя Кавказ в самую раннюю эпоху человеческой истории, люди продолжали жить здесь, непрерывно оставляя следы своей деятельности.

Древняя литературная традиция сохранила сведения об едином происхождении народов Кавказа, первоначальное место пребывания которых находилось несколько южнее. Позднее эта традиция нашла отражение в трудах некоторых видных ученых. Вопросы этногенеза основывались главным образом на данных литературных источников, а также лингвистических фактах. Первые сведения о происхождении кавказских народов находим в Библии. Ценные данные о них представлены в древневосточных, греко-римских и византийских письменных источниках. Вопросы этногенеза грузинских племен коснулся «отец истории» Геродот, по утверждению которого колхи были египетского происхождения – от войска Сесострита. Это точка зрения в последующие времена была довольно популярна.

Древние сведения о происхождении грузинских и кавказских племен в целом сохранились в древнегрузинской исторической литературе. Особо следует указать летописный свод «Картлис Цховреба» (Житие Картли), автором начального раздела которого был епископ Леонти Мровели. Здесь на фоне библейского сюжета рассмотрены вопросы этногенеза. Мровели является автором весьма оригинальной концепции, суть которой состоит в том, что он впервые повествует о едином происхождении, родстве всех коренных народов Кавказа. Примечательно,

что именно в грузинской действительности зародилась эта идея, которая в дальнейшем нашла широкое распространение у всех аборигенных народов Кавказа. Несмотря на создавшиеся в настоящее время обстоятельства, она не утратила своей актуальности. Акад. И. А. Джавахишвили в свое время справедливо указывал, что концепция единого происхождения кавказских народов кроме сугубо научно-го интереса имеет и определенное политическое значение.

Широко развернувшиеся археологические изыскания по-новому осветили вопрос происхождения и первичной родины коренных народов Кавказа. Более ясно предстала роль Кавказа, его автохтонного населения в древнейшей истории Ближнего Востока. Постепенно меняется представление о южном происхождении кавказских народов.

Выдающиеся открытия последних лет на Южном Кавказе по-новому поставили вопрос первоначального освоения древнейшим человеком Кавказа и Евразии в целом. В южной части Грузии на территории феодального города Дманиси были обнаружены костные остатки первобытного человека, архаичной фауны позвоночных и довольно богатый состав каменных орудий. Дманисская стоянка датируется приблизительно 1 млн. 800 тыс. лет. Видимо дманисский человек являлся одним из первых мигрантов с африканского материка и, преодолев Кавказский хребет, он проникает в широчайшие пространства Евразии. Однако, как сложилась дальнейшая судьба дманисского Номо на Южном Кавказе остается не вполне ясным. Памятники, непосредственно следующие за дманисской стоянкой пока остаются неизвестными. Ближайшие местонахождения древнекаменного века раннеашельской эпохи отдалены от дманисской стоянки приблизительно на миллион лет. Не исключена доля вероятности, что носители ашельской культуры являлись непосредственными потомками дманисского человека, хотя представляется также и возможность, что с африканского материка к родине первобытного человека, в эпоху великой экспансии ашеля, по протертым дманисским Номо путям, в сторону Кавказа проникает новая волна мигрантов. Очевидно, в эпоху нижнего палеолита здесь сложилась весьма благоприятная среда для жизни ашель-мустьерского человека. Памятники этого времени хорошо известны почти во всех ландшафтных зонах Кавказа.

От столь отдаленного периода до нас дошли, главным образом, каменные орудия, а также остатки пищи преимущественно костный материал. В эпоху нижнего палеолита наиболее ярким этническим показателем является каменный инвентарь. Наблюдаемая довольно прочная традиция в технике обработки каменных орудий, вероятнее всего является показателем этнического единства Номо общего происхождения автохтонного населения Кавказа.

В раннюю эпоху показательным признаком этноса, главным образом, представляется культура и язык. Тем не менее на заре человеческой истории о языковых данных можно судить лишь по крайне скудным косвенным материалам. В раннюю эпоху одним из главных этнических признаков является культура, отразившаяся в тех примитивных каменных орудиях, возникновение которых совпа-

дает с появлением человека. Следует отметить, что в это время в кавказской действительности не наблюдается существенных изменений в характере культуры. С определенной степенью вероятности можно указать о возможности отождествления археологической культуры с языковым состоянием. Тем не менее, к сопоставлению языка и археологической культуры следует подходить с определенной осторожностью: в том случае, если в материальной культуре нет сколько-нибудь заметных инородных включений, можно допустить вероятность совпадения археологической культуры с языковыми общностями на ранней стадии первобытности.

Если на ранней ступени развития общества не наблюдается заметных изменений в культуре, то маловероятно, что они будут обнаружены в языковых явлениях. Конечно, в это раннее время, очевидно, протекал процесс перемещения человеческих групп, как внутри Кавказа, так и за его пределами, хотя сколько-нибудь заметных изменений в характере культуры не наблюдается. В материальной культуре находят отражение даже сравнительно незначительные перемены в жизни общества.

Вероятно с появлением первобытного человека должна была возникнуть и членораздельная речь. Хотя по этому вопросу нет единого мнения. Очевидно посредством членораздельной речи передавалась традиция каменной индустрии. Речь в процессе миграции видимо способствовала преодолению дальних дистанций. В эпоху нижнего палеолита наиболее ярким этническим показателем является каменный инвентарь. Общая традиция в технике изготовления каменных орудий, вероятно, отражает единое происхождение местных обитателей Кавказа.

С наступлением позднего палеолита на Кавказе резко изменяется природная обстановка, наступает период похолодания, побудивший человека искать убежища в более умеренных областях. Основная масса населения устремляется в западную часть Южного Кавказа, где к этому времени создались благоприятные условия для жизни человека. Значительно сократилось население на Северном Кавказе, а также и в восточной части Южного Кавказа. В силу сложившейся естественной обстановки население приспособилось к жизни на более ограниченных пространствах Западного Закавказья. Здесь наиболее интенсивно заселяются северо-западная часть Черноморского побережья и в особенности Рион-Квирильский бассейн. Этому способствовало также и то, что здесь в изобилии были представлены естественные убежища – карстовые пещеры, навесы, гроты и др., которые были интенсивно использованы человеком в период похолодания. Концентрация позднепалеолитических людей в пределах Западного Закавказья способствовала сближению отдельных групп населения и возникновению однородной культуры. Видимо главным образом на основании предшествующей культуры здесь складывается единая позднепалеолитическая, т. н. имеретинская культура. По-видимому в это время протекал процесс формирования кавказской этнокультурной и языковой общности. Западное Закавказье вероятно было прародиной – основной колыбелью нерасчлененного населения Кавказа.

Закат позднепалеолитической культуры совпадает с наступлением после – ледикового времени – голоценом. Изменение климатической обстановки, значительное потепление существенно повлияло на жизненные условия человека. Меняется характер культуры, наступает эпоха мезолита, существенно возрастает численность населения и широко осваиваются почти все ландшафтно-климатические зоны Кавказа. В результате более обширного расселения местных обитателей складываются условия для постепенного распада общекавказского единства, чему способствовал также и рельеф Кавказа. Культура постепенно утрачивает единый характер, и в мезолите Кавказа выделяются несколько локальных вариантов. Существовавшие на Кавказе благоприятные условия для разобщения и изоляции населения создавали предпосылки для постепенного расчленения языковой общности.

К закату культуры мезолита вероятно заканчивается процесс разобщения лингвокультурного единства и формируются основные семьи кавказских языков. В это время широко освоен почти весь Кавказ в основном автохтонным населением. Очевидно преимущественно с Южного Кавказа местное население перемещается в менее заселенные области Кавказа. Интенсивно осваивается северо-западный Кавказ, где видимо формировалось праабхазско-адыгская этническая и языковая общность. Пракартвельские племена занимают в основном западные и центральные области Южного Кавказа. Несколько иная обстановка создалась на северо-восточном Кавказе, остававшемся почти незаселенным в эпоху позднего палеолита. С наступлением голоцена, в эпоху мезолита здесь создалась весьма благоприятная природная обстановка, сюда устремились выделившиеся из общекавказской общности пранахско-дагестанские племена. К этому времени видимо с южного Прикаспия перемещается определенная масса населения, которая активно заселяет центральные области горного Дагестана. Вследствие этого здесь складывается т. н. чохская культура, которая существенно отличалась от кавказского мезолита. Носители чохской культуры прочно осели в определенных регионах горного Дагестана и видимо освоили язык местных обитателей. Не исключается, что пришлое население были хурритскими племенами, первичная родина которых, по мнению некоторых исследователей, находилась в южной части Прикаспия. Возможно именно вследствие этого хурритский элемент отразился в нахско-дагестанских языках. Таким образом, археологические источники с определенной долей вероятности указывают на этнокультурную общность древнейшего населения Кавказа.

Проблема происхождения народов, в сущности, решалась на основе интерпретации лингвистических данных. Этногенез исконно кавказских народов долгое время также исследовался главным образом по языковым материалам. Несмотря на то, что кавказские языки давно привлекали внимание лингвистов, до сих пор среди них нет единого мнения об этой семье языков. Под сомнение ставится сам вопрос о генетическом родстве этих языков. Некоторые исследователи полагают, что у всех кавказских языков вероятно был один общий предок, от которого в

дальнейшем отделились автохтонные языки Кавказа. Однако существует и иной взгляд на взаимосвязь этих языков. Родство их представляется маловероятным, под сомнение ставится возможность установления генетического родства этих языков.

Таким образом, согласно лингвистическим данным сложилось противоположное представление о генетическом единстве кавказских языков. В силу этого археологические свидетельства приобретают еще большее значение, интерпретация их может способствовать решению вопроса о происхождении аборигенных народов. Стабильность и преемственность в развитии материальной культуры, наблюдаемые в каменную эпоху, скорее всего должны свидетельствовать об общем характере кавказских языков.

Выдающаяся заслуга в изучении кавказских языков принадлежит акад. И. А. Джавахишвили. На основе анализа языковых материалов он пришел к выводу, что кавказские племена родственны друг другу и первоначально у них должен был быть один общий язык. Однако со временем в этих языках произошли настолько глубокие изменения, что они превратились в независимые, внешне чуждые друг другу группы. В дальнейшем именно это представление легло в основу иберийско-кавказского языкознания. Согласно основному положению иберийско-кавказского языкознания, родственные черты в этих языках являются первичными, а различия – вторичными. Чем дальше проникаем вглубь исторического прошлого, тем больше общего находим между этими языками. Однако, как было отмечено, по этому вопросу существует и иная точка зрения. Главным образом под сомнение ставится общность южнокавказского, картвельского, с северокавказскими языками. Исходя из наблюдаемых контактов высказано мнение о родстве между северокавказскими и афро-азиатскими языками, прародина которых локализуется в пределах Передней Азии. Северокавказские языки находят больше сходства с афро-азиатскими, соно-тибетскими, енисейскими и др. языками, чем с непосредственными соседями – носителями картвельских языков. Однако археологические источники наглядно свидетельствуют о высокой культурной традиции местного населения Кавказа, где протекал стабильный процесс развития общества. Возможно в это время происходили миграции извне, хотя на характере культуры эти явления не отразились. Пришлось население видимо воспринимало местные культурные традиции, а также и язык аборигенных обитателей. Согласно археологическим данным представляется более вероятным, что этнокультурные и этнолингвистические процессы на Кавказе протекали в эпоху мезолита, в X-IX тыс. до н. э.

С наступлением новокаменного века, неолита, очевидно завершается процесс формирования коренных этносов Кавказа. Видимо, с этого времени начинается древнейшее историческое прошлое всех аборигенных народов Кавказа.

Следует отметить, что антропологические данные также свидетельствуют о едином, местном происхождении древнейшего населения Кавказа. Антропологический материал столь далекого прошлого представлен весьма слабо и, главным

образом, относится к бронзовой эпохе. Тем не менее, на основе этих данных было отмечено, что древнейшее население Кавказа относится к единому антропологическому типу. В этногенезе современных народов Кавказа преобладают местные автохтонные элементы. Современные этнические группы коренного населения Кавказа с древнейших времен обитали на территории Кавказа. Антропологический материал вполне убедительно свидетельствует об общности древнейшего населения Кавказа. В результате постепенного распада этого единства должны были сложиться местные антропологические типы, корни которых восходят к глубокой древности.

Литература

- Книга Бытия** – Книга Бытия, I, глава V.
- Очерки истории Грузии 1970** – Очерки истории Грузии, I, Тбилиси, 1970; с. 367.
- Такаишвили 1969** – Такаишвили Т. Сведения греческих писателей о Грузии, II, Тбилиси, 1969; с. 22.
- Геродот 1975** – Геродот, История, IV, Тбилиси, 1975, с. 78, 79.
- "Картлис цховреба" 1955** – "Картлис цховреба", I, Тбилиси, 1955, с. 7.
- Джавахишвили 1977** – Джавахишвили И. Древнегрузинская историческая литература, Сочинения, VIII, Тбилиси, 1977, с. 179.
- Грузия – родина первого акрополя 2000** – Грузия – родина первого акрополя, Тбилиси, 2000.
- Джапаридзе 2006** – Джапаридзе О. У истоков этногенеза грузинской нации, Тбилиси, 2006, с. 151.
- Там же, с. 152.
- Там же, с. 64.
- Там же, с. 172.
- Там же, с. 187.
- Джавахишвили 1937** – Джавахишвили И. Первоначальный строй и родство грузинского и кавказских языков, Тбилиси, 1937, с. 622.
- Чикобава 1970** – Чикобава А. С. Тбилисский университет и иберийско-кавказское языкознание. XVII, Тбилиси, 1970, с. 14.
- Чикобава 1955** – А. С. Чикобава, О двух основных вопросах изучения иберийско-кавказских языков, Вопросы языкознания, 6, Москва, 1955; стр. 72.
- Николаев, Старостин 1984** – Николаев С. Л., Старостин С. А., Северокавказские языки, их место среди других языковых семей Передней Азии, Лингвистические реконструкции и древнейшая история Востока, часть 3, Москва, 1984, стр. 29.
- Миличарев, Старостин 1989** – Миличарев А. Ю., Старостин С. А., К проблеме евразийско-северокавказских этнолингвистических связей, Кавказ и цивилизации Древнего Востока, Орджоникидзе, 1989; с. 24.

Джапаридзе – Джапаридзе О., указ. соч. с. 191.

Джапаридзе – Джапаридзе О., указ. соч. с. 201.

Абдушелишвили 1964 – Абдушелишвили М. Г., Антропология древнего и современного населения Грузии, Тбилиси, 1964, с. 50;

Абдушелишвили 1982 – Абдушелишвили М. Г., Антропология Кавказа в бронзовом веке, Тбилиси, 1982, с. 48, 50.

О. J a p a r i d z e (Tbilisi)

The issues of early ethnogenesis of the ancient population of Caucasus

S u m m a r y

Many viewpoints were expressed on the Caucasian peoples' origin, their first-living place. The information on them we met in the „Genesis”, in the works of Greek and Roman writers and others. But the information on the origin of the ancient Caucasian peoples, preserved in the old Georgian historical works is noteworthy. Leonti Mroveli's work „Kartlis tskhovreba” (“History of Georgia”), in which the author for the first time advanced a new conception on common origin of the autochthonous population of the Caucasus, is very noteworthy. It was mentioned correctly, that this idea had particular political loading and in the present situation it gains more actuality.

Archeological researches carried out in the Caucasus gave the new approach to the issues of the origin and the first-living place of the local ethnoses. It was established, that a man has been living there persistently since the earliest epoch of a mankind. Epochal discovering of Dmanisi attested that a primitive man would have appeared in the Caucasus two-million years ago.

On the earliest stage of the Stone Age, paleolith, in the Caucasus, as it is seen, there was a suitable condition for living and the ancient homo assimilated intensively almost all Caucasus. Common character of stone industry of this time must be an indicator to assumption of existing of genetically united population. Archeological culture on the early stage of primitive epoch as it is clear, is connected with a particular ethnos.

On the late stage of the ancient Stone Age climate was evidently changed, it got cold and a large part of the Caucasian populatin moved to warmer part – to the west part of the south Caucasus. So called Imerian culture of common character spread here must be testified to the duration of the forming process of the common Caucasian ethnos. It is clear, that a contact radical language, which might be formed in more restricted area, was being formed on this time. On the early stage of the mankind's history, if there is

not observed the novelty of essential character in the material culture, then may be any considerable changes are not expected in the ethnic constituent of the population. Perhaps, the west part of the south Caucasus was the proto home-land of the population, which was not still departed.

At the end of the ancient Stone Age, paleolith, in the mesolith epoch the natural conditions were considerably changed, it got warmer and came the modern period Holocene.

Improving of climate considerably influenced on the outer world; the living conditions of human-being became better, which caused the increasing of population. Again a human-being assimilated almost all climate-landscape zone of the Caucasus intensively. The wide spreading of population, as it is seen, influenced on culture and gradually its common character was broken. The evidently formed variants of the mesolith culture were spread in different parts of the Caucasus perhaps. The difference observable in culture is an indicator to the changes which already began in the ethnic unity. This process may be influenced on a language and caused the gradual decomposition of a radical language. By the end of the mesolith, as it is clear, the basic language families of the Caucasus were defined and were spread in definite parts of the Caucasus.

On the basis of archeological sources it is assumed, that the ancient population of the Caucasus must be of local origin ethnoculturally. Before this problem was mainly discussed on the basis of interpretation of linguistic materials. On the studying basis of pure linguistic data on the Caucasian languages mainly two mutually opposed viewpoints were formed. In such situation, the archeological arguments gain more importance. The archeological data supports the assumption of common origin of the Caucasian languages and aboriginal population. Hence, during the discussing the ethnogenetic issues, the linguistic-archeologic researches seem to be perspective.

ნ. ჯ ა ყ ე ლ ი (თბილისი)

**ზედაპალეოლითური ხანის ხელოვნების მცირე ფორმის
ნიმუშები ძუძუანას მღვიმიდან (დასავლეთ საქართველო)**

ადამიანის სიმბოლური აზროვნება გამოიხატება ხელოვნებაში, პრეისტორიულ ხანაში ხელოვნების წარმოშობა დაკავშირებულია თანამედროვე ადამიანთან, Homo sapiens-თან, და შესაბამისად, ზედაპალეოლითთან. დაახლოებით 40.000 წლის წინ კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი პერიოდი ზედაპალეოლითი. ამ დროს ჩნდება თანამედროვე ტიპის ადამიანი და ხდება მისი განსახლება ძველი სამეაროს დიდ ტერიტორიებზე. ამავე დროს ქვის ინდუსტრიაში ხარისხობრივი ცვლილებებია, იზრდება იარაღთა ტიპები და ხდება მათი სტანდარტიზაცია. ისახება ძვლისა და რქის შედგენილი იარაღები, სოციალური და შიდა თემური ურთიერთობები ახალ ფაზაში გადადის. ვითარდება სამონადირეო ტექნიკა, პიროვნული გამოხატვის საშუალებები, როგორცაა სხეულის მოხატვა თუ სამკაულები, ისახება ხელოვნება და აბსტრაქტული აზროვნება.

საქართველო და კერძოდ მისი დასავლეთი ნაწილი, მდიდარია ზედაპალეოლითური ძეგლებით. ამ ძეგლებისადმი ინტერესი მას შემდეგ გაიზარდა, რაც გადაისინჯა Homo Sapiens-ის წარმოშობისა თუ მიგრაციის საკითხები. აფრიკა-ევრაზიის გზაჯვარედინზე მყოფი სამხრეთ კავკასია, კერძოდ მისი დასავლეთი ნაწილი, როგორც გეოგრაფიულად, ასევე ისტორიულად, ამ ცვლილებების ფონზე მეცნიერთა ყურადღების ცენტრში მოექცა.

თანამედროვე ადამიანის წარმოშობასა და მისი განსახლების შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს; თუ მივემხრობით თეორიას ზედაპალეოლითური კულტურის ფუძე ადგილზე გაჩენასა და მის შემდგომ დიფუზიას მსოფლიოს სხვა ნაწილში (Mellars, 1999), მაშინ საინტერესოა იმ ფუძე ადგილის განსაზღვრა და გეოგრაფიული არეალის დადგენა, რომელიც მაშინდელმა ადამიანმა მოიცვა (Bar-Yosef, 2000). საკითხის შესწავლამ ცხადყო, რომ მათი წარმოშობის ადგილი იყო ან აღმოსავლეთ აფრიკა (Klein, 1999), ან ლევანტი (Stingos, 1996). კავკასია სწორედ ევრაზია-აფრიკის გზაჯვარედინზე იმყოფება და სწორედ ამიტომ დასავლეთ საქართველო და მისი ზედაპალეოლითური ძეგლები მკვლევართა

ყურადღების ქვეშ მოექცა. დასავლეთ საქართველოს ზედაპალეოლითურ ძეგლებზე განახლებული ექსპედიციების შედეგებმა, ქვის მასალის ტექნოლოგიურ-ტიპოლოგიურმა შესწავლამ აბსოლუტურ თარიღებზე დაყრდნობით, თანამედროვე ადამიანის მიგრაციის კიდევ ერთი გზა გამოაგლინა, რომელიც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროდან რუსეთის დაბლობზე გადიოდა (Galovanova et al, 2005). სამხრეთ კავკასიაში კი, ადგილობრივი ნეანდერტალელი მოსახლეობა რამოდენიმე ათასწლეულის განმავლობაში აგრძელებდა ცხოვრებას. აქედან გამომდინარე, თანამედროვე ადამიანების მიერ ამ რეგიონის კოლონიზაცია უფრო გვიან მოხდა, ვიდრე სხვაგან (Meshveliani et al., 2004:134).

დასავლეთ საქართველოს ზედაპალეოლითური ძეგლების შესწავლამ, და განსაკუთრებით ძუძუნას მღვიმისა და ორთვალა კლდის მღვიმის მასალებზე დაყრდნობით, გვაჩვენა, რომ ზედაპალეოლითი ადამიანი დასავლეთ საქართველოში ლევანტიდან შემოვიდა (Meshveliani et al, 2004). ამ მოსაზრებას უფრო ამყარებს ხელოვნების მცირე ფორმების აღმოჩენა და მათი მხატვრული ფორმა. საქართველოში, ისევე როგორც მახლობელ აღმოსავლეთში, არ გვაქვს კედლის მხატვრობა, აქ პირველყოფილი ხელოვნება, მხოლოდ ხელოვნების მცირე ფორმებითაა წარმოდგენილი. კულტურული ერთიანობა ჩანს არა მარტო ქვის ინდუსტრიაში, არამედ ხელოვნებაშიც.

ზედაპალეოლითური სადგომი ძუძუნა მდებარეობს იმერეთის პლატოზე, კარსტულ მღვიმეში, ჭიათურის რ-ნის სოფ. მღვიმევის ტერიტორიაზე, მდ. ნიკრისის ხეობაში (მდ. ყვირილას მარჯვენა შენაკადი), მის მარჯვენა ბორტზე, მდინარის დონიდან 10-12 მ-ზე (აბსოლუტური სიმაღლე 560 მ.), მღვიმე გამოშუშავებულია ზედა ცარცულ კირქვებში, სიგრძე 160 მ. სიგანე შესასვლელში 22 მ., სიმაღლე – 15 მ. უჭირავს აღმოსავლეთ – დასავლეთ ორიენტაცია, დღის სინათლე მღვიმეში აღწევს 60 მ. ძეგლი პირველად აღმოაჩინა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის ხანის შემსწავლელმა ექსპედიციამ 1966 წელს ბ-ნ დავით თუშაბრამიშვილის ხელმძღვანელობით (თუშაბრამიშვილი, 1969). მისივე ხელმძღვანელობით, დაიწყო სტაციონარული გათხრები და გაგრძელდა 1975 წლამდე. აღმოჩნდა 2 კულტურული ფენა, I ენეოლითურ-ადრებრინჯაო, II ზედაპალეოლითური. 1972 წლამდე ზედაპალეოლითური ფენა ითხრებოდა როგორც ერთიანი კულტურული ფენა, ხოლო შემდეგ მოხერხდა მისი ლითოლოგიურ ფენებად დაყოფა და ფაქტიურად მას მიემა კულტურული ფენებიც. სულ გამოიყო 8 განსხვავებული ლითოლოგიური და 7 კულტურული ფენა. 1973 წელს ლითოლოგიური ფენები დ. თუშაბრამიშვილმა გააერთიანა ლითოლოგიურ დასტებში I, II, III. დღევანდელი ნუმერაციით B, C, D. 1987-1989 წ.წ. სამუშაოები განაახლა თ. მეშველიანმა, 1996 წ.-დან დღემდე, ძუძუნის მღვიმეში მუშაობს საერთაშორისო საქართველო-აშშ-ისრაელის ექსპედიცია. ამ წლების განმავლობაში მოპოვებუ-

ლია რამოდენიმე ათასი ქვის და ძვლის იარაღი, მიღებულია ათობით რადიოკარბონული თარიღი, გაკეთებულია გეოლოგიური, პალინოლოგიური და სედიმენტოლოგიური გამოკვლევები. ძველი ითხრებოდა 50X50 სმ. კვადრატებით, 5 სანტიმეტრის სისქის ფენის ალებით, და რაც მთავარია პრეპარაციის დროს აღებული მიწა ირეცხებოდა 2X2 მ.მ. უჯრედებიან საცერში და შემდგომ ხდებოდა მისი ლაბორატორიული დამუშავება. გათხრების ასეთმა მეთოდისა საინტერესო შედეგები გამოიღო, მღვიმეში დაფიქსირდა აქამდე უცნობი ქვის ინდუსტრია, და თუ არ ჩავთვლით ძვლის ორ ორნამენტირებულ საკიდს, დანარჩენი ყველა სხვა ხელოვნების ნიმუში და ძვლის იარაღების უმრავლესობა ნანახია გარეცხილი ნიადაგის დამუშავების შედეგად.

მოკლედ განვიხილავთ ძუძუნის მღვიმის ქვის მასალას; ძუძუნის მღვიმის ყველაზე ქვედა, **D** ფენიდან მომდინარე მასალა განისაზღვრა, როგორც ადრეული ზედა პალეოლითი. დ. თუშაბრამიშვილის მიერ განსაზღვრული ეს ფენები ასევე მიეკუთვნა ზედაპალეოლითის ადრეულ პერიოდს, რასაც საფუძვლად დაედო რამოდენიმე არქაული იერის მქონე ნივთი და ორი ნაწილობრივად ორმხრივ დამუშავებული ზედაპალეოლითური საფხეკი (Тушабрамишвили, Векуა 1982) მიიჩნია რა ამ უკანასკნელის დამუშავების ტექნიკა არქაულ ტრადიციად. ყურადღება არ მიექცა მიკროლითების არსებობას, რაც გასაკვირი არც იყო, რადგან მაშინ პრეპერირებული მიწა არ ირეცხებოდა და მიკროლითების ძირითადი ნაწილი იკარგებოდა. ამ ფენიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალა, როგორც ძველი, ასევე ახალი გათხრებიდან ხასიათდება ერთფუძიანი ნუკლეუსების სიმრავლით, საიდანაც მიიღებოდა მოკლე ლამელები და მიკროლამელები. რეტუშირებულ არტეფაქტებს შორის ბევრია ტიპური საფხეკები და საჭრისები, რომლებიც დამზადებულია ლამელებსა და ანატეკეცებზე. საფხეკის ეს ტიპები არ იცვლება და დამახასიათებელია ძუძუნის ქვის ინდუსტრიის ყველა საფეხურისათვის. ყველაზე განმასხვავებელი და დამახასიათებელია პატარა ზომის, ძირითადად 4 მმ-ზე ნაკლები სიგანის სწორი, ან გაღუნული ფორმის რეტუშირებული მიკროლითები. მკრთალი და ფაქიზი რეტუში ნამზადს ფორმას არ უცვლის, რეტუში იარაღის მჭრელი პირის მისაღებადაა გაკეთებული. ძუძუნის მაგალითზე შეიძლება ვილაპარაკოთ, რომ მასალის მიკროლიტიზაცია უკვე ადრე ზედაპალეოლითში დაიწყო, რომელიც სასროლი იარაღების ცვლად ნაწილად გამოიყენებოდა. ამ ფენიდან მიღებული რადიოკარბონული თარიღები ასეთა: 32.000, 30.350, 27.400.

ძუძუნის შემდგომი ინდუსტრია, რომელიც მომდინარეობს მღვიმის ქვედა და ზედა ჭრილიდან, ფენა **C**, ხასიათდება ჩვეულებრივი საფხეკებით, რომლებიც ანატეკეცებზე, ლამელებსა და მიკროლამელებზეა დამზადებული, მრავალფეროვანია საჭრისები, იშვიათად გვხვდება სახვრეტები, მრავლადაა პატარა ზომის ლამელები და მიკროლამელები. მიკროლამე-

ლები სტანდარტული ზომისაა რაც ქვის დამუშავების ტექნიკის სრულყოფით აიხსნება და გამოწვეული იყო პრაქტიკული მოთხოვნებიდან. შედგენილი იარაღის გვერდი, რომელიც ჩასმული იქნებოდა სხვადასხვა სისქის, სიგრძისა და სიგანის მიკროლითი, ეფექტური არ იქნებოდა, ამიტომაც სტანდარტული ზომის მიკროლითების მიღება აუცილებელი იყო, რათა იარაღს თავისი ფუნქცია კარგად შეესრულებინა. ლამელები და მიკროლამელები ძირითადად კარენეს ტიპის ვიწრო ნუკლეუსებიდანაა მიღებული. ასეთი ტიპის ნუკლეუსები, მისი გარეგნული ფორმისა და მორფოლოგიიდან გამომდინარე ადრე რაბოს ტიპის იარაღად იყო მიჩნეული და ასოცირდებოდა შალაშინთან. შალაშინი, იგივე რაბო და იგივე მაღალსამუშაოპირიანი საფხეკი საფხეკების ჯგუფში გაერთიანდა. იარაღის ეს ტიპი, ანატკეცებზე ნაკეთებ საფხეკებთან ერთად, მიჩნეული იყო ორინიაკოიდულობის განმსაზღვრელ ელემენტად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ძუძუნის ქვის ინდუსტრია, არ ჰგავს არც ევროპულ და არც ლევანტურ ორინიაკს. ესაა მხოლოდ ნუკლეუსის დამუშავების გარკვეული ტექნოლოგია (Meshveliani, et al, 2004: 143). ამ ფენაში ძვლის ბევრი იარაღია აღმოჩენილი, მაგრამ არც ერთი მათგანი არაა ტიპიური ორინიაკოიდული, ე. ი. გაპოზილობლიანი. ცხოველის კბილებზე დამზადებული საკიდები კი ორინიაკული ტიპისაა. ამ ფენიდან მიღებული აბსოლიტური თარიღები: 21.220, 20.980, 23.240 B.P.

ძუძუნის **B** ფენა შეიცავს ზედა პალეოლითის ფინალური ფაზის მასალას და განსხვავდება წინამორბედი კომპლექსისაგან. ძვლის იარაღები და ორნამენტირებული ძვლის ფრაგმენტები, ისევე როგორც ქვედა **C** ფენაში, აქაც აღმოჩნდა. დღესდღეობით ჩვენს ხელთ არსებული ამ ფენის თარიღები ასეთია: 13.830 B.P. და 11.500 B.P. არარეტუშირებული ლამელები უფრო გრძელია- 8-9 სმ., დომინირებს მიკროგრავეტი და მიკროგრავეტის ტიპის იარაღები, ასევე წაგრძელებული ფორმის სწორი, გვერდობლაგვებული მიკროლითები, რომლებიც ორმხრივი რეტუშითაა დამუშავებული. გაზრდილია მიკროსახვრეტების რაოდენობაც. ძირითადი განმასხვავებელი არის ორმხრივი დამაბლაგვებელი რეტუში, რომელიც ფორმას უცვლის ნამზადს. გეომეტრიული მიკროლითები, ხომ ამის პირდაპირი დასტურია. სწორად ასეთი იარაღები ანატკეცებზეა დამზადებული. იარაღის მორფოლოგიიდან გამომდინარე ასეთი იარაღები მრავალფუნქციონალური იყო; ისინი სასროლი იარაღის წვერებად გამოიყენებოდა, ასევე ბურღებად, სახვრეტებად და შედგენილი იარაღის ხიწვებად (ტაბ. 1).

ადრე ქვის მასალაზე დაყრდნობით, ძუძუნის მღვიმეში, დაფიქსირებული იყო ადრეული და შუა ზედაპალეოლითური ფენები და მათ შორის გენეტიკური კავშირი. აბსოლიტური თარიღების მიღების შემდეგ კი დადგინდა, რომ ძუძუნას ზედაპალეოლითურ ფენებში ორი ქრონოლოგიური წყვეტილია; რადიოკარბონული თარიღების გათვალისწინებით, არქეოლოგიურ მონაცემების და მათ ტიპოლოგიურ ქრონოლოგიაზე დაყრდნო-

ბით აშკარად ჩანს, რომ ადამიანი მღვიმეში ყოველთვის არ ცხოვრობდა. 27.000 B.C. შემდეგ ადამიანის მოქმედება ჩანს მხოლოდ 23.000 B.C. წლიდან, ხოლო 20.000 B.P. წლის შემდეგ მხოლოდ 13.500 B.C. წელს. აქედან გამომდინარე, ძუძუნას მაგალითზე არ შეიძლება ვილაპარაკოთ ზედაპალეოლითური კულტურის უწყვეტ განვითარებაზე. თუმცა მღვიმეში ადამიანის დასახლების სამი ფაზაა დაფიქსირებული, ზოოარქეოლოგიური მონაცემებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივირაუდოთ ძველის სეზონური ათვისება, რადგანაც, ძუძუნას ბინადარი ძირითადად კავკასიურ ჯიხვზე და ბიზონზე ნადირობდა, რომელიც მიგრანტი ცხოველია და ამ რეგიონში გვიან შემოდგომას და ზამთარში ჩამოდიოდა (Bar-Oz et.al, 2004). ძველზე დაფიქსირებული ზედაპალეოლითის განვითარების ყველა საფეხურის არსებობა კი ადამიანთა აქტიურ მობილურობასთანაა დაკავშირებული.

საქართველო მდიდარია ზედაპალეოლითური ძეგლებით, მაგრამ ხელოვნების ნიმუშების სიმდიდრით არ ვართ განებივრებული. ამიტომაც საინტერესო და მნიშვნელოვანია ძუძუნაში ხელოვნების მცირე ფორმების აღმოჩენა. საქართველოს ზედაპალეოლითურ ძეგლებზე ხელოვნების ნიმუშები სულ ერთეული სახითაა წარმოდგენილი. მაგალითად საგვარჯილეში აღმოჩენილია ზღვის გახვრეტილი ნიჟარები, წერტილოვანი ორნამენტით შემკული ალებასტრის საკიდები, ძელისგან დამზადებული თევზის გამოსახულება და ორნამენტირებული ძელის იარაღები (ბერძენიშვილი 1959, ბერძენიშვილი 1991, ნიორაძე 2002). თუმცა არის მოსაზრება, რომ საგვარჯილეს მღვიმეში ნანახი ხელოვნების ნიმუშები ენეოლითურ ხანას განეკუთვნება (ნებიერიძე, 2003: 59). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს გვარჯილას კლდეში ნაპოვნი ძელის ფრაგმენტი, რომელსაც პირობითად „წინამძღლის კვერთხი“ შეარქვეს (თუშაბრამიშვილი 1960), დამზადებულია ცხოველის ნეკნზე და აქვს ნახვრეტი. ნივთი როგორც ჩანს შუაზეა გატეხილი. ორივე მხარეს ამოკაწრული აქვს ერთმანეთის პარალელურად 7-7 „ისრის თუ შუბის“ გამოსახულება, რაც შესაძლოა სიმბოლური მნიშვნელობის იყო, მაგრამ ძნელია იმის მტკიცება, რომ ეს ნივთი მართლაც წინამძღლის კუთვნილება და მისი ხელისუფლების სიმბოლო იყო. შესაძლოა ამ ნივთს მხოლოდ პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა (ლორთქიფანიძე 2002: 47). სულ ახლახანს ზედაპალეოლითურ ძეგლის ოქუმის მასალების ხელახალი შესწავლის შედეგად ძეგლიდან მასალაში აღმოჩნდა ფალანგაზე დამზადებული პალეოლითური ვენერის ორი გამოსახულება (ნიორაძე 2007, ნიორაძე 2006). დასავლეთ საქართველოს მღვიმურ ძეგლებზე აღმოჩენილ ხელოვნების სხვა (ნიორაძე 2002). ნიმუშებზე აქ აღარ შევჩერდებით.

ხელოვნების ნიმუშების არც თუ ისე დიდ რაოდენობას შეიძლება რამოდენიმე ახსნა ჰქონდეს, ერთ-ერთია გათხრების მეთოდიკა, რომლის დროსაც მონაცემების დიდი რაოდენობა იკარგებოდა.

უკანასკნელ ჭლებში ჩატარებულმა საველე სამუშაოებმა ძუძუნაში

გამოავლინა საინტერესო ხელოვნების მცირე ფორმის ნიმუშები; ზედაპალეოლითელი ადამიანი პიროვნული გამოხატულებისა და სხვა ესთეტიური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად იყენებდა ბუნებრივ საღებავს, ოხრას. ამის დასტურია ფენებში ნანახი ოხრა, რომელიც მღვიმეში საგანგებოდაა შემოტანილი. ამ ფაქტს ამყარებს ერთი საინტერესო ნივთი, ესაა ქვის ჯამის ფორმის ჭურჭელი, უფრო სწორად, მისი ფარაგმენტი, რომელზედაც აშკარად ჩანს, და ლაბორატორიული კვლევის შედეგადაც დადასტურდა ბუნებრივი საღებავის კვალი. კედლებზე ძალიან ვიწრო ნაკაწრებია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ ჯამში ოხრა იფქვებოდა (სურ. 1).

ძვლის იარაღების არსებობა ზედაპალეოლითის კულტურისათვის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია. ძუძუნის მღვიმეში წარმოდგენილია ძვლის იარაღების პრაქტიკულად ყველა ფორმა, რაც დამახასიათებელია მახლობელი აღმოსავლეთის და დასავლეთ ევროპის ზედაპალეოლითისათვის. თუმცა არც ერთი მათგანი არაა ტიპური ორინიაკოიდული, ესე იგი გაპობილობლიანი. იარაღების უმრავლესობა არაჩვეულებრივი ტექნიკითაა დამუშავებული და გაპრიალებული, წარმოდგენილია სრულყოფილი ფორმები.

ორნამენტირებული ძვლის იარაღები ცოტაა, სულ რვა ცალი. უფრო სწორად, ხაზებით შემკული. ისინი C და D ფენიდან მომდინარეობს. მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ნაჭდევეები, აღნუსხვის, უმარტივესი მათემეტიკური ოპერაციის აღმნიშვნელია (Peyrony 1934:91-92), ამის საპირისპიროდ არსებობს მოსაზრება, რომ ძვლის იარაღზე ნაკეთები ნაჭდევეები, უტილიტარული მნიშვნელობისაა, ნაჭდევეები კეთდებოდა მხოლოდ იმისათვის, რომ იარაღის ზედაპირი ხაოიანი გამხდარიყო (Luquet 1926:132), რა თქმა უნდა, ეს ნივთები ხელოვნების ნიმუშებად არ ჩაითვლება, მაგრამ ეს იმის ნიშანია, რომ ადამიანი ცდილობდა უფრო ესთეტიკური იერი მიეცა საყოფაცხოვრებო ნივთებისათვის.

თევზის ფორმის გახვრეტილი მახათი, კი საგვარჯილეს ნივთის მსგავსია. ცხოველთა სიმბოლური გამოხატულება პალეოლითური ხანისათვის დამახასიათებელი ელემენტია (სურ. 2).

ზედაპალეოლითელი მონადირე-შემგროვებლები ნიჟარების და ცხოველის კბილებზე დამზადებული სამკაულებით იმშვენებდა თავს, ისინი საკულტო დანიშნულების იყო. ადამიანი, რომელიც ძირითადად ნადირობით ირჩენდა თავს, არაა გასაკვირი, რომ მოკლული ცხოველის კბილი საგანგებოდ დაემუშავებინოს და აშუღებდად ეტარებინოს. ძველზე აღმოჩენილია 10 ცალი ცხოველის კბილზე და 2 ნიჟარაზე დამზადებული საკიდი. თუ ძუძუნის ძვლის იარაღებში არ მოგვეპოვება ტიპური ორინიაკული იარაღები, სამკაულები ორინიაკულია, რაც ჩვენი ძველის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად მიგვაჩნია (სურ. 3).

პალეოლითელი ადამიანი ხვრეტდა არა მარტო ძვალს, ცხოველის კბილებსა და ნიჟარებს, არამედ ქვასაც. ძუძუნაში ნაპოვნია ქვის სამი

სამკაული, ორი მძივია, ერთი მათგანი ფრაგნენცია, შერჩენილია სამკუთხედის ფორმის საკიდი და გატეხილია ზუსტად ნახვრეტზე. ქვა კარგადაა დამუშავებული და გაპრიალებული. მეორე მძივი პატარაა, ოვალური ფორმის, ბრტყელი და საკმაოდ დიდი ნახვრეტი აქვს. ანალოგიური საკიდი ნანახი აფიანჩას მღვიმეში, ზედაპალეოლითურ ფენაში (Церетели 1982). უფრო საინტერესოა ქვის საკიდი, ოვალური ფორმის, ოდნავ მოგრძო, რომელსაც გარშემო შემოუყვება 31 ნაჭდევი. ზუსტი ანალოგია ვერ მოვიძიეთ, გადაჭრით ვერ ვიტყვით, ნაჭდევები მარტო ორნამენტია თუ, მას რაღაც სიმბოლური დატვირთვაც ჰქონდა (სურ. 4).

ქვის ნივთებზე ლაპარაკისას, არ შეიძლება რომ არ აღვნიშნოთ „ქვა ნაჭდევებით“, რომელიც სამწუხაროდ ჭრილიდან ჩამოვარდა გათხრების მიმდინარეობისას, ამიტომ ზუსტი სტრატოგრაფიული ადგილმდებარეობა არ ვიცით, მაგრამ მაინც საჭიროდ ჩავთვალეთ მასზე ყურადღება გავგემახვილებინა. ნივთი გატეხილია, მისი ცალი გვერდი ბრტყელადაა წაკვეთილი, ხოლო მეორე გვერდი ოვალური ფორმისაა, რომელსაც ხაზების სამი მწკრივი დაუყვება, შუაში 14 პარალელური ხაზია, ერთ გვერდზე 13 და მეორეზე 10 პარალელური ხაზით. ნივთის ერთ-ერთ სიბრტყეზე დატანილია არასიმეტრიული ნაჭდევები. რა დანიშნულება ჰქონდა ამ ნივთს, ძველი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ ძუძუნაში მცხოვრები ადამიანი რაღაცას აღრიცხავდა, ითვლიდა (სურ. 5).

საინტერესო ნივთია აღმოჩენილი C ფენაში, ძვლის ფრაგმენტი გეომეტრიული ორნამენტით, ნივთი გატეხილია, ერთი გვერდი შემკულია ოთხი ცალი მომრგვალებული ამოღარვით, თითოეულზე დასმულია წერტილი. წერტილებია ნივთის მეორე მხარეს, ოღონდ ეს წერტილები გამჭოლი არაა. მეორე მხარე დახაზულია ურთიერთგადამკვეთი ხაზებით, რომლებიც ოთხკუთხედებს ქმნიან, ხაზების გადაკვეთის ადგილებში შედარებით პატარა წერტილებია დასმული. ეს ნივთი ძალიან საინტერესოა თავისი მხატვრული სახით, გეომეტრიული ორნამენტის გამოყენებით შექმნილია მხატვრული ფორმა. სამწუხაროდ ნივთი გატეხილია და მისი მთლიანი სურათის აღდგენა შეუძლებელია (სურ. 6).

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ძვლის ორნამენტირებული საკიდი (სურ. 7), რომელიც ასევე C ფენაშია ნაპოვნი (მეშველიანი თ. და სხვ., 2003: 29-31), აბსოლუტური თარიღია 22.000-21.000 წ.წ. B.P. მასზე გამოხატულია ე. წ. დაფერდებული ჯვარი, რომელიც ჩასმულია წრეში და ზემოდან სწორფერდა ჯვარი ადევს. საკიდის თავი დაზიანებულია, მაგრამ ეტყობა ეს ნივთი ისეთი მნიშვნელოვანი ყოფილა, რომ განუახლებიათ, ახალი ნახვრეტი გაუკეთებიათ და მისთვის ფუნქცია არ დაუკარგავთ. საკიდის ბოლო შეზნექილი კუთხითაა ამოჭრილი. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი შეზნექილკუთხიანი ძვლის რამოდენიმე ფრაგმენტიც გვაქვს ნანახი, შესაძლოა ეს „ნამზადებია“ მომავალი სამკაულებისათვის. ამ ნივთის პარალელების მოძიება ძალზე გაგვიჭირდა. ჯვრის გამოსახულებიანი ქვის ფილაა აღმოჩენილი წონას (Каландадзе 1969: 350, ტაბ. 91), გამოქ

The main essence of this specific approach can be found in co-existence of „global“ and „national“ cultures. Among the above one should imply the main trends of „vitality preserving system“ in nation. For the Georgian ethnic group of special importance is the culture of earth cultivation, which should be considered jointly with ecology – the most topical urgency in the recent world.

გ. გოცირიძე (თბილისი)

ქართული სუფრის ანთროპოგენური მოდელი

„ქართული სუფრა არის ქრისტიანული სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის გამოხატვის უნიკალური ინსტიტუტი“.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს
პატრიარქი ილია II, საშობაო ეპისტოლე, 2007

ქართული სუფრის შესახებ დღეს ძალიან ბევრს საუბრობენ. XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში, კაცობრიობის ისტორიაში მე-3 ათასწლეულის ხანაში, როცა საყოველთაო გლობალიზაციის პირობებში კულტურული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების საკითხი სრულიად ახლებურად დადგა. გაჩნდა ცნება „ღია“ და „დახურული“ საზოგადოებებისა, რომელშიაც ტრადიციული ეროვნული, ზოგადს – „კოსმოპოლიტურს“ დაუპირისპირდა. მეტ-ნაკლებად ეს პროცესი ქართულ ყოფით სინამდვილესაც შეეხო და რიგ სხვა კულტურულ ფასეულობებთან ერთად ქართულ სუფრასაც ბრძოლა გამოუცხადეს (1). ამას ხელი შეუწყო უცხოელი მკვლევარების ელზა კოტაოვის, ქვეინ თუითის, ფლორიან მიულფრიდის და სხვათა ნაშრომებმა, რომლებიც ჩვენს სამეცნიერო წრეებში რეაგირების გარეშე არ დარჩენილა (2, გვ. 7).

საქმე იმაშია, რომ ეს უცხოელი ავტორები სწავლობენ თანამედროვე აწ უკვე დიდ წილად გადაგვარებულ, დამახინჯებულ ქართულ სუფრას, რომელიც რეალურ ისტორიულ სინამდვილეს და ტრადიციას მოწყდა. ამიტომაც შედეგები ხშირ შემთხვევაში ისეთივე „კურიოზულია“, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში. ამასთან უნდა ითქვას ისიც, რომ უცხოელი ავტორების კვლევის მეთოდიკაც მიუღებელია. იგი მოკლებულია კვლევის კომპლექსურ-ინტენსიურ მეთოდს და რეტროსპექტულ ანალიზს, რაც ქართული ეთნოგრაფიული სკოლის მიერ ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში იქნა შემუშავებული (გ.ჩიტაია). სამწუხაროდ უცხოელ ავტორთა გამოთქმული მოსაზრებები კრიტიკის გარეშე იქნა გაზიარებული ზოგიერთი ჩვენი თანამემამულის მიერ და ქართულ პერიოდიკაში გაჩნდა მთელი სერიალი ამ აქტუალური პრობლემისადმი. კრიტიკოსი ლევან ბრეგაძე პირველი იყო, ვინც ქართულ სუფრას, თამადაობის

ინსტიტუტს და სადღეგრძელოებს ისტორიული საფუძველი გამოაცალა და ხმამაღლა განაცხადა, რომ სუფრა იმ სახით რა სახითაც იგი დღეს ჩვენში არსებობს XIX საუკუნის მეორე ნახევარშია შექმნილი. მისივე თქმით: ქართულმა სუფრამ და კერძოდ სადღეგრძელომ, ერთგვარი კომპენსატორის როლი შეასრულა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველ თავადაზნაურთა წრეში გაჩენილი ნოსტალგიური და საპროტესტო განწყობილებისა. უფრო მეტიც, ავტორი წერს, რომ თამაძობა და სადღეგრძელო, რომელიც გრიგოლ ორბელიანამდე (იხ.მისი „ტოლუმბაში ანუ ომის შემდგომ ლხინი და სადღეგრძელო“), არც ერთ ლიტერატურულ ძეგლში არ მოწმდება, რომ ის საერთოდ არ იცოდნენ საქართველოში და ამას ასაბუთებს აკაკი წერეთლის თორნიკე ერისთავიდან აღებული ერთი ფრაზით: – „მოვრალბა და სადღეგრძელო სათითაოდ არ იცოდნენ ჩვენი ლხინი რომ ენახათ, სირცხვილითაც დაიწვოდნენ“ (3, 5). კრიტიკოსს ავიწყდება, რომ აქ სათითაო ანუ პერსონალურ სადღეგრძელოებზეა საუბარი და არა საერთოდ სადღეგრძელოებზე, როგორც ლოცვის ერთ-ერთ ჟანრზე, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ლევან ბრეგაძეს კრიტიკულად დაუპირისპირდა რ.შენგელია და ეს საინტერესო პოლემიკა გაზ. „არილის“ ფურცლებზე კარგა ხანს გაგრძელდა. მოგვიანებით ქართული სუფრა და სამოქალაქო საზოგადოება ფილოსოფოსთა და სოციოლოგთა საგანგებო მსჯელობის საგანი გახდა და კავკასიის ინსტიტუტმა დისკუსიაც კი მოაწყო ამ თემაზე (4). სამწუხაროდ, დისკუსიაში არ მონაწილეობდნენ არც ისტორიკოსები და არც ეთნოგრაფები. პაექრობის დროს სოციოლოგმა ემზარ ჯგერენაიამ არც მეტი და არც ნაკლები ქართულ სუფრას თავაწყვეტილი ვაკხანალიისა და მასკულაციის გამოვლინების ასპარეზი უწოდა და შეზარხოშებული მამაკაცების ამბორში მამათმავლობის გადმონაშთები დაინახა. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, დისკუსიამ (იგი ბროშურის სახით იქნა გამოქვეყნებული) (4), ფართო საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. პრობლემას გვერდი ვერ აუარა ტელევიზიამაც, თუმცა მათ გადაცემებში (ავტორები ლადარია, ჯანრი კაშია, გიორგი გვახარია) ის სპეციალისტები, რომლებიც კონკრეტულად ამ თემაზე მუშაობენ, მიწვეულები არ ყოფილან. მიუხედავად ამისა ეთნოგრაფების წრეში ეს საკითხი ყურადღების მიღმა არ დარჩენილა, მას მაშინვე გამოეხმაურა ლევან ფრუიძე, რასაც მიჰყვა ჩვენი წერილიც (1, 6). გარდა ამისა სამეცნიერო პუბლიკაციებშიც არა ერთ გზის ვეცადეთ ობიექტური ჭეშმარიტება დაგვეცვა, გვეთქვა ის, რაც აუცილებელი იყო (5), მაგრამ როგორც ჩანს, ეს მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი, ამიტომაც მინდა მივუბრუნდე ამ თემას და კიდევ ერთხელ ვცადო ჭეშმარიტების დადგენა.

დავიწყოთ იმით, რომ სუფრა ანუ პურობა, სერობა, ტრაპეზი საყოველთაოდ ცნობილი ისტორიული კატეგორიაა, სოციალური ინსტიტუტია, ყოფითი კულტურის ის ორგანული ნაწილია, რომელიც სხვადასხვა

ხალხში, უძველესი დროიდან სხვადასხვაგვარად იქნა გააზრებული. ძველ რომში მან ვაკხანალიის ხასიათი შეიძინა და დიონისეს კულტმსახურებაში თავაწყვეტილ თრობასა და ექსტაზში იყო გადასული. საქართველო კი ისტორიული ბედით გამორჩეული პურისა და ღვინის სამშობლოა, ის კლასიკური სამიწათმოქმედო ქვეყანაა, სადაც მიუხედავად ბერძნულ-რომაული კულტურის ზეგავლენისა, სუფრამ თვითმყოფადი ხასიათი შეინარჩუნა. იგი შედარებით ადრე მოწყდა წარმართულ, მისტერიების ციკლს და ქრისტიანობის ფორმატში მოქცეული ლიტურგიკული ბუნების გამომხატველ სოციალურ ინსტიტუტად იქცა. მიუხედავად დროთა განმავლობაში მომხდარი მკვეთრი ცვლილებებისა, სუფრა ჩვენში, დღესაც, თავისი სტრუქტურით, აგებულებით, რიტუალური წეს-ჩვეულებებით, კერბალური და ვიზუალური მხარეებით, თამაღობის ინსტიტუტითა და სადღეგრძელოებით, გართობა-თამაშობებით და სუფრული სიმღერების თანხლებით, ქართული გენის, ხასიათის, მენტაღობის გამომხატველია (6).

ისტორიულ წყაროებს თუ დავეყრდნობით (მხედველობაში გვაქვს როგორც საერო, ისე სასულიერო ხასიათის წერილობითი ძეგლები: „შუშანიკის წამება“, „ხელმწიფის კარის გარიგება“, „დასტურღამაღი“, არჩილისა და თეიმურაზის თხზულებანი) ერთად პურის გატეხა, კოლექტიური ტრაპეზი, სერობა, „ტაღრობა“, საკრალური შინაარსის აქტია. იღუურად, იგი თავისი საწყისით ძველ ებრაული გაღმოცემებიდან (კერძოდ, იზო წირაქის მოღღერებიდან) უნდა იღებღეს სათაღეს (6, 143).

წარმართობის ხანიდან მოყოლებული, აღამიანები ღმერთს (შემოქმედს), მადღობას სწირაღდნენ პურისა და წყღის მოცემისათღვის და როგორც წმინღა საწირვეღს, საკეღებს თანაღმეინახეთა შორის თანაღბრად ინაწილებღდნენ. შემღღეღ ეს რიტუაღლი მაღცხოვარმა იესო ქრისტემ საიღღუმღლო სერობაზე აღასრულა და ასე იქცა კოლექტიური ტრაპეზი ევქარისტიოს ანუ ზიარების შემაღღგენეღ ნაწიღად (7. 145).

დაღღგენიღლი წესის თანახმაღ ევქარისტია ეკღესიაში ყოვეღღღღე აღღსრულებღღა. უძვეღღესი ქრისტიანები „პურის ჭამას“, პურის გატეხას, უფღის სხეულთან და სულთან ზიარებაღ აღიქვამღდნენ, პური ქრისტეს სხეული იყო, ღვინო კი სისხღლი, აქეღდან გაღმოღღინარე პურ-ღვინო (ღვინოში დაღბაღლი პური – „ბოღღლოწო“) ამ ზიარების სიმბოღლოა, რაც ხაღღსურ წეს-ჩვეულებებში ღღემღღეა ამ სახით შემორჩენიღლი, მიცვაღღებუღლის სულს პურითა და ღვინით (ღვინოში პურის ჩაწებით ან პირიქით პურზე გაღღმოსხმით) მიაღღებენ შენღღობას (8. 21).

პურის გატეხას საეკღესიო ტრადიციით აღაპიც ეწოღღეა. იგი ლოციღის შემღღეღ გაღართუღლი სერობაა, რომეღლიც ღვთის სახღღში (ეკღესიაში) ხღღება და სიმბოღღურად ზეციური სერობის მიწიერ გაღმოხატუღღებას წარმოაღღგენს. აღაპს ხშირად იხსენიებღღა უფაღლი (იესო) „მამის სასუფვეღღის“, მეტაღფორის სახით. წმინღა მამის, ეპისკოპოზ ნიკოლოზის თქმით, კვირა ღღეს და საეკღესიო ღღესასწაულებზე ღვთისმსახურების

შემდეგ ერთმანეთთან სტუმრობა და ტრაპეზის მიღება ქრისტიანული ცხოვრების აუცილებელი წესი იყო (9. 47). ეს წესი ჩვენში თითქმის დღემდე ურყენელად არის შემონახული.

მორწმუნეთა გადმოცემით, ყოველი ქრისტიანული დღესასწაული წმინდა წერილის კითხვით იწყებოდა. ამას მოსდევდა ეპისკოპოსის ქადაგება, დაბოლოს სერობა ანუ ალაპი. ალაპზე მას შემდეგ, რაც მრევლი სიყვარულისა და ერთობის ნიშნად ერთმანეთს ეამბორებოდა, შემოწირულობებიდან აღებულ პურის ნაწილებზე და წყალგარეულ ღვინოზე კურთხევით ეპისკოპოსი დაილოცებოდა. შემდეგ ყველა იქ მყოფთ პურ-ღვინოთ აზიარებდა და იწყებოდა ფსალმუნთა კითხვა და საღმრთო გალობა. ალაპის აღსრულების წინ კი სულის განბანვის წესი უნდა აღსრულებულიყო. ეს ჩვეულება როგორც სავალდებულო წესი ეთნოგრაფიულ სინამდვილეს – ყოფას მიცვალებულის დაკრძალვის „ხარჯის“ ანუ „ქელეხის“ დროს უფრო შემორჩა, ხოლო საღვინო პურობაზე, ანუ ნადიმზე იგივე წესი „ხელის დამშვენებას“ რომ უწოდებდნენ, თანდათან გაქრა და ჩვეულებრივ ჰიგიენურ წესს შეუერთდა.

ყოველი ლიტურგიკული ტრაპეზი მიზნად ისახავდა ღარიბი ხალხის, ძმებისა და დების დაპურებას, ქრისტიანთა შორის ურთიერთსიყვარულისა და თმობის განმტკიცებას. ასეთ აქტს ტაძრებში სასულიერო პირები უძღვებოდნენ, ხოლო თუ ის ერობაში (სახლებში) გაიმართებოდა – ერისკაცები. არც ერთ ტრაპეზზე, გადაჭარბებული ჭამა-სმა ანუ ღრეობა („ნაყროვნება“) და თრობა არ შეიძლებოდა, თუნდაც იგი მთელი დამე გაგრძელებულიყო. სწამდათ, რომ რადგან ყველა სიკეთე ღმერთის მადლით იქმნებოდა, პურობაც მისთვის აღვლენილი ღოცვითა და გალობით უნდა წარმართულიყო და თრობა და ზღვარგადასული სმა კი სირცხვილად ითვლებოდა.

ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, რომ ალაპები დროთა განმავლობაში გამოეყო საერთო ლიტურგიკას და საეკლესიო პურობა საერო პურობისაგან გაიმიჯნა. ფიქრობენ, რომ ეს ფაქტი ქრონოლოგიურად დაახლოებით IV-V სს-ში უნდა მომხდარიყო, მაგრამ ე. წ. „გახალხურებული ალაპები“ გარკვეულწილად მაინც ინარჩუნებდნენ საეკლესიო გავლენას (9. 42). მაგ. სუფრის კურთხევის აუცილებელი წესი; ეს იქნება მიცვალებულის სახელობაზე გამართული პურობა, თუ სადღესასწაულო სუფრა, თითქმის XX ს. II ნახევრამდე იგი ყველგან სრულდებოდა. ისე კი უნდა ითქვას, რომ ერობაში გამართული ალაპები, რაც უფრო სცილდებოდნენ თავიანთ ადრინდელ ფორმებს, მით მეტად კარგავდნენ პირვანდელ მნიშვნელობას და ჩვეულებრივ სადღესასწაულო და სამგლოვიარო ტრაპეზებად იქცეოდნენ, თუმცა სამგლოვიარო ტრაპეზები („თავის ხარჯით“ ანუ ქელეხით დაწყებული, ორმოცთა და წლისთავით დამთავრებული) დღემდე ინარჩუნებენ საწესი ბუნებას და იმ უძველესი რწმენა-წარმოდგენებიდან იღებენ სათავეს, რომლის თანახმადაც მიცვალებულის სული მარა-

დიული კვდომა-აღორძინების, მოკვდავი და აღდგენადი ღვთაებების იდეასთან არის ნაზიარები (9. 11). საინტერესოა ისიც, რომ საქართველოში ყველა სახის რიტუალური პურობა დღესაც ალაპის მსგავსად „ხელის დამშვენებით“ ანუ „განბანვით“ იწყება და ეს არ არის მარტოღონ ჰიგიენური წესი. ყოველგვარი პურობის წინ „ხელის დამშვენებას“ სამეგრელოში ახლაც ასრულებენ, ხოლო ქელესში, დაკრძალვიდან მობრუნებულებისათვის ხელის გაბანა თითქმის ყველა კუთხეშია შემორჩენილი (6. 207).

ყოველგვარი ისტორიული კატეგორია და მათ შორის ქართული სუფრაც დინამიურია. ყოფილ საბჭოთა სივრცეში მოქმედმა ათეისტურმა რეჟიმმა მასზეც უდიდესი გავლენა იქონია. მყარი სისტემა შეარყია, დაარღვია. ასე მაგალითად, დაიკარგა ალაპების მსგავსი ლიტურგიკული ტრაპეზები, რაც ერთბაშად არ მომხდარა. XX საუკუნის 20-იან წლებამდე კი სუფრაზე პურობა ისე არ დაიწყებოდა, მისი კურთხევა რომ არ მომხდარიყო და ღოცვა არ შესრულებულიყო (პურობის წინ პირჯვარს გადაწერდნენ და ღმერთს მადლობას სწირავდნენ). ძველი ეტიკეტის თანახმად სუფრასთან (როგორი ხასიათისაც არ უნდა ყოფილიყო იგი) ქაღალდი და კაცნი ცალ-ცალკე სხდებოდნენ, დაცული იყო უფროს-უმცროსობის იერარქიული წესიც (სუფრის თავში უფროსები სხდებოდნენ, ბოლოში კი ახალგაზრდები), მაგრამ ჩვენი აზრით ყოველივე ეს წმინდა ეთიკური, ზნეობრივი მოტივებით უფრო იყო განპირობებული, ვიდრე გვაროვნული საზოგადოების (კერძოდ პატრიარქატის) დროინდელი გრადაციული ნიშნების არსებობით, რასაც ზოგიერთი ავტორი მიიჩნევდა (7). დღეს ეს გადმონაშთები აღარ არსებობს, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა.

თ ა მ ა დ ა – ტრადიციული ქართული სუფრის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი თამადაა. თამადობის ინსტიტუტი ძველია. მართალია იგი ზოგადკავკასიურ მოვლენადაა მიჩნეული, მაგრამ არსად ისე ძლიერად არ არის განვითარებული, როგორც საქართველოში. ისტორიულ წყაროებში და ლექსიკონებში ტერმინი „თამადა“ (აღმოსავლეთ საქართველო) და „ტოლუმბაში“ (დასავლეთ საქართველო), XIX საუკუნემდე თითქმის არ გვხვდება. არა აქვს იგი არც სულხან-საბა ორბელიანს. სამეცნიერო ლიტერატურაში ამის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ტერმინ ტოლუმბაშს თურქულად თვლიან („ტულუმბ“ თურქულად ტიკს ნიშნავს, „ბაშ“ -თავს. ტოლუმბაში ანუ ტიკის თავი). რაც შეეხება „თ ა მ ა დ ა ს“, ნაწილი მას სპარსულიდან შემოსულად თვლის (აბაევი, ანდრონიკაშვილი), სპარსულში „**დამად**“ არის სიძე, რომელიც საკრალურ ქორწინებაში მთავარ როლს ასრულებდა, ნაწილი ავტორებისა კი თვლის, რომ ის ჩრდილოკავკასიურიდან (ლოპატინსკი, კერაშოვა, ქანთარია და სხვები) შემოვიდა. „თჰა მად“ – სიტყვაში – თჰა ღვთაებაა, ე. ი. ღვთაებრივი წარმოშობის პირია, ჩვენი აზრით ის უფრო სპარსულია, ვიდრე ჩრდილოკავკასიური. ქართულში ტერმინი თამადა XVII-XVIII საუკუნეებიდან უნდა შემოსულიყო, როცა როსტომ ხანის მეფობის შემდეგ მთელი რიგი ქარ-

თული ტერმინების გასპარსულება (ივ. ჯავახიშვილი) მოხდა, თუმცა არა პირდაპირი მნიშვნელობით (6). ვფიქრობთ ეს ტერმინი ჩაენაცვლა ძველ ქართულ სიტყვას „პურის უფალს“, „სუფრისა წინამძღვარს“. „მთავარი ტაძრისაისას“ (ტაძრობის ანუ პურობის თავს), სვანურ „მხნის თავს“ და ა. შ.), რასაც ასაბუთებს ბიბლიის ქართულ თარგმანებსა და სხვა წერილობით წყაროებში დადასტურებული ეს ტერმინები (6). აღსანიშნავია ისიც, რომ „სუფრის წინა მძღვარის“ ანუ „პურობის თავის“ ფუნქციას ხევში ასრულებდა სასულიერო პირი – ხუცესი, „ხევისბერი“, დეკანოზი. ოჯახში ოჯახის უფროსი (იგივე საკრალური ფუნქციის მქონე პირი). მოხდა ისე, რომ საზოგადოების განვითარების, მისი გაფართოვებული სოციალიზაციისა და დესაკრალიზაციის პირობებში, თამადა ანუ სუფრის თავი გახდა გამორჩეული საერო თვისებებით დაჯილდოებული პირი (მჭერმეტყველი, ავტორიტეტი, ღვინის სმის შემძლე), რომელმაც იცის სუფრის წესი და რიგი, წარმოთქვამს მაგიურ სიტყვას „წარსათქმელს“, „სადღეგრძელოს“ (სანადიმო სუფრაზე), „მოსაგონარს“, „შესანდობარს“ (მიცვალებულის სუფრაზე) და იქცევა იმის მიხედვით, თუ როგორი ხასიათის პურობაა გამართული. დადგენილია ისიც რომ სადღეგრძელო ჟანრობრივად ლოცვა-ვედრების, დალოცვის, ანუ მჭერმეტყველების ვერბალურ ფორმას წარმოადგენს იგი მაგიური სიტყვიერების ჟანრია, რომლის გარეშე არც ჭირი და არც ღვინი არ იმართება (10. 27). მიუხედავად იმისა, რომ ქართული ტრადიციული სუფრა ზოგჯერ აყალმაყალითაც მთავრდებოდა და თრობაც ზომიერებას იყო გადასული (დღევანდელზე რომ არაფერი ვთქვათ), მისი ეტიკეტის დარღვევა სირცხვილად ითვლებოდა. ტრადიციული სადღეგრძელოების რიგი, ეთნოგრაფიული და ზეპირი გადმოცემების გარდა, კარგად შემოგვინახა საქართველოს მთიანეთში ფიქსირებულმა სადიდების ტექსტებმა, ლიტერატურულმა ტრადიციამ (11). აღექსანდრე ორბელიანი წერს, რომ პირველი სადღეგრძელო ღვინის სადიდებელი, ანუ უფლის სავედრებელი იყო, მეორე მეფისა ანუ ხელმწიფისა და მესამე სამშობლოსი (12. 52). ეს დაახლოებით გრიგოლ ორბელიანთანაც ასეა. ხალხში ეს წმინდა ტრიადა თანდათან შეივსო წინაპრების, ეროვნული გმირების, „კაი ყმის“ სადღეგრძელოებით. ამასთან „სანადიმო“ და „სამგლოვიარო“ სუფრის სადღეგრძელოები მკვეთრად იყო გამოიჯნული. „ჭირის სუფრის“ სადღეგრძელოებს შესანდობრები ერქვა. თანაც საინტერესოა, რომ აქ უფრო მკაცრადაა დაცული სიტყვის რეგლამენტირება. შვიდ შესანდობარს (7 ჭიქას) აწვევდნენ მიცვალებულების, წასულეების, გარდაცვლილების მოსაგონებლად და მხოლოდ მას შემდეგ იტყოდნენ დანატოვარის ანუ სამზეოში დარჩენილი ოჯახის წევრების სადღეგრძელოებს. რაც შეეხებოდა ღვინის სუფრას, აქ თამადას მეტი თავისუფლება ენიჭებოდა. აუცილებელ სადღეგრძელოთა შემდეგ თავისუფალი სადღეგრძელოები ისმებოდა. პერსონალურ სადღეგრძელოებზე გადასვლა კი ბოლო ასწლეულის შედეგია, რაც როგორც უკვე ვთქვით აკაკი წერ

რეთლის თხზულებებიდანაც გამომჩნდა. მიუხედავად ასეთი იმპროვიზაციისა, სანადიმო სუფრაზე მიცვალებულის მოსახსენიებელი აუცილებლად უნდა დაეღლიათ და სულ ბოლოს ყოვლადწმინდის ანუ ყველაწმინდისა ეთქვათ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სადღეგრძელოთა საკრალურ ხასიათს. ასეთივე საკრალური შინაარსისა უნდა იყოს ზოგიერთ კუთხეში შემორჩენილი ისეთი სადღეგრძელოები, როგორებიცაა „საყვენოსი“ (სვანეთი), შემოსწრებულისა (სამეგრელო, ქართლი, კახეთი, იმერეთი) და სხვა, რაზეც აქ დაწვრილებით აღარ შევჩერდებით. ცხადია ბევრი რამ დრომ წაშალა, ევროპული წესების შემოღებამ და ე. წ. „ვესტერნიზაციამ“. ეროვნული ფასეულობები გაქრობის წინაშე დააყენა, მაგრამ ქართულ სუფრას აღაპების მსგავსად მაინც შემორჩა ურთიერთსიყვარულის, თანადგომის, ძმობის, ერთობის, უფროს-უმცროსობის, ქალისა და მამაკაცის ურთიერთპატივისცემის ნიშნები, რომლებიც სათავეს ლიტურგიკული პურობიდან იღებს და ის არ არის და არ უნდა იყოს თავაწყვეტილი ღრეობისა და ვაკახანაღიის გამოვლინება. იგი უფრო რაინდული, ამადლებული ზნეობრივი ქცევის ასპარეზად უნდა დარჩეს. ავიღოთ თუნდაც რიტუალური სასმისით – „მარნით“ სმის წესი „ვახტანგური“, რომლის დროსაც ორი მენახე „ყანწით“ ან „მარნით“ ერთმანეთს გვერდით უდგებოდნენ და ჯვარედინად მკლავგადაჭლობიანი, გამორჩეულ სადღეგრძელოს სვამდნენ. ვახტანგური გერმანულ ბრუდერშაფტს გვაგონებს, მაგრამ ოდნავ განსხვავებულს. შესაძლოა ამით ევროპულთანაც ამუღავენებდნენ სიახლოვეს (ვარაუდობთ რომ XVII საუკუნის მეორე ნახევარში, ვახტანგ მეექვსემ რუსეთის საიმპერატორო ტახტზე ვიზიტისას ღვინის სმის ასეთი წესი იხილა), მაგრამ ხომ შეიძლება ის უფრო ძველიც იყოს. ანდა – „აღავერდი“ ავიღოთ. მისი მსგავსი რამ ევროპელებს არ გააჩნიათ, თუმცა შინაარსი და ასევე ტერმინის ეტიმოლოგია ჩვენთვის ჯერ ჯერობით ამოუხსნელია.

ყოველივე ზემოთთქმული, ქართული ტრადიციული სუფრის ისტორიის, მისი ეთნიკური თავისებურების ჩვენების მხოლოდ მოკლე მიმოხილვაა, რისი აღდგენაც და პატივისცემაც ჩვენს საზოგადოებას ნამდვილად მართებს. ტრადიციული სუფრის გადარჩენის აუცილებლობისა და მის მიმართ გაჩენილი ზოგიერთი მკრეხელური, ნიჰილისტური დამოკიდებულებების საპასუხოდ ქართული ეკლესიაც იმაღლებს ხმას. რაოდენ მნიშვნელოვანია ამ მხრივ მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს პატრიარქის ილია II სიტყვები, 2007 წლის საშობაო ეპისტოლედან: „ქართული სუფრა არის ადამიანთა ერთობის და თანადგომის, ჭირისა და ღვინის გაზიარების ადგილი, სადაც უფალი მყოფობს, ამიტომაც პურობა იწყება და მთავრდება ღოცვით... ქართული სუფრა არის ქრისტიანული სიყვარულის და ურთიერთპატივისცემის გამოხატვის უნიკალური ინსტიტუტი, პატრიარქი იქვე დასძენს ... ეკლესიური ცნობარებიდან გამომდინარე, კარგია რომ ჩვენს სუფრაზე თანდათან მკვიდრდება

სადღეგრძელოთა შინაარსი და ტრადიციული თანმიმდევრულობა, რაც იწყება უფლის სადიდებლით და მთავრდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხსენებით. ამასთან ყოველი სადღეგრძელო დალოცვაა, ლოცვის ერთგვარი სახეა. ... ქართული სუფრის დრმა სულიერ ხასიათზე მიუთითებს ისიც, რომ ყოველთვის ხდება მიცვალებულის მოხსენიება“ (13).

ჩვენ ამ სიტყვებს აღარაფერს დაუმატებთ, ისედაც ყველაფერი ცხადია.

ლიტერატურა

გ. გოცირიძე, ვინ ებრძვის ქართულ სუფრას, გაზ. ლიტერატურული საქართველო, 11(3323), თბილისი, 2002.

ქოთხოფი ჰელგა, ქართული სადღეგრძელოები, ხელოვნებასა და შეჯიბრს შორის, კონსტანცისა და ვინეის უნივერსიტეტი, გფრ, აპრილი, 1983, ვუთითებ ლ.ბრეგადის თარგმანის მიხედვით, იხ. გაზ. არილი, 6, 12, 1997. ლ.ბრეგადე, სადღეგრძელო და მისი კომპენსატორული ბუნება, გაზ. არილი, 5(52), თბილისი, 1997. იხ. აგრეთვე

გაზ. არილი 6, 12, 1997.

ქართული სუფრა და სამოქალაქო საზოგადოება, დისკუსიები კავკასიურ ინსტიტუტში, 4, თბილისი, 2000.

გ. გოცირიძე, კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში, თბილისი, 2007.

თ. იველაშვილი, ქართული სუფრის ეტიკეტი, თბილისი, 1995, იხ. აგრეთვე გოცირიძე, ქართული სუფრის კულტურული მოზაიკა (თამადაობის ინსტიტუტი), კრებ. „ქართველური მემკვიდრეობა“, III, ქუთაისი, 1999.

ნ. აბაკელია, სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბილისი, 1997, 143.

გ. გოცირიძე, ქართული სუფრის წესების რელიგიური სემანტიკა, საერთაშორისო სიმპოზიუმის, ქრისტიანობა წარსული აწმყო, მომავალი. მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბილისი, 2000, 30.

გ. გოცირიძე, ნ.დამბაშიძე, ტრადიციული ქართული სუფრა და მისი ლიტურგიკული ბუნება. იბეჭდება მრავალხმიანობისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები. თბილისი, 2007.

ო. ბანძელაძე, სადღეგრძელო, საერთაშორისო სიმპოზიუმის – ქუთაისური საუბრები, IV, თეზისები, ქუთაისი, 1991, 27.

ჯვარ ხატთა სადიდებლები, ტექსტები შეკრიბეს, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ზურაბ კიკნაძემ, ხვთისო მამისიმედი-შვილმა და ტრისტან მახაურმა, თსუ, ფოლკლორისტიკის კათედრის შრომები, 2, თბილისი, 1998.

ალ. ორბელიანი, ტოლუმბაშობა, ჟურნ. ცისკარი, 2, თბილისი, 1968.

საპატრიარქოს უწყებანი, 1 (401), 2007, 11-17 იანვარი.

Г. Гоциридзе (Тбилиси)

Антропогенная модель грузинского застолья

Грузинская супра – это есть уникальный институт христианской любви и взаимоотношений.

Илия II, патриарх всея Грузии

В современных дебатах о социально-экономических и политических свойствах грузинского государства и постройки современного грузинского общества, традиционное грузинское застолье представляется как главный маркер национального культурного наследия и идентичности.

Сегодня в Грузии, как и во всем мире, происходят необратимые процессы глобализации, интеграции и вестернизации, которые создают серьезную угрозу потери народных ценностей и достижений как в материальной, так и духовной жизни народа. К числу незаурядных феноменов национальной бытовой культуры относится традиционный институт застолья, который, несмотря на резкую трансформацию, по сей день сохраняет своеобразную этническую специфику, сакральную природу и символику коллективной трапезы¹. Говоря иными словами, грузинская «супра» – пиршество и этикет застолья, высокостроенный институт с четко установленной структурой, которому современное гражданское общество уделяет особое внимание. Заинтересованность проявляется по-разному. С одной стороны, это касается степени сохранения, устойчивости и консервативности традиционных ритуалов, а с другой стороны, ее стереотипности и модификации в современных условиях. По нашему мнению это есть в определенной степени отражение понятий т. н. бинарного противостояния двух начал, сакрального и профанного. К сакральному можно отнести традиционные ритуальные трапезы (свадебные и поминальные) и этикет застолья в целом, смысл которых состоит в создании определенного круга общества – «социума», с участием семиотической градации и кодификации. К профанному относится современное пиршество, без какой-либо сегментной догматической установки. Такой двоякий подход к данной области культуры делает эту проблему более обстоятельной и широкой. В разработке и в дебатах участвуют ученые различных специальностей – этнологи, социологи, культурологи и др., которых можно причислить к глобалистам и антиглобалистам².

Исходя из этого, при анализе грузинского общества можно различить два подхода – неолиберальный и традиционный. Неолиберальный подход описывает

современное грузинское застолье как секулярный ритуал, «придуманную» в XIX веке модель, которая широко распространилась в Грузии в Советский период³. Согласно этому подходу связь с прошлым у грузинского застолья фиктивна, так как уже потеряло свое исконное значение и стало лишь только средством компенсации потерянного суверенитета страны. Следует отметить, что грузинское (и вообще кавказское гостеприимство) как основа грузинского застолья, последователями нелиберального подхода рассматривается как укрепление в обществе сильно централизованных, монологичных и авторитарных отношений. Поэтому кавказское гостеприимство некоторыми западноевропейскими авторами рассматривается как недемократичное, поскольку подразумевает двустороннюю обязывающую ответственность гостя и хозяев. Следовательно, кавказские отношения гостя и хозяина оцениваются в нелиберальной трактовке как препятствие для создания и эффективного функционирования гражданского общества⁴.

Второй, традиционный, этнологический подход утверждает, что грузинское застолье своими корнями, содержанием и целями составляет синкретичное единство древнейших дохристианских и христианских верований⁵. Гости берут начало с молитвы и сакральных действий, молитва обращена к разным культам и богествам. Об этом свидетельствует и старое название грузинского застолья «Сероба» // «Пуроба» // «Тадзр-оба» («Тадз-ари» – собор), также название тамады как сакрального лица и главы пиршества – «Пурис упали» (Бог Хлеба) // «цинамдзгвари», «цинамдзголи», персонаж, который освящает и благословляет ритуальную трапезу. Эти термины встречаются в источниках XI-XIII веков и более ранних текстах Библии. Традиционно роль тамады исполняло духовное лицо – священник («модзгвари»= «деканози»+ «хевисбери»). Со временем, после усиления феодальной иерархии и соответственно мирных трапез, им стал глава семьи, князь – «батони» и т. д. (утверждение некоторых ученых о происхождении термина «тамада» от кабардино-балкарского слова «тха-мада-мад» (отец бога), или же от персидского «дамад» (жених) более позднее толкование)⁶. Грузинское народное высказывание «Бог Тамада» – «упали тамада», хорошо отражает религиозно-сакральное значение этого института. Формула православного священнослужения уже давно трансформирована в правила произношения и последовательности грузинских тостов. Гости сегодня ценят ораторское искусство тамады, его способность импровизации и театрализованности.

Изучая традиционную систему общения, в том числе этикет застолья, мы пришли к выводу, что в основе застолий, их формирования лежат социальные и психологические факторы древнейшей коллективной трапезы, отражающие историческую судьбу народа. Таким образом, можно заключить, что этикет застолья в целом является частью сложного социального института, выполняющего функцию своеобразного метаязыка, стабилизатора и регулятора поведенческих норм и взаимоотношений в обществе, где окружающая среда является объектом маркировки действия. Наиболее ярко динамика этой системы проявляется в традиционном ритуальном застолье, т. к. именно в традиционных обрядах заложены пере-

житки раннехристианских верований, а также трансформации этих верований. Они представлены на фоне широкой социализации, создавая этим символическую основу микрокосмического центра.

На основе этнографических материалов установлено, что в свадебных обрядах и обычаях профанизация происходит быстрее и динамичнее, чем в поминальных застольях. Здесь постепенно теряется символическое осмысление сакральных действий, но с точки зрения локализации и маркировки некоторые зрелищные моменты – игры, пляски, музыка – консервативны. Сакральные элементы коллективного пиршества особенно ярко проявляются в порядке размещения гостей по поло-возрастному принципу, правилах обслуживания пирующих, правах и обязанностях тамады, смысловом содержании тостов и в других элементах, отличающих грузинское застолье от застолий других народов Кавказа, хотя оно часто дополнено общекавказскими обрядами⁷. Для иллюстрации вышесказанного приведем несколько примеров:

Тамада. Тамада – это руководитель застолья, главный персонаж пиршества, которого назначают или выбирают из родственников, соседей и близких друзей. Тамада должен быть красноречивым оратором, отличающимся умением пить вино и произносить тосты соответственно веками установленному порядку.

Тосты. Одним из важных моментов традиционного пиршества является произношение тостов. Грузинские тосты четко классифицированы в зависимости от характера застолья (праздничное, траурное). На праздничном – тосты выпивают из обычных бокалов или стаканов, но в особых случаях, например на свадьбе за новобрачных – обязательно из ритуального сосуда «марани» или из рога – «канци». В разгар пиршества тосты переходят от одного к другому со словами «алаверди». Содержание этого обычая условно означает обращение к Богу. Чашу часто передают друг другу крестообразной очередностью, выпивая тост «Вахтангури» – «Брудершафт». Последний тост пьют стоя – поднимая чашу вверх к небу, произнося слова: «**Да благославят нас все святые!**».

Музыкальное сопровождение тостов. По традиции, в исполнении песен во время застолья соблюдается строгая последовательность, находящаяся в полной гармонии с последовательностью и содержанием тостов тамады. В каждом конкретном регионе Грузии исполняются характерные для него многоголосные песни и песнопения. Эти песнопения церковные, их словесный текст – духовного содержания, и исполняются они не всегда в церкви, а на обычном застолье, так как застолье тоже сохраняет сегмент сакральной, литургической природы. Эта традиция более всего сохранилась до последнего времени в регионах Западной Грузии. В городах она более урбанизована и трансформирована⁸.

Во время любого пира, и в частности на свадебном застолье, когда произносится первый тост за благославление Господа, начинается песнопение «Да вошли мы в сию семью испить напиток священный», а после заздравного тоста за молодоженов, исполняется песнопение «Ты есть лоза возродившаяся». Во время новоселья, сразу после рассаживания гостей до первого тоста тамады исполняется

«Да благославит Бог сей дом новый», «Да вошли мы в сию семью испить напиток священный», «Благость Божья, собрала нас сегодня» и т. д.⁹

Этнографические материалы, собранные нами в 70-80-х годах прошлого века совпадают с данными письменных источников, в частности, со сведениями царя Теймураза II, Александра Джамбакура-Орбелиани и источниками более ранних веков. Они отражают быт не только конца XIX века, но и более древней эпохи, что подчеркивали в своих трудах великие ученые И. Джавахишвили, Ш. Асланишвили и др.¹⁰

Правила исполнения песнопений связаны с распространением христианства, но основу формирования этой традиции следует искать в дохристианской эпохе, на что указывает традиция горцев Восточной Грузии – обрядовая выпивка священного напитка, сопровождающаяся «игрою и пением стоя», восхваление древних героев священным сосудом «Бардзими», культовые – величальные и молебные песни и другие моменты.

Религиозные корни грузинского застолья были явно сохранены и в советский период, когда традиция траурного застолья, тосты «за Священных Молельных» («цминда салоцавебис») и последний тост «квела цминда» (за всех Святых) или «ковлад цминда» (за Пресвятую Богородицу) всегда отмечались как особенно значительные тосты.

В заключение хотим сказать, что сохранение многовековых традиций грузинского застолья, обогащенных общекавказскими элементами, способствует сохранению национальной самобытности и идентичности, ибо самобытность и оригинальность каждой этнической культуры является органической частью общечеловеческих культурных достижений.

В современный период, когда в общественной жизни идет необратимый процесс интеграции и секуляризации, создается серьезная угроза потери традиционных ценностей, в том числе и многовековой застольной традиции.

Примечания

Гоциридзе Г. Ш., Этикет грузинского застолья и его социальная динамика, Сб., Грузинское наследие, IV, Кутаиси, 2000, с. 150-159 (на груз. яз.).

Грузинский банкет (супра) и гражданское общество, дискуссии в Кавказском институте, 4, ред. Г. Нодия, Тб., 2000 (на груз. яз.).

Брегадзе Л., Тост и его компенсаторная природа, газ. Арил, №5, 1997.

Mühlfrid F., Postsobjekte Feierh: Das Georgische Banket im Wandel, Studgart, 2006, 230 pages: Mühlfrid F., Banquets. Crant-Eaters and the red intelligentsia in post-Soviet Georgia, Central Eurasion Studies Review, Vol 4, No. 1. 2005: 16-19; Tuite K. The Au torcrat of the Banqet Table: the pilitical and social signiticance of the Georgian supra и т. д.

Бардавелидзе В. В., Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тбилиси, 1957.

Гоциридзе Г. Ш., Сакральная семантика риторики в правилах грузинского застолья Сб., «Грузинское наследие», V, Кутаиси, 2006, с. 117, 124.

Гоциридзе Г. Ш. Культурная мозаика грузинского застолья (институт тамады), сб., «Грузинское наследие», III, Кутаиси, 1999, с. 59-65.

Шилакадзе М. Ш. Грузинские народные музыкальные традиции и современность, Тб., 1988 (на груз. яз.).

Шилакадзе М., Христианская музыкальная культура и народная традиция исполнения песнопений, сб., Грузинская церковная мелодия, Нация и культура, Тб., 2001 (на груз. яз.).

Джавахишвили И., Основные вопросы истории грузинской музыки, Тб., 1938 (на груз. яз.).

G. G o t s i r i d z e (Tbilisi)

Cultural-historical paradigms of Georgian Supra

S u m m a r y

Traditional Georgian supra (banquet) has a long and interesting history. Its roots relate to the ancient form of collective feasting. The form which supra has taken today is the result of transformations undergone throughout centuries. The attitude of the contemporary civil society towards Georgian supra is not unilateral. Besides the positive evaluations, there are met tendentious opinions having certain goals.

The author tries to establish historical dynamics of traditional Georgian supra and show its concrete ethno-cultural specificities experienced through time and space. He criticizes opinions of some Western European researchers and accentuates positive and rational tendencies of supra.

მ. ქ ა ნ თ ა რ ი ა (თბილისი)

**ჩრდილო-კავკასიის ხალხთა ეთნიკური გეოგრაფიის
თანამედროვე პრობლემები**

ეთნიკური გეოგრაფიის მთავარი ამოცანაა განსახლების გარემოს თავისებურებებისა და ზეგავლენის დადგენა ეთნოსსა და მის კომპონენტებზე. ეთნოსის კულტურაზე მოქმედი სივრცობრივი ურთიერთკავშირები განიხილება მისი წარმოქმნისა და განვითარების ისტორიულ ჭრილში.

კავკასიის რეგიონის ისტორიული ეკოლოგიის პრობლემატიკა მისი ეთნიკური, ენობრივი, სოციალ-ეკონომიკური, რელიგიური და გეოგრაფიული მრავალფეროვნებით, ბოლო ხანს განსაკუთრებით აქტუალური გახდა. წარმოდგენილი გლობალური სტრუქტურა თანამედროვე მკვლევრების მიერ სხვადასხვაგვარად ფასდება; ყოველივე ზემოთქმულზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საკითხის პოლიტიკური დატვირთვა, რამდენადაც კავკასიის ხალხების ტრადიციული კულტურის დინამიკის ობიექტურ შეფასებას მეცნიერულთან ერთად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მას შეუძლია შეასრულოს გარკვეული როლი სწორი სოციალ-ეკონომიკური პროცესების გადაჭრასა და მოგვარების საქმეში. თანამედროვე ურბანიზაციის და სოფლების გაუკაცრიელებისა თუ გადაშენების სულ უფრო გამძლავრებულ პროცესების პირობებში, განსაკუთრებით მთურ, ძნელად მისაწვდომ რეგიონებში, კულტურულ-ისტორიული საკითხების შესწავლამ, რომელიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის წარმოების სხვადასხვა დარგებთან, შეიძინა განსაკუთრებული მნიშვნელობა. ხალხის მიერ საუკუნეების მანძილზე ცხოვრებისა და მეურნეობის აქტიური წარმოების შედეგად, გამომუშავებული ტრადიციული ცოდნა-გამოცდილება დღეს სათანადოდ არ ფასდება და არ გამოიყენება, რაც ხშირად იწვევს სავალალო შედეგებს ისევე ადგილობრივი მოსახლეობისათვის ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავამოწმოთ, რომ კავკასიის, ხალხების ტრადიციული ეკოლოგიური კულტურა ამჟამადაც წარმოადგენს აქტუალურ პრობლემას, რომელსაც გააჩნია არა მარტო მეცნიერული, არამედ უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა, რამდენადაც იგი ემყარება ბუნების კანონების ცოდნას და მის რაციონალურ გამოყენებას, უახლოესი და შორეული შედეგების გათვალისწინებით.

კავკასიის ცალკეული რეგიონები საკმაოდ ლოკალური ეთნიკური თავისებურებების პარალელურად, რომელიც განპირობებული იყო ამ

ხალხებს შორის ძველთაგანვე არსებული სოციალ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონით, ეკოლოგიური თავისებურებებით და სხვადასხვა ყოფითი რეალიებით, მჭიდრო კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის შედეგად, ხასიათდებიან ერთიანი ტრადიციული კულტურის საერთო ელემენტებით. რთული პოლიტიკური პერიპეტეციების ფონზე ეს ხალხები საუკუნეების მანძილზე ჰქმნიდნენ უნიკალურ ზოგადკავკასიურ სამყაროს მისი გეოგრაფიული, ეთნიკური, ენობრივი, სოციალ-პოლიტიკური მრავალფეროვნების ფონზე. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სივრცობრივი და დროითი ასპექტების შეთანაწყობა ნებისმიერი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მოვლენების შესწავლისას უზრუნველყოფს ამ მოვლენების კანონზომიერების სრულ ახსნა-განმარტებას. აღნიშნულ გარემოებასთან კავშირში, განსაკუთრებით საინტერესოა ამჯერად მთლიანობაში ყოფისა და კულტურის ურთიერთდამოკიდებულება. ყოფითი კულტურა ხომ გარკვეული გაგებით, ყოველთვის არის იმ გარემოს თავისებურებების მატარებელი, რომელსაც იგი მიეკუთვნება და უკავშირდება ეთნიკურ თვითშეგნებას. ამგვარად, გარემო არა მარტო ადებს თავის დაღს ეთნოსის თავისებურებას მის განახლებას, არამედ ზემოქმედებს ეთნიკურ პროცესებზე, ამიტომ საჭიროა ერთხელ კიდევ გაგუსვათ ხაზი, რომ ნებისმიერი საზოგადოების განვითარების კვლევისას გათვალისწინებული იქნას ეს გეოეკოლოგიური პირობები, რომელშიაც ცხოვრობს კონკრეტული საზოგადოება, რამდენადაც ეს პირობები ობიექტურად განაპირობებენ მისი განვითარების ხარისხს და მიმართულებას.

კავკასიის ხალხების ტრადიციული ყოფითი კულტურის დინამიკა მთლიანობაში, როგორც ცნობილია, ფართო და საკმაოდ ტევადი გაგებაა. ჩრდილო კავკასიაც აგრეთვე რთული და მრავალპლანიანი რეგიონია ეთნიკური, ენობრივი და რელიგიური თვალსაზრისით. განლაგებული შავი და კასპიის ზღვებს შორის, იგი იყოფა სამ ძირითად სამეურნეო-კულტურულ არედა: ესენია ჩრდილო-დასავლეთი, ცენტრალური და ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეები. ამ ბუნებრივი დანაწევრებიდან გამომდინარე იქმნება შესაძლებლობა გამოიყოს იერარქიულად დაქვემდებარებული რამდენიმე სუბერთეული.

ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში დამოუკიდებელ ოლქს წარმოადგენს დაღესტანი თავისი ლოკალიზებული ტერიტორიით და მკვეთრად გამოყოფილი თვითმყოფადი, სპეციფიკური თავისებურებით. თავისებურება ვლინდება საცხოვრებელი ნაგებობების განსახლების ტიპოლოგიაში, ტანსაცმელში და საერთოდ მთელ მატერიალურ კულტურაში. დაღესტანი განთქმულია ხელოსნური წარმოების მაღალი კულტურით და მრავალფეროვნებით. ეს მხარე გამოირჩევა აგრეთვე სპეციფიკური მეურნეობის ფორმებით, სოციალური ურთიერთობის განვითარების დონით და სულიერი კულტურის თავისებურებებით. დაღესტნის კულტურა იმდენად განსხვავებულია კავკასიის სხვა დანარჩენი მხარეების კულტურისაგან, რომ

რაც უნდა პარადოქსალურად გამოიყურებოდეს, მას ხშირად არც მიიჩნევენ ჩრდილო კავკასიის შემადგენელ ნაწილად და დამოუკიდებელ ერთეულად განიხილავენ.

ცენტრალური კავკასია მოიცავს ჩეჩნეთს, ინგუშეთს, ოსეთს, ბაღყარეთს, თუშეთს, ხევსურეთს. ჩამოთვლილი მხარეები ერთ ბუნებრივ-გეოგრაფიულ ზოლს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ცენტრალური კავკასია განიხილება როგორც სუფთა გეოგრაფიული ცნება, რომელიც გულისხმობს გარკვეული გეოგრაფიული საზღვრებით შემოზღუდულ ტერიტორიას. ამ გაგებით თუ მივუდგებით საკითხს ცენტრალურ კავკასიაში, რა თქმა უნდა, შედის ყაბარდოც და კავკასიის სამხრეთ-დასავლეთ კალთებზე მდებარე საქართველოს ტერიტორია და ზოგჯერ მას სვანეთსაც მიაკუთვნებენ. მაგრამ ამ რეგიონის კულტურულ-ყოფითი თავისებურებანი უფრო ლოკალიზებულია და არ მოიცავს მთელ გეოგრაფიულ არეალს. რამდენადაც პირველ რიგში ჩვენ გვინტერესებს საერთო ეკოლოგიურ საფუძველზე ისტორიულად ჩამოყალიბებული ყოფითი და სამეურნეო კულტურების ერთიანობა, ამ თვალსაზრისით ცენტრალურ კავკასიაში (მისი სამხრეთი კალთების გამოკლებით, ჩვენ ერთვით ბაღყარეთს, ჩრ. ოსეთს, ჩეჩნეთს, ინგუშეთს, ყაბარდო კი მიუხედავად მისი ცენტრალურ კავკასიის ტერიტორიალური კუთვნილებისა, არის დასავლეთ-კავკასიური ყოფითი კულტურის მატარებელი. ამგვარად, ცენტრალური კავკასია როგორც გეოგრაფიული სივრცე არ არის იდენტური ცენტრალური კავკასიისა კულტურულ-ყოფითი თავისებურებების თვალსაზრისით.

კულტურულ-ყოფითი თავისებურებების თვალსაზრისით ცალკე დამოუკიდებელ მხარეს წარმოადგენს ჩრდილო-დასავლეთი კავკასია. ეს ისტორიული რეგიონი მოიცავს ტერიტორიას, რომელიც დასახლებულია ძირითადად ადიღე-აფხაზური წარმომავლობის ხალხებით და ყარაჩაელებით. ეს მხარე საკმაოდ მკვეთრად გამოყოფილი როგორც ცენტრალური კავკასიიდან ისე დაღესტნის სისტემისაგან. განსხვავება მათ შორის მულაენდება ეთნიკურ კულტურაში, რაც სავსებით ლოგიკურია, რამდენადაც ეთნიკური კულტურის ელემენტები გარკვეულწილად განიცდიან ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გავლენას, რაც უპირველეს ყოვლისა ვლინდება მეურნეობის ფორმებში, მაგრამ ეს არ გამორიცხავს კულტურათა ურთიერთ ზეგავლენას.

ცენტრალური კავკასიის ხეობათა მეურნეობა მთურ ტიპს განეკუთვნება, რომელიც ხასიათდება მესაქონლეობის და მიწათმოქმედების სიმბიოზით. მეურნეობის ეს დარგები განაპირობებენ ერთმანეთს, რაც გამოიხატება მესაქონლეობის წამყვან და მემინდვრეობის ინტენსიური ფორმების არსებობაში. ეს ერთი სამეურნეო-კულტურული ერთეულია, რომელშიაც ჩართულნი არიან სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ეთნოსები, სხვადასხვა თვითშეგნებით და ფსიქიკური წყობით, მაგრამ მსგავსება ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებისა და სოციალური განვითარების დაახლოე-

ბით თანაბარმა დონემ, მრავალსაუკუნოვანმა კულტურულ-ისტორიულმა ურთიერთკავშირებმა ხელი შეუწევს სამეურნეო ყოფის საერთო თვისებების ჩამოყალიბებას, რომელიც მოიცავს მთელ ცენტრალურ კავკასიას. თუმცა მიუხედავად აღნიშნული ერთობისა, ყოველი რეგიონი ამჟღავნებს ლოკალურ თავისებურ თვისებებს, რაც ჰქმნის ერთიანობაში ცენტრალური კავკასიის მრავალფეროვან მთლიანობას.

ცენტრალური კავკასიისგან განსხვავებით, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მეურნეობის ფორმირება ხდებოდა სხვა ეკოლოგიურ ნიშაში. აქ წარმოდგენილია როგორც მთური, ისე დაბლობის ტიპის მეურნეობა, მაგრამ ამ რეგიონში მიმდინარე რთულმა ეთნიკურმა პროცესებმა და გარკვეულმა პოლიტიკურმა მომენტებმა, ზეგავლენა მოახდინეს ადიღეელების ტრადიციულობის ჩამოყალიბებაზე. ადიღეელებითი ცნებაა, რომლის ქვეშ იგულისხმება არც თუ დიდი, ერთი ძირიდან წარმოქმნილი ტომების გაერთიანება. ადიღეელები მოიცავენ თანამედროვე ყაბარდოელებს, ადიღეელებს და ჩერქეზებს. თუმცა XIX საუკუნეშიაც კი ამ ტომების კონსოლიდაციის პროცესი არ იყო დასრულებული. ამ ტომებს შორის სოციალ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, ყველაზე მაღლა ყაბარდოელები იდგნენ. საერთო ადიღეური მასიდან ტერიტორიული გამოყოფის და კავკასიის ცენტრალური ტერიტორიის დაკავების შედეგად, სადაც მანამდე სახლობდნენ ოსები, დაიწყო ყაბარდოელთა ყოფისა და კულტურის ლოკალიზაცია ახალ გეოგრაფიულ გარემოში. ეს, როგორც ცნობილია მოხდა XIII ს. II ნახევარში.

ამ ბოლო დროს ისევ დადგა დღის წესრიგში საკითხი საერთო კავკასიური ცივილიზაციის ფენომენის შესახებ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა ურთიერთგამომრიცხავი დებულებები. ერთნი მიიჩნევენ, რომ არსებობს ცივილიზაციური მთლიანობა და ისტორიულ კულტურული სიახლოვე სომხებს და აზერბაიჯანელებს, ქართველებს, აფხაზებს, ოსებს და ინგუშებს შორის (Абдулатипов Р. Кавказская цивилизация, Самобытность и целостность // НМк- 1995, №1, стр.55) ცხადია, თავისუფლად შეიძლება ვიმსჯელოთ ამ მეზობელი ხალხების ისტორიულ-კულტურულ სიახლოვის შესახებ. უკვე XI საუკუნეში ქართველმა ისტორიკოსმა ლეონტი მროველმა თავის ნაშრომში „ქართლის ცხოვრება“ წამოაყენა იდეა კავკასიური ხალხების ნათესაობის და ერთიანობის შესახებ: „პირველად ვახსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა – ამათ თვისთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს, ესე თარგამოს იყო ძე შათირისი, ძმისწული იაფეთისი, ძისა ნოესი“ (ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 3). ზოგი თანამედროვე მკვლევარი მიიჩნევს, რომ შუასაუკუნეებში შექმნილი თავისებურებანი სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების თვალსაზრისით კავკასიაში იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ ვილაპარაკოთ საერთო კავკასიური ცივილიზაცი-

ის არსებობის შესახებ, რომლის ქვეშ იგულისხმება ისტორიულად ჩამოყალიბებულ ეთნოსთა ჯგუფები და ქვეყნები, რომლებსაც აერთიანებთ ფასეულობათა საერთო გაგება (Квициანი Д., Кавказ: к вопросу интеграции региона // Археология, этнология, фольклористика Кавказа. Международная научная конференция, Тб., 2004, стр. 199) მაგრამ ყოველივე ზემოთ თქმული განა ნიშნავს იმას, რომ ამ ხალხებს არ გააჩნდათ განმასხვავებელი თავისებურებანი, რომ აღარაფერი ვთქვათ იმის შესახებ, რომ კავკასიის ყოველი ხალხი ფლობდა ცალკეულ, დამოუკიდებელ ტერიტორიას და გააჩნდათ კულტურის განვითარების სპეციფიკური ფორმები.

კავკასიური ხალხების ცივილიზაციის ერთობა, რომელზედაც წერენ ზემოთდასახელებული ავტორები, ჩვენი აზრით, რეალობას მთლიანად ვერ ასახავს, ვინაიდან დასახელებული ხალხები სახლობდნენ სრულიად განსხვავებულ ეკოლოგიურ ზონებში, იმყოფებოდნენ საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა დონეზე და ამიტომ არ შეიძლება ვილაპარაკოთ ამ ხალხების ცივილიზაციურ ერთობაზე. მითუმეტეს, რომ ცივილიზაცია, როგორც ცნობილია ნიშნავს მოქალაქეობრივ, საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ და მატერიალური კულტურის განვითარების ერთიან დონეს, მიღწეულს მოცემულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში. ვითვალისწინებთ, რა ყოველივე ზემოთ თქმულს ვთვლით, რომ ალბათ არ არის საჭირო ვილაპარაკოთ საერთო კავკასიურ ერთიან ცივილიზაციაზე, და უფრო მართებულია გამოყოფილ იქნას ამიერკავკასიური ცივილიზაციური ერთობა და ჩრდილოკავკასიური მთური ცივილიზაცია. ასევე არ შეიძლება ჩრდილო კავკასია მივიჩნიოთ რუსეთის ცივილიზაციის პერიფერიად, როგორც ამას ბოლო პერიოდში აღნიშნავენ ზოგიერთი ავტორები (Любский).

ჩვენ მხარს ვუჭერთ იმ მკვლევარების მოსაზრებებს, რომლებიც თვლიან, რომ კავკასიური ცივილიზაცია ეს ლოკალური და ამავე დროს ურთიერთგამყოლი კულტურების მთელი კონგლომერატია. კავკასია მისი ათასწლოვანი უნიკალური გარემოთი საჭიროა განიხილებოდეს როგორც ეკოლოგიურ-გეოგრაფიული და ეთნიკური თავისებურებების კონგლომერატი. სხვადასხვა არგუმენტებს შორის საზოგადოების ისტორიული განვითარების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს გეოგრაფიული გარემოს ფაქტორს. ამაში მუდამდებია ეთნიკური გეოგრაფიის უდიდესი მნიშვნელობა, რომლის მთავარი ამოცანაა გამოვლენა და გამოკვლევა ბუნებრივი გარემოს ზემოქმედების ხასიათისა ეთნოსების განვითარებაზე და ცივილიზებული მთლიანობის ფორმირებაზე. ყოველივე ეს შეადგენს ეკოლოგიის საფუძველს.

ამგვარად, განსახლების, გეოგრაფიული გარემოს თავისებურების, ეკონომიური და პოლიტიკური სისტემების ურთიერთდამოკიდებულებების, რელიგიური და სულიერი ფასეულობების ანალიზის შედეგად, ვთვლით, რომ არც ჩრდილო კავკასია და არც კავკასია მთლიანად არ წარმოად-

გენდენ ერთიან ცივილიზებულ სამყაროს, რამდენადაც აღნიშნული მხარის ეთნოსები იმყოფებოდნენ ისტორიული განვითარების სხვადასხვა დონეზე. როგორც ჯ. კვიციანი აღნიშნავს კავკასიაში შუა საუკუნეებში შექმნილი სოციალ-ეკონომიკური კულტურული ცხოვრება საშუალებას იძლევა ვილაპარაკოთ აქ (ანუ კავკასიაში – მ. ქ.) „მთური ფეოდალიზმის“, „პატრიონიმის და ტრადიციული კომუნიკაციური კულტურის არსებობაზე“, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში მხარს უჭერდა სპეციფიკური სოციალური ტრადიციები. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად ავტორს მოყავს ისეთი ტრადიციული წესები როგორც ათალიკობა, ძმადნაფიცობა, სისხლმესისხლეობა და სხვა. (Квициანი Д., Кавказ: к вопросу интеграции региона // Археология, этнология, фольклористика Кавказа. Международная научная конференция, Тб., 2004, стр.199) მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას ვილაპარაკოთ საერთო კავკასიური ცივილიზაციის არსებობაზე. აქ საჭიროა გავისხენოთ, რომ დასახელებულ მხარეებში არსებობდა საზოგადოებრივ-სოციალური განვითარების სხვადასხვა დონის ქვეყნები, იყვნენ დამწერლობის მქონე და დამწერლობის არმქონე ხალხები, რომლებიც მისდევდნენ სხვადასხვა რელიგიურ აღმსარებლობას . . . ითვალისწინებს, რა ყოველივე ამას მაიბოროდა თვლის, რომ არ არსებობდა და არც ახლა არსებობს ერთიანი კავკასიური ცივილიზაცია (Майборода Э. О. Существование цивилизаций различного типа // Научная мысль Кавказа, Ростов-на-Дону, 2000, №2, стр. 45) ყოველივე ზემოთქმულს შეიძლება დავუმატოთ ისიც, რომ კავკასიურ და ჩრდილოკავკასიურ ცივილიზაციებს შორის განსხვავება არსებობს საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა დონეებშიც.

ამიერკავკასიის ხალხებს, როგორც ცნობილია, უძველესი წარსულიდან ჰქონდათ დამოუკიდებელი სახელმწიფოები (საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანს), მაშინ როდესაც ჩრდილო კავკასიის ხალხები სახელმწიფოებრიობამდე ვერ ამაღლდნენ თვით XIX საუკუნეშიც. არადა როგორც ცნობილია ეს ანუ სახელმწიფოებრიობა ცივილიზაციის არსებობის მთავარი მაჩვენებელია.

ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს საშუალებას დავაფიქსიროთ, რომ კავკასია მთლიანად და განსაკუთრებით ჩრდილო-კავკასია ხასიათდება სხვადასხვა კულტურების მშვიდობიანი თანაარსებობით, რომელიც ხასიათდება ამავე დროს თვითმყოფადობით. ეს კულტურები დამოუკიდებლად ვითარდებოდნენ, მიაღწიეს სოციალური და სამეურნეო-კულტურული განვითარების სხვადასხვა დონეს. ყოველივე ეს დროთა განმავლობაში გამოიხატა ცივილიზაციის განვითარების სხვადასხვა ფორმაში, მაგრამ აღნიშნული არ იძლევა ხალხთა თვითმყოფადი კულტურების ურთიერთზეგავლენის უარყოფის საფუძველს.

М. К а н т а р и а (Тбилиси)

Современные проблемы этнической географии народов Северного Кавказа

Главной задачей этнической географии является исследование характера воздействия среды обитания на этнос и его компоненты. Пространственные явления взаимосвязей, развивающиеся в области культуры этноса, рассматриваются в связи с историей их возникновения и развития.

Проблематика исторической экологии кавказского региона с его этническим, языковым, социально-экономическим, религиозным, географическим многообразием в последнее время приобрела особую актуальность. Данная глобальная структура оценивается современными исследователями по-разному; во всём этом важную роль играет и политическая сторона вопроса, ибо объективная оценка динамики традиционной культуры народов Кавказа, кроме научного, имеет и практическое значение, так как она может сослужить определённую службу в ориентации и решении правильных социально-экономических процессов. В условиях всё более усиливающихся процессов современной урбанизации и обезлюдения деревень, особенно в горных, труднодоступных регионах, изучение культурно-исторических вопросов, связанных с различными отраслями сельского хозяйства, приобретает особое значение. Традиционные навыки и знания, выработанные народом в результате многовекового проживания и активного ведения хозяйства, сегодня не используются в достаточной степени, что зачастую влечёт плачевные последствия опять - таки для местного населения. Исходя из вышесказанного, должны засвидетельствовать, что традиционная экологическая культура народов Кавказа поныне является актуальной проблемой, которая имеет не только научное, но и огромное практическое значение, ибо она опирается на познание и рациональное использование законов развития природы с учётом ближайших и отдалённых последствий изменения природной среды под влиянием человеческой деятельности.

Отдельные регионы Кавказа, наряду с сугубо локальными этническими чертами, обусловленными социально-экономическими уровнями развития, экологическим своеобразием и другими бытовыми реалиями, благодаря тесным культурно-историческим взаимоотношениям между народами этих регионов, характеризуются общей традиционной бытовой культурой. Географическое многообразие и глубокие этносоциальные процессы на фоне сложных политических перипетий создавали на протяжении веков уникальный общекавказский мир со своим

географическим, этническим, языковым, социально-политическим и религиозным многообразием. Следует учесть и то, что сочетание пространственных и временных аспектов при изучении любого историко-этнографического явления обеспечивает более полное раскрытие тех или иных его закономерностей. В этой связи особый интерес вызывает проблема взаимозависимости культуры и быта и этнической культуры со средой обитания. Ведь бытовая культура в определённой степени несёт на себе отпечаток среды, к которой она принадлежит и связывается с этническим самосознанием. Таким образом, среда не только накладывает свой отпечаток на культуру этноса и на особенности его расселения, но и оказывает определённое воздействие на развитие производства, тем самым влияя на ход этнических процессов. Поэтому следует ещё раз подчеркнуть, что при исследовании специфики развития любого общества, следует учесть в целом те геоэкологические условия, в которых живёт конкретное общество, ибо они объективно обуславливают ход и степень развития.

Историческая динамика традиционной бытовой культуры народов Кавказа в целом, как известно, понятие ёмкое и объёмное. Северный Кавказ – также сложный и разноплановый регион в географическом, социально-экономическом, этническом, языковом и религиозном отношениях. Расположенный между Чёрным и Каспийским морями он делится на три основные хозяйственно-культурные зоны; северо-западную, центральную и северо-восточную. Исходя из этого, представляется возможность для выделения иерархически сопоставляемых нескольких разнорядковых субъектов.

Самостоятельную область на северо-восточном Кавказе представляет Дагестан, со своей локализованной территорией и ярко выраженными самобытными специфическими признаками. Своеобразие проявляется в типах жилищ и поселений, в одежде и вообще во всей материальной культуре. Дагестан славится многообразием и высокой культурой ремесленного производства. Он также отличается формами хозяйства, социальных отношений и духовной культурой. Культура Дагестана настолько отличается от культуры основных частей Кавказа, что зачастую как это ни парадоксально, её не включают в орбиту Северного Кавказа и рассматривают как самостоятельную единицу.

Центральный Кавказ охватывает Чечню, Ингушетию, Осетию, Балкарию, Тушети, Хевсурети. Перечисленные области входят в одну природно-географическую зону, т. е. в данном случае Центральный Кавказ рассматривается как чисто географическое понятие, подразумевающее входящую в него территорию, охваченную определёнными географическими границами. С такой точки зрения в Центральный Кавказ, несомненно, входит Кабарда и лежащие по другую сторону хребта смежные грузинские территории, к которым иногда причисляют и Сванети. Однако культурно-бытовые особенности этого региона более локализованы и не охватывают полностью весь географический ареал. Поскольку в первую очередь нас интересует исторически сложившееся на общей экологической основе единство бытовой культуры и хозяйства, то с этой точки зрения в Центральный

Кавказ (исключая его южные склоны) мы включаем Балкарию, Северную Осетию, Чечню, Ингушетию. Кабарда же, несмотря на ее территориальную принадлежность к Центральному Кавказу, является носителем традиций западно-кавказской бытовой культуры. Таким образом, Центральный Кавказ как географическая область и Центральный Кавказ как культурно-бытовая категория не есть идентичные понятия.

Отдельную область, с точки зрения культурно-бытовых особенностей, представляет собой Северо-Западный Кавказ. Этот исторический регион охватывает территории, населённые, в основном, народами адыго-абхазского происхождения и карачаевцами. Он достаточно чётко граничит как с центрально-кавказской, так и с дагестанской системами. Разница между ними проявляется и в этнической культуре, что вполне логично, так как элементы этнической культуры в определённой степени носят отпечатки природно-географических условий, что, прежде всего, выявляется в формах хозяйства. Однако это не исключает взаимовлияния культур.

Хозяйство ущелий Центрального Кавказа относится к горному типу, который характеризуется симбиозом скотоводства и земледелия. Соотношение этих взаимообусловленных отраслей выражается ведущей ролью скотоводства и интенсивной формой полеводства. Это – одна хозяйственно-культурная единица, в которую включены этносы, говорящие на разных языках, имеющие различное этническое самосознание и психический склад, исповедующие разные религии. Но схожие, естественно – географические условия, сравнительно одинаковый уровень социального развития, многовековые культурно-исторические взаимоотношения способствовали становлению общих черт хозяйственного быта, охватывающих весь Центральный Кавказ. Однако, несмотря на отмеченную общность, каждый регион проявляет локальные своеобразные черты.

В отличие от Центрального Кавказа, хозяйство Северо-Западного Кавказа формировалось в иной экологической нише. Здесь представлены и горный, и равнинный тип хозяйства, однако, сложные этнические процессы, протекавшие в этом регионе, наряду с определёнными политическими моментами, влияли зачастую на становление традиционных форм адыгов. Адыги – понятие собирательное, подразумевающее общность небольших племён, происходящих от одного корня. Они объединяют современных кабардинцев, адыгейцев и черкесов. Однако процесс консолидации этих племён даже в XIX в. ещё не был завершён. Среди этих племён в смысле социально-экономического развития выше всех стояли кабардинцы. В результате территориального выделения из единой массы адыгов и занятия центральной территории Кавказа, где до этого проживали осетины, началась локализация быта и культуры кабардинцев в новых географических условиях. Это произошло, как известно, во II половине XIII века.

В последнее время на повестку дня опять встал вопрос о феномене общекавказской цивилизации. По этому поводу учёными были высказаны противоположные мнения. Одни считают, что существует цивилизационная целостность и историко-культурная близость армян и азербайджанцев, грузин и абхазов, осетин

и ингушей (Абдулатипов Р. Кавказская цивилизация: самобытность и цельность // НМК-1995 № 1 стр. 55). Безусловно, свободно можно говорить об историко-культурной близости этих соседствующих народов. Ведь уже в XI веке грузинский историк Леонти Мровели в своём труде «Картлис цховреба» выставил идею родства и, следовательно, единства кавказских народов. Автор пишет: «Прежде всего упомянем, что у армян и картвелов, ранов и моваканов, эров и леков, мегрелов и кавкасионов – у всех этих народов был один отец по имени Таргамос. Сей Таргамос был сыном Таршира, внуком Иафета – сына Ноева» (Мровели Леонти, Жизнь картлийских царей. Перевод Г. Цулая, М., «Наука», с.21). Некоторые современные исследователи считают, что сложившиеся в средневековье особенности социально-экономической, культурной жизни на Кавказе дают основание говорить о существовании Кавказской цивилизации, под которой они понимают исторически сложившиеся группы этносов и государств, объединяемых общим пониманием ценностей (Квициани Д. Кавказ: к вопросу интеграции региона // Археология, этнология, фольклористика Кавказа, Международная научная конференция, Тб. 2004 стр. 199). Но значит ли всё это, что эти народы не отличались своеобразными чертами, не говоря уже о принадлежности каждому из кавказских народов отдельных, обособленных территорий обитания и существования специфических своеобразных черт культурного развития.

Цивилизационная целостность кавказских народов, о которой пишут вышеупомянутые авторы, по нашему мнению, не совсем соответствует реальности, ибо перечисленные народы обитают в разных экологических зонах, находятся на разном уровне общественного развития, и поэтому нельзя говорить о цивилизационной целостности этих народов. Цивилизация же, как известно, обозначает гражданский, общественно-государственный уровень общественного развития и материальной культуры, достигнутый данной общественно-экономической формацией.

Учитывая все вышесказанное, считаем, что, наверное, не следует говорить о существовании единой кавказской цивилизации, а следует выделить закавказскую цивилизационную целостность и северокавказскую горную цивилизацию. Также нельзя считать Северный Кавказ периферией российской цивилизации, как об этом пишут в последнее время некоторые авторы (Любский).

Мы поддерживаем точку зрения тех исследователей, которые считают, что Кавказская цивилизация – это целый конгломерат локальных и вместе с тем взаимопроницающих культур. Кавказ с его тысячелетним уникальным обликом следует рассматривать как конгломерат эколого-географических и этнических своеобразий. Среди всех аргументов особое значение следует придать фактору географической среды в процессе исторического развития общества. В этом прослеживается огромное значение этнической географии, основной задачей которой является выявление и исследование характера степени воздействия природной среды на развитие этносов и формирование цивилизационной целостности – именно это является основой экологии.

Таким образом, проанализировав особенности географической среды обитания, системы экономических и политических отношений, религиозных и духовных ценностей, считаем, что ни Кавказ в целом, ни Северный Кавказ никогда не составляли единой цивилизации, так как этносы данного региона находились на разных этапах исторического развития. Действительно, как отмечает Д. Квициани, в средневековье сложившиеся особенности социально-экономической, культурной жизни Кавказа позволили говорить о наличии здесь «горского феодализма», «патронимии» и традиционной коммуникативной культуры, которая длительное время поддерживалась системой специфических социальных традиций надэтнического и межэтнического характера, и для доказательства этого соображения автором приводятся такие обычаи, как аталычество, куначество, побратимство... (Квициани Д., Кавказ: к вопросу интеграции региона. II Международная научная конференция «Археология, этнология, фольклористика Кавказа» Тб., 2004, стр. 199). Но это не даёт основания говорить о существовании общекавказской цивилизации. Тут следует вспомнить различные уровни общественно-социального развития, существование письменных и бесписьменных народов, различные религиозные верования... Учитывая всё это, как считает Майборода, не существовало и не существует единой Кавказской цивилизации, в прошлом разделённой мощной природной преградой, такой как кавказские горы, а в настоящем – процессами дезинтеграции различного типа (Майборода Э., О существовании цивилизации различного типа // Научная мысль Кавказа, Ростов-на-Дону. 2000, № 2. стр. 45). Ко всему вышесказанному следует добавить, что разница между кавказскими и северокавказскими цивилизационными шкалами существует и в разнице общественного развития: закавказские народы, как известно, с древнейших времён имели свою независимую государственность (Грузия, Армения, Азербайджан), тогда как народы Северного Кавказа государственности не имели вплоть до XIX века, а как известно, это один из основных признаков цивилизационного развития.

Всё вышеизложенное даёт основание зафиксировать, что Кавказ в целом, и особенно – Северный Кавказ, характеризуется мирным сосуществованием различных культур, в то же время сохраняющих свою независимость и самобытность. Эти культуры развивались самостоятельно и достигли различной степени социального и хозяйственного развития. Однако, это не даёт основания отрицать взаимовлияние культур самобытных народов.

М. К а н т а р и а (Tbilisi)

**Modern problems of ethnical geography
of Northern Caucasian peoples**

S u m m a r y

The originality of the geographical environment of Caucasus, relationship between economical and political systems, analysis of religious and spiritual costs gives us opportunity to conclude, that neither the Northern Caucasus nor the Caucasus in whole represent united civilized world. Ethnicities of the presented parties were on different levels of historical development, i.e. there were different countries of social-public development, therefore did not exist united Caucasian civilization. In difference from Caucasian countries (Georgia, Armenia, and Azerbaijan) in Northern Caucasus was not formed statehood.

This way, Caucasus in whole is characterized by co-existence of different distinctive cultures that are influenced by each other during the centuries.

მ. შ ი ლ ა კ ა ძ ე (თბილისი)

**ქართულ-აფხაზურ-ადიღური ეთნოკულტურული
კონტაქტები (სამუსიკო საკრავები)**

ეთნოკულტურული კონტაქტების, ისევე როგორც ეთნოგენეზის კვლევისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკვლევი ობიექტების კულტურის თავისებურებათა გამოვლენას, როგორც აკად. გ. ჩიტაია ამბობდა, „[გამოვლენა] იმ თავისებურებებისა, რომლებიც ხალხს შეუქმნია თავისი ისტორიული ცხოვრების მანძილზე. ეს თავისებურებები ის წვლილია, რომელიც ყოველ ერს მსოფლიო კულტურის საგანძურში შეაქვს და აწესებს ამ საგანძურს“ (ჩიტაია 1952, 123).

ეთნოკულტურული კონტაქტები სხვადასხვა სფეროში და, კერძოდ, ხალხურ სამუსიკო ინსტრუმენტარულშიც ვლინდება. ეთნიკური კულტურის თვითმყოფადობა, თავისთავადობა, ძალიან თვალსაჩინოდ (თუ ყველაზე მეტად არა) მუსიკალურ კულტურაში არის გამოხატული. ხალხური სამუსიკო საკრავი წარმოადგენს განსაკუთრებული ინფორმაციის შემცველ ეთნოგრაფიულ წყაროს. იგი, როგორც „მატერიალური მუსიკალური კულტურის“ ერთ-ერთი ელემენტი, შეიცავს ნიშნებს, რომლებიც წარმოაჩენენ ადგილობრივ კულტურის როგორც იდენტობას, ასევე გარეშე გავლენებსაც.

ეთნოკულტურული კონტაქტების შესწავლისას ხალხური მუსიკალური კულტურის მონაცემების მნიშვნელობა აღიარებულია და ამგვარი სამუშაოები პრაქტიკულად ჩატარებულია (ბარტოკი 1966; ვინოგრადოვი 1960, 348-360; ჩისტოვი 1970, 12-18). მიჩნეულია, რომ ერთნაირი ან ერგოლოგიურად ახლომდგომი საკრავები უფრო ხშირად გვხვდება იმ ხალხებში, რომლებიც ერთ ეთნიკურ ერთობლიობას წარმოადგენენ (ვერტკოვი 97-113). ამავე დროს არ არის გამორიცხული ერთი ხალხის მიერ მეორისგან საკრავის სესხება-ათვისება, მაგრამ ამ შემთხვევაში საკრავს უნდა შეეძლოს ასახოს ამთვისებელი ხალხის მუსიკის თავისებურებები, საუკუნეობრივი ტრადიციით ჩამოყალიბებული მხატვრულ-ესთეტიკური ნორმები და მოთხოვნები (ვერტკოვი 99).

საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ხალხებში სხვადასხვა ინტენსივობით იყო გავრცელებული XX საუკუნის დასაწყისამდე, და ზოგან

დღემდე, ამჯერად ჩვენთვის საინტერესო სიმებიანი ინსტრუმენტები – ხემიანი ჭუნირი // ჭიანური (საქართველოში: სვანეთი, რაჭა, თუშეთი, ხევსურეთი), აფხარცა (აფხაზებში), შიჭა-ფშინ (ჩერქეზები), ყილ-ყობუზ (ბალყარელებში), ატუხ ფონდურ // ადხოკუ ფონდურ (ჩეჩნებსა და ინგუშებში), ჩაღანა (დაღესტნის ზოგიერთ ხალხში), ყისინ ფანდირ // ყოისარ ფანდირ (ოსებში). დასახელებულ საკრავთა კონსტრუქციისა და ფუნქციის მსგავსების საფუძველზე გამოითქვა მოსაზრება, რომ ხემიანი საკრავი საერთოკავკასიური კულტურის ელემენტია (შილაკაძე 1983, 8-11). საქართველოში (სვანეთი, რაჭა, თუშეთი) დღემდე შემონახული სამსიმიანი ხემიანი საკრავი ჭუნირი // ჭიანური // ჭიანდური ქართულ ინსტრუმენტარიაში თავისი უმარტივესი კონსტრუქციითა და არქაულობით გამოირჩევა.

წინამდებარე სტატიის მიზანია, აჩვენოს პარალელები ქართულ, აფხაზურ და ადიღურ მუსიკალურ კულტურაში, კონკრეტულად, სამუსიკო ინსტრუმენტარიაში დალექილი უძველესი წარმოშობის ელემენტები და წარმოაჩინოს ის ინგრედიენტები, რომლებიც აჩვენებენ მათი მუსიკალური კულტურის ერთი მხრივ, მსგავსებას და მეორე მხრივ, განსხვავებებს, რომელთა საფუძველიც შეიძლება იყოს გენეტიკური ერთობა ან კულტურული კონტაქტები. კულტურის მსგავსი ელემენტების არსებობა სხვადასხვა ხალხებში არის მათ შორის არსებული კულტურული ურთიერთობის ხარისხის დადგენის ერთ-ერთი წყარო. ეთნოკულტურული კონტაქტების კვლევისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ელემენტების გამოყოფა, რომელთაც ანალოგიები ეძებნებათ ერთი დიდი არეალის შიგნით სხვადასხვა ხალხებში. კავკასიის ხალხთა ხემიანი საკრავები აგლენენ დიდ მსგავსებას კონსტრუქციის მხრივ, რაც მკვეთრად არის გამოხატული კორპუსის კონფიგურაციაში, სიმის მასალასა და საკრავის იმ ფუნქციაში, რაც მას აქვს ხალხის ყოველდღიურ ყოფაში.

სიმებიანი საკრავი არფის ტიპისა, რომლის ტრადიციაც საქართველოში (სვანეთში) ჩანგის სახით დღემდე შემონახა, ცნობილი იყო აფხაზებში აიუმას სახელწოდებით. ეს საკრავი ყოფიდან უკვე გამქრალია, მისი არსებობა მხოლოდ ზეპირი გადმოცემებით და მოგზაურთა აღწერილობებით მოწმდება. არსებობს ერთადერთი რესტავრირებული სამუხეუმო ექსპონატი, რომლის წყობა, ვარაუდით არის აღდგენილი და ამიტომ ჩვენთვის საინტერესო საკითხის კვლევისას იგი არ არის გათვალისწინებული.

ხემიანი ორსიმიანი საკრავი აფხარცა როგორც ორგანოლოგიური, ასევე წმინდა მუსიკალური თვალსაზრისით, აგლენს ისეთ ნიშნებს, რომლებიც საერთოა ადიღური ანალოგიური საკრავისათვის.

აფხაზური ხემიანი საკრავები დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (საინვენტარო № 7-65/1; 7-65/2). მათი აღწერილობა და ზომები მოცემულია დ. არაყიშვილის მიერ შედგენილ კატალოგსა (არაყიშვილი 1940, 50, №№ 95, 96) და ი. ხაშბას ნაშრომში (ხაშბა 1967, 13-14).

აფხაზური და ქართული (სვანური) ხემიანი საკრავების პრინციპულ მსგავსებას ყურადღება მიაქცია ვ. ახოზაძემ და აფხარცის ორსიმიანობა და სვანური ხემიანი საკრავის ჭუნირის სამხმიანობა დაუკავშირა, შესაბამისად, მუსიკალური აზროვნების განვითარების ორსიმიანობისა (აფხაზურში) და სამხმიანობის (ქართულში) საფუძვლებს. მანვე დააფიქსირა ორსიმიან აფხარცაზე სვანური სიმღერის შესრულების ფაქტი, რაც ამ ხალხთა მჭიდრო კულტურული კავშირების არსებობით ახსნა. ამასთანავე, ვ. ახოზაძემ საკადანსო ფორმების შესწავლის საფუძველზე დაასკვნა ქართული (მეგრული და სვანური) ხალხური სიმღერის გაგლენა სამხმიან აფხაზურ სიმღერებზე (ახოზაძე 1957, 114-117; ახოზაძე, ქორთუა 1957, 11; გვახარია 1963; მაისურაძე 1989, 56, მაისურაძე 1990, 143), რაც სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულ იქნა (ხაშბა 1967). ი. ხაშბამ შეისწავლა როგორც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ექსპონატები, აგრეთვე ყოფაში მის მიერ დამოწმებული ნიმუშები, მათი ჩრდილოკავკასიური (ადიღური, ბალყარული, ყარაჩაული და სხვ.) ანალოგიები. ნაშრომს ერთვის აფხაზური საკრავიერი მუსიკის ნიმუშები, ამოკრებილი იმ დროისათვის გამოქვეყნებული კრებულებიდან და აგრეთვე, არქივებში დაცული ხელნაწერი კრებულებიდან. მაგრამ ამ ნიმუშების მუსიკალური მხარე ავტორს არ შეუსწავლია. ი. ხაშბას გამოთქმული აქვს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ხემიანი საკრავი გავრცელებულია ნართული ეპოსის მქონე ხალხებში და თვლის, რომ ეს საკრავი ამ ხალხთა საერთო მონაპოვარს წარმოადგენს, ხოლო მისი პროტოტიპის წარმოშობა განეკუთვნება მათი ეთნიკური ერთობის პერიოდს.

ჩემი აზრით, კავკასიაში ამ საკრავის არსებობას მარტო „ნართებით“ ვერ ავხსნით. ხემიანი საკრავი საქართველოშიც არის ცნობილი, სადაც არ არის აღნიშნული ეპოსი. დასაზუსტებელია მოსაზრებაც ამ საკრავის პროტოტიპის წარმოშობის შესახებ. რადგან კულტურის ისეთი მარტივი ელემენტი, როგორიც შეიძლება ყოფილიყო კავკასიური ხემიანი საკრავის პროტოტიპი, მე ვიტყვოდი, არქეტიპი, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეიძლებოდა წარმოშობილიყო სხვადასხვა ხალხში და ამის მაგალითი მსოფლიოს ხალხთა მუსიკალურ კულტურებში მრავლად მოიპოვება (მასლოვი, ბელიაევი, ბუხნერი).

აფხარცის კონსტრუქციაში ამჯერად ჩვენთვის საინტერესო საკითხის გასარკვევად ყურადღებას იქცევს ორი დეტალი – კორპუსის (მუცლის) და თავის ფორმა.

როგორც აღვნიშნეთ, ხემიანი საკრავი (ჭიანური, ჭუნირი) ცნობილია საქართველოშიც (სვანეთი, რაჭა, თუშეთი, ხევსურეთი) და ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხებში (ადიღეელები, ბალყარელები, ყარაჩაელები, ჩეჩნები, ინგუშები, დაღესტნელები, ოსები).

ქართული და ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხთა ხემიანი საკრავები ავლენენ მსგავსებას კონსტრუქციით, რაც მკვეთრად არის გამოხატული

სიმის მასალისა და საკრავის ფუნქციაში.

აფხარცა საქართველოს ყველა კუთხეში გავრცელებულ ხემიან საკრავთან გამოირჩევა კორპუსის კონფიგურაციით (ვიწრო, ნავისებური ფორმა), დამზადების წესში დაცული პრინციპით (მთლიანი ხისგან არის გამოთლილი), საკრავის თავის ფორმით (მრგვალი ფორმის) და სიმების რაოდენობით (ორი სიმი).

ქართული ხემიანი საკრავის კორპუსი სამგვარი ფორმისაა: ა) მრგვალი (საცრისებური, ქვემოდან ღია), ბ) ჯამისებური და გ) ოვალური ან ნავისებური, გამოთლილი მთლიანი ხისგან. ყველა მათგანს გადაკრული აქვს ზემოდან ბუშტი ან ტყავი (მემბრანა). მთლიანი ხისგან გამოთლილი კორპუსი მხოლოდ რაჭული ჭიანურის სახით გვაქვს, რითაც იგი აფხაზურ, ადიღურ და ბალყარულ ანალოგიურ საკრავებს ემსგავსება. მსგავსება ჩანს თავის ფორმაშიც. ამიტომ, შესაძლოა, ეს საკრავი ბალყარულის ანალოგიითაც იყოს დამზადებული (ცნობილია რაჭველების მჭიდრო ურთიერთობები „მალყარელებთან“). მაგრამ ვერ გამოვიციხავთ მსგავსი ფორმის საკრავის ადგილობრივ ტრადიციას – მთლიანი ხისგან დამზადებული ქართული სიმებიანი საკრავები (ფანდური) ოვალური, ნავისებური ან მსხლისებური ფორმისაა.

აფხარცის თავი, როგორც წესი, ადიღური ხემიანი საკრავის მსგავსია, კორპუსის ფორმა კი სხვადასხვაგვარია. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპონატების და სპეციალურ ლიტერატურაში აღწერილი ნიმუშების შესწავლის საფუძველზე კორპუსის ფორმის მიხედვით შეიძლება გამოიყოს ამ საკრავის ორი სახეობა: 1) ადიღურის ტიპისა და 2) ქართული სიმებიანი საკრავების მსგავსი (ხაშბა 1967, 199-208). ი. ხაშბას ნაშრომში მოტანილია საილუსტრაციო მასალა – ფოტოები აფხარცაზე შემსრულებელთა და მათი საკრავებისა, რომელთა კორპუსები ქართული ფანდურის მსგავსია ესენია: [შადატ მარხოლია (სოფ. ააცი), ალიას გუმბა (აჭანდარა), ლით კვარჩელია (აჭანდარა), ესნატ ახბა (აჭანდარა), ზოსიმ აჟიბა (სოფ. ახალსოფელი)], ასევე აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის ექსპონატები № АБМ-47/52 და АБМ-47/53. ი. ხაშბას ცნობით, აფხარცა XX საუკუნის 60-იანი წლების მიწურულამდე გავრცელებული იყო ძირითადად გუთაუთის რაიონის აფხაზებში. ოჩამჩირის რაიონში მკვლევარი შეხვდა მხოლოდ ორ შემსრულებელს, ხოლო გალის რაიონში ხემიანის არსებობა საერთოდ ვერ დაადასტურა (ხაშბა 1967, 11).

აფხარცის ადიღურ ხემიან საკრავთან მსგავსება თვალსაჩინოა. ამის შესახებ XIX საუკუნის I ნახევრის უცხოელი მოგზაურებიც მიუთითებდნენ, მაგალითად, ინგლისელი რეზიდენტის ჯ. სტ. ბელის 1837-1839 წლების წერილებსა და ფრანგი გიბალის აფხაზეთში მოგზაურობის 1818 წლის დღიურში აღნიშნულია აფხაზური და ჩერქეზული მუსიკისა და ინსტრუმენტების მსგავსების შესახებ (ხაშბა 1967, 52). აფხაზური ხემიანი საკრავი (აფხარცა) კონსტრუქციით და მუსიკალურ-საშემსრულებლო შე-

საძლებლობებით ადიღური ხემიანი საკრავის (შიჭა-ფშინ) ფაქტობრივად იდენტურია და ქართული ხემიანისგან (და სხვა ზემოთ დასახელებულ ხემიანთაგანაც) განსხვავებული. ეს გამოიხატება მის კონფიგურაციაში, დამზადების წესში დაცულ პრინციპსა (მთლიანი ხისაგან გამოთლილი) და სიმების რაოდენობაში (ორსიმიანი). ორგანოლოგიურად ადიღური საკრავი ხემიანის განვითარების შედარებით მაღალ საფეხურს შეესაბამება (საკვლევი რეგიონის მასშტაბით).

ჩამოსაკრავი ინსტრუმენტი აჩამგურ // აჩანგურ ქართული ოთხსიმიანი ჩონგურის იდენტურია. იგი ქართული მუსიკალური კულტურიდან არის ათვისებული და ამაზე არავინ დავობს (ხაშბა 1967, 53; ახობაძე 1957, 117). ჩონგური ქართული მუსიკის განვითარების ოთხსიმიანობის ეტაპთან არის დაკავშირებული (ვ. ახობაძე, . ჩხიკვაძე).

როდესაც კულტურულ კონტაქტებზე ვმსჯელობთ და ხალხური მუსიკალური კულტურა გვაქვს მხედველობაში, ორგანოლოგიურ, გარეგნულ თავისებურებებთან ერთად (რაც თავის მხრივ საკრავის საშემსრულებლო შესაძლებლობებსა და მუსიკალურ-აკუსტიკურ თავისებურებებს განსაზღვრავს) ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია მოცემულ საკრავზე შესრულებული მუსიკა და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები.

აფხარცის ჰანგები და სიმღერები ამ საკრავის თანხლებით ისტორიულ-საგმირო, ნართულ და საწესო ჟანრებს განეკუთვნებიან. საყურადღებოა, რომ სოლო სიმღერის აკომპანიმენტი ორხმიანია, მაგრამ გვხვდება აგრეთვე ცალფა. ამგვარი მოვლენა ქართული საკრავიერი მუსიკისათვის სრულიად უცხოა. საყურადღებოა, რომ სოლო სიმღერის ცალფა აკომპანიმენტი არ არის უნიკონური სოლისტის პარტიის მიმართ (ამ უკანასკნელის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ „აცუნუხ“, „ძველებური სიმღერა“, კ. კოვაჩის ჩანაწერი, ხაშბა 1967, 130). გვხვდება შემთხვევები, როდესაც ინსტრუმენტი პარმონიულ საფუძველს კი არ ქმნის, არამედ დამოუკიდებელ მელოდიურ ხაზს წარმოადგენს (მაგ., „მიწურში“ ა. პოზდნევის ჩანაწერი).

აჩამგურის თანხლებით შესრულებულ აფხაზურ სიმღერებს ეტყობა ძლიერი ქართული გავლენა, რაც გამოიხატება საკრავის წყობაში, აკომპანიმენტის ფაქტურაში, რიტმულ-ინტონაციურ ფორმულებსა და აკორდიკის სტრუქტურაში. მაგალითად, საწესო სიმღერა სოლისტისა (ქალი) და გუნდისათვის – „დამხრჩვალზე სიმღერა“ (ხაშბა 1967, 158-160). საინტერესოა იმ მხრივ, რომ მიუხედავად აჩამგურის პარტიაში რამდენიმე სამხმიანი აკორდისა, აკომპანიმენტის ორხმიანად წარმართვის ტენდენცია აშკარად გამოკვეთილია, რასაც ფრაზების დასაწყისში კვარტულ თანხმოვანებათა სიტარბე მოწმობს. ეს საგვებით კანონზომიერია, თუ გავითვალისწინებთ, ერთი მხრივ, სიმღერის ჟანრს (საწესო), რომელიც უხვად შეიცავს არქაიზმებს და, მეორე მხრივ, იმ ფაქტს, რომ აფხაზური მუსიკალური კულტურის დამახასიათებელი ნიშანია ორხმიანობა.

მეტრისა და რიტმის შესახებ უნდა აღინიშნოს პუნქტირებული და სინკოპირებული რიტმის სიჭარბე, რაც დამახასიათებელია საზოგადოდ აფხაზური ხალხური სიმღერებისათვის.

აფხაზური ინსტრუმენტული და ვოკალურ-ინსტრუმენტული ნიმუშების ანალიზის შედეგების შეჯამებისას გამოიკვეთა მისთვის დამახასიათებელი შემდეგი თვისებები:

1) საკრავებზე ცალფა მელოდის შესრულება და ცალფად (ზოგჯერ უნისონურადაც) აკომპანირება მთელი სიმღერის მანძილზე (ან ეპიზოდურად), რაც ტიპურია ადიღეურისათვის და სრულიად უცხო ქართული ინსტრუმენტული კულტურისათვის.

2) საკრავის მუსიკალურ-საშემსრულებლო შესაძლებლობების (ოთხსიმანიობა, სამსიმანიობა) მიუხედავად, ორხმანიობის პრინციპის შენარჩუნება.

აფხაზური სიმღერებისათვის დამახასიათებელი მრავალხმანიობის ფორმა არის ორხმანიობა. სამხმანიობა ქართულის გავლენად არის მიჩნეული (ახობაძე 1957, გვახარია 1963, 281-290; მაისურაძე 1989, 57). ეს ფაქტი ინსტრუმენტული მუსიკის მონაცემებითაც დასტურდება. როგორც ძველი საკრავის – ორსიმანი აფხარცის, ასევე ქართულიდან ათვისებული ჩონგურის – აჩამგურის ჰანგებში ასახულია ძირითადად ორხმანიობა და ნაკლებია სამგეროვნება (იშვიათია ოთხგერიანი აკორდები). ჩონგური საქართველოში მუსიკალური აზროვნების განვითარების სამხმანიობისა და ოთხხმანიობის ეტაპებს უკავშირდება, აფხაზურში მას შეესაბამება ორხმანიობა სამხმანიობის ელემენტებით.

აფხაზური და ადიღეური სიმღერების დიდი სიახლოვე ინტონაციური და პარმონიული თვალსაზრისით დადგენილი აქვს ნ. მაისურაძეს (მაისურაძე 1989, 57), რის საფუძვლადაც ამ ხალხთა გენეტიკურ ერთიანობას მიიჩნევს. ამ დებულებას საკრავებისა და საკრავიერი მუსიკის ანალიზის შედეგები მხარს უჭერს (შილაკაძე 2001, 171-181).

ქართული კულტურიდან ათვისებული ჩამოსაკრავი ინსტრუმენტი ჩონგური, რომელიც სამ და ოთხგერიანი აკორდიკის გამოყენების საშუალებას იძლევა და საჩონგურო რეპერტუარი ქართულ ინსტრუმენტულ კულტურაში ამით გამოირჩევა, აფხაზურ მუსიკალურ პრაქტიკაში ორხმანიობის პრინციპის ამსახველად წარმოგვიდგება.

აფხაზური და ადიღეური ინსტრუმენტული მუსიკის საერთო ნიშნები:

- 1) აკომპანემენტის ფაქტურა (ცალფად აკომპანირება);
- 2) მეტრულ-რიტმული ფორმულა (სინკოპების სიჭარბე);
- 3) მელოდურ-ინტონაციური ნახტომები;
- 4) საკადანსო ფორმები.

აფხაზურში ქართულის გავლენა ჩანს აჩამგურად წოდებულ ქართული საკრავის – ჩონგურის არსებობაში და მის რეპერტუარში.

საერთოკავკასიური საკრავები, რომელთა არქეტიპებიც მუსიკალურ კულტურაში კავკასიურ სუბსტრატს უნდა წარმოადგენდეს, მოგვიანებით ყველა კავკასიელმა ხალხმა თავის მუსიკალურ აზროვნებას დაუქვემდებარა. საკრავიერ მუსიკაში თითოეულ ხალხს საკუთარი მუსიკალური პრინციპები, მუსიკალური აზროვნების მისთვის დამახასიათებელი კანონზომიერება აქვს გამოვლენილი.

ქართული და აფხაზური მუსიკალური კულტურების ურთიერთობის სხვადასხვა ფორმები ინსტრუმენტარიუმშიც მკაფიოდ არის გამოხატული. ქართულ-აფხაზური ურთიერთობის პრობლემის კვლევაში სხვა მონაცემების გვერდით, ვფიქრობ, მოტანილ მასალას გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

ამგვარად, ეთნოკულტურული ურთიერთობები, რომლებიც ყოფის სხვადასხვა სფეროში ვლინდება, მუსიკალურ კულტურაში, კერძოდ, ხალხურ ინსტრუმენტულ კულტურაშიც აისახა.

M. Shilakadze (Tbilisi)

**Georgian-Abkhaz-Adyghian ethno-cultural contacts
(musical instruments)**

In the studies of ethno-cultural contacts, just as in those of ethnogeny, to reveal special features of the culture of the studied ethnic groups has a great significance, according to Academician G. Chitaia. These special features were developed in the people in the course of their historical life. They are the portion that each people deposits into the treasure-house of Culture and supplements it (Chitaia).

Ethno-cultural contacts are manifested in the different spheres of the walk of life and, in particular, in the folk musical set of instruments. Originality of ethnical culture is clearly (if not to the most extent) expressed in the musical culture. Folk musical instrument is an ethnographical source, which contains special information. As one of the elements of the „musical material culture“, it stores in itself the signs, which show both: the identity of this culture and external influences. Importance of the data of traditional musical culture in the study of ethno-cultural contacts is indisputable and practically these types of work have been already carried out (implying here works by B. Bartok, V.S. Vinogradov, K. V. Chistov, I. Tinurist). In the specialized literature it is noted, that identical or ergologically close instruments are encountered more frequently among the peoples, which compose one ethnic community (K. Vertkov). At the same time, there is not excluded adoption of instruments from one people to another, but in that case, musical instrument must be capable to express the uniqueness of music of that people, formed by centennial traditions, artistic and aesthetic standards and meet their requirement for them (Vertkov, 99).

In Georgia and among the peoples of the Northern Caucasus prior to the beginning of XX c. and somewhere up till the present moment there were spread several musical instruments with various intensities. In this particular case, our interest is dedicated to the stringed instruments: bow chuniri // chianuri // chianuri (in Georgia: Svaneti, Racha, Tusheti, Khevsureti), apkhartsa (Abkhazia), shicha-pshin (Cherkezia), kil-kobuz (Balkaria and Karachai), atukh pondur (Chechnia and Ingushetia), chagana (Daghestan), kisin-pandir / /koisar pandir (Ossetia). On the basis of similarity of the named instruments by the construction and function we assumed that this type of bow instruments is the common Caucasian element of culture (Shilakadze, 1983).

Three-stringed bow instruments preserved in Georgia (Svaneti, Racha, Tusheti) till the present days, by its simplest construction and by archaicness, occupies a separate place in the traditional musical set of instruments.

The purpose of the report, proposed to your attention, is to show parallels in the Georgian, Abkhazian and Adyghian musical cultures, concretely: the elements of the earliest origin, which were preserved in the Caucasian musical set of instruments and to show from this aspect the similarity and special features of their musical cultures.

Existence of the similar elements of culture in various peoples can be considered to be one of the sources for establishing the degree of the cultural contacts occurred between them. In the study of ethno-cultural contacts the special importance is attributed to the analysis of an element, which has analogues among different peoples spread over the large area. From this point of view, bow instruments of the peoples of Caucasus attract attention. They manifest a great similarity in their construction (which is expressed in the configuration of their bodies), in material for the strings (horse hair) and in functions of the instrument in everyday life.

Among the stringed instruments of the type of harp, tradition of which is preserved up till now only in one mountain region of Georgia – in Svaneti (*changi*), was familiar in the past also to Abkhazians – (*aiumaa*). Its existence is attested only by legends and several written sources (in the form of descriptions of foreign travellers). Researchers possess only one, still restored museum exhibit, tuning of which is suppositional and therefore in this report we will not touch it.

Our attention was attracted by the similarity of the Abkhazian two-stringed bow instrument to the Adyghian analogous instrument, according to the ergological as well as to musical characteristics.

Versions of the Abkhazian bow instruments – *apkhiartsa* are stored in the museum of Georgia (inventory № A 7-65/1; A 7-65/2). Description and their measurements are introduced into the catalogue of D.I. Arakishvili (Arakishvili 1940), there are cited also in the monograph by I. M. Khashba (Khashba, 1967).

A Georgian musicologist- folklorist V. Akhobadze was the first investigator who focused attention on the similarity of Abkhazian and Georgian (Svanian) bow instruments. Quantities of strings: two on the Abkhazian and three, on the Georgian instrument, he explained on the basis of the forms of the polyphony, two- and three-part singing, characteristic for the Abkhazian and Georgian musical cultures. He also recorded an event of performance of a Svanian song on *apkhiartsa*, which, in his opinion, indicated to the close cultural contacts between these two ethnicities.

Together with this, V. Akhobadze, relying on the results of studying the *cadenza* forms, advanced assumption about the influence of Georgian songs (Svanetian and Megrelian ones) on the three-part songs of Abkhazians (Akhobadze, 1957). This position was confirmed by the studies of V. Gvakharia and N. Maisuradze.

Abkhazian musical instruments are thoroughly covered in the monograph by I. Khashba. It has studied museum exhibits (in Tbilisi, Saint Petersburg, Sukhumi), and also the instruments, preserved till the 60-ies of the last century among the Abkhazian po-

pulation and their North-Caucasian (Adyge, Balkarian, Karachai) analogues. In the monograph there are assembled the score (sheet music) materials published in the different collections, and that's just it. I. Khashba expressed an idea that the bow instruments in the Caucasus are spread among the peoples, which have Nartian epos, so this instrument is the general property of the named peoples of the Caucasus and it was conceived in that period, when they were one ethnic community (Khashba, 1967, p. 53).

This argument is subject to much doubt, since bow instruments exist also in Georgia, where there is recorded no Nartian-like epos. The consideration of the author about the origin of the prototype of this instrument undergoes refinement also. Such a simple element of culture, which could serve as the prototype (I would say archetype) of bow instruments, could be conceived independently in different peoples and there are numerous examples of this in the musical cultures of the peoples of the world (please see illustrations in the works by Maslov, Belyayev, Buchner).

Two details in the construction of apkhiartsa attract attention in the task of explanation of the question that confronts us: configuration and the form of the head of instrument. Apkhiartsa is different from the bow instrument existing in Georgia by its configuration (narrow body of a boat-like form), the principle of the method of the production (it is prepared from a single piece of wood and it has a head of circular shape) and a quantity of strings (it has two strings).

There is encountered three specific types of the body of the Georgian bow instrument: 1) round (sieve-like, opened from below), 2. cup-shaped and 3. oval, boat-like. All three forms are stretched over from above by the skin or entrails. Only one of the versions of Rachian chianuri has the body, prepared from the single piece of wood. According to this sign, it has analogues in the form of Abkhazian, Adyge and Balkarian bow instruments. We consider that this type of bow instrument is assimilated by Georgian mountaineers from Balkarians, with whom they have close connections. Although there cannot be ruled out a local tradition, too: production of stringed instruments from the single pieces of wood (for example, panduri).

The head and form of the body of apkhiartsa, as a rule, is similar to Adyge shic-ha-pshin. But in private life there were encountered single cases, similar to the forms of the body of Georgian panduri. This is evident on the illustrations – photos of performers on apkhiartsa, given in the named monograph by I. Khashba, and also exhibits from the Abkhazian State Museum (ABM -47/52; ABM -47-53) from the same source (Khashba, 1967, 199-208).

According to the information of I.Khashba, till the end of the 60-ies of the past century apkhiartsa was still met among Abkhazians of the Gudauta region, in the Ochamchire region she succeeded to fix only two executors, and in the Gali region there was no recorded practice of bow instruments by that time (Khashba, 1967, 11).

Similarity of Abkhazian and Adyghian bow instruments is evident. This was noticed also by foreign travellers of the first half of XIX century (for example, by Gibal, J. S. Bell (Khashba, 1967, p. 52)).

By the construction and musical and executive characteristics Apkhiartsa and shicha-pshin are actually identical, but they differ both from the Georgian and from Chechen-Ingushian, Daghestanian and Ossetian bow instruments.

The difference between them is expressed in its configuration, principle of the method of manufacture (prepared from a single piece of wood). In the sense purely ergological sense, Adyghian bow instruments correspond to the higher level of development, than all the above-named.

The stringed musical instrument played by plucking (pizzicato-type) achamgur // achangur is borrowed from the Georgian musical culture and this is not argued any more (Khashba, 1967, 52; Akhobadze 1957, 117).

Speaking about the cultural contacts, in this case music itself, completed on the studied musical instrument, has the most important significance.

Tunes played on the apkhiartsa and songs with its accompaniment are historical and epic, Nartian and ritual. The accompaniment of apkhiartsa is two-part, but there is encountered melodic (one-part) tracking, too, which is completely alien for the Georgian instrumental music. Noteworthy, accompaniment to solo songs is one-part, but not unison; for example, „Atsunukh", an ancient song, the record made by K. Kovacs (Khashba, p. 130). The Cases occur, when instrument does not emphasize the harmonic basis, but represents itself an independent melodic line ("In the mud hut", recorded by A.Pozdneyev, please see Khashba, p. 130).

Abkhazian songs, accompanied with achamgura, bear some Georgian influence, which is evinced by tuning of instrument, fabric of musical cloth, rhythm-intonation formulae, structure of chords. For example, ritual song for the soloist and the chorus – „On the drowned man" (recorded by V. Akhobadze, please see Khashba, pp. 158-160) is interesting by the fact that in spite of sounding of several three-sounded chords in the party of achamgura, there is clearly expressed the tendency towards two-part music. This indicates the predominance of fourth chords in the beginning of phrases. This is absolutely regular, if we consider the genre of song, on one hand, which is ritual and contains many archaisms, and, on the other hand, the principle of two-part music, the characteristic feature of the Abkhazian musical culture.

In the Abkhazian songs accompanied by both achamgura and apkhiartsa, there are evident the predominance of the punctuated rhythm and syncopes.

The Results of the analysis of Abkhazian instruments and vocal- instrumental models distinguished the following two features characteristic to them:

1. one-part melody, performed on the instrument and one-part (sometimes unison) accompaniment, typical for the Adyge and completely alien for the Georgian instrumental culture;

2. retention of the principle of two-part singing, in spite of the musical- executive capabilities of the instrument (four-stringed achamgura).

Data of the instrumental music confirm that the characteristic form of the polyphony of Abkhazian songs is two-part music.

In the tunes made on four-stringed achamguras there are encountered mainly two-partedness, rarely, three-part chords, and it is possible to say that there are only single and odd occurrences of four-part music.

Occurrence of four-stringed chonguri in Georgia is connected with stages of development of three- and four-part polyphony in the development of musical thinking. The same instrument in the Abkhazian culture reflects two-part polyphony with the elements of three-part music.

On the basis of the thorough and scrupulous analysis of Abkhazian and Adyge songs, and also of their comparative study, there is established their proximity according to the intonation and harmonic characteristics (N. Maisuradze, 1989, 57), which is explained by their genetic unity. This position is supported by the results of the analysis of instrumental music (Shilakadze, 2001, 171-181). General signs of the Abkhazian and Adyge instrumental music are as follows:

1. Fabric of accompaniment (one-part)
2. metric- rhythmical turns (abundance of syncopes);
3. melodic and intonation turns (jumps);
4. cadenza forms.

Georgian influence in the Abkhazian instrument music is revealed in the existence of the Georgian instrument chonguri, which is called achamgur and its repertuare.

The instrument achamgur attracts attention by the fact that in it there is conserved the specific stage of the method of preparing the Georgian stringed musical instrument played by plucking (pizzicato-type), namely, chonguri – it is prepared from a single piece of wood (models of a similar instrument are stored in the S. Janashia State Museum of Georgia). The instrument of such type is the predecessor of chonguri, preserved in the everyday life up to date. Body of chonguri is made of narrow and long wooden 7 or 8 plates, glued together.

The common-Caucasian musical instruments, which archetypes in our opinion are Caucasian substrata in the musical culture, each people timed to the principles of his own musical thinking. These principles are manifested also in the instrumental music of each people.

Thus, various forms of the ethno-cultural contacts, which occur in the different spheres life, were reflected also in the instrumental culture. These contacts did not wash off ethnic special features, but on the contrary, they became the means of the expression of ethnic originality and uniqueness.

ლიტერატურა – Literature

არაყიშვილი, დ., ხალხური სამუსიკო საკრავების აღწერა და გაზომვა. თბილისი 1940.

ახობაძე, ვ., აფხაზური ხალხური მუსიკის შესახებ, – „საბჭოთა ხელოვნება“, 1957, № 2-3, 114-117.

მაისურაძე, ნ., ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთ-

ნოგრაფიული ასპექტები. თბილისი 1989.

შილაკაძე, მ., ქართულ-კავკასიური პარალელები (ხემიანი საკრავი), – „იველის მეგობარი“, 1983, 64, 8-11.

შილაკაძე, მ., ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა. თბილისი 1970.

ჩიტაია, გ., ქართულ-ავსტრული ეთნოგრაფიული პარალელები [1952], – შრომები ხუთ ტომად, ტ. II. თბილისი 2001, 123-131.

ჯავახიშვილი, ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები. თბილისი 1938.

Абхазские песни. Составители Ахобадзе В., Кортау И., Москва 1957.

Барток Б., Народная музыка Венгрии и соседних народов. Москва 1966.

Вертков К., Благодатов Г., Язовицкая Э., Атлас музыкальных инструментов народов СССР. Москва 1963.

Вертков К. А., Музыкальные инструменты как памятники этнической историко-культурной общности народов СССР // Славянский музыкальный фольклор. Статьи и материалы. Москва-Ленинград, 1972, с. 97-113.

Виноградов В. С., Проблема этногенеза киргизов в свете некоторых данных их музыкального фольклора // Вопросы музыкознания, Сборник статей, II (Отв. ред. Ю. Б. Келдыш). Москва 1960, с. 348-360.

Гвахария В. А., О древних взаимосвязях грузинской и северокавказской народной музыки // Материалы по этнографии Грузии, XII-XIII. Тбилиси 1963, с. 281-290.

Маслов А. Л., Иллюстрированное описание музыкальных инструментов, хранящихся в Дашковском этнографическом музее в Москве, Москва, 1909.

Хашба И., Абхазские народные музыкальные инструменты. Сухуми, 1967.

Buchner Alexander, Musikinstrumente der Völker. Praha 1968.

М. Ш и л а к ა დ ზ ე (Тбилиси)

Грузинско-абхазско-адыгские этнокультурные контакты (музыкальные инструменты)

Р е з ю м е

В изучении этнокультурных контактов, также как и этногенеза, большое значение имеет выявление особенностей культуры изучаемых этносов, по словам акад. Г.Читая, особенностей, которые выработались в народе в течение его исторической жизни. Эти особенности являются той лептой, которую каждый народ вносит в сокровищницу культуры и дополняет ее.

Этнокультурные контакты проявляются в разных сферах быта и, в частности, в народном музыкальном инструментарии. Народный музыкальный инструмент являет собой этнографический источник, содержащий особую информацию. Значение данных традиционной музыкальной культуры в изучении этнокультурных контактов бесспорно (Б. Барток, В. С. Виноградов, К. В. Чистов, И. Тынурист). В Грузии и среди народов Северного Кавказа до начала XX столетия и кое-где до настоящего времени с разной интенсивностью были распространены музыкальные инструменты, струнные: смычковые чунири//чианури//чонгури (в Грузии – Сванети, Рача, Тушети, Хевсурети), апхьарца (абхазов), шича пшин (черкезов) кыл-кобуз (балкарцев и карачаевцев), атух пондур (чеченцев и ингушей), чагана (дагестанцев), кысын-фандыр//койсар фандыр (осетин). На основе сходства названных инструментов по конструкции и функции – данный тип смычковых инструментов является общекавказским элементом культуры.

На основе тщательного и скрупулезного анализа абхазских и адыгских песен, а также их сравнительного изучения, установлена близость их по интонационным и гармоническим показателям, что объясняется их генетическим единством. Это положение подтверждают итоги анализа инструментальной музыки. Общие признаки абхазской и адыгской инструментальной музыки: 1. фактура аккомпанемента (одноголосие); 2. метро-ритмические обороты (обилие синкоп); 3. мелодико-интонационные обороты (скачки); 4. кадансовые формы.

Грузинское влияние в абхазской инструментальной музыке проявляется в самом существовании инструмента чонгури, именуемого ачамгур.

Общекавказские музыкальные инструменты, архетипы которых, по нашему мнению, представляют собой кавказский субстрат в музыкальной культуре, каждый народ приурочил принципам собственного музыкального мышления. Эти принципы проявляются и в инструментальной музыке каждого народа.

Итак, разные формы этнокультурных контактов, имеющих место в разных сферах быта, отразились и в инструментальной культуре. Эти контакты не смыли этнические особенности, а наоборот, превратились в средство выражения этнической самобытности.

ლიტერატურა, ფოლკლორი

Literature, Folklore

Литература, Фольклор

ე. გ. გ. ი. ა. შ. ვ. ი. ლ. ი. (თბილისი)

**კავკასიელი ქალის სტერეოტიპი XVII-XIX საუკუნეების
ევროპულ სამოგზაურო ლიტერატურაში**

გერმანულ გაზეთ Frankfurter Allgemeine Zeitung-ის 2007 წლის 17 თებერვლის ნომერში, რუბრიკაში „ქორწინების სურვილები. პარტნიორობა“ გამოქვეყნებულია განცხადება (ვთარგმნი სიტყვასიტყვით, სტილის ზედმიწევნით დაცვით):

„ვეძებ ქართველ ქალს (ხაზგასმა ორიგინალისაა – ე. გ.), 30-40 წლისას, აბანოზის ხესავით შავი თმით, მუქი თვალებით და თეთრი კანით, ტანწერწეტას, ენების სწავლის ნიჭით დაჯილდოებულს. (პრივილეგირებული ნადავლი დიდი ხნიდან მოყოლებული). კოსმოპოლიტი მეცნიერი, 180 სმ, 71 კგ, გაშორებული, საოცნებოდ დამოუკიდებელი. გამომეხმარეთ 22025544. F.A.Z. 60267.“

წინამდებარე ნაშრომი „პრივილეგირებული ნადავლის“ – კავკასიელი ქალის – ევროპაში საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული სტერეოტიპის ორ ასპექტს ეხება: გარეგნულ სილამაზესა და ჰარამხანებში მასზე მოთხოვნილებას.

დღევანდელ ევროპულ მეცნიერებაში სადავო არ არის, რომ სხვა სამყარო ევროცენტრული თვალსაზრისით ეგზოტიკურად არის აღქმული. „ეგზოტიკური სცენები დამკვირვებელს სოციალური და კულტურული ცხოვრების სივრციდან გამოჰყავს და თავის წარმოდგენებში გადაჰყავს, რომელშიც კონტრასტულად და ღირებულად საკუთარი და უცხო ერთმანეთისგან იმიჯნება“ (Hölz 2002, 7).

სამოგზაურო ლიტერატურა მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სხვადასხვა მეცნიერებისთვის. თანამედროვე ევროპულ გამოკვლევებში ახალი ეპოქის სამოგზაურო ლიტერატურის როლი სათანადო დონეზეა შეფასებული: ის არის განმანათლებლობის დროინდელი ლიტერატურის ნაწილი, კვლევის ფართო სპექტრს შლის ჰუმანიტარული მეცნიერებებისთვის, წყაროა მოგზაურობის ისტორიის შესასწავლად (Bönisch-Brednich 2001, 123). მე-17-19 საუკუნეების სამოგზაურო წიგნებში შემონახულია უპვირფასესი მასალა ეთნოგრაფებისა და ფოლკლორისტებისთვის (Bönisch-Brednich 1993, 252). სამოგზაურო ლიტერატურის შესწავლა ეთნოლოგიუ-

რი კვლევისთვის წარსული ან უცხო კულტურებისა და მენტალიტეტის აღმოჩენის შესაძლებლობას იძლევა (Brenner 1990, 2).

მეცნიერება დღეს აღარ არის იგივე, რაც მე-19 საუკუნეში და შესაბამისად, მეცნიერების ყოველი შედეგი აღარ არის სამყაროს გუშინდელი, დღევანდელი ან ხვალისდელი საბოლოო სურათი. მნიშვნელოვანი არის არა კონკრეტული შედეგი სამეცნიერო კვლევისა, არამედ აზროვნების ფორმა, რომლიდანაც გამომდინარეობს სამყაროს აღქმა (Bultmann 1964, 39).

მე-17-19 საუკუნეებში სამოგზაურო წიგნები საზოგადოების უსაყვარლეს საკითხავს წარმოადგენდა თავგადასავლებისა და უცნობი ხალხების აღწერის გამო. სამეცნიერო დისციპლინები მათში საბუნებისმეტყველო და ეთნოგრაფიულ დოკუმენტებს ეძებდნენ, ახდენდნენ მათ შედარებას და გადამოწმებას ძველ წყაროებთან, ადგენდნენ ახალ კანონზომიერებასა და პარადოქსებს (Hartmann 2001, 17).

სამოგზაურო მოთხრობები და პირველი სამოგზაურო ცნობარები ორმაგ პროგრამას შეიცავდნენ: ერთის მხრივ, იყო მცდელობა, აღწერილი ყოფილიყო ამა თუ იმ ქვეყნის „უცნაურობები“, მისი მოსახლეობა, წესჩვეულებები, ისტორია, რელიგია და ცრურწმენები; მეორეს მხრივ, ნაჩვენები ყოფილიყო დაკვირვების „სწორი“ ფორმა – მოგზაურობა როგორც დათვალიერების სკოლა, რომელსაც უკვე მეცნიერებაზე ჰქონდა პრეტენზია. ბევრი სამოგზაურო წიგნი თავის დროზე ბესტსელერად იქცა. ეს წიგნები მედიუმის როლს ასრულებდნენ მასობრივი კომუნიკაციის გაგებით, რადგან განსაზღვრულ სურათებს, პერსპექტივებს, დაკვირვებებს სთავაზობდნენ მკითხველს და გარკვეულწილად მოძღვრავდნენ კიდევ მათ – რას უნდა დაკვირვებოდა მოგზაური (Kaschuba 1999, 31-32). იმავდროულად ყალიბდებოდა მტკიცე წარმოდგენები სხვაზე და უცხოზე, იკვეთებოდა წინამეცნიერული მეთოდები: მოსაზრებები დაკვირვების კატეგორიებსა და ტექსტის ჟანრებზე, ყურადღების ცენტრში ექცეოდა სავსე დღიურები. მე-19 საუკუნეში სამოგზაურო ლიტერატურა იქცა ეთნოგრაფიის არსებით წყაროდ, რომელმაც, ვ. კაშუბას თქმით, მეცნიერთა მომდევნო თაობაში „საკუთარი“ და „სხვა“ საზოგადოების ისტორიული მომენტების დასაფიქსირებლად ფოტოგრაფის როლი შეასრულა (Kaschuba 1999, 32).

მე-17-19 საუკუნეების სამოგზაურო ლიტერატურაში, გეოგრაფიულ ცნობარებსა თუ სალექსიკონო სტატიებში, სადაც კი მოსახლეობის წესჩვეულებების, მათი გარეგნობის და ხასიათის ზოგადი დახასიათებაა მოცემული, გვხვდება საგანგებოდ ხაზგასმული ინფორმაცია ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ქალების შესახებ: 1) დიდი მოთხოვნა ქართველ ქალებზე პარამხანებში; 2) ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ქალების გარეგნული სილამაზე.

საისტორიო წყაროებიდან ცნობილია, რომ აღმოსავლეთში მონა ქალები უმეტესწილად საქართველოდან მიჰყავდათ. ევროპული წყაროები

არაერთგზის ადასტურებენ დადესტნელების მიერ ქართველი ქალების მოტაცებასა და გაყიდვას (Dapper 1681, 88). ერთ-ერთი ავტორი იმასაც წერს, რომ თურქული სერალების მესამედს ქართველი ქალები შეადგენდნენ (Henrichs 1793, 39-41). „ქართველი ქალები ღამაზები და ჯიშიანები არიან, ამიტომ ყიდულობენ სპარსელი და თურქი დიდებულები თავიანთ მხევლებს საქართველოში“, – წერს იოჰან ადამ ბერგკი (Bergk 1799).

ეს ცნობები საენციკლოპედიო სტატიებშიც გვხვდება: „საქართველოში გოგონების მოტაცება ძალიან ხშირია, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ძალიან ღამაზები არიან და მათზე სპარსელებისა და თურქების მხრიდან ხშირი მოთხოვნაა. ამიტომ მშობლები თავიანთ ქალიშვილებს ადრევე აგზავნიან მონასტერში“ (Allgemeines Real-Wörterbuch aller Künste und Wissenschaften, Bd. 11, 1786, 799).

მოტაცების მოტივი მეტად მომხიბვლელი და ეგზოტიკური ჩანს მე-17-18 საუკუნეების ფრანგულ რომანებში. ჟან ბატისტ დე შევერემონის „ქართველი კემისკისა და მისი მეუღლის აღეკვს უცნაური სიყვარულის ამბავი“ (Chevremont 1698) და ბარტელემი მარმონ დუ ოშანის „რეთიმა, მშვენიერი ქართველი ქალი“ (Marmont Du Hauptscham 1736) ოსმალეთის იმპერიაში ტყვეთა ვაჭრობას ეხება და იმდროინდელ ისტორიულ სინამდვილეს ეყრდნობა.

მე-18 საუკუნის ევროპელი ავტორებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო საქართველოს შესახებ იყო ჟან შარდენის „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“, რომლის გაცნობაც მკითხველს ფრანგულ და ინგლისურ ენებზე შეეძლო. მის თხზულებაშიც არის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ირანის შაჰის პარამხანაში ყველაზე მეტი ქართველი და ჩერქეზი ქალები იყვნენ (შარდენი 1975, 86).

The one caught up by the *khati* is called '*tsev kham behhin*' in the Kist language. If someone among the Kists of Pankisi fell ill, they used to give a promise to different *khatis* in the name of the ill person. Then, they slaughtered *samkhvetsro* (*donation*) to *khati* and asked for *her* patronage. If they had promised a donation to *jvari* and *khati*, they went to *khati* at any time.

As it can be seen from the works of folk-lore, the belief in and serving the *jvaris* and *khatis*, despite the spread the Moslem religion, occupied a significant place in the traditional being of the Vainakh people. The belief in and serving the *jvaris* and *khatis* was the evidence of the relationship between the Georgian mountain dwellers and the Vainakhs.

The belief in the *jvaris* and *khatis* among the Vainakhs spread from the traditional mountain societies of East Georgia.

Like the Georgian writing historical chronicles are the only valuable source to study the past of Chechnya and Ingushetia, the *Andrezes* of the mountain dwellers of Georgia provide the rich material about the traditional life of the neighboring Vainakhs and serving the *jvaris* and *khatis* by them.

Reference

- TSUFA* – Tbilisi State University Folklore Archives.
Caucasian Folklore – Folklore of the Caucasian Peoples, ‘Caucasian House’, Tbilisi, 2008.
Mamisimedishvili – Mamisemidishvili Kh. The Vainakhs and Georgian mountain dwellers, ‘Lomisi’, Tbilisi, 1997.
Ochiauri 15 – Ochiauri Al. Legends about the Khevsurian deities and sons of god, 1938 (Archives of the Ethnographic Department of the Institute of History of the Academy of Sciences of Georgia, M 15).
Ochiauri 17 – Ochiauri Al. Calendar of Khevsurian folk celebrations (Budekhevsureti), 1939, (ibid. M 17).
Zisermann – A Zisermann, Twenty-five years in the Caucasus, part 1, Saint-Petersburg, 1879.

Х. М а м и с и м е д и ш в и л и (Тбилиси)

Молельни святых покровителей в традиционной вайнахской бытности и фольклоре

Р е з ю м е

О традиционной бытности вайнахов и о их взаимосвязях с грузинскими горцами можно судить по народному творчеству, особенно хевсурским *андрезам* (мифам). *Андрезы* рассказывают о тех старцах-старшинах ущелий, которые по велению креста (поклоняемой святыни), с его знаменем, вели войска в горную Чечено-Ингушетию, облагали оброком местных жителей и распространяли среди них веру в святого покровителя.

В молельнях святых покровителей Пшав-Хевсурети: Анатори, Лашари и Хахмати молились и горские чеченцы. Старцы-старшины ущелий в культовых текстах молельни Хахмати и Анатори и в наше время упоминают как «молельню верующих и неверующих».

Веру в святых покровителей сохранили частично и вайнахи, переселенные в Панкиси. Представители некоторых фамилий панкисских кистинцев, как правило, поднимались в горную Чечню, свою изначальную родину, и поклонялись своим святым в молельнях. Они молились также в христианских молельнях *нишах*, привезенных из горной Чечни.

Из текстов устного народного творчества выясняется, что несмотря на распространение магометанской религии, вера и служение святым покровителям все равно оставалась значительной частью традиционного быта вайнахов. Вера и служение святым покровителям свидетельствовали о взаимоотношениях грузинских горцев и вайнахов.

Вера святым покровителям среди вайнахов распространялась от традиционных общин горной Восточной Грузии.

Грузинские исторические хроники являются единственным бесценным источником для изучения прошлого чечено-ингушей, а андрезное творчество грузинских горцев предлагает богатый материал о традиционной бытности вайнахов и их служении святым покровителям.

ტ. მ ა ხ ა უ რ ი (თბილისი)

მონადირის დასჯის ფორმები და მოტივები

კავკასიის ხალხთა მითოსში

კავკასიის მაღალმთიანეთში მცხოვრებმა ხალხებმა საუკუნეების განმავლობაში გამოიმუშავეს მკაცრად განსაზღვრული სამონადირეო წესები, რომლებიც მითოლოგიურ რწმენა-წარმოდგენებთან იყო დაკავშირებული.

კავკასიელებს, მსოფლიოს სხვა ხალხთა მსგავსად, მიაჩნდათ, რომ ნადირს ჰყავდა თავისი პატრონი, რომელიც ქალის ან მამაკაცის სახით წარმოედგინათ. მონადირეს, რასაკვირველია, ურთიერთობა ჰქონდა ნადირთპატრონთან. იღბლიანი, ანუ „ყისმათიანი“ მონადირეები ტრადიციით დადგენილ წესებს იცავდნენ და მათი ცხოვრებაც ტრაგიკული მოვლენებისგან დაზღვეული იყო. ასეთი მონადირეები კი ძალზე ცოტანი იყვნენ. უფრო ხშირად კი მონადირე, როგორც მიწიერი არსება, ვერ იცავდა ტაბუს და ნადირთპატრონის მსხვერპლი ხდებოდა. სწორედ ასეთი მონადირეების ტრაგიკულ ბედზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება წინამდებარე ნაშრომში.

პირველ რიგში უნდა გავარკვიოთ, თუ რა სახის ურთიერთობა ჰქონდა მონადირეს ნადირთპატრონთან.

ქალი ნადირთპატრონი თავისი ჯადოსნური სილამაზით ატყვევებდა მონადირეს და აიძულებდა, რომ მასთან სასიყვარულო ურთიერთობა დაემყარებინა. სამაგიეროდ ნადირთპატრონი უხვად ასაჩუქრებდა ნანადირევით. ნადირთპატრონთან ინტიმური ურთიერთობის ამბავი მონადირეს საიდუმლოდ უნდა შეენახა. დაფარულის გამჟღავნების ან დალატის შემთხვევაში ნადირთპატრონი სასტიკად იძიებდა შურს. ასე დამართა სვან მონადირე ბეთქილს, რომელმაც ქაღალდმერთ დალის მიერ ნაჩუქარი მძივი თავის სატრფოს (გარიანტი: რძაღს) თამარს აჩუქა. დაღმა კლდიდან გადაჩეხა ბეთქილი (სვანური პოეზია : 281).

ქაღალდმერთი დალი არა მარტო დალატის, არამედ თავიდანვე სიყვარულზე უარის თქმის შემთხვევაშიც კი სჯის მონადირეს. გადმოცემით მეფისამ მგელს გამოსტაცა დალის შვილი. დაღმა შეუთვალა: „თუ უნდა, ცოლად წამიყვანოს, ანდა წიფობის თვეში ცხრა ჯიხვს მივცემო, ან დღეში თითო ერსკენს (პატარა თხაა)“. მონადირემ სამივე საჩუქარზე უარი თქვა: „რაც სიკეთე გამოიკეთე, უკან ნუ დამიბრუნებო“, – შეუთვალა და-

ღმა და მინდორში ჯიხვების ჯოგი დაახვედრა. მეფისამ ოქროსრქიანი ჯიხვი მოკლა (ჯიხვს მარჯვენა ბეჭზე მზე ჰქონდა, მარცხენაზე – მთვარე). „უცებ მინდორი კლდედ იქცა. მონადირე ამ კლდიდან გადაიჩეხა და მოკვდა“ (ცანავა 1992 : 80).

სხვა ვარიანტის მიხედვით, მეფისამ ოქროსრქიან ჯიხვს დაუმიზნა ისარი, ჯიხვის რქამ ისარი აისხლიტა და „მონადირეს შიგ შუბლში შეუბრუნა“ (ცანავა 1992 : 53).

ამ სამი გადმოცემის მიხედვით, ორჯერ კლდიდან გადაიჩეხით ისჯება მონადირე, მესამედ კი საკუთარი ისრის მსხვერპლი ხდება. სამივე შემთხვევაში მონადირის დამღუპველი დალია.

მეგრულ გადმოცემებში დაღს ცვლის ტყაშმაფა. იგი ირმის სახით გამოეცხადა ჯვარში მცხოვრებ მონადირეს და ტყეში შეიტყუა. მათ შორის ინტიმური ურთიერთობა დამყარდა. მონადირეს იღბალი მიეცა. ბოლოს ცოლმა დააცდენინა მონადირეს იღბლიანობის მიზეზი. მონადირეს იღბალი დაეკარგა, მაგრამ ერთ დღეს კვლავ გამოეცხადნენ ირმები და შორს გაიტყუეს. „ის იყო, ყვირას მწვერვალს მიაღწიეს, რომ ერთ-ერთმა ირემმა ადამიანის ხმით შესახსა: შეჩერდი, აღარ ისროლო, შენი აღსასრულის დღე დადგა. თქვი, როგორი სიკვდილი გირჩევნიაო“.

მიხვდა მონადირე, ვინც გამოეცხადა ირმის სახით. მოაგონდა თავის დანაშაულიც და იფიქრა: ჩემს მძორს აქ ნადირი შეჭამსო, ხედ ვიქცე, მწყემსები გამოივლიან და დამწვავენო, და ისევ ქვად ქცევა არჩია. მართლაც იმავე წუთს ქვად იქცა მონადირე და მისი ორი ძაღლი“ (ცანავა 1992 : 54).

მაშასადამე, გამოიკვეთა დასჯის სამი ფორმა: 1. კლდიდან გადაიჩეხვა; 2. საკუთარი ისრით სიკვდილი; 3. გაქვავება.

სამონადირეო მითებში უფრო ხშირია კლდიდან გადავარდნის შემთხვევები. კლდიდან ვარდება ქართული ბალადის გმირი ჯარჯი, ივანე ქვაციხისელი და სხვა მრავალი. კლდეზე სამუდამოდ რჩება როშკის ჭიუხებში ასული სინდიურისძე. გადაიჩეხვა და კლდეზე დარჩენა ერთი და იგივე სასჯელია.

კლდიდან გადმოვარდა ყარაჩაულ-ბალყარული ბალადის პერსონაჟი ბინოგერი, რომელსაც აფსათის ასული სამფეხა ირმის სახით მოეჩვენა და მონადირე დაწყევლა:

„აქედან ცოცხალი ნუმც დაბრუნებულხარ,
რაკი არ მაძღვე მოსვენებას,
ჭამდი და სვამდი, ვერ გაძეხი შენ ჩვენი ხორციო“.
(ყარაჩაული : 12).

არსებობს მონადირის დასჯის სხვა ფორმებიც. ჩვენებს სწამთ, რომ „თუ მონადირემ სამოცდასამი ნადირი მოკლა და თოფის კონდახი არ დაწვა, ნადირთმფარველები თავიანთი ფოლადის მკერდით ორ ნაწილად აპობენ მონადირეს“ (ჩენჭური ფოლკლორი : 71).

მსგავსი შეხედულება არსებობს ინგუშებშიც. ერთმა მოხერხებულმა მონადირემ აღმასის (ტყის კაცის) მოსატყუებლად ხის კუნძს ნაბადი შემოახვია, თვითონ კი მაღალ ხეზე აძვრა და დაელოდა. ხევიდან ამოსულ აღმასს ნაბადში შესვეული კუნძი მძინარე მონადირე ეგონა, დაეძგერა ფოლადის მკერდზე ცულისებრი წანაზარდით და კუნძში ჩაერჭო. მონადირემ კი თოფი დაახალა და სასიკვდილოდ დაჭრა (ინგუშური ფოლკლორი : 47).

მონადირის დასჯის ფორმებია აგრეთვე ჭკუიდან შეშლა, შვილის სიკვდილი ან ოჯახის ამოწყვეტა. ამიტომ ამბობენ: „მონადირის ოჯახს ბოლო არა აქვს“.

მამაკაცის სახით წარმოდგენილი ნადირთპატრონი ძმად ეფიცება მონადირეს. მონადირე სულს აძლევს ოჩოპინტრეს (ქართული გადმოცემები), ხოლო ეს უკანასკნელი ნადირობაში უმართავს ხელს. თუ ძმადგაფიცვის საიდუმლო გამჟღავნდა, ნადირთპატრონი კლდიდან გადაჩეხავს მონადირეს.

მეგრული გადმოცემების მიხედვით, გვაძი შელიას გამოეცხადა პირტიტველა ბიჭი, მესეფების სასახლეში წაიყვანა, თან გააფრთხილა: „ეს ამბავი (რაც შეგემთხვა), არ თქვა, თორემ მოკვდებო“. „ეს ამბავი გვაძის სიბერემდე არ უთქვამსო. ბოლოს თქვა და იმავე წუთს მოკვდაო“ (ცანავა 1992 : 86).

სიყვარულის, ძმადნაფიცობისა თუ სხვა საიდუმლოს გამჟღავნების გარდა მონადირის დაღუპვის მიზეზი შეიძლება გახდეს წმინდა ნადირის (ირმის, შვილის, ჯიხვის, არჩვის) განუზომელი რაოდენობით ხოცვა ან ჩვეულებრივი ნადირის მოკვლა წმინდა ადგილას (ეკლესიის ან ჯვარ-ხატის ტერიტორიაზე), აგრეთვე ნადირობის წინ შესასრულებელი რიტუალების უგულებელყოფა.

კავკასიის მთიელებში სამონადირეო წესებისა და მათთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერი სიუჟეტების დიდი მსგავსება შეინიშნება. ეს მსგავსება კი ამ ხალხების მრავალსაუკუნოვანმა მეზობლურმა ურთიერთობამ განაპირობა.

ლიტერატურა

ინგუშური ფოლკლორი: ინგუშური ფოლკლორი, „კავკასიური სახლის“ გამოცემა, თბილისი, 2001;

სვანური პოეზია: სვანური პოეზია, I, სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, მ. გუჯეჯიანმა, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, თბილისი, 1939;

ყარაჩაული: ყარაჩაულ-ბალყარული ფოლკლორი, „კავკასიური სახლის“ გამოცემა, თბილისი, 1995;

ჩეჩნური ფოლკლორი: ჩეჩნური ფოლკლორი, „კავკასიური სახლის“ გამოცემა, თბილისი, 1996;

ცანავა 1992: აპოლონ ცანავა, ქართული მითოლოგია, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1992.

T. M a k h a u r i (Tbilisi)

**The forms and reasons for punishing a hunter in the
mythos of the Caucasian peoples**

For centuries, the dwellers of the high mountains of the Caucasus have cultivated clearly defined habits associated with mythological beliefs and imaginations.

The Caucasians, like other peoples of the world, thought that wild animals had their masters, either a man, or a woman as they had imagined, and a hunter certainly should have had some relations with the animal master. Lucky or 'fortunate' hunters used to observe the rules established by traditions and thus, their lives were insured against tragic events. Such hunters were very few in number. More commonly, a hunter, as an earthly being, failed to observe the taboo and fell victim to the animal master. We are going to concentrate on the tragic fates of such hunters in our work.

First of all, we have to find out the kind of relationship a hunter had with an animal master.

A female animal master, with her magic beauty, won a hunter's heart and made him establish liaison with her, generously favoring him with the game in return. The hunter had to keep the story of his intimacy with an animal master in secret. If the hunter revealed the secret or was unfaithful to the animal master, the latter would have revenged the hunter severely. This happened to a Svan hunter Betkil, who presented the beads given by goddess Dali to Tamar, his beloved (sister-in-law, according to some sources). Dali threw Betkil over the cliff (Svan poetry : 281).

The goddess Dali punishes a hunter not for his unfaithfulness only, but also for ignoring her love. As they say, Mepisa took away Dali's child from the wolf. Dali let him know: 'If he wants, he can marry me, or I will give him nine Caucasian goats in the month of October or one small goat every day.' The hunter refused every present of Dali. 'What I have done to you, don't give it back to me!' – notified Dali to him and had a herd of Caucasian goats in the field for him. Mepisa killed one goat (the goat had a sun on its right rib and a moon on its left rib). 'Suddenly, the field turned into the rock, the hunter was thrown over the rock and died.' (Tsanava, 1992 : 80).

Another variant suggests that Mepisa took aim of a golden-antler Caucasian goat with his bow. The goat's antler rebounded the arrow 'returning it to the hunter in his forehead.' (Tsanava 1992 : 53).

According to these three legends, a hunter is punished by falling off the rock in two cases and by becoming a victim of his own arrow in the third case. In all three cases, the killer of the hunter is Dali.

In Megrelian legends, Dali is substituted for Tkashmapa. She appeared to the hunter living in *jvari* (*earthly place of worship of a deity*) as a deer and decoyed him into the forest. Intimacy was established between her and the hunter. The hunter was given luck. At last, his wife was sly enough to make him betray the secret of his luckiness. The hunter lost his luck, but one day, the deer appeared to him and decoyed him far away. 'As soon as he reached Kvira peak, one of the deer called him in a human voice: 'Stop and don't shoot! This is the day of your death. Say what your choice of death is!'

The hunter realized who the deer was. He recalled his fault and thought – if I die here, my dead body will be eaten by wild animals; if I turn into a tree, shepherds will walk nearby and burn me down. So, it's better to become a stone. 'In a minute, he and his two dogs turned into stones.' (Tsanava, 1992 : 54).

So, there can be three forms of punishment identified: (1) falling off the cliff; (2) death with one's own arrow and (3) turning to stone.

The cases of falling off the rock are more common in the hunting myths. A hero of a Georgian ballad Jarji also falls off the rock. The same happens to Ivane Kvatsikheli and many others. Asuli Sindiurisdze forever stays on the rock, in Roshki ridges. Falling off the rock and staying in rocks is the same form of punishment.

Biinoger, a character of Karacha-Balkar ballad fell off the rock when the daughter of Apsati appeared to him as a three-legged deer cursing the hunter:

'Let you not come out alive from here,
As you do not leave me alone,
You ate and drank, but you were never satisfied with our meat.'
(Karacha : 12).

There are also other forms to punish a hunter. The Chechens believe that if a hunter kills sixty-three beats without burning his butt, the animal masters tear the hunter with their steel breast into two' (Chechen folklore : 71).

A similar opinion is spread among the Ingushes. One dexterous hunter, aiming at decoying Almaz (a forest man) turned a felt cloak around a log, climbed up the tree and waited. Almaz, who came from the ravine took the log for a sleeping hunter, attacked it with an axe-like prominence on his steel breast and got stuck in the log. The hunter shot at him with his gun wounding him lethally (Ingush folklore : 47).

The forms of punishing a hunter are also going crazy, death of a hunter's child or dying out of his whole family. So, they say, 'A hunter's family is endless.'

A male animal master fraternizes with a hunter. The hunter gives his soul to Ocho-pintre (according to Georgian legends), and the latter helps him in hunting. If the secret of fraternization is revealed, the animal master will throw the hunter over the cliff.

According to Megrelian legends, a beardless youth appeared to Gvadzi Shelia, took him to the palace of Mesepebi and warned him: 'Never tell anyone your story (the one happened to you with me); otherwise, you will die.' 'Gvadzi never told his story to anyone until his old age. As soon as he told it, he died.' (Tsanava 1992 : 86).

Besides love, fraternization or secret betrayal, the reason for a hunter's death may become endless killing of sacred animals (deer, roe, Caucasian goat, chamois) or

killing an ordinary animal on a sacred place (on the territory of a church or *khati* (*chapel, place of worship*)) as well as ignoring the rituals before hunting.

The hunting habits and folk stories associated with them of the dwellers of the Caucasian mountains show great similarity what is the result of centuries-old neighboring relationship between these peoples.

Reference

Ingush folklore: Ingush folklore, edition of „Caucasian House“, Tbilisi, 2001.

Svan poetry: Svan poetry, I. The songs were collected and translated into Georgian by A. Shanidze, V. Topuria, M. Gujejiani. Publishing House of the Georgian Branch of the Academy of Sciences of the USSR, Tbilisi, 1939.

Karachai: Karachai-Balkar folklore, edition of „Caucasian House“, Tbilisi, 1995.

Chechen folklore: Chechen folklore, edition of `Caucasian House~, Tbilisi, 1996.

Tsanava 1992: Apolon Tsanava, Georgian mythology, edition of 'Merani', Tbilisi, 1992.

Т. М а х а у р и (Тбилиси)

Формы и мотивы наказания охотника в мифологии кавказских народов

Р е з ю м е

Народы высокогорного Кавказа на протяжении веков выработали строго определенные правила, которые были связаны с мифологическими представлениями и верой. Властелина зверей кавказцы представляли в женском или мужском облике. Охотник, конечно, общался с властелином зверей.

Властительница зверей предлагала охотнику интимную связь и щедро одаривала его добычей. Охотнику подобало держать такой случай в тайне. Ежели охотник разглашал тайну или изменял в любви властительнице зверей, она его строго наказывала: сбрасывала со скалы, делала жертвой его же собственного оружия, сводила с ума или окаменяла.

Властитель зверей в мужском образе братался с охотником. Охотник отдавал ему свою душу, а тот помогал ему во время охоты. Если охотник не сохранял тайну их братания, властитель зверей сбрасывал его со скалы.

Формой наказания охотника могла быть также смерть его ребёнка или истребление всей семьи.

Причиной наказания охотника могло стать убийство большого количества священных зверей (оленья, козули, тура) или обычное убийство зверей в святом месте (например, вблизи церкви).

ლ. მინაშვილი (თბილისი)

**კავკასიის ეპოპეის დიდი ქართველი
მხატვარი-მემატიანე**

„არასდროს არ დაბადებულა უფრო მხურვალე წყურვილი ქალწულებრივი წმინდა ჰაერისა, უმწიკვლო მყინვარის თოვლზე უფრო სუფთა ჰაერის, სითეთრე, ბრწყინვალე სილაჟვარდის წყურვილი, როგორც იბადება ყაზბეგის ნაწერების წაკითხვის შემდეგ“, – ასეთია ყაზბეგის თხზულებების ზემოქმედების ძალა გამორჩეული მკითხველის, გენიალური გალაკტიონის სულზე. რამდენ მკითხველს დაუფლებია და მომავალშიც დაეუფლება აღტაცების სიხარული, თრთოლა, მოგვრილი ალ. ყაზბეგის მოთხრობებით და რომანებით...

მაინც რაში მდგომარეობს ალ. ყაზბეგის როგორც მწერლის დამსახურება ლიტერატურის წინაშე, რა ახალი თემები უკავშირდება მის სახელს, ან რა ახლებური მიდგომა გამოავლინა მან ჩვენს ლიტერატურაში ადრე განსახიერებელი თემების მიმართ, რა გამოარჩევს ალ. ყაზბეგის მიერ განსახიერებულ პერსონაჟებს. ეს და ამ ტიპის კითხვები იმთავითვე დაისმის ლიტერატურის ისტორიკოსის წინაშე; წარმოდგენილი სტატია ცხოვრებით ამ კითხვაზე პასუხის გაცემის ცდას წარმოადგენს.

ალ. ყაზბეგის ლიტერატურული მოღვაწეობა მცირე დროით მონაკვეთშია გაშლილი (სულ 5 წელი), მაგრამ აღბეჭდილია პროდუქტიული სიუხვით და ჟანრობრივ-თემატიკური ნაირფერობით. იგი წერდა ლექსებსაც, დრამებსაც, ლიტერატურული და ეთნოგრაფიული ხასიათის ნაშრომებსაც, მაგრამ მისი ნამდვილი მწერლური დიდება პროზაულ თხზულებებთან-მოთხრობებსა და რომანებთან არის დაკავშირებული.

ალ. ყაზბეგის სახელს ჩვენს მწერლობაში, პირველ ყოვლისა, უკავშირდება ერთი დიდი თემა-მთის თემა. დიდ ვაჟასთან ერთად სწორედ მან შემოიტანა ჩვენს ლიტერატურაში ეს თემა-გაგაცნო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის (კერძოდ ხევის, მთიულეთის) ცხოვრება. მთას მოუპოვა ჩვენს მწერლობაში მოქალაქეობრივი უფლება. ამით ალ. ყაზბეგმა კიდევ უფრო გააფართოვა ქართველი მკითხველის ლიტერატურული წარმოდგენები თავის სამშობლოზე, კიდევ უფრო გააღრმავა, გააშინაარსა და გაამრავალფერა. ეს არის ალ. ყაზბეგის ერთი უპირველესი

დამსახურება. ჩვენ მწერლის თვალთ შვეხედეთ მთას. ამ თვალთ დანახული სინამდვილე კი უადრესად ძვირფასი, მომხიბვლელი აღმოჩნდა, რამდენადაც აქ, ყაზბეგის თხზულებებში, ყველაფერს მწერლის სიყვარული მოსდებია—თვალუწვდენელ მთებსაც და მქუხარე მდინარეებსაც, ლურჯთვალა ცასა და მწვანე ბაღახით ახასხასებულ მინდვრებს, ძლიერი, გაუტყეხელი სულის ადამიანებს. ნაწარმოებთა საერთო ქარგაში ჩაქსოვილი ნაირნაირი ზნე-ჩვეულებები, ადათ-ტრადიციები, წარმოდგენები ამ მხარის მკვიდრთა მაღალ სულს გვაცნობს და თავმოწონების გრძობას გვიჩვენს. აღ. ყაზბეგის შემოქმედების უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ამ კუთხეების დახატვის თვალსაზრისით ისაა, რომ მწერალმა ჩვენი მთის ყოფა მტკიცედ დაუკავშირა ქართველთა საერთო ყოფას, ჩვენი ხალხის საერთო იდეალებს. აღ. ყაზბეგის შემოქმედებამ თვალნათლივ ცხადყო, რომ მთაც საერთო ქართული ინტერესებით ცხოვრობდა, საერთო ქართული დარდითა და იმედით. ეს კი იმასაც ნიშნავდა, რომ ძალიან დიდია აღ. ყაზბეგის შემოქმედების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა ქართველი ხალხის ეროვნული ერთიანობის ჩვენების თვალსაზრისით.

რამდენადაც ჩვენი მთის კუთხეებს, საზოგადოდ საქართველოს მტერ-მოყვრული ურთიერთობა ჰქონდა მეზობელი მთის ხალხებთან, ამდენად აღ. ყაზბეგის შემოქმედებაში ასახვა ჰპოვა მათმა ყოფა-ცხოვრებამ, ადათ-ტრადიციებმა, წარმოდგენებმა, ამ ხალხების წარმომადგენლებიც თვალსაჩინოდ წარმოჩნდნენ ჩვენს მწერალთან. ამ მხრივაც განუზომელია აღ. ყაზბეგის დამსახურება. რაც უადრესად მნიშვნელოვანია, აღ. ყაზბეგმა ჩვენი წარმოდგენები ნაციონალისტური იერით კი არ შედეგა, ვიწრო ღობე კი არ შემოავლო ჩვენს გრძობებს ქართველის განდიდებისა სხვა ერის წარმომადგენელთა დაკნინების ხარჯზე, არამედ უადრესად ფართო თვალთახედვით დაგვანახა სამყარო, ქართველი ქალებისა და ვაჟკაცების გვერდით დაიხატნენ მაღალი სულის, ვაჟკაცური ბუნების, ღირსებით სავსე, ერთგულებისა და თავგანწირვისათვის მზადმყოფი უცხოტომელები-ჩერქეზები თუ ჩეჩნები... ელგუჯა და ელბერდი, იაგო და ფარჩო, ბეკია და სულთი, ნუნუ და მზალო, მაყვალა და ჯაჯალა... მართალია სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლები არიან, მაგრამ საერთო მაინც ისაა, რომ დიდი მწერლის გამგები, სიყვარულით სავსე ხედვითაა წარმოდგენილი. ქართველი მკითხველი ისევე განიცდის უცხოტომელთა ბედს, ისევე მოწიწების და სიყვარულის გრძობით ენთება, როგორც ქართველი ვაჟკაცებისა და ქალების ბედით და საქციელთ. ეს ნიშანი აღ. ყაზბეგის შემოქმედებისა საერთოა დიდი ლიტერატურული ტრადიციების მწერლობისათვის. ამგვარი მიდგომა აკავშირებს აღ. ყაზბეგს შოთა რუსთველის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გენიალური ვაჟას შემოქმედებებთან.

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში ძირითადად ასახულია XIX საუკუნის I ნახევრის მოვლენები. ესაა რუსეთის მიერ საქართველოს, მთელი კავკასიის მთიანეთის დაპყრობის ეპოქა. უნდა სრულიად გარკვევით ითქვას, რომ XIX საუკუნეში ალექსანდრე ყაზბეგი პირველი და ერთადერთი მწერალია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში, რომელთანაც ასახვა პოვა კავკასიის ეპოპეამ, ბრძოლამ თავისუფლებისათვის.

საესებოთ გასაგებია, რომ ამ აზრით ალექსანდრე ყაზბეგს, „ელგუჯას“ ავტორს აყენებენ დიდი რუსი მწერლის „ჰაჯი მურატის“ ავტორის ლევ ტოლსტოის გვერდით, უდარებენ მას, აღნიშნავენ, რომ „ყაზბეგის მოთხრობების ზოგიერთი ადგილები თავისი შეკუმშულობით მოგვაგონებენ ლ. ტოლსტოის „ჰაჯი მურატს“. სახელგანთქანი ქართველი პოეტი ტიციან ტაბიძე იმასაც აღნიშნავს, რომ ალ. ყაზბეგი „ზოგჯერ ბიბლიურ სიმალემდე ადის. ეს მაშინ, როცა იგი აღწერს ჩენების გადასახლებას თურქეთში“ (ტ. ტაბიძე). ლაპარაკია მოთხრობა „ელისოზე“. რუსების ჯარის მიერ მთებიდან გამოდევნილი ჩენები იძულებულნი არიან დატოვონ სამშობლო და გადასახლდნენ მუსულმანურ ქვეყნებში.

მაღალი პოლიტიკური შეგნების ქართველი მწერალი თვალსაჩინოდ გვიხატავს თუ როგორ ახლოს არიან ქართველები და მთის კავკასიელი ხალხები. როგორ არ გამოდის დაბრკოლებად რელიგიური განსხვავება ხალხების დაახლოება-დაკავშირების გზაზე. ალ. ყაზბეგმა უშუალოდ განგვაცდევინა, თუ როგორ იბრძვიან ქართველები და მთის მაჰმადიანი ხალხები ერთმანეთის გვერდიგვერდ დამპყრობელი ძალის წინააღმდეგ. კავკასიის ეპოპის განსახიერებისას ალ. ყაზბეგი სრულიად გარკვეულ პოზიციაზე დგას. იგი გმობს ერთი ერის მიერ, მოძალადის მიერ, მეორე ერის ჩაგვრას, ძალადობას და ძალმომრეობას.

ალ. ყაზბეგის თხზულებებში განსახიერებულია იდეა ეროვნული თავისუფლებისა. იგი დაუცხრომელი დამცველია პატარა ერთა ღირსებისა, მათი თავისუფლებისა. ეს იდეა მთელ მის შემოქმედებას მიჰყვება. ამ მხრივ ალ. ყაზბეგი აგრძელებს იმ ტრადიციებს, რომლებიც მისმა სახელგანთქანმა წინა თაობის მწერლებმა იღია ჭაგჭავაძემ და აკაკი წერეთელმა დაამკვიდრეს ქართულ მწერლობაში.

ალ. ყაზბეგის მიერ განსახიერების ამგვარმა თავისებურებამ გამოიწვევა ქართველი პოეტის, ალ. ყაზბეგის ერთ ერთი პირველი მკითხველის, გრიგოლ ორბელიანის აღტაცება და ჰომეროსთან ასოციაციაც გამოიწვია. „ქართველთ ომბროს არსო“, – აღტაცების სტრიქონები მიაწერა მან გაზეთ დროების ფურცელზე, სადაც ყაზბეგის „ელგუჯა“ და „მამის მკვლელი“ იბეჭდებოდა. შემდეგ საგანგებოდ იქნა დახასიათებული ჰომეროსური ქართულ მწერლობაში. ამ თვალსაზრისით ახლა ისაა საყურადღებო, რომ ალ. ყაზბეგის რომანებსა და მოთხრობებში ხშირად არის წარმოდგენილი ისეთი სცენები, რომლებშიც ცალკეული პერსონაჟი კი

არ მოქმედებს, არამედ ხალხის, მებრძოლთა, ადამიანთა დიდი ჯგუფი. ისინი ნაჩვენები არიან საწესჩვეულებო რიტუალთა აღსრულებისას, თავიანთი ხატისა და ბატონის წინაშე დარაზმულნი, შეკრებილნი სამსჯავროდ, ცალკეული პიროვნების ბედის განსასჯელად, საერთო სათემო საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც მათ მშვიდობიან ცხოვრებას, თუ საბრძოლო ვითარების გარკვევას, მამულის დაცვას შეეხება. ასეთი სცენები უხვად არის წარმოდგენილი „ელგუჯაში“ (სვიმონ ჩოფიკაშვილის დატირება, სამზადისი რუსებთან შესაბამელად, სვიმონისა და ელგუჯას გასამართლება), „მამის მკვლელში“, „ხევისბერ გონაში“ და ა. შ.

ამ სცენებში ადათობრივ-ზნეობრივ წეს-ჩვეულებათა აღსრულების ფონზე (ასეთ წეს-ჩვეულებათა და ადათობრივ ტრადიციათა ფართოდ მოწოდებაც ნიშანდობლივია ჩვენი მწერლისათვის) ამ ხალხის, ამ ადამიანთა ერთსულდობაა ხაზგასმული, მათი საერთო ინტერესებით სავსეობა, მათი სიმყარე და გაუტყეხლობა, მათი გამძლეობა, ერთი მიზნით, ერთი სასიცოცხლო აზრით ავსება. ამ საერთო ფონზე არის წარმოდგენილი ცალკეულ გმირთა მოქმედება-ურთიერთობა, თუ მათი სულიერი დრამა. ამგვარი მომენტები ცალკეულ პერსონაჟსა და საერთოდ მთელ ნაწარმოებს გ მ ი რ უ ლ ი შინაარსით ავსებს.

შთაბეჭდილება, რომლის მიხედვითაც ალ. ყაზბეგი მთას მიმართავს, რადგან ამ მხარეს იცნობს, ამ კუთხის შვილია, მწერალს ერთობ ზღუდავს. რასაკვირველია, კონკრეტული კუთხის ასახვა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ალ. ყაზბეგის შემოქმედების პრობლემატიკა შეზღუდულია, მხოლოდ ამ კუთხითაა შემოფარგლული, მასზე ვერ მალდება, არაა საზოგადო, საყოველთაო მნიშვნელობისა. აღნიშნული მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ჩვეულებრივ ჭეშმარიტად დიდ მხატვრულ ნაწარმოებში საზოგადო იდეალები კონკრეტული მასალის ასახვაში მქლავდება. ასეთია ბევრი ძალიან ცნობილი მწერლის და მათ შორის ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაც. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ალ. ყაზბეგის თხზულებები თემატიკურად მხოლოდ მითით, მისი ზნე-ჩვეულებებით და ადათ-ტრადიციებით უნდა ყოფილიყო შემოსაზღვრული, მისი შემოქმედების პრობლემატიკაც მასალას ვერ გასცილდებოდა და მხოლოდ ეთნოგრაფიული ღირებულება აღმოჩნდებოდა; მკითხველის ინტერესიც მათ მიმართ კარგა ხნით ადრე შენეულდებოდა, ახლა მარტო წარსულის და კერძოდ ამ მხარის წარსულის, მისი ადათ-ტრადიციების, ცხოვრების წესის გაცნობის სურვილით-და იქნებოდა ნაკარნახევი, რაც ძალიან მცირე საფუძველი აღმოჩნდებოდა უკვდავებისათვის, რასაც ალ. ყაზბეგის შემოქმედება ეზიარა.

მართალია, ალ. ყაზბეგი მთის მასალას ასახავს, მას განიხილავს, მაგრამ არა ვიწრო თვალსაზრისით. მწერალი ახალი თვალსაზრისით იაზრებს ამ მასალას, ახალ სიმაღლეზე აჰყავს, უფრო სწორად მთა ამოსავალია, რათა ზოგადეროვნული და ზოგადსაკაცობრიო საკითხები და-

ყენოს. მართალია, მთიელები, ქართველები თუ მეზობელ ხალხთა წარმომადგენლებია მისი თხზულებების პერსონაჟები, მაგრამ ისინი საერთო ეროვნულ თვისებებს, საერთოდ ადამიანურ გრძნობებს ატარებენ. ამიტომაც მათი გულის ყოველი მოძრაობა, მათი სატკივარი, მისწრაფებები ჩვენთვისაც მახლობელი და გასაგები, ამიტომ ვუთანაგრძნობთ, ან არა მათ, განვიცდით მათ ბედს.

როგორც ითქვა, ალ. ყაზბეგი ილია ჭავჭავაძის რეალისტური სკოლის სახელოვანი ტრადიციების გამგრძელებელია და ამ აზრით, ღირსეული მემკვიდრეც, მაგრამ თქმული იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ იგი ილიას იმეორებდეს. ალ. ყაზბეგმა ახლებური მიდგომა გამოამჟღავნა სინამდვილისადმი და ინდივიდუალური სახით წარმოდგა ქართულ მწერლობაში. ილია ჭავჭავაძისათვის ის იყო დამახასიათებელი, რომ მის შემოქმედებას წარმართავდა მკაფიო თვალსაზრისი, უფრო სწორად ვიდრე თხზულების წერას შეუდგებოდა, მას გარკვეული აზრი, იდეა ამოძრავებდა, რომლის შესაბამისად ირჩევდა იგი მასალას. ილიასათვის მნიშვნელოვანი იყო ესა თუ ის პრობლემა, ესა თუ ის იდეა, რომლის მხატვრულ ჩვენებას ემსახურებოდა თხზულების სიუჟეტიც, პერსონაჟიც და გამოსახვის საშუალებებიც. შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ აქ ნაწარმოებში ბატონობს ერთი გარკვეული თემა, რომელიც იქვემდებარებს ყველაფერს დანარჩენს. ილია ჭავჭავაძის პერსონაჟები არსებითად მიმთითებენ არიან გარკვეულ თემაზე, იდეაზე, ერთგვარ რუპორებს წარმოადგენენ გარკვეული იდეისა, ასეთები არიან ლელთ ღუნიაც, „იამშიიცი“, რუსი ოფიცერიც, გიორგიც, არჩილიც, კესოც... როგორც ცნობილია, ასეთია ილია ჭავჭავაძის განსახიერების გზა და მას სხვა არაფერი შეიძლება ეწოდოს, თუ არ სინამდვილის განსახიერების ინტელექტუალური ბირებულისა. სხვაგვარია სინამდვილისადმი მხატვრული მიდგომა ალ. ყაზბეგის ნაწარმოებებში. წინასწარ შემუშავებული აზრი, იდეა კი არა, თვით სინამდვილის განსახიერებაა მისი მთავარი მოთხოვნა. სწორედ სინამდვილის განსახიერების პროცესში იბადება მხატვრული აზრიც. ცხადია პოეტნიკაში მოცემული მიზანსწრაფვა ალ. ყაზბეგის შემთხვევაში არსებობს, მაგრამ იგი არაა საფუძვლით გაცნობიერებული, შეგნებული და ჩამოყალიბებული გარკვეული იდეის სახით. რაც შეიძლება ცხოვრებასთან ახლოს – ასეთია ალ. ყაზბეგის, ისევე როგორც ბევრი სხვა დიდი ხელოვანის მწერლური დევიზი. ალ. ყაზბეგის, როგორც მწერლის ყურადღების ცენტრში უშუალოდ ცხოვრება, უშუალოდ ადამიანები დგანან. პერსონაჟის სულიერი რაგვარობა, მისი ბედი არის აქ მკითხველის უშუალო ინტერესის საგანი. სწორედ ადამიანთან, მის ბედთან არის დაკავშირებული ეროვნულ-პოლიტიკური და სოციალური მომენტები. ალ. ყაზბეგის შემოქმედებაში ეროვნულ-პოლიტიკური გრძნობები დახატულია სხვა გრძნობათა გვერდით, მათთან ურთიერთობაში, მათთან ტოლფასად, თავისთავადი ღირებულების წარმოჩენით. ეს კი იმასაც გულისხმობს, რომ მისი ნა-

წარმოებები ხასიათდებიან მრავალთემიანობით, ერთსა და იმავე ნაწარმოებში ერთმანეთის გვერდით სხვადასხვა თემები იჩენენ თავს და ყველაფერი ეს ადამიანის სულიერი სამყაროს სიღრმეების ჩვენების გზით არის გაშლილი.

აღ. ყაზბეგის გამოჩენა ჩვენს მწერლობაში დაემთხვა ხალხოსან მწერალთა მოღვაწეობას. საზოგადოდ ცნობილია, რომ ხალხოსან მწერალთა ნაწარმოებებში წარმოდგენილი პერსონაჟები, მიუხედავად დიდი სოციალური ღირებულებისა, სულიერი თვალსაზრისით ერთობ გაღარიბებულად წარმოდგენენ მკითხველის წინაშე; ისინი ფაქტობრივად მოცულნი არიან ერთი საზრუნავით, ერთი ინტერესით, მატერიალური საზრუნავით, მათი ინტერესები ყოველდღიურ ყოფით საზრუნავს ვერ სცილდება. ცრუმორწმუნეობით დამძიმებულნი, ყველასაგან შევიწროვებულნი თუ მოტყუებულნი ამიტომაც თითქმის ვერავითარ სულიერ ინტერესებს ვეღარ ამჟღავნებენ. აღ. ყაზბეგმა მიუღებლად ჩათვალა ასეთი მიდგომა. მან ხალხის სულიერ შესაძლებლობათა ძიება დაიწყო და მეტად მრავალფეროვანი სამყარო აღმოაჩინა. პირველ ყოვლისა, იგი სწორედ ადამიანთა სულიერი მხარის დახატვითაა დაინტერესებული. მართალია ეკონომიკურად სრულიადაც არ უღხინთ აღ. ყაზბეგის გმირებს, მაგრამ ჩვენ ამას ვერ ვგრძნობთ, რამდენადაც ისინი არ გახაზავენ თავიანთ სიღუბჭირეს, ეკონომიკურ მოთხოვნებზე მაღლა დგებიან. მათი ფიქრის, ზრუნვის, ტკივილის საგანი გაფაჩიხებული სულიერი შინაარსის ურთიერთობებია. ამისთვის ისინი უყოყმანოდ თავსაც კი გასწირავენ, ფიზიკურ არსებობაზე იტყვიან უარს, თუ ეს საჭირო გახდა.

აღ. ყაზბეგის თხზულებებში ადამიანის ცოცხალი გრძნობებია ქცეული ანალიზის საგნად. ეს გრძნობები კი უდიდესი სირთულით და ნაირფერობით ხასიათდებიან. მართალია, გარეგნულად მარტივად გამოიყურება იმ ხალხის ცხოვრება, ვისი გაცნობაც მკითხველისათვის აღ. ყაზბეგს განუზრახავს, მაგრამ შინაგანად ერთობ რთული და მრავალფეროვანი აღმოჩნდა იგი და ეს დაგვანახა ჩვენმა მწერალმა. ეს შინაგანი სირთულე ხალხის სულიერი ცხოვრების სიმდიდრეს და სავსეობას მოწმობს. აღ. ყაზბეგი ადამიანის სულის სიღრმეებს წვდება და მათ ჩვენთვისაც საჩინოს ხდის. აღ. ყაზბეგი ადამიანის სულის რხევას და დინებას მის დაუნაწევრებელ მთლიანობაში წვდა და შეძლო ასეთად მისი გადმოცემა.

აღ. ყაზბეგმა ჩვენს ლიტერატურაში აქამდე არნახული მხატვრული ძალით გვიჩვენა ცოცხალ გრძნობათა სირთულე, მათი წინააღმდეგობრივი ხასიათი, ანუ როგორც ამბობენ, ამბივალენტურობა. მწერალმა დაგვანახა, რომ ჩვეულებრივ ცხოვრებაში გრძნობები არ არსებობენ სუფთა სახით, აუმიღვრეველნი და შეურყვნელნი. ადამიანის გული ხშირად ხდება ასპარეზი ნაირნაირი შეფერილობის გრძნობათა ჭიდილისა. პირველნი და სოციალური, ღრმად ინტიმური და საზოგადოებრივი ერთმანეთში არიან გადახლართულნი და ადამიანის სულიერ დრამას აპირობებენ. მწერა-

ლი ხშირად ხატავს იმგვარ ვითარებას, როცა ადამიანმა კარგად იცის, რომ რასაც იგი სწადის, ეწინააღმდეგება მისსავე რწმენას თუ საზოგადოებრივ მორალს, მაგრამ მას არ შეუძლია, ძალა არ შესწევს სხვაგვარად მოიქცეს.

აღ. ყაზბეგი ხატავდა ზნეობრივად როგორც ღირსეულ, ასევე უღირს პერსონაჟებს, სულმდაბალ ადამიანებს, რომელთაც ქვენა ზრახვები, ნათელისა და ღამაზის შემღახველი ინსტინქტები ამოძრავებთ. ასეთები ქართველებიც არიან და არაქართველებიც. მწერალი მოწინავე თვალსაზრისზე დგას და მაინცადამაინც რომელიმე ერის შეილთა დამახასიათებელ თვისებად არ მიიჩნია სიმახინჯე, ისევე როგორც ღირსება. ამ აზრით სრულიად უსაფუძვლო იყო აღ. ყაზბეგის ნაციონალისტობაზე საუბარი, რასაც ადგილი ჰქონდა XX საუკუნის 20–30–იან წლებში, აღ. ყაზბეგის პოზიცია ეროვნულია თავისი ხასიათით; მწერალი თავისი ხალხის ეროვნული ღირსების დამცველია და არა უსაფუძვლო განმადიდებელი და ეს თვალსაზრისი საერთოდ ერთიანია XIX საუკუნის ქართველი მწერლებისათვის. აღ. ყაზბეგი ადამიანებში მდაბალი ვნებების გაღვივების, საერთოდ მათი გაბატონების უმთავრეს მიზეზს სოციალურ გარემოში ხედავს. იგი გარემოს დებს ბრალს, თუმცა აღნიშნული ადამიანს სრულიად არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან და საზოგადოდ პერსონაჟთა განსახიერებისას აღ. ყაზბეგისათვის ამოსავალია ზნეობრივი სამყარო. სწორედ ამ მხარეს აქცევს იგი განსაკუთრებულ ყურადღებას.

აღ. ყაზბეგის გმირები პირდაპირნი და შეუდრეკელნი, სანდონი და კეთილშობილური ზრახვებით აღსავსენი არიან. აღ. ყაზბეგის გმირებს ერთი რამ გამოარჩევთ და აახლოვებთ ერთმანეთთან. ესაა მკაფიოდ გამოვლენილი გრძნობა პიროვნული ღირსების დაცვისა. ამ მხრივ არავითარი განსხვავება არაა ქართველებსა და მთის კავკასიელი ხალხების წარმომადგენლებს შორის. ისინი ფხიზლად დგანან საკუთარი პიროვნული ღირსების დაცვის სადარაჯოზე. მათი ქცევები და მოქმედებები არსებითად ამ გრძნობაზეა დაფუძნებული. არსებითად იგი მოტორის როლს ასრულებს სხვადასხვა შინაარსის მოქმედების დროს. სრულიად ჩვეულებრივი ადამიანი შეიძლება გმირად იქცეს, როცა საქმე პიროვნულ ღირსებას შეეხება. ეს ნიშანი აღ. ყაზბეგის გმირებს მკითხველისათვის საოცნებო ადამიანებად აქცევს. ჩვენ გვხიბლავენ ისინი, მათგანობა გვენატრება, რამდენადაც შეგნება და დაცვა პიროვნული ღირსებისა ყოველთვის არაა ადვილად მოსახერხებელი. ადამიანი ძალზე ხშირად თვალს ხუჭავს, როცა მის პიროვნულ ღირსებას ეხებიან, უფრო სწორად თვითონვე თელავს მას და თითქმის ყოველი ფეხის ნაბიჯზე.

ამ ნიშნით, პიროვნული ღირსების გამახვილებული შეგნებით აღ. ყაზბეგის გმირებთან სიახლოვეს ამჟღავნებენ ვაჟა-ფშაველას ეპიკურ ქმნილებათა გმირები.

Л. М и н а ш в и л и (Тбилиси)

**Великий грузинский художник-летописец
Кавказской эпопеи**

Р е з ю м е

Александр Казбеги вместе с Важа-Пшавела внес в грузинскую литературу горскую тему. Его творчество ознакомило читателя с бытом, обычаями и традициями грузинских горцев (мохевцев и мтиулов) и соседних горских народов, что еще более расширило и углубило наше представление о Родине и соседях – горцах. Он не возвеличил грузин за счет унижения представителей других наций, напротив, с весьма широким видением показал окружающий мир: рядом с грузинами были изображены отважные, готовые принести себя в жертву, черкесы, чеченцы и лезгины.

Александр Казбеги первый и единственный писатель XIX века не только в Грузии, но и на всем Кавказе, который отобразил грандиозную Кавказскую эпопею. Поэтому часто его упоминают наряду с бессмертным автором "Хаджи-Мурата", Львом Толстым и потому его называли грузинским Гомером (Гр. Орбелиани). Отмечалось также, что иногда Ал. Казбеги достигает высот Библии: например, когда описывает вынужденное выселение чеченцев с их исконных земель и переселение в Турцию – "Элисо" (Т. Табидзе).

Грузинский писатель наглядно изображает, насколько близки к грузинам горские кавказские народы, почему религиозные различия не становятся препятствием на пути сближения и союза народов.

Ал. Казбеги дает нам непосредственно прочувствовать, как борются против захватчиков рядом друг с другом грузины и горцы-мусульмане.

В сочинениях Ал. Казбеги часты сцены, в которых участвует народ, большая группа людей: они показаны при исполнении обрядовых ритуалов, сплоченные перед иконами, решающие общинные вопросы. Подчеркивается их единодушие, наполненность общими интересами, твердость и непоколебимость, стремление к одной цели, единый жизненный интерес. На фоне этого показаны действия, душевная драма отдельного героя. Подобные моменты наполняют г е р о и ч е - с к и м содержанием как отдельный персонаж, так и, вообще, все произведение.

Ал. Казбеги начал поиск духовных возможностей народа, высших человеческих чувств и открыл весьма разнообразный мир, сложность и амбивалентность чувств вольных, непосредственных, на первый взгляд простых по природе представителей гор.

Герои Ал. Казбеги может и живут в нужде, но при чтении его произведений мы этого не чувствуем, поскольку они не подчеркивают этого, стоят выше материальных интересов.

Герои Александра Казбеги, как грузины, так и представители других горских кавказских народов, характеризуются утонченным чувством собственного достоинства. Их поведение и действия часто обусловлены именно этим чувством. Вполне обычный человек может стать героем, когда дело касается защиты собственной чести и достоинства. В сочинениях Ал. Казбеги наглядно показано, что человеческое достоинство не должно быть задето, а то он окажет сопротивление, в свою очередь, сопротивление может переместиться с личных интересов в патриотическую плоскость, если окажется, что достоинство ущемлено чужеземной силой.

С точки зрения чувства собственного достоинства сочинения Ал. Казбеги близки сочинениям гениального Важа-Пшавела.

L. M i n a s h v i l i (Tbilisi)

Great Georgian artist-chronicler of the Caucasus epos

S u m m a r y

Aleksandre Kazbegi is the first and unique writer not only in the Caucasus, but also in the whole Caucasus as depicted the grand Caucasus epos in a high literary style. That is why he is often named beside Lev Tolstoy, the immortal author of „Haji Murat“; partly that is why he was called „Homer of the Georgians“ (Grigol Orbeliani). It was also said that Al. Kazbegi reaches the height of the Bible, for instance, when he describes the compulsory exile of the Chechens from their motherland to Turkey (Short story „Eliso“)(Titsian Tabidze).

The Georgian writer of high political and civil consciousness describes to us the fact how close relation there is between the Georgians and the Caucasian peoples living in mountains, how the religion difference is not a hindrance on the way of bringing these peoples together and in close relation. Al. Kazbegi showed us clearly how the Georgians and the Muslim peoples living in mountains fought side by side against the Russian conquerors.

The acute sense of defending of personal self-dignity is characteristic to the heroes of Aleksandre Kazbegi, both the Georgians and the representatives of other Caucasian peoples. They stand awake on the watch of personal dignity. An ordinary man can become a hero when there stands the question of defending the personal dignity. With this sign the heroes of genius Vazha-Pshavela are close to the characters of Aleksandre Kazbegi.

თ. პ ა ი ჭ ა ძ ე (თბილისი)

**კავკასიელთა ყოფა: ისტორიულ-მხატვრული ფაქტი
ინტერკულტურული რეზონანსისათვის**

1932 წელს გერმანიაში გამოიცა გრიგოლ რობაქიძის „კავკასიური ნოველები“ („Kaukasische Novellen“) ლაიფციგი, ტიუბინგენი. მართალია, წიგნს თავად ავტორი „რომანს“ უწოდებდა, მაგრამ იგი ნოველათა კრებულშია კავკასიის ისტორიის, მითოსისა და ეთნოსის თემაზე. ცნობილი ფაქტია, რომ მწერალმა 1931 წელს დატოვა საქართველო და ამდენად, აღნიშნული კრებული მისი ემიგრანტული შემოქმედების ერთ-ერთ პირველ ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ. როგორც ჩანს, გრიგოლ რობაქიძეს ემიგრაციის პირველივე ხანიდან განსაკუთრებული მიზანი ჰქონდა: ევროპული აუდიტორიისათვის გაეცნო თავისი მშობლიური მხარე და არა მარტო კონკრეტულად ქართული ფენომენი, არამედ საზოგადოდ, კავკასიური რეგიონალური გარემო და ისტორია.

უნდა აღინიშნოს, რომ ამავე პერიოდში, 1932 წელს შეიქმნა რომანი „ჩაკლული სული“, რომელიც შტეფან ცვაიგის ცნობით ამავე წელს იენაში გამოიცა, ხოლო მეორედ „კავკასიური ნოველების“ მსგავსად 1979 წელს დასავლეთ გერმანიაში. ეს რომანი არა მხოლოდ მხატვრული ფაქტია, არამედ ერთგვარად ისტორიული მნიშვნელობის ტექსტია, ერთ-ერთი პირველი მცდელობა ავტორისა, რომ ევროპული საზოგადოების წინაშე წარმოეჩინა საბჭოთა პოლიტიკის ნამდვილი არსი, რეპრესიულ-სადაამსჯელო სისტემების უმძიმესი შედეგებით, დანახული უშუალოდ იმ ადამიანის მიერ, რომელმაც ეს ყოველივე საკუთარ თავზე იწვნია. თავად გრიგოლ რობაქიძის რომანში „მოლექულურად არის განხილული, თუ რა ემართება ადამიანს ბოლშევისტურ არეში, სულ ერთია არის იგი ბოლშევიკი თუ არა ბოლშევიკი. პიროვნების ადგილი, როლი და ფუნქცია სულიერად სრულიად მოუწყობელ და ქაოტურ გარემოში, უმძიმესი ფსიქოლოგიური სტრესითა და სულიერი მეტამორფოზებით აღსავსე ყოფა შემოქმედი ადამიანისა, ფიზიკური და სულიერი რეპრესიების დაუმთავრებელი ჯაჭვი – ამ პროცესების მხატვრული განზოგადებით“ (შტეფან ცვაიგი).

30-იანი წლების დასაწყისში გრიგოლ რობაქიძემ ერთგვარად იწინასწარმეტყველა ის ტრაგიკული მოვლენები და სისხლიანი რეპრესიები, რომლებიც 30-იანი წლების შუახანებში დაატყდა თავს ქართველ ინტე-

ლიგენციას, თუმცა, როგორც ცნობილია, რეპრესიები 20-იანი წლების დასაწყისიდან უკვე ხორციელდებოდა. საბჭოური რეჟიმისაგან იძულებით ემიგრირებული მწერლის პოზიცია ერთგვარი ახსნა-განმარტებაც იყო საზოგადოების წინაშე, თუ რატომ იყო მწერალი ამჟამად ევროპაში და რა იყო –წითელი იდეოლოგიების მიერ ე. წ. „რკინის ფარდით“ იზოლირების ერთ-ერთი მიზეზი დანარჩენი მსოფლიოსაგან. ავტორიტარულ-დიქტატორული რეჟიმის შემოქმედებითი თვალთახედვით რეალურ წარმოჩენას (კულმინაციას რომანში ჩართული თავი „სტალინის პოროსკოპი“ წარმოადგენს) სწორედ ეს მიზანი გააჩნდა. როგორც ავტორი მიაჩნებოდა, ის „მდინარის მესამე ნაპირზე მდგომი“ შემოქმედის პოზიციას აცხადებდა, რომელიც ეპოქალური პოლიტიკური კატაკლიზმებისგან უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილი უძველესი კულტურისა და ტრადიციების მხარის – არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის რეალურ ყოფას აღწერდა, და საბჭოთა ბოლშევიზმის ნამდვილ არსსაც ააშკარავებდა, ამ ყოველივეს „live“-ში მონაწილე პიროვნების პოზიციიდან.

ამ მხატვრულ დოკუმენტური ლიტერატურული ქმნილებისაგან ერთგვარად განსხვავებული მიზანი გააჩნდა „კავკასიურ ნოველებს“.

ისიც აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გრიგოლ რობაქიძე იმთავითვე იმ ქართველ მოაზროვნეთა რიგს მიეკუთნებოდა, რომელნიც საქართველოს მოიაზრებდნენ კავკასიური ეთნოსტორიული ყოფის უცულობელ ნაწილად, ამ დამოკიდებულებას მისი ფსევდონიმიც ადასტურებს: ჯერ კიდევ ემიგრაციაში მ. რ. „Кавказиели“-ის ფსევდონიმით წერდა (რუსული გამოცემა „Портреты №18, უურნ. „АРС“1920). ამგვარ პოზიციას, სტანდარტულს ვერ ვუწოდებთ, რადგან, ვერ ვიტყვით, რომ მწერლის ამგვარ ისტორიულ-კულტურულოგიურ პოზიციას იმ დროს ყველა იზიარებდა. ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია გრიგოლ რობაქიძისავე ლიტერატურული და შემოქმედებითი თანამოაზრების-ქართველ სიმბოლისტთა ჯგუფის, ე. წ. „ცისფერყანწელთა ლიტერატურული კორპორაციის“ წევრების აზრი, რომლებიც უახლეს ქართულ კულტუროლოგიურ პროცესს და ინტელექტუალურ საზრდოს ცალსახად ევროპულ პროცესების წიაღში ეძებდნენ და მის განუყოფელ ნაწილად რაცხდნენ. როგორც ცნობილია, იმდროინდელ ქართველ ემიგრანტთა ძირითადი ნაწილიც მხოლოდ „ევროპისაკენ იყურებოდა“, ეძებდა და ხედავდა რა ქართულ მენტალობასთან საერთო ნივთიერებას ევროპულ კულტურულ-ისტორიულ რეგიონში. „კონცეპტი ჩემი შემოქმედებისა ევროპული და ქართული ერთად... თვითონ ზედაში ქართული ელემენტი უფრო მეტი, ვიდრე ევროპული... ქალწულ ნინოს ჯვარი გამოუჭრია და იგი თავის თმებით შეუხვევია. მითიური წვეთი: უამსა ბედის თავდატეხისა, ვაზის ჯვარს მტევნები გამოუღია, ზედაში ამ მტევნებისა რაინდებს შემოუნახაეთ თასით. თასი „გრაალი“ არის... გრაალი მცველთა ხელშია, წვეთი დიდდება უჩინრად, მოთხრობილი ამბები ღვაგრაია მისი – წერდა გრიგოლ რობაქიძე („სათავენი ჩემი შემოქმედებისა“).

ამდენად, „კავკასიურ ნოველებს“ არა მხოლოდ მხატვრულ-შემოქმედებითი, არამედ ინფორმაციულ-შემეცნებითი დანიშნულებაც გააჩნდათ. მწერლისა და ეთნოგრაფის ფუნქცია აქ ერთთავად იტვირთა ავტორმა. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მისთვის შთაგონების წყაროდ იქცა ხევსურეთის ყოფის ისტორიული და ყოფითი რეალები, პირველი ნოველდა-“ენგანდი“ იმავე წელს „Insel verlag“-ში სხვა სათაურითაც დაიბეჭდა, ასევე დაიბეჭდა „ბედი ქართლისას“ №10 და 11 ნომრებში; ამ ციკლის ნაწილებია ასევე: კავკასიური მენტალობის პერსონიფიცირებული სიმბოლოს-შამილის ცხოვრების ერთი ეპიზოდის ამსახველი ნოველა „იმამ შამილი“; მთის მითოლოგიური არქეტიპის დალის სახის მხატვრული ტრანსფორმაციის ნიმუშები-ნოველები: „ორი ფოთოლი“ (დალის დობილი) და „დიდი დედა“, ხალხური მუსიკალური ტრადიციის ოდა-ნოველა „ლილე“. კავკასიური თემატიკის ამსახველია 1934 წელს გამოცემული რომანიც „დალი“ (ამხანად დაკარგული).

კავკასიურმა ისტორიებმა თავისი მისია მაშინვე შეასრულეს. შტეფან ცვაიგი (1932, 1934, 1938, 1944 წლები „გველის პერანგის“, „კავკასიური ნოველების“ შესავალი), ებერჰარდ კრენმარი (დოიტშე ცუკუნგ 1934), მარსელ ბრიონი („მეგი“-ს შესავალი 1933, 1946), ვილჰელმ შეფერი ((ბედი ქართლისა 1934, 1944), ტასილიო ფონ შეფერი (ბედი ქართლისა №47,1936), ლეოპოლდ ციგლერი (1938), ფრანკ მარაუნ (ბედი ქართლისა 1944), ნიკოს კაზანცაკისი („ტობა-რაბა“, 1962), ჰანს პეშკე (ოფერბრაუნგ დელ ელემენტ“ შურნ. „ექსპერტი“1936), რომენ როლანი, ფრიდრიხ პოენტეში, რუდოლფ კარმანი – ეს არის არასრული სია იმ გამოხმაურებათა ავტორებისა, ვისთვისაც განსაკუთრებით ახლობელი აღმოჩნდა ე. წ. „კავკასიური მისტერიები“.

„შემოქმედების დასაწყისშივე გრიგოლ რობაქიძემ ფანტაზია მთის სამსახურში ჩააყენა: ქართველთა უძველესი სამშობლოს – მესოპოტამიის ველებზე წარმოიშვა მითი იმ დროისა, როცა იქმნებოდა ბიბლია, რომელიც განსაზღვრავდა ხალხთა სულიერ ჰაბიტუსს. გილგამეშის მითი ღეგენდა ღვთაებრივ იშთარზე და ძველ ბაბილონელთა და ასირიელთა მაგიური შელოცვები წარმოადგენენ მის ნაწარმოებთა თავდაპირველ წყაროს“- „სწორედ ეს განასხვავებს მას, კავკასიელს, ყველა თანამედროვე დასავლეთ ევროპელი მწერლისა და მოაზროვნისაგან. დასავლურ ცნობიერებაში გაბატონებულია ინდივიდუალური მომენტი, აღმოსავლეთში კი პირიქით, განაცხადა, რომ ჩვენ განუყოფლად ვართ დაკავშირებული მთლიანობასთან; ამპარტავნობისა და სულიერი გაღარიბების გამო დასავლეთი იქცა ინდივიდუალისტურ მონად. მაშინ როცა აღმოსავლეთი მთელს სამყაროსთან კავშირში ცხოვრობს და მოქმედებს“ „...რობაქიძის სამყარო: – კავკასია მისი ველური ხეობებით და გოლიათური კლდექედებით. ირანის შიშველი მზით გადარუჯული ზეგანი და ძველი კოლხეთის დაბლობი – სივრცეები, რომელზედაც გაისმის მწვემსების სა-

ლამურის განმარტოებული სევედიანი ჰანგები, ცის კიდურები მოოქროვილი მზის ამოსვლით და მეწამული მზის ჩასვლით, სამყარო ჩაფლული უსახდეროებაში და გამსჭვალული სამშობლოს მეტაფიზიკური სეველით, დაუსრულებლობაში შეჭრილი, რობაქიძის ნაწარმოები (ლამარა) სიმართლეს წარმოგვიდგენს უსასრულო სურნელებას რაც შეზრდია ბაბილონურ მითებს იშტარსა და გილგამეშზე“- წერდა რულოფ კარმანი.

„მას წილი უდევს თანამედროვე ცოცხალ ტრადიციაში, რომელიც შემერულ და იქალტურ, ხეთურ და ებრაულ ტრადიციებს წვედება, სადაც ის უკიდურეს ისტორიულ შორეთში თანდათან იბინდება“-წერდა ლეოპოლდ ციგლერი („თქმულებანი“).

„კავკასიურ ნოველებს“ შესავალი სიტყვა დაურთო შტეფან ცვაიგმა, რომელიც წერდა: „ძველი და ახალი მსოფლიო, ჯადოსნური და რეალური სფეროები ერთდებიან ერთ სრულიად მიუხვეველში, ჩვენთვის ახალ განმსჭვალვაში, რომლის გამართლება მხოლოდ მწერლურ, ამ ეპიკური ხელოვნების ხშირად არაჩვეულებრივ პოეზიურობას შეუძლია, მაგრამ როგორი ცეცხლოვანება მოედინება ამ აღწერისაგან“ ...

ნოველებს წინ უძღვოდა თვით ავტორის წინათქმაც, რომელშიც კიდევ უფრო ხაზგასმული და გამძაფრებული იყო ჩვენ მიერ აღნიშნული მწერლისეული პოზიცია – ერთხელ კიდევ გაესვა ხაზი საქართველოს, ქართველის, ქართულის და აქედან გამომდინარე, კავკასიურისა და კავკასიელის ფენომენისათვის. ამ წინასიტყვაში მწერალი მხატვრულ-შემოქმედებით ანტურაჟში წარმოსახავს საქართველოს ისტორიულ-სარწმუნოებრივი წარსულის და მსოფლიო ცივილიზაციის წინაშე მის, სულიერ და კულტურული მისიის არსს, ქაღდურ ძირებს, ზნეობრივ ფასეულობებს და აცხადებს რომ დღეს საბჭოთა ქვეყნის ერთი რესპუბლიკა კვლავაც ინახავს იმ უძველეს ტრადიციებს და სულიერ სიმდიდრეს, რომელიც მას არგუნა არსთაგამრიგემ...

განსაკუთრებული პოპულარობის გამო ნაწილებს „კავკასიური ნოველებიდან“ ავტორი ვენის, ლაიფციგისა და კელნის რადიოგადაცემებშიც კითხულობდა, (როგორც ცნობილია მწერალი აქტიურად თანამშრომლობდა რადიო „თავისუფლებასთან“), ხოლო 1979 წელს დასავლეთ გერმანიაში „კავკასიური ნოველები“ კიდევ ერთხელ გამოიცა, ავტორისეული წინათქმით, რომელშიც კვლავ გაცხადდა პირუთვნელი მიზანი – ევროპას არა მხოლოდ გაეცნო კავკასია, არამედ ეცნო ის, ვითარცა ოაზისი კულტურისა და ტრადიციისა.

პირველი ნოველა „ენგადი“ პირველ პირშია დაწერილი, მთავარი გმირი, გიორგი ვალუევი რუსული საფილმო საზოგადოების შეთავაზებით, როგორც ქართულის კარგი მცოდნე, ხევსურეთის ექსპედიციაში მონაწილეობს. იმთავითვე ჩნდება მწერლის მიზანი სტუმრებს, უცხოელებს (რუსებს), რომლებიც ქართული მთის სოფლების და ტრადიციების გაცნობა სურთ და გაცნობილის სხვებისთვის გაზიარებაც (ფილმის გადა-

დება), მთავარი გმირი ერთგვარად თანმხლებად, კომპანიონად და ექსკურსიამძღოლადაც კი ევლინება, თუმცა თვითონაც პირველად ხდება იქ. გიორგი ვალუევი – როგორც ჩანს ქართველი არ უნდა იყოს, ანუ როგორც ავტორი თავადვე ამბობს, სანახევროდაა ქართველი, მაგრამ მის პიროვნებაში უფრო ქართული იყო, ვიდრე რუსული. „ხევსურეთში მოგზაურობა მისთვის ფაქტიურად ეროვნული წიადის რომანტიკულ საიდუმლოსთან ზიარება გამოდგა მის „რასსიულ“ გენეტიკურ ფესვებთან უნებლიე მიახლოება, შორეული წარსულის ეგზოტიკური ყოფითი სამყაროს მომენტალური გაელვება“.

ხევსურთა ერთ-ერთ მივარდნილ სოფელში ჩასული ვალუევი, რომლისთვისაც ხევსურები „ერთი უსახელო, ძველი, საუკუნეებში გადასული ხალხის“ მხოლოდდა ცოცხალ დანაშთს წარმოადგენენ, ერთბაშად აღმოჩნდა „ცოცხალი მძლეოსანი მითოსის“ სამყაროში და პირადად შეიგრძნო თბილსაშოიანი და ნაყოფმადლიანი“ მიწის „მაგიური ანდამატური ძალა“. პირველივე გზადშეხვედრილი ფარ-ხმლიანი ხევსური, რომელსაც სახეზე „გამომწვარი აგურისფერი“ დაკრავდა, მისი ძმადნაფიცი გახდა. სწორედ ის იქცა ერთგვარ მედიატორადაც გიორგი ვალუევის ცნობიერებაში ხევსურთა სულიერი თუ ყოფითი სამყაროს შესაცნობად.

მწერალი გატაცებით აღწერს ხევსურთა „ეთნოგრაფიულ თავისებურებებს, რელიგიურ რიტუალებს, ადათ-წესებს“ და მათი უშუალო მონაწილეც ხდება. განსაკუთრებული გავლენა იქონია მასზე წაწლობის ტრადიციამ. გიორგი ვალუევემა საკუთარ თავზე გამოსცადა ამ საოცარი ადათის მთელი რომანტიკა. გირგისა და მხეკალას წაწლობა მალე მგზნებარე სიყვარულში გადაიზარდა, მაგრამ უმკაცრესი და შეუვალი ტრადიცია ქალ-ვაჟს ფიზიკური სიახლოვის უფლებას არ აძლევს და ორივენი იძულებულნი ხდებიან დაემორჩილონ მას. ის რაც გიორგი ვალუევისთვის „ძველისძველი რიტუალის დანაშთია“, ხევსურებისთვის ხელშეუხებელი წესია, რომელიც ფაქტიურად ერთმანეთისაგან მიჯნავს სულსა და ხორცს, გრძნობას და ფიზიკურ ურთიერთობას. მთავარი გმირიც საკუთარ სამყაროში აცნობიერებს ხევსურთა შინასამყაროში დაკანონებულ შეგონებას, რომ „სქესი და სიყვარული სხვადასხვა რამაა“, „იწოდებ მხოლოდ ე. ი. იგზნე დვთიურ-წარუვალი ცეცლეულ ზღვარზე გადალახავ ზღვარს – ფუჭად იქცევა გზნება“. – წაწლობის საიდუმლოც აქაა, მისი მიზეზების ძიება მწერალმა სიყვარულის პლატონურ გაგებას დაუკავშირა „აღბათ ხევსურთა ტომი უძველეს დროში ორდენი იყო ერთგვარი, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული ასეთი გზნება და მტკიცება სიყვარულისა“.

ნაწარმოების მთავარი გმირი ხევსურთა პრეისტორიული ადათ-წესების სიდრმისეულმა ფსიქონალიზმა მის აღიარებამდე მიიყვანა. ხევსურთა სახეში იგი ზოგადად მთის, ტრადიციის ერთგულ კაცს განაზოგადებს რომლის „გულისყური უფრო სულისკენ რომაა მიქცეული ვიდრე მატერიალურისკენ]

ამ ციკლის ნაწილია ასევე კავკასიური მენტალობის პერსონიფიცირებული სიმბოლოს შამილის ცხოვრების ერთი ეპიზოდის ამსახველი ნოველა „იმამ შამილი“. აქ მწერალი კავკასიელი ხალხის თავისუფლებისათვის თავგანწირული თვრამეტწლიანი ბრძოლის რამდენიმე სცენას წარმოსახავს. ნოველა შამილის ლეგენდადქცეულ პიროვნულ და ადამიანურ ბუნებას კიდევ ერთხელ ააშკარავებს, მისი უძლიერესი შინაგანი სამყარო, მონოლოთური რწმენა, ტრადიციის და სიტყვის ერთგულება და გამაფრებული პასუხისმგებლობის შეგრძნება საზოგადოების წინაშე – ესეც კავკასიური ფენომენია და მის უმთავრეს ზნეობრივ მიზანსწრაფვად კვლავ ავტორის სურვილი ჩნდება: საზოგადოებას აჩვენოს, რომ ტყვეობაში მყოფი მთიელისათვის, კავკასიელისათვის (გადატანითი, ალეგორიული მნიშვნელობით-სამშობლო)სხვა ტრაველია აღარ არსებობს და არც სხვა საოცნებო და სანატრელი თვინიერი თავისუფლებისა.

მთის მითოლოგიურ არქეტიპის დალის სახის მხატვრულ ტრანსფორმაციას წარმოადგენენ ნოველები: „ორი ფოთოლი, (მეორე სახელწოდება, „დალის დობილი“) და „დიდი დედა“ ეს ნოველები გარკვეულ შემეცნებით ინფორმაციულ ელემენტებს შეიცავს მთის ხალხთა (ამ შემთხვევაში მთიელთა, სვანთა, ფშავთა, ხევსურთა) რიტუალების, სულიერი ღირებულებებისა და შემეცნებითი სამყაროს შესახებ. ხალხური (სვანური) კულტურულ-მუსიკალური ტრადიციის ოდაა ნოველა „ლილე“; კავკასიური მითო-თემატიკის ამსახველია მოგვიანებით, 1934 წელს გამოცემული რომანიც „დალი“ (ამხანად დაკარგული) – როგორც ჩანს, აღნიშნული ნოველები (ორი ფოთოლი, დიდი დედა, ლილე) სწორედ ამ რომანის ადრეული ლიტერატურული ესკიზებია, თვით დალის ფენომენი გრიგოლ რობაქიძის კომენტარით, ქართული მსოფლმხედველობის ე. წ. ქალური თაურის (საწყისის) სახეა.

ევროპისათვის კავკასიის ისტორიულ და სულიერ ფასეულობასთან ზიარებით კი ავტორი იმ ფაქტის წარმონიქნას ცდილობდა, რომ საბჭოური „რკინის ფარდის“ მიღმა „ქალდეას სამშობლოში“ „წარმოუდგენლად სუბსტანციური მსოფლიო სიბრძნე ირეკლებოდა“. XX საუკუნის ოციანი წლებისათვის, მაშინ როცა მსოფლიოს რიგ ქვეყნებში ცივილიზაციის სტერეოტიპულმა და ამბივალენტურმა მდინარებამ წაშალა ტრადიცია და ინდივიდუალიზმი, კავკასიაში ძალაში რჩებოდა და შენახული იყო არაერთი წესი და ტრადიცია არქაული, გნებაუთ, პატრიარქალური ყოფისა, რაც უძველესი კულტურისა და ცივილიზაციის ენაა და მსოფლიო საზოგადოებაც მასთან შეხვედრას უნდა ისწრაფვოდეს.

ლიტერატურა

რობაქიძე 1996 – გრიგოლ რობაქიძე „ჩემთვის სიმართლე ყველაფერი“ კრებული თბილისი.

რობაქიძე, 1998 – გრიგოლ რობაქიძე „გველის პერანგი“, თბილისი.

მითოლოგიური 1972 – მითოლოგიური ლექსიკონი, შედგენილი ნ. გაფრინდაშვილის მიერ, თბილისი.

ნიკოლეიშვილი 2002 – ა.ნიკოლეიშვილი XX საუკუნის ქართული მწერლობა, თბილისი.

Энциклопедия 1962 – Энциклопедия мировой литературы. Москва.

Белый, 1999 – Белый А. «Символизм, как мировоззрение». Москва.

Modernism 1978 – Modernism: A Guide to European Literature 1890-1930 by Malcolm Bradbury and James Mcfarlane.

Т. П а и ч а д з е (Тбилиси)

Кавказское бытие: историко-художественный факт для интеркультурного резонанса

Р е з ю м е

В 1932 году в Германии были изданы «Кавказские новеллы» известного грузинского писателя Григола Робакидзе («Kavkasishe Noveklle», Лейпциг, Тюбинген). Правда, сам автор книгу упоминал романом, но в действительности – это сборник новелл, касающихся мифа и этноса истории Кавказа.

Отмеченный сборник («Кавказские новеллы») является одним из первых итогов эмиграционной деятельности писателя. Видимо, у Григола Робакидзе была особенная цель с первых же дней эмиграции: познакомить европейскую аудиторию со своей родиной, с ее регионом, и не только конкретно с грузинским феноменом, а вообще, регионально-кавказским миром и историей.

Думаем, что этот процесс имел двоякую цель: первое – это описание советского режима с позиций писателя, в данном случае – очевидца всех политических событий, происходящих в 20-30 годы. Надо отметить, что в это же время в 1932-м году вышел роман Григола Робакидзе «Забитый дух», который по справке Штефана Цвейга, в тот же год был издан в Йене, а 1979-м как и «Кавказские новеллы» его напечатали вторично, так как в нем отражался весь спектр репрессивного аппарата и диктаторской политики 30-ых годов. Позиция насильно эмигрировавшего

го из Советского Союза писателя – своеобразное объяснение европейской аудитории, почему он находился в эмиграции и что было причиной изоляции Советского Союза так называемой «железной занавесью» от остального мира.

Знакомя европейского читателя с кавказскими историческими и духовными ценностями, автор старался выявить тот факт, что 20-ые годы прошлого века, когда ряд стран мира был потоплен в обвинительном и стереотипном океане так называемой «новой цивилизацией» за «железную занавесью», на родине Калдей отражалось «непредсказуемо субстанционное мировое знание». На Кавказе осталась и сохранилась не одна традиция, не один ритуал патриархального быта. Это язык, древнейшая культура и цивилизация, к которым и должно стремиться мировое общество.

T. P a i c h a d z e (Tbilisi)

Caucasians life: historical -cultural fact for the intercultural resonance

S u m m a r y

In 1932 in Germany Grigol Robakidze's "Caucasian noveles" ("Kaukasishe Novekken" Leipzig, Tübingen) was published. That is the collected stories relative to Caucasus history, ethnos and mythology. As it known, that the writer in 1931 left Georgia and as much as this noveles are one of the first model of his emigratory creation. As appear, Grigol Robakidze for a start, at first of his emigration had particular object: familiarized oneself with his native land and not merely concrete Georgian phenomenon, but common Caucasian regional environment and history. Herewith, Grigolo Robakidze firstly intend for that Georgians, which considered Georgia to indisputable part of Caucasian ethno-history.

As much as „Caucasian noveles“ had not one artistic-creative but information-cognitive aim and immediately realized his mission in European lecture-hall discovered exceptionally near relation "Caucasian mysteries".

Receive to the animated and historical value for the Europe author expected demonstrate, that 20-years of XX c. when in the greater part of the world flow of the civilization, erased tradition and individualism, in the Caucasus was preserved many order archaic and patriarchal life, what is the language culture and civilization and the world society must had meet with him.

ნ. პოპიაშვილი (თბილისი)

ქალი ნართულ ეპოსში

ნართების ეპოსი ვაჟკაცური, საგმირო თავგადასავლების ეპოპეა. ეს უზარმაზარი ზღაპრულ-მითოლოგიური სამყარო გვხვდება კეთილშობილების, სულგრძელობის, სიკეთისა და სხვა ამაღლებული იდეების გამოსატყულებით. მასში მხატვრულადაა ასახული ნართების წეს-ჩვეულებები: საყოველთაო სათემო წესები, ვაჟკაცობის დაუწერელი კოდექსი – სუსტების გამოსარჩლება, დევ-გმირებთან შერკინება, უფროსუმცროსობის ადათის დაცვა, სტუმრის ღვთის გამოგზავნილად მიხნევა, ღვთაების პატივისცემა და უამრავი ამგვარი, რაც მათ დამცველთა ღირსებაზე და მათ მაღალ ზნეობრივ პრინციპებზე მეტყველებს.

საგანებოდ უნდა შევეხოთ ისეთ თემას, როგორცაა ქალის თავყვანისცემა ნართულ ეპოსში. მართალია, კავკასიელ ხალხთა ფოლკლორში ქალის თავყვანისცემა, მის მიმართ მოწიწება-მოკრძალება საკმაოდ ძლიერადაა წარმონედილი, მაგრამ ისეთი მონუმენტური სახე ქალისა, როგორცაა სათანას სახე ნართულ ეპოსში, ძნელად მოიძებნება სხვაგან. აკად. ვ. აბაევი აღნიშნავს: „ჩვენთვის რომ ეკითხათ, რა არის ნართების ეპოსში ყველაზე შესანიშნავი, დაუფიქრებლად ვუპასუხებდით: სათანას სახე. ქალები ბევრ ეპოსებში ფიგურირებენ, მაგრამ ჩვენ რომელიმე სხვა ეპოსში ამაოდ დავუწყებდით ძებნას ისეთი სიძლიერის, ისეთი მნიშვნელობის, ისეთი გაქანების და ისეთი სიცხოველის ქალის სახეს, როგორიც ნართი სათანაა“¹.

შეიძლება ითქვას, რომ სათანას ციკლი მრავალმხრივ არის გამოჩენილი. ის, რომ ქალი „ღვთის დანაბადია“, აქ პირდაპირ არის გაცხადებული („სათანას დაბადება“). ნართული ეპოსის მიხედვით, იგი ვასთირჯის შვილია. რომ მოიზარდა, იგი „ისეთი ღამაზი და გონიერი ქალი დადგა, რომ მისი სიღამაზე ბნელ ღამეს დღესავით ანათებდა. აზროვნება კი ბასრ დანაზე მახვილი ჰქონდა და ისარზე უფრო მიზანმიმართული“².

სათანა არის დიდებული სახე ოჯახის დიასახლისისა, რომელიც გამოირჩევა ჭკუით, გონიერებით, საზრიანობით. მისი რჩევა ნართებს ყო-

¹ ნართები, ვ. აბაევის წინასიტყვაობა, ცხინვალი, 1988, გვ. 7.

² ნართები, ცხინვალი, 1988, გვ. 57.

ველთვის მოსწონთ. იგი ოჯახის ნამდვილი ბურჯია, მას ბარაქიანი ხელი აქვს, მთელ ნართებს ის აპურებს შიმშილობის დროს. სათანა არამხოლოდ კარგი დიასახლისია, არამედ ნართების ტომისათვის სასიცოცხლო მარაგის დამცველი და სწორად გამნაწილებელიცაა. სათანას როლი ნართების ეპოსში საკმაოდ დამაჯერებელი, საინტერესო და ფართოა.

თუ ნართების ეპოსის წარმოშობა ქრისტიანობამდელ ხანაშია საგულვებელი, სათანას სახის ძიება კიდევ უფრო შორიდან იწყება: „მტკიცება იმისა, რომ სათანას სახე მატრიარქატიდან მოდის – ღია კარის მტვერევას უდრის. მატრიარქატის თვისებები ყველა უძველეს ეპოსში უხვადაა გაფანტული, მაგრამ ისეთი მონუმენტური ქალის ფიგურის არსებობას სწორედ ოსურ ეპოსში, როგორც სათანაა, განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობა აქვს“¹.

საინტერესოა ისიც, რომ სათანა ერთდროულად ლამაზი ქალი, მიჯნური, ჯადოქარი და კარგი დიასახლისია. მას შეუძლია შეძრას დედამიწა, ერთ ღამეში მოიყვანოს შვიდ ზამთარს მოსასვლელი თოვლი, ატეხოს ქარიშხალი, ესაუბროს ფრინველებს, ცხოველებს და, ამავდროულად, იყოს დაუცველი და საბრალო, იქვე კი, საზრიანი და ბრძენი. სათანა ნართების ეპოსის მიხედვით მარადიული ქალია. მისი სახე ეპოსს ბოლომდე მიჰყვება თან. სათანა ეპიზოდურად ჩანს ნართების ყველა ციკლში, იგი ნართების დიასახლისია, მასპინძელი, ოჯახის, ტომის, ხალხის კარგი დედა.

სათანას სახე საკუთარ თავში, საკუთარ მოსაზრებებსა და სურვილებში დამაჯერებლად დარწმუნებული ქალის სახეა. მისი გადაწყვეტილებები კი ის კანონზომიერებებია, რომლებიც გარდაუვლად შესასრულებელია. ნართების ეპოსი მოგვითხრობს, თუ როგორ გახდა სათანა ურუზმაგის ცოლი (სათანა და ურუზმაგი დაძმანი არიან).

სათანას გათხოვების დრო რომ მოვიდა, „ფიქრობდა, არჩევდა და ანგელოზებს შორისაც კი ურუზმაგზე ბრძენი და ძალგულოვანი ვერავინ აღმოაჩინა. და გულში ჩაითქვა: „თუ ურუზმაგი შემირთავს, ხომ კარგი, თუ არა და, სულაც არ გავთხოვდები!“

რა ქნას ახლა სათანამ: თავისი პირით თქმას ვერ უბედავს, სხვისი დახმარებით ჩააგდოს გულისხმაში, არც ეს უნდა. ბოლოს მოიფიქრა: „მოდო, რაც არის, არის. მე თვითონ გავუმხელ“².

ძმის უარის გამო სათანა ეშმაკობას მიმართავს და ურუზმაგის ცოლის გარდაცვალების შემდეგ მისი ცოლი ხდება. და აქედან იწყება მისი, როგორც აქტიური, შეყვარებული, გრძნეული, ბრძენი, ძლიერი ქალის როლიც.

ურუზმაგზე გამიჯნურებული სათანა სხვა დროსაც ხშირად მიმართავს გრძნეულებას იმისათვის, რომ ქმარს კიდევ უფრო შეუყვარდეს, რომ კიდევ უფრო მოხიბლოს თავისი სილამაზით, გონიერებით, საზრიანობით.

¹ ნართები, ვ. აბაევის წინასიტყვაობა, ცხინვალი, 1988, გვ. 8.

² დას. ნაშრომი, გვ. 61.

ნართების ეპოსი გვიამბობს:

„გრძნეულმა სათანამ მოხუცებული ქალის იერსახე მიიღო და ურუზმაგს შესწივლა:

– ურუზმაგ, მე ოჯახის დიასახლისად ვეღარ გამოგადგები. სანამ ცოცხალი გყევარ, სხვა ცოლი შეირთე.

ურუზმაგი უარზე დადგა:

– სათანა, სანამ სული გიდგას, სხვა ცოლის შემრთველი არა ვარ!

სათანამ ქმარს ხელმეორედ დაუწყო შეგონება:

– ურუზმაგ, გამიგონე, მე ვეღარაფერში გამოგადგები და ნართების სამივე გვარში მიმხედავის გარეშე დარჩენილი, დაიღუპები. სანამ ცოცხალი ვარ, გირჩევ, ცოლის შერთვაზე იფიქრო!¹

დაუჯერა ურუზმაგმა ცოლს და ბორათების ასული მოიყვანა ცოლად. სათანამ კვლავ ახალგაზრდული სახე დაიბრუნა. დაინახა ეს ურუზმაგმა და ბორათების ასულს ახლოსაც არ გაჰკარებია.

ასე თამამად და ვნებიანად უყვარს სათანას ქმარი, ასე ცდილობს ყოველთვის თავი მოაწონოს, კიდევ უფრო რომ უყვარდეს. ასეთი სიყვარულის ამბავი ალბათ თანამედროვე ლიტერატურული გმირისათვის თუ იქნებოდა დამახასიათებელი, უძველეს დროში კი, როცა ნართული ეპოსი შეიქმნა, ქალის ამგვარი საქციელი მხოლოდ ქალის მნიშვნელოვან როლზე მიგვანიშნებს.

თქმულებაში: „როგორ ეყრებოდა ურუზმაგი სათანას“, ვკითხულობთ:

„ერთხელ ურუზმაგი თავის ცოლს ძლიერ გაუბრაზდა და უთხრა:

– ღვთის გულისათვის, გამშორდი, წადი შენს სამშობლოში! რაც კი მოგწონს ამ სახლში, წაიღე. თუ რამ ძვირფასი განძი გაგეაჩნია, სულ შენი იყოს, ოღონდ თავი დამანებე, აღარ შემოიძლია!

– ძალიან კარგი, – უთხრა სათანამ, – რაკი მეტი გზა აღარ დამრჩენია, უნდა დაგემორჩილო, კაცო. წავალ, ოღონდ ერთი სათხოვარი მაქვს და ამისრულე. მე ნართების პურ-მარილი მიმიღია, ასევე, ნართებსაც ჩემი ნახელავი უგემიათ. უკანასკნელად წვეულება გამართე და ნართები დამიპატიჟე, პატივისცემის ნიშნად მინდა ნუაზანი მივართვა“².

დაეთანხმა ურუზმაგი და წვეულება გამართა. სათანამ საუცხოო სუფრა გაშალა. ნართები ერთი კვირას უსხდნენ უხვ სუფრას, ბოლოს, როცა ყველა წავიდა, ურუზმაგი დათვრა და დაეძინა.

„სათანამ შეაბა ნაპატივები ხარები ურემში, ჯინში თომი ჩააფინა, გადააფარა ხალიჩა, დააგო ზედ ლეიბი, ჩააწვინა მძინარე ქმარი შიგ და თავის სამშობლოსკენ გაუდგა გზას. სახლიდან სრულებით არაფერი არ წამოუღია.

როცა გაივალ და ბარში ჩავიდნენ, ურუზმაგს გამოეღვიძა. ამ ხანში კიდევაც გამოფხიზლდა. ხედავს, გვერდით სათანა უზის, სახრით ხა-

¹ ნართები, გვ. 64.

² დას. ნაშრომი, გვ. 67.

რებს ერეკება და ბორხენას ფოთლებით ბუზებს უგერიებს.

„ეს რა საოცრებაა, რომ ვერაფერი გამიგია?“ – ფიქრობს ურუზმაგი.

– სად მივდივართ, ქალო? – ჰკითხა კაცმა ქალს.

– ალბათ დაგავიწყდა სახლიდან რომ გამომაგდე, არა? სამშობლოში მივდივარ, – უპასუხა ქალმა.

– კარგი და პატიოსანი, მაგრამ ერთი ეს გამაგებინე, მე სადღა მიგყავარ? – ჰკითხა ურუზმაგმა.

– როცა სამშობლოში მისტუმრებდი, ხომ მითხარი: „თუ რამე ძვირფასი განძი გაგანია, შენი იყოს, წაიღეო“. მე ცხოვრებაში შენზე ძვირფასი და საყვარელი განძი სხვა არა გამანია რა და წამოგიყვანე; სხვა განძისთვის ხელიც არ მიხლია“¹.

ასეთია პასუხი ქალისა, რომელსაც მარად მეუღლის გვერდით უნდა ეგულებოდეს თავი. ქალისა, რომელიც ამ სურვილის გამო ათასგვარ ეშმაკობას მიმართავს, რომ კიდევ უფრო ღამაზად და შეთანხმებულად, მარჯვედ და საზრიანად იდგეს ქმრის გვერდით, რათა მის სიბრძნეში დარწმუნებული მეუღლე ერთგულად ცოლქმრულ უღელს.

ამ თქმულებას ბევრი პარალელი შეიძლება დაექნოს სხვადასხვა ხალხის ფოლკლორულ წყაროებში. „ცხადია, ნებისმიერი ხალხის საზღაპრო ეპოსში ხშირად გვხვდება, ეგრეთ წოდებული, მთარული სიუჟეტები. უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება მსგავსი, კლიშირებული რეაქცია ხალხთა ყოფისა და ყოფიერების ანალოგიურ ან თითქმის ერთნაირ სოციალურ-ისტორიულ პირობებზე. ხალხების ხანგრძლივი და მშვიდობიანი კეთილმეზობლობის პროცესში ხდება ესთეტიკური ღირებულებების ბუნებრივი გაცვლა. მით უმეტეს, კავკასიის ხალხებს შორის, რომლებიც, თითქოსდა ბედის მიერ თავმოყრილი არიან მცირე ტერიტორიაზე იმისათვის, რომ ერთმანეთს გაუწიონ კეთილმეზობლობა და გაუმჟღავნონ კეთილი გრძნობები“².

სათანას სახე, მართლაც შთამბეჭდავია ნართების ეპოსში და ქალის როლის ამდენად გავრცობას მკითხველი თქმულებების ყველა ციკლში აღფრთოვანებაში მოჰყავს. მაშინაც კი, როცა ნართი აცას უმცროსმა ვაჟმა, აცამაზმა, მშვენიერებით განთქმული აგუნდა-მზეთუნახავი მოიყვანა ცოლად, მრავალ გამოცდას გაუძლო, მრავალი დაბრკოლება გადალახა და წმინდა ვასთირჯი აგუნდას ხელისმომკიდედ დადგა, პატარძლის ნართებში მიყვანისას სათანას, როგორც ნართების მასპინძელს უმღერიან:

„ოი, ჩვენო დიდებულო დიასახლისო სათანა!

ოი, დოვლათიანი ცხოვრების სათანა!

ოი, შენ გიმღერთო,

¹ ნართები, გვ. 67-68.

² ნაფი ჯუსოთი, შესავალი წერილი წიგნში: „ოსური ფოლკლორი“, თბ., 2002, გვ. 5.

ოი, შენ, ჩვენო დიასახლისო სათანა!¹

ყოველი ასეთი ეპიზოდური როლი ახალი შტრიხით ავსებს სათანას მხატვრულ სახეს. თქმულებებში მისი ეპიზოდური გამოჩენაც კი უკვე ცალკე, მთლიანი და დასრულებული სახეა გმირისა.

მრავალი რამ შეიძლება ითქვას სათანას, როგორც ქალის შესახებ, მაგრამ ალბათ უპირველესად ის, რომ ნართულმა ეპოსმა სწორედ ქალს, სწორედ სათანას დაუკავშირა ლუდის წარმოშობა. „ქალთა შორის უპირველესის და უკეთესის – სათანას პიროვნებასთანაა დაკავშირებული სასმელებს შორის ასევე პირველი და საუკეთესო, ოს-ალანების საყვარელი სასმელის, ლუდის გაჩენა. ეთნოგრაფიული და ლინგვისტური მონაცემები მიუთითებენ ლუდის კულტურის სიძველესა და განსაკუთრებულ გავრცელებულობაზე ოსებში“².

თქმულებაში, „როგორ გაჩნდა ლუდი“ მოთხრობილია, რომ ურუზმაგმა სათანასთან გაბრუებული ჩიტი მიიყვანა, რომელსაც მანამდე სვიისა და ალას მარცვლები აკენკა. „დაფიქრდა გონიერი სათანა და მიხვდა, რამაც გააბრუა ჩიტი. გამოხადა ქერისაგან ლუდი, საფუარად სვიის ყვითელი ფოთლები გამოიყენა და ამის შემდეგ ნართებს მშვენიერი, საამო სასმელით უმასპინძლებოდა“³.

ოსურ ფოლკლორში მრავალი პოეტური ქმნილება ეძღვნება ლუდის ხარშვას, მის წარმოშობას და ყველგან სათანას სახელია მოხსენიებული:

„ოი, ლუდი, ნოყიერი ლუდი,

ნოყიერი ლუდი, ბედის ლუდი.

მას შემდეგ ვისწავლეთ მისი მომზადება.

დიდხანს იცოცხლოს იმ ჩიტმა,

უფრო მეტ ხანს კი – სათანამ!“⁴

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სათანა არამხოლოდ სათანასა და ურუზმაგის ციკლის მთავარი გმირია, არამედ იგი მთელი ნართების ეპოსის, ნართების ხალხის თანამდევი ფიგურაა. ყველა ეპიზოდში, სხვა ცენტრალური გმირების გვერდითაც კი გამორჩეული, განსაკუთრებული სახეა. ქალის როლის ამგვარი გაფართოება და მნიშვნელობა იშვიათია ფოლკლორში. განსაკუთრებით იშვიათი – ზღაპრულ-მითოსურ თქმულებებში. სწორედ ამიტომ მიიჩნევა აკად. ვ. აბაევი: „ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს სათანასა და მასთან დაკავშირებულ სიუჟეტებსა და მოტივებში დავინახოთ ერთ-ერთი ყველაზე თავისებური მოვლენა არამარტო ოსურ, არამედ მსოფლიო ხალხურ-ეპიკურ ტრადიციაშიც“⁵.

¹ ნართები, გვ. 290.

² ნართები, ვ. აბაევის წინასიტყვაობა, ცხინვალი, 1988, გვ. 9.

³ ნართები, გვ. 98.

⁴ ოსური ზეპირსიტყვიერება, თბ., 2005, გვ. 34.

⁵ ნართები, ვ. აბაევის წინასიტყვაობა, ცხინვალი, 1988, გვ. 11.

მრავალი ხალხის ფოლკლორში ფიგურირებს ქალი, როგორც სიწმინდის, სიბრძნის, სიმტკიცის, ერთგულების სიმბოლო. მრავალი ხალხის ზეპირსიტყვიერება იცნობს მიჯნურ ქალებს, მეფე-ქალებს, მხევლებს, დიდებულებს, დედებს, ქაღწულებს, დებსა და ცოლებს, რომლებიც თავიანთი რაინდების გვერდით იბრძვიან, მაგრამ ოსურ ფოლკლორში სხვა გმირი ქალების გვერდით არის ქალის, სათანას სახე, რომელიც ერთნაირად ნაცნობი და პოპულარული გმირია როგორც ნართულ პოეზიაში, ასევე ცალკეულ თქმულებებსა თუ ზღაპრებში და რომელიც ყველგან შეუცვლელია. ალბათ სწორედ ამიტომ, რომ არსად არის მოთხრობილი სათანას აღსასრულის შესახებ. ჩვენ ვიგებთ, როგორ იღუპებიან ცალკეული გმირები, ვიგებთ როგორ დადგა ნართების აღსასრული, რომ მათ გადაწყვიტეს „მარადიულ სიცოცხლეს მარადიული დიდება გვირჩევიანო“, მაგრამ ვერსად ვპოულობთ მინიშნებას სათანას სიკვდილის შესახებ.

ქალი ნართულ ეპოსში მხოლოდ სათანას სახით არ ამოიწურება. მის გვერდით არიან ქალები, რომელთაც ასევე დიდი როლი აქვთ ნართების თქმულებებში.

მზეთუნახავი ძერასა მეუღლის ერთგული ქალია, რომელიც გარდაცვლილ ქმარს ღვთაებასთანაც არ დალატობს.

ნართების ეპოსში, ისევე როგორც სხვა ხალხთა ფოლკლორში ქალი ხშირად განსაკუთრებული რაინდის, მარჯვე, ძლიერი, საჭირიანი ვაჟკაცის მძებნელია. ასევეა ქოსარ-მზეთუნახავი, რომელიც მფრინავ კოშკში ცხოვრობს და იმ რაინდს ელოდება, რომლის ნატყორცნი ისარიც მიაღწევს მის კოშკამდე.

საინტერესოა მთარული სიუჟეტის, ბაყაყად ქცეული ქალის ნართებისეული ვერსია. ბიცენონი ბიცინეთების ასულია, რომელიც ხამიცმა მოიყვანა ცოლად. ქალი ღამით ულამაზესი ასულია, „ისეთი ღამაში იყო, მისი ბრწყინვალეობით მზეს სინათლე მიემატა, დედამიწას – მშვენება. მხრებზე გადმოღვრილი თმა კოჭებამდე სწვდებოდა. მისმა ბრწყინვალეობამ სახლი ისე გაანათა, თითქოს ჭერზე მზეს გამოენათებინოს“¹. ღამით კი ბაყაყად იქცევა. როგორც ცნობილია, ფოლკლორული გმირის ასეთ სახეს აუცილებლად ახლავს აკრძალვა. ქალი ისეთი ჯიშისაა, რომლის დაცინვაზე ავად ხდებიან, ხოლო საყვედურზე იხოცებიან. ხამიცმა ცოლი ნიხასში წაიყვანა. ნართების საუბედუროდ დაბადებულმა სირდონმა ქალსა და ხამიცს დასცინა. ამის გამო ბიცენონი სამშობლოში ბრუნდება. ქალის ფაქიზი ბუნების ამგვარად აღქმა, უთუოდ საინტერესო და მრავლისმთქმელია. „ეპოსი ყოველთვის იდეალურ ყოფას გვიხატავს. ნართების ყოფაც იდეალურია, ანუ ის პასუხობს ხალხის იდეალებს, მისწრაფებებს, იმედებს, მოლოდინებს, რომელთაც დღემდე ყაველი არ გასვლიათ. თუმცა მისი სამყარო გამწარებული წუთისოფლის რეალური ხატიც არის, რომელიც სავსეა გაუტანლობით, მუხანათობით, ვერაგობით, ოინბაზობით,

¹ ნართები, გვ. 209

სულმოკლეობით, ნიჰილიზმით, რაც კიდევ უფრო წარმოაჩენს გმირების კეთილშობილებას, უანგარობას¹.

ქალი ფოლკლორში ხშირად მამაკაცთა გმირობისა და რაინდული თავგადასავლების მთავარი ღერძია. ასევეა ნართების ეპოსშიც. ბათრადი აქულა-მზეთუნახავის შესართავად ქალიშვილისაგან მიღებულ დავალებას ასრულებს. აგუნდა-მზეთუნახავის სიყვარულით შეპყრობილი აცამაზი სიყვარულისგან გაშმაგებული ჯადოსნურ სალამურს ამტვრევს, შემდეგ ქალის პირობას ასრულებს და, ამის მიუხედავად, ქალის მამისაგან უარს იღებს. საბოლოოდ, ისევ ქალს რჩება გადამწყვეტი სიტყვა. საინაგაღდარმა როცა შეატყო, მის ქალიშვილს, აგუნდას სახელოვანი რაინდი აცამაზი გულში ჩავარდნოდა, მხოლოდ მაშინ გადაწყვიტა თავისი ერთადერთი ქალი აცამაზისთვის მიეთხოვებინა.

ნართების ეპოსი იცნობს მამაკაცების გვერდით მეომარ ქალებს, რომლებიც საკუთარი პატიოსნების დასაცავად თუ მტრისგან თავდასაცავად უშიშრად იბრძვიან. ასეთია ხაზნა, ხუგათი მილოს და, რომელიც ლეკებმა მოიტაცეს. ქალი მუხანათ მტერს მოკლავს და თავს ეკლესიას შეაფარებს (საინტერესოა, რომ მას ქართველი მღვდელი შეიფარებს).

ტრადიციულად, მთის ხალხთა წესები იცნობს ქალის უფლებების შემოსაზღვრულობას. განსაკუთრებით კი, მამაკაცებთან ურთიერთობაში. სოსლანის ციკლის თქმულებაში „როგორ შეირთო სოსლანმა ქოსერი“ მოთხრობილია, რომ გზად მიმავალ სოსლანს პატარძალი შეხვდა, რომელსაც გმირი სოფლის ამბავს ეკითხება, ხოლო პატარძალი არ პასუხობს, რადგან ვაისადგა იყო. ოსეთში, ისე როგორც მთის სხვა ხალხებში არსებობდა წესი, რომ პატივისცემის, მორიდების ნიშნად ახალ პატარძალს ოჯახში უფროსებისათვის, განსაკუთრებით კი, მამაკაცებისათვის ხმა არ უნდა გაეცა. „ეს გრძელდებოდა წლებით, ზოგჯერ მთელი სიცოცხლეც. ხმის გაუცემლობის წესს ვაისადინი ერქვა, ხოლო მის შემსრულებელ რძალს – ვაისადგა რძალი“². თავისთავად, ეს ტრადიცია მრავალმხრივ ზღუდავს ქალს. ამავე თქმულებაში ვკითხულობთ, რომ სოსლანი თვითონ სთხოვს პატარძალს დაარღვიოს ტრადიცია და შეკითხვაზე გასცეს პასუხი:

„– თუ ღმერთი გწამს, დაანებე თავი მაგ რიდს და მითხარი, რა იქნა ჩემი სოფელი, სად აიყარა ხალხი?“³. პატარძალიც პასუხობს რაინდის შეკითხვას.

ისეთ მიმე სიტუაციაშიც კი, როგორცაა მტრის თავდასხმა, რძალს ეკრძალება მამამთილთან საუბარი. მან იცის მოახლოებული საფრთხის შესახებ და პატარა ბიჭს გზაგანის ოჯახის უფროსთან ამბის შესატყობინებლად. მხოლოდ მამაკაცს აქვს ნება, დართოს უფლება რძალს,

¹ ზ. კიკნაძე, შესავალი წერილი წიგნში: „ოსური ზეპირსიტყვიერება“, თბ., 2005, გვ. 17.

² ნართები, გვ. 376.

³ იქვე, გვ. 140.

რომ მას ხმა გასცეს. დიდსულოვანი ოჯახის უფროსი ასეც იქცევა, რძალს შენიშნას აძღვეს, რა დროს უმძრახობააო და პირველი თვითონ დაელაპარაკება რძალს, თუმცა მხოლოდ ასეთ მიმე სიტუაციაში. ეს ოსებში და საერთოდ, მთის ხალხში ითვლებოდა მამაკაცის პატივისცემად. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პატარძალი კუთხეში იდგა მთელი საქორწინო ცერემონიის დროს (რაც ხანდახან რამდენიმე დღე და ღამე გრძელდებოდა). საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ როგორც სალოცავში, ისე ნიხასში ქალი ვერ გაიჭაჭანებდა. მას უფლება არ ჰქონდა კაცებთან ბჭობის, სიტყვის თქმისა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქალის დაბადება ოჯახში არ იყო დიდი სიხარულის მომტანი (ეს საერთოდ, მთელ კავკასიაში გავრცელებული თვალსაზრისი იყო, ზეიმობდნენ მხოლოდ ვაჟის დაბადებას). ქმარს ეკრძალებოდა სხვის დასანახად ქალს ან ბავშვს მოფერებოდა. ქალს სახელითაც არ მიმართავდნენ და განზოგადებულ სახელს, დიასახლისს ეძახდნენ. აქ იკითხება ალბათ ტაბუირება, რაც შეიძლება კრძალვას უფრო გამოხატავს, ვიდრე დაკნინება-დამცირებას, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს.

ბუნებრივია, ასეთი მცირე მიმოხილვითი ნაშრომი ოდნავადაც ვერ ამოწურავს ქალის როლისა და სახის ჩვენებას ნართულ ეპოსში. ნართების ეპოსი მრავალი საინტერესო თემის, სიუჟეტის, ამბის, იდეის საბალოა. აქ ხშირია ის იდეალისტური მიმართებები, რასაც მკითხველი სხვადასხვა ხალხის ფოლკლორში ხშირად ნახავს, თუმცა ნართების ეპოსი ორიგინალური და ინდივიდუალური მსოფლგანცდითაც გამოირჩევა, სადაც ხშირად სწორედ ქალს აქვს მინიჭებული მთავარი როლი და სადაც სწორედ ქალის საშუალებით მიიღწევა მთავარი მიზანი.

ლიტერატურა

- ნართები 1988** – ნართები, ცხინვალი.
ოსური ფოლკლორი 2002 – ოსური ფოლკლორი, თბილისი.
ოსური ზეპირსიტყვიერება 2005 – ოსური ზეპირსიტყვიერება, თბილისი.
ნართები 1947 – ნართები, სტალინირი.
 Сказания о нартах, Цхинвали, 1981.
Калоев 1971 – Калоев Б. А., Осетины, Москва.
Миллер 1992 – Миллер Вс., Осетинские этюды, Владикавказ.
Шегрен 1981 – Шегрен А. М., Обряды похорон, поминки, скачки в книге «Периодическая печать Кавказа об Осетии и осетинах», Цхинвали, 1981.

Н. Попиашили (Тбилиси)

Женщина в нартском эпосе

Нартский эпос – это эпопея героических и мужественных приключений. Нас привлекает этот огромный сказочно-мифический мир своей добротой, высокими чувствами и возвышенными идеалами. В нем с помощью художественных приемов показаны нартские обычаи: общинные обычаи, неписанный закон мужества и отваги – защита слабых, борьба с великанами, защита обычаев в отношениях между младшими и старшими, уважение, гостеприимство, прием гостя как посланника Бога, уважение божеств и многое другое, что свидетельствует о высокой нравственности и достоинстве защитников этих обычаев.

Следует специально затронуть тему, касающуюся уважения женщин в нартском эпосе. Несмотря на то, что в фольклоре кавказских народов уважение к женскому полу ярко выражено, но такого монументального лица женщины, как Сатана в нартском эпосе, трудно отыскать где-либо еще. Академик Васо Абаев отмечает: "Если бы нас спросили, что в нартском эпосе самое примечательное, не подумавши бы ответили: лицо Сатаны. Женщины фигурируют во многих эпосах, но мы в другом эпосе напрасно стали бы искать такой значительный женский образ, каким является нартская Сатана".¹

Можно сказать, что цикл Сатаны многосторонне оригинален. О том, что женщина "рождена божеством", здесь прямо сказано ("рождение Сатаны"). Согласно нартскому эпосу, она – дочь Вастырджи. Когда Сатана выросла, была "такая красивая и умная женщина, что ее красота освещала ночь как день. Ум ее был острее ножа, а мышление быстрее пущенной стрелы".²

Сатана – величественный образ хорошей хозяйки, которая отличается умом и сообразительностью. Ее советы нартам всегда нравятся. Она – опора семьи и отличается радушием, она кормила всех нартов во время голода. Образ Сатаны в нартском эпосе крайне разносторонний.

Если происхождение нартовского эпоса восходит к дохристианскому периоду, то образ Сатаны появился еще раньше: "Утверждать, что образ Сатаны берет начало с матриархата, значит вламываться в открытую дверь. Признаки матриархата встречаются во всех древних эпосах, но существование такой монументальной женской фигуры, как Сатана, в осетинском эпосе имеет особую историческую значимость".³

¹ Нарты, предисловие В. Абаева, Цхинвали, 1988 г. стр. 7.

² Нарты, стр. 57.

³ Нарты, предисловие В. Абаева, Цхинвали, 1988 г. стр. 8.

Интересно и то, что Сатана красивая, любимая женщина. Она и волшебница, и хорошая хозяйка. Она может изменить жизнь на земле за одну ночь, нагнать снег семи зим, вызвать ураган, говорить с птицами, животными и в то же время быть незащитной и слабой женщиной, при этом очень умной и рассудительной. Сатана, по нартовскому эпосу – вечная женщина. Ее образ присутствует до конца эпоса. Сатана эпизодически видна в каждом цикле нартского эпоса, она – хозяйка нартов, она – мать народа.

Образ Сатаны – это образ убежденной в собственной силе, в собственных желаниях женщины. Ее решения закономерны, они обязательно должны исполниться. Нартский эпос рассказывает нам, как она стала женой Урузмага (Сатана и Урузмаг – сестра и брат).

Когда пришло время замужества Сатаны, "она думала, выбирала и даже среди ангелов мудрее и сильнее Урузмага никого не нашла. И в сердцах сказала: "Если Урузмаг возьмет меня в жены – хорошо, если нет, то совсем не выйду замуж!"

Что делать Сатане: она сама не могла ему об этом сказать, через другого сказать ему об этом тоже не хотела. В конце концов она решила: "Да будь, что будет. Я сама ему об этом скажу".¹

Из-за того, что брат отказался, Сатана решила его взять хитростью, и после смерти жены Урузмага она становится его женой. И отсюда начинается ее роль, как активной, влюбленной, умной, сильной женщины.

Влюбленная в Урузмага Сатана часто прибегает к волшебству, чтобы еще больше обворожить его своей красотой, мудростью, сообразительностью, чтобы муж ее больше любил.

Образ Сатаны впечатлителен в нартском эпосе и в каждом цикле сказаний приводит читателя в восхищение. И даже тогда, когда младший сын нарта Аца, Ацамаз, приводит в жены Агунду, которая славилась своей красотой, она справилась со многими заданиями и трудностями, и святой Вастирджи стал шафером Агунды. Когда приводят невесту к нартам, то поют Сатане, как хозяйке нартов:

"Ой, наша величественная хозяйка Сатана!
Ой, изобильно живущая Сатана!
Ой, тебе мы поем,
Ой, ты наша хозяйка Сатана!"²

Каждая такая эпизодическая роль новым штрихом наполняет художественный образ Сатаны. Даже ее эпизодическое появление в сказаниях – это уже отдельный, полный и законченный образ героини.

Многое можно сказать о Сатане, как о женщине, но в первую очередь нартский эпос связывает с именем Сатаны возникновение пива. "С личностью Сатаны, самой первой и лучшей среди женщин, связано появление также первого и любимого для осетин напитка – пива. Этнографические и лингвистические данные указывают на древность культуры пива и его особое распространение среди осетин".³

¹ Нарты, стр. 61.

² Нарты, стр.290.

³ Нарты, предисловие В. Абаева, Цхинвали, 1988 г. стр. 9.

В сказании " Как появилось пиво" рассказывается, что Урузмаг привел к Сатане одурманенную птицу, которая поела зерна солода и хмеля. " Задумалась мудрая Сатана и догадалась, почему одурманена птица. Она сварила из ячменя пиво, для брожения использовала желтые листья хмеля , и с этих пор всегда угощала нартов прекрасным напитком".¹

Как уже отмечалось, Сатана героиня не только цикла о Сатане и Урузмаге, но и всего нартского эпоса, ее образ присутствует во всем нартском эпосе. Во всех эпизодах среди главных героев она занимает особое место. Такое расширение женской роли и ее значимости – это редкость в фольклоре, особенно в сказочно-мифических сказаниях. По этому поводу В. Абаев говорит: "Все это дает нам право увидеть в Сатане и связанных с ней сюжетах и мотивах одно из самых своеобразных явлений не только в осетинской, но и в мировой народно-эпической традиции".²

В фольклоре многих народов фигурирует женщина, как символ чистоты, мудрости и верности. В устном творчестве многих народов известны образы любимых женщин: цариц, пленниц, матерей, девственниц, сестер и жен, которые борются рядом со своими рыцарями, но в осетинском фольклоре рядом с другими женщинами-героинями стоит образ Сатаны, которая, будучи одинаково знакомой и популярной героиней как нартской поэзии, так и отдельных сказаний и сказок, везде является незаменимой. Наверное поэтому нигде не говорится о кончине Сатаны. Мы узнаем как погибают отдельные герои, узнаем как погибают нарты, которые "вечной жизни" предпочли "вечную славу", но нигде не находим указаний смерти Сатаны.

Изображение женщины в нартском эпосе не заканчивается только образом Сатаны. Рядом с ней представлены и другие женщины, также играющие большую роль в нартских сказаниях.

Красавица Дзераса – преданная мужу женщина, которая не изменяет умершему мужу даже с божеством. В нартском эпосе, также как и в фольклоре других народов, женщина часто ищет необычного героя: умелого, сильного, умного, мужественного. Такова красавица Косар, которая живет в летающем дворце и ждет того рыцаря, пущенная стрела которого достигнет ее дворца.

Интересна нартская версия широко известного сюжета, согласно которому женщина превращается в лягушку. Биценон – дочь Биценетов, на которой женился Хамыц. По ночам она – женщина необыкновенной красоты: "она была такой красивой, что от ее сияния солнцу прибавлялся свет, земле – красота. Волосы, рассыпанные по плечам, доходили ей до колен. Ее сияние так освещало дом, как будто на потолке светило солнце".³ Днем же она превращалась в лягушку. Как известно, на фольклорного героя такого образа налагается запрет. Те, которые смеются над женщиной такого рода, обязательно заболевают, а когда упрекают – умирают. Хамыц повел свою жену в ныхас (народное собрание). Сырдон, рожденный на несчастье нартов, посмеялся над женщиной и Хамыцом. Вследствие этого Биценон возвращается к себе на родину. Такое восприятие хрупкой природы женщины является несомненно интересным и многозначительным.

¹ Нарты, стр. 98.

² Нарты, стр. 11.

³ Нарты, стр.209

Женщина в фольклоре часто является основным источником героизма и рыцарских подвигов мужчин. Также и в нартском эпосе. Для того, чтобы жениться на красавице Агунде, Батрадз выполняет задание, полученное от девушки. Ацамаз, влюбленный в красавицу Агунду, от злости ломает волшебную свирель, затем выполняет задание девушки, но несмотря на это, он все равно получает отказ от ее отца. Последнее слово остается за девушкой. Когда Сайнаг-алдар узнает, что его дочь влюблена в знаменитого рыцаря Ацамаза, лишь после этого он выдает свою единственную дочь за Ацамаза.

В нартском эпосе встречаются случаи, когда бок о бок с мужчинами сражаются женщины, которые бесстрашно борются с врагом за свою честь. Такова Хазна, сестра Хугата Мило, которую похитили дагестанцы. Женщина убивает коварного врага и скрывается в церкви (следует отметить, что ее приютит священник-грузин).

Традиционно горские народы ограничивают права женщин, особенно во взаимоотношениях с мужчинами. В цикле сказаний о Сослане "Как женился Сослан на Косар" рассказывается, что идущий по дороге Сослан встречает молодую невестку, у которой герой спрашивает о своей деревне, но женщина не отвечает ему, потому что она – "вайсадга". У осетин, как и у других горских народов, был обычай: молодая невестка в знак уважения к старшим, особенно к мужчинам, не должна была с ними разговаривать. "Это длилось годами, иногда всю жизнь. Обычай молчания назывался "вайсадын", а исполняющую этот обычай невестку – "вайсадга невестка".¹ Само собой разумеется, что эта традиция во многом ограничивала женщину. В этом сказании мы читаем, что Сослан сам просит женщину нарушить традицию и ответить ему: "Бога ради, не стесняйся и ответь мне, куда делась моя деревня, куда ушел народ?"² И женщина отвечает на вопрос рыцаря.

Даже в такой тяжелой ситуации, как нападение врага, невестке запрещается разговаривать со свекром. Она узнает о надвигающейся опасности и посылает маленького мальчика с этой вестью к старшему в семье. Только мужчина имеет право разрешить женщине заговорить с ним. Великодушный глава семьи так и поступает: он делает замечание невестке, что сейчас не время молчать, и первый заговаривает с ней, но только в такой тяжелой ситуации. У осетин и горских народов такое поведение женщин считалось выражением уважения к мужчинам. Здесь же надо отметить, что во время свадебной церемонии (которая иногда длилась несколько дней и ночей), невеста стояла в углу. Заслуживает внимания и тот факт, что женщина не могла появляться ни в церкви, ни в ныхасе. Она не имела права обсуждать или принимать какие-либо решения вместе с мужчинами.

Не менее значителен и тот факт, что никто в семье не радовался рождению дочери (такая точка зрения была распространена на всем Кавказе, праздновали только рождение сына). Мужу запрещалось ласкать жену или ребенка при посторонних. К женщине даже по имени не обращались, а называли хозяйкой. Это табу говорит скорее о почтительном отношении к женщине, чем о ее унижении и ущемлении, как это считают некоторые исследователи.

¹ Нарты, стр. 376

² Нарты, стр. 140

Естественно, что в такой краткой статье невозможно исчерпать вопрос о роли и образе женщины в нартском эпосе. Нартский эпос – это источник многих интересных тем, сюжетов, рассказов и идей. Здесь часты те идеалистические направления, которые читатель может найти в фольклоре других народов, но нартский эпос отличается оригинальностью и индивидуальным мироощущением, где нередко именно женщине принадлежит главная роль, и где именно с помощью женщины достигается главная цель.

Литература

- Нарты. Цхинвали, 1988.
 Осетинский фольклор. Тбилиси, 2002.
 Осетинская стихотворная речь. Тбилиси, 2005.
 Нарты. Сталинир, 1847.
 Сказания о нартах. Цхинвали, 1981.
 Калоев Б. А. Осетины. Москва, 1971.
 Миллер Вс. Осетинские этюды. Владикавказ, 1992.
 Шегрен А. М. Обряды похорон, поминки, скачки в книге "Периодическая печать Кавказа об Осетии и осетинах". Цхинвали, 1981.

N. P o p i a s h v i l i (Tbilisi)

The face of a woman in the Nart epos

S u m m a r y

Woman is the central, leading figure of the Nart epos. She is characterized with many different features and plays important role in real as well as in mystic passages. She is the one adored every time, and every where, despite the situation: in war, on the battlefield, during peace time. She has all virtues of a leader and everything good comes from her- she is god-made, and herself she is giver of birth and beauty, kindness and wisdom.

In the Nart epos she is often asked for advice and her answer has great value. Sathana, the face of a woman in the Nart epos includes all in herself. Such is the beginnings of the Nart epos.

It must be admitted that later on the role and importance of the woman decreases, she even isn't allowed to talk to a man. She becomes dependent on rules and norms, such as vaisadaga, nomilusoba, etc. But such kinds of things are depicted in the later sayings and it is unusual for the Nart epos.

თ. ქ უ რ დ ლ ვ ა ნ ი ძ ე (თბილისი)

**ადგილობრივი ტრადიციის ასახვა ქართული და
ჩრდილოკავკასიური ზღაპრის სტერეოტიპულ
მედიალურ ფორმულებში**

ჯადოსნური ზღაპრის სამყარო იდუმალებით არის აღსავსე. იგი რეალურ ცხოვრებასთან შეუთავსებელ ამბებზე მოგვითხრობს. ასეთი დაუჯერებელი ამბები თითქოს თხრობის განსაკუთრებულ მანერას უნდა მოითხოვდეს, რათა სახეობრიობის ხასიათით გაიხაზოს მისი სინამდვილესთან დაცილებულობა, მაგრამ სინამდვილეში ჯადოსნური ზღაპრის ენა „რეალისტურ-საყოფიერო“ ენაა. მეზღაპრის სიტყვა ცოცხალი და ყოფითია. მან ახლოს უნდა მიიყვანოს მსმენელი გმირთან, რომელიც ცოცხალ ადამიანად მოიაზრება. გმირთა თავგადასავლის გადმოცემისას მთქმელი ზრუნავს იმაზე, რომ ხილულად მოუთხროს მსმენელს ზღაპრულ იმიერ სამყაროზე და ამავე დროს შექმნას ჯადოსნური ზღაპრის განუმეორებელი სტილი.

საზოგადოდ, ტიპოლოგიური საზღაპრო სიუჟეტების არსებობა მეზღაპრეს მათი გადმოცემისას გარკვეულ ჩარჩოში ამწყვედევს, თუმცა მას ტრადიციით მოპოვებული აქვს სიუჟეტის შიგნით თავისუფლად მანიპულირების უფლება. ამიტომ ვლინდება ყველაზე უკეთ მეზღაპრის ინდივიდუალობა თხრობისას. კარგი მეზღაპრე სტილის შექმნას ახერხებს ტიპობრივი მზა ფორმულების დანიშნულებისამებრ გამოყენებით, ზღაპრის მხატვრული ტექსტის დახვეწისას სიტყვების სწორად შერჩევით. ენობრივი გამოხატვის სხვადასხვა საშუალებით ზღაპრის „მოკაზმვას“ საძირკველი დასდებია გვიან, ხალხური მოთხრობის ხელოვნების ნიმუშად ქცევის პროცესში. ჩანს, ამ დროს გამოჩენილა ზღაპარში შემფასებლური თუ აღწერითი ხასიათის დეტალებიც. მაგრამ ხალხებს ერთმანეთისაგან განსხვავებული დამოკიდებულება გამოუვლენიათ საზღაპრო ტექსტის „მოკაზმვის“ მიმართ. კლასიკურ ქართულ ზღაპარში, მიუხედავად მათი ტიპობრიობისა, თვალში საცემია მონათხრობის ხილულობა, სახეობრივი აზროვნება, ამბის ექსპრესიულად გადმოცემა, სტილის დახვეწილობა და ა. შ. სხვა ხალხთა ზღაპრების გაცნობისას სურათი მეტ-ნაკლებად ჭრელია და ეს მოვლენა კონკრეტული ხალხის მსოფლადქმნას და ჩვევებთან ერთად ადგილობრივი ტრადიციის გამოხატულებად უნდა შეფასდეს.

ჯადოსნური ზღაპრის სტილის ერთი უმნიშვნელოვანესი თვისება არის საზღაპრო მოქმედებათა ხშირი ცვლა, რაც მოქმედების დინამიკურ განვითარებას უზრუნველყოფს. ამის მისაღწევად მეზღაპრე სტერეოტიპულ ფორმულებსაც იყენებს. ზღაპრის მედიალური ფორმულების ერთი ჯგუფი სიუჟეტანაა დაკავშირებული. იგი გვაცნობს პერსონაჟთა გარეგნობას, მიგვითითებს გმირის სწრაფ ზრდასა და ძალაზე, გზისა და დროის ხანგრძლივობაზე, თხრობისას სხვა მოტივზე გადასვლაზე. მეორე – სიუჟეტში განვითარებული მოქმედებისაგან დამოუკიდებელი ფრაზებია, რომლებითაც მეზღაპრე კომენტარს უკეთებს შექმნილ საზღაპრო სიტუაციას ან იყენებს მათ მსმენელთან კონტაქტის განახლებისთვის.

გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს.

გმირის *სწრაფ ზრდაზე* მითითება მეზღაპრეს მისი არაჩვეულებრიობის ხაზგასასმელად სჭირდება. ქართულ საგმრო ზღაპრებში ეს ფორმულები გამართულია ჰიპერბოლით: „ვინც თვით იზრდებოდა, ის ვაჟი წლისა იყო“; (ძიძიგური 1959, 204). ცხერის შვილი „დღეში თითო მათრახის ტარს იზრდებოდა“ (სიბრძნე, I, 1964). მსგავსი ფორმულა გვხვდება ლეზგიურ ზღაპარში: „ვაჟი იზრდებოდა არა თევობით და წლობით, არამედ დღეობით და საათობით“ (ლეზგიური 2006, 47). ზოგჯერ მეზღაპრე სხვა გზით მიგვითითებს გმირის განსაკუთრებულობაზე: „ბიჭი შუბლზე მზითა და ბეჭებზე მთვარით დაიბადა“ (ინგუშური 1983, 45); ახლადბადებულ შვილს „დედამ პირველად ძუძუ რომ მოაწოვა – ბავშვმა გაიარა, მეორედ მოაწოვა – ბიჭმა დაილაპარაკა, მესამედ მოაწოვა და ნამდვილ ჭაბუკად იქცა (იქვე, 33).

ხშირია გმირის განვლილ *შორ გზას ან დროის ხანგრძლივობაზე* მითითებაც: „იარა, იარა, ცხრა მთა გადაიარა“ (ძიძიგური 167). ზღაპარში სვლის ხანგრძლივობა დროის გაურკვეველ მონაკვეთსაც გულისხმობს, თუ საგანგებოდ არ არის მასზე მითითებული. ქართულ ზღაპარში გმირის სვლა სხვაგვარადაც არის გაფორმებული: „მიდის ეს ბიჭი, ჩვენი ენა მალე იტყვის, მიდის...“ (სიბრძნე, I, 244) ან „ზღაპარში ადვილად ითქმის, მაგრამ ჩვენ რა ვიცით, რამდენი გაიარა“ (იქვე). დროის სწრაფი სვლის საჩვენებლად ქართველი მეზღაპრე იყენებს საგანგებო ფორმულებს: „სიტყვა შორს აღარ მიდის და ეს წელიწადიც მალე გავიდა“ (იქვე, 315) და სხვ. ხოლო საზღაპრო მოქმედების ტემპში განგრძობისათვის იშველიებს ფორმულას: „სიტყვა შორს მიდის და შემოვიდა ცხრა არაბი“ (იქვე, 231). ასეთი ფორმულები ჩრდილო კავკასიაში არ გვხვდება, თუმცა გზის გაურკვეველ სიგრძეს ეჭვით გამოხატავენ ჩრდილოკავკასიურ ზღაპარშიც: „ვინ იცის, რამდენი იარა“ (ოსური 1973, 153); „ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მიაღწია იმ მთას“ (ინგუშური, 63). „მარტო ალაჰმა იცის, ცოტა იარა თუ ბევრი იარა“ (ყარაჩაულური 1983, 39); „ბევრი თუ ცოტა, დრო ასე გაფრინდა“ (ყაბარდოული 1961, 391); ჩრდილო კავკასიურ ზღაპარში გზის ხანგრძლივობაზე მისათითებლად ხშირად ზმნას იმეორებენ:

„მიდიოდნენ და მიდიოდნენ“ (ოსური, 7); „დიდხანს მიდიოდნენ, მიდიოდნენ“ (ინგუშური, 83); „მიდიოდნენ, მიდიოდნენ და მივიდნენ“ (აფხაზური 1983, 28); „მიდიოდა-მიაჭენებდა, მიდიოდა-მიაჭენებდა, დიდხანს იყო გზაში“ (ადილეური 1937, 244). ზოგჯერ ჩრდილოკავკასიურ ზღაპარში დროის ხანგრძლივობა კონკრეტულად აღწერილია „სამი“ და „შვიდი“ ციფრით: „იარეს სამი დღე და სამი ღამე“ (აფხაზური, 327). „შვიდი ღამე და შვიდი დღე მიდიოდნენ“ (ინგუშური, 83; ადილეური, 252); „სამოცდასამი დღე მიდიოდა“ (ინგუშური, 83).

ქალის მშვენიერების გამომხატველი უნივერსალური ქართული ტერმინის – „მზეთუნახავი“ = „მზის [გამანაყოფიერებლისაგან] უნახავი“ – მსგავსი არაფერი დასტურდება ჩრდილო კავკასიის ხალხთა ზღაპრებში. ფორმულები კი მარტივად გვხვდება და რთულიც.

მარტივი ფორმულები: „ქალი ისეთია, თვალადი, ღამაში“ (სიბრძნე, I, 428); „ქალია, როგორც მზეთუნახავი...“ (იქვე, 372); „სამი ქალი – ყველა მშვენიერი“ (აფხაზური, 134); „არაჩვეულებრივი სილამაზის ქალი“ (ოსური, 60; ყაბარდოული, 4); „მზეზე ღამაში ქალი“ (ინგუშური, 51); „თვალთ უნახავი სილამაზის გოგონა“ (ყარაჩაულური, 387); „ქალი ღამაში იყო... ბრწყინავდა“ (ავარული 2006, 119) ... ახლადამოსული ყვავილი მთის მდელოზე (ყაბარდოული, 27).

რთულ ფორმულებში ჩნდება შესადარებელი ობიექტი, უპირატესად მზე, ან მასზე მიმანიშნებელი სიტყვა (ამ მხრივ ქართული და ჩრდილოკავკასიური ტრადიცია ერთხვევა აღმოსავლურს). „ქალი ისეთი ღამაშია, რომ უფრო მშვენიერს ვერც ნახავს კაცის თვალი და ვერც ინატრებს“; (სიბრძნე, I, 10) „ქალი ისეთი ღამაშია, მზეს შეშურდება მისი სილამაზე“ (იქვე, 68); „ქალმა მზესავით გაანათა ბნელი ოთახი“ (ძიძიგური, 87); „ქალის ნეკა თითი ირგვლივ ყველაფერს ანათებდა (აფხაზური, 56); „ქალმა გამოანათა, როგორც მზემ“ (ოსური, 60); „ყველაზე ღამაში მათ შორის, ვინც სახითა და თვალებით დაიბადა“ (ადილეური, 273); „ყველაფერს აცისკროვნებდა ქალის სილამაზე“ (ხუნძური 2006, 44).

ფორმულაში ზოგჯერ ახალი დამოკიდებულება ჩნდება – ქალი ეპაექრება მზეს სილამაზეში: „შენ ჩადი, მე ამოვალ“ (სიბრძნე, I, 396); „[მზე] ნუ ამოხვალ, დღეს მე გავანათებ შენ მაგივრად“ (თაბასარანული, 36).

ჩრდილოკავკასიურ ზღაპრებში კიდევ ახალი მახასიათებელი შემოდის: „ქალის ერთი ლოყა ელავს, როგორც მზე, მეორე – მთვარესავით ანათებს“ (ყარაჩაულური, 117); „მშვენიერი ქალი მზითა და მთვარით შუბლზე“ (ინგუშური, 212).

ქართულის მსგავსად, მზის ატრიბუტი ოქრო და მთვარისა – ვერცხლი ქალის სილამაზის გამოსახატავად გამოიყენება ამ რეგიონის ზღაპრებში: „ქალის თავის ერთი ნახევარი წითელი ოქროსია, მეორე – თეთრი ოქროსი“ (ადილეური, 267); „ქალიშვილი ოქროს თავითა და ვერცხლის

ხელებით“ (ინგუშური, 57).

ჩრდილოკავკასიური ზღაპარი დეტალიზაციით ცდილობს სილამაზის გადმოცემას: „მოდის შავთვალწარბა ქალი შავი ნაწნავით“ (ოსური, 39); „თვალეები შევარდნისა ჰქონდა, თმა ისეთი შავი და ხშირი, რომ შეეძლო დოქი თმაზე გამოება და მდინარიდან წყალი ამოელო“ (თაბასარანული, 36); „სინათლე გამოკრთოდა ქალის სხეულის დაუფარავი ნაწილიდან“ (ყარაჩაულური, 401). ზემოსხეებულ რეგიონში ქართულისათვის სრულიად უცნობი ელემენტი შემოდის: „შეიძლებოდა დაგენახათ როგორ მირაკრაკებდა მშვენიერი ქალის ყელში წყალი“ (ადილეური, 99); „ბროლივით ყელი ისეთი გამჭვირვალე იყო, რომ ჩანდა, წყალი როგორ ჩარაკრაკებოდა“ (თაბასარანული, 36); „ისეთი სუფთა და გამჭვირვალე იყო ქალის ყელი, დაინახავდით წყალი როგორ ჩადიოდა“ (ოსური, 115).

ქართულ ზღაპარში გვხვდება პერსონაჟთა თავგადასავლის გადმოცემის რთული წესი, როცა *მოქმედება პარალელურად ვითარდება*. ამ დროს მეზღაპრე ფორმულების საშუალებით აუწყებს მსმენელს ერთი ამბის დროებით შეწყვეტის და მეორე გმირის თავგადასავლის დაწყების შესახებ. მთქმელი სარგებლობს ფორმულებით: „ესენი ამ მდგომარეობაში დაეცოვით“ (სიბრძნე, I, 210) ან „ახლა ამათ აქ თავი დავანებოთ და გადავიდეთ...“ (იქვე). ახალი ეპიზოდის დაწყებაზე მიგვანიშნებს ფორმულები: „გავეყვით პატარას“ (იქვე, 237) ან „დავუბრუნდეთ ახლა...“ (სიბრძნე, II, 55).

ეს ფორმულები კომპოზიციური დანიშნულებისაა – ერთმანეთთან აკავშირებს ეპიზოდებს.

მედიალური სტერეოტიპული სტილური ფორმულები ზღაპარში კონკრეტული დანიშნულებით ჩნდებიან და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ტექსტის მხატვრულ მრავალფეროვნებას უზრუნველყოფენ.

ქართველი მეზღაპრეები მსმენელთან *კონტაქტის განახლებისა და ზღაპრის თხრობის გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად* თხრობაში ურთავენ ფორმულებს, რომელთა პირველი ნაწილი ბოდიშის მოხდას ითვალისწინებს, მეორე ნაწილში კი ისევ გრძელდება ამბის თხრობა: „რალა ბევრი გაგაგრძელო“ (სიბრძნე, I, 409); „თავი რომ არ მოგაწყინოთ“ (იქვე, 410); „ახე იყო თუ ისე...“ (იქვე, 467); „დაუძახა თავის ამხანაგებს, შენ ხარ ჩემი ბატონი და უთხრა...“ (იქვე, 216). ზოგი მეზღაპრე წყვეტს კავშირს ირეალურ სამყაროსთან, უბრუნდება რეალურ ყოფას და რაკი გველი უნდა ახსენოს, ლოცავს მსმენელს და ისევ განაგრძობს სიუჟეტს: „მიდის ეს ვაჟი გზაზე და, დასწყევლოს წმინდა გიორგიმ ჩვენი დამძრახავი, გაშოტილი მცურავი დაინახა“ (სიბრძნე, II, 29). მსმენელთა დალოცვა იციან ინგუშმა მეზღაპრეებმაც: „ყოველივე კარგი რომ გისურვოთ“, ამბობს იგი და განაგრძობს თხრობას (ინგუშური, 88). ამ ფორმულებს უთუოდ ხალისი და განახლება შეაქვს თხრობაში.

ზემოთქმულთან მიმართებაში საინტერესოა ადიღური ზღაპრის მკვლევარის შენიშვნა: „არც ადიღურსა და არც მის მეზობელ ხალხებში არ დასტურდება არც ყურადღების მობილიზაციისა და არც თხრობის სხვადასხვა დონეზე წარმართვისთვის გამოყენებული ფორმულები“ (აღიევა 1986, 133-4).

ჩრდილო კავკასიის ხალხთა ზღაპრებში იშვიათად ჩნდება მეზღაპრეთა კომენტარები. ქართველ მეზღაპრეთა *კომენტარებში* სიტუაციის შეფასების პარალელურად გამჟღავნებულია პერსონაჟებისადმი მეზღაპრის დამოკიდებულებაც: „თურმე ის რჯულძაღლი შორიდან ზვერაგს...“ (სიბრძნე, I, 400); „უმაღურმა ძმებმა ასფურცელა მიაბეს მუხაზე“ (იქვე, 385); „გაუწყრა ღმერთი იმ სოფდაგრის ცოლსა და შეიყვარა...“ (სიბრძნე, II, 166); „საუბედუროდ, ამ საყდარში ცხრათავიანი დევი ყოფილიყო“ (სიბრძნე, I, 396); „...მაგრამ რას გაუგონებდნენ! სულ ქვევით და ქვევით ჩაუშვეს“ (იქვე, 89). ზოგი მთქმელი ირონიის გამოხატვასაც ასევე ასევე: „ქალმა რომ ჩაიცივა ეს ტანისამოსი, გაიხედა კულზე, გაიპრანჭ-გამოიპრანჭა და თავისი თავი მშვენიერად სცნო...“ (იქვე, 249); „ასე დარჩა ხელმწიფე პირში ჩალაგამოვლებული“ (იქვე, 174); „შავ არაბსა და ქალს სძინავთ გაბრტყელებულს“ (იქვე, 469); „წაიღო ჩემიცა და თქვენი ჭირიც“ (იქვე, 276).

ფოლკლორში იშვიათი არ არის ზღაპრის სტილური ფორმულების სხვა ტიპის ნაწარმოებებში გამოყენების შემთხვევები, რადგან ჟანრები იზოლირებული არ არიან, მთქმელებმა ყველა ჟანრის ნაწარმოებები იციან და ფოლკლორული პროზის „საერთო ადგილებიც“ შეიძლება თავისი შესხედულებით გამოიყენონ.

ქართული და ჩრდილოკავკასიური ზღაპრის სტერეოტიპული მედიალური ფორმულები მეტ-ნაკლებად მსგავსია ერთმანეთისა, თუმცა მსგავსებისასაც კი, ნიუანსების დონეზე ხელშესახებად არის გამოხატული ადგილობრივი ეროვნული ტრადიცია. ზღაპრის ეს მასალა ხალხების ერთმანეთთან საუკუნეობრივი ახლო ურთიერთობის მიუხედავად, პირველ რიგში, ტიპოლოგიურია. საერთო ფონდიდან მომდინარე ფორმულათა ვარიირებაში იმპროვიზაციასაც მიუძღვის წვლილი და ეს ზღაპრის ცოცხალ ყოფაში ტრიალის ფაქტზე მიგვანიშნებს.

ლიტერატურა

- ადიღური 1937 – Адыгейские сказания и сказки, Ростов-на-Дону, 1937.
 აფხაზური 1983 – Абхазские сказки, Сост., обраб. и пер. с абхазского Х. С. Бгажба, Сухуми, 1983.
 აღიევა 1986 – Алиева А. И. Поэтика и стиль волшебных сказок адыгских народов, М., Наука, 1986.
 თაბასარანული 2004 – თაბასარანული ფოლკლორი. „კავკასიური სახლი“, თბილისი, 2004.

ინგუშური 1983 – Сказки и легенды ингушей и чеченцев. М., 1983.

ლეზგიური 2006 – ლეზგიური ფოლკლორი. „კავკასიური სახლი“, თბილისი, 2006.

ოსური 1973 – Осетинские народные сказки. М., 1973.

სიბრძნე 1964 – ხალხური სიბრძნე, II, შემდგ. ა. ღლონტი, თბილისი, 1964.

ყაბარდოული 1961 – Золотая крупинка. Кабардинские сказки. Нальчик, 1961.

ყარაჩაულური 1983 – Карачаево-балкарский фольклор в дореволюционных записях и публикациях. Нальчик, 1983.

ძიძიგური 1959 – ქართული ხალხური ზღაპრები, შემდგ. შ. ძიძიგური, თბილისი, 1959.

ხუნძური 2006 – ხუნძური ფოლკლორი, „კავკასიური სახლი“, თბილისი, 2006.

Т. Курдованидзе (Тбилиси)

Отражение местной традиции в стереотипных медиальных формулах грузинских и северокавказских сказок

Мир волшебной сказки полон таинств. Она повествует о событиях, несоместимых с реальной жизнью. Такие невероятные события должны как бы требовать особой манеры повествования, чтобы характером образности подчеркнуть отдаленность сказки от действительности. Однако язык волшебной сказки, на самом деле, является «реалистически-бытовым» языком. Язык сказочника живой и бытовой. Он должен приблизить слушателя к герою, который осмыслен живым человеком. Передавая приключения героя, сказочник старается создать неповторимый стиль волшебной сказки и, вместе с тем, заботится о том, чтобы слушатель ощутил нереальный мир рассказа.

